- Thierry, Nicole. “Le culte du cerf en Anatolie et la vision de Saint-Eustathe”. *Monuments et mémoires de la Fondation Eugène Piot* 72, 1991, pp. 33-100.
- Thompson, S. *Motif-index of Folk Literature*. Indiana University Press, 1955.
- Tserediani, Nino; Tuite, Kevin & Bukhrashvili, Paata. “Women as bread-bakers and ritual-makers: gender, visibility and sacred space in Upper Svaneti”. *Sacred Places, Emerging Spaces: Pilgrims, Saints and Scholars in the Caucasus*, ed. Tsypylma Darieva, Florian Mühlfried, Kevin Tuite. Berghahn Press; 2018, pp. 46-69.
- Tuite, K. *An anthology of Georgian Folk poetry*. Madison, NJ: Fairleigh Dickinson University Press, 1994.
- Tuite, K. “Highland Georgian paganism - archaism or innovation?” *Annual of the Society for the Study of Caucasia*, №7; 1996, pp. 79-91.
- Tuite, K. “Real and imagined feudalism in highland Georgia”. *Amiranı №7*; 2002, pp. 25-43.
- Tuite, K. “Lightning, sacrifice and possession in the traditional religions of the Caucasus”. *Anthropos* 99: 143-159 (part I); 99: 481-497 (part II). 2004.
- Tuite, K. “The meaning of Dael. Symbolic and spatial associations of the South Caucasian goddess of game animals”. *Language, Culture and the Individual. A Tribute to Paul Friedrich*. Catherine O’Neil, Mary Scoggin & Kevin Tuite (editors); 165-188. Munich: LINCOM Europa, 2006.
- Tuite, K. “Khevsur shrine invocations: iconicity, intertextuality and agonism”. *Folia Caucasică: Festschrift für Jost Gippert zum 55. Geburtstag*. Manana Tandaschwili & Zakaria Pourtskhvanidze (eds), Logos Publishing, Frankfurt/Tbilisi: 2011, pp. 197-221
- Tuite, K. “The political symbolism of the mid-summer festival in Pshavi (Northeast Georgian highlands), then and now”. *Kaukasiologie heute. Festschrift für Heinz Fähnrich*. Natia Reineck & Ute Rieger, eds. Buchverlag König; 2016, pp.365-390.
- Tuite, K. St. “George in the Caucasus: Politics, Gender, Mobility”. *Sakralität und Mobilität im Kaukasus und in Südosteuropa*, ed. by Tsypylma Darieva, Thede Kahl and Svetoslava Toncheva. Wien: Verlag der Österreichen Akademie der Wissenschaften; 2017, pp. 21-56.

Representations of George and his Female Counterpart  
in Caucasus Vernacular Religion and Folklore

---

- Tuite, K. "Image-mediated diffusion and body shift in the cult of St Eustace in the western Caucasus". *Le corps et le lieu: Nouveaux terrains*, ed. Simona Bealcovschi. Montréal: éditions@anthro; 2018, pp. 141-154.
- Tuite, K. & Buxrashvili, P. "Binarité et complémentarité en Géorgie du nord-est. La présentation des garçons et des filles au sanctuaire d'Iaqsar". *Amirani №3*; 2000, pp. 41-55.
- Veselovskij, A. N. *Razyskaniya v Oblasti Russkikh Dukhovnykh Stikhotворений, II. Sv. Georgij v legende, pesne i obrjade*. St. Peterburg: Imper. Akad. Nauk, 1880.
- Virsaladze, Elene. *Gruzinskij okhotnichij mif i poëziya*. Moscow: Nauka, 1976.
- Volsk'aia, Aneli. "K'edlis Mkhats'vroba Sop. Adishis Ts'm. Giorgis Ek'lesiashi". *Dzeglis Megobari*, 19. 1969, gv. 53-58 ვოლსკაია ანელი. „ექდლის მხატვრობა სოფ. ადიშის წმ. გორგის ეკლესიაში“. ძეგლის მეცნარი, 19. 1969, გვ. 53-58).
- Wardrop, Marjory. *Georgian Folk Tales*. London: David Nutt, 1894.
- Watkins, C. *How to Kill a Dragon*. Oxford university press, 1995.
- Khusk'ivadze, L. Z. *Gruzinskie èmali*. Tbilisi: "mecniereba", 1981.
- Zisserman, Arnold L. *Dvadsat' Pyat' Let na Kavkaze*. St Petersburg: 1879 (Зиссерман, Арнольд Л. Двадцать пять лет на Кавказе. St Petersburg: 1879).

Appendix. The earliest version of the miracle of St George, the princess and the dragon, from the manuscript Jer Geo 2 (11<sup>th</sup> c.), with translation

Corrections to the Jer Geo 2 text are marked by (corr), and underlining of the letter or word that has been altered. Letters omitted in *karagma* abbreviations are set between brackets (...).

<i>Georgian text Jer Geo 2 (11<sup>th</sup> c.)</i>	<i>translation of Jer Geo 2 (KT)</i>
ისმინეთ მმანო ჩემნო საკვრველი დიდი და დიდებული ო(ომე)ლი იქმნა წ(მიდ)ისა და დ(იდე)ბ(უ)ლისა და დიდისა მ(ო)წ(ა)მისა გ(იორგ)ის მ(იგ)რ .	Hear, my brothers, the great and glorious wonder that was done by the holy and glorious and great martyr George.
იყო ჟამთა მ(ა)თ ვ(იდრ)ედა ბრწყინვიდა ქვ(ეყანა)სა ზ(ედ)ა წ(მიდ)ა იგი პ(ირვე)ლ წამებისა მისისა	It was in those times while the saint shone upon the earth, before his martyrdom.
იყო ქ(ა)ლ(ა)ქი ერთი ო(ომე)ლსა ეწოდებოდა ლასია.	There was a city which was called Lasia.
და იყო ქ(ა)ლ(ა)ქსა მას მი(ნ)ა მ(ე) ფე სახელით სელინოს.	And in that city was a king of the name Selinos.
და იყო იგი უკეთურ და კერპთმსახურ და უშჯულო და ულმობ(ე)ლ და უწყალო ქ(რისტე)ს მ(ო)რწმ(უ)ნ(ე)თა მიმ(ა)რთ.	And he was wicked and an idol- worshipper and an unbeliever, and merciless and pitiless toward the believers in Christ.
და მსგავსად ბოროტა საქმეთა მისთა მიაგო მას ო(ჟფალმა)ნ	And God requited him in accordance with his evil deeds.
ო(ამეთუ) მახლობლად ქ(ა)ლ(ა)ქისა მის იყო ტბად შესაკრებელი წყალთა მრავალთავ ვ(ითარც)ა ზღუამ.	For near the city there was a lake filled with much water, like a sea.

<i>Georgian text Jer Geo 2 (11<sup>th</sup> c.)</i>	<i>translation of Jer Geo 2 (KT)</i>
და გამოჩნდა ვეშაპი ბოროტი წყალთა მ(ა)თ შ(ინ)ა ტბისათა და მარადლე გ(ა) ნვიდოდა და მოკსრვიდა და გ(ა)ნჰლევდა და შეჰქამდა მ(ა)თ.	And there appeared an evil dragon in the waters of the lake, and each day it went out and slaughtered and consumed and ate them.
და მრავალ გზის შეკრიბა მეფემ(ა) ნ მჯედრებად მოკლვად ვეშაპისა მის და ვერ უძლეს	And many times the king gathered his soldiers to kill the dragon, and they were unable to,
რ(ამეთუ) იყო იგი მძრნვარე და დიდ.	For it was ferocious and big.
მაშინ შეკრბა ყ(ოველ)ი იგი ქ(ა)ლ(ა) ქი . და წმობდეს მეფისა მიმ(ა)რთ და იტყოდეს ვ(ითარმე)დ:	Then all of the city gathered, and cried out to the king, and said:
რაო ვყოთ ჸ მეფ(ე)ო,	What can we do, O king,
რ(ამეთუ) საყოფელ ქ(ა)ლ(ა)ქისა ჩ(უე) ნისად კეთ(ილ)არს. და ჩ(უე)ნ ბოროტად წარვწყმდებით,	for our city is a fine dwelling-place, and we are perishing wretchedly.
და შ(ე)ნ მეფე არა ჰზრუნ(ა)ვ ამისთვის არცა იღუწი ვ(ითარც)ა მეფენი ყ(ოვლ)ისა ქ(უე)ყნისანი.	And you, king, do not care about this, nor do you act, as do the kings of all countries.
მაშინ ტკივნეულ იქმნა მეფე იგი. და უფროვს-ღა შეეშინა და ჰ(რ)ქ(უ)ა მ(ა)თ:	Then it became painful for the king, and he was more frightened, and said to them:
აღწერეთ ერთი ჰელით წერ(ი)ლი	Write a document,
და მისცენით შვ(ი)ლნი თქ(უე)ნნი შესაწირავად	and give your children as sacrifices,
და ოდეს დაესრულნენ თქ(უე)ნ ყ(ოვე) ლო(ა)ნი	and when all of yours will be used up,
არს ასული ჩემი მხოლოდ შობილი მეცა მიგსცე იგი შესაწირავად ვ(ითარც) ა თქ(უე)ნ,	there is my only-begotten daughter, and I too will give her as a sacrifice, like you,
და არა გ(ა)ნვცვვეთ ქ(ა)ლ(ა)ქისაგ(ა)ნ ჩ(უე)ნისა.	and we will not be dispersed from our city.
და სთნდა ყ(ოვე)ლთა სიტე(უა)დ მისი. და იწყო კაცად კაცადმ(ა)ნ მიცემად შვილთა თვესთად ვ(იდრემ)დის მიიწია მეფისა.	His words pleased them all, and they began to give their children, one after the other, until it came to the king.
ხ(ოლო) მეფემ(ა)ნ შეჰქოსა ასულსა თვესსა პორფირი სამეუფომ	Then the king dressed his daughter in royal purple,
და შეამკო იგი ვ(ითარც)ა სბალი,	and adorned her like a bride,
და იწყო ამბორისყოფად მისა და გოდებით და ცრემლით ეტყოდა:	and he began to kiss her, saying with lamentation and tears:

Representations of George and his Female Counterpart  
in Caucasus Vernacular Religion and Folklore

<i>Georgian text Jer Geo 2 (11<sup>th</sup> c.)</i>	<i>translation of Jer Geo 2 (KT)</i>
წარვედ მხოლოდ შობილო და ტკბილო ასულო ჩემო შესაჭმელად ვეშაპისა,	Go my only-begotten, sweet daughter, to be eaten by the dragon.
ვამე საწადელო შვ(ი)ლო ჩემო	Alas, my dear child,
შ(ე)ნ იყ(ა)ვ ნუგეშინის მცემელი და მკვდრ მეფობისა ჩემისა	you were the comfort-giver and inheritor of my kingdom,
და სინათლე თუალთა ჩემთა	and the light of my eyes,
და მოსალოდებელ ქორწილისა და სიძისა და აპა ესერა საჭმლად მჯეცისა წარივლინები!	and expecting a wedding and a bridegroom, and behold, you will leave to be eaten by the beast!
ვამე, ვითარსა-და ქორწილსა აღვასრულებ	Alas, what kind of wedding will I make, or what size of bridal-chamber will I prepare for you,
გინა ვითართა ორდანოთა და სახიობათა და ლამპართა და მისმურთა და მეინაჯეთა აღგიმზადებ?	or what musical instruments and singing and lamps, and drinkers and banquet-guests will I prepare for you?
ვამე საწადელო შვილო ჩემო. რ(ამეთუ) არდარა სადა ვიზილო პირი შ(ე)ნი. არცა ნაყ(ო)ფი მუცლისა შ(ე) ნისამ,	Alas, my dear child, for I will never again see your face, nor the fruit of your womb,
რ(ამეთუ) აპა ესერა გ(ა)ნმეშორები თვინიერ ზოგადისა სიკუდილისა!	for behold, you will take leave of me, without a common ( <i>normal, natural</i> ) death.
და მოექცა და ჰ(რ)ქ(უ)ა ერსა მას:	He turned and spoke to the people:
მიიღეთ რავდენი გნებავს ოქროდ და ვეცხლი და მისთანა მეფობ(ა)ვცა ჩემი, და გ(ა)ნათავისუფლეთ შვილი ჩ(ე)მი!	Take gold and silver, as much as you wish, and with it my kingdom, and set my child free!
და არავინ ისმინა მისი და არცა შეუნდო ამისთვეს,	And no one listened to him, nor did they forgive him,
რ(ამეთუ) მას გ(ა)ნეწესა გ(ა)ნჩინებ(ა)ვ იგი ჰ(ირველ)ითგ(ა)ნ.	because he had first instituted the decree,
და ვ(ითარც)ა იხ(ი)ლა მიუდრეველობად ერისამ მის, მიუბომა მათ ასული თვ(ი)სი.	and as he saw the unyieldingness of the people, he gave them his daughter.
მაშინ შეკრბა ყ(ოველ)ი იგი ქ(ა)ლ(ა)ქი დიდითგ(ა)ნ ვ(იდრ)ე მცირემდე მათდა ხილვად ქალისა მის.	Then the entire people of the city gathered, from the old to the young, to watch the maiden.
ხ(ოლო) კ(ა)ცთმოყუ(ა)რ(ე)მ(ა)ნ და მრავალ-მოწყალებ(ა)ნ ღ(მერთმა)ნ ინება, რ(ათ)ა აჩუქნოს სასწაულები წ(მიდ)ისა მოწამისა გ(იორგ)ის მ(იე)რ.	But loving and all-merciful God wished to show miracles and signs through the holy martyr George,

<i>Georgian text Jer Geo 2 (11<sup>th</sup> c.)</i>	<i>translation of Jer Geo 2 (KT)</i>
ამისთვისცა მათ დღეთა შ(ინ)ა განაგო რ(ათ)ა გ(ა)ნუტეოს მჯედრობად დეოკლეტიანე მეფემ(ა)ნ.	therefore during those days He made it happen, that King Diocletian released him from the army.
ვინამდა მოვიდოდა დიდ(ე)ბ(უ)ლი გ(იორგ)ი კაბადუკიისა სოფლად და თვესად მაძულად.	Thus the holy and glorified George was coming toward the land of Cappadocia to his homestead,
და მოღუაწებითა ღ(მრთისა)მთა მოწია მას ადგილსა	and through the action of God, he came to that place,
მას დღესა შ(ინ)ა. რ(ომე)ლსა შ(ინ)ა ეგულებოდა ვეშაპსა მას შეჭმად ქალისად მის და წარწყმედა.	on that day, when the dragon was to eat and destroy the woman.
მიუქცია ტბად რ(აათ)ამცა ასუა წყალი ჰუნესა თვესა.	And he turned toward the lake, to let his horse drink water,
და პოვა ქალი იგი მჯდომარე კიდესა ტბისსა,	and found the maiden seated at the edge of the lake,
და მწარედ მტირალი.	weeping bitterly.
და ჰ(რ)ქ(უ)ა მას წ(მიდამა)ნ: დედავ(ა) ცო რამასა სტირ ანუ რად ჰზი ადგილსა ამას?	Then the saint said to her: Woman, why do you weep, and why are you sitting at this place?
მიუგო ქალმ(ა)ნ მ(ა)ნ და ჰ(რ)ქ(უ) ა მ(ა)ს: გხედავ შ(ე)ნ ო(ჰელი)ო ჩემო ჰაეროვანსა და შუენიერსა ჰასაკითა	The maiden answered him and said: I see you, my lord, handsome and in the bloom of youth,
და ვ(ითა)რ მოხუედ აქა მოსიკუდიდ?	and why did you come here to die?
წარვედ ამიერ	Go away from here,
და მოსწავედ ივლტოდ!	and flee quickly!
ხ(ოლო) წ(მიდამა)ნ ჰ(რ)ქ(უ)ა მას: დედავ(ა)ცო რაა ხ(ა)რ შ(ე)ნ, ანუ რაა არს ერი ისი რ(ომელ)ი გხედავს შ(ე)ნ?	Then the saint said to her: Woman, who (lit. what) are you, and who are these people looking at you?
ჰ(რ)ქ(უ)ა მას ქალმ(ა)ნ მ(ა)ნ: ო(ჰელი)ო ჩემო მრავალ არს ჰამბავი ჩემი და გრძელ	The maiden said: My lord, my story has many parts and is long,
და ვერ ძალმიც მითხობად შ(ე)ნდა,	and I cannot tell it to you,
ა(რამე)დ მოსწრავებით ივლტოდე რ(ათ)ა არა ბოროტად მოჰკუდე!	rather, flee quickly, that you not die wretchedly!
ჰ(რ)ქ(უ)ა მას წ(მიდამა)ნ გიორგი: მითხარ ე(ოველ)ივე	The saint said to her: Tell me everything,
და შ(ე)ნ თანა მოვკუდე და არა დაგიტეო შ(ე)ნ!	and I will die with you, and not leave you!

Representations of George and his Female Counterpart  
in Caucasus Vernacular Religion and Folklore

<i>Georgian text Jer Geo 2 (11<sup>th</sup> c.)</i>	<i>translation of Jer Geo 2 (KT)</i>
მაშინ ჰ(რ)ქ(უ)ა მას ქალმ(ა)ნ მ(ა) ნ ვ(ითარმე)დ: ო(კუალ)ო ესე არს ქ(ა) ლ(ა)ქი ლასია, და არს ესე კეთილ საცხორებელად კ(ა)ცთა	Then the maiden said to him: Lord, this is the city Lasia, and it is a good living-place for men,
და წყალთა ამ(ა)თ შ(ინ)ა მკვდრ არს ვეშაპი და შეჭერას ვა კ(ა)ცთა ამის ქ(ა) ლ(ა)ქისათა და მოსრავს ერსა.	and in the waters there dwells a dragon, that eats the men of this city and slaughters the people.
და მე ვარ ასული მეფისაა მხოლოდშობილი.	And I am the only-begotten daughter of the king,
და ბრძანებად დადვა მამამ(ა)ნ ჩემმ(ა)ნ,	and my father gave an order,
რ(ათ)ა მისცემდენ ყ(ოველ)ნი შ(ემ) და მითი შ(ემდგომა)დ შვილთა თვესთა დღითი დღედ.	that all give their children, one after the other, each day,
და ვ(ითარ)ცა მოესრულნეს ყ(ოველ)ნი,	and when they all had been finished
მოვიდა ხუდრი მამისა ჩემისაა და წარმომავლინა მე საჭმლად ვეშაპისა.	there came my father's turn, and he sent me for the dragon to eat.
და აპა ესერა გითხარ შ(ე)ნ	And behold I told you all,
წარვედ მშრდობით!	go in peace!
ესმა რად ესე წ(მიდას)ა ჰ(რ)ქ(უ)ა მას: ამიერითგ(ა)ნ ნუღარა გეშინის, ნუცა სძრწი,	When the saint heard this, he told her: From now on, do not be afraid, and do not tremble,
ა(რამე)დ მითხარ მე მამად შ(ე)ნი და მისთან ყ(ოვე)ლნი რ(ომე)ლსა ღ(მერ) თსა ჰმსახურებენ?	but tell me: your father and all those with him, what god do they serve?
ჰ(რ)ქ(უ)ა მას ქალმ(ა)ნ მ(ა)ნ: ირაკლის . და აპოლონს . და სკამანდროს . და დიდსა ღ(მერთს)ა არტემის.	The maiden told him: Herakles and Apollo and Skamandros and the great goddess Artemis.
ხ(ოლო) წ(მიდამა)ნ ჰ(რ)ქ(უ)ა: ნუ გეშინინ, ა(რამე)დ უშიშ და კადნიერ იქმენ!	Then the saint said to her: Do not fear, but be fearless and bold!
და აღიხილნა თუალნი თვესნი წ(მიდამა)ნ გ(იორგ)ი ღ(მრთ)ისა მიმართ და თქუა:	And saint George raised his eyes toward God and said:
ღ(მერ)თო რ(ომელ)ი ჰზი ქერაბინთა ზ(ედ)ა და ჰედ(ა)ვ უფსკრულთა	God, who sits above the cherubim and looks down to the abyss,
რ(ომელ)ი-ეგე ხარ და ჰგიე ჭ(ე)შ(მა) რიტი ღ(მერ)თი,	you who are and remain the true God,
შ(ე)ნ თავადმ(ა)ნ უწყნი გულის ზრახვანი კ(ა)ცთ(ა)ნი	you yourself know the heart-thoughts of men,

<i>Georgian text Jер Geo 2 (11<sup>th</sup> c.)</i>	<i>translation of Jер Geo 2 (KT)</i>
ძ(ალ)ნი აჩუენენ სასწაულნი საკვრველნი მონისა შ(ე)ნისა მოსეს მიერ, აჩუენე ჩემზ(ედ)აცა წყალობად შ(ე)ნი,	you showed power and miracles and wonders through your servant Moses, show your mercy through me also,
და ყავ ჩემთანა სასწაულ კეთილ	and make a good miracle with me.
და დამამორჩილე ბოროტი ესე მწ(ე)ცი ქუეშე ფერჯთა ჩემთა,	And make this evil beast submit to me beneath my feet,
რ(ათ)ა ცნან ყ(ოვე)ლთა, ვ(ითარმე)დ ჩემთანა ხარ!	that all will know that you are with me!
და მოიწია ჭ(მა)დ ზეალო რ(ომელ)ი ეტყ(ო)და: გ(იორგ)ი შეისმინა ვედრებად (corr) შ(ე)ნი ყურთა ო(კფლ)ისათა, ყავ რადცა გნებავს, რ(ამეთუ) მე შ(ე)ნთანა ვარ!	And there came a voice from above, saying: George, your plea has been heard by the ears of the Lord, do what you wish, for I am with you!
და მეყსეულად შეირყია ლერწმოვანი იგი	And suddenly the reed-bed shook, and the maiden cried out:
ვამებ ღ(კფალ)ო ჩ(ე)მო ივლტოდე ამიერ. აპა ესერა მოვალს ვეშაპი იგი ბოროტი!	Alas, my lord, flee from here, behold, the evil dragon comes!
ხ(ოლო) წ(მიდა)დ გ(იორგ)ი მირბიოდა შემთხუევად ვეშაპისა მის.	But saint George ran to confront the dragon,
და გამოსახა მის ზ(ედ)ა სახც ჯ(უარისა)დ და თქ(უ)ა:	and he made the sign of the cross over it, and said:
ო(კფალ)ო, ღმერთო ჩემო,	Lord, my God,
გარდააქციე მწეცი ესე მორჩილებად	make this beast obedient to me,
მონისა შ(ე)ნისა!	your servant!
და ვ(ითარც)ა ესე თქ(უ)ა, შეწევნითა სულისა წ(მიდ)ისათა და ლოცვითა წ(მიდი)სითა,	And as he said that, through the aid of the Holy Spirit and the prayer of the saint,
და ეცა ვეშაპი იგი ფერჯთა თანა წ(მიდ) ისათა.	the dragon fell at the feet of the saint.
ხ(ოლო) წ(მიდამა)ნ უბრძანა ქალსა მას: გ(ა)ნიქსენ სარტყელი შ(ე)ნი	Then the saint commanded the maiden: Remove your belt,
და მომართუ აქა!	and hand it to me here!
და ყო ეგრე.	And she did so.
ხ(ოლო) წ(მიდამა)ნ შეკრა ვეშაპი იგი და მისცა ქალსა მას და ჰ(რ)ქ(უ)ა:	Then the saint tied it to the dragon, and gave it to the maiden and said:
წარვედ ქ(ა)ლ(ა)ქით კერძო!	Go toward the city!

Representations of George and his Female Counterpart  
in Caucasus Vernacular Religion and Folklore

<i>Georgian text Jer Geo 2 (11<sup>th</sup> c.)</i>	<i>translation of Jer Geo 2 (KT)</i>
იხილა რაო ერმ(ა)ნ მ(ა)ნ სასწაული ესე საკრველი შეეშინა	When the people saw the wondrous miracle they became afraid,
და ენება (corr) სივლტოლავ შიშისათვს ვეშაპისა მის.	and wished to flee for fear of the dragon,
ხ(ოლო) წმიდავ იგი ეტყოდა მ(ა)თ: ნუ გეშინინ ა(რამე)დ დეგით და იხილოთ მაცხოვარებავ ღ(მრთისა)ვ	but the saint said to them: Fear not, rather stand and see God's deliverance.
ჰ(რ)ქ(უ)ა მ(ა)თ: გრწმენინ ო(კფალ) ი ჩ(უე)ნი ი(ესო)კ ქ(რისტ)ე ჭ(ე)შ(მა) რიტი ღ(მერთ)ი ყ(ოვ)ლად ძლიერი და მოვაკუდინო ვეშაპი ესე,	He said to them: Believe in my lord Jesus Christ the all-powerful true God, and I will make the dragon die,
და არა მოკლნეთ მის მიერ.	and you will not be killed by it.
მაშინ ჯმა ყო მეფემან და დიდებულთა მისთა და ყ(ოვე)ლსა ერსათანა და თქ(უე) ს: გურწამს ო(კფალ)ო მამისა მიმ(ა)რთ და მისა და სულისა წ(მიდ)ისა	Then the king cried out, along with his nobles and all the people, saying: Lord, we believe in the Father, and the Son and the Holy Spirit.
და მეყსეულად წ(მიდამა)ნ იჯადა კრმალი თვისი და მოკლა იგი	And suddenly the saint drew his sword and killed it,
და მისცა ქალი იგი მეფესა.	and gave the maiden to the king.
მაშინ მოკრბა ყ(ოველ)ი სიმრავლე ერისად და ამზორს უყოფდეს ფერწთა წ(მიდ)ისათა და ად(ი)დებდეს ღ(მერთს)ა:	Then the whole multitude of the people gathered and kissed the feet of the saint, and praised God.
მაშინ წ(მიდამა)ნ მოუწოდა ალექსანდრე ებისკოპოსსა, და ნათელსცა მეფესა და დიდებულთა მისთა და ყ(ოვე) ლსა სიმრავლესა ერისასა	Then the saint summoned the bishop Alexander, who baptized the king and the nobles and all the multitude of the people
ათხუთმეტ დღეს,	during fifteen days,
ხ(ოლო) ნ(ათე)ლსცა ორმეოც და ხუთსა ათასსა.	and he baptized forty-five thousand.
და იქმნა სიხარ(უ)ლი დიდი მას ქ(ა) ლ(ა)ქსა შ(ინ)ა.	And there was great rejoicing in the city.
მაშინ მეფემ(ა)ნ ყ(ოვე)ლსა ერსათანა აღაშენა პატიოსანი ტაძარი სადიდებელთა ღ(მერთ)ისა და პატივად წ(მიდ)ისა გ(იორგ)ისა	Then the king along with all the people built a holy temple for the glory of God and to honor saint George.
და ვ(ითარც)ა განასრულეს ტაძარი იგი, მოვიდა წ(მიდა)ვ გ(იორგ)ი და აჩუქნა სხ(უა)მ საკრველებავ:	And when they completed the temple, saint George came and showed another wonder,
რ(ათა) შევიდა ტაძარსა მას შ(ინ) ა და საკურთხეველსა ეკლესისასა, და აღმოაცენა წყარო კურნებათავ	when he went in the temple and the church sanctuary, and brought forth a healing spring,

<i>Georgian text Jer Geo 2 (11<sup>th</sup> c.)</i>	<i>translation of Jer Geo 2 (KT)</i>
და არს იგი ვ(იდრ)ე აქამომდე საკურნებელად მოწმუნეთა ქ(რისტ)ეს ღ(მრ)თისა ჩ(უე)ნისათა	which to the present is for healing believers in Christ our God.
და სხუანი მრავალნი და დიდებ(უ) ლნი საკრველებანი აღასრულნა წ(მიდამა)ნ მ(ო)წ(ა)მემ(ა)ნ გ(იორგ)ი ღ(მრ)თისა მ(იე)რ და მისდა მოცემულთა მადლითა მ(იე)რ ქალაქსა მას შ(ინ)ა	And the holy martyr George performed many other glorious wonders in the city, through God and the grace He bestowed,
სახელით ღ(მრთ)ისა ჩ(უე)ნისა ი(ქსო)ვ ქ(რისტ)ესთა	in the name of our God Jesus Christ.

### ქევინ თუითი (კანადა)

**წარმოდგენები წმინდა გიორგისა და მისი მდედრობითი ორეულის  
შესახებ კავკასიურ მითოლოგიასა და ფოლკლორში**

#### რეზიუმე

**საკვანძო სიტყვები:** კავკასიური ფოლკლორი, მითოლოგია, წმინდა გიორგი, ურჩხული, მეფის ასული.

წმინდა გიორგის, ხელმწიფის ასულისა და ურჩხულის ორიგინალური ისტორია ემყარებოდა აღმოსავლეთის ქრისტიანული პაგიოგრაფიის ტრადიციებს და რაინდული რომანის ადრეულ ფორმებს. მაგრამ, სასწაულის შესახებ არსებული ისტორიის ძირითადი ელემენტები ხალხურ წყაროებს უნდა მივაკუთვნოთ. განსაკუთრებით საინტერესოა ხელმწიფის ასულის როლი. თავდაპირველად, ის კიდევ ერთი მსხვერპლია, რომელიც პასიურად ელოდება თავის ხვედრს; თუმცა, მას შემდეგ, რაც წმ. გიორგიმ ურჩხული დაიმორჩილა, იგი სთხოვს ხელმწიფის ასულს, ურჩხულს თავისი სარტყელის-გან გაკეთებული საყელური გამოაბას და ასე წაიყვანოს ქალაქში. ამრიგად, ხელმწიფის ასულის, როგორც პოტენციური მსხვერპლის როლი, იცვლება ურჩხულზე გამარჯვების საქმეში თანამონანილის როლით, თუმცა წმინდანზე დაქვემდებარებულის ფუნქციით. გოგონას, როგორც წმინდანის „უმცროსი პარტნიორის“ მოტივს, პრეცედენტები ექებნება კავკასიის ზეპირსიტყვიერებაში, რაც ნაჩვენებია მოცემულ სტატიაში.

# **ლიტერატურის თეორიის პრობლემები / Problems of Literary Theory**

---

**თეიმურაზ დოიაშვილი  
(საქართველო)**

## **ვარდი ნაწვიმარ სილაში**

ლირიკული სიუჟეტის გამჭოლი თემა გალაკტიონ ტაბიძის სიმბოლის-ტურ შედევრში „სილაჟვარდე ანუ ვარდი სილაში“ თუმც ლექსის პირველსავე სტროფში ღიადაა დასახელებული („ჩემი ცხოვრების გზა“), მაგრამ შინაარ-სობრივად გაიდუმალებულია მეტაფორიზებული შედარებების მწკრივით, რომელთა შორისაა სახე-ენიგმა „ნაწვიმარ სილაში ვარდი“:

დედაო ღვთისავ, მზეო მარიამ!  
როგორც ნაწვიმარ სილაში ვარდი,  
ჩემი ცხოვრების გზა სიზმარია  
და შორეული ცის სილაჟვარდე.

ტექსტის ბოლოში პირველი სტროფი უცვლელად მეორდება – იქმნება წრიული კომპოზიციის ჩარჩო, რომლის სივრცეშიც თამაშდება ლირიკული პერსონაჟის სულიერი ცხოვრების დრამა, დრამის რეალური თუ წარმოსახული სცენები. ამდენად, განმეორებადი, რეფრენული სტროფი ჯერ ექსპოზიციაა – ლირიკული პერსონაჟის თვითწარდგენა წმინდა ქალწულის წინაშე, ხოლო ფინალში – საწყის ვითარებასთან დაბრუნების მაცნე კონფლიქტური პერიპეტიების შემდეგ.

\* \* \*

ენიგმური სახე „სილაში ვარდი“ მკვლევართაგან დღემდე ორგვარად არის აღქმული. ტროპი, უდიდესწილად, დანახულია რეალობის კონტექსტში, როგორც „მტვრიან გზაზე დაცემული ყვავილი, რომელსაც ბრძოს მიერ ფე-სით გათელვა მოელის“ (ბურჭულაძე 1985: 144).

არსებობს მეორე, განსხვავებული ხედვაც – „**სილაში ვარდის ამოს-ვლა**“, რეალურობისათვის უჩვეულო და ლოგიკურად გაუმართლებელი მოვლენა, მაგრამ სავსებით ბუნებრივი და დამაჯერებელი მხატვრული პირობითობის დონეზე (ჯაველიძე 1982: 121).

პირველი თვალსაზრისის მრავალრიცხოვან მომხრეებს საბუთად მოაქვთ გალაკტიონის გვიანდელი, საბჭოთა პერიოდის გამოუქვეყნებელი ლექსი „**სილაში ვარდი**“, რომელსაც, – როგორც ჩანს, სათაურის გამო, – ენიგმური სახის ახსნად, ტროპის ავტორისეულ კომენტარად მიიჩნევენ.

დასახელებულ ლექსში ნამდვილად არის ნახსენები ყვავილი, რომელიც „მშობელ ბუჩქს თავისთავად მოსწყდა და მტვრიან გზაზე დაეცა“, მაგრამ ეს სიმბოლური ყვავილი, როგორც იტყვიან, სულ სხვა დრამიდანაა. გალაკტიონი აქ ალეგორიულად გადმოსცემს ბუნების ნებიერი ყვავილის (პოეტის) ამბავს, რომელიც საბედისნეროდ ასცდა შემოქმედების წმინდა გზას და ცხოვრების მტვერსა და ჭუჭყში აღმოჩნდა. პოეტი მორჩილად ელის ზეცის წყრომას თუ ბრძოსაგან გათელვას, როგორც საზღაურს მაღალ მოწოდებასთან თუნდაც უნებლივ დაცილების გამო.

ეს ის მტკივნეული თემაა, რომელიც რეალურად აწვალებდა ახალ დროში „მასსების პოეტად“ სახეცვლილ გალაკტიონს და რომელსაც არაფერი აქვს საერთო „სილაჟვარდესთან“. ენიგმის კონკრეტიზაციის ეს გავრცელებული ცდა, გარდა იმისა, რომ დამაჯერებელი არაა, მცირე გარკვეულობასაც კი ვერ ჰმატებს შედარების იდუმალ შინაარსს; უფრო პირიქით, რადგან მსგავსების მიგნება მტვრიან გზაზე დაცემულ ყვავილსა და „შორეული ცის სილაჟვარდეს“ შორის, პრაქტიკულად, შეუძლებელია.

აქვე უნდა აღინიშნოს ერთი არაორდინარული გარემოება. ენიგმის გარედან შემოტანილი შინაარსით გააზრების გამო გამოკვლევებში, ნებსით თუ უნებლივთ, შედარებათა რიგი ისეა ინტერპრეტირებული, თითქოს შედარების საგანი – „ცხოვრების გზა“ პოეტის მიერ სინონიმური ხატებით კი არ იყოს განმარტებული, არამედ – დაპირისპირებული, კონტრასტული სახეებით. მაგალითად, ერთი მკვლევართაგანი წერს: „სილაჟვარდე და ვარდი სილაში კონტრასტული შინაარსით დატვირთული მხატვრული სახეებია და არა სინონიმური წყვილის შემადგენელი კომპონენტები“ (დევდარიანი 2010: 80-81).

ასეთი შეფასების საფუძველზე განმაზოგადებელი დასკვნაც კეთდება: „აქ ერთმანეთის პირისპირ დგას ორი მკვეთრად განსხვავებული სინამდვილე: სილაჟვარდე – ოცნებით, პოეტური ფანტაზიით წარმოსახული სამყარო და ნაწვიმარ სილაში ვარდი – ყოფიერების ბინით შემუსვრილი სული. ეს სილაში მოქცეული ის ვარდია, რომელიც უსახური ბრძოს გასათელადაა განწირული“ (დევდარიანი 2010: 81).

ვნახოთ კონკრეტულად, რას ამბობს ლექსში გალაკტიონი და რას მიანერს მას მკვლევარი.

– [ისე] როგორც ნაწვიმარ სილაში ვარდი, ჩემი ცხოვრების გზა არის სიზმარი და შორეული ცის სილაჟვარდე, – გვაუწყებს სიმბოლისტი პოეტი.

– პოეტის ცხოვრების გზა [არის] როგორც ნაწვიმარ სილაში ვარდი, [ისე] სიზმარი და შორეული ცის სილაჟვარდე, – გვიმტკიცებს ინტერპრეტაციის ავტორი (დევდარიანი 2010: 81).

განსხვავება ამ ორ პოზიციას შორის მნიშვნელოვანია და არსებითიც: გალაკტიონი შესადარებელი სახეების შინაგან, იდუმალ მსგავსებაზე მიგვანიშნებს, მკვლევარი კი მათ შორის არარსებულ კონტრასტს აღმოჩენს, თითქოს სილაჟვარდე და სილაში ვარდი ურთიერთდაპირისპირებული პოლუსები იყოს.

ზემოთ უკვე ითქვა, რომ არსებობს ენიგმური სახის სხვაგვარი ხედვაც – სილაში ამოსული ვარდი. სახე გააზრებულია, როგორც შემოქმედებითი ნებით შექმნილი პირობითობა, რომელიც რეალურობის სამზერიდან ალოგიკურია – სილაში ვარდი არ ამოდის. შეუთავსებელ სიტყვა-ცნებათა (სილა, ვარდი) ოქ-სიმორონული ერთობა, ამ თვალსაზრისის მიხედვით, ლირიკული პერსონაჟის შინაგან წინააღმდეგობაზე, სულიერ გაორებაზე მიანიშნებს, ხოლო კვლავაც ოპოზიციურ წყვილად აღქმული სილაში ვარდი – სილაუვარდე ყოფიერების კონტრასტულობას გამოხატავს (ჯაველიძე 1982: 120, 122).

ენიგმური სახის ორგვარი რეცეფციის მიუხედავად, ძნელი შესამჩნევი არაა, რომ შედარების აზრობრივი ინტერპრეტაციისას ორივე ხედვისათვის ამოსავალია რომანტიზმის ფუნდამენტური პარადიგმა სინამდვილისა და იდეალის (ოცნების) დაპირისპირებულობის შესახებ. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ყოფიერების კონტრასტულობის იდეას ერთი რეალურ-შინა-არსობრივ პლანშივე პოულობს, ხოლო მეორე – გამოსახვის პლანში, სახის ოქსიმორონულ ფორმაში.

ყურადღებით დავაკვირდეთ ლექსის პირველ სტროფს, რომელსაც გან-საკუთრებული მნიშვნელობა აქვს როგორც საკუთრივ ენიგმური სახის, ისე რთული შედარებისა და მთლიანი ტექსტის გაგებისათვის.

ღვთისმშობლისადმი მიმართვის შემდეგ, რითაც სტროფი იწყება, ლი-რიკული პერსონაჟი მინიშნების ხერხით გადმოგვცემს იმ შინაგან მდგო-მარებას, რომელშიც იგი იმყოფება აღსარების უამს. სიმბოლოთა მეშვეობით ის ახასიათებს თავისი იდუმალი ცხოვრების გზას და ამზადებს ფონს იმ სულიერი დრამისათვის, რასაც ეძღვნება ლექსი. სტროფის განწყობილება, მართალია, სევდიანი და მინორულია, მაგრამ აქ ჯერ არ არის გამულავნე-ბული დაეჭვება არჩეული გზის ჭეშმარიტებაში. მთხოვობელი, როგორც ჩანს, კარგა ხანია, გასულია მიწიერი რეალობიდან და მხოლოდ სიზმრებში ბინადრობს.

ენიგმა „ნაწვიმარ სილაში ვარდი“, რომელიც „ცხოვრების გზის“ ერთ-ერთი მსაზღვრელია, შედარების სტრუქტურის ელემენტია. შედარების მხატ-ვრული ლოგიკით იგი შინაარსობრივად გათანაბრებულ სიმბოლოთა მწკრი-ვის წევრია. ამის გამო „ნაწვიმარ სილაში ვარდი“ მსგავსია/არის სიზმარი და სილაუვარდე.

სიმბოლოთა სინონიმურობა ლექსში ხაზგასმულია არა მარტო სახეობ-რივ, არამედ ლექსიკურ და ევფონიურ დონეებზეც.

სახეთა ლექსიკურ გაიგივებაზე მეტყველებს სათაურში გატანილ მთა-ვარ სიმბოლოებს შორის დასმული მაიგივებელი კავშირი „ანუ“ („სილაუვარ-დე ანუ ვარდი სილაში“), აგრეთვე, სიტყვათა საგანგებო გადასმა (არა სილაში ვარდი, არამედ ვარდი სილაში) ევფონიური თანხმიერების დაყრუებისა და ლექსიკური შინაარსის წინ წამოწევის მიზნით.

დაბოლოს, ევფონიის დონეზე იგივეობის ღია მანიფესტაციაა ე. წ. სა-უკუნის რითმა: სილაში ვარდი – სილაუვარდე. გავიხსენოთ ისიც, რომ სიმ-

ბოლისტებისათვის სიტყვათა ბერითი სიახლოვე მათი შინაგანი, ეზოტერიკული კავშირის გამოვლენად ითვლებოდა.

ამრიგად, ლექსის სათაურისა და პირველი სტროფის რეალურ-ობიექტური მონაცემებით, ტექსტში გვაქვს არა კონტრასტული, დაპირისპირებული სიმბოლოები, არამედ მსგავს / იგივეობრივ / სინონიმურ სახეთა რიგი. აქედან გამომდინარე, ენიგმური სახის იდუმალი შინაარსი ამოსაცნობი და გასააზრებელია არა კლასიკური რომანტიკული ანტითეზის – სინამდვილისა და იდეალის (ოცნების) დაპირისპირების კონტექსტში, არამედ ისეთ კონცეპტუალურ სივრცეში, სადაც სიმბოლოთა მსგავსება-იგივეობას დამაჯერებელი ახსნა და გამართლება მოეძებნება.

\* \* \*

„სილაუარდე ანუ ვარდი სილაში“, ტრადიციულად, ევანგელისტურ მითთან მიმართებით განიხილება ხოლმე (ნაკუდაშვილი 1995 და სხვ.), რაც თითქოს საფუძველს მოკლებული არაა: ლირიკული მონოლოგი, რომელსაც გულწრფელი თვითგამოხატვის – აღსარების/ლოცვის ფორმა აქვს, ღვთისმშობელს მიემართება. ამასთანავე, ტექსტში მრავლადაა ნახსენები ქრისტიანობასთან ასოცირებული საგნები და ცნებები: ხატები, სალოცავი კარები, სიონი, ოლარები, სულის სიკვდილი, სამოთხე, ჯოჯონეთი, ზიარება...

„სილაუვარდე“, როგორც ვთქვით, სიმბოლისტური ლექსია, ამიტომ მას ორი პლანი აქვს – რეალური და ირეალური. საგნები და ცნებები, ასევე მთლიანი სიტუაციაც, რომლებიც დაკავშირებულია ქრისტიანულ სარწმუნოებასთან და პროეცირებულია ევანგელისტურ მითზე, ტექსტის რეალურ პლანს ქმნის. ეს რეალური ელემენტები სიმბოლისტი პოეტისათვის მხოლოდ პირველადი მასალაა. მთავარია მათი გარდაქმნა, გარდასახვა, რის შედეგადაც იბადება მეორე – ფარული, ზერეალური პლანი. ემპირიულ საგნებს, მათ შორის ქრისტიანობასთან დაკავშირებულ საგნებს და ცნებებს, ლექსში უჩნდება სხვა, ახალი, „ჭეშმარიტი შინაარსი“, რომლის ამოცნობა იმ შემთხვევაში მოხერხდება, თუ მივაგნებთ სიმბოლიზაციის წყაროს – პოეტის მიერ გამოყენებულ კონცეპტუალურ სისტემას. ასეთი სისტემა ვერ იქნება ევანგელისტური მითი, რომელიც რეალურ პლანს განმარტავს და, რაც არანაკლებ არსებითია, წინააღმდეგობაში მოდის კონკრეტულ ლირიკულ ნარატივთან, ტექსტის მონაცემებთან.

„სილაუვარდეში“ თავიდანვე ყურადღებას იპყრობს ლოცვის/აღსარების უჩვეულო, ტრავესტიული სახეცვლილება. ქართულმა პოეზიამ ღვთისმშობლისადმი აღვლენილი არაერთი ლოცვა და აღსარება იცის, გამსჭვალული სასოებითა და სიყვარულით. ასეთი ლექსები გალაკტიონსაც აქვს, მაგრამ „სილაუვარდე“ ვერ თავსდება ტრადიციის ჩარჩოში, რადგან ის არც წმინდანის განმადიდებელი საგალობელია და არც შენდობის თხოვნა შემცოდისაგან. „ლოცვა კარია ცოდვილისათვის სინანულისა“ (აკაკი), გალაკტიონის ლირიკულ აღსარებაში კი სინანულის ნაცვლად დომინანტურია მხილების პათოსი,

რომელიც საკუთარი სულის მჩხრეკელ აღმსარებელს კი არ წარმოაჩენს, არა ამედ ღვთისმშობლის მადლში დაეჭვებულ მსხვერპლსა და ბრალმდებელს ერთდროულად. მხილების სიმძაფრით „სილაუგარდეს“ მხოლოდ ნიკოლოზ ბარათაშვილის „სულო ბოროტო“ თუ შეეძრება, ოღონდ იმ არსებითი განსხვავებით, რომ ბარათაშვილი ბოროტ დემონს ამხელს, გალაკტიონი კი... ყოველთა მეოს წმინდა ქალნულს.

ძალიან მოულოდნელია და უჩვეულო ღვთისმშობლის მკვეთრად ნეგატიური წარმოჩენაც. ბრალდებანი წმინდა ქალნულისადმი ლექსში ერთ საბრალდებო აქტად არის შეკრული (IV-VI სტროფები) და ირონიული ელფერიც ახლავს. თურმე ყოვლადმოწყალე ღვთისმშობელს, რომელიც, ლექსის მიხედვით, მიზეზია ყმანვილი მგოსნის ტრაგედიისა, შეუძლია დატკბეს („შეხედე, დასტკბი!“) მისი ტანჯული ბედით, მეტიც – მავედრებელი სულის სიკვდილის ჭვრეტით: „სული ვედრებით განაოცები/ შენს ფერხთქვეშ კვდება როგორც პეპელა“.

ლექსის დასკვნით ნაწილში შესამჩნევია აგრეთვე პირდაპირი გადახვებიც ქრისტიანული კონფესიის დოგმებიდან.

„სილაუგარდისთვის“ ძალიან მნიშვნელოვანია მხსნელის მოლოდინის მოტივი, რომელიც გალაკტიონთან ქალს, წმინდა ქალნულს, ღვთისმშობელს უკავშირდება („შენს მოლოდინში ასეა ყველა?“). აქ პოეტი აშკარად შორდება ევანგელისტურ წარატივს, რომლის თანახმად მესია ანუ მხსნელი არის ქრისტე, ხსნის მისია მაცხოვარს ეკისრება.

ტექსტის ფინალისაკენ მათაფრად ისმის სამაგიეროს მოთხოვნა: „სად არის ჩემთვის სამაგიერო? / საბედნიერო სად არის სული?“ ლირიკული პერსონაჟი სამაგიეროს გარდაცვალებამდე, სიცოცხლეშივე მოითხოვს, მაშინ როცა ქრისტიანობა აღთქმულ მარადიულ არსებობას, როგორც ჯილდოს ზნეობრივი ცხოვრებისათვის, მორწმუნეს მხოლოდ სიკვდილის შემდეგ პპირდება სულის უკვდავების ფორმით.

ფაქტები, რომლებზეც მივუთითეთ, გვკარნახობს, რომ დასადგენია ის კონცეპტუალური სისტემა, რომელიც გალაკტიონისათვის სინამდვილის გარდასახვის, სიმბოლიზაციის წყარო იყო, ჩვენ კი ტექსტის დეკოდირების გასაღებს მოგვცემს. ამის გარეშე პოეტური ტექსტის ადეკვატური წაკითხვა ვერ მოხერხდება.

\* \* \*

„სილაუგარდეში“ ორი გზაა დასახელებული: „ჩემი ცხოვრების გზა“ და „ბედით დაწყევლილი გზა“. პირველი ლირიკული სუბიექტის მიერ არჩეული ინდივიდუალური გზაა, მეორე – არყოფნის, სიკვდილის, „განადგურების სევ-დიანი გზა“, როგორც ადამიანთა გარდაუგალი ხედრი.

„გზის“ მეტაფორა არსებობას გაიაზრებს, როგორც დროში განფენილ პროცესს, ხოლო ადამიანი ამ გზაზე შემდგარი მგზავრია. როგორც მხატვრული კონცეპტი, „გზა“ მსოფლმხედველობრივ პოზიციას გამოხატავს,

რამდენადაც უმნიშვნელოვანეს პრობლემას – სიცოცხლის/ცხოვრების საზრისის ძიებას უკავშირდება და, ამასთანავე, გადაჯაჭვულია სიკვდილის თემასთან.

ასეა ეს „სილაუგვარდეშიც“, რომლის სუბიექტი ცდილობს სიკვდილის, როგორც ბედისწერის, დამარცხებას, დროით დასაზღვრულობის დაძლევას და მარადისობისაკენ გაჭრას. აქედან გამომდინარე, სავარაუდოა, რომ ლექ-სში მონიშნულია პერსონაჟის არაორდინარული სულიერი ძიებანი, ხოლო სიმბოლური სემანტიკის საყრდენია „ხსნის“ რომელიდაც კონცეფცია ანუ „გზა“, როგორც მსოფლმხედველობა და ცხოვრების წესი, რომლის მიმართ კრიზისის ფაზაში მყოფ ლირიკულ გმირს სკეფსისი გასჩენია.

მგოსნის „ცხოვრების გზა“ გალაკტიონის ლექსში, როგორც უკვე ვიცით, სიზმართან და სილაუგვარდესთან არის გაიგივებული. სიზმარი რეალობის-გან მოწყვეტის, არაქაური არსებობის სიმბოლოა, ხოლო სილაუგვარდე – „ზე-ნაართ სამყოფი“, საითკენაც მიისწრაფვის ციერების მოსურნე, მიწიერი ხვედრის უარმყოფელი არსება. გასარკვევი ისაა, რა ესიზმრება, რა შინაარსი აქვს მგოსნის სიზმრებს, ვინ ან რა ეგულება შორეული ცის სილაუგვარდეში.

გალაკტიონი ერთ ლექსში ამბობს: „მე ვხედავ სიზმრებს არა თქვენებურს“. მართლაც, უამიდან უამამდე, როდესაც პოეტი სიზმრის ფარდას გა-დასწევს, აღმოვაჩინთ, რომ იგი ჭვრეტს „შორ, უცხო ქვეყანას“, სადაც არ არსებობს წარმავალობის შიში, „სადაც ედემი ყვავის და სადაც / ვეღარც ჩაწ-ვდება ბნელი სამარე“. ეს უჭკვნობი მშვენიერების ის მარადიული საუფლოა, რომელსაც ამაოდ, მაგრამ სასოებით დაექცებს წარმავალობის სევდით დამ-ძიმებული სული.

პოეტის სიზმრებში „შორ, უცხო ქვეყანას“ მუდმივად ენაცვლება სათნო და ლმობიერად მზირალი ქალწულის ლანდი, ღამეულ ზმანებათა მონაწილე, ან მღელვარე მოლოდინის საგანი. ქალწული გალაკტიონის ლირიკაში შორი, იდეალური ქვეყნის პერსონიფიცირებული სახეა, ვისაც მოელიან და გრძნო-ბენ და ვისაც ზოგჯერ კონკრეტული სახელიც აქვს, მაგალითად, ბეატრიჩე, ლაურა, მერი, „მზე მარიამი...“

გალაკტიონის ლირიკული პერსონაჟის ცხოვრება სიზმარია, რადგან სიზმარეულია საკუთარი არსებობის აღქმა („და მე ვარ ისე – როგორც სიზ-მარი“), სიზმარია ზეციური ქალწულის მოვლინებანი („ვინა ხარ, ვინა, ჩემო სიზმარო“) და, ბოლოს, სიზმარს ჰგავს ქალწულისა და მგოსნის ტრაგიკული დაშორებაც („ის ჩამომშორდა, როგორც სიზმარი / აუხდენელი და მომხიბლავი“).

ლირიკული სუბიექტის სიზმრების წიაღში, იქ, საითაც მისი „ცხოვრე-ბის გზა“ მიემართება, როგორც ვხედავთ, ორი პერსონაჟი იკვეთება – თავად მეოცნებე მგოსანი („მე“) და ზეციური ქალწული („შენ“), რომელთა შორის „უცნაური ტრფობის“ პერიპეტიიების აღწერას ათიან წლებში გალაკტიონის არაერთი ლექსი მიეძღვნა. ეს ის ძირითადი ლირიკული ნარატივია, რომელიც სხვადასხვა ვარიაციით მეორდება.

„სილაუგარდეში“ ლირიკული „მე“ უშუალოდ წარმოგვიდგება, როგორც ღვთისმშობლის მოაჯე ყმაწვილი მგოსანი, ხოლო ტროპიზებული ფორმით – ვითარცა „გედი დაჭრილი ოცნების ბალით“. მათი იგივეობა ლექსში ეჭვს არ იწვევს („აპა, მოვედი გედი დაჭრილი...“). გალაკტიონი აქ უთუოდ ანტიკურობიდან მომდინარე პოეტურ ტრადიციას აგრძელებს, რომლის თანახმად გედი პოეტის სიმბოლოა. ამ სიმბოლოს იგი სხვა ლექსებშიც ხშირად მიმართავს („და მეც მოვკვდე სიმღერებში ტბის სევდიან გედათ“; „ეპოქის გედი ოცნებას მღერის გაბედითებით“...) და მას არავითარი კავშირი არა აქვს არც XIII საუკუნის მინეზინგერის – კონრად ვურცბურგელის რომანთან „გედის რაინდი“ და არც ალექსანდრ ბლოკის დრამასთან „ვარდი და ჯვარი“, რის დამტკიცებაც სურთ (ბურჭულაძე 1980: 106-115).

ტროპი „გედი დაჭრილი ოცნების ბალით“ ძალიან ხშირად, თითქმის უგამონაკლისოდ, არასწორად არის გაგებული, როგორც ოცნებით დაჭრილი გედი („ოცნება იმდენად შეუსაბამო და განუხორციელებელი აღმოჩნდა, რომ განგმირა პოეტის გული“). პოეტი გვესაუბრება არა ოცნებით დაჭრილ, არა-მედ – ოცნების ბალიდან მოსულ დაჭრილ გედზე. „ოცნების ბალ“ ხომ ის სიზმარეული მყუდრო სავანეა, სადაც თავს აფარებს პოეტი-გედი, განთიადისას კი ბედით დასაზღვრულ სივრცეს – სინამდვილეს უბრუნდება?

ლოგიკურად იბადება კითხვა: მაშ, რამ მიაყენა გედს ჭრილობა?

სანამ ამ კითხვას ვუპასუხებთ, საჭიროა გაირკვეს, რას გულისხმობს ლირიკული „მე“-ს აღმიშვნელი მეორე ტროპიზებული სახე – „**დამენათევი და ნამთვრალევი**“. იგი ლექსში ოთხზის მეორდება და, როგორც ლირიკული სიუჟეტის გამჭოლ რეფრენს, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მგოსნის ცხოვრების იდუმალი გზის შესაცნობად.

\* \* \*

რეფრენული ტროპი „ლამენათევი და ნამთვრალევი“ მკვლევართაგან ბევრგვარად არის ინტერპრეტირებული. ზოგი მას სულაც პირდაპირი მნიშვნელობით აღიქვამს, როგორც პერსონაჟის ბოპემურ ცხოვრებაზე მინიშნებას, სინონიმს ცოდვისა, რომელიც ღვთისმშობლის წინაშე მონანიების საგანია. ამ დროს, როგორც ჩანს, დავინიებულია, რომ სიმბოლო ემპირიულს ზერეალობის ნიშნად აქცევს, რომ სიმბოლისტური ლექსი კი არ ასახავს, არამედ გარდასახავს სინამდვილეს.

რეფრენული ტროპის გააზრებისას, უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას იქცევს სიტყვათა გრამატიკული ფორმა. ორივე სიტყვა – დამენათევიც და ნამთვრალევიც – წინავითარების აღმიშვნელი თავსართ-ბოლოსართით (ნა-ევ) არის ნაწარმოები. ეს იმის მაუწყებელია, რომ იმ მომენტს, საიდანაც იწყება ლირიკული სუბიექტის ე.წ. ალსარება-ამბოხი, წინ უსწრებდა ლამის-თევანი და სიმთვრალე/თროპა.

ვინც გალაკტიონ ტაბიდის სიმბოლისტურ სახისმეტყველებაში გარკვეულია, რეფრენულ სიტყვებში უმაღ ამოიცნობს იმ განმეორებად სიმბოლო-

ებს, რომელთა გარემოშიც აღმოცენდება ლირიკული პერსონაჟის სიზმა-რეული ხილვები: ქალწულის მოლოდინი შუაღამიდან განთიადამდე, მასთან წარმოსახული შეხვედრა-განშორებანი და სიყვარულით თრობა...

თავის დროზე ახალგაზრდა გალაკტიონს „ლამის მგოსანი“ უწოდეს. თავადაც ამბობს: „მე მოვიტანე ქვეყნად ღამეთა იდუმალება“. ამ იდუმალ ღამეთა მოგონება სიცოცხლის ბოლომდე გაპყვა პოეტს: „და მხოლოდ ღამე, ღამე ინახავს, / რაც განმიცდია და რაც მინახავს“.

რა განცდებსა და ხილვებზე, რა იდუმალებაზე მიანიშნებს გალაკტიონი, რაც მხოლოდ ღამის კუთვნილებაა და რასაც ღამე ინახავს?

ღამე/შუაღამე ის ჯადოსნური დროა, როდესაც პოეტი გრძნეულ დუ-მილში ციდან წყნარ ძახილს ისმენს, როცა „ლამის უსივრცო საკურთხე-ველთან“ თამაშდება ქალწულთან შეყრის მისტერია. ეს არის უამი ზეციური გამოცხადებისა, რომელმაც „გამოუთქმელი და მწარე ალით“ დასწვა მისი სული, ერთდროულად განაცდევინა არამინიერი ნეტარებაც და განშორების უსასოო ნადველიც. „ლამის სიცხადეში“ განხორციელდა სასწაული – შეხება „არ-აქაურთან“, არსებობის გარდასახვა სამოთხედ: „შენთვის სამოთხედ გადაიშლება ღამე უვნებო და ურიურაფო“.

ასე მოიხაზება გალაკტიონის ლირიკაში ქალწულისადმი ჭაბუკი მგოს-ნის „უცნაური ტრფობის“ სიუჟეტი. ეს ის ხილვაა, ის განმეორებადი სიზმა-რია, „სილაჟვარდის“ დასაწყისშივე რომ არის ნახსენები („ჩემი ცხოვრების გზა სიზმარია“).

ღამის თევას გალაკტიონის ლექსებში, როგორც წესი, თან ახლავს „თრო-ბა“, ის, რაც არაპირდაპირ ჩანს „სილაჟვარდის“ რეფრენულ ტროპშიც.

სიტყვები მთვრალი/თრობა, საზოგადოდ, იშვიათი არაა გალაკტიონის ლექსებში. პოეტი მთვრალია არა მარტო ღვინით, არამედ სურნელით, პოეზი-ით, ოცნებით, ცეცხლით, თოვლით და ა.შ. მაგრამ არსებობს თრობის თვისე-ბრივად განსხვავებული, უმაღლესი სახეობაც – **თრობა „უცნაური ტრფობით“!**

აქ უკვე დროულია ითქვას, რომ ღამისთვევა და თრობა, როგორც სიმბოლოები, მთლიანად ღამის რიტუალიც, არ არის ემპირიული სიტუაციის უბრალო ასახვა, ღვინის სმითა თუ სასურველ ქალთან სიახლოვით აღ-რული თრობის ეპიზოდი – ეს მისტიკური რიტუალია, თრობა ზექვეყნიური სიყვარულით, ის, რასაც ალექსანდრ ბლოკი „სულის ბოჰემას“ უწოდებდა!¹

თრობა რომ მისტიკური სიყვარულით ექსტაზია, როცა სასრულობის შეგრძნება ქრება, და არა თრობა „ღვინით ან ქალით“, ცხადად ჩანს გალაკ-ტიონის არაერთი ლექსიდან. რასაკვირველია, პოეტისათვის ღვინით სწრაფ-წარმავალი სიმთვრალეც კარგად ნაცნობია („ხანდახან ღვინით სავსე ფიალ-ით / მოკლე ხნით გათრობს ოცნებათ ზოლი“) და ოცნებით ხანმოკლე გათიშვაც („ტკბილი ოცნება დაგნევავთ, დაგათრობთ... ისიც ცოტა ხნით“), მაგრამ მისი მუდმივი მოგონების საგანია „ნეტარ წუთებით მთვრალი სიყმანვილე“ – უამი ზექვეყნიური ტრფობით სიმთვრალისა, „სხვისთვის უხილავ-ფარული“ ზერე-ალობის ჭვრეტისა.

1 „მისტიკა სულის ბოჰემაა“ (Блок 1965: 71).

აი, ღამისთევისა და ქალწულთან შეხვედრის ერთი სცენა:

დარჩი, ღვთაებავ! სულს ღონემიხდილს  
სურს აღმადგენელ ოცნებად სწამდე,  
დარჩი! მსურს ჩემი უსაზღვრო ვნებით  
ვიქანცებოდე განთიადამდე.  
(„ახალ ცისკართან“)

ამ სტრიქონებს გარკვეულწილად ეროტიკული შეფერილობა ახლავს, მაგრამ ობიექტისადმი მიმართვის ფორმა („დარჩი, ღვთაებავ!“), მისი „აღმად-გენელ ოცნებად“ დასახვა, ან თუნდაც გამოთქმა „უსაზღვრო ვნება“ გამორიცხავს სატრფოს სახის სწორხაზოვან, მხოლოდ ემპირიულ-გრძნობად ინტერპრეტაციას და სხვა, ფარულ შრესაც გადაშლის.

ლირიკული გმირის ღამეული კონტაქტები ქალწულთან თავდავიწყების ის ნეტარი წუთებია, როდესაც სატრფოს ნაზ ჩურჩულსა და ალერსში მიწიერი განზომილება ქრება – ქალწული უკვე „სხვა მხარეებს“ განასახიერებს, იდეალური სამყაროს ხატია. ამიტომაც ჩნდება „თრობის“ მეტაფორა „სხვა მხარეებთაც“ მიმართებითაც:

სხვა მხარეები უხსოვარ ხნიდან  
მაწვალებს, **მათრობს** და მეფერება.  
(„დგება შემოდგომა“)

ამ სტრიქონებში „სხვა მხარეებზეა“ უშეალოდ გადატანილი ის გან-ცდები თუ მოქმედება (წვალება, თრობა, მოფერება), რაც, ჩვეულებრივ, ქალწულს უკავშირდება და რაც უფრო მეტად გვარწმუნებს, რომ ლირიკული სუბიექტის ლტოლვის საგანი მიწიერი ქალი კი არაა, არამედ პერსონიფიცირებული მისტიკური არსება – იგივე „სხვა ქვეყანა“.

ვფიქრობ, ყურადღების ლირიკა ერთი საინტერესო ფაქტიც. სიტყვა „ნამთვრალევი“ გალაკტიონის პოეზიაში, გარდა „სილაჟვარდისა“, მხოლოდ ერთხელ არის გამოყენებული ლექსში „ცისფერი“ (1923):

ძეგლი ცისფერი და ნამთვრალევი  
აიმართება მშობლიურ მთებზე!

ამ ლექსში, სადაც პოეტი თავს ჯვარზე გაერულ ქრისტეს ადარებს, თავის სახელს არქმევს საუკუნეს („და იშვიათად თუ მობრწყინდება / სხვა საუკუნე გალაკტიონის“) და საკუთარი გრანდიოზული ძეგლის აღმართვა-ზეც საუბრობს, ნარმოუდგენელია, რომ „ნამთვრალევი“, უბრალოდ, მემთვრალეობის, ბოჰემური ცხოვრების აღმნიშვნელი სახე იყოს, თანაც ისეთი საკულტო სიმბოლოს გვერდით, როგორიცაა „ცისფერი“ („ძეგლი ცისფერი და

ნამთვრალევი“). ამ კონტექსტში „ნამთვრალევიც“, ცხადია, სრულფასოვანი, ღრმა აზრობრივი შინაარსის სიმბოლოა: თუ „ცისფერი“ გალაკტიონის სულიერ მისწრაფებას და პოეზიის არსს გადმოსცემს, „ნამთვრალევი“ ერთ სიტყვაში კრისტალიზებული ე.წ. ფორგებისტება, რომელიც, როგორც წარსულის დიდ საიდუმლოს, ისე ინახავს მისტიკური თრობისა და ექსტაზის ხსოვნას.

\* \* \*

ერთ ადრინდელ ლექსში („\*\*\*არ მინდა სიტყვა“) თავის ლირიკულ გმირს გალაკტიონი ასე ახასიათებს:

მე სული არ მაქვს ამქვეყნიური,  
შენზე ოცნებით დაინვა იგი,  
განმორდა სოფელს და თუ კვლავ სცოცხლობს,  
სცოცხლობს ისე, ვით ტრფობის ტარიგი.

ამ სტრიქონებში „სილაუვარდის“ ყმანვილი მგოსნის დახასიათებაცაა, თუ, რასაკვირველია, „ღამენათევისა“ და „ნამთვრალევის“ სიმბოლურ შინაარსს გავითვალისწინებთ: ისიც ხომ მინიერებას განრიდებული „ტრფობის ტარიგია“, რომელიც „საბედნიერო სულის“ მოლოდინით, ზეციურ ქალწულზე – „სხვა ქვეყანაზე“ ოცნებით ცოცხლობს...

გალაკტიონის სიზმარეული ტრფობის ობიექტი – ქალწული, რომელიც „სხვა ქვეყნის“ სიმბოლოა, სახეობრივადაც და საზრისითაც შთაგონებულია მითით სოფიას / მსოფლიო სულის/ მარადქალურის შესახებ, რომელიც რუსი მოაზროვნის, მისტიკოსისა და პოეტის – ვლადიმირ სოლოვიოვის (1853-1900) სახელს უკავშირდება და მთავარ მითოპოეტურ ინტერტექსტად იქცა უმცროსი თაობის (ა. ბელი, ა. ბლოკი...) სიმბოლისტებისათვის.<sup>1</sup> ჩემი აზრით, სწორედ ვლ. სოლოვიოვის ყოვლისერთობის ფილოსოფია და მითოპოეტური ნარატივი სოფიაზე არის ის კონცეპტუალური სისტემა, რომლის ფარგლებშიც ხდება „სილაუვარდის“ რეალური პლანის, მისი საგნობრივ-სიტუაციური გარემოს სიმბოლიზაცია.

ფილოსოფიაშიც და პოეზიაშიც ვლ. სოლოვიოვი პირადი გამოცდილების საფუძველზე<sup>2</sup> ამტკიცებდა ღვთაებრივი სიბრძნის (ტრანსცენდენტური ინტელექტის) – სოფიას რეალურ არსებობას, მასთან მისტიკური კონტაქტის

1 ფ. სტეპუნი, ავტორი ფუნდამენტური გამოკვლევისა რუსული სიმბოლიზმის მისტიკური და მხატვრული ძიებების შესახებ, წერს: „ლიტერატურული სიმბოლიზმის პოეზია და პოეტიკა აბსოლუტურად შეუძლებელი იქნებოდა მისი (ვლ. სოლოვიოვის – თ. დ.) ხელოვნების ფილოსოფიის, უპირველეს ყოვლისა, სოფიაზე მოძღვრებისა და სიყვარულის ფილოსოფიის გარეშე“ (Степун 2012: 111).

2 ვლ. სოლოვიოვს მცირე პოემაში „სამი პაემანი“ პოეტურად აქვს აღნერილი სამი მისტიკური კონტაქტი მარადქალურთან, რომელიც სხვადასხვა დროს უმშვენიერესი ქალწულის სახით სამგზის გამოეცხადა (Соловьев 1974: 125-132). სოლოვიოვის ეს ხილვები ა. ბლოკს მისტიკურის არსებობის „უტყუარ მოწმობად“ მიაჩნდა (Блок 1971: 350).

შესაძლებლობას და თანამიმდევრულად ნერგავდა მარადქალურის, როგორც მხსნელის, გამოცხადების რწმენას ახლო მომავალში. კაცობრიობის ისტორიაში ეს დასაბამს მისცემდა ახალ ერას – დუალიზმის დაძლევას, მატერიალურ და სულიერ საწყისთა შეერთებას – **სინთეზს**, როგორც წარმავალობის დამარცხებისა და მარადისობის დამკვიდრების მაუწყებელს.

ცხოვრების წესი, რომელიც მინიშნებულია „სილაუვარდეში“ და უფრო ღიად და მისაწვდომად ჩანს გალაკტიონის სხვა ლექსებში, – იგულისხმება: რეალობისგან განდგომა, „ოცნების ბალში“ გადასახლება და ლტოლვა სილაუვარდისაკენ; ასკეტური ცხოვრება ქალწულის მოლოდინში და მასთან მისტიკური კონტაქტით გარდაქმნის – ხსნის რწმენა, – გვიჩვენებს, რომ ყმაწვილი მგოსნის მიერ არჩეული გზა ის უმაღლესი გზაა, რომელსაც სოლოვიოვი **ღმერთკაცებრივს** უწოდებდა. ეს, ფაქტობრივად, ზეადამიანის, ღმერთადამიანის ინდივიდუალური არჩევანია, რომელიც ეფუძნება რჩეული პიროვნების უნარს, დიადი მიზნის მისაღწევად ამაღლდეს თავის თავზე, გადალახოს საკუთარი შეზღუდულობა, გამუდმებით ელტვოდეს სრულყოფილებას.

ვლადიმირ სოლოვიოვის მიხედვით, ადამიანისათვის, რომელიც ხატად ღმრთისად არის შექმნილი, ცხოვრების ერთადერთი მიზანია თავისებური თეოზისი – თავდაპირველ, ლვთაებრივ ყოვლისერთობაში დაბრუნება – სულიერ-სხეულებრივი ერთიანობის აღდგენა, რაც მიიღწევა წმინდა სოფიასადმი ზექვეყნიური ტრფობით. ეს მისტიკური ურთიერთსიყვარული ადამიანისა და ზეციურისა წარმავალს სულიერებით აღავსებს, წარმოქმნის განუყოფელ კავშირს – **უკვდავ სულიერ სხეულს**.

ღმერთკაცებრივი პროცესი, როგორც ფილოსოფოსი და პოეტი განმარტავს, თავისით არ აღესრულება. იგი მხოლოდ ლვთაებრივი მაღლისა და ადამიანის სულიერ-ფიზიკური აქტივობის – „ღმერთკაცებრივი გმირობის“ ერთობლიობით მიიღწევა (Соловьев 1990: 619). ამიტომაც საუბრობს გალაკტიონი ლექსში „საიდუმლო“ მნარე თავგანწირვასა და წმინდა, მოელვარე სულის ამონვაზე...

აქ არც ადგილია და არც საჭიროება ვლ. სოლოვიოვის რთული ფილოსოფიურ-პოეტური კონცეფციის, კოსმიური მითის მისეული, ახალი ვერსიის ვრცლად გადმოცემისა. ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ სამყაროს ტრიადული განვითარების სამსაფეხურიანი სიუჟეტის პერსონაჟები არიან ქაოსი, კოსმოსი და მსოფლიო სული/მარადქალური, ხოლო არსებობა ქაოსის და კოსმოსის ბრძოლაა მსოფლიო სულისათვის. მარადქალური ან დანაწევრებული, ქაოტური სამყაროს – მატერიის ტყვეობაში აღმოჩნდება, ან მისი ლვთაებრივი სიყვარული განმსჭვალავს და შეაერთებს ყოველივე არსებულს, შექმნის განუყოფელ, ჰარმონიულ, უხრწნელ ყოვლისერთობას, ღმერთკაცობრიობას.

„**სილაუვარდე** ანუ ვარდი სილაში“ სოლოვიოვის მითოპოეტური სიუჟეტის ძალზე დრამატულ მონაკვეთს გადაგვიშლის – ქალწულის გამოცხა-

დების მღელვარე მოლოდინს და დაეჭვებას, იმედგაცრუებას აღთქმის შეუსრულებლობის გამო, რაც მსოფლმხედველობრივი კრიზისის მიზეზი ხდება.

სიზმარეული ხილვები და ზეცისაკენ, სილაჟვარდისკენ მზერა, უხილავის ძიება და მოლოდინი გალაკტიონის ლირიკული გმირის მუდმივი სულიერი მდგომარეობაა. თავისი „ლოდინის სიმღერებს“ იგი უცვლელი ერთგულებით უძლვნის ქალწულს, რომელსაც ყველგან დაეძებს, „რომ უთხრას სულის ქენჯნა-წვალება“. მოლოდინის გრძნობა მტანჯველია („ველოდები ნახულ სახეს / და ლოდინში ვკვდები, ვკვდები!“). ეს მოლოდინი აწვალებს „სილაჟვარდის“ ყმაწვილ მგოსანსაც და გასაგები ხდება, რატომ აქვს მას „წამებული სახე“ და „დაღლილი ხელები“.<sup>1</sup>

\* \* \*

რადგან „სილაჟვარდის“ მითოპოეტური წყარო დადგენილია, ძნელი აღარაა ცალკეული სახეების ადეკვატური გაშიფრვა, ოლონდ მუდმივად უნდა გვახსოვდეს, რომ ისინი უბრალო მეტაფორული სიმბოლოები კი არა, მითოლოგიზებული სიმბოლოებია, მითოლოგებია, რომლებიც პოეტურ ტექსტს მითოპოეტურ ნარატივთან აკავშირებენ.

მისტიკური თრობიდან გამოფხიზლების შემდეგ ლირიკული პერსონა-ჟისოვის იწყება ცხოვრების ახალი ეტაპი – სკეპსისის ჩასახვა მისტიკოსის სულში, რაც სიზმრებიდან სინამდვილეში დაბრუნებას აიძულებს. ამიტომ გედი, იგივე მგოსანი ოცნების ბალით კი არ არის დაჭრილი, არამედ სინამდვილით, სინამდვილესთან შეჯახებით. რეალობაში დაბრუნება ილუზორული ბედნიერების – „ოცნების ბალის“ გაქრობას და, შესაბამისად, ღრმა სულიერ ჭრილობას იწვევს.<sup>2</sup>

სოფიოლოგიური მითის კონტექსტში სიცხადეს იძენს ლექსის აზრობრივი შინაარსისათვის უმნიშვნელოვანესი სამაგიეროს მოტივიც, რომლის მიღმა მოლოდინის კონცეპტუალური საზრისი იკითხება:

1 სიტყვა „დაღლილი“ ლექსში კიდევ ერთხელ გვხვდება შედარებაში: „დამენათევი და ნამთვრალევი / დაღლილ ქალივით მივალ ხატებთან“. „დაღლილ ქალს“ მკვლევრები უკავშირებენ გალაკტიონის მონათხრობს იმაზე, თუ როგორ ნახა მან განთიადის უამს ეკლესიაში შონანიე მეძავი. ამის შესაბამისად, სახეს რეალური შთაბეჭდილების ანარეკლად თვლიან.

ჩემი აზრით, გალაკტიონის მონათხრობი იმ გვიანდელ მისტიფიკაციათა რიგს განეკუთვნება, როდესაც პოეტმა თავისი სიმბოლისტური ლექსების ე.წ რეალისტური ინტერპრეტაციები დაიწყო (ამასთან დაკავშირებით იხ.: დოიაშვილი 2012: 110). ყმაწვილი კაცის შედარება ქალთან „სილაჟვარდები“ არა მარტო მოულოდნელია, არამედ ბუნდოვანი და არამოტივირებულიც. სამაგიეროდ, მსგავსი თემატიკის ცნობილ ლექსში „მერი“ ფიგურირებენ „ლოდინით დაღალული ქალები“. ირკვევა, რომ ქალთა დაღლილობის მიზეზია ლოდინი, ლოდინით დაღლილობა – მოტივი, რომელიც მგოსანს და ქალებს საერთო აქვთ.

2 ალსანიშნავია, რომ ლექსის ერთადერთ ავტოგრაფში საუბარია ბედისგან (ანუ სინამდვილისგან) დაკოდილ ფრთხების ცახცახზე, ხოლო პირველ პუბლიკაციაში, უბრალოდ, – დაჭრილ ფრთხებზე (ტაბიძე 2016: 217, 216).

სად არის ჩემთვის სამაგიერო?  
საბედნიერო სად არის სული?  
ვით სამოთხიდან ალიგიერი,  
მე ჯოჯოხეთით ვარ დაფარული!

დამოწმებული სტროფი პასუხს იძლევა იმაზე, თუ ვის ან რას მოელოდა ყმაწვილი მგოსანი, როგორც თავისი ღმერთკაცებრივი გზის, მარტვილური ცხოვრების სამაგიეროს.

ტანჯული არსებობის საზღაური, ლექსის მიხედვით, „საბედნიერო სულის“ მოსვლაა, ხოლო რა სახის ბედნიერებას ელოდა მგოსანი, ამაზე დანტეს ბედთან საკუთარი ხვედრის შეპირისპირება მიანიშნებს.

ჯოჯოხეთში მყოფ დანტეს მხსნელად ღვთაებრივი სატრფოს – ბე-ატრიჩეს აჩრდილი გამოეცხადა, რომელმაც იგი ზეციურ ნათელში აამაღლა, ამიტომ დანტე სამოთხიდან არის დაფარული. ბეატრიჩესთან კონტაქტი, მისი სიახლოვე თავისთავად სულიერი განახლების, „ახალი ცხოვრების“ დაწყების ნიშანია.

დანტესთან პარალელი და განსხვავება ბედში მოწმობს, რომ ყმაწვილი მგოსანიც თავის ბეატრიჩეს – ნეტარების, მადლის მომნიჭებელს ელოდა, რომელსაც მიწიერი ჯოჯოხეთი მისთვის სამოთხედ უნდა გადაექცია, მაგრამ ეს, საუბედუროდ, არ მოხდა, არ ახდა მოლოდინი, რომ მარადქალური მიწაზე დაეჭვებოდა და მატერიალურ არსებობას ზეციური ცხოვრების შესაბამისად გარდაქმნიდა. ამის შედეგად ყმაწვილი მგოსანი კვლავაც წარმავალი სინამდვილის ჯოჯოხეთურ, საძულველ გარემოს დაუბრუნდა.

ჯოჯოხეთი („ინფერნო“) დანტესთან უსასოების, უბედობის, უიმედობის სივრცეა, ამიტომ სტრიქონი: „მე ჯოჯოხეთით ვარ დაფარული“ ნიშნავს აბსოლუტურ იმედგაცრუებას – ემპირიულ რეალობაში ჩარჩენას: ღმერთკაცებრივი თავგანწირვა ბედისწერის/სიკვდილის დასაძლევად ამაო მსხვერპლი აღმოჩნდა.

ბეატრიჩე, რომელიც „სილაუვარდეში“ უშუალოდ არ არის დასახელებული და მხოლოდ იგულისხმება („საბედნიერო სული“), სოფიოლოგიურ პოეზიაში, როგორც ბედნიერების მომტანი, მარადქალურის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული სიმბოლოა. ამ სიმბოლოს მრავალშრიანი შინაარსი საკმაოდ სრულად ჩანს გალაკტიონის ერთ ჩანაწერში, სადაც ვეითხულობთ:

„...შორს, დაუსრულებელ სილაუვარდეში მოსჩანს სათაყვანებელი ლანდი ბეატრიჩესი, მუდმივად სასურველი და მუდამ მიუღწეველი იდეალი, ციური, ღვთაებრივი სილამაზე, ჰაეროვანი, უსხეულო ლანდი შორეული ქალის, შექმნილი სინათლისა, ალის და სურნელებისაგან, ღრუბელი, ოცნება, ანგელოსთა ქვეყნის ანარეკლი“ (ტაბიძე 2008: 148).

ეს თითქმის ამომწურავი დახასიათებაა ქალწულისა – ზეციური სატრფოსი, რომელიც სიმბოლისტურ პოეზიაში სხვა არაერთი სახელითაც მოიხსენიება.

ამრიგად, „სილაუვარდის“ მეორე, სიმბოლურ-მისტიკურ პლანში შეფარულია უკვდავების მაძიებელი ყმაზეილი მგოსნის კოსმიური დრამა. მგოსანმა იწამა ხსნის ღმერთკაცებრივი გზის არსებობა, მიწიერ სიცოცხლეშივე მარადისობასთან ზიარების შესაძლებლობა ზექვეყნიური სიყვარულის ძალით; მაგრამ აღთქმა და მოლოდინი, რომ მარადქალური უკვე მოაბიჯებს დედამინაზე, რომ იწყება ახალი ერა და ქალწულის მშვენიერება ყოველივეს გააერთიანებს (სოლოვიოვი: „Знайте же: вечная женственность ныне / В теле нетленном на землю идет / Всё совместит красота неземная“)<sup>1</sup>, არ გამართლდა. ამის გამო მგოსნის გულში მნარე იმედგაცრუება, სკეპსისი გაჩნდა, რადგან სიზმრებიდან და თრობიდან გამოფეიზლებული უკვდავების მაძიებელი ისევ მატერიალური სამყაროს საბედისნერო დასაზღვრულობის – სიკვდილის პირისპირ აღმოჩნდა (გავიხსენოთ: „მე გზა არ ვიცი უახლოესი: / ერთადერთი გზა არის სიკვდილი“).

\* \* \*

არაერთი წიაღსვლისა და მითოპოეტური ინტერტექსტის დადგენის შემდეგ ისევ მივუპრუნდეთ პირველ სტროფს, ტროპს „ჩემი ცხოვრების გზა სიზმარია / და შორეული ცის სილაუვარდე“. რას ნიმნავს სოფიოლოგიური მითის კონტექსტში, უპირველესად, „ჩემი ცხოვრების გზა სიზმარია“?

ცხოვრების სიზმარეულობის განცდა გალაკტიონის რომანტიკულ-სიმბოლისტური ლირიკის ერთ-ერთი გამოკვეთილი თემაა („ქვეყნად ყოველი დღე სიზმარია / და სინამდვილეც მიჰყება სიზმარს“). კონცეპტუალურად „ჩემი ცხოვრების გზა სიზმარია“ თითქმის იგივეობრივია კალდერონის ცნობილი მეტაფორისა „ცხოვრება სიზმარია“ და, ამავე დროს, რეალობისადმი სრულ გაუცხოებაზეც მიანიშნებს („მე ვდგევარ, როგორც ტყვე უცხოეთში, / როგორც სიზმარში უცხო სიზმარი“).

„სიზმარში დგომა“ ცნობიერებაში არსებობაა, რაც რეალობისგან თავისუფლების ილუზიას ქმნის და განიცდება, როგორც „ჭეშმარიტი ცხოვრება“. სიზმარი სარკმელია „სხვა სამყაროში“ (ვლ. სოლოვიოვი), ხოლო რას უჭვრეტდა კონკრეტულად გალაკტიონი ამ სარკმლიდან, ჩვენ უკვე ვიცით. პოეტის სიზმრები მისტიკური ხილვებია, უხილავ-ფარულის საცნაურყოფაა.

ლექსში „მე მოვალ“ ლირიკულ სუბიექტს „დედოფალთ გროვიდან“ (გოეთეს „დედათა მხარის“ ანალოგი) მოესმის „ძახილი უცნობი, მსუბუქი, ცისმარი“. ეს ქალწულის, მარადქალურის ძახილია, მისი პასუხი ადრე დასმულ კითხვაზე: „ვინა ხარ, ვინა, ჩემო სიზმარო?“ და, ამასთანავე, დაპირებაც:

მე მოვალ და მრავალ ყვავილებს მოვიტან,  
მე მოვალ, მე მოვალ, მე მოვალ – სიზმარი!

1 „უნყოდეთ, მარადქალური უხრწნელი სხეულით უკვე მოაბიჯებს დედამინაზე... ყველაფერს შეითავსებს არამინიერი მშვენიერება“ (ლექსიდან „Das Ewig-Weibliche“ – „მარადქალური“).

ქალწული საკუთარ თავს სიზმარს უწოდებს, რაც გვიმხელს იმ სა-იდუმლოს, რომ მარადქალური და სიზმარი პოეტისთვის სინონიმებია, რომ ტროპი „ჩემი ცხოვრების გზა სიზმარია“ ნიშნავს: ჩემი ცხოვრების გზა არის მარადქალური – გზა მიმავალი მარადქალურისაკენ.

ლირიკული პერსონაჟის „ცხოვრების გზა“ არის არა მარტო სიზმარი, არამედ სილაუვარდეც. „ლაუვარდიდან“ ნარმოებული ეს აბსტრაქტული სა-ხელი რომანტიკულ-სიმბოლისტური ტრადიციით სიწმინდეს, უმანკოებას, მიუწვდომლობას აღნიშნავს და იდეალური, ციური არსებობის სიმბოლოა.

საყურადღებოა, რომ ლექსში საუბარია არა უბრალოდ „ლაუვარდ ცაზე“, არამედ „ცის სილაუვარდეზე“. გალაკტიონი აქ სიმბოლისტური პოეტიკისათვის დამახასიათებელ ხერხს მიმართავს – საგნის თვისების სუბსტანტივაციას და აბსტრაქტირებას ახდენს და ამით, ასე ვთქვათ, ონტო-ლოგიურ ძალმოსილებას ანიჭებს „სილაუვარდეს“, რომელიც, უბრალოდ, საგნის ფერს კი აღარ გადმოსცემს, არამედ – ციერების არსს, ციერების იდეას. სილაუვარდე გალაკტიონთან მატერიალურის („სილა“) საპირისპი-რო პოლუსია, რომელსაც მიელეტვის სული. ამიტომაცაა, რომ უკვდავების მაძიებელი ადამიანს „უნდა რომ სული არ მიისილოს“, ოცნებობს, რომ იგი, სული, „სილაუვარდეში მიიბროლოს და მიიმინოს“.

სათქმელი ისლა გვრჩება, რომ სიმბოლისტურ პოეზიაში, რომელიც სოფიოლოგიურ მითს მიმართავს, „სილაუვარდე“ მარადქალურის გავრცე-ლებული სიმბოლოა, ქალწულის საარსებო გარემო და ატმოსფერო, მისი ყოფიერება; როგორც ვლ. სოლოვიოვი იტყოდა, „Лазурь кругом, лазурь в душе моей“<sup>1</sup> (Лосский 2007: 117).

ისიც შემჩნეულია, რომ სიზმარიც, როგორც იდეალთან მიახლოება, როგორც ლურჯი ოცნება, გალაკტიონთან თვითონაც ლურჯ შეფერილობას იღებს.

ამრიგად, აღმოჩნდა, რომ ორივე სიმბოლო – სიზმარიც და სილაუვარ-დეც ერთი მითოპოეტური სისტემის ელემენტებია; იგივეობრივი სემანტიკი-სა და შეფერილობის სიმბოლოები ერთობლივად მიგვანიშნებენ ლირიკული პერსონაჟის ცხოვრების განსაკუთრებულ – ღმერთკაცებრივ გზაზე.

შედარების მხატვრულ სტრუქტურაში, რომელიც იგივეობა-მსგავ-სების პრინციპით არის აგებული, „ცხოვრების გზა“ შედარებულია აგრეთვე „ნაწილარ სილაში ვარდთან“. და რადგან ეს „ცხოვრების გზა“ სიზმარიცაა და სილაუვარდეც, მარტივი ლოგიკით, ენიგმური სახის ახსნაც, ანალოგიურად, სოფიოლოგიური მითის სივრცეშია საძიებელი.

ადრევე ითქვა, რომ შედარების კომპონენტთა იგივეობა თუ მსგავ-სება ლექსში სამ დონეზე – სახეობრივ, ლექსიკურ და ეფონიურ დონეებზე დასტურდება, ამიტომ ტროპის ელემენტთა შორის კონტრასტულობის „აღ-მოჩენა“ პოეტის ნებას უპირისპირდება. აი, ერთი დამატებითი საბუთიც ამის

1 „სილაუვარდეა ირგვლივ, სილაუვარდეა ჩემს სულში“.

საილუსტრაციოდ. ლექსში „ვარდები“, კერძოდ, მის ერთ ვარიანტში, არის ასეთი სტრიქონები:

შენ მშვენიერი იყავი ისე, როგორც ღიმილი მწუხრის ბაგეზე,  
როგორც ნაწვიმარ სილაში ვარდი – მაინც სიწმინდე და სიფაქიზე.

ენიგმური სახე აქ პოეტის მიერ განმარტებულია, როგორც „სიწმინდე და სიფაქიზე“, ამიტომ „სილაში ვარდი“ არ შეიძლება გააზრებულ იქნეს, როგორც მტვერში, – ზოგი ვერსით, ტალახში, – დაცემული, ჭუჭყით შელა-სული ყვავილი. გალაკტიონის მიერ აქცენტირებული ნიშნებით (სიწმინდე, სიფაქიზე), როგორც მოსალოდნელიც იყო, ენიგმური სახე ამჟარად კონ-ცეპტუალური სინონიმია „სიზმრისა“ და „სილაჟვარდისა“, მაგრამ ამას უფრო დეტალური არგუმენტირება სჭირდება.

შენიშნავენ, რომ საანალიზო ტროპში შედარებით ნაცნობი („ცხოვრების გზა“) გალაკტიონის მიერ უცნობი ენიგმით არის ახსნილი. ერთი შეხედვით, ეს თითქოს ასეცაა, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ „სილაჟვარდე ანუ ვარდი სილაში“, როგორც სიმბოლისტური ლექსი, განსაკუთრებულ – თანამოაზრე, განდობილ მკითხველზე იყო ორიენტირებული, ვისთვისაც უცხო არ უნდა ყოფილიყო პოეტის მსაფლმხედველობრივ-პოეტურ წარ-მოდგენათა სისტემა. აქედან გამომდინარე, ამ ელიტარულ მკითხველს არ უნდა გასჭირვებოდა ენიგმური სიმბოლოს ამოცნობა, რომელიც ვიზუალური ხატის სიცხადით წარმოაჩენდა ვლადიმირ სოლოვიოვის სოფიოლოგიური მოძღვრების არსს.

დავიწყოთ ტროპის კონკრეტული ანალიზით. ოქსიმორონული სახე „სილაში ვარდი“ შედგება ორი კომპონენტისაგან, რომელთაგან „სილა“ დანა-ნევრებული, უძრავი, უნაყოფო, შეუღწევადი, „ბნელი და ბოროტი“ მატერიის, უსიყვარულობის სიმბოლოა. რაც შეეხება „ვარდს“, იგი მშვენიერებისა და, მაშასადამე, ჭეშმარიტების და სიკეთის სახეა, ციერების გამოვლენა ხრწნად მიწაზე. ისინი, ვინც დაპირისპირებულთა ერთობას მართ ოდენ სინამდვილის პოზიციიდან გაიაზრებენ, ოქსიმორონულ ფორმაში მხოლოდ რომანტიკულ ანტითეზას, სინამდვილისა და იდეალის შეუთავსებლობას ხედავენ. მაგრამ ოქსიმორონულ სიმბოლოს აქვს არაემპირიული, იდუმალი შინაარსიც: იგი პოეტური ხატია იმ გასულიერებული მატერიისა, რომლის შესახებაც წერდა და წინასწარმეტყველებდა ვლადიმირ სოლოვიოვი.

ცნობილ ნაშრომში „მშვენიერება ბუნებაში“ ვლ. სოლოვიოვი მსჯე-ლობს მცენარეთა კლასზე, ყვავილებზე და წერს: „მცენარე არის პირველი და ნამდვილი ცოცხალი ხორცესხმა ციური საწყისისა მიწაზე, მიწიერი სტიქიის პირველი ნამდვილი გარდასახვა“ (Соловьев 1990: 374). მისი ხატოვანი თქმით, მცენარე, ყვავილი უხმოდ გარდაქმნილი, ზეცისკენ მდუმარედ დაძრული მი-ნაა, რომელიც თავის არსს ხილული მშვენიერებით გამოხატავს და ეს ხილუ-ლი მშვენიერება მცენარისათვის არსებობის მიღწეული მიზანია.

თუ ამ ზოგად აზრს ჩვენი ენიგმის მიმართ დავაკონკრეტებთ, მაშინ „სილაში ვარდი“ არის პირველსახე, სიმბოლო დაპირისპირებულ საწყისთა სინთეზისა, მათი გარდაქმნისა განუყოფელ, ორგანულ ერთობად სრულყოფილი მშვენიერების ფორმაში. ამასთანავე, ეს ტევადი სიმბოლო თავის თავში ატარებს სამყაროს, ბუნების განვითარების საზრისაც – მოძრაობას მშვენიერებისაკენ და უკვდავების მაძიებელი ადამიანის ლტოლვასაც ღმერთ-კაცებრივი სრულყოფისაკენ.

დაპირისპირებულთა სინთეზის იდეა ვლ. სოლოვიოვის ყოვლისერთობის ფილოსოფიის მთავარი იდეა იყო, რომლის განხორციელებას იგი მარადქალურს, სამყაროსა და ადამიანებისადმი მისი ზექვეყნიური სიყვარულის ძალას უკავშირებდა. კონტაქტი ქალწულთან ნიშნავდა სამყაროს მისტიკური არსის შეცნობას, მისი გლობალური გარდაქმნის, გადარჩენის იდუმალ პროცესში პიროვნულ მონაზილეობას, რასაც სხვადასხვა ასპექტით და მეტ-ნაკლები სისრულით გადმოსცემდა სოფიოლოგიური ორიენტაციის სიმბოლისტური პოეზია.

ქალწულისაგან მომდინარე მადლი, როგორც სინთეზის ზეგარდმო მიზეზი, „სილაუვარდეში“ სახეობრივად გადმოცემულია ეპითეტით „ნაწვიმარი“. წვიმა უნაყოფო სილას მშვენიერების შარავანდით მოსავს – აღმოაცენებს ვარდს, როგორც ახალი, უხრწნელი მატერიის პირველსახეს.

„სილაში ვარდი“, შედარების ფარგლებსა და სოფიოლოგიური მითის კონტექსტში, თავისი იდუმალი სემანტიკით მსგავსია „სილაუვარდისა“, ამიტომ ჩნდება ვარაუდი, რომ სილაში ამოსული ვარდი, შესაძლოა, ლაუვარდის-ფერი, ცისფერი ვარდია ანუ **ნოვალისის ყვავილია.**

გალაკტიონის ლექსებში ნახსენებია როგორც ცისფერი ყვავილი, ისე მისი სინონიმური ნოვალისის ყვავილიც. ორივე სილაუვარდით ნასაზრდოები „ტრფობის წმინდა ყვავილია“, სხვა რეალობის აღმიშვნელი ყვავილები.<sup>1</sup>

ნოვალისის საკულტო რომანის – „ჰაინრიხ ფონ ოფტერდინგენის“ დასაწყისში არის ჩვენთვის საინტერესო ასეთი პასაჟი: „ასე მგონია, დღემდე სიზმარი იყო ჩემი ცხოვრება, ან თითქოს სადღაც სხვა ქვეყანაში გადახვენილს ამდევნებია ეს ზმანებები. მე რომ ვცხოვრობდი იმ სამყაროში აპა, ვის ჰქონდა ყვავილების დარდი!“ (ნოვალისი 1989: 39)

ეს სიტყვები „სილაუვარდესთან“ მიმართებით, აღბათ, კომენტარს არ საჭიროებს. ნოვალისის გმირი ამ „სხვა ქვეყანაში“ ცისფერი ყვავილის ძებნას იწყებს, ხოლო გალაკტიონის ჰერსონაჟი უცხო და შორეული ნაპირიდან ყვავილებს ელის, რომელთა მოტანას „იდუმალ ძახილით“ დაპირდა ქალწული.

ვარდის ციურ წარმომავლობაზე მეტყველებს პოეტის გვიანდელი ლექსი „სამშობლო“, რომლის ავტოგრაფში ასეთი რეტროსპექტული ხილვაა:

1 ყვავილის ციერების იდეასთან კავშირის საილუსტრაციოდ საკმარისია გავიხსენოთ, რომ ვარდი ლვთისმშობლის საყოველთაოდ (ცნობილი სიმბოლო), ხოლო სოლოვიოვის მიხედვით, „მარადიულ მეგობარს“ – ქალწულს ოქროვან ლაუვარდში ხელთ არაქაური ქვეყნების ყვავილი უპყრია (Соловьев 1974: 126).

მივენდე ჩემს ბედს მწოლი გულაძმა,  
ჩემს ზევით ისევ იგი ლაჟვარდი,  
და მშვენიერმა ციურმა ბაღმა  
კვლავ საოცარი გაშალა ვარდი.

„საოცარი ვარდი“, ლაჟვარდისა და ციური ბაღის ბინადარი, იგივე „ცისფერი ვარდა“, რომლის შესახებ გალაკტიონი ერთგან ამბობს: „მწყუ-როდა ცისფერი ვარდები“ („ეს იყო თხუთმეტი წლის წინათ“).

ცისფერი ვარდი/ნოვალისის ყვავილი სოფიოლოგიურ პოეზიაშიც ფი-გურიორებს და საკუთრივ ვლ. სოლოვიოვთანაც. იგი ღვთაებრივი სოფიას, მსოფლიო სულის, მარადქალურის პოეტური ხატია და უხრწნელ ყოფიერებას განასახიერებს.

აი, ბლოკის გარდაცვალებისადმი მიძღვნილი სტრიქონები გალაკტიონის ლექსიდან „აღარ არის მენესტრელი“:

იყო ირგვლივ ზიანება  
და ყორწების ჩხავილი,  
თოვლმა სილას მიანება  
ნოვალისის ყვავილი.

აქ მეტაფორიზებულ სახეში, მესამე-მეოთხე ტაეპებში, ჩვენთვის საინ-ტერესო ორივე ელემენტია – სილაც და ყვავილიც, ოღონდ ამ შემთხვევაში, „სილაჟვარდის“ საპირისპიროდ, მატერიის გასულიერების, სინთეზის აქტი კი არ ხორციელდება, ტრაგიკული ვითარების შესაბამისად, სინთეზის ნაყოფს – ნოვალისის ყვავილს, „ზიანება“ და „სილა“ – ქაოსი და მატერია იმორჩილებს.

ამრიგად, „ნაწვიმარ სილაში ვარდი“, როგორც მშვენიერებაში შექმნილი ახალი, უხრწნელი ყოფიერების სიმბოლო, ემბლემატური ხატის გამომ-სახველობით საცნაურყოფს ვლადიმირ სოლოვიოვის სინთეზის კონცეფციას, მატერიად და სულად გათიშული დუალისტური სამყაროს სწრაფვას გაერთიანებისაკენ მარადქალურის/სიყვარულის ძალით.

მარადქალური არის ხიდი („pontifex“) მინასა და ცას შორის (Пайман 2002: 221-222), ხოლო სოფიოლოგიური მითის ავტორს, სრულიად დამსახურებულად, „გენიალურ გამაერთიანებელს“, „ხიდების შეუდარებელ არქიტექტორს“ უწოდებენ (Степун 2012: 46).

\* \* \*

ის, თუ რამდენად ახლოსაა გალაკტიონის „ნაწვიმარ სილაში ვარდი“ ვლ. სოლოვიოვის სინთეზის კონცეფციასთან, ჩანს და იგრძნობა ფილოსოფოსის ცნობილი სტრიქონებიდან:

Свет из тьмы. Над черной глыбой  
Вознестися не могли бы  
Лики роз твоих,

Если б в сумрачное лено  
Не впивался погруженный  
Темный корень их.  
(Соловьев 1974: 92)

ის, ვისაც აქ პოეტი მიმართავს, მარადქალურია, ზეციური სატრფო, ხოლო სტროფის აზრი ისაა, რომ წყვდიადიდან სინათლე ვერ დაიბადებოდა, შავ ლოდებზე ვერ აღიმართებოდა ღვთაებრივი ვარდის სახებანი, ქალწულის მადლით ვარდის ბნელი ფესვები რომ არ ეწაფებოდნენ მიწის (მატერიის) წიაღს. აქ სწორედ ღვთაებრივის და მატერიალურის ის კონტაქტია, რომლის შედეგადაც ბნელი ქაოსიდან ამოიზრდება მშვენიერების უხრწნელი სხეული, როგორც სინთეზის შედეგი ანუ – ვარდი ნაწვიმარ სილაში.

ვლადიმირ სოლოვიოვის ცნობილ ნაშრომში „პლატონის ცხოვრების დრამა“ (1898), რომელმაც უზარმაზარი როლი შეასრულა ახალგაზრდა ალექსანდრ ბლოკის შემოქმედებითი მრნამსის ფორმირებაში, არის ერთი პასაჟი, სადაც ფილოსოფოსი, გარდა წყვდიადის სინათლედ და მიწის ვარდებად გარდასახვისა, პოეტური ხატოვანებით საუბრობს პლატონის ღვანლზე, რომელმაც, – ყურადღება მიაქციეთ! – ეროტიკული სილიდან (Эротический ил), მისი სულის ჩათრევას რომ ცდილობდა, ამოზარდა ბრწყინვალე და სუფთა ყვავილი თავისი ეროტიკული თეორიისა (цветок эротической теории), ანუ მოძღვრება მაღალ, სუფთა, იდეალურ სიყვარულზე – პლატონურ სიყვარულზე (Соловьев 1990: 610).

ეროტიკის, სხეულის, ბნელი მატერიის წიაღიდან ამოსული მშვენიერება – სილიდან ამოზრდილი ყვავილი (ვლ. სოლოვიოვი) – „ნაწვიმარ სილაში ვარდი“ (გალაკტიონი!)

ამ ორი სიმბოლური ხატის სახეობრივ-კონცეპტუალური კავშირი, ვფიქრობ, უკვე საეჭვო აღარაა, ცხადია და აშკარა.

ვლადიმირ სოლოვიოვის სინთეზის კონცეფცია გალაკტიონის მიერ სიმბოლისტურ პერიოდში აღქმული იყო, როგორც მისტიკოსის პრიფეტულ ხილვებზე დაფუძნებული ჭეშმარიტება, როგორც რომანტიზმის დუალისტური პარადიგმის დაძლევის გზა. ფილოსოფოსის ოპტიმისტური ესქატოლოგია, რომელიც სამყაროს არცთუ შორეულ მომავალს შეეხებოდა, დიდ მოლოდინსა და იმედებს აღძრავდა. ამ მისტიკურ-უტოპიურ თეორიას, ცხადია, ახდენა არ ეწერა, ეს კი მთელი თაობის იმედგაცრუებისა და სკეპტიციზმის მიზეზი გახდა. ყმაწვილი მგოსნის არჩეული ღმერთკაცებრივი გზა ისეთივე სიზმარეული, მიუწვდომელი და ეფემერული აღმოჩნდა, როგორც ნარმოსახვაში კონსტრუირებული, ირეალური ხატი – ვარდი ნაწვიმარ სილაში.

\* \* \*

ოლია ოკუჯავასადმი გაგზავნილ წერილში, რომელიც ორი-სამი წლით უსწრებს „სილაუვარდის“ შექმნას, გალაკტიონი თავის სულიერ მდგომარეობას ასე გადმოსცემს: „მშვენიერი ცხოვრება მე ცყნებაში განვიცადე... ოცნებისა და სიზმრების დრო წავიდა“ (ტაბიძე 2008გ: 17). აქ დაახლოებით იგივე აზრი და განცდაა გამუღავნებული, რაც პოეტურად, ფაქიზი ლირიკული აქცენტებით არის გამოხატული „სილაუვარდეში“. მიუხედავად ამისა, განხელდება მტკიცება, რომ ლექსი მაინცდამაინც ავტორის რეალურ, კონკრეტულ-პიროვნულ გრძნობებს ეხმაურება.

„სილაუვარდეში“, როგორც სიმბოლისტურ ლექსში, ჩვენ წინაშეა არა ინდივიდი, პერსონა, არამედ მითოლოგიზებულ გარემოში მოქცეული დეპერსონალიზებული ლირიკული გმირი მოთოლოგიზებული გრძნობებით. იგი კონსტრუირებულია სოფიოლოგიური მითის შესაბამისად და ყოველი საგანი, ცნება, სახე თუ სიტუაციაც ამ მითის შუამავლობით ავლენს თავის დაფარულ მნიშვნელობას. ასე მუღავნდება, რომ განთიადი, რომლის მოსვლაში ლირიკულ პერსონაჟს ეჭვი შეპარვია („და თუ როგორმე ისევ გათენდა“), ოდენ ღამის დღით შეცვლა კი არაა, არამედ მზესთან – მარადქალურთან („ვარდისფერ მეგობართან“) შეხვედრის მოლოდინი („რამდენი ღამე გამითევია, / მზის ამოსვლისთვის რომ შემეხედა“). ასევე, სიონში შესვლა, ღვთისმშობლის წინაშე წარდგომა და სხივი ტაძარში – მეტაისტორიულ დრო-სივრცულ ლოკუსში გადანაცვლებაა და ზეციური ნათელის – მარადქალურის გამოცხადება („შემოიჭრება სიონში სხივი“)... ამ გზით ხდება მთლიანობაში ქრისტიანული სახისმეტყველებითი მასალის სიმბოლიზაცია სოფიოლოგიური ნარატივის კონტექსტში, რის შედეგადაც ლექსის სიუჟეტი, უბრალოდ, ვინმე მგოსნის „ამბავს“ კი არ გვიამბობს, შემოთავაზებული ლირიკული სამყაროს არსს გადაგვიშლის.

აქ საგანგებოდ უნდა შევჩერდეთ ღვთისმშობლის სახეზე, რომელიც სიმბოლისტურ პოეზიაში ქრისტიანიზებული სიმბოლოა მარადქალურისა. მინიერი სიყვარულის იდეალიზაცია ღვთისმშობლისადმი ასკეტური ტრფობის ფორმით, მისდამი რაინდული მსახურების იდეა, რაც გავრცელებული იყო შუა საუკუნეების პოეზიაში, სიმბოლისტთა შორის პოპულარობით სარგებლობდა. წმინდა ქალწულის სიმბოლოს გალაკტიონმა პირველად 1912 წელს მიმართა ლექსში „Ave Maria“ და ღვთისმშობლის სახე, როგორც იდეალურის განხორციელება რეალურ ცხოვრებაში, სოფიოლოგიურ წარმოდგენათა სისტემას დაუკავშირა („იყო დრო და შენ ქვეყნად იყავი / მაგ განუსაზღვრელ მშვენიერებით“).

მარადქალურის მიმართება ღვთისმშობელთან სიმბოლისტი პოეტების (ვიაჩ. ივანოვი, ა. ბელი. ა. ბლოკი) ინტერესისა და განსჯის საგანი იყო. მსგავსად წმინდა მარიამისა, მარადქალური არის სამყაროს მფარველი ანგელოზი, სხივოსანი არსება, „მზით შემოსილი ქალწული“ – „Дева облеченнная в солнце“ (В. Соловьев; შდრ.: გალაკტიონი – „მზე-მარიამი“), რომელიც ყოველი-

ვე არსებულს იცავს ქაოსში გადავარდნისაგან/ცოდვისაგან, რათა დააბრუნოს იგი ღვთაებრივ ყოვლისერთობაში. ამიტომაც მიეწერება გალაკტიონთან წმინდა ქალწულს ისეთი ფუნდამენტური სოფიოლოგიური ნიშანი, როგორიცაა ყოვლისმომცველობა („მასში ყველაა, რასაც დალლილი/ ადამიანი ქვეყნად ეძიებს“).

არსებობს არგუმენტირებული აზრიც, რომ სოფიას კონცეპტისა და პოეტური ხატის ფორმირებისას ვლ. სოლოვიოვი შთაგონებული იყო ღვთისმშობლის სახით, რასაც დაემატა დანტეს ბეატრიჩეს შტრიხები და გოეთეს მარადქალურიდან მომდინარე განაზრებანი.<sup>1</sup>

სოფიოლოგიური მითის საფუძველია ზექვეყნიური სიყვარული, რომლის ჭეშმარიტი მიზანია მკვდარი, მატერიალური ბუნების გასულიერება და ადამიანის სხეულებრივი არსებობის გაუკვდავება. „სილაუვარდეში“ სიყვარულის მოტივი, მართალია, აქცენტირებული არაა, მაგრამ შეფარულად იგულისხმება თუნდაც ღვთისმშობლისადმი ტრფობის მოტივის ანალოგით შუა საუკუნეების პოეზიაში. ღვთისმშობელი „სილაუვარდეში“ გაიგივებულია ქალწულთან ანუ მარადქალურთან და ამდენად, ლექსი ყმაწვილი მგოსნის გულის გადახსნას ზეციური სატრფოს წინაშე. მხოლოდ ამ კონტექსტში, სატრფიალო ინტიმის პირობითობაში, შეიძლება აიხსნას ღვთისმშობლი-სადმი იმგვარი დამოკიდებულება, რომელიც გადის რელიგიური რეგლა-მენტაციიდან, მაგრამ შეთავსებადია სატრფიალო ურთიერთობის ეთიკასა და ეტიკეტთან.

აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ წინააღმდეგობან „სილაუვარდის“ ტექსტსა და ევანგელისტურ მითს შორის, რაზეც ადრე იყო საუბარი, სოფიოლოგიური მითის კონტექსტში აღარ არსებობს, ქრება: ერთი რომ, ღვთისმშობლისგან განსხვავებით, მარადქალურს მინიჭებული აქვს მხსნელის მისია; ამავე დროს, მისგანვე მოდის აღთქმა წარმავალის მარადიულად გარდაქმნისა არა ქრისტიანული სულის გაუკვდავების, არამედ დაპირისპირებულ საწყისთა სინთეზის გზით.

„სილაუვარდის“ მძაფრი სკეპტიციზმი მოულოდნელობას არ წარმოადგენს გალაკტიონის ლირიკული გმირის სულიერი განვითარების გზაზე. სინამდვილით მოკლულ გრძნობაზე, „ოცნების დამარხვაზე“ იგი უფრო ადრეც საუბრობდა („სანამ შორს იყავ“), ხოლო კიდევ ერთ წინმსწრებ ლექსში „სინანული“ მკაფიოდ ისმის „არყოფილ ბედნიერებასთან“ – ზეციურ სატრფოსთან გამოთხვების მოტივი.

„სილაუვარდესთან“ თემატიკით და განწყობილებით ძალიან ახლოსაა ლექსი „ის ჩამომშორდა“:

<sup>1</sup> ვლ. სოლოვიოვის სოფიას ზოგი მკვლევარი დანტეს ბეატრიჩეს რუსულ ვერსიას უწოდებს (Helleman 2010).

მაშინ მე გეტყვი, რომ მოჰკვდა გული,  
რომ სიზმარივით გაჰქრა ყოველი,  
რომ ჩემს წარსულში არ ვეძებ ახალს  
და სიყვარულშიც ხსნას არ მოველი!

ამ სტრიქონებში, არსებითად, ყველაფერია: კონცეფციის მონახაზი, სახე-სიმბოლოები, „სილაუვარდის“ ინტონაციური ვიბრაციაც კი...

რას უნდა განიცდიდეს ყმაწვილი მგოსანი, რომელიც ქალწულის მტანჯველ მოლოდინში „სამაგიეროს“ გარეშე დარჩა? წარმავალობასთან პირისპირ მდგომი, იგი უარს ამბობს ზიარებაზე, ქალწულის ხსენებაზე, რაც რეალურ პლანში ამბობია ღვთისმშობლის წინააღმდეგ, ხოლო სიმბოლურ პლანში – შურისძიება ზეციურ სატრფოზე,<sup>1</sup> რადგან საბედისწეროდ გადა-ეკეტა სილაუვარდისკენ მიმავალი ღმერთკაცებრივი გზა. ამიერიდან ერთად-ერთი გზა მხოლოდ სამარისკენ მიდის, საითაც მიაქანებენ კიდეც ყმაწვილ მგოსანს სწრაფი ცხენები.

ლექსის ბოლო მონაკვეთი, VIII-IX სტროფები, თითქოს პერსონაჟის სრული მორჩილების მანიფესტაციაა ბედისწერის გარდაუვალობის წინაშე, მაუწყებელი სინამდვილის/სიკვდილის ტრიუმფისა. ამ მხრივ საეჭვოც არა-ფერი იქნებოდა, რომ არა ერთი ანგარიშგასასაწევი გარემოება. თავშივე ით-ქვა, რომ „სილაუვარდე ანუ ვარდი სილაში“ წრიული კომპოზიციის ჩარ-ჩოში მოქცეული ლექსია – დასკვნითი, რეფრენული სტროფი ლირიკული მონოლოგის საწყის მომენტთან გვაბრუნებს. მაგრამ დავაკვირდეთ, რა ხდე-ბა ჩარჩოს შიგნით, მონოლოგის ძირითად ნაწილში.

ლექსის II-IX სტროფებში, სადაც ნაჩვენებია პერსონაჟის სულის მოძრაობა იმედიდან იმედგაცრუებამდე, მისტიკური ექსტაზიდან გამოფხიზ-ლებამდე, ოცნების ბალიდან სამარემდე, თხოობა ანწყოდან მყოობადში გა-დაინაცვლებს – მთლიანად წარმოსახულ პლანში გადადის. შემოღამება და განთიადის მოლოდინი, სიონში შესვლა და ვრცელი აღმსარებლობითი პასა-ჟი, რომელიც ქალწულთან კონფლიქტს და უმძაფრეს განცდებს გადმოს-ცემს, მხოლოდ და მხოლოდ წარმოსახვაში ხდება, ერთგვარი წინასწარჭვრე-ტა მომავლის დრამატული მოვლენებისა. ამაზე მიუთითებს ზმნათა მთელი წყება, რომელთაც მყოობადის გაგება აქვთ: შემოიღამებს, თუ გათენდა, მოვალ, მივეყრდნობი, შემოიჭრება, ააელვარებს და ა.შ. ამ დაკვირვების სა-ფუძველზე დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ „სილაუვარდე ანუ ვარდი სილაში“ მომავლის პროფეტულ ჭვრეტაზე ორიენტირებული ანტიციპაცი-ური ლირიკის ნიმუშია, თუმცა წარსულზე რეტროსპექტულ მინიშნებებსაც ითავსებს და ინტროსპექციით მოპოვებულ დასკვნებსაც.

1 ადრე გალაკტიონის მომაკვდავი ლირიკული გმირი, მოჯადოებული ქალწულის მშვენიერებით, სრულიად საპირისპირო სურვილს გამოითქვამდა („მომაკვდავი“, 1914): „ მომიახლოვდი, ჩემო ნუგეშო, / უკანასკნელად მომეცი ხელი. / უკანასკნელად მესმოდეს შენი / ზექვეყნიურა, უკვდავი ხმები, / რომ თავზე მადგე განსცენების ჟამს / ვით ანგელოზი სულის მიმღები“.

ლექსის წრიული კომპოზიცია, ლირიკული მოქმედების განვითარების პირობითი სქემა (ანტყო – მყობადში გასვლა – ანტყოში დაბრუნება) შეიცავს მნიშვნელოვან არავერბალურ ინფორმაციას, რომ, მიუხედავად სულის სილ-რმეში გაჩენილი სკეპსისისა, ზეციური სატროფოსადმი დაკარგული ნდობისა და ცრემლიანი ამბოხისა, სასოწარკვეთილების უფსკრულსა შინა მყოფი გედი-მგოსანი ჯერ ისევ რჩება „ოცნების ბაღში“, სიზმარეულ-ლაუვარდოვანი არსებობის სივრცეში, ღმერთკაცებრივი გზისა და მარადქალურის ხიბ-ლში, როგორც მისი ერთგული რაინდი. მგოსნის ცხოვრება კვლავაც ნაწვიმარ სილაში ამოსულ ვარდს ჰგავს, რადგან ვერ შელევია ოცნებას სინთეზზე, „საყოველთაო ბედნიერების გაზაფხულზე“ – უკვდავებაზე, მშვენიერებაში შობილ უხრნებლ, მარადიულ სამყაროზე.

#### დამოწმებანი:

- Blok A. *Zapisnye Knizhki*. Moskva: 1965 (Блок А. Записные книжки. Москва: 1965).
- Blok A. *Sobranie Sochinienij v 6 Tomakh*. T. 5. Moskva: izdatel'stvo "pravda", 1971 (Блок А. Собрание сочинений в 6 томах. Т. 5. Москва: издательство "правда", 1971).
- Burch'uladze R. *Mkholid Int'egralebi*. Tbilisi: gamomtsemloba "merani", 1980 (ბურჭულაძე რ. მხოლე ინტეგრალები. თბილისი: გამომცემლობა „მერანი“, 1980).
- Burch'uladze R. "Sach'iros Met'i Sinateli" *Mnatobi*, 1985, №6 (ბურჭულაძე რ. „საჭიროა მეტი სინათლე!“ მნათობი, 1985, №6).
- Devdariani R. "Dach'rili Gedis T'ragedia". *Ts'ignshi: Ts'erilebi*. Kutaisi: 2010 (დევდარიანი რ. „დაჭრილი გედის ტრაგედია“. ნიგნში: წერილები. ქუთაისი: 2010).
- Doiashvili T. "Igi Tanamgzavri, Khshirad Mechveneba". *Galak'tionologia*, VI. Tbilisi: 2012 (დოიაშვილი თ. „იგი თანამგზავრი, ხშირად მეზენება“. გალაკტიონოლოგია, VI. თბილისი, 2012).
- Helleman Wendy. *Solovyov's Sophia as a Nineteenth-Century Russian Appropriation of Dante's Beatrice*. Lewiston. The Edwin Mellen Press, 2010.
- Javelidze E. "Galak'tionis Erti Leksis Int'erp'ret'etsiisatvis". *Mnatobi*, №11. 1982 (ჯაველიძე ე. „გალაკტიონის ერთი ლექსის ინტერპრეტაციისათვის“. მნათობი, №11. 1982).
- Losskiy N. *Ictoriya Rysskoy Filosofii*. Moskva: 2007 (Лосский Н. История русской философии. Москва: 2007).
- Nak'udashvili N. "Silazhvarde anu Vardi Silashi" K'reb.: *Leksi, Mkholid Erti Leksi*. Tbilisi: gamomtsemloba "metsnireba", 1995 (ნაკუდაშვილი ნ. „სილაუვარდე ანუ ვარდი სილაში“. კრებ.: ლექსი, მხოლოდ ერთი ლექსი. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1995).
- Novalisi. *Hainrikh Pon Opterdingeni*. Tbilisi: gamomtsemloba "nak'aduli", 1989 (ნოვალისი. ჰაინრიხ ფონ იპტერდინგი. თბილისი: გამომცემლობა „ნაკადული“, 1989).
- Payman A. *Ictoriya Russkovo Simvolizma*. Moskva: izdatel'stvo "lfkom-kniga", 2002 (Пайман А. История русского символизма. Москва: издательство „Лаком-книга“, 2002).
- Solov'ev V. *Stikhotvoreniya i Shutochnye P'esy*. Leningrad: 1974 (Соловьев В. Стихотворения и шуточные пьесы. Ленинград: 1974).
- Solov'ev V. *Sochineniya v 2-kh Tomakh*, t. 2. Moskva: izdatel'stvo "mysl", 1990 (Соловьев В. Сочинения в 2-х томах. Т. 2. Москва: издательство „Мысл“, 1990).

Stepun F. *Misticheskoe Mirovidenie. Pyat' Obrazov Russkovo Simvolizma.* Sankt-Peterburg: izdatel'stvo "Vladimir Dal", 2012 (Степун Ф. *Мистическое мировидение. Пять образов русского символизма.* Санкт-Петербург: издательство „Владимир Даль“, 2012).

T'abidze G. *Saarkivo Gamotsema Otsdakhut Ts'ignad. Ts'*. XV. Tbilisi: gamomtsemloba "lit'erat'uris mat'iane", 2008a (ტაბიძე გ. საარქივო გამოცემა ოცდახუთ წიგნად, ნ. XV. თბილისი: გამომცემლობა „ლიტერატურის მატიანე“, 2008a).

T'abidze G. *Saarkivo Gamotsema Otsdakhut Ts'ignad. Ts'*. XVIII. Tbilisi: gamomtsemloba "lit'erat'uris mat'iane", 2008b (ტაბიძე გ. საარქივო გამოცემა ოცდახუთ წიგნად, ნ. XXIII. თბილისი: გამომცემლობა „ლიტერატურის მატიანე“, 2008b).

T'abidze G. *Saarkivo Gamotsema Otsdakhut Ts'ignad. Ts'*. XXIV. Tbilisi: gamomtsemloba "lit'erat'uris mat'iane", 2008g (ტაბიძე გ. საარქივო გამოცემა ოცდახუთ წიგნად, ნ. XXIV. თბილისი: გამომცემლობა „ლიტერატურის მატიანე“, 2008g).

T'abidze G. *Tkhzulebani Tkhutmet T'omad. T'*. II. Tbilisi: 2016 ტაბიძე გ. ოხულებანი ოხუთმეტომად. ტ. II. თბილისი: 2016).

**Teimuraz Doiashvili  
(Georgia)**

## Rose In Rain-soaked Sand

### Summary

**Key word:** Galaktion Tabidze; Rose in Sand; All-Oneness Philosophy.

In the symbolic lyrical masterpiece of the greatest Georgian poet of the 20th century – Galaktion Tabidze “Azure-land or Rose in Sand” the penetrating theme of the poem (way of my life) is characterized by a series of metaphorical comparisons, including the image-enigma rose in rain-soaked sand.

Ave Maria, Virgin immaculate!  
As, after rain, a rose in sand,  
Life's path is a mirage I battle at,  
The faraway sky's far azure-land.

The first stanza at the end of the text is invariably repeated – a frame of circular composition is created, in the space of which the drama of the spiritual life of the lyrical character is played, real or imagined scenes of the drama. Thus, the repetitive, refraining stanza is first an exposition: the lyrical character's self-presentation before the Blessed Virgin, and in the finale – a messenger of a return to the original situation after conflicting vicissitudes.

From the time of writing (1916) to the present day, the enigmatic image of the rose in sand has been understood by scholars in two ways: 1. in the context of reality – like a flower fallen on a dusty road, which is expected to be trampled down by a crowd and 2. an illogical-oxymonoric trope created by means of artistic conditionality – growing of a rose in sand, a kind of indication to the inner, spiritual disharmony of the character. What both interpretations have in common is that the image-symbols (rose in sand, dream, azure-

land), which are used to explain the object of comparison (way of my life), are considered to be contradictory images and in the context of fundamental romantic paradigm it is understood as the manifestation of the idea of the contrast of existence.

The carried out structural-semantic analysis of the text, according to which the image-enigma rose in rain-soaked sand, as one of the elements of the series of artistic comparisons, is not in contrast relation with other elements (dream, azure-land), but is similar to them, is their synonymous image. Therefore, the secret content of the enigmatic image should be found not within the framework of the classical romantic antithesis, but in a conceptual space where the synonymy of the symbols have convincing explanation.

The poem, which includes the analytical image-enigma, is traditionally considered in relation to the evangelical myth, insofar as it has a confession form and is dedicated to the Virgin Mary - Sunny Mary. It has remained unnoticed by scholars to date that the realies of the text, the lyrical narrative of the character, are at odds with the views and dogmas of the Christian confession that the objects and concepts related to Christianity are the primary material that undergoes the process of transformation, symbolization in the poetic system of symbolism and in this way it acquires its surrealistic, new, true content.

Research has shown that the poem conveys the cosmic drama of the young poet's otherworldly romantic love and disillusionment, who seeks immortality and has chosen way of salvation and is closely related to the mythopoetic narrative about Sophia / world soul / eternal feminine. This narrative is an integral part of the All-Oneness philosophy of the Russian thinker, mystic and poet Vladimir Solovyov (1853-1900), that specifically conveys the idea of overcoming dualism, the synthesis of matter and ideal, achieved via god-man-like self-sacrifice and mysterious contact with eternal feminine. This is the mythopoetic intertext that in Galaktion Tabidze's poem is a source of symbolization of reality and gives the key to decoding the text.

Just within the concept of synthesis an enigmatic image rose in rain-soaked sand finds convincing explanation which is a symbol of the transformation of matter (sand) into a spiritual body, immaculate beauty (rose.). As an artistic image, it visually depicts the essence of sophistic doctrine – the idea of synthesis, the notion of the development of the universe.

It should also be noted that Rose in Sand has analogies in Vladimir Solovyev's poetry and philosophy as well. Galaktion Tabidze's poem - 'Azure-land or Rose in Sand' shows a very dramatic part of Solovyov's mythopoetic narrative - the exciting anticipation and doubt of the proclamation of the Virgin, frustration with the failure to fulfill the promise, which leads to a worldview crisis.

Rose in Sand is also related to the European, Novalis' tradition of the blue flower and is in line with the poet's vision and belief in the possibility of the transformation and immortality of matter.

Rose in Sand as an artistic whole, reflects the critical state of consciousness of the lyrical character / author, the initial stage of sobering up from the mystical drunk. The poet's spiritual drama, as clairvoyance, has so far been performed only in the imagination, and in the present he cannot renounce the dream on synthesis – dream on immortality and the immaculate world.

## ირმა რატიანი (საქართველო)

### რუსთაველის სამი რეალობა

ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში, კერძოდ კი რუსთველოლოგიურ სამეცნიერო ლიტერატურაში, საკმაოდ მასშტაბურადაა წარმოდგენილი ნაშრომები, მიღვნილი შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ კონცეპტუალური, მსოფლმხედველობრივი და სარწმუნოებრივი ასპექტების კვლევისადმი<sup>1</sup>. წინამდებარე სტატიის მიზანს არ შეადგენს არცერთი ამ კომპონენტის სილრმისეული კვლევა და მით უფრო – კრიტიკა, არამედ სურვილი, გაითვალისწინოს არსებული სამეცნიერო მიღწევები და შემოგვთავაზოს რუსთაველის ტექსტის სივრცის ტიპოლოგიური ანალიზი ქონოტოპისა და ლიმინალობის თეორიების ინოვაციურ ჭრილში.

რეალობა, რომელზეც ტექსტის სათაურშივე კეთდება აქცენტი, ცხადია, პირობითია იმ ფუნდამენტური მიზეზით, რომ მწერლობა თავად არის დიდი პირობითობა, განსაზღვრული ცნებით „თამაში“. ამ უტყუარ ჭეშმარიტებაზე ჯერ კიდევ არისტოტელე მიუითითებდა „პოეტიკაში“, როდესაც მიმეზისის ანუ ბაძვის პრინციპს განმარტავდა. „პოეტიკის“ ავტორისათვის პოეტური ბაძვა თამაშის, ერთგვარი ამბივალენტური ქმედების მნიშვნელობას იძენს, სადაც პოეტური დისკურსი ბაძვს რეალურად არსებულ დისკურსებს და ქმნის პირობითობას, რომელიც ვერასოდეს გაუტოლდება ვერც ფილოსოფიურ ჭეშმარიტებას და ვერც ისტორიულ რეალობას: „პოეტის ამოცანაა, – წერს არისტოტელე, – ისაუბროს არა რეალურად მომხდარზე, არამედ იმაზე, რაც შეიძლებოდა მომხდარიყო, ე. ი. აუცილებლად ან საჭიროებისამებრ შესაძლებელზე“ (Аристотель 1957: 67). არისტოტელეს მიერ შემოთავაზებული თეორია მისაღები აღმოჩნდა შემდგომი ეპოქების მოაზროვნეებისათვის, მათ შორის, თანამედროვე ლიტერატურათმცოდეობისა და ლიტერატურის თეორიის ფუძემდებლებისთვის<sup>2</sup>. შესაბამისად, ნებისმიერი ტიპის რეალობა, რომელზეც კი მხატვრულ ტექსტში, მათ შორის „ვეფხისტყაოსანში“, შეიძლება საუბარი, შაულედური ფორმაა შესაძლებელსა და აუცილებელს შორის, პირობითობა, რომელიც ავტორის შემოქმედებითი ნიჭის ფარგლებში ყალიბდება, ხოლო ტექსტის ფარგლებში უნიკალურ ტრანსფორმაციულ უნარებს იძენს.

1 იხ. კ. კეკელიძის, შ. ნუცუბიძის, ვ. ნოზაძის, ა. ბარამიძის, რ. თვარაძის, ს. ცაიშვილის, ე. ხინთიბიძის, რ. სირაძის, გ. ფარულავას, ლ. გრიგოლაშვილის, ც. კარბელაშვილის, მ. ელბაქიძის, ბ. დარჩიას, მ. ლალანიძის, მ. ქურდიანის და სხვ. შრომები.

2 იხ. სერ ფილიპ სიდნეის, შილერის, ჟ.კ. სარტრის, ვ. იზერის, აგრეთვე, რუსული ფორმალური სკოლის, ფრანგული სტრუქტურალიზმისა და პოზიტიური ანთროპოლოგიური სკოლის წარმომადგენელთა წარმომები.

პირობითი რეალობა, რომელიც, წარმოდგენილია რუსთაველის ტექსტში, ჩვენი აზრით, სამი მოდელითაა განსაზღვრული: მხატვრული, ისტორიული და ტრანსცენდენტული მოდელებით. აქედან, მხატვრული რეალობა ტექსტის სიუჟეტური ქრონოგრამისა და პერსონაჟთა ინდივიდუალური ქრონოგრამის მთლიანობას წარმოადგენს, ისტორიული და ტრანსცენდენტული მოდელები კი, გადააზრებული და მხატვრულად დამუშავებულია ავტორის მიერ და გზადაგზა სინთეზირდება ტექსტის ზოგადმხატვრულ ქსოვილთან. მიგვაჩნია, რომ თითოეული ამ მოდელის ერთმანეთთან ბმა და გამართული მუშაობა, განპირობებულია:

- ა) გვიანი შუა საუკუნეების ეპოქის მხატვრულ-ლიტერატურული და ესთეტიკური პრინციპებით;
- ბ) რაინდული რომანის ჟანრის კანონით;
- გ) ტრანსფორმაციული ლიმინალური მოდელების მხატვრული გააქტიურებით.

## 1. გვიანი შუასაუკუნეების ეპოქის მხატვრულ-ლიტერატურული და ესთეტიკური პრინციპები და „ვეფხისტყაოსანი“. მიმართებისთვის

გვიანი შუასაუკუნეები, როგორც ცნობილია, შუასაუკუნეების ეპოქის ბოლო, დასკვნითი პერიოდია, რომელიც მოსდევს ადრეული შუასაუკუნეების ეპოქას და წინ უსწრებს რენესანსს. როგორც ერთი, ისე მეორე კულტურული მოდელი მნიშვნელოვნად განაპირობებს გვიანი შუასაუკუნეების მხატვრულ-ლიტერატურულ და ესთეტიკურ პრინციპებსა და გემოვნებას.

უკვე VII-VIII საუკუნეებისთვის ნათელი ხდება ადრეულ შუასაუკუნეებში განვითარდება ტიტანური შრომის შედეგი: ქრისტიანული აზროვნება ევროპული ცივილიზაციის ქვაკუთხედად იქცევა, მთავარი იდეოლოგიად, რომელიც ამკვიდრებს საკუთარ ესთეტიკურ და პოეტიკურ სტანდარტს. გამომდინარე მისი კონცეპტუალური ამოცანიდან, რაც ქრისტიანული მსოფლმხედველობრივი პრინციპების დანერგვა-ქადაგებასა და ბიბლიის ტექსტის ინტერპრეტაციაში მდგომარეობს, ადრეული შუასაუკუნეების ევროპული პოეტიკა, უპირისპირდება ანტიკური კულტურის წიაღში დადგენილ პოეტიკურ ტრადიციას: უარს ამბობს შეთხზულ ფაბულაზე, ემიჯნება გამონაგონისა და სიამოვნების ანტიკურ კონცეფციას, უარს ამბობს ანტიკურ ლიტერატურულ ჟანრებზე და ა.შ.ამ პერიოდში სიტყვის შემეცნებითი მნიშვნელობა მეტ დატვირთვას იძენს და სპეციფიკურ სტილისტურ და ლინგვისტურ მოდელებზე გადაინაცვლებს, რაც ქრისტიანული რიტორიკის დამკვიდრებაში გამოიხატება<sup>1</sup>.

1 თუმცალა, „შუასაუკუნეების ნანარმოებების შესწავლისას მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ის გარემოება, რომ დიდი ხნის მანძილზე გაცნობიერებული არ იყო განსხვავება გამონაგონსა და მართალს შორის“ (Гуревич 1984: 55). თანამედროვე ლიტერატურათმცოდნებითი მიდგომიების გათვალისწინებით, ცნებები პირობითია – არ

გვიანი შუასაუკუნეების ეპოქა, მიუხედავად იმისა, რომ შუასაუკუნეების ერთიანი მოდელის ნაწილს შეადგენს, მნიშვნელოვანი ცვლილებებით იწყება. პირველ ყოვლისა, ეს შეეხება ევროპული ლიტერატურის სეკულარიზაციის პროცესს. გვიანი შუასაუკუნეების ეპოქა სეკულარიზაციის ეპოქაა და მიუხედავად იმისა, რომ რიგი სეკულარული ტექსტები ჯერ კიდევ ექცევა ალეგორიული ინტერპრეტაციის არეალში (მაგალითად, ვირგილიუსისა), ძირითადი ლიტერატურული ტენდენცია ცხადყოფს, რომ ლათინური ენა ადგილს უთმობს ადგილობრივ ენებს, ხოლო ლიტერატურა ინაცვლებს საერო სიბრტყეზე და ახალ თემებსა და მიზნებს ეჭიდება. სიახლის უპირველეს მაცნედ იქცევა გამონაგონის ესთეტიკის აღორძინება მწერლობაში, აგრეთვე, ახალი ლიტერატურული ჟანრებისა და ტენდენციების დამკვიდრება: გვიანი შუასაუკუნეების რაინდული ეპოსისა და ადრეული რენესანსის ეპოქის სატირული რომანების, ნოველებისა და სონეტების ავტორები სიამოვნებით უბრუნდებიან შეთხზული პერსონაჟებისა და ამბების ესთეტიკას, გაჯერებულს ჰეროიზმით, რომანტიკით, სათავგადასავლო ავანტიურითა და სხვა ფიქციური ელემენტებით. რუსთველოლოგი მაკა ელბაქიძე აღნიშნავს: „გვიანდელი შუასაუკუნეების მწერლობის ერთ-ერთ ღირსებად უნდა ჩაითვალოს ისტორიზმის პრინციპის უგულებელყოფა, რამაც ბიძგი მისცა ახალი ჟანრებისა თუ თემების ძების ხანგრძლივ პროცესს. კაცობრიობის სულიერ ცხოვრებაში მომხდარმა ძვრებმა, ე. წ. „კულტურულმა აფეთქებამ“, რომელმაც XII საუკუნის შუასანებისათვის თითქმის მთელი ცივილიზებული მსოფლიო მოიცვა, თავისი ღრმა კვალი ლიტერატურულ პროცესსაც დაამჩნია“ (ელბაქიძე 2007: 158-159). მკითხველმა „მეტი დინამიკა, მეტი ავანტიურა, მეტი რომანტიკა“ მოითხოვა და ლიტერატურაც გამოემიჯნა უტყუარობის პრინციპს: „ყოველივე ზემოთქმული მძლავრ ბიძგად იქცა მხატვრული სინამდვილის ახალი კონცეფციის ჩამოსაყალიბებლად, რომლის ძირითად პრინციპსაც ისტორიზ-

არსებობს წმინდად რეალისტური ან წმინდად მხატვრულ-გამონაგონი ტექსტი (იხ. G. Genette, *Narrative Discourse Revisited*. Translated by Jane E. Lewin. Ithaca, New York: Cornell University Press, 1988); „ის, რასაც შუასაუკუნეების ეპოქის მწერლები და პოეტები მოგვითხრობდნენ, დიდი ხნის მანძილზე აღიქმებოდა მათ მიერ, და მკითხველების მიერაც, როგორც ნამდვილი ამბავი. მოგვხსენებათ, ეპოსის შემთხვევაში კატეგორიები – „გამონაგონი“ და „სიმართლე“ – საერთოდ არ მოიხმარება. თუმცა, ისტორიოგრაფიაშიც საკამაოდ ძლიერი იყო საღვთისმეტყველო და ლეგენდარული ელემენტები. „პოეზია“ და „სიმართლე“ ჯერ კიდევ არ დაცილებულან, ისევე როგორც სასულიერო მწერლობა არ დაცილებულა საეროს, არც ფუნქციურად, არც სტილისტურად. თხზულებები, რომლებიც მონოდებული იყვნენ, რომ მოეთხოოთ ნამდვილი, ისტორიული დროის შესახებ, შეუძლებელია დავუპირისპიროთ თხზულებებს, სადაც მოსალოდნელი იყო სუბიექტური, მხატვრული დროის ასახვა“ (Гуревиц 1984: 55); „ადრეული შუასუკუნეების მწერლობაში შემოქმედებითი პროცესისა და ტექსტის მხატვრულობის მსაზღვრელად ვერ მივიჩნევთ ოდენ ოპოზიციას ნამდვილი ამბავი/გამონაგონი, არაფიქციური/ფიქციური ან ფაბულა/სიუჟეტი, არამედ გასათვალისწინებელია ტექსტის სპეციფიკური იდეური დატვირთვა, თხრობისა და სტრუქტურულ-პოეტიკური ელემენტების ორგანიზების წესი, რაც პრიორიტეტულად განსაზღვრავს ამ ეპოქის ლიტერატურული ტექსტების მხატვრულ თავისებურებებს“ (რატიანი 2018: 72).

მის უარყოფა და გამონაგონის წინა პლანზე წამოწევა წარმოადგენს“ (ელ-ბაქიძე 2007: 159). რეალურისა და გამონაგონის დიქოტომია კვლავაც თვალსაჩინო ფაქტად გადაიქცა, ხოლო რაინდული რომანის ლიტერატურული ჟანრი – კონცეპტუალურ და ესთეტიკურ ნახტომად, რომლის დამსახურებითაც ევროპულმა მწერლობამ ადრეული შუასაუკუნეების იდეოლოგიზებული მოდელიდან გვიანი შუასაუკუნეების ესთეტიზმისკენ გადაინაცვლა.

XII საუკუნიდან ქართული ლიტერატურა, როგორც დასავლური ქრისტიანული მწერლობის ღირებული ნაწილი, ორგანულად ერთვება ამ ესთეტიკური ინოვაციების პროცესში. მასზე ზემოქმედებას ახდენს როგორც ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური და სოციალური რეფორმები, ისე – ევროპულ ლიტერატურაში მიმდინარე სეკულარიზაციის პროცესი და ახალი ესთეტიზმი. შედეგად, იქმნება ქართული ლიტერატურის აღიარებული შედევრი – შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც, უანრული და კონცეპტუალური თვალსაზრისით, ევროპული რაინდული რომანის ქართულ მოდელს წარმოადგენს<sup>1</sup>. თუმცადა, მნიშვნელოვანი ცვლილებების მიუხედავად, გვიანი შუა საუკუნეების მწერლობა, ქართულიც მათ შორის, კლვავაც შუასაუკუნეების ზოგადი ესთეტიკის ნაწილად რჩება, სადაც ყველა შესაბამისი კომპონენტი მნიშვნელობს. უაღრესად საინტერესო დაკვირვებების შუასუკუნეების, მათ შორის, გვიანი შუასაუკუნეების ესთეტიკასა და კულტურაზე გვაწვდის ა. გურევიჩი, თავის საეტაპო ნაშრომში – „შუასუკუნეების კულტურის კატეგორიები“ (1984), საიდანაც, ჩვენი ამოცანებისათვის, განსაკუთრებით საგულისხმოა შემდეგი:

- „შუასაკუნეების მსოფლმხედველობა გამოირჩეოდა მთლიანობით, – აქედან მომდინარეობს მისი სპცეციფიკური დაუყოფლობა, ცალკეული ნაწილების დაუნაწევრებულობა. აქედანვე მომდინარეობს რწმენა სამყაროს მთლიანობისა... თუმცა, მთლიანობა არ გულისხმობს მის ჰარმონიულობას და არანინაალმდეგობრიობას. კონტრასტი, რომელიც არსებობს მარადიულსა და დროებითს, წმინდასა და ცოდვილს, სულსა და სხეულს, ზეციურს და მიწიერს შორის, რაც ჩადებული იყო ამ მსოფლმხედველობის საძირკველში, საფუძველს პოულობდა ეპოქის სოციალურ ცხოვრებაში – შეურიგებელ წინააღმდეგობაში, რომელიც არსებობდა სიმდიდრესა და სიღარიბეს, ბატონობასა და ყმობას, თავისუფლებასა და მონობას, დაწინაურებასა და დაქვემდებარებას შორის. შუასუკუნეების ქრისტიანული მსოფლმხედველობა „ხსნიდა“ რეალურ წინააღმდეგობებს, გადაჰყავდა რა ისინი ყოვლისმომცველ ზემიწიერ კატეგორიებში, და, ამ თვალსაზრისით, წინააღმდეგობათა გადაჭრა შესაძლებელი იყო მხოლოდ მიწიერი ისტორიის დასრულების შემდეგ ცოდვათა გამოს-

1 ისიც ცხადია, რომ ტექსტი აშეარა კეთილგანწყობას იჩინს აღმოსავლური პოტივებისადმი, რომლებიც, გარკვეული ისტორიული გარეფაქტორებისადა გამო, აქტიურად იჭრება იმ პერიოდის ქართულ კულტურულ სივრცეში, რაც ქმნის დასავლური და აღმოსავლური კულტურების შეხვედრის პირველ პრეცედენტს ქართულ და ევროპულ ლიტერატურულ სივრცეში.

ყიდვის გზით, და დროში განფენილი მარადიული სამყაროს დაბრუნების გზით“ (Гуревич 1984: 26-27).

„ადამიანის დამოკიდებულება ბუნებასთან შუა საუკუნეებში – ესაა სუბიექტის დამოკიდებულება ობიექტთან, უფრო სწორად, საკუთარი თავის აღმოჩენა გარესამყაროში, კოსმოსის როგორც სუბიექტის აღქმა. ადამიანი იმავე თვისებებს ჭვრეტს სამყაროში, რაც თავად ახასიათებს. არ არსებობს მკვეთრი საზღვრები, რომლებიც გამიჯნავდა ინდივიდსა და სამყაროს; ხე-დავს რა სამყაროში თავისი თავის გაგრძელებას, ის, ამასთან ერთად, თა-ვის თავში აღმოაჩენს სამყაროს. ისინი თითქოს ერთმანეთს უცქერენ“ (გვ. 69). აქედან მომდინარეობს მიკროკოსმოსისა და მაკროკოსმოსის გაგება. „მიკროკოსმოსი – მთელის მხოლოდ პატარა ნაწილი კი არ არის, სამყაროს ერთ-ერთი ელემენტი, არამედ მისი ერთგვარად შემცირებული და განმასახი-ერებელი რეპლიკა... მიკროკოსმოსი ისეთივე მთლიანი და სრულყოფილია თავის თავში, როგორც დიდი სამყარო. მიკროკოსმოსი გაიაზრება ადამიანის სახით, რომლის გაგებაც შესაძლებელია მხოლოდ „პატარა“ და „დიდი“ სამ-ყაროს პარალელიზმის ფარგლებში“ (Гуревич 1984: 70). ბუნების, როგორც სამყაროს ნაწილის გააქტიურება მე-12 საუკუნიდან შეინიშნება; მანამდე – სამყაროს შემეცნების ერთადერთი მოდელი ღმერთია. მე-12 საუკუნიდან ბუ-ნება აქტიურდება როგორც ღმერთის მიერ შექმნილი, რაც საშუალებას აძ-ლევს ადამიანს, შეიმეცნოს მასში საკუთარი თავი და მიუახლოვდეს ღმერთს: ადამიანი – ხატი ღვთისა.

• ადრეული შუასუკუნების ხელოვნებაში განსაკუთრებული ადგილი განკუთვნილია ღმერთისთვის. სამყაროს თეოცენტრისტული მოდელია სახე-ზე. „მაგრამ ღმერთი არა მარტო სამყაროს ცენტრია, რომელიც მისითაა განსაზღვრული და მის გარშემოა, არამედ, ის არსებობს ყველგან, ყველა თავის ქმნილებაში“ (Гуревич 1984: 97-98). გრძნობადი და ფიზიკური სამყარო იკვე-თება ზეგრძნობად სამყაროსთან. ეს გარდაუვალია, ეს სიმბოლიკით დატ-ვირთული სამყაროა. გვიანი შუასუკუნების ხელოვნებაში ღმერთი რჩება სამყაროს ცენტრად, თუმცა, შეკრული სისტემა, სადაც ცენტრში განთავ-სებულია წმინდა ადგილები, ხოლო დანარჩენი სამყარო პერიფერიას წარ-მოადგენს, იხსნება. იცვლება ადამიანის ცხოვრების წესი და სივრცის სტრუქტურაც უფრო შრეობრივი ხდება. ჩნდება ქალაქის მოდელი, ინერგება მენარმეობა, ვაჭრობა. გარესამყარო მიმზიდველი და საინტერესო ხდება ადამიანისთვის. ქალაქური ცხოვრების ზრდასთან ერთად, ადამიანი გამო-აცალეკვებს თავის თავს ბუნებისაგან და ის უკვე მისი დაკვირების ობი-ექტი ხდება. ფეოდალური სახელმწიფო მეტი სიცხადით იკვეთება, როგორც რელობის მხატვრული იმპლიკაცია.

ამრიგად, გვიანი შუასუკუნების ესთეტიკაში შენარჩუნებულია ის ძი-რეული პრინციპები, რაც განსაზღვრავს შუასუკუნების კონცეპტუალურ არსა: სახეზეა სამყაროს მთლიანობის რწმენა, აგრეთვე რწმენა მიწიერი ის-ტორიის დასრულებისა და დროში განფენილ მარადიულ სამყაროში გადას-

ვლისა; სახეზეა ბუნების როგორც სამყაროს ნაწილის აღქმა და ხორციელ-დება მისი როგორც ღმერთის შექმნილი მოდელის გააქტიურება; დაბოლოს, ღმერთი რჩება სამყაროს ცენტრად, თუმცალა, ეს განცდა ემორჩილება გარდაუვალ სოციალურ მოდიფიცირებას. მიგვაჩინა, რომ რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ ზედმინევნით კარგად იცავს გვიანი შუასაუკუნეებისათვის ნიშანდობლივ ზემოთ ჩამოთვლილ მსოფლმხედველობრივ-ესთეტიკურ პრინციპებს. პირველ ყოვლისა, რუსთაველის ტექსტში ღმერთი გააზრებულია როგორც სამყაროს ცენტრი. ნოდარ ნათაძის მართებული დაკვირვებით, „ვეფხისტყაოსანში“:

- ღმერთი წარმოადგენილია, როგორც სამყაროს და არსთა შემოქმედი.
- ქვეყნის შექმნა და მართვა-განგება დვთის ნების აქტია და არა უნებო აუცილებლობისა, როგორც ამას ნეოპლატონიზმი ქადაგებს (ნათაძე 1974: 108).
- ღმერთია შემქმენლი სიკეთისა და არდამბადი ბოროტისა (ნათაძე 1974: 109).

გარდა ამისა, რუსთაველი მკვეთრად იცავს სამყაროს ორკომპონენტიან სტრუქტურას. კვლავ ნოდარ ნათაძეს დავვესესხებით: „დვთისა და სოფლის დუალიზმი – ქრისტიანობის ამ ერთი უძირითადესი დაპირისპირების არსებობა, „ვეფხისტყაოსანში“ ფაქტია“ (ნათაძე 1974: 122), „რუსთაველთან „საწუთრო“ უპირისპირდება „უჟამოს“, „სოფელი“ – „ღმერთს“ (ნათაძე 1974: 123). მაშასადამე, მინიერი ისტორიის დასრულება და დროში განვითარებულ მარადიულ სამყაროში გადასვლა რუსთაველისთვის ძალზედ ორგანულ განცდად მოსჩანს, თუნდაც იმ ფონზე, რომ პოეტი არ ერიდება თავისი თანამედროვე ისტორიული და სოციალური სურათის იმპლიკაციას ტექსტში, რითაც ავლენს, ერთის მხრივ, ტექსტის თანაზიარობას სეკულარული ლიტერატურის პრინციპებთან, ხოლო მეორეს მხრივ – კეთილგანწყობას ჯერ არდამდგარ რენესანსულ რეალიზმთან.

ყოველივე ზემოთქმული მეთოდოლოგიურად ანესრიგებს ქართული რაინდული რომანის ჩვენთვის საინტერესო ქრონოტოპულ ჩარჩოს და იძლევა ახალი დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას.

## 2. თამაში სივრცული პერსპექტივებით

მიხაილ ბახტინის აზრით: „ერთი ნაწარმოების და ერთი ავტორის შემოქმედების ფარგლებში აღინიშნება ქრონოტოპების მრავალი სახეობა და მათი რთული, მოცემული ნაწარმოებებისა ან ავტორის შემოქმედებითი სტილისათვის ნიშანდობლივი ურთიერთმიმართუებები. მათგან ერთ-ერთი ქრონოტოპული მოდელი ყოველთვის გვევლინება დომინანტურად, ანუ – ყოვლისმომცველად“ (Бахтин 1986: 284). მაგრამ, რა ხდება მაშინ, როდესაც ავტორი გვიანი შუასაუკუნეების ეპოქის მოღვაწეა? მით უფრო –

რაინდული რომანის ავტორი? როგორია, ამ შემთხვევაში, ქრონოტოპული მოდელების ბალანსი? მისი რომელი მოდელი მიიჩნევა დომინანტურად? თავად ბახტინი წერს: „ადრეული სალექსო ფორმით დაწერილი რაინდული რომანი, არსობრივად, განთავსებულია ეპოსსა და რომანს შორის. ამით განისაზღვრება მისი განსაკუთრებული პოზიცია რომანის ისტორიაში. აღნიშნული თვისებურებებით განისაზღვრება ასევე მისი თავისებური ქრონოტოპი – ზღაპრული (საოცარი – ი.რ.) სამყარო და ავანტიურული დრო“ (Бахтин 1986: 190). გურევიჩის დაკვირვებით კი: „განიცდის რა მოვლენებით ‘ალავსე’ დროს, შუასაუკუნეების ადამიანი ნაკლებად უფიქრდება მის ‘გარეგნულ’, რაოდენობრივ მხარეს, და ამ თვალსაზრისით, სამყაროს გააზრება მოკლებულია დროით განსაზღვრულობას. დროითი ურთიერთობები მხოლოდ XIII საუკუნიდან იწყებს დომინირებას მის ცნობიერებაში“ (Гуревич 1984: 151). შესაბამისად, თავს უფლებას ვაძლევთ ვივარაუდოთ, რომ რაინდული რომანის დრო, არსობრივად ავანტიურული, თავგადასავლებითა და მოვლენებით დატვირთული, რომელიც, რიგ შემთხვევებში, შესაძლოა, დროის ყოფით მოდელსაც კი უახლოვდებოდეს, მაინც დროის აბსტრაქტულ-პირობით მოდელად რჩება. ამას ადასტურებს დროის ორპლანიანობაც, რაც ადრეული შუა საუკუნეებიდან იღებს სათავეს და შენარჩუნებულია გვიანი შუასაუკუნეების ეპოქაშიც – გმირი შეიმეცნებს საკუთარი არსებობის ოპლანიანობას, რაც მიწიერი ცხოვრების ემპირიული მოვლენების გვერდით აუცილებლად გულისხმობს ცხოვრების გაშლას სამრთო დანიშნულების განხორციელების ჭრილში, ნებისმიერი ცვლილება და მოვლენათა დინამიზმი კი წარმოადგენს გარდამავალ საფეხურს ყოფითიდან მარადისობისაკენ! აქ მნიშვნელოვან როლს თამაშობს დროის სპაციალიზაცია: „თუკი შუასაუკუნეების ავტორის წინაშე დგებოდა ამოცანა, აესახა ადამიანის შინაგან სამყაროში მიმდინარე ცვლილები, ის გაიაზრებოდა არა როგორც თავისთავადი მოცემულობა, არამედ როგორც გზა, რომელიც გმირს გარკვეული სივრცის დაძლევაში ეხმარებოდა“ (Гуревич 1984: 152). სწორედ ეს აძლევს საფუძველს ე. კობელს, ა. გურევიჩს და შუასაუკუნეების მნერლობის სხვა მკვლევრებს, გამოთქვან მოსაზრება, რომ XIII საუკუნემდე, ანუ – ვიდრე რენესანსამდე, დრო მაინც სივრცის მეშვეობით შეიცნობა, და სწორედ სივრცე წარმოადგენს მხატვრული ტექსტის მაორგანიზებელ ძალას (Гуревич 1984: 151).

აქ დაკვირვება გვმართებს რაინდული რომანის სივრცის ტიპოლოგიაზე. როგორც ზემოთ დავინახეთ, რაინდული რომანის სივრცეს ბახტინი უწოდებს ზღაპრულს, ხოლო როგორც მოდელს, განიხილავს მას მხოლოდ გმირთან მთლიანობაში: „საბოლოოდ, გმირი და ის ზღაპრული სამყარო ერთი ქსოვილისგანაა ნაკერი, მათ შორის არ არსებობს შეუსაბამობანი (განსხვავებები – ი.რ.“). გმირი, როგორ სუბიექტი, გარე-სამყაროს ორგანული ნაწილია და ისინი ერთად ქმნიან ურლვევ მთლიანობას; გმირი მიკროკოსმოსის მოდელია, რომელიც თავს მხოლოდ ღმერთის მიერ მართული მაკრო-

კოსმოსის ფარგლებში შეიმეცნებს. შესაბამისად, რაინდული რომანის სივრცე ვერტიკალზე განფენილი თეოცენტრისატული სივრცეა, რომლის ცენტრსაც ღმერთი წარმოადგენს. სივრცის მითოლოგიზება/გაზღაბრულება, ცხადია, ანიჭებს მას ტოპოგრაფიულ განუსაზღვრელობას. თუმცა, გვიანი შუასა-უკუნების რაინდულ რომანებში ტოპოგრაფიული განუსაზღვრელობა არც-თუ იშვიათად განზავებულია ტოპოგრაფიულად განსაზღვრულ მოდელებ-თან, რაც, სავარაუდოდ, უკვე პრერენსანსული განწყობილებებითაა გან-პირობებული. ამ თვალსაზრისით, „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტი სანიმუშოა: „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრულ-სივრცული ქარგა აღარ ემყარება ტოპოგრა-ფიული განუსაზღვრელობის სრული დომინირების კანონს. ამგვარი განუ-საზღვრელობა, ცხადია, ფიქსირდება და – არაერთგზის (მულტანზარი, ხა-ტაეთი, გულანშარო, ქაჯეთის ციხე და ა.შ.), მაგრამ სახეზეა ტოპოგრაფი-ული განსაზღვრულობის მყარი სისტემებიც (შვიდი სამეფო, ზღვა და ა.შ.). გარდა ამისა, სივრცის ტოპოგრაფიული განუსაზღვრელობა „ვეფხისტყა-ოსანში“ არ გულისხმობს გმირის მოძრაობას ზეცასა და მიწისქვეშეთს, ან – ზღვის ფსკერსა და ცის კიდეს, ან ადამიანებსა და ღმერთებს შორის, რო-გორც ეს ხდება იმავე პერიოდის სკანდინავიურ საგებსა და თქმულებებში, არამედ – გაედინება გეოგრაფიულად დამაჯერებელ სიბრტყეზე.

უანრის კანონის თანახმად, შუა საუკუნეების რომანში სივრცე დაიძ-ლევა გმირის მიერ და ის ზუსტად იმდენადა მისაწვდომი მკითხველისათ-ვის, რამდენადაც დაიძლევა გმირის მიერ: მაგრამ, სივრცე არა მარტო დაიძ-ლევა, არამედ – განიცდება კიდევაც გმირის მიერ. „სივრცე არა მხოლოდ გარს ერტყმის გმირს, არამედ – განიცდება მისგან... სივრცული გარემო და მასში არსებული გმირი გამსჭვალავენ და ავსებენ ერთურთს“ (Гуревич 1984: 79). სხვაგვარად რომ ვთქვათ, გმირი და სივრცე ერთ მთლიანობას წარმოად-გენს; გმირი სპეციფიკურ, ინდივიდუალურ დამოკიდებულებაში იმყოფება გარემოსთან, ბუნებასთან და ე. ი. სამყაროს იმ ნაწილთან, რაც გვიანი შუა-საუკუნეების ქრისტიანული კონცეპტის თანახმად, ღმერთთან მიახლოების გზაა: გმირი შეიმეცნებს საკუთარ თავს ‘ღმერთის მიერ შექმნილ’ სამყარო-ში/ბუნებაში და მით უახლოვდება ღმერთს. ამგვარი მიზანდასახულობა, ვფიქრობთ, სივრცული პლანის გამრავალფეროვნების ერთ-ერთ ძირითად მიზეზს უნდა წარმოადგენდეს რაინდულ რომანებში: ავტორები ცდილობენ გაამრავალფეროვნონ სივრცის გეოგრაფია, რათა გეოგრაფიული დისტან-ციების გადალახვის პროცესში, არა მარტო მეტი სიცხადით გამოკვეთონ გმირის სიუჟეტური მიზნები და გაზარდონ მკითხველის ჩართულობა მოთხ-რობილ ამბავში, არამედ – დაასაბუთონ გმირის შინაგანი ტრანსფორმაციის ლოგიკა, რაც არსებით მნიშვნელობას იძენს გვიანი შუასუკუნეების ქრისტიანულ მწერლობაში. სწორედ შინაგანმა ტრანსფორმაციამ უნდა წარმოაჩინოს სამყაროს, როგორც ორკომპონენტიანი სტრუქტურის აღქმა მწერლისა და გმირის მიერ. გმირის შინაგან ტრანსფორმაციას მით უფრო დასაბუთებულად წარმოაჩენს ავტორი, რაც უფრო მრავალფეროვანია ტექ-

სივრცული ქარგა. რუსთაველი ამ თვალსაზრისითაც ძლიერ დანინაურებული ავტორია. „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტში მკითხველი აკვირდება სივრცული პერსპექტივების ოსტატურ მონაცვლეობას: მხატვრულ-გეოგრაფიულ განსაზღვრულობას მითოლოგიზებული სივრცე და ზღაპრულ-ფანტასტიკური განუსაზღვრელობა ენაცვლება, და – პირიქით. როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, გეოგრაფიული და ისტორიული განსაზღვრულობა რუსთაველის ტექსტის ერთ-ერთი პრერენესანსული მახასიათებელია. რუსთაველოლოგების მართებული შენიშვნით, რუსთაველის ტექსტი გაჯერებულია ისეთი ისტორიული ხასიათის ფაქტებით, როგორიცაა: აბსოლუტური მონარქიის იდეის გატარება, ქართველი გვირგვინოსნის (თამარის – ი.რ.), პირდაპირ დასახელება და ქება, ტექსტში აღნერილი ფეოდალური მონარქიების მსგავსება საქართველოს იმდროინდელ პოლიტიკურ სურათთან და სხვ. სივრცული პერსპექტივების მონაცვლეობის გზით, რუსთაველი ქმნის იმგვარ ხანგრძლივობას, რაც არ არღვევს გვიანი შუასუკუნების ესთეტიკურ კანონს, მაგრამ ესაზღვრება ქრონოტოპის რენესანსულ გაგებასაც.

შესაბამისია დროის ორგანიზებაც: ადამიანი ხომ „არ იპადება, ‘დროის განცდით’, მისი დროითი და სივრცული გაგება ყოველთვის განსაზღვრულია იმ კულტურით, რომელსაც ის ეკუთვნის“ (Гуревич 1984: 44). ვერ გავექცევით იმ ფაქტს, რომ რაინდული რომანების გმირები, უმეტესწილად, ასაკს მიღმა არსებობენ: ისინი მუდამ ახალგაზრდები და მამაცები რჩებიან, და მზად არიან გმირობისათვის. რაინდული რომანის დრო არ ამოკლებს მათი ცხოვრების დროს. შესაბამისად, რეალური, ე.ნ. ემპირიული დრო მოკლებულია დინამიკას, ის დატვირთულია ხდომილობებით, მაგრამ სტატიკურია ცვალებადობის თვალსაზრისით. ცვალებადობა ნიშნავს სტატიკურობის თვისებრივ გარდასვლას დინამიზმში, ხოლო, დროის დინამიზმი, როგორც ზემოთ ითქვა, მოასწავებს ფუნდამენტურ ცვლილებებს და წარმოადგენს ‘სხვა რეალობისკენ’, მარადისობისაკენ მიმართულ გარდამავალ საფეხურს. არის თუ არა ეს ანტიისტორიზმი? გურევიჩის უაღრესად საინტერესო დაკვირვებით, ის, რაც, ერთ შეხედვით, ანტიისტორიზმად შეიძლება მოგვეჩენოს, სინამდვილეში პრინციპული ისტორიზმის ნიშანია: რაინდული რომანის გმირი ორ განზომილებაში ცხოვრობს – მიწიერსა და საკაცობრიოში: „დანამდვილებით, ადამიანი შეიგრძნობს, შეიმეცნებს თავის თავს ერთდროულად ორ დროით პლანში: ლოკალურად გამდინარე ცხოვრების პლანში და ზოგადისტორიულ პლანში, სადაც წყდება სამყაროს ბეჭი – სამყაროს შექმნა, ქრისტეს შობა და ვნებანი. ყოველი ადამიანის სწრაფმავალი და უსახური ცხოვრება ზოგადისტორიული დრამის ფონზე მიმდინარეობს, ერწყმის მას, იძენს მისგან ახალ, უმაღლეს და მარადიულ აზრს“ (Гуревич 1984: 153-154). ანტიისტორიზმისა და ისტორიზმის ამ ფილოსოფიური შეჯვარების თანახმად, ღმერთი რჩება სამყაროს ცენტრად, თუმცადა, ფეოდალური საზოგადოება, როგორც ისტორიული რელობა ანუ ლოკალური მოდელი, სადაც გაედინება გმირის მიწიერი ცხოვრება, მით უფრო მეტ სოციალურ სიმკეთრეს

იძენს, რაც უფრო მეტად უახლოვდება რაინდული რომანის ავტორი რენე-სანსის ზღვარს: ტექსტი ჭრელდება სოციალურად და, შესაბამისად, მეტად დეტერმინირებული ხდება სტრუქტურულად. გამომდინარე აქედან, რთულ-დება გვიანი შუა საუკუნეების ეპოქის ავტორის მხატვრული ამოცანაც, რაც მდგომარეობს იმაში, რომ აჩვენოს გმირის შინაგანი ტრანსფორმაციის პარადიგმა, დროისა და სივრცის ერთი მოდელიდან მეორეში გმირის გადანაცვლების/გარდასვლის პროექცია, ანუ – გმირის გასვლა მხატვრულ-გეოგრაფიული განსაზღვრულობიდან მითოლოგიზებულ განუსაზღვრელობაში. სად გადის ზღვარი? სად იწყება ტრანსფორმაცია, რა სახისაა იგი და საით მიემართება? რა მხატვრულ მოდელებს უნდა მიმართოს ავტორმა?

მიგვაჩინა, რომ შოთა რუსთაველი, როგორც პრერენესანსული მოაზროვნე, სწორედ ამგვარი მხატვრულ-ესთეტიკური დილემის წინაშე მდგომი ავტორია.

### 3. ტრანსფორმაციის პარადიგმისთვის

ტრანსფორმაცია, შინაგანი ცვლილება, სწორედ ის პროცესია, საითვე-ნაც მიემართება რუსთაველის ტექსტი.

გვიანი შუასუკუნეებისა და პრერენესანსის ეპოქაში (მოგვიანებით – რენესანსის ეპოქაშიც) ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან კლასიკურ ტექსტად ოვიდიუსის „მეტამორფოზები“ მიიჩნეოდა, რაც ზედმინევნით კარგად ერგებოდა დროის სულისკვეთებას – ადამიანის შინაგანი გარდაქმნის აუცილებლობას. შესაძლოა, ოვიდიუსის პოემა მოულოდნელი გზაც კი იყო ქრისტიანული იდეალების ხაზგასასმელად, მაგრამ მკითხველი აშკარად აკვირდებოდა მითის ზნეობივ მოდელში ტრანსფორმირების პროცესს. ეს ხაზი შენარჩუნებულია გენიალური იტალიელის, დანტე ალეგიორის „ღვთაებრივ კომედიაშიც“, სადაც ადამიანი ან ცოდვით დამახინჯებული წარმოდგება, ანაც – გარდაიქმნება ქრისტიანული ღმერთის სიყვარულით. შესაბამისად, ტრანსფორმაციის/გარდადასახვის იდეა „ღვთაებრივ კომედიაში“ ქრისტიანული გზავნილის მატარებელია. იგივე იდეა, მართალია, სრულიად სხვა კუთხით, მაგრამ თავის აქტუალობას რენესანსის ეპოქაშიც შეინარჩუნებს, როდესაც დღის წესრიგში დადგება „სხეულისა და სულის ფორმის შეცვლის“ საკითხი<sup>1</sup>. შესაბამისად, რუსთაველს ზედმინევნით კარგად ესმის ტრანსფორმაციის მნიშვნელობაცა და აუცილებლობაც. ქართული რაინდული რომანის მკითხველს უნდა ეხილა გმირების გარდასახვა, მაგრამ – როგორი?

1 რომ აღარაფერი ვთქვათ კულტურული პარადიგმის ცვლილებაზე: რენესანსის ეპოქის მწერლები და მხატვრები მიისწრაფოდნენ უდიდესი ცვლილებებისკენ, მათ შორის, იმისკენ, რომ ახალი სული შთაებერათ ბერძნული და რომაული კულტურებისთვის.

აქ, პირველ ყოვლისა, უნდა გავიხსენოთ, თუ როგორ მთავრდება „ვეფხისტყაოსანი“:

„ყოვლთა სწორად წყალობასა ვითა თოვლსა მოათოვდეს,  
ობოლ-ქვრივნი დაამდიდრნეს და გლახაკნი არ ითხოვდეს,  
ავთა მქმნელნი დააშინეს, კრავნი ერავთა ვერ უწოვდეს,  
შიგან მათთა საბრძანისთა თხა და მგელი ერთად სძოვდეს“ (1595).

ქართულმა პოეტურმა გენიამ ერთ ფრაზაში გამოკვეთა იდეალურ-უტოპიური სტრუქტურა და ორაზროვნად მიაკუთვნა იგი რეალურ, მაგრამ, ამავდროს, იდუმალებითა და მისტიციზმით მოცულ სივრცეს. „ვეფხისტყაოსანის“ დასკვნით სტროფებში გმირების საბრძანისები იდილიურ გან-ფენილობას წარმოადგენს, სადაც რთულია განვჭვრიტოთ „კეისრის სამყა-როსთვის“ ნიშანდობლივი მანკიერებანი; იქმნება ალუზია, ერთის მხრივ, ანტიკურ „ოქროს ხანასა“ და „არკადიაზე“, ხოლო მეორეს მხრივ, დროის-მიღმიერ ბიბლიურ სამოთხეზე, რომლის მხატვრული პერსპექტივაც უახ-ლოვდება რაინდული რომანებისათვის ნიშანდობლივ ზღაპრულ-ფანტასტი-კურ იდილიას. ვფიქრობთ, რომ „ვეფხისტყაოსანის“ ავტორი სწორედ ამ მეორე მოდელს თანაუგრძნობს – „ჯადოსნური ზღაპრის დარად, რომელიც უეჭველად ბოროტების დათრგუნვით უნდა დასრულდეს, რაინდული რომა-ნების ფინალიც ბოროტები კეთილის გაამრჯვების მაუნყებელ საზეიმო აკორდად აუღერდება“ (ელბაქიძე 2007: 51), – რაც, არსობრივად, არ ენი-ნააღმდეგება ბოროტის ძლევის ქრისტიანულ კონცეფციას. თუმცადა, ვფიქ-რობთ, არის ერთი საინტერესო დეტალი, რომელიც არჩევანის გაკეთებას გვაიძულებს: ზღაპრის გმირი, თავგადასავლებისა და პერიპეტიების პროცეს-ში არ განიცდის ძირეულ ტრანსფორმაციას, არამედ მხოლოდ გამოცდილე-ბას იძენს, „ვეფხისტყაოსანის“ გმირები კი შინაგან ცვლილებასა და გარდასახ-ვაზე ორიენტირებული პერსონაჟები არიან, რომლებმაც, მათ თავს დატე-ხილი განსაცდელის შედეგად, უნდა გადასინჯონ მთავარი ღირებულებები. შესაბამისად, თავს უფლებას ვალევთ დავასკვნათ, რომ „ვეფხისტყაოსანის“ ფინალი წარმოადგენს მინიშნებას ქრისტიანულ სამოთხეზე.

ქრისტიანული მსოფლმხედველობისთვის იმთავითვე მიუღებელი იყო „უტოპიური ოცნების“ განხორციელების ანტიკური მეთოდი, ანუ „კარ-გი ადგილის“ ძიება/ფორმირება რეალურ დრო-სივრცულ გარემოში<sup>1</sup>. არ-სებით პრობლემას ჯერ სენეკას და, შემდგომ, ზოგადად ქრისტიანულ მსოფლმხედველობაში, „უტოპიური ოცნების“ განხორციელების მეთოდი წარმოადგენდა<sup>2</sup>. ამ თვალსაზრისით, საგულისხმოა რ. ს. ელიოტის შენიშვნა, რომლის თანახმადაც, უტოპია წარმოადგენს ადამიანის არსისა და ნების

1 იხ. Платон. Государство. В книге: Платон, Сочинения в 3тт., т.3. М.: Мысль, 1971.

2 იხ. Сенека. О блаженной жизни. // Антология мировой философии в 4тт., т.1. М.: Мысль, 1969.

ერთგვარ რეალიზებას მითის წინაშე. ეს არის ადამიანის ძალისხმევა წარმოსახვის ფოლიანტებში, ანუ ადამიანის მცდელობა გაერკვეს, თუ რა მოხდება მაშინ, როდესაც მითი რეალობის საზღვრებს დაარღვევს? „ამ შემთხვევაში ადამიანი აღარ ოცნებობს იდეალური წესრიგის შექმნაზე მიღმიერ, არარსებულ დროში, – წერს ელიოტი, – იგი თავად კისრულობს შემოქმედის ფუნქციას“ (Elliot 1970: 8-9). მაგრამ რა მოსდევს შედეგად ამგვარ ექსპერიმენტს? დესტრუქცია, – აცხადებს ქრისტიანული მსოფლმხედველობა, უტოპის კლასიკური ინტერპრეტატორებისაგან განსხვავებით, და საუკეთესო არგუმენტად პირველცოდვის ბიბლიურ ტექსტს ასახელებს. პირველცოდვის ბიბლიური ტექსტის თანახმად, ადამიანებმა ვერ გაამართლეს უფლის ნდობა. დაუკითხავად იგემეს რა კეთილისა და ბოროტის შეცნობის ხის აკრძალული ნაყოფი, მათ ერთგვარად იკისრეს დემიურგის როლი, შეიჭრნენ შემოქმედის ფუნქციებში და, სანაცვლოდ ამისა, ღვთის რისხვა დაიმსახურეს: შეაჩვენა ღმერთმა ადამი და ევა, წაართვა მათ მარადიული სიცოცხლის ბედნიერება, აქცია ისინი მოკვდავებად, მოუვლინა მრავალი სატანჯველი და გამოძეენა სამოთხის ბალიდან. „სამოთხის ბალი“ კი თავისუფლად შეიძლება ასიმილირდეს „ოქროს ხანასთან“. შესაბამისად, იკვეთება დასკვნა: შეუძლებელია „იდილიური ბედნიერების“ მოპოვება ადამიანური შესაძლებლობების ფარგლებში, ეს მხოლოდ და მხოლოდ ღვთის საუფლოს პრეროგატივაა.

ქრისტიანულმა მსოფლმხედველობამ კიდევ უფრო გააღრმავა და გააშინაარსა თავისი პოზიცია, როდესაც კეისრის საუფლოს ცოდვიან და გარყვნილ მოდელს აქტიურად დაუპირისპირა ზეციური სამოთხის მოდელი. ამ თვალსაზრისით, ყურადღებას იქცევს იოანე მოციქულის „გამოცხადების“ ტექსტი, სადაც ამქვეყნიური, მიწიერი ქალაქის – ბაბილონის, როგორც ცოდვილთა, მრუშთა, „მეძავთა და დედამინის სიბილნეთა დედის“ დამხობის მოტივს უპირისპირდება იმქვეყნიური, ღვთიური ქალაქის, ახალი იერუსალიმის აღმოცენების მოტივი: განსხვავებით ბაბილონისაგან, ახალი იერუსალიმი ღვთის ქალაქია, დაბრუნებული სამოთხე, სადაც აღზევებულ ადამიანებთან მუდამ იქნება ღმერთი, „მოსწმენდს ყველა ცრემლს მათი თვალებიდან და აღარ იქნება სიკვდილი, გლოვა, გოდება და ტკივილიც აღარ იქნება, ვინაიდან პირველებმა გადაიარეს“ (გამოცხ. 21:4).

„გამოცხადების“ ამ კონცეფციის ერთგვარ გაგრძელებად გვევლინება ნეტარი ავგუსტინეს „ღვთის ქალაქი“, სადაც ფილოსოფოსი მკვეთრად მიჯნავს რელიგიურ მიზნებს საერო, საქვეყნო მიზნებისა და ამოცანებისაგან. „ღვთის ქალაქში“ ის ცხადად გამოხატავს გულისტკივილს ადამიანთა მუდმივი ზრუნვისა და ფიქრის გამო „ამქვეყნიური ქალაქის“ პრობლემებზე, რაც, პიპონელი ეპისკოპოსის აზრით, „ღმერთის ქალაქისაგან“ ადამიანთა დაშორების უეჭველ წინაპირობას წარმოადგენს. ნეტარი ავგუსტინე თვლის, რომ ადამიანების ერთადერთი მისია მინაზე არის განწმენდა ამქვეყნიური ცოდვებისაგან, ვინაიდან მათი „ნამდვილი ცხოვრება“ ზეცაშია. მიწიერი

პილიგრიმობის დასასრულს განკითხვის დღე მოასწავებს, დღე, რომელიც გაათავისუფლებს ღირსეულებს „ამქვეყნიური ქალაქის“ ბორკილებისგან და „ლვთის ქალაქში“ გადაანაცვლებს: „ამ დღის შემდეგ, – წერს ნეტარი ავგუსტინე, – ძველი ადამიანის განადგურებით, მოხდება გარდასახვა, რომელიც ანგელოზებრ სიცოცხლეს უქადის ადამიანებს“ (Августин 1969: 605).

ამავე საკითხის ღრმად თეოლოგიურ მოდიფიკაციას ვხვდებით „სიბრძნე ბალავარისა“-ს ტექსტში: „და ვითარცა ესმა კაცასა მას ღმრთისა, ალიძრა გონება მისი და ცრემლითა. და ჰრეზა: „ცხოვნდე, მეფეო, უკუნისამდე, რამეთუ წარმავალსა წილ აღგირჩევიეს წარუვალი და უმჯობესი, რამეთუ არარაი არს სოფლისა ამის დიდებაი, რამეთუ ვითარცა აჩრდილი წარვალს და ვითარცა კუამლი განიკარგების. ან წარმართე გულის სიტყუაი შენი, რამეთუ კეთილ არს, რაითა წარმავალსა ამისა დატევებითა წარუვალი იგი სოფელი მოიყიდო“ (სიბრძნე ბალავარისი 1960: 233).

ასეთია ძირითადი კონტექსტი, რომელიც წინ უსწრებს რუსთაველის „ვეფხისტყაოსანს“, თუმცა, არის კიდევ ერთი უაღრესად მნიშვნელოვანი ტექსტი, რომელსაც გვერდს ვერც „ვეფხისტყაოსანის“ ავტორი აუვლიდა და ვერც ჩვენ ავუვლით: დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანი“. სწორედ ამ ტექსტს იხსენიებს, და სრულიად მართებულად, ნოდარ წათაძე, თუმცა, რამდენადმე განსხვავებული აქცენტით: „სპეციალურ ლიტერატურაში, – აღნიშნავს მკვლევარი, – ვეფხისტყაოსანს ხშირად აღიარებენ რენესანსულ ნაწარმოებად იმ საბუთით, რომ რუსთაველმა ხორციელ ქვეყანას თავისთავადი მნიშვნელობა მიანიჭა და ადამიანის, ქვეყნიურ გრძნობებს უმდერა. ამგვარი მიღვიმა, ცხადია, მცდარია. მხოლოდ ეს რომ კმაროდეს ნაწარმოების „რენესანსულობის“ მტკიცებისთვის, მაშინ ამ სახელით უნდა მოგვეხსნებინა ყველა ლიტერატურული თუ ხელოვნების ქმნილება, რომელშიაც კი რეალური ადამიანისადმი ინტერესია გამოთქმული.... რენესანსის არსი და, მით უმეტეს, მისი ღირებულება იმაში კი არ არის, რომ მან ხორციელი ადამიანი თავისი ინტერესების ცენტრში დააყენა, არამედ ის, რომ მან ამას მაღალგანვითარებული ასკეტიზმისა და სპირიტუალიზმის, ყველაზე რთული და ღრმა მსოფლმხედველობის – ქრისტიანობის დაძლევის შედეგად მიაღწია... რუსთაველის პოემაც, მაშასადამე, იმიტომ კი არ არის რენესანსული, რომ იგი ხორციელ ვნებებს უმდერის, არამედ იმიტომ, რომ იგი ამოზრდილია მაღალ ქრისტიანულ კულტურაზე და ამ უკანასკნელის არა ლიტონ უარყოფას, არამედ, გარკვეული აზრით, ძლევას და მასზე შორს წასვლას წარმოადგენს. ჩვენ რომ არ შემოვნახოდა დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანი“, მდიდარი ქართული სასულიერო ლიტერატურა და საისტორიო მწერლობა, რომლებიც ქართველებში ცოდვის განწმენდით დამძიმებული ქრისტიანული მსოფლშეგრძნების გაბატონებას მოწმობენ მთელი შუა საუკუნეების მანძილზე, მაშინ შეგვეძლებოდა გვეთქვა, რომ რუსთაველის პოემის ამქვეყნიურობა გაუცნობიერებელი, ასე ვთქვათ, პირველადი ამქვეყნიურობაა და ამ მხრივ ჰომიროსის ეპოსისგან, „ვისრამიანის-

გან“ და ძველი არაბული პოეზიისგან არ განსხვავდება, მაგრამ რაკი ეს ყოველივე შემოგვენახა, ამის თქმის უფლება აღარ გვაქვს ” (ნათაძე 1974: 177-178).

მიუხედავად იმისა, რომ რუსთაველის ესთეტიკას ჩვენ პრერენესან-სულ მოვლენად მივიჩნევთ და არა რენესანსულად, როგორც ამას ნ. ნათაძე ბრძანებს, ვთანხმდებით მეცნიერთან იმ აზრზე, რომ რუსთაველის ეს-თეტიკა რენესანსის ეპიქის ესთეტიკის გარკვეული მახასიათებლების უკვე მატარებელი ტექსტია. თუმცალა, იქ სადაც ნ. ნათაძე ქრისტიანული კულტურის ძლევასა და „მასზე შორს წასვლას“ ჭვრეტს, ჩვენ გვიანი შუასაუკუნეების ქართული ქრისტიანული აზრის დამაგვირგვინებელ აკორდს უფრო ვისმენთ, რომელშიც თავმოყრილია როგორც ადრეული შუასუკუნეების ქრისტიანული ცნობიერება, ისე – „გალობანი სინანულისანი“-ს შემაფასებელი ფილოსოფია. შესაბამისად, „ხორციელი ვნებები“ და სხვა ყოფითი სიუჟეტური ხაზები მხოლოდ აპლიკაციებია იმ საყვაელთო, უმაღლესი, უნივერსალური სიყვარულის, სიკეთისა და ჰარმონიის აღმოჩენის გზაზე, რომელსაც საბოლოოდ უნდა დაადგნენ „ვეფხისტყაოსნის“ გმირები, და, უპირველეს ყოვლისა, ტარიელი, რომელმაც გარდაუვალი ტრნასფორმაცია უნდა განიცადოს.

სად გადის ტექსტში გმირთა ტრანსფორმაციის ძირითადი სადემარკაციო ხაზები?

დაბეჯითებით მიგვაჩნია, რომ „ვეფხისტყაოსნის“ გმირების მხატვრული ტრანსფორმაციის გზა ლიმინალურ მოდელებზე გადის. დავიმოწმებთ ჩვენსავე ნაშრომს – „ტექსტი და ქრონოტოპი“ (2010):

„ტერმინისა და ცნების – „ლიმინალობა“ – ავტორია ფრანგული პოზიტიური ანთროპოლოგიის თვალსაჩინო ნარმომადგენელი არნოლდ ვან გენენები. ნაშრომში „Rites de passage“ (1908) გენებმა არა მხოლოდ თეორიულად განმარტა ლიმინალობის მნიშვნელობა, არამედ პრაქტიკულად წარმოაჩინა მისი მაკორდინებელი როლი, ერთი მხრივ, სეზონური ცვალებადობების, მეორე მხრივ კი – ინდივიდუალური ცხოვრების

სტილის შეცვლის პროცესში. „Rites de passage“ – გადანაცვლების რიტუალი, გენების აზრით, ნებისმიერი ტიპის ცვალებადობის (ადგილის, ქვეყნის ან სოციალური სტატუსის შეცვლის, ასაკობრივი ცვალებადობის და სხვა) აუცილებელ ატრიბუტს წარმოადგენს და გამოკვეთს იმ დიქოტომიას, რომელიც არსებობს „გამყარებულ“ და „გადანაცვლებად“ სტრუქტურებს შორის. გენები მიიჩნევს, რომ გადაადგილების, ანუ ტრანზიტულობის ყოველი პროცესი სამი ფაზით ხასიათდება: 1. გამოცალეკვება, გამოყოფა, ანუ სეპარაცია; 2. მარგინალობა, ანუ ლიმინალობა; 3. გაერთიანება, ანუ ინკორპორაცია. პირველი ფაზა, სეპარაცია, გულისხმობს კონკრეტული ინდივიდუალური ფორმის ან რჩეული ინდივიდის, ე.წ. „ინიციანტის“ იზოლირებას ფიქსირებული სოციალური ან კულტურული სტრუქტურისაგან. იგი აღნიშნავს ინიციანტის მოწყვეტას რეალური დრო-სივრცული გარემოსაგან;

მეორე ფაზა, ლიმინალობა, გამოხატავს ინიციანტის, იგივე „ტრანზიტული მგზავრის“ ამბივალენტურ მდგომარეობას, მის გადანაცვლებას შუალედურ, ამბივალენტურ სოციალურ ზონაში, ე.ნ. „ლიმბოში“; მესამე, ინკორპორაციის ფინალური ფაზა, შეესატყვისება ინიციანტის დაბრუნებას საზოგადოებაში, მხოლოდ განახლებული სოციალური სტატუსით, ე.ი. ინდივიდის „რეაგრეგაციას“.

განსაკუთრებულ ინტერესს, სამი ალნიშნული ფაზიდან, იმსახურებს მეორე, ანუ ლიმინალური ფაზა, რომლის წიაღშიც ინდივიდი იძენს სოციალური გარემოს სრული გაბუნდოვანების გამოცდილებას და ემიჯნება რეალობას. ტერმინი „ლიმინალური“ ლათინურიდან მომდინარეობს (*limen, liminis*) და ნიშნავს ზღურბლს, მიჯნას, ორ განსხვავებულ ადგილს შორის მოთავსებულ გასასვლელ დერეფანს. ანალოგიური მიზნით ინერგება იგი გენების თეორიაშიც: ლიმინალური ფაზა თავისი არსითა და ფუნქციით ტრანზიტული, დინამიკური შუალედური კონდიციაა, მოთავსებული გამყარებულ და ტრანსფორმირებულ სტრუქტურებს შორის. შესაბამისად, გენები მიიჩნევს, რომ გადანაცვლების რიტუალი „Rites de passage“ შეიძლება განისაზღვროს როგორც სამი კონდიციის მთლიანობა: „პრელიმინალურის“, რაც გულისხმობს გამოყოფას წინარე სამყაროსაგან; „ლიმინალურის“, რაც ალნიშნავს ტრანზიტულობის პერიოდს; „პოსტლიმინალურის“, რაც უკავშირდება ახალ სამყაროსთან ინკორპორაციის ცერემონიალს... თითქმის ნახევარი საკუნის შემდეგ, გენების თეორიას სტრუქტურალისტუსი ანთროპოლოგიის სიბრტყეზე გადაიტანს ვიქტორ თერნერი და ლიმინალურ ფაზას განსაზღვრავს, როგორც „ინტერსტრუქტურალურ სიტუაციას“, ალმოცენებულს „სხვადასხვა პოზიციურ სტრუქტურებს შორის“.

თერნერის განსაკუთრებულ ყურადღებას გენების თეორიაში იმსახურებს ლიმინალური ფაზა, რომელიც ასრულებს ზღურბლის ფუნქციას და ერთმანეთისაგან მიჯნავს ცხოვრების განსხვავებულ ეტაპებს. თერნერის აზრით, ინდივიდის დროებითი გამოყოფა გამყარებული საზოგადოებრივი სტრუქტურისაგან ანიჭებს ინდივიდს არა მხოლოდ ამბივალენტურ სოციალურ სტატუსს, არამედ ათავისუფლებს მას ნებისმიერი კანონების, ქცევის ნორმებისა და წესებისაგან, მისი სტატუსი არსობრივად ამბივალენტური და ბუნდოვანია. „ლიმინალური ფაზის პირობებში, – წერს თერნერი, – ინდივიდი არც „აქეთ“ არის და ალარც „იქით“. ის იმყოფება იურიდიულად, ტრადიციულად, კონვენციურად და ცერემონიულად დადგენილ პოზიციებს „შორის“ („betwixt and between“ – ი. რ.)“ (თერნერი 1995: 126). შესაბამისად, შეჩერებულია ინდივიდის როგორც „წინარე“, ისე „მომდევნო“ სტატუსის მოქმედება, ინდივიდი გარიყულის, განუსაზღვრელის პოზიციაშია, რეკონსტრუირებული და განახლებული კულტურული მოდელებისა და პარადიგმების განხორციელების მოლოდინის კონდიციაში<sup>1</sup>. მ. ი. სპარიოსუს მარ-

1 რ. პალმერი აღნიშნავს: „ინდივიდს, რომელიც გადაინაცვლებს ლიმინალურ ფაზაში, გააჩნია ინდივიდის პოტენციალი, მაგრამ მოქცეულია სამყაროებს შორის არსებულ ნაპრალში, ანუ წარმოადგენს ერთგვარ კონცეპტუალურ მედიუმს, „აქ“ და „იქ“ არსებულ ალტერნატიულ სტრუქტურებს შორის“ (Palmer 1980: 8).

თებული შენიშვნით, „ლიმინალობა თერნერისათვის წარმოადგენს არა მხოლოდ ტრანზიტულობის, არამედ პოტენციალურობის ფორმას“ (Spariosu 1997: 133), რადგან ლიმინალობა ამჟღავნებს არა მხოლოდ გამყარებული სტრუქტურებისაგან იზოლირების, არამედ ალტერნატიული სტრუქტურების ფორმირების პოტენციურ შესაძლებლობებს“ (რატიანი 2010: 109-111)<sup>1</sup>.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ „ვეფხისტყაოსანში“ გმირთა ტრანსფორმაცია სტრუქტურულად უკავშირდება ლიმინალურ მოდელებს, რაც გმირის განახლებისა და გარდასახვის კონცეპტუალური წინაპირობაა. კერძოდ, „რაინდულ რომანებში, Rites de passage-ს ორი განსხვავებული სქემაა დანერგილი: ის ებმის ან – ა) ძიების მოტივს, ანაც – ბ) ხეტიალის მოტივს. ეს ორი მოტივი, რომლებიც ოპოზიციური დრო-სივრცული მოდელებიდან მომდინარეობს, ორ განსხვავებულ ხასიათს უკავშირდება: მოძრავსა და სტატიკურს. „ვეფხისტყაოსანში“ ორივე ხასიათია წარმოდგენილი. პირველს განასახიერებს ავთანდილი, ხოლო მეორეს – ტარიელი“ (ელბაქიძე, რატიანი 2014: 30). დავამატებთ, რომ ამ მახასიათებლებით სხვა მთავარი გმირების განსაზღვრაც შეიძლება: ნესტან-დარეჯანის, თინათინისა და ფრიდონის, თუმცა ტრანსფორმაციული კოდი ტექსტში მხოლოდ ტარიელის, ავთანდილისა და ნესტან-დარეჯანის გმირებთან მიმართებით ინერგება<sup>2</sup>. საუბრობს რა ტექსტის მთავარ ’ოთხეულზე’, მ. ლალანიძე სრულიად სამართლიანად მიუთითებს: „პოემის ახალგაზრდა გმირთაგან ერთადერთია თინათინი, რომელიც არ ტოვებს თავისი სამკვიდროს და, ვითრცა სიბრძნის ხორცებს საკუთრ სახლში ბატონობს და განაგებს. ასევე ერთადერთია თინათინი, რომლის სტატუსის შეცვლასაც პოემის დასაწყისიდანე ვჭვრეტთ, – პოემა მისი აღსაყდრებით იწყება, – დანარჩენი გმირები კი – ავთანდილიც, ტარიელიც, ნესტანიც, – სტატუსის შეცვლას მხოლოდ მარტოობის, ტანჯვის, სახლ-კარის მიტოვებისა და ხელახლა მოპოვების შემდეგ აღწევენ. ყოველი ამთვანი გამოდის თავისი მყარი და მდგრადი მდგომარეობიდან. ჩვეული და მშობლიური გარემოდან და სამყაროსა და საკუთარი თავის პირისპირ რჩება, მარტოობაში აღმოჩნდება“ (ლალანიძე 2009: 82).

ტრანსფორმაციული ლიმინალური მოდელების თვალსაზრისით, „ვეფხისტყაოსანში“, ჩვენის აზრით, სამი მხატვრული სივრცული მოდელი მნიშვნელობს (განსაზღვრული შესაბამისი დროითი კოორდინატებით): ტარიელის გამოქვაბული („ქვაბი“), ავთანდილის გზა და ნესტან-დარეჯანის ციხე. წინამდებარე სტატიაში განვიხილავთ მხოლოდ გამოქვაბულის მოდელს,

1 უფრო დეტალურად იხ. ი. რატიანი, ტექსტი და ქრონოტოპი. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემელობა. თბილისი, 2010.

2 შესაძლოა იმ მიზეზით, რომ თინათინი და ფრიდონი იმთავითვე „მეფის“ სტატუსში არიან წარმოდგენილნი და რუსთაველი, როგორც შუა საუკუნეების ავტორი, „მეფეებს“ შეგნებულად არ გაატარებს ტრანსფორმაციის ფაზებს.

რომლის მეშვეობითაც შევეცდებით წარმოვაჩინოთ ტარიელის შინაგანი ტრანსფორმაციის პარადიგმა<sup>1</sup>.

გამოქვაბულში მყოფი ტარიელი უკვე „გადაადგილებული“ პერსონა-ჟია, რომელიც განიცდის სოციალური გარემოს სრულ გაბუნდოვანებას. ერთის მხრივ, პერსონაჟი ემიჯნება რეალობას, ის გარიყულია და, შესა-ბამისად, გაუცხოებული საზოგადოებრივსტრუქტურებთან, რაც ანიჭებს მას ამბივალენტურ სოციალურ სტატუსს და აყენებს იდენტობის დაკარგვის ზღვართანაც კი, ხოლო, მეორეს მხრივ, გმირი იმყოფება განუსაზღვრელის პოზიციაში, რეკონსტრუირებული და ტრანსფორმირებული პარადიგმების განხორციელების მოლოდინში. საიდან სად მიემართება ტარიელი?

ტარიელი, ისევე როგორც მისი ძმადნაფიცი ავთანდილი, გვიანი შუა-საუკუნეების ეპოქის ქრისტიანული რაინდული სულისკვეთების მატარებე-ლი გმირია. თავის ერთ-ერთ ბოლო ნაშრომში – „ბურუუა. ისტორიასა და ლიტერატურას შორის“, უპირისპირებს რა ბურუუას სახეს მხატვრულ ლი-ტერატურაში შუასაუკუნეების რაინდისას, ფრანგო მორეტი აღნიშნავს: „კარგი თვისებებიც კი“ არასაკმარისად კარგი აღმოჩნდა საიმისოდ, რომ ბურუუ-ასაგან შექმნილიყო თხრობითი ჟანრის გმირი, ისეთი, როგორიც იყო მეომა-რი, რაინდი, დამპყრობელი ან ავანტიურისტი – გმირები, რომელთაც ასობით წლების მანძილზე ეყრდობოდა დასავლური ლიტერატურის სიუჟეტები... თუკი არისტოკრატიას ეყო თავხედობა, შეექმნა უშიშარი და უნაკლო რაინ-დების მთელი გალერეა და ამით მოეხდინა საკუთარი თავის იდეალიზაცია, ბურუუაზიამ ეს არ ჩაიდინა. თავგადასავლის დიადი მექანიზმი თანდათან დაიშალა ახალი ბურუუაზიული ცივილიზაციით, თავგადასავლის გარეშე კი გმირმა დაკარგა უნიკალურობა, რომელიც მოულოდნელობასთან შეხვედ-რის ხიბლით იყო განსაზღვრული. რაინდთან შედარებით ბურუუა არაფრით გამორჩეული და მოუხელთებელი მოსჩანდა, ნებისმიერი სხვა ბურუუების მსგავსი“ (Moretti 2013: 8, 16). სხვაგვარად რომ ვთქვათ, რაინდი, ბურუუასაგან განსხვავებით, შუასაუკუნეების არისტოკრატიის ინტერესების გამომხატვე-ლი გმირია, შემკული მისი საუკეთესო თვისებებით, რის წყალობითაც ავტო-რები ადვილად ახდენენ გმირის იდეალიზაციას. რაინდი ცხოვრობს რაინდ-თა კოდექსის თანახმად და თავაზიანი, კეთილშობილი, ერთგული მამაკაცის განსახიერებაა, რომელსაც კურტუაზიულმა ლიტერატურამ მეტი ემოცი-ურობა და ვნებიანობა შესძინა. ამასთან, რაინდები გვიანი შუასაუკუნეების ეპო-ქის მსოფლმხედველობრივი ინტერესების გამომხატველნიც არიან. მათ ხში-რად იხსენიებენ როგორც „ქრისტეს სახელით რაინდებს“: დასავლურ კულ-ტურაში რაინდად კურთხევის ერთ-ერთ პირობას ხომ რელიგიური აღთ-ქმის დადება წარმოადგენს?<sup>2</sup> ამრიგად, სიყვარული, ერთგულება, მამაცობა, თავდადება, კეთილშობილება, სულგრძელობა, თავგადასავლების ძიება – ტარიელისა და ავთანდილის რაინდული ბუნების მარკერებია, ემოციურობა,

<sup>1</sup> ვვარაუდობთ, რომ მსჯელობა გაგრძელდება მომდევნო სამეცნიერო პუბლიკაციაშიც.

<sup>2</sup> იხ. Knights of Christ: Essays on the History of the Crusades and the Knights Templar, Presented to Malcolm Barber. Ed. by Norman Housley. Routledge, 2007.

ვნებიანობა, პრაგმატულობა – ადამიანური/მამაკაცური ბუნებისა, ხოლო სინანული, თვითგვემა, სულზე ფიქრი – ქრისტიანული მისისა. „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის ამოცანის სირთულეს შეადგენს ტექსტის პირობით ისტორიულ-ყოფით რეალობაში არსებული დიქტომიების დადარება მარადიულ დიქტომიებთან, რომლებიც განვითნილია ტრანსცენდენტულ სამყაროში და საითკენაც, ურთულესი შინაგანი ტრანსფორმაციების დაძლევის გზით, უნდა გადაადგილდნენ იგივე გმირები.

გავიხსენოთ პირველი გამოჩენა ტარიელისა: „ნახეს უცხო მოყმე ვინმე, ჯდა მტირალი წყლისა პირსა...“ (85). აბჯარასხმული, ვეფხისტყავით შემოსილი დევგმირი ზის წყლის პირას და ტირის. მოგვიანებით, როდესაც „ქვაბშიგან“ ვნახავთ ტარიელს, ის კვლავ ტირის: „მერმე სულთქვნა, დაიზახნა, ცრემლი ცხელი გადმოყარა...“ (310), რაც შედეგ, არაერთგზის მეორდება ტექსტში. ცრემლი ამ პერსონაჟის უმთავრესი ატრიბუტია, არანაკლებ მნიშვნელოვანი მის ცხენსა თუ ხმალზე. შესაძლებელია, რომ ტარიელის ცრემლები მივიჩნიოთ სინანულის გამოხატულებად? თუ ეს მხოლოდ განშორებისგან გამოწვეული მწუხარების ცრემლია (განშორება საყვარელთან, სამშობლოსთან და სხვ.)? ვფიქრობთ, რომ ამგვარი შეკითხვის დასმის შესაძლებლობას იძლევა როგორც ტექსტის სიუჟეტი, ისე – მისი შექმნის კულტურული კონტექსტი: ერთის მხრივ, ტარიელის ზურგსუან განვითნილია მთელი რიგი მოვლენებისა, რომლებიც აძლევს მას საფუძველს ჩავარდეს მწუხარებასა და სინანულში: ნესტანის დაკარგვა, სამშობლოსგან მოცილება, საკუთარი აღმზრდელის – ფარსადანის მომდურება... მეორეს მხრივ, ტარიელი გვიანი შუასუკუნების ეპოქის რაინდია და, შესაბამისად, სავსებით დასაშვებია, რომ სინანული მისი მსოფლმხედველობის ორგანულ ნაწილადაც განვიხილოთ, მით უფრო, რომ ქართულ ლიტერატურაში უკვე არსებობს დავით აღმაშენებელის „გალობანი სინანულისანი“ როგორც ქრისტიანული სინანულის მხატვრული დეკლარაცია. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ტარიელის რაინდობა წინააღმდეგობაში არ მოდის სინანულის განცდასთან, პირიქით, ვინძლო ამ კომბინაციის მეშვეობით აღწევს რუსთაველი თავისი გმირის ტრანსფორმაციის იმ სიმაღლეს, რომლისკენაც მიიღოტვის.

ტარიელი სწორედაც რომ რაინდია, რომელსაც თავდავიწყებით შეუყვარდება თავისი ხელმწიფის ქალიშვილი, თუმცა, ორმხრივი სიყვარულის მიუხედავად, სიუჟეტური პერიპეტიების გამო, ისინი კარგავენ ერთმანეთს. ტარიელი უშედეგოდ დაექცებს სატრფოს და, უკიდურესი ემოციური ტრანსის მდგომარეობაში, რასაც, რუსთველოლოგები ადარებენ „სიშმაგეს“, ტოვებს სამშობლოს, ადამიანთა საზოგადოებას. ის განმარტოვდება ტყეში, უკაცრიელ გამოქვაბულში, სადაც ეძლევა მწუხარებასა და ვაებას... სიშმაგე, გახელება, შეშლილობა უკვე თავისთავად წარმოადგენს განაპირებულ, არც აქეთა/არც იქითა მდგომარეობას, როცა გმირი განსხვავდება სხვა, ნორმალური ადამიანებისგან; იგი არსობრივად აღარ ეკუთვნის მათ რიცხვს, თუმცა, როგორც ადამიანი, ბოლომდე ვერ არის მოკვეთილი საზოგადოები-

დან. მიშეღლ ფუკო აღნიშნავს, რომ ამ მდგომარეობაში შეშლილი თავად ავლებს ერთგვარ გამყოფ ხაზს და მისი თავგადასავალი „მკაცრად გამოცალევებული და, ამავდროს, აპსოლუტური (სრულყოფილი – ი.რ.) გადაადგილებაა ერთი მდგომარეობიდან მეორეში“ (ფუკო 1967: 11). მაგრამ, როგორი შეიძლება იყოს თავად გადაადგილების, ანუ ტრანზიტის პარადიგმა? იულია კრისტევას აზრით, შეშლილობა არსობრივად დესტრუქციული მოვლენა და მიისწრაფის იდენტობის კრიზისისადმის, რაც მიღებული ტრავმის, ტკივილის, უბე-დურების და ა.შ. შედეგია (Kristeva 1982: 4)<sup>1</sup>. აგნეს კანიუას მართებული შენიშვნით კი, აქ საინტერესო ისაა, თუ „როგორ აღწევს შეშლილობა გმირის ამაღლებულ რაინდულ სხეულში და როგორ გამსჭვალავს მას ულრმესი ემოციებით, რაც ინვევს კიდევაც იდენტობის კრიზისს“ (Kanizsai 2020: 124). სწორედ ამგვარ ზღვართან მდგომი პერსონაჟია ტარიელი. მისი მებრძოლი და შეუპოვარი რაინდული სულისკეთება გადაჩრდილულია სიყვარულის გამო მოგვრილი ტრავმით, სამშობლოს დატოვების გამო მოგვრილი მწუხარებით, მამობილის/აღმზრდელის მომდურების გამო მოგვრილი უხერხულობით... გონებადაბნედილი ეუბნება ის ავთანდილს: „აღარა ვიცი, დამვიწყდეს, თუმც არ დიადი წელია“ (342). მართალია, ყველაფრის დავიწყება ანუ ამნეზია ჯერ არ არის რეალობა, მაგრამ – არც შორეული პერსპექტივაა. რთულია ვამტკიცოთ, რომ ხელმწიფე მამის მიერ ნესტანისათვის შერჩეული საქმროს – ხვარაზმშას შვილის მოკვლა რაიმე სინანულს იწვევს ტარიელში, ვინაიდან, ერთის მხრივ, ის რაინდია, რომელსაც უანრის კანონი ავალდებულებს წარბშეუხრელად მოიშოროს მეტოქე, იბრძოლოს ძალაუფლებისთვის, საყვარელი ქალისთვის და ა.შ., მეორეს მხრივ კი, არც თავად ტექსტი გვარვდის რაიმე ინფორმაციას ტარიელის სინანულის შესახებ; მაგრამ, ყველაფრი, რაც ამ მკვლელობის გამო ხდება – მამობილის/აღმზრდელის ფარსადანის განრისხება, ნესტან-დარეჯანის დაკარგვა, სამშობლოდან დევნილობა – ნამდვილად არის ტარიელის გახელების, განადგურებისა და დესტრუქციის მიზეზი. შესაძლოა, მას არ ანუხებდეს სინანული უშუალოდ ხვარაზმშას შვილის მოკვლის გამო, მაგრამ აუცილებლად აქეს ზემოთ ჩამოთვლილი სხვა დანაკარგებით, როგორც ჩადენილი მკვლელობის უშუალო შედეგით გამოწვეული სინანულის განცდა. ტექსტის მომდევნო პასაჟებში ის ნებაყოფლით განრიდებული/გადაადგილებული პერსონაჟია, რომელიც კაეშანსა და თვითგვემას არის მიცემული და დაეძებს სიკვდილს, ვითარცა ერთადერთ გამოსავალს შექმნილი ვითარებიდან<sup>2</sup>. ტარიელი თავისი რაინდული იდენტობის დაკარგვის წინაშე დგას: მისი, როგორც რაინდის პოზიცია შერყეულია და გაუგებარიც კი. ჩვენი აზრით, ეს სულაც არ არის „უმოქმედ კაეშანის“ მდგომარეობა, როგორც ამას რუსთველოლოგების ერ-

1 მიშეღლ ფუკოს ეკუთვნის ფრაზა, რომელიც მიემართება დონ კიხოტის პერსონაჟს: „შეშლილობა სიკვდილის გაუხრწელი სიცოცხლეა“.

2 რასაც „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის არაერთი სიუჟეტური ადგილი და ფრაზა ცხადჰყოფს.

თი ნაწილი ბრძანებს (დიდი პატივისცემით მათდამი – ი.რ.), არამედ – ტექ-სტში განვითარებული მოვლენების ლოგიკური მხატვრული შედეგი, რაც გმირის ან საბოლოო დაღუპვის, ანაც – განახლებისა და ტრანსფორმაციის დასაწყისად უნდა იქცეს. რუსთაველი მეორე გზას ირჩევს და, როგორც შეჰქვერის გვიანი შუა საუკუნეების გენიალურ ავტორს, თანაც – ქართველს, პიროვნებისა და რაინდის ტრანსფორმაციის პარადიგმას ის გარდაუვალად აკაშირებს ქრისტიანული სამოთხის იდეასთან.

ამ მიზნის მისაღწევად, პირველ ყოვლისა, საჭიროა, რომ ტარიელი გამოემიჯნოს პირობით ყოფით-ისტორიულ რეალობას და გადაადგილდეს ლიმინალურ სივრცეში. სწორედ ასეთად გვევლინება გამოქვაბული, რომელიც ცივილიზაციისგან შორს, ტყეში მდებარეობს, და რომელიც იდეალური ადგილია გმირის ტრანსფორმაციის დასაწყებად. შუასაუკუნეების ესთეტიკის ზემოთ მოყვანილი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრინციპის თანახმად, ეს სწორედ ის შემთხვევაა, როდესაც ბუნება/ლანდშაფტი, როგორც ღმერთის მიერ შექმნილი მოდელი, ცივილიზაციისა და ადამიანებისაგან ხელუხლებელი, აქტიურდება და საშუალებას აძლევს პერსონაჟს, შეიმეცნოს მასში საკუთარი თავი, დაიწყოს განახლება, რამაც საბოლოოდ უნდა გამოკვეთოს მისი სულიერი ზრდის პარადიგმა. მეორეს მხრივ, თუკი გავიხსენებთ შუა საუკუნეების რაინდული რომანების სიუჟეტისათვის დამახასიათებელ ტრადიციულ ხერხს, ტარიელის ხელახალი დაბადების პროცესის კატალიზატორად მისი მეგობარი და ძმადნაფიცი უნდა მოგვევლინოს<sup>1</sup>. გამოქვაბულში ავთანდილმა უნდა შეაღწიოს, გმირმა, რომელიც რუსთაველის ამ უნიკალურ ტექსტში ძლიერი პიროვნებისა და შეყვარებული რაინდის ტიპის მთლიანობის აუცილებელ პირობას წარმოადგენს<sup>2</sup>. ტარიელს დახმარება სჭირდება, მოყვასის თანადგომა, გნებავთ, ქრისტიანული თანაგრძნობა: „ხამს მოყვარე მოყვრისათვის თავი ჭირსა არ დამრიდად“... (708). და ასეთ „მოყვარედ“ ავთანდილი იქცევა. სწორედ ის დაეხმარება ძმადნაფიცს, დაძლიოს სირთულები და ირწმუნოს განახლება. ტარიელის მიერ ავთანდილისათვის თავისი ამბის მოთხოვნის პროცესში შესანიშნავად წარმოჩნდება კონტრასტი ნახევრადპნელ გამოქვაბულს, როგორც ლიმინალურ სივრცესა, და იმ პირობით ყოფით-ისტორიულ სივრცულ მოდელს შორის, რომელშიც მანამდე გაედინებოდა ტარიელის ცხოვრება: შეიდი სამეფო, სამეფო კარი, ხელმწიფის ერთადერთი ასული და ბევრის სხვა რამ, რაც ქმნის ალუზიას იმ ეპოქის ქართულ ისტორიულ რელობაზე<sup>3</sup>. მე-12 საუკუნის საქართველოს პოლიტი-

1 იხ. agnes kaniJai, *The Representation of Madness in a Medieval English Romance*. [http://publicatio.bibl.u-szeged.hu/5232/1/09.C381agnes\\_Kaniz-sai\\_2009\\_13\\_u.pdf](http://publicatio.bibl.u-szeged.hu/5232/1/09.C381agnes_Kaniz-sai_2009_13_u.pdf)

2 დეტალურად ამის შესახებ იხ. მაკა ელბაქიძე, ვეფხისტაოსნის პოეტიკის ზოგიერთი საკითხი შუასაუკუნეების ფრანგულ რაინდულ რომანთან ტიპოლოგიურ მიმართებაში. თბილისი, 2007.გვ. 52-66.

3 რომ აღარაფერი ვთქვათ თინათინის გამეფების ეპიზოდზე, რის თობაზეც კ. კეკელიძე და აღ. ბარამიძე წერენ: „უეჭველზე უეჭველია, რომ ამ ეპიზოდებში თვისებურად აირეკლა მე-12 საუკუნის საქართველოს კონკრეტულ-ისტორიული სინამდვილის რეალური ვითარებანი“ (კეკელიძე, ბარამიძე 1969: 257).

კური და სოციალური რეალობა, ავტორის მხატვრული წარმოსახვისა და შემოქმედებითი ნიჭის მეშვეობით, მხატვრულ ტრანსფორმაციას განიცდის და კონკრეტული ლიტერატურული უანრისათვის დასაშვები დოზით ვლინდება ტექსტში. სახეზეა ფეოდალური სახელმწიფოს, როგორც რეალობის, მხატვრული იმპლიკაცია, მხატვრული დრო-სივრცისა და ისტორიული დრო-სივრცის სწორი ბალანსი, რაც უზრუნველყოფს მკითხველის რწმენას სიუ-უჟეტში გადმოცემული ამბისადმი. ასეთია ქრონოტოპის დიაქრონული ფუნქცია, რაც განსაკუთრებით ეფექტურად მუშაობს გვიანი შუა საუკუნეების სეკულარულ ტექსტებში, კერძოდ კი – რაინდულ რომანში. მიხაილ ბახტინი ამის თაობაზე წერდა: „რა დანიშნულება აქვთ ჩვენს მიერ განხილულ ქრონოტოპებს?.. ჩვენს მიერ განხილული ქრონოტოპები გამოირჩევიან უან-რულ-ტიპური ხასიათით, ისინი საფუძვლად უდევს რომანის უანრის სხვა-დასხვა სახეობას, რომლებიც იქმნებოდა და ვითარდებოდა საუკუნეების მანძილზე“ (ბახტინი 1986: 284-285). ისტორიული ქრონოტოპის ნაკადს, რო-მელიც მისთვის დამახასიათებელი პოლიტიკური თუ სოციალური ნიუან-სებით შემოდის „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტში (სახელმწიფოები, ქალაქები, ჯარი, ვასალები და ყმები და ა.შ.), რუსთაველი ამხატვრულებს და, ამ გზით, ქმნის მხატვრული რეალობის პირობით მოდელს. სწორედ ამგვარი პირო-ბითი მხატვრული რეალობის წილში გაედინებოდა ტარიელის ცხოვრება (და გაედინება სხვა გმირების ცხოვრებაც) ვიდრე ის მეტოქეს მოკლავდა და გამოქვაბულს მიაშურებდა: დაბადება, აღზრდა, დავაკუაცება, შეყვარება, გარდახდილი ბრძოლები და ომები და ა.შ. ანუ ყველა ის მოვლენა, რაც ქმნიდა ტარიელის ცხოვრების წესს. გამოქვაბულის ლიმინალური სივრცე კი კონტრასტულ წინააღმდეგობაშია სივრცის ამ, წინარე მოდელთან: ტა-რიელის მიერ თავისი თავგადასავლის თხრობის პროცესი ავტორი გვიჩ-ვენებს პრინციპულ განსხვავებას, რომელიც არსებობს ტექსტში მხატ-ვრული ქრონოტოპის ყოფით-ისტორიულ და ლიმინალურ მოდელებს შო-რის, პოლიტიკურად და სოციალურად აქტიურ ცხოვრებასა და ნებაყოფ-ლობით განმარტოებას შორის. გამოქვაბულის დანიშნულება არის გმირის თვითგამორკვევისაკენ გადაადგილების ინიცირება. ტარიელმა ხელახლა უნ-და შეიცნოს საკუთარი თავი და ირმუნოს საკუთარი ძალა, ანუ – ხელახლა დაიბადოს. რაინდული რომანის უანრის კანონის თანახმად, განახლებული, ტრანსფორმირებული, გონისმოსული რაინდი „სარგებლობს ახლადმოპოვებუ-ლი თავისუფლებით და მისი ქმედებები კიდევ უფრო დიადი ხდება“ (Kanizsai 2020: 136), ქრისტიანული მწერლობის კანონის თანახმად კი, გმირის განახ-ლება გვიანი შუა საუკუნეების ესთეტიკურ კონცეპტთან თანხმობაში უნდა განხორციელდეს, რაც არის – ადამიანის ქცევა „ხატად ღვთისა“. ასეც მოხ-დება. ტარიელი არა მარტო გამოვა გამოქვაბულიდან, არა მარტო დაიბრუ-ნება საყვარელ ქალს, სამშობლოს და მათთან ერთად – რაინდის იდენტობას, არამედ – მოგვევლინება ზღაპრულ-ფანტასტიკური იდილიის მმართველად, რაც მიგვანიშნებს ტრანსცენდენტური მოდელის ჩართვაზე/გააქტიურება-

ზე მხატვრულ ქრონოგრაფში, კერძოდ, ბიბლიურ სამოთხესა და „ღმერთის ქალაქზე“: „შიგან მათთა საბრძანისთა თხა და მგელი ერთად სძოვდეს“ (1595). ამ სამოთხეში კი ვერავინ შევა ამქვეყნიური სინანულის განცდის გარეშე. გამოქვაბული სწორედ ის სატრანზიტო ზონაა, ლიმინალური, გარდამავალი, არც აქეთა – არც იქითა მოდელი, რომელშიც ტარიელი სულიერად უნდა გაძლიერდეს, განიცადოს შინაგანი ტრანსფორმაცია და შეძლოს ნესტან-დარეჯანის გამოხსნა. ნესტან-დარეჯანის გამოხსნის შედეგები რუსთაველის ტექსტში ცალსახად მიემართება იდილიური ფორმულისაკენ: „თხა და მგელი ერთად ძოვდეს...“ რა არის ეს თუ არა – ბიბლიური სამოთხის ლიტერატურული იმპლიკაცია და მხატვრული ალუზია შუასუკუნეების ესთეტიკის კი-დევ ერთ უმნიშვნელოვანეს პრინციპზე: ადამიანის ქცევაზე ღვთის ხატად მიწიერი ისტორიის დასრულების შემდეგ, ცოდვათა გამოსყიდვისა და დროში განფენილი მარადიული სამყაროს დაბრუნების გზით.

ამრიგად, რუსთაველის ტექსტი, თუმც უკვე ალსავსე პრერენესან-სული მგრძნობელობით, უპირატესად გვიანი შუა საუკუნეების მსოფლმხედ-ველობრივ-კონცეპტუალური პრინციპებითაა განპირობებული და ორიენ-ტირებულია ღმერთსა და ქრისტიანული ჰარმონიის იდეაზე. სწორედ ამისკენაა მიმართული ნებისმიერი ტიპის რეალობა – იქნება ეს წმინდად მხატვრული, მხატვრულ-ტრანსცენდენტური – მისკენა მიმართული, რაც გვაფიქრებინებს, რომ ქრონოგრაფის ლიმინალური მოდელი ერთ-ერთი დომინანტურია რუსთაველის ტექსტში. შოთა რუს-თაველი იმავე როლს ასრულებს ქართულ ქრისტიანულ მწერლობაში, რა-საც დანტე შეასრულებს იტალიურსა და ევროპულში, ხოლო ორივე ერთად – მსოფლიო მწერლობაში: ისინი, მართალია, სხვადასხვა უანრსა და სტილში, მაგრამ თანაბარი ძლევამოსილებით წარმოაჩენენ ქრისტიანული მწერლო-ბის სიმაღლეს, კონცეპტუალურად სრულყოფენ და დააგვირგვინებენ ქრის-ტიანულ ნარატივს, თუმცა, თავიანთი ტრანსფორმაციული სულისკვეთებით, ინინასწარმეტყველებენ რენესანსს, გლობალური ძვრებისა და გარდაქმნე-ბის იდეით შთაგონებულ ეპოქას, რომლის წარმოდგენაც კი შეუძლებელია გვიანი შუასუკუნეების ამ გენიალური ავტორების გარეშე.

#### დამოწმებანი:

Avgustin. „O Grade Bozhiem“. V knige: *Antologiya Mirovoy Filosofii v 4tt, t. I.* Moskva: izdatel'stvo „mysl'“, 1969 (Августин. „О граде Божием“. В книге: *Антология мировой философии в 4тт., т. I.* Москва: издательство «Мысль», 1969).

Aristotel'. *Poetika*. Moskva: 1957 (Аристотель. *Поэтика*. Москва: 1957).

Akhali Aghtkma Uplisa Chvenisa Ieso Krist'esi da Psalmuni. 1990 (ახალი აღთქმა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი და ფსალმუნი. 1990).

Bakhtin, M. "Problema Soderzhaniya, Materiala i Formy v Slovencnom Khydorhestvennom Tvor-chestve". V knige: Bakhtin M. *Literaturno-kriticheskie Stat'i*. Moskva: 1986 (Бахтин, М. „Проблема

- содержания, материала и формы в словесном художественном творчестве“. В книге: Бахтин М. *Литературно-критические статьи*. Москва: 1986).
- Bakhtin, M. “Formy Vremeni i Khronotopa v Romane”. V knige: Bakhtin M. Literaturno-kriticheskie Stat’i”. Moskva: 1986 (Бахтин, М., „Формы времени и хронотопа в романе“. В книге: Бахтин М. *Литературно-критические статьи*. Москва: 1986).
- Elbakidze, M. *Vepkhist’yaosnis P’oet’ik’is Zogerti Sak’itkhi Shuasauk’uneebis Prangul Raindul Romantan T’ip’logiur Mimartebashi*. Tbilisi: gamomtsemloba “p’et’it’i”, 2007 (ელბაქიძე, მ. „ვეფხისტიანის პ’ოეტიკის ზოგეთიკის შოგიერთი საკითხი შუასუუნებების ფრანგულ რაინდულ რომანთან ტიპოლოგიურ მიმართებაში. თბილისი: გამომცემლობა „პეტიტი“, 2007).
- Elbakidze, M. Raiani, I. *Shota Rustaveli’s Romance The Knight in the Panther’s Skin in the Context of European Chivalric Romance: An Anthropological Approach*. In: *Georgian Christian Thought and its Cultural Contest. Memorial Volume for the 125th Anniversary of Shalva Nutsividze (1888-1969)*. Vol. 2. Brill. Leiden-Boston:2014.
- Elliot, R. C. *The Shape of Utopia. Studies in a Literary Genre*. The University of Chicago Press, 1970.
- Foucault, M. *Madness and Civilization*. London: Tavistock Publicationsa, 1967. Turner, V. *The Ritual Process. Structure and Anti-Structure*. New York, 1995.
- Genep, A V. *The Rites of Passage*. London: 1960.
- Genette, G. *Narrative Discourse Revisited*. Translated by Jane E. Lewin. Ithaca, New York: Cornell University Press, 1988.
- Ghaghianidze, M. “Vepkhist’yaosnis” Gmirebi Shin da Garet”. Ts’ignshi: *Mogitkhrobt “Vepkhist’yaosnis” Shesakheb*. Tbilisi: gamomtsemloba “sezami”, 2009 (ღალანიძე, მ. „ვეფხისტიანის“ გმირები შინ და გარეთ“. ნიგნი: მოგითხოვთ „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ. თბილისი: გამომცემლობა „სეზანი“, 2009).
- Gurevich A. *Kategorii Srednevekovoy Kul’tury*. 2-e Izd., icpr. i dop. Moskva: izdatel’stvo “iskusstvo”, 1984 (Гуревич, А. *Категории средневековой культуры*. 2-е изд., испр. и доп. Москва: издательство “искусство”, 1984).
- Kanizsai, A. *The Representation of Madness in a Medieval English Romance*. [http://publicatio.bibl.uszeged.hu/5232/1/09.C381gnes\\_Kanizsai\\_2009\\_13\\_u.pdf](http://publicatio.bibl.uszeged.hu/5232/1/09.C381gnes_Kanizsai_2009_13_u.pdf)
- K’ek’elidze, K’, Baramidze Al. *Dzveli Kartuli Lit’erat’uris Ist’oria*. Tbilisi: Tbilisis universit’et’is gamomtsemloba, 1969 (კეკელიძე, კ., ბარამიძე, ალ. ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1969).
- Kristeva, J. *Powers of Horror: An Essay on Abjection*. Transl. by Leon S. Roudiez. Columbia University Press, 1982.
- Moretti, F. *The Slaughterhouse of Literature. Modern Language Quarterly*, March, Vol. 61, Issue 1. pp. 207-227.
- Natadze, B. *Drota Mijnaze*. Tbilisi: gamomtsemloba “sabch’ota sakartvelo”, 1974 (ნათაძე, ნ. დროთა მიჯნაზე. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1974).
- Palmer, R. E. “The Liminality of Hermes and the Meaning of Hermeneutics”. In: *Proceedings of the Heraclitean Society. A Quarterly Report on Philosophy and Criticism of the Arts and Sciences*. vol.5. Michigan, 1980.
- Platon. „Gosudarstvo“. V knige: Platon, *Sochineniya* в 3тт, т. 3. Mockva: izdatel’stvo „mysl““, (Платон. „Государство“. В книге: Платон, *Сочинения* в 3тт, т.3. Москва: издательство “мысль”, 1971).
- Rat’iani, I. *Kartuli Mts’erloba da Msoplio Lit’erat’uruli P’rotsesi*. Tbilisi: Tbilisis universit’et’is gamomtsemloba, 2018 (რატიანი, ი. ქართული მწერლობა და მხოლოდ ლიტერატურული პროცესი. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2018).

- Rat'iani, I. *T'ekst'i da Kronot'op'i*. Tbilisi: Tbilisis universit'et's gamomtsemloba, 2010 (რატიანი, ი. ტექსტი და ქრონოტოპი. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2010).
- Seneka. "O Blazhennoy Zhizni". V knige: *Antologiya Mirovoy Filosofii v 4 tt.*, t. I. Moskva: izdatel'stvo „mysl'“, 1969 (Сенека. „О блаженной жизни“. В книге: *Антология мировой философии в 4тт.*, т. I. Москва: издательство „Мысль“, 1969).
- Shota Rustaveli. *Vepkhist'y'aosani*. Ak'ademiuri Gamotsema. Red. Al. Baramidze, Ak'. Shanidze. Tbilisi: 1966. Khelmists'vdomia Elekt'ronul Gvedze: <http://literaturatmcodneoba.tsu.ge/vepxistyaozani.pdf> (შოთა რუსთაველი. ვეფხისტყაოსანი. აკადემიური გამოცემა. რედ. ალ. ბარამიძე, აკ. ბანიძე. თბილისი: 1966. ხელმისნადომია ელექტრონულ გვერდზე: <http://literaturatmcodneoba.tsu.ge/vepxistyaozani.pdf>)
- “Sibrdzne Balahvarisi”. *Chveni Saunje*. T'. 1. Tbilisi: gamomtsemloba “nak'aduli”, 1960 („სიბრძნე ბალაჟვარისი“. ჩვენი საუნჯე. ტ. 1. თბილისი: გამომცემლობა „ნაკადული“, 1960).
- Spariosu, M. I. *The Wreath of Wild Olive*. New York Press, 1997.

**Irma Ratiani  
(Georgia)**

### **Rustaveli's Three Realities**

#### **Summary**

**Key words:** Models of fictional reality; aesthetical principles of late middle ages; paradigm os transformationo, limal models.

The goal of the article is to carry out a typological analysis of the artistic space of *The Knight in the Panther's Skin* from the innovative angle of the chronotope and liminality theories.

The *reality*, which is emphasised in the title, is of course, conventional due to the fundamental reason that literature itself is a major conventionality and a “play” with definite notion. Correspondingly, any kind of reality that can be discussed in a fictional text, including *The Knight in the Panther's Skin*, is an intermediary between the possible and indispensable, a conditionality that takes shape within the frames of the creative talents of the author and acquires unique transformational skills within the frames of a text.

In our opinion, the conditional reality represented in the text by Rustaveli is determined by three models: *Artistic*, *historical*, and *transcendental*. Of them, the *artistic reality* is a wholeness of the chronotope of the narrative and the individual chronotopes of characters. The *historical* and *transcendental* models are reconsidered and artistically formulated by the author and are gradually synthesised with the overall artistic fabric of the text. In our opinion, links between each of the models and their smooth functioning are due to:

- The artistic, literary, and aesthetic principles of the late Middle Ages;
- Laws of the genre of chivalric romances;
- Artistic activation of the transformational liminal models.

As is known, the late Middle Ages are the final period of the era of the Middle Ages that follow the early Middle Ages and precede Renaissance. *The Knight in the Panther's Skin* by Rustaveli thoroughly follows the philosophic and aesthetic principles characteristic of the late Middle Ages and at the same time, voices concepts characteristic of Renaissance. This opinion is based on the following arguments:

- In Rustaveli's text, God is regarded as the centre of the universe and the Creator of the universe and essences.

- The creation and management of the world are an act of God's will, rather than indispensability lacking willpower.

- God is the Creator of good and non-creator of evil.

- Rustaveli clearly defends the structure of the universe consisting of two components: The end to the earthly history and the move to the eternal world spread in time seems to be quite organic for Rustaveli, even though the poet does not shun including and reviving in the text the historical and social situation of his time, which demonstrates that the text shares principles of secular literature and positive attitude towards the realism of Renaissance that has not started yet.

The aforementioned methodologically regulates the frames of the chronotope of Georgian chivalric romances that are interesting to us, showing that they are varied and providing the opportunity of drawing new conclusions, specifically:

- The artistic spatial structure of *The Knight in the Panther's Skin* is only partially based on the law of full dominance of topographic uncertainty typical for the Middle Ages. Such uncertainty can be encountered and on many occasions too (Mulghazanzari, Khataeti, Gulansharo, Kajeti Fortress, and so forth), but together with them, there are firm systems of topographic certainty (seven kingdoms, the sea, and so forth).

- The spatial topographic uncertainty in *The Knight in the Panther's Skin* does not imply that characters move between heavens and underground or the bottom of the sea and the far end of the heaven or humans and gods like this happens in Scandinavian sagas and myths of the same period. They move in geographically valid space.

- Characters overcome and experience the space.

- Characters perceive themselves in the nature "created by God", thus drawing closer to Him. Such logic of the purpose is one of the main reasons for making the spatial aspect more varied. The author tries to make the geography of the space more varied, because overcoming geographic distances, the goals of characters become more clearly outlined in the story, increasing the involvement of readers in the story on the one hand and substantiating the logic of characters' inner transformation on the other, which is of essential importance in the Christian literature of the late Middle Ages.

- Skilful alternation of spatial perspectives can be observed in the text of *The Knight in the Panther's Skin*. Artistic and geographic certainty is replaced with mythologised spaces and fantastic uncertainty typical of fairy tales and vice versa. Geographic and historical certainty is one of the pre-Renaissance features of Rustaveli's text.

- The time is organised accordingly. The real and so-called empirical time is deprived of dynamics. It is loaded with happenings, but is static in terms of variability.

Variability implies the qualitative transition of a static situation into dynamism. In the meantime, the dynamism of time bodes fundamental changes and is a transitional step towards another reality - eternity.

- God continues to be the centre of the universe, but feudal society as a historic reality or a local model flows somewhere. The earthly life of characters is typical for the pre-Renaissance era. The text becomes variegated and, correspondingly, socially and structurally determined. This makes the author's artistic objectives more complicated, because he has to show the paradigm of the inner transformation of characters and the projection of the transfer/movement of characters from one model of time and space to another, in other words, the departure of characters from the artistic and geographic certainty to the mythologised uncertainty. Transformation and inner changes are precisely the process the text by Rustaveli is aimed at.

- In the final chapter of the text, the author outlines in one phrase the ideal and utopic structure, ambiguously making it part of a real space that is at the same time full of mystery and mysticism. In the final lines of *The Knight in the Panther's Skin*, the realms of characters represent an ideal space, where it is difficult to view vices characteristic of "Caesar's world" and allusions are made to the "Gold Age" and "Arcadia" of the classical antiquity on the one hand and on the other, the Biblical and Christian Paradise, whose artistic perspectives are close to the fabulous and fantastic idyl characteristic of chivalric romances. Although the author of *The Knight in the Panther's Skin* sympathises precisely with the latter model, there is one interesting nuance that makes us impelled to make a choice: The main characters of fairy tales are not fundamentally transformed in the process of twists and turns and adventures. They just gain experience. In the meantime, characters in *The Knight in the Panther's Skin* are those oriented on transformation. They are to revise their main values due to the trouble that befalls on them.

- We are fully convinced that the path of the artistic transformation of the characters of *The Knight in the Panther's Skin* goes via liminal models. In our opinion, three artistic spatial models are of importance in terms of transformational liminal models (determined by relevant temporal components) in *The Knight in the Panther's Skin*: Tariel's cave, Avtandil's path, and Nestan-Darejan's fortress. Only the cave model is considered in this article, making an attempt to describe the paradigm of Tariel's inner transformation. To support our assumption, the article considers categories such as movement, remorse, rage, the loss of identity, search, transformation, coming out, and entry to the eternal dimension/Biblical Paradise.

It is noted in the conclusion of the article that although Rustaveli's text is already full of pre-Renaissance sensitivity, it is dominated by philosophical and conceptual principles of the late Middle Ages and is based on the idea of God and Christian harmony. Any kind of reality, be it purely artistic, artistic-historical, or artistic-transcendental, is directed to this, which gives rise to the idea that the role Rustaveli plays in Georgian Christian literature is identical with the role Dante will play in Italian and European literature and both in world literature.

## ირაკლი ხვედელიძე (საქართველო)

**შესაძლო სამყაროების კონცეპტი, როგორც ავტობიოგრაფიული  
დისკურსის კვლევის თეორიული საფუძველი აკაკი წერეთლის  
„ჩემი თავგადასავლის“ მიხედვით**

### შესაძლო სამყაროების კონცეპტი<sup>1</sup>

შესაძლო სამყაროების კონცეპტი ანალიტიკური ფილოსოფიის ფარგლებში მოდალური ლოგიკის საფუძვლების დასაზუსტებლად შეიქმნა. მოგვიანებით ეს იდეა ნარატოლოგებმა ტექსტების საანალიზო კონცეპტად აქციეს<sup>2</sup>. შესაძლო სამყაროს ნარატიულ კონცეპტს მნიშვნელოვან კვლევით ინსტრუმენტად აქციეს ის გარემოება, რომ ნარატიული უნივერსუმი ტექსტის გარერეალობისაგან დამუკიდებელად მიიჩნევა, მას საკუთარი სემანტიკური მოდალობა აქვს (Pavel 1986, Ryan 1991): ტექსტში წარმოდგენილი ცალკეული ინფორმაციის მოდალობა ამავე ტექსტის სხვა ინფორმაციასთან მიმართებით განისაზღვრება.

შესაძლო სამყაროების კონცეპტის მიხედვით, ნარატიული უნივერსუმის ცენტრში მდებარეობს აქტუალური სამყარო, ხოლო მას გარს არტყამს ალტენატიული სამყაროები. აქტუალური სამყაროს აბსოლუტური სტატუსი აქვს, მას შეესაბამება სიტყვა ფიზიკურად არსებული/ობიექტური. მისგან განსახვავებით ალტერნატიულ სამყაროებს პერსონულად მენტალური პროცესები ქმნის (Ryan 1991).

ნარატიული დისკურსის ფორმირებისათვის მოვლენებს შორის არსებული მიზეზ-შედეგობრივი კავშირების შექმნა მნიშვნელოვნად მიიჩნევა (Foster 1990). შესაძლო სამყაროების კონცეპტი საშუალებას იძლევა, ამ კავშირების ტიპები განივრცოს. აღნიშნული თეორიის მიხედვით, ნარატიულ ტექსტში წარმოდგენილი ფაქტობრივი მდგომარეობის ცვლილებაზე თანაბარი გავლენა აქვს ფიზიკურსა და ვირტუალურ მოვლენებს (პერსონულად მენტალურ აქტივობებს). პერსონაჟის მენტალური ქმედებების სპექტრი მრავალფეროვანია. ისინი კლასიფიცირდება შემდეგ მოდალურ აპერატორებად:

1 წინამდებარე სტატია შესრულებულია სადისერტაციო კვლევის ფარგლებში, რომელიც შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსდა დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის მიმართულებით.

2 შესაძლო სამყაროების თეორიის განვითარება ფილოსოფიაში და მისი ლიტერატურის მცოდნეობაში დაწერებვის პირველ კრიტიკული ანალიზი მოცემულია რონენთან (2004). აღნიშნული კონცეპტის გამოყენებით მიღებული პროგრესი და სამომავლო პერსპექტივები შეჯამებულია ბელისა და რიანის რედაქტორობით გამოსულ საეტაპო მნიშვნელობის კრებულში (2019).

ალტერნატიული სამყაროების კონცეპტი, როგორც ავტობიოგრაფიული დისკურსის კვლევის თეორიული საფუძველი აკავი წერეთლის „ჩემი თავგადასავლის“ მიხედვით

- a. პერსონაჟის ცოდნა, მისი ეპისტემოლოგიური კომპეტენცია;
- b. პერსონაჟის ვალდებულებები;
- c. პერსონაჟის მისწრაფებები;
- d. შესაძლო სამყარო, რომელსაც პერსონაჟი წარმოსახვით ქმნის.

შესაძლო სამყაროების კონცეპტზე მსჯელობისას უნდა დაზუსტდეს, რომ პერსონაჟის ნებისმიერი მენტალური ქმედება ალტერნატიულ სამყაროს არ ქმნის. განსაკუთრებით ეს ითქმის ემოციების შესახებ. მენტალური პროცესი ალტერნატიულ სამყაროდ მხოლოდ მაშინ განისაზღვრება, როცა ის პერსონაჟის დისპოზიციის ნაწილია. ასეთ შემთხვევაში, პერსონაჟის მენტალური ქმედება მკითხველის მიერ კანონზომიერად აღიქმება. ერთჯერადი მენტალური პროცესი, რომელიც ტექსტის სხვა მონაცემებს არ თანხვდება, გასათვალისწინებელია მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ამავე პერსონაჟის ეპისტემოლოგიური კომპეტენციის შესახებ ინფორმაციას იძლევა.

აქტუალური (ფაქტობრივი) სამყარო ტექსტის ფარგლებში აბსოლუტურად არსებობს, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი აღქმის შესაძლებლობა ამ სამყაროს თითოეულ წარმომადგენელს აქვს. აქტუალური სამყაროს საპირისპიროდ, პერსონაჟის ინდივიდუალური სამყარო, მენტალური პროცესები, ყველასთვის თვალმისაწვდომი არაა. აქტუალური სამყაროს იმანენტური ბუნების დასაზუსტებლად მნიშვნელოვანია, განისაზღვროს, ტექსტში მკითხველს რომელი მთხოვნეული ინსტანცია აძლევს გარანტიას, რომ ფაქტობრივი რეალობის სახელით წარმოდგენილი მოვლენები მთხოვნებლის სუბიექტური აღქმისაგან თავისუფალია? არაპერსონალური მთხოვნებლის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საიმედოობაა აბსოლუტურია. რაც შეეხება პერსონალურ მთხოვნეულს, ის დიეგეზისის ნაწილია და შესაბამისად, მკითხველს მის მიერ სუბიექტურად აღქმული ინფორმაცია მიეწოდება. ასეთ შემთხვევაში, აქტუალური (ფაქტობრივი) სამყაროს განსასაზღვრავად მკითხველმა მთხოვნებლის მიერ მიწოდებული ინფორმაცია სუბიექტურ და ობიექტურ ნაწილებად უნდა დაახარისხოს (Ryan 1991: 113).

ტექსტის ნარატიული სემანტიკის დასადგენად გასათვალისწინებელია აქტუალურ სამყაროში მოქმედი კანონზომიერების თავისებურებაც. გამოიყოფა ორი ტიპი: ა)მთლიან ტექსტში აქტუალურ სამყაროს ერთი ზოგადი კანონზომიერება აქვს ბ) ნარატიული ტექსტების ნაწილში აქტუალური სამყაროს კანონზომიერება ტექსტის სხვადასხვა მონაკვეთში იცვლება. ამ გარემოების გათვალისწინებით, რიანი უნირეგიონალურ და პოლირეგიონალურ ნარატიულ უნივერსუმებს გამოყოფს.

ნარატიული დისკურსი, როგორც უვკე აღინიშნა, ფორმირდება სხვადასხვა მოვლენისა და მდგომარეობის მონაცვლეობთ. ამ პროცესის პროგნოზირება შესაძლებელია აქტუალურ სამყაროში მოქმედი ზოგადი კანონზომიერების მიხედვით. ამდენად, ტექსტის ანალიზისას გასათვალისწინებელია აქტუალიზებადი მოვლენებიც. აქტუალიზებადი მოვლენა ფაქტიურს (უკვე

მომხდარს) უპირისპირდება და ამდენად ერთ-ერთ ალტერნატიულ სამყაროს ქმნის, თუმცა შესაძლო სამყაროს ეს ვარიანტი აბსოლუტურია, ანუ აქტუალური სამყაროს ზოგად კანონზომიერებას ექვემდებარება. ამის საპირისპიროდ, პერსონაჟის მენტალური ქმედებები აბსოლუტურობას მოკლებულია. უფრო მეტიც, ნარატიულ სემანტიკას შეიძლება, სწორედ ზოგადი და ინდივიდუალური მოდალური ოპერატორების თანაარსებობა განაპირობებდეს (Ryan 1991: 109-124).

პერსონაჟის ეპისტემოლოგიური კომპეტენცია: პერსონაჟის ეპისტემოლოგიურ კომპეტენციაზეა დამიკიდებული, ინდივიდუალური და აქტუალური სამყაროები ერთმანეთს რამდენად შეეთავსება. პერსონაჟის ცოდნა შეიძლება იყოს სრული ან ნაწილობრივი, მოიცავდეს მხოლოდ აქტუალური სამყაროს შესახებ ინფორმაციას ან ითვალისწინებდეს სხვა პერსონაჟთა მენტალურ გამოცდილებას. ტექსტში კონფლიქტს უმეტესად პერსონაჟის ეპისტემოლოგიური კომპეტენციის ნაკლოვანება იწვევს, თუმცა ანალიზისას დაკვირვებას საჭიროებს კონფლიქტის წარმოშობის ის შემთხვევაც, როცა პერსონაჟის ეპისტემოლოგიური კომპეტენცია სრულყოფილია, კონფლიქტი კი მაინც იჩენს თავს. ასეთ შემთხვევაში პერსონაჟის გადაწყვეტილება გააზრებულია, დისპოზიციას არ ეფუძნება და ის შესაბამისი ფორმით უნდა ინტეგრირდეს ამავე პერსონაჟის სხვა ნარატივთა შორის.

პერსონაჟის ცოდნა, როგორც უკვე აღინიშნა, სხვა პერსონაჟთა პირად სამყაროსაც მოიცავს. ამ გარემოების გათვალისწინებით, მეთოდოლოგიურად გამართლებულია ნარატიულ ტექსტში პერსონაჟის მენტალური პროცესების განვითარებითობაზე დაკვირვება (Palmer 2004). თავის მხრივ, რაკი დასაშვებია მენტალური პროცესების განვითარება, ანალიზისას არგუმენტებად ჩართული ნარატივის (Embedded Narratives) დეტალებიც უნდა იქნეს გამოყენებული. ჩართული ნარატივი კი უნდა მოიცავდეს როგორც საანალიზო პერსონაჟის წინარე ნარატივს, ისე – სხვა დანარჩენი პერსონაჟებისას<sup>1</sup>.

პერსონაჟის ეპისტემოლოგიური კომპეტენციის დანიშნულებასთან დაკავშირებით უნდა ითქვას ისიც, რომ იგი, როგორც წესი, საფუძვლად ედება პერსონაჟის მიზნებისა და გეგმების ფორმირებას. როგორც უკვე აღინიშნა, აქტუალურ სამყაროს საკუთარი კანონზომიერებები მოეპოვება, ლოკალური კანონზომიერები აქვს პერსონაჟის ინდივიდუალურ (ალტერნატიულ) სამ-

<sup>1</sup> პერსონაჟის მენტალური პროცესების ანალიზის თავისებურებების შესახებ იხილეთ Palmer (2004) და Zunshine (2012). ნარატოლოგების მიერ დიდი ხანია, შემჩნეულია, რომ მხატვრულ ტექსტში პერსონაჟის შესახებ მოცემული ინფორმაცია მკითხველმა უნდა გააერთიანოს; პერსონაჟის მენტალურ გამოცდილებებს შორის ბმები, როგორც წესი, ტექსტში ექსპლიციტურად არა მოცემული, ისინი საკუთარი გამოცდილების საფუძველზე მკითხველმა უნდა შექმნას. შეიძლება ითქვას, ტექსტის სტრუქტურა მოვლენა-თა განვითარების ქრონოლოგიის მიხედვით კი არ განისაზღვრება, არამედ – პერსონაჟის ცნობიერების ფუნქციონირების სპეციფიკით (Herman 1999). პერსონაჟის ცნობიერების კოპერენტული მოდელის შესაქმნელად მკითხველის როლზე იხ. Iser 1978, Eco 1981, Emmott 1997.

ალტერნატიული სამყაროების კონცეპტი, როგორც ავტობიოგრაფიული დისკურსის კვლევის თეორიული საფუძველი აკაკი წერეთლის „ჩემი თავგადასავლის“ მიხედვით

ყარსაც. ეს კანონზომიერებები ხშირად სწორედ პერსონაჟის ეპისტემოლო-გიური კომპეტენციიდან გამომდინარეობს: ჩემი ცოდნის მიხედვით ვიცი, რომ a-ს მოჰყება b. თუ ასე არ მოხდა, მაშინ სავარაუდებელია c ვარიანტის გამო-ყენება (Ryan 1991: 116).

ნარატიულ ტექსტში კონფლიქტის წარმოშობის საკითხის შესასწავლად დაკვირვებას საჭიროებს შესაძლო სამყაროს კიდევ ერთო მოდალური ოპერა-ტორი – მოვალეობები. ეს ოპერატორი შეიძლება ფორმირდეს საზოგადოება-ში მოქმედი წესების ან პერსონაჟის ინდივიდუური გამოცდილების საფუძ-ველზე. მოვალეობები, არსობრივად, კონფლიქტის წარმოშობის რისკფაქტო-რია: ერთი სოციუმის/ადამიანის წინაშე აღებული ვალდებულება პერსონაჟს მეორე სოციუმთან/ადამიანთან კომუნიკაციაში უშლის ხელს.

მიწრაფებათა მოდალური ოპერატორი პერსონაჟის ღირებულებათა, შეხედულებათა სისტემას უკავშირდება. აღნიშნული მოდალური ოპერატორი პერსონაჟისათვის განსაზღვრავს, რა იყოს სასურველი და რა ნაკლებად მი-საღები. ვალდებულებების მსგავსად, მისწრაფებებიც ტექსტის ფარგლებში შეიძლება შეიცვალოს (Ryan 1991: 116-118).

რა სამეცნიერო ღირებულება აქვს შესაძლო სამყაროების კონცეპ-ტის გამოყენებას ავტობიოგრაფიული ტექსტების კვლევისას? ავტობიოგ-რაფიული დისკურსის ფორმირებისა და განვითარების შესასწავლად მნიშ-ვნელოვანია ტექსტში განმცდელი და მთხრობელი ავტობიოგრაფების მო-ნაცვლეობაზე დაკვირვება, რომელიც განმცდელი ავტობიოგრაფის პიროვ-ნული განვითარების პროცესს აჩვენებს. ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ პიროვნების მენტალობა, არსებითად, სოციალური ხასიათისაა, მისი ფუნქციონირება სხვა ადამიანებთან ინტერაქციის შედეგია<sup>1</sup>. თავის მხრივ, პერსონაჟის მიერ გარერეალობის აღქმა ყოველთვის ცალმხრივია. შესაბა-მისად, სწორი მენტალური თეორიის შემუშავება აუცილებელი წინაპირობაა საიმისოდ, რომ იგი სოციუმში ინტეგრირდეს. პერსონაჟის მიერ მენტალუ-რი თეორიის შემუშავების, მისი მოდიფიკაციის შესასწავლად ალტერნატი-ული სამყაროების კონცეპტი მნიშვნელოვან მეთოდოლოგიურ საფუძველს ქმნის. კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ განმცდელი ავტობიოგრაფის მენტალური თეორიის ფორმირებაზე დაკვირვება ავტობიოგრაფის პიროვ-ნული განვითარების თავისებურების დადგენის შესაძლებლობას იძლევა.

1 მხატვრულ ტექსტში განსახოვნებული სოციალური ცნობიერების თავისებურების შესახებ იხ. Palmer 2010.

## პრაქტიკული ნაწილი

განმცდელი ავტობიოგრაფის ინდივიდუალური სამყარო:  
სამშობლოსთან დაკავშირებული ვალდებულებები,  
მისწრაფებები და მიზნები

სავანეში გატარებული წლების აღნერისას ყურადღებას იქცევს განმცდელი ავტობიოგრაფის პიროვნულ და აქტუალურ სამყაროებს შორის არსებული ჰარმონია: ავტობიოგრაფის გარშემო შექმნილი ფაქტობრივი კონტექსტი პერსონაჟის მისწრაფებათა (დაუღვებელი ცნობისმოყვარება, განვითარებისაკენ სწრაფვა) რეალიზების სამუალებას იძლეოდა. აქვე უნდა დაზუსტდეს, რომ აქტუალურ სამყაროს ადამიანური სოციუმის ნაცვლად ბუნების წიაღი ქმნიდა. საანალიზო ეპიზოდი ფოკალიზებულია განმცდელი ავტობიოგრაფის მიერ, რომელიც ამ დროს ბავშვი იყო. მისი შეზღუდული პერსპექტივა მკითხველისათვის განვრცობილია მთხრობელი ავტობიოგრაფის კომენტარებით. განმცდელი ავტობიოგრაფის მენტალური ქმედებები კომპლექსური არ იყო, ძირითადად, მთხრობლის პროტოკლით ნაჩვენებია განმცდელი ავტობიოგრაფის სხვადასხვა ბუნებრივი რეაქცია, ის, რაც ბავშვური ხასიათის ნაწილი იყო. განმცდელი ავტობიოგრაფის შეზღუდული პერსპექტივის განსავრცობად დართული მთხრობელი ავტობიოგრაფის კომენტარები მკითხველს უთვალისინინებს იმ ფაქტორებს, რომლებიც აქტუალურ სამყაროს განმცდელი ავტობიოგრაფის შინაგან სამყაროსთან თავსებადს ხდიდა:

ა) ბავშვი რომ თვალყურს ადევნებს იმათ მუშაობას, თვითონაც ძალაუნებურად მონაწილე ხდება და სწავლობს... ბ) ყმანვილის გრძნობა გონება მოუსვენარია, ყოველ წუთს მოძრაობაშია, მაგრამ ფეხმოუკიდებელი კი არის, დიდხანს ერთსა და იმავე საგანს ვერ შერჩება. ერთგვარობა და ერთფერობა მალე პბეზრდება [...] სამწყესურში ნასვლა, მინდვრად და ტყეში და იქ დარჩენა ჩემთვის სამოთხეში შესვლა იყო (წერეთელი 2015: 13-15).

გამუქებული სიტყვები მიანიშნებს პერსონაჟის რეალიზებულ მისწრაფებებზე. საანალიზო ავტობიოგრაფიული ტექსტისათვის კონცეპტუალური თვალსაზრისით განსაკუთრებული ლირებულება აქვს „ქორობიას“ შესახებ მოგონებას, რომლითაც სავანეში გატარებული წლების შესახებ თხრობა სრულდება. ავტობიოგრაფიული მეხსიერების თანამედროვე კვლევების მიხედვით, პიროვნული იდენტობის სტაბილურობისათვის აუცილებელია ადამიანი საკუთარ განვლილ ცხოვრებაში ლოგიკურ მიმართულებას ხედავდეს, მოგონებებს კოპერენტულობა უნდა ახასიათებდეს და საკუთარი ცხოვრების ნარატივში ადამიანი ავტობიოგრაფიულ არგუმენტებს უნდა პოულობდეს (Habermas 2019). „ჩემი თავგადასავლის“ მთხრობლისათვის განვლილ ცხოვრებას მიმართულებას აძლევდა სწორედ სამშობლოს ფენომენი, გადაწყვეტილებების მიღებისას მთავრი ავტობიოგრაფიული არგუმენტებიც მას უკავშირდებოდა. შესაბამისად, მთხრობლის იდენტობის მდგრადო-

ალტერნატიული სამყაროების კონცეპტი, როგორც ავტობიოგრაფიული დისკურსის კვლევის თეორიული საფუძველი აკავი წერეთლის „ჩემი თავგადასავლის“ მიხედვით

ბისათვის მნიშვნელოვანი იყო სამშობლოს შესახებ მოგონებები ჯერ კიდევ ბავშობის პერიოდს დაკავშირდებოდა. სამშობლოს შესახებ თხრობა კი მის ცნობიერებაში, საანალიზო ტექსტის მიხედვით, არასასურველი გამოცდილება უკავშირდებოდა: სოციალური კონტექსტი მას სამშობლოსადმი მსახურების საშუალებას არ აძლევდა. აღნიშნული გამოცდილების კვალი ეტყობა „ქორობიას“ შესახებ თხრობასაც: ის, ერთი მხრივ, არღვევს, ბავშვის იდილიურ ყოფას და მეორე მხრივ, სტრუქტურული თვალსაზრისითაც, წინარე ნარატივისაგან განსხვავებით, უფრო მეტად ჩანს დაკავშირებული განმცდელი ავტობიოგრაფის ცხოვრების მომდევნო ეტაპებთან, მისი ცხოვრებს გარდამტეს პერიოდებთან.

მთხოვნელი ავტობიოგრაფი „ქორობიას“ აღნერისას აზუსტებს სამშობლოს აღქმა არაცნობიერად, იდუმალი სახით პირველად როგორ განჩნდა განმცდელი ავტობიოგრაფის ცნობიერებაში, ცნობიერად კი სამშობლოს ინტეგრირება იდენტობის მოდელში გიმნაზიაში სწავლისას განხოციელდა. მთხოვნელი ავტობიოგრაფის ცერსპექტივდან სწორედ სამშობლო იქცა განმცდელი ავტობიოგრაფის კონცეპტუალური მეს იმ კომპონენტად, რომელმაც განმცდელი ავტობიოგრაფის შინაგანი სამყარო აქტუალურ სამყაროსთან არათავსებადი გახადა.

„ქართველის ოდენი სხვადასხვაგვარი სათამაშო თითქმის არც ერთ ხალხს არა აქვს და ყოველგვარი სათამაშოც უთუოდ ისეთია, რომელიც ჭკუაგონებასა და სხეულს სწვრთნის, ავარკვიშებს. ყველას არ ჩამოგითვლით აქ, რადგანაც შემდეგ კიდევ მექნება მათზე მსჯელობა განასაკუთრებით, და დავასახელებ მხოლოდ „ბურთაობას. აბა, რომელი „გიმნასტიკა“ შეედრება მას?“ (წერეთელი 2015: 16)

გამუქებული სიტყვები მიანიშნებს, რომ „ბურთაობის“ შემდეგ აღსანერ თამაშსაც („ქორობია“) სოფლის იდილიური ყოფის ჩვენების ფუნქცია ექნება, თუმცა მთხოვნელი ავტობიოგრაფის ეს მინიშნება არასანდოა. „ქორობიას“ შესახებ მონოდებული ინფორმაცია მკითხველისათვის შექმნილ ამ მოლოდინს არ შეესაბამება:

„ზემოთაც მოვიხსენიე, რომ ქართველებს ურიცხვი და უთვალავი სათამაშოები გვაქვს-მეთქი. ერთი მათგანი სამუდამოდ ჩამრჩა გრძნობა-გონებაში, თუმც ის თამაშობა თავისთავად სახალისო არ არის“ (წერეთელი 2015: 17).

საანალიზო კომენტარი, მართალია, აჩვენებს, რომ მთხოვნელი ავტობიოგრაფი აცნობიერებს აღსანერი ეპიზოდის რაგვარობას („სახალისო არაა“), თუმცა არადამაჯერებელია მისი განსახოვნების ის მოტივი, რომელსაც მკითხველს სთავაზობს. სიტყვები „ზემოთაც მოვიხსენე“ მკითხველისათვის იძლევა გზავნილს, რომ „ქორობია“ წინარე ეპიზოდების ლოგიური გაგრძელებაა, ანუ აჩვენებს პერსონაჟის პირადი და აქტუალური სამყაროების თავსებადობას. აღნიშნული ეპიზოდის ფარგლებში მთხოვნელის არასაიმედობას ეპიზოდის შინაარსი და განსახოვნების ფორმა ავლენს.

„ეს თამაში მე არ მიყვარდა, თუმცა ყოველდღე სხვადასხვა თამაშობას ამითი ვაბოლოვებდით ხოლმე [...] არ ვიცი, ეს თამაშობა, რომელიც სავარჯიშოდ დიდი არა არის რა, განზრას იყო გამოვონილი რაიმე სამნიშვნელოდ, თუ ისე შემთხვევით, უბრალოდ, მაგრამ დღეს რომ ვაკეირდები, ძალიან მაგონებს ჩვენი ქვეყნის ძედს [...] მაშინ მეს არ მესმოდა, რასაკვირველია, მაგრამ გულზე კი რაღაც უნებურად მკენდა და მეჯავრებოდა „ქორობია“ (წერეთელი 2015: 18).

შინაარსობრივად დამოწმებულ ეპიზოდში წინარე ეპიზოდების თემატიკას არ შეესაბამება განმცდელი ავტობიოგრაფის პიროვნული და აქტუალური სამყაროების შეუთავსებლობა, რაზეც მიანიშნებს სიტყვები არ მიყვარდა. მკითხველისათვის დამატებით კითხვის ნიშანს აჩენს ის გარემოება, რომ „ქორობია“, როგორც მთხრობელი აღნიშნავს, ბავშვის სავარჯიშოდ გამოუსადეგარი იყო. მთხრობელმა ქართული თამაშების შესახებ მსჯელობა დაიწყო, რათა ეჩვენებინა, რომ მათში ბავშვის ბუნებრივი მოთხოვნილებები მაქსიმალურად იყო გათვალისწინებული, რაც, თავის მხრივ, ქალაქური აღზრდის სისტემისათვის უცხოდ წარმოდგებოდა.

სოფელში გატარებული წლების აღწერისას განმცდელი ავტობიოგრაფის მენტალური პროცესები მარტივია, მხოლოდ ბავშვის ხასიათზე დაიყვანება, რომელიც გამჭვირვალე და ადვილად დასანახია დაკვირვებული თვალისათვის. „ქორობიას“ ეპიზოდი კი აჩვენებს, რომ ჯერ კიდევ ბავშვის შინაგან სამყაროს იდუმალი შრეებიც აქვს, რომელიც რაციონალური მსჯელობით ვერ აიხსნება. მთხრობელი ექსპლიციტურად არ წარმოადგენს „ქორობიას“ აღწერის მოტივს, რაც თვითცენზურის არსებობაზე უნდა მიანიშნებდეს. ის, რომ მთხრობელი არასაიმედოდ სწორედ ამ ეპიზოდის აღერისას წარმოდგება, იმ გარომობაზე მიანიშნებს, რომ აღნიშნულ თამაშს მთხრობელი ავტობიოგრაფის იდენტობისათვის ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს.

„ქორობიას“ აღწერას რამდენიმე ეპიზოდი უძღვის წინ. ეს ეპიზოდები ერთმანეთისაგან გამიჯნულია და მთხრობლის კომენტარებით მონიშნულია ახალი ეპიზოდის დაწყება, ამასთნ ყოველი ახალი ეპიზოდი წინარეს ლოგიკურად ებმის. ამ თვალსაზრისით გამონაკლისა საანალიზო მონაკვეთი. „ქორობიას“ კონცეპტუალური დატვირთვა აქვს, მან სავანეში გატარებული წლების შესახებ თხრობა უნდა დაასრულოს და იმავდროულად განმცდელი ავტობიოგრაფის მთელი შემდეგი ცხოვრების ორიენტირი უნდა დასახოს.

„ქორობიას“ თამაშით გამოწვეული ემოცია განმცდელი ავტობიოგრაფისათვის შემანუხებელი იყო ხოლმე, ამიტომ ბავშვური მიამიტობით ძიძასთან ცდილობდა ქორის აგრესის საფუძვლების ახსნას. როგორც მთხრობელი ავტობიოგრაფი აღნიშნავს, ძიძა აღსაზრდელის შფოთვას უსაფუძვლოდ მიიჩნევდა, განმცდელი ავტობიოგრაფის კითხვას – „რა დაუშავა კრუხმა ქორს?“ – ბანალურად უპასუხებდა ხოლმე – „ჭამა უნდაო“. ეპიზოდის შემდგომი განვითარება აჩვენებს, რომ „ქორობიას“ მისტიკური მხარე მხოლოდ გამოუცდელი ბავშვის ყურადღებას არ იქცევდა. ძიძამ, რომელიც

ალტერნატიული სამყაროების კონცეპტი, როგორც ავტობიოგრაფიული დისკურსის კვლევის თეორიული საფუძველი აკაკი წერეთლის „ჩემი თავგადასავლის“ მიხედვით

„ქორობიას“ თანმხლებ ბავშვურ რეაქციას სეროიოზულად არ აღიქვამდა, მოგვიანებით აღმოაჩინა, რომ „ქორობიას“ მინიშნებები მის ცხოვრებასაც უკავშირდებოდა:

„ერთხელ სახლში რომ დაგბრუნდი, მოწყენა შემნიშნა ძიძამ და მითხრა: „რა იყო, ქორობია ხომ არ გითამაშიათო“. ვითამაშეთ და ქორმაც მე გამოტაცა მეთქი! – ვუბასუხე სიცოლით. ძიძამ ჩამიჯრა გულში და დაიწყო ტირილი. მე გამიკვირდა და ვკითხე: რა გატირებს მეთქი! – ის მატირებს, რომ ხვალ ჩემ წინდლასაც მოიტაცებენ და მომაშორებენო! [...] მეორე დღეს კი ყოველივე გავიგხ: სამუდამოდ გამომათხოვეს სოფელს და წამიყვანეს სასახლეში“ (წერეთელი 2015: 18).

დამოწმებული ამონარიდის მიხედვით, როლები შეცვლილია: განმ-ცდელი ავტობიოგრაფის გაკვირვება გაპირობებულია ძიძის რეაქციით. იგი კვლავ მოელოდა, რომ აღმზრდელი აღსაზრდელის გულისტკივილს ჩვეული გულდამშვიდებით შეხვდებოდა, მაგარამ ამ ეტაპზე უკვე მისთვისაც საცნაური გახდა „ქორობიას“ იდუმალი ბუნება. ქორობიას ეპიზოდით მთავ-რდება სავანეში გატარებული წლების აღწერა და იწყება ახალი ეტაპი („სულ ახალი ცხოვრება უნდა დამეწყო“).

სამშობლოსადმი განმცდელი ავტობიოგრაფის დამოკიდებულების საჩვენებლად კიდევ ერთი ეპიზოდის გახსნება შეიძლება გიმნაზიაში სწავლის პერიოდიდან: განმცდლემა ავტობიოგრაფია უარი თქვა გიმნაზიის დას-რულების შემდეგ საუნივერსიტეტო განათლების მიღებაზე. ჯერ კიდევ სა-ვანიდან სასახლეში გადასული განმცდელი ავტობიოგრაფის პიროვნული სამყაროს ფორმირებაში განსაკუთრებულ როლს თამაშობდა კითხვისადმი, სწავლისადმი განსაკუთრებული ინტერესის ეტაპობრივად ჩამოყალიბება. როცა პეტრე ბაგრატიონმა მას ჰქითხა, რამდენად გამოცდილი მხედარი იყო, ავტობიოგრაფია უპასუხა: „მე ცხენებისათვის კი არ მიდევნია! წიგნები მე-ჭირა ხელში!“ განმცდელი ავტობიოგრაფის ეს სიტყვები აჩვენებს, რამდენად მნიშვნელოვანი იყო მისთვის სწავლა. აღნიშნულის მიუხედავად, მან გიმნა-ზიის დასრულებაზე უარი თქვა და სამხედრო კარიერაზე იცნება დაიწყო. მი-ღებული გადაწყვეტილება სამშობლოსადმი მსახურების სურვილით იყო განპირობებული.

გიმნაზიაში სწავლის ბოლო წლებში განმცდელი ავტობიოგრაფი ფრანგულის მასწავლებელ მუსიე ტურესისთან ცხოვრობდა. ერთხელ ამ უკანასკნელთან სტუმრად მივიდა განმცდელი ავტობიოგრაფის საყვარელი მასწავლებელი. მასპინძლისა და სტუმრის საუბარს განმცდელი ავტობიოგ-რაფი ჩუმად უგდებდა ყურს, ისინი საფრანგეთის დიდი რევოლუციის შე-სახებ საუბრობდნენ, თანაც ამ პროცესთან მიმართებით როდზიევიჩი სა-კუთარი სამშობლოს, პოლონეთის, კონტექსტსაც აანალიზებდა. განმცდელი ავტობიოგრაფის ცნობიერებაში ეს დიალოგი დამთავრდა როდზიევიჩის სევდანარევი, სინანულის გამომხატველი სიტყვებით:

„ახლა რაღა დროს ვწუხვარ, რომ სამხედრო სამსახურში არ შევედი, რომ სარდალი გავმხდარიყავ და მარჯვე დროს ქვეყნისათვის კონრადივით სამსახური გამენია“ (წერეთელი 2015: 69).

საყვარელი მასწავლებლის სიტყვების მიხედვით, სამშობლოზე ქმედითად ზრუნვა მხოლოდ სამხედრო სამსახურით იყო შესაძლებელი. გამცდელი ავტობიოგრაფისათვის მოსაუბრეთა მსჯელობა აბდაუბდად ალიქმებოდა და იმავდროულად განსაკუთრებულ ემოციას იწვევდა: „იმათმა აბდაუბდა საუბარმა ისე გამიტაცა, რომ რაღაც უჩვეულო სასუფეველი ვიგრძენი“ (წერეთელი 2015: 69), მოცემულ შემთხვევაში შეფასება „აბდაუბდა“ არ გულისხმობს იმას, რომ მოსაუბრეთა მსჯელობა უშინაარსო, არაადეკვატური იყო, არამედ აჩვენებს განმცდელი ავტობიოგრაფის აღქმის თავისებურებას. განვითარების ამ ეტაპზე მის პირად შინაგან სამყაროს დიდწილად ოცნებები განსაზღვრავდა („ოცნებით გაძერილი დავადეჭი რუსეთის ვზას“). შესაბამისად, დიალოგის მოსმენისას ის მსჯელობის ლოგიკას არ აკვირდებოდა, მის ყურადღებას ცალკეული სიტყვები და ფრაზები იქცევდა, რომელთაგან საკვანძო დაფიქსირებულია მთხოობელი ავტობიოგრაფის ნარატივში. ეს ფრაზა იმაზე მიანიშნებს, რომ განმცდელი ავტობიოგრაფის ოცნებები მისი პიროვნებისათვის ფუნდამენტური მნიშვნელობის მიზნის (სამშობლოსადმი მსახურების) განხორციელებას უტრიალებდა. მიზნის სიდიდემ განაპირობა ის, რომ განმცდელმა ავტობიოგრაფმა სხვა მნიშვნელოვან ორიენტირზე, საფუძვლიანი საუნივერსიტეტო განათლების მიღებაზე, უარი თქვა.

საანალიზო ავტობიოგრაფის კოპერენციული შინაარსის დეკოდირებისათვის ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ მთლიანი ტექსტის ფარგლებში სამშობლოსთან დაკავშირებული განმცდელი ავტობიოგრაფის ნარმოდგენები მუდმივად ოცნების, სამომავლო გეგმების ნაწილია. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა ქუთაისიდან მოსკოვში მიმავალი ავტობიოგრაფის ვიზიტი ვორონცოვის ქვრივთან. დასახელებული ეპიზოდის დეტალური ანალიზი ნინამდებარე სტატიაში სრულად ვერ მოხერხდება, მხოლოდ კვლევის მთვარი დასკვნისათვის რელევანტურ რამდენიმე გარემოებას მიექცევა ყურადღება: სამშობლო განმცდელი ავტობიოგრაფისათვის მოცემულობა კი არ არის, არამედ მას შექმნა სჭირდება.

სამშობლო (საქართველო) როგორც სოციალური სივრცე პირველად რელატივირებულია სააანლიზო ეპიზოდის ფარგლებში. აღნიშნული მიზნით მთხოობელი ავტობიოგრაფი ჰიპოთეტური ფოკალიზების სტრატეგიას ირჩევს<sup>1</sup>. ვორონცოვის ქვრივი და მისი გარემოცვა ნარმოდგენილნი არიან ჰიპოთეტურ ფოკალიზატორებად; ისინი, როგორც დამკვირვებლები, აფასებენ ქართულ რეალობას, მათი მსჯელობა გაჯერებულია ქართული ყოფის სავარაუდო, შესაძლო ვარიანტების ნარმოჩნით. სანიმუშოდ შესაძლებელია ქვრივის ერთ-ერთი კომენტარის მოხმობა:

1 სოციალური მენტალობის საანალიზო კატეგორიები აღებულია პალმერის ნაშრომიდან (2010). ჰიპოთეტურ პერსპექტივაზე, როგორც ნარატორის მიერ შექმნილ კონცეპტუალურ ჩარჩოზე, პირველად ყურადღება გამახვილა ჰერმანმა (1994).

ალტერნატიული სამყაროების კონცეპტი, როგორც ავტობიოგრაფიული დისკურსის კვლევის თეორიული საფუძველი აკაკი წერეთლის „ჩემი თავგადასავლის“ მიხედვით

„ნუ დაივიწყებთ, რომ ამისთანა რამებს უბრალო მეგიშრები აკე-თებენ იმერეთში. ისინი გლეხები არიან და არსად რამე უნახავთ, გარდა გარდამოხსნისა და ხატებისა ეკლესიებში: მათი სამხატვრო გალერა, მათი სკოლა – მარტო ბუნებას საქართველოსი [...] ეს უბრალო ხელოვნება განა არ ამტკიცებს, რომ იმათ, თუ გარემოებას ხელი არ შეეშალა მათთვის, თავისის საკუთარი რაფაელები და მიქელანჯელოები ეყოლებოდათ (წერეთელი 2015: 70).

ჰიპოთეტური ფოკალიზების გამოყენებით მთხობელი ავტობიოგრაფი ცდილობს წარმოაჩინოს, რომ სამშობლო განმცდელი ავტობიოგრაფისათვის მხოლოდ იდეის დონეზე არსებობდა, ის კონკრეტულ მოცემულობად მომავალში უნდა ქცეულიყო.

### **განმცდელი ავტობიოგრაფის სოციალური მენტალობა**

სამხედრო კარიერაზე ფიქრი რუსეთში ჩასულმა განმცდელმა ავტობიოგრაფმა კვლავ შეცვალა, გადაწყვიტა სტუდენტი გამხდარიყო, მიზეზი კვლავ სამშობლოზე ზრუნვა იყო. გადაწყვეტილების მიღების მაპროვოცირებელი კონტექსტის გასათვალისწინებლად საყურადღებოა შემდეგი ამონარიდი: მაშინდელი სტუდენტობა სულ სხვანაირი იყო საზოგადოდ და ქართველებ-საც, მათთან ერთდ სხვა ფერი ედვა ... მეც მათთნ სტუმრობამ მაღე ვადამიგ-დო გულიდან სამხედრო სურვილები და ძალაუნებურად მათ წრეში ამოვყავი თავი (წერეთელი 2015: 80).

მოცემულ ამონარიდში საგანგებო ყურადღებას საჭიროებს სიტყვა ძალაუნებურად, კერძოდ, დასაზუსტებელია, ამ შეფასების მიხედვით, ვინ არის ფოკალიზატორი. წინასწარ უნდა აღინიშნოს, რომ ფოკალიზატორი ერთი ადა-მიანი არაა, ესაა სოციუმი (სტუდენტობა).

საანალიზო მონაკვეთის მიხედვით, სტუდენტობა ცალკე მოქმედი სუ-ბიექტია, მისი მენტალური ქმედებები არ უდრის ამ სოციუმის წევრთა მენ-ტალური ქმედებების ჯამს, ის თვისებრივად ახალი კონსტრუქტია. დიდი და მიკრო ჯგუფების მენტალური პროცესების ერთმანეთთან შედარება და მსგავსება-განსხვავების დადგენა ცალკე გასაანალიზებელი საკითხია. ასე-ვე დასკვნების გამოტანისას გასათვალისწინებელია ინტერ- და ინტრამენ-ტალური პროცესების ერთმანეთთან მიმართება.

მაინც როგორია სტუდენტობის, როგორც სოციუმის, მენტალური პრო-ცესები, რომლებიც განმცდელი ავტობიოგრაფს, ძალაუნებურად, პრინცი-პულ გადაწყვეტილებას აცვლევინებს?

სტუდენტებში მთავარ განცხადებულ ქცევით წესს სიახლისაკენ, გან-ვითარებისაკენ სწრაფვა წარმოადგენდა. ამ ცოდნას ჯგუფში ყველა იზი-არებდა. იგი უნდა ყოფილიყო სტუდენტობის მიზნებისა და გეგმების გან-

მსაზღვრელი. დასახული მიზნისაკენ სტუდენტობის სწრაფვა განსაკუთრებული ემოციურობით ხასიათდებოდა, რადგან სიახლისა და განვითარებისაკენ სწრაფვას პირადი მისწრაფებები არ დასდებია საფუძვლად. ქართველ სტუდენტებს სწავლათ, რომ მათი აქტიურობა მოტივირებული იყო სამშობლოზე ზრუნვით.

აღნიშნულ ინფორმაციას მკითხველს მთხობელი ავტობიოგრაფი ტექსტის მეორე ნაწილში აწვდის. იგი იმ დროისათვის რუსეთში დაფიქსირებული რევოლუციური პროცესების საფუძვლად მსოფლიოში მიმდინარე ეროვნულ-განმანთავისუფლებელ მოძრაობას მიიჩნევს: გარიბალდი, მაძინი და კოშუტი გაუხდათ ყველა შეგნებულ მამულიშვილებს იდეალად. წორედ ამ დროს გამოვიდა სტაროველი სემინარიელი ჩერნიშევსკი ... და დასცა რუსეთს კიუინა (წერეთელი 2015: 81). ქართველი სტუდენტობა აღნიშნული მოვლენების ეპიცენტრში იმყოფებოდა და რევოლუციური იდეები მათი დისპოზიციის (ქვეცნობიერის) ნანილად იყო ქცეული. მთხობელი ავტობიოგრაფი აზუსტებს იმასაც, რომ რუსეთში მიმდინარე პროცესები ინტენსიური და აქტიური იყო, ქართველი სტუდენტობის ნებისმიერი მოქმედებაც ამ სულისკვეთებას აირევალავდა.

პეტრე ბაგრატიონისაგან წამოსული ავტობიოგრაფის მიერ სამხედრო კარიერაზე უარის თქმის საფუძველი ტექსტში დაუზუსტებელია, მხოლოდ ზოგადი მინიშნებებია მოცემული – „მაშინდელ სტუდენტობას სხვა ფერი ედვა“. მთხობელი ავტობიოგრაფის ეს მინიშნება სწორედ სამშობლოს ბეჭდებებით მოტივირებული სტუდენტობის რევოლუციურ მისწრაფებებს უნდა გულისხმობდეს. ამასთან, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ სტუდენტობა აქტიური იყო, გასაგები გახდება, თუ ძალაუნებურად რატომ აღმოჩნდა განმცდელი ავტობიოგრაფი სტუდენტითა რიგებში და რატომ გადაწყვიტა საუნივერსიტეტო განათლების მიღება: განმცდელი ავტობიოგრაფისათვის თანამედროვე რეალობაში სამშობლოზე ზრუნვის ადეკვატურ ფორმად იდეოლოგიური ორიენტირების დაზუსტება განისაზღვრა, გადაწყვეტილების მიღებაზე გავლენას მოახდენდა ემოციური ფონიც, რომელიც ქართველი სტუდენტების რევოლუციურ მოძრაობას ახლდა.

ანალიზის ამ ეტაპზე დაზუსტდა, რატომ დარჩა განმცდელი ავტობიოგრაფი პეტერბურგში, თუმცა ჯერ კიდევ განმარტებას საჭიროებს, რამ უბიძგა მას, უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ ქართველ სტუდენტობასთან ურთიერთობა შეეწყოთა. ტექსტის ანალიზის შედეგად გამოტანილი დასკვნა ასეთია: გადაწყვეტილების მიღების მომენტში განმცდელმა ავტობიოგრაფმა ქართველი სტუდენტობის მეტალობა არასწორად შეაფასა. უნივერსიტეტში სწავლისას ჩამოყალიბებულმა ინტერენტალურმა პროცესებამა (სოციუმთან ინტეგრაციამ) მას მოგვიანებით აჩვენა, რომ აღნიშნული მიკრო ჯგუფის დეკლარირებული ქცევითი წესები და რეალური ქმედება ერთმანეთს არ შეესაბამებეოდა. შესაბამისად, იქ დარჩენა განმცდელ ავტობიოგრაფს შესაძლებლობას არ აძლევდა, საკუთარი მისწრაფების თა-

ალტერნატიული სამყაროების კონცეპტი, როგორც ავტობიოგრაფიული დისკურსის კვლევის თეორიული საფუძველი აკაკი წერეთლის „ჩემი თავგადასავლის“ მიხედვით

ნახმად ემოქმედა, საკუთარი მიზნები (სამშობლოსადმი მსახურება) განეხორციელებინა. ამდენად, როგორც კი საშუალება მიეცა, მან ეს სოციუმი დატოვა. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ განმცდელი ავტობიოგრაფის მიერ აღნიშნული გარემოების გაცნობიერება მტკივნეული იყო და მის შინაგან სამყაროში მიმდნარე მენტალური პროცესების დრამატიზებას იწვევდა.

ქართველ სტუდენტთა შორის მოქმედი არაოფიციალური ქცევითი წესები განსხვავებული იყო. უნდობლობა, გვერდით მყოფ ადამიანში პოტენციური მტრის ძიება სოციუმის წევრთა ქმედების ერთ-ერთი მთვარ მარეგულირებელ წესს წარმოადგენდა. იმ დროისთვის ქართველი სტუდენტობის დამოუკიდებლობის ხარისხი დაბალ ნიშნულს უტოლდებოდა, მასში დამკიდრებული ქცევითი წესების უმეტესობა უფრო მასშტაბური სოციუმის (რუსეთის) ტოტალიტარულ მოთხოვნებს აირეკლავდა („იმ ხანებში თავისი საკუთარი აზრით მოქმედება სახითათო იყო“). მოსალოდნელი საფრთხის გათვალისწინებით, ქართველ სტუდენტებს შორის ურთიერთობა დაძაბული იყო. ცხოვრების გამოცდილებით მიღებული მათი მენტალობის თეორია ჩანაცველებული იყო შეთქმულების თეორით, რაც ხელს უშლიდა ამ სოციუმის წევრებს მოვლენები ადეკვატურად აღექვათ. ამ სოციუმის ფარგლებში სამშობლოზე ფიქრს დამატებით ისიც ართულებდა, რომ სამშობლოზე ზრუნვის ლოზუნგით ბევრი ქართველი სტუდენტი საკუთარი ეგოისტური მიზნების მიღწევას ცდილობდა.

სტუდენტობაში მოქმედი რეალური და ფორმალური ქცევითი რეგულაციები განმცდელი ავტობიოგრაფის შინაგან სამყაროში მიმდინარე პროცესების დრამატიზების საფუძველი ხდებოდა: განმცდელი ავტობიოგრაფი, ერთი მხრივ, აცნობიერებდა, რომ საკუთარი მიზნის მიღწევის საშუალება მას ამ სოციუმში არ მიეცემოდა და მეორე მხრივ, მას უსამართლობის განცდა ეუფლებოდა. ტექსტში თემატიზებულია, რომ ქართველ სტუდენტობას საკუთარი წევრებისადმი არაერთგვაროვანი დამოკიდებულება ჰქონდა:

„სტუდენტების რიცხვში მეც ვიყავი. ჩემ ხანგრძლივ ცხოვრებაში საპირადო კერძოსა და ნვრილმანებში უხასიათობა გამოვიჩინე, მაგრამ დიდსა და საზოგადოსათვის კი ჩემს დღეში არ მიღალატებია. მწერლობაშიც შემეძლო, რომ სხვების აყოლით დიდი სახელი მომეპოვებია, მაგრამ რწმენას ვერ ვუდალატე [...] ორთა შუა მყოფს, მე ჩემი გზა მქონდა არჩეული და მივდიოდი წყნარად“ (წერეთელი 2015: 82-83).

აღნიშნული კომენტარით მთხოვნელი ავტობიოგრაფი აზუსტებს, რომ განმცდელი ავტობიოგრაფის მიერ გადადგმული ნაბიჯები გააზრებული იყო. მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები განმცდელი ავტობიოგრაფის პირად სამყაროში არსებულ იდუმალ ვალდებულებებს ეფუძნებოდა („რწმენას ვერ ვუდალატე“). თავის მხრივ, ეს ვალდებულებები საზოგადოსადმი (სამშობლოსადმი) მსახურებას გულისხმობდა. მოცემულ ეპიზოდში გამცდელი ავტობიოგრაფის ქცევას მისი დისპოზიცია განაპირობებდა და ქართველი სტუდენტების უმეტესობის მოქმედება კი ბუნებრივ ინსტინქტებს (ეგოის-

ტურ მისწრაფებებს) ექვემდებარებოდა. აღნიშნული გარემოების წარმოჩენით მთხოვობელი ავტობიოგრაფი ცდილობს ცხადი გახადოს, განმცდელი ავტობიოგრაფისათვის რამდენად მტკიცებული იყო ქართველი სტუდენტობის სულისკვეთების რეალური საფუძვლების დადგენა.

სამშობლოს, მეგობრობის ინდივიდუალური ხედვა განმცდელ ავტობიოგრაფს განსხვავებული ქცევითი წესების შემუშავებას აიძულებდა. განმცდელი ავტობიოგრაფისა და სოციუმის ეპისტემოლოგიურ კომპეტენციათა სხვაობა კი სოციუმს უბიძებდა, გაორებული დამოკიდებულება ჰქონდა განმცდელი ავტობიოგრაფისა და ყველა დანარჩენი წევრისადმი. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს საანალიზო ტექსტში დაფიქსირებული არაერთგვაროვნება: საკუთარი აზრის მიხედვით სოციუმში მოქმედება აკრძალული იყო, თუმცა განმცდელი ავტობიოგრაფის საზოგადო საქმისადმი ერთგულება, არაეგონისტური ქმედება ისჯებოდა. განმცდელი ავტობიოგრაფის მეგობრის, ნიკო ნიკოლაძის, პირველობისაკენ სწრაფვა ყველასთვის თვალსაზრისით იყო, თუმცა მას საზოგადოება არ რიყავდა, მაშინ, როცა განმცდელი ავტობიოგრაფის არაამბიციურობა („ჩემი გზა მქონდა და მივდიდოდი წყნარად“) საგმობად მიიჩნეოდა.

როგორც მთხოვობელი ავტობიოგრაფი აღნიშნავს, მან თავიდანვე საკუთარი „გზა აირჩია“, რომელიც სამწერლო საქმიანობასაც ეხებოდა და საუნივერსიტეტო განათლებისადმი დამოკიდებულებასაც. აღნიშნულმა გარემოებამ მაშინათვე ქართველ სტუდენთა უკმაყოფილება გამოიწვია:

ეს იყო მიზეზი, რომ ჩემ მნერლობას პატივი ჰქონდა ახდილი და ამხანავობა ჩამომშორდა. ერთ საღამოს შემოვიდენენ ჩემთან [...] და გადმომცეს ამხანავობის მაგიერ: შენის მნერლობით ვვარცხვენ და ლექსების წერაზე აიღე ხელი და ან ჩვენს ნაცნობობაზე“ [...] ეს მათი შემოთვლილი სიტყვა ისარივით მეცა გულზე. ბუნებათანაზიარს, ყველას მეგობრობა და განწყობილობა მსურდა და ერთთავად მთელი ამხანავობის მოშორება ჩემთვის სიკედილი იყო. ჩავვარდი საგონებელში (წერეთელი 2015: 83).

ქართველი სტუდენტობის შემონათვალში სიტყვა გვარცხვენ განმცდელი ავტობიოგრაფის შემოქმედების ქართული თუ მსოფლიო ლიტერატურის კონტექსტში შეფასებას არ გულისხმობდა. ის მთლიანად სოციალური დაკვეთის ანარეკლი იყო და განმცდელი ავტობიოგრაფის შემოქმედებაში სოციალური მოტივების არარსებობას გულისხმობდა. ეს იმდროინდელი დიდი კოლექტივის ქცევით ნორმებს ეწინააღმდეგებოდა და ავტომატურად ამ ტექსტების ავტორის და მასთან ასოციალური სოციალური მიკრო ჯგუფის, ქართველი სტუდენტობის, დალატში დადანაშაულებას გულისხმობდა.

განმცდელი ავტობიოგრაფის გულისტკივილი მოსალოდნელი საფრთხის წარმოდგენით არ იყო განპირობებული. იგი იმ დისპოზიციის მორღვევას უკავშირდებოდა, რომელიც მას ბავშვობაში ჰქონდა შეძენილი და აქედან გამომდინარე, მისი იდენტობისათვის მნიშვნელოვანი იყო. აქვე გასათვა-

ალტერნატიული სამყაროების კონცეპტი, როგორც ავტობიოგრაფიული დისკურსის კვლევის თეორიული საფუძველი აკაკი წერეთლის „ჩემი თავგადასავლის“ მიხედვით

ლისნინებელია ისიც, რომ ბავშვობის ეს გამოცდილება ტექსტში განმცდელი ავტობიოგრაფის განვითარების სხვა ეტაპის ჩვენებისას არაა გააქტიურებული. მას თანატოლები გიმნაზიაშიც უპირისპირდებოდნენ, თუმცა იმ დროს თანამოაზრის არარსებობა კი არ წარმოადგენდა პრობლემას, არამედ ცოდნის მიღების შესაძლებლობის შეზღუდვა იყო განმცდელი ავტობიოგრაფისათვის მტკიცნეული. სტუდენტებთან ურთიერთობისას თავჩენილი შინაგანი მოთხოვნილება (თანაზიარობის სურვილი) უნდა მიანიშნებდეს იმაზე, რომ სტუდენტობის წლებში გასაკეთებელი საქმე ღირებულების თვალსაზრისით მისთვის ისეთივე ეგზისტენციალური მნიშვნელობის იყო, როგორიც ბავშვისათვის თავისუფლების, ცნობისმოყვარეობის დაკმყოფილების შესაძლებლობის ქონა. ამასთან საანალიზო ტექსტში არსად არაა აღნიშნული, რომ განმცდელი ავტობიოგრაფი რუსული საზოგადოების წევრებთან დაახლოებას ცდილობდა. იგი მხოლოდ ქართველ სტუდენტებში რომ ეძებდა თანამოაზრეს, დამატებით, იმაზე უნდა მიანიშნებდეს, რომ გასაზიარებელი ემოციები, ფიქრები სამშობლოს (საქართველოს) უკავშირდებოდა.

წინამდებარე მსჯელობაში წითელი ხაზის გამოსაკვეთად კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ განმცდელი ავტობიოგრაფის პეტერბურგში დარჩენა და იქიდან უკანმოუხედავად წასვლა მის შინაგან სამყაროში მიმდინარე მენტალური პროცესების რაგვარობაზე მიანიშნებს. მსჯელობის ამ ეტაპისათვის გადაწყვეტილების მიღების განმაპირობებელი ორი ინტერმენტალური ფაქტორი გამოვლინდა: ა) განმცდელმა ავტობიოგრაფმა გააცნობიერა, რომ ქართველ სტუდენტთა შორის ყოფნა მას საკუთარი მიზნის მიღწევის შესაძლებლობას არ აძლევდა, ბ) სტუდენტობა, როგორც სოციუმი, უსამართლო იყო. პირველი გარემოება მის ვალდებულებით სამყაროს ეწინააღმდეგებოდა, მეორე კი – მისწრაფებებს. მათი თანაარსებობა განმცდელი ავტობიოგრაფის ყოფას აუტანელს ხდიდა. განმცდელ ავტობიოგრაფში მიმდინარე ინტერმენტალური პროცესები სხვა თვალსაზრისითაც იყო პრობლემური: სააანალიზო ეპიზოდის ფარგლებში მისი ეპისტემოლოგიური კომპეტენცია სრულყოფილია, ის კარგად აცნობიერებს სოციუმის ქცევით რეგულაციებს, თუმცა მათ მორჩილებაზე შეგნებულად ამბობს უარს. გარდა ამისა, ტექსტში ნაჩვენებია ისიც, რომ ნების არსებობის შემთხვევაში განმცდელ ავტობიოგრაფს შესწევდა ძალა არა მხოლოდ გაეთვალისწინებინა მოქმედი სოციალური რეგულაციები, არამდ ასევე შეეძლო მათ მიხედვით დაეგეგმა აქტივობები და ყოფილიყო წარმატებული: „შემეძლო, რომ სხვების აყოლით დიდი სახელი მომებოებია, მაგრამ [...] შუა ადგილი მეჭირა“.


განმცდელი ავტობიოგრაფის სრულყოფილი ეპისტემოლოგიური კომპეტენციის წარმოსაჩენად შესაძლებელია შემდეგი გარემოების გათვალისწინება: განმცდელი ავტობიოგრაფი საკუთარ ლექსებს ანონიმურად აქვეყნებდა; იგი აცნობიერებდა, ლექსების შინაარის გამო შეიძლებოდა ქართველი

სტუდენტობის რიგებიდან გარიცხულიყო და ყველაფერთან ერთად დიდი სოციუმის მიერ დასჯილიყო კიდევ. ტექსტში აღნიშნულია ისიც, რომ სოციუმთან არსებული გაუცხოების მოშლა მისთვის ძალიან მარტივი იყო:

„იმ ხანებში ერთი ლექსი დავწერე [...] ჩემმა ამხანაგებმა კი კიუინა დასცეს მაშინ: აი აქ აზრი არ ვარგა და ობროდობის მეტი არა არის რაო!“ [...] მირჩიეს, ერთი რამ მისთანა მიმემატებია, რომ ცხოვრებაში გამოსადევი ყოფილიყო [...] მეც ავიღე და ბოლოში ერთი ხანა ჩავამატე [...] ეს რომ ნახეს მომინონეს და კიდეც ამ მიკერებული ნაძალადევი ლექსით დაიბეჭდა“ (წერეთელი 2015: 84).

ამგვარი სოციალური დაკვეთა განმცდელმა ავტობიოგრაფმა ერთჯერადად შეასრულა, მთლიანობაში ის საკუთარი შეხედულებისამებრ მოქმედებდა. სოციუმის მოთხოვნა განმცდელ ავტობიოგრაფს აჩვენებდა, რომ ქართველი სტუდენტობის ქმედების განცხადებული მოტივაცია და რეალური ქმედება ერთმანეთს ენინააღმდეგებოდა. ქართველ სტუდენტობას შენარჩუნებული ჰქონდა ის შემართება, რომელიც ჩერნიშექვის გამოსვლას ახლდა („კიუინა დასცა რუსეთს“). დამოწმებულ ციტატაში ამაღლებული სულისკვეთების მარკერია სიტყვა კიუინა („ჩემმა ამხანაგებმა კიუინა დასცეს მაშინ“), თუმცა განმცდელი ავტობიოგრაფის იქ ყოფნისას მათი შემართება და საკეთებელი საქმე ერთმანეთს აღარ შეესაბამებოდა. საანალიზო ციტატის მიხედვით, ქართველი სტუდენტები გამაღებით ითხოვდნენ იმას, რაც, მთხოვობელი ავტობიოგრაფის აზრით, ბანალური და არალირებული იყო, მხოლოდ სოციალურ დაკვეთის შესრულებას გულისხმობდა, არადა მათთვის საპირნონე ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეების განხორციელება უნდა ყოფილიყო. ამ თვალსაზრისით კი პროცესის საწყის და მომდევნო ეტაპებს შორის სხვაობა დიდი იყო. აღნიშნულ გარემოებას განმცდელი ავტობიოგრაფი აცნობიერებდა და მიმდინარე სოციალურ პროცესებს შეგნებულად ემიჯნებოდა.

ალტერნატიული სამყაროების კონცეპტი, როგორც ავტობიოგრაფიული დისკურსის კვლევის თეორიული საფუძველი აკაკი წერეთლის „ჩემი თავგადასავლის“ მიხედვით



### დიაგრამა №1<sup>1</sup>

1 მოცემული დიაგრამა ასახავს ეპიზოდის დასაწყისსა და დასასრულს, დიდი მუქი წრით აღნიშნულია აქტუალური სამყარო, ღია ფერის პატარა წრეებით კი პერსონაჟთა შინაგანი სამყაროს მახასიათებლებია წარმოდგენილი. დიაგრამა აჩვენებს, რომ ეპიზოდის დასაწყისში აქტუალურ სამყაროში (უნივერსატეტში სწავლა) განმცდელი ავტობიოგრაფის ცნობიერების მხოლოდ ერთი კომპონენტი (ვალდებულება) არის რეალიზებული. განმცდელი ავტობიოგრაფი ფიქრობს, რომ სწავლით სამშობლოს ემსახურება. ამ ეტაპზე განმცდელი ავტობიოგრაფის ეპისტემოლოგიური კომპეტენცია (ცოდნა) ნაწილობრივ შეესატყვევისება აქტუალურ სამყაროს: განმცდელი ავტობიოგრაფი საქმარისად გამოცდილია საიმისოდ, რომ სოციუმის ქმედებათა დეკოდირება შეძლოს (სოციალური კომპეტენცია ფორმირებული აქვს), თუმცა მას არასწორი წარმოდგენა აქვს ქართველ სტუდენტთა შეხედულებებსა და ფასეულობებზე. თავის მხრივ, განმცდელი ავტობიოგრაფის ვალდებულებებსა და ფასეულობებზე. თავის მხრივ, განმცდელი ავტობიოგრაფის ვალდებულების (სამშობლოს მსახურება) აქტუალურ სამყაროსთან თავსებადობა საფუძველი ხდება იმ გეგმის შემუშავების, რომლის განხორციელებით მიზანს უნდა მიაღწიოს (სამშობლოს თანამედროვე სამყაროში ღირსეული ადგილი მოუპოვოს) და სურვილების (სამშობლოს მსახურებით პიროვნულად განვითარდეს) რეალიზება უნდა მოახდინოს. ეპიზოდის დასახუსისში განმცდელი ავტობიოგრაფის ცნობიერების აღნიშნული მახასიათებელების (გ., მ., ს.) აქტუალურ სამყაროში განხორციელება სამომავლო საქმეა. განმცდელი ავტობიოგრაფისაგან განსხვავებით, ქართველი სტუდენტების ეპისტემოლოგიური კომპეტენცია სრულადაა მორგებული აქტუალურ სამყაროს, მათ ზუსტად იციან, რა ტიპის სოციუმში იმყოფებიან, მათი სურვილებიც რეალიზებულია, შექმნილი პოლიტიკური ვითარებიდან პირად სარგებელს ნახულობენ. ერთადერთი, რაც მათი შინაგანი სამყაროდან აქტუალურს არ შეესატყვევისება, ვალდებულებაა, მათ პირადი ინტერესები სამშობლოს მსახურებაზე მაღლა დააყენეს.

დიაგრამის მარჯვენა ნრეზე დაკვირვება (ეპიზოდის დასასრული) აჩვენებს, რომ ცვლილება ეხება მხოლოდ და მხოლოდ განმცდელი ავტობიოგრაფის ცნობიერებას. კერძოდ, მისი ეპისტემოლოგიური კომპეტენცია (ცოდნა) სოციუმთან მიმართებით სრულყოფილი გახდა. განმცდელი ავტობიოგრაფი აცნობიერებს, რომ ქართველი სტუდენტების განცხადებული მიზნები და რეალური ქმედებები ერთმანეთის შესატყვევისი

**პირობითი ნიშნები**

ს. - სურკოლი

მ. - მიზანი

გ. - გეგმა

უ.კ. - ეპისტოლური კომუნიკაცია

ვ. - ვალიდულება

მიზანურია წრე - ეპიზოდის დასახური

მარჯვენა წრე - ეპიზოდის დასასრული

**დასკვნა  
შესაძლო სამყაროების თეორიის გალიდობა**

წინამდებარე სტატიის ფარგლებში გაირკვა, რომ შესაძლო სამყაროების კონცეპტი განმცდელი ავტობიოგრაფის პიროვნული განვითარების თავისებურების შესასწავლად გამართლებულ თეორიულ საფუძველს ქმნის. „ჩემს თავგადასავალში“ განსახოვნებული განმცდელი ავტობიოგრაფის მენტალური პროცესები ინტერმენტალურია. ჰიპოთეტური ფოკალიზების გამოყენებით მთხოვნებული ავტობიოგრაფი სისტემატურად ცდილობს, მეითხველს აჩვენოს, რომ ტექსტში განსახოვნებული აქტუალური სამყარო სხვადასხვა ადამიანის პიროვნულ სამყაროთა კონსტელაციით ყალიბდება, ისტორიული ვითარების ფორმირება ბედისწერის შედეგი არაა. ამასთან ტექსტში ისიც წარმოჩენილია, რომ პარალელურ სამყაროთა კომპინაციის ვარიანტები წინაა.

არაა. თავის მხრივ, აღნიშნული გამოცდილების შექნა განმცდელ ავტობიოგრაფის არწმუნებს, რომ ამ სოციუმში მისი მიზნებისა და მისწრაფებების განხორციელება შეუძლებელია. ქართველი სტუდენტობის დატოვებით იგი კვლავ თავისი ვალდებულების (სამშობლოსადმი მსახურების) ერთგული რჩება, განმცდელი ავტობიოგრაფი ფიქრობს, რომ მათთან დარჩენით ის დროს კარგავს, აცნობიერებს, რომ სამშობლო მსახურების სხვა ფორმა უნდა მოძებნოს.

დასკვნის სახით უნდა დაზუსტდეს, რომ მოცემული დიაგრამის მიხედვით, არათავსებადია არა აქტუალური სამყარო (უნივერსიტეტში სწავლა) და განმცდელი ავტობიოგრაფის (ცნობიერება (მინაგან სამყარო), არამედ პრინციპულად შეუთავსებელია ერთმანეთთან განმცდელი ავტობიოგრაფისა და ქართველი სტუდენტობის შინაგანი სამყაროები. აღნიშნული ასპექტი მთხოვნელი ავტობიოგრაფის იდენტობისათვის უაღრესად მნიშვნელოვანია. მისი აზრით, განმცდელი ავტობიოგრაფის განვითარებას ხელი შეუშალა, პირველ რიგში, მის გარშემო მყოფმა ადამიანებმა. ტრაგიულია ის, რომ აქტუალური სამყარო განმცდელი ავტობიოგრაფის მიზნის მისაღწევად (სამშობლოსადმი ეპოქის გამოწვევების შესაბამის სამსახურის განხევა) ოპტიმალურ პირობებს იძლეოდა, ამ შესაძლებლობას კი მას მისა თანამემამულენი ართმევდნენ. დიაგრამის მოდელი აღებულია რიანის სტატიიდან (2007).

**ალტერნატიული სამყაროების კონცეპტი, როგორც ავტობიოგრაფიული დისკურსის კვლევის თეორიული საფუძველი აკაკი წერეთლის „ჩემი თავგადასავლის“ მიხედვით**

ნასწარ ძნელი გასათვლელია. თითოეული ადამიანის შინაგანი სამყარო სხვა-დასხვა მოდალური ოპერატორისაგან შედგება (ვალდებულებები, ეპისტე-მოლოგიური კომპეტენცია, მისწრაფებები) შესაბამისად, მათი გააქტიურება და სხვა ადამიანთა მოდალურ იპერატორებთან დაწყვილება რა შედეგს მოიტანს, წინასწარ განსაზღვრას არ ექვემდებარება.

### **განმცდელი ავტობიოგრაფის პიროვენული სამყაროს ძირითადი მახასიათებლები**

სტუდენტობის წლებში განმცდელი ავტობიოგრაფის ეპისტემოლოგიური კომპეტენცია სრულყოფილი იყო. ამ დასკვნის გამოტანის საფუძველს ორი გარემოება იძლევა:

• განმცდელი ავტობიოგრაფის მიზნების ფორმირებაზე, სამომავლო გეგმების დასახვაზე დიდ გავლენას ახდენდა სამშობლოს წინაშე ვალდებულების ქონის განცდა. ეს პროცესი განმცდელი ავტობიოგრაფისაგან გაუცნობიერებლად არ მიმდინარეობდა. პირიქით, აღნიშნული ვალდებულებისადმი ერთგულების ადეკვატური ფორმის ძიება მისი ყოველდღიური ფიქრის ნაწილი იყო.

• განმცდელ ავტობიოგრაფს თავისი მენტალობის თეორია საშუალებას აძლევდა, სწორად განესაზღვრა ცალკეულ ინდივიდთა თუ სოციალურ ჯგუფთა ქმდების მოტივაცია.

განმცდელი ავტობიოგრაფის ეპისტემოლოგიური კომპეტენცია საკმარისი იყო, რომ სოციუმში წარმატებული ყოფილიყო, თუმცა სამშობლო-სადმი ერთგულების გამო ამაზე უარი თქვა. საანალიზო ტექსტის მიხედვით, განმცდელი ავტობიოგრაფის ინდივიდუალური სამყარო ვერ ეთავსებოდა აქტუალურ სამყაროს, მას სამშობლოსადმი მსახურების საშუალება არ ეძლეოდა.

#### **დამოწმებანი:**

- Bell, Alice and Marie-Laure Ryan. *Possible Worlds Theory and Contemporary Narratology*. Lincoln and London: University of Nebraska Press. 2019.
- Eco, Umberto. *The Role of the Reader: Explorations in the Semiotics of Text*. London: Hutchinson. 1981.
- Emmott, Catherine. *Narrative Comprehension: A Discourse Perspective*. Oxford: Oxford University Press. 1997.
- Forster, E. M. *Aspects of the Novel*. Harmondsworth, England: Penguin, 2000.
- Habermas, Tilmann. *Emotion and narrative: Perspectives in autobiographical storytelling*. Cambridge, UK: Cambridge University Press. 2019.
- Herman, David. Ed. *Narrative Theory and the Cognitive Sciences*. Stanford CA: CSLI Publications, 2003.
- Iser, Wolfgang. *The Act of Reading*. London: Routledge. 1978.

- Herman, David. *Introduction*. In *Narratologies: New Perspectives on Narrative Analysis*, ed. David Herman, 1-30. Columbus: Ohio State University Press. 1999.
- Herman, David. *Hypothetical Focalization*. *Narrative*, Vol. 2, No. 3 (Oct., 1994), pp. 230-253. <http://www.jstor.org/stable/20079641> (25.03.2018)
- Nünning, Ansgar. Unreliable Narration zur Einführung – Grundzüge einer kognitiv-narratologischen Theorie und Analyse unglaublich-würdigen Erzählens. Unreliable Narration. Studien zur Theorie und Praxis unglaublich-würdigen Erzählens in der englischsprachigen Erzählliteratur. Trier: WVT. 1998.
- Palmer, Alan. *Fictional Minds*. Lincoln: University of Nebraska Press, 2004.
- Palmer, Alan. *Social Minds in the Novel*. Columbus: Ohio State University Press, 2010.
- Pavel, Thomas. *Fictional Worlds*. Cambridge: Harvard University Press, 1986.
- Ronen, Ruth. *Possible Worlds in Literary Theory*. Cambridge: Cambridge University Press, 1994
- Ryan, Marie-Laure. *Possible Worlds, Artificial Intelligence, and Narrative Theory*. Bloomington: Indiana University Press, 1991.
- Ts'ereteli Ak'ak'i. "Avt'obiografiuli P'roza". *Tkhzulebata Sruli K'rebuli Ots T'omad. T'*. VII. Tbilisi: kartuli lit'erat'uris inst'it'ut'i, 2015 (ნერეთელი, აკაკი. „ავტობიოგრაფიული პროზა“. თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად, ტ. VII. თბილისი: ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, 2015).
- Zunshine, Lisa. *Why We Read Fiction. Theory of Mind and the Novel*. Columbus: Ohio State University Press, 2006.

**Irakli Khvedelidze  
(Georgia)**

### **The Concept of Possible Worlds as a Theoretical Basis for the Study of Autobiographical Discourse: Based on Akaki Tsereteli's "My Adventure"**

#### **Summary**

**Key words:** narratology, autobiography, the theory of possible worlds, "My Adventure".

Determining the narratological basis of the autobiographical genre is a research desideratum. To partially deal with this task, the concept of possible worlds is used in this paper. Based on this concept, it is shown how the experience of the autobiographer is constructed.

The concept of possible worlds was first developed in the field of analytical philosophy and later used by narratologists as a theoretical framework for the analysis of literary texts, according to which the dynamics of the development of events are explored. Concerning this concept, some aspects are considered: Narrative universe is assumed to exist independently of the real world, it has its modal semantics: the modality of the

ალტერნატიული სამყაროების კონცეპტი, როგორც ავტობიოგრაფიული დისკურსის კვლევის თეორიული საფუძველი აკაკი წერეთლის „ჩემი თავგადასავლის“ მიხედვით

events presented is determined by textual data, the consideration of historical facts is not necessary. The center of the narrative universe is the actual world, which is enclosed by the alternative worlds. The actual world has the absolute status to which the word physically existing/objective corresponds. The alternate worlds, on the other hand, are constructed through the mental processes of the characters.

It should also be noted that the causal relationship between the events represented seems to be complex: the development of the events is equally influenced by physical and virtual (mental processes of the characters) factors. Within the concept of alternate worlds, the characters' mental processes are differentiated; Ryan identified the following modal operators:

- (a)The character's knowledge, his epistemological competence;
- b)The character's commitments;
- c)The character's desires;
- d)The alternative world that the character imagines;

Research has shown that the personal development of the autobiographer depends on the shaping of the individual world and the interaction of the experiencing autobiographer with society. In the practical part of the paper, an episode from Akaki Tsereteli's autobiographical text is studied. The processing of the text data has revealed that the private world of the experiencing autobiographer is not compatible with the alternative worlds of the other characters. At the same time, the experiencing autobiographer cannot integrate this new experience into his identity model. According to the analyzed episode, the group of students is an independent actor of its own, its mental processes cannot be equated with the sum of the mental processes of the group members, it is a new construct. The mental processes of large and small groups must be compared and analyzed specifically. In deriving consequences, the relationship between inter-and intra-mental processes must also be considered.

Within the students the main declared rule of behavior was the striving for development, this knowledge was accepted by all, this determined the students' goals and plans. The students' aspiration for development had a very emotional character because it was not motivated by private matters, Georgian students were convinced that their activity was stimulated by concern for the fatherland.

The official rules of conduct that were in force among Georgian students were different. Not to trust, to see in the neighbor a potential enemy, was the main rule that governed the conduct of the members of the society. At that time, the independence of Georgian students was low, and the rules established in them reflected the totalitarian requirements of the much larger society (Russia). Because of the potential danger, the relationship between Georgian students was very fragile. Their life experience was replaced by conspiracy theories, which prevented the members of this society from perceiving events correctly. Concern for the homeland was further tainted by the fact that many Georgian students were satisfying their own selfish needs beneath the umbrella of homeland service.

The simultaneous existence of real and formal rules of conduct made the psychological processes of the experiencing autobiographer dramatic: on the one hand, the experiencing autobiographer became aware that he could not achieve his goals in this society; on the other hand, the feeling of injustice plagued him.

The experiencing autobiographer's understanding of homeland and friendship forced her to elaborate on other rules of behavior. The epistemological difference between the experiencing autobiographer and society imposed society to have a different relationship with the experiencing autobiographer and all other members. Within society, acting on one's vision was forbidden, but concern for the common interest was punished for the experiencing autobiographer.

Leaving Petersburg inevitably illustrates important implications about the nature of his mental processes: a) the experiencing autobiographer realized that staying with the Georgian students did not allow him to achieve his goals. b) the student community as a society was unfair. The first factor conflicted with his obligations, and the other did not match his aspirations. This made his life unbearable. The ongoing intermental processes in the experiencing autobiographer were also problematic from another point of view: within the episode under analysis, his epistemological competence is complete, he perfectly understands the rules of action of the society, but he consciously refuses to abide by them. Moreover, the text also shows that in the case of recognition, the experiencing autobiographer was not only able to take into account the rules being in effect, but he was capable of following these rules in order to adapt the action and become successful.

The demonstrated demand of the society showed the experiencing autobiographer that the stated motivation and the real action of the Georgian students were contradictory. The Georgian students had maintained the excitement associated with Chernishevsky's appearance on the public stage, but by the time of the autobiographer's visit with them, their excitement and desire were no longer the same.

მანანა კვაჭანტირაძე  
(საქართველო)

პერსონაჟთა ქცევის ფსიქოლოგიური მოტივაციები  
ვაჟა ფშაველას „სტუმარ-მასპინძელში“:

ჯოყოლა

„სტუმარ-მასპინძელში“ მთავარი პერსონაჟების შეხვედრას ვაჟა შემთხვევითი გაცნობის სახით ხატავს.

ურთიერთობათა დინამიკა, რომელსაც ვაჟა პოემის შესავალში, მოვლენათა დრამატული განვითარების წინ აღწერს, აშკარად ორიენტირებულია დაახლოება-დამეგობრებაზე. როგორც ეს ხშირად ხდება ხოლმე ცხოვრებაში, ურთიერთნდობა მანამდე იბადება, სანამ ერთმანეთს კარგად გაიცნობენ. ამ ორთავან ერთი ისაა, ვისზედაც ვაჟა სხვათაშორის ამბობს, „ძმის მკვლელის სისხლი სწყურია“-ო, მეორე კი ის, ვისაც ამ კაცმა ძმა მოუკლა და რომელიც მასთან „სისხლის ვალში“. ერთი სიტყვით, სიტუაცია არაორდინალურია: ორივენი, სტუმარიცა და მასპინძელიც „სისხლის მოვალეები“ არიან. ამ ვალის გადახდა მთელი მომავალი დრამატიზმის გასაღები და ის ადათებრივი მაქსიმა, რომელზედაც მომავალში ქისტი ჯოყოლა უარს იტყვის, როგორც შურისძიების გარდაუვალ და აუცილებელ საბაბზე, რადგან „მართალ“ საქმეში, რაც ადამიანთა შორის ღრმა ურთიერთსიმპათიასა და ლტოლვაში იჩენს თავს, თემის მიერ აუცილებლობად შერაცხილი ეს საბაბი ვერ იქცევა მიზეზად, ანუ არასაკმარისი აღმოჩნდება „მტრობის“ სამოტივაციოდ.

ვაჟა ახალ სიმართლეს გვთავაზობს ამ ურთიერთობაზე.

მომდევნონ სცენა – ოჯახური სიტუაცია – ყველა კავკასიელისთვის კარგად ნაცნობია და თანაბრად შეიძლება ნარმოვიდგინოთ ხევსურეთშიც და ქისტეთშიც: ლამაზი ცოლითა და კარგი დიასახლისით თავმოწონება, სტუმრის პატივისცემა და კაცური ლირსების ხაზგასმა („ყველგან მადლობას სწორავენ / მარჯვენას კაი ყმისასა“).

მუსა, რომელიც ჩონგურზე ქისტი გმირების საარაკო ამბებს დამდერის – ოჯახის საბედისწერო სტუმარი და „სიტუაციის ამრევი“ – როგორც ვიცით, ხევსურ სტუმარში ზვიადაურს შეიცნობს და თუმცა ადათის თანახმად, ფეხზე ნამოუდგება, მაგრამ ორიოდე წუთის შემდეგ მზადაა სისხლიც დალვაროს, მაგრამ ადათის თანახმად, „სტუმარი სხვის სახლში/ვერ გაპშლის ხათაბალასა“. ამ ეპიზოდში ვაჟა მოქმედ პირებს გვაცნობს, როგორც მთის ტრადიციის დამცველ ვაჟუაცებს. შემდეგ ეპიზოდში კი მდგომარეობა იცვლება და ვხედავთ, რა სახეს იძენს ადათი ქისტების ხელში: მთელი სოფელი თავს ესხმის ერთ, ისიც უიარალო, მძინარე კაცს და ფეხქვეშ თელავს არა მხოლოდ

სტუმარ-მასპინძლობის სათემო ადათს, არამედ არარად აქცევს კაცობასა და სამართლიანობაზე ელემენტარულ ადამიანურ წარმოდგენასასაც. მოკლედ, მანამ, სანამ ჯოყოლა ქისტებს სტუმარ-მასპინძლობის წესის დარღვევაში დაადანაშაულებს და ძმის მკვლელის დაცვას გადაწყვეტს, ვაჟა მკითხველს წინასწარ ამზადებს მნიშვნელოვანი ფსიქოლოგიური განწყობისათვის, რომელმაც უნდა გაამართლოს ჯოყოლას, ერთი შეხედვით, უცნაური, რთული არჩევანი. არჩევანი, რომელმაც გზა უნდა გაიკვლიოს კაცურ ღირსებაზე პიროვნულ წარმოდგენსა და ვაჟკაცობაზე ქისტების ზოგად („სათემო“) შეხედულებას შორის, მტერზე შურისძიების მისაღებ და მიუღებელ წესს შორის.

მკითხველის ამ წინასწარგანწყობის შესაქმნელად განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქისტების საერთო სახე, ხატი, რომელსაც ვაჟა ქმნის: ესაა სისხლმოწყურებული ბრძო, რომლიც უგულებელყოფს არა მხოლოდ სტუმართმოყვარეობის ადათს, არამედ – და ეს მთავარია – მტერთან ვაჟკაცური ბრძოლის წესსაც. მათ ვერაგულ, სწორედაც „დიაცურ“ და მდაბალ გეგმაში ჩაბმულია მთელი სოფელი და რაც მთავარია, ჩაბმული არიან ვაჟკაცობაზე მფიცველი ქისტი მამაკაცები. ერთი სიტყვით, ვაჟა ქისტების გეგმას ხატავს არა როგორც მტერზე შურისძიებას, რაც სავსებით ბუნებრივი და გასაგები იქნებოდა ამ სიტუაციაში, არამედ ადამიანური დალატის სურათს, რომელიც იმთავითვე განაწყობს მკითხველს ქისტების გადაწყვეტილების საწინააღმდეგოდ.

ვაჟა აღიარებს მტრობას ბრძოლის ვაჟკაცური წესების დაცვით, ამის გარეშე მტრობა სხვა არაფერია, თუ არა კაცისკვლა – ეს ერთი (ამ გეგმის ფონზე „გახლავართ ზვიადაური“... სწორედ პირდაპირი ბრძოლის უპირატესობის ლეგიტიმაციაა). ამ კონცეპტის ხორცესასხმელად იგი კონტრასტის ხერხს იყენებს: ქისტების მზაკვრული თათბირის კადრს მყისვე მოსდევს მშვიდობიანი სცენა ჯოყოლას სახლში, სადაც ვაჟა ხატავს ვახშამს: კეთილგანწყობილ, დამეგობრებულ ადამიანებს, რომელთაც აზრადაც არ მოსდით, რა დატრიალდება ცოტა ხნის შემდეგ („ივახშმეს. თავის სტუმარი/ მასპინძელს მოსწონს გულითა. / „კარგი ვაჟკაცი ეტყობა“ – /ფიცულობს თავის რჯულითა: / ეს ერთი ცნობა, ხვალ ძმობა, / ერთად შევთვისდეთ სულითა“). ეს იცის მხოლოდ სტუმარმა – სტუმარ-მასპინძლობის ამ კლასიკური სურათისა და საერთოდ ყოველგვარი დრამის უცვლელმა მონაწილემ – ე. წ. „მოყურიადემ“. ვაჟა მის პორტრეტს სულ რამდენიმე, ხაზგასმით „ლინგვისტური“ შტრიხით იძლევა: იგი „ლაქარდიანი ენით“ „ლოცავს ჯოყოლას.../ ენას აკვესებს კვესითა“. აქ ზუსტად ის შემთხვევაა, როცა ენა, სიტყვა (ნიშანი) არ ასრულებს მისთვის ორგანულ რეფერენციალურ და საკომუნიკაციო ფუნქციას. იგი უფრო ფარავს (გულის, განზრახვის) საიდუმლოს, ვიდრე აჩენს. სიტყვა აქ გვევლინება დალატის ნიშნად, რომელიც დალატის მთელ „სუბსტანციას“ მოაქცევს საკუთარ თავში.

მომდევნო ეპიზოდში, რომელიც უკვე ქისტების თავდასხმას, ჯოყოლას წინააღმდეგობასა და ზვიადაურის დატყვევებას ასახავს, ჯოყოლა, მოულოდნელობისაგან თვგზააბნეული და საბრძოლოდ შემართული, ქისტებს „საუფლო წესა“ და „სჯულს“ შეახსენებს, რასაც ქისტების მხრიდან საკმაოდ დამაჯერებელი კონტრარგუმენტი მოსდევს: „მოსისხლე სტუმრის გულისთვის ძუძუს ვინ მოსჭრის დედასა?“

კიდევ ერთხელ: ვაჟა ნიადაგს ამზადებს ჯოყოლას არჩევანის მიმართ მკითხველის შეფასებითი პოზიციისათვის და საამისოდ პერსონაჟთა ქცევა-გადაწყვეტილების ფსიქოლოგიურ მოტივაციათა მთელ წყებას გვთავაზობს, რამაც ეს არჩევანი, სულ ცოტა, გასაგები უნდა გახადოს. რაც შეეხება ამ არჩევანის გაზიარება-არგაზიარებას, მიღება-არმიღებას, ვფიქრობთ, ვაჟას პოზიცია აქ ნაკლებად გულისხმობს მკითხველზე რაიმე სახის ზენოლას, ერთგვაროვან და ცალსახა პოზიციას და ამის დასტურია აღაზას მიერ მომხდარი ამბის სიკვდილისწინა შეფასება: „ორთავ შევცოდეთ ქისტებსა...“

ჯოყოლას არა ერთბაშად, არამედ თანდათან უხდება ზვიადაურზე სიმართლის შეტყობა. შესაბამისად, თანდათან მძაფრდება ჯოყოლას სული-ერი ღელვის სურათიც. პირველ ეტაპზე სიტყვა თითქოს მიზანს ხვდება: „ჯოყოლა ცოტას შეფიქრდა, /პირს სინანული წაესო, /თითქოს ნატყორცი ისარი/ ზედ გულის კოვზზე დაესო“. ჯოყოლას სახის გამომეტყველების ამ მეტაფორული, მკაფიოდ ვიზუალური ხატის მიღმა უფრო გულდაწყვეტა და იმედგაცრუება იყითხება, ვიდრე ეჭვი საკუთარი გადაწყვეტილების მიმართ. ქისტების სიმართლე ჯოყოლას ცნობიერებას სწვდება. ყველაზე ძლიერი არგუმენტი, რომ ზვიადაური მისი ძმის მკვლელია („თვით ამან მოკლა შენი ძმა, არყიანებში თოფითა“), კიდევ უფრო გამძაფრებულია ზვიადაურის მტრობის უბოლიშო, ნიშნისმოგებითი ფორმის შესხენებით: „გახლავართ ზვიადაური/- ჩამოგვიოდა გორითა“. ეს ის არუმენტია, რომელმაც, ქისტებისა და მკითხველის მოლოდინით, ჯოყოლამ ვერ უნდა დატოვოს რეაგირების გარეშე, მაგრამ ხდება მოულოდნელი რამ: ჯოყოლას გულში ატეხილი ქარიშხალი ქისტებისათვის მიუღებელ საბოლოო გადაწყვეტილებამი გადადის: ჯოყოლა უარს ამბობს პირად შურისძიებაზე (შედარებისთვის: ჯოყოლას გადაწყვეტილება ქისტებისთვის იმავე რანგის მოულოდნელობაა, რაც ალუდას მიერ მუცალის სულის საცხონებლად კურატის შეწირვა). ჯოყოლა აღიარებს ქისტების სიმართლეს, მაგრამ მხოლოდ როგორც ფაქტს და არა როგორც საბოლოო ჭეშმარიტებას: „ეგ მართალია, იქნება... / რა უნდა მითხრათ მაგითა, / მითც ვერ მიაბამთ ჩემს გულსა/ თქვენს გულისთქმასთან ძაფითა“. ჯოყოლა ის კაცია, ვინც არ იკადრებს მოსისხლისაგან ძმის სისხლი არავაჟუა-ცური გზით აიღოს (იგულისხმება, რომ ქისტებიც ამიტომ უმაღავენ მას თავიანთ გეგმას). ჯოყოლას სიტყვები ზედიზედ ამხელს თემის ადათიდან გადაცდომებს: „ვის გაუყიდავ სტუმარი...“ „უიარაღოს აწვალებთ...“ და ა.შ. ინდივიდუალური გადაწყვეტილება ამგვარ სიტუაციაში მოითხოვს ნების განსაკუთრებულ სიმტკიცეს და პირდაპირ პასუხს კითხვაზე: „ვინ ვარ?“ და

„ვისთან ვარ მე?“ ჯოყოლას პასუხი რადიკალურია: „მე თქვენთან არ ვარ“. ხასიათის და სიტყვის მთელი საშენი მასალა მოცემულია ერთბაშად, თავიდანვე.

ჯოყოლა ქისტებს უწესებს შურისძიების გეოგრაფიულ მიჯნას, რომლის სოციალური და მორალური შინაარსი ეჭვს არ იწვევს.: „როცა გასცდება ჩემს ოჯახს, იქ მოეპყარით ავადა“. მორალურად და ფსიქოლოგიურად მისი შეთავაზება ზუსტი და დამაჯერებელია: ჯოყოლა ვერ იქნება საკუთარი ძმისმკვლელისა და ქისტების მულეტელი ხევსურის დამცველი. პირობას, რომელსაც ჯოყოლა აყენებს, სავარაუდოდ, ორი მიზეზი შეიძლება ჰქონდეს: ერთი – დაიცვას ოჯახის ღირსება, არ შექმნას პრეცედენტი, არ გადაყოლოს სტუმარ-მასპინძლობის მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია შურისძიების ველურ წესს, ანუ, როგორც ერთმა ადამიანმა, დაიცვას კულტურის მონაპოვარი საკუთარ სახლში მაინც („ვის გაუყიდავ სტუმარი, ქისტეთს სად თქმულა ამბადა?“). მეორე – დაიცვას ადამიანის სამართლიანი ბრძოლის უფლება იმ შემთხვევაშიც კი, როცა იგი მტერია: „უირალოს აწვალებთ, გული რასა გრძნობს თავადა?“ და მესამე – დაიცვას საკუთარი „მე“-ს უფლება თემის მრავლობითი ნებისაგან. ჯოყოლა გადალახავს ცნობიერების ინდივიდუალურ დონეს, რომელსაც შეესიტყვება „ეგოს“ პლასტი და რომელიც რეალობასთან მარტივი ადაპტაციით კმაყოფილდება. მას საკუთარი ზე-მეს, ანუ უმაღლეს კანონთან შესაბამისობაში მყოფი სუბიექტური ნების დაქმაყოფილების სურვილი ამოძრავებს. საპირისპიროდ ამისა, თემისთვის სრულიად წარმოუდგენელია იმის დაშვებაც კი, რომ პიროვნებამ რაიმე კორექტივი შეიიტანოს თემის კანონში, მით უფრო, თვითონ განსაზღვროს კანონთა იერარქია. იგი ფხიზლად და რადიკალურად იცავს მტერ-მოყვრის ოპოზიციურ სტრუქტურას და როგორც ალ. ჭეიშვილი წერს, ძვირად უსვამს „პიროვნებას საუკუნეებით განმტკიცებული შეხედულებების, წეს-ადათის, რწმენა-ნარმოდგენების ტყვეობიდან გამოსვლის ცდასაც კი“ (ჭეიშვილი 2012: 219).

ჯოყოლას შეგონებები არა მხოლოდ დიდსულოვანი და რაინდული ორთაბრძოლის მოერთგულე კაცის სიტყვებია, არამედ მისი შემბრალებუნებისა და ადამიანური თანალმობის ნიშანიც. მას არ შეუძლია იქცეს მოწმედ, როგორ ართმევენ „კაი ყმას“ თავდაცვის და თანაბარი ბრძოლის უფლებას, რადგან ვაჟასთვის არ არსებობს უფრო დიდი უსამართლობა, ვიდრე ადამიანისთვის ბრძოლის უფლების წართმევაა. ამ კონტექსტში წნდება ჯოყოლას გადაწყვეტილების კიდევ ერთი ფსიქო-მორალური ასპექტი: ჯოყოლა, როგორც მასპინძელი, უნებლიერ ბრალული აღმოჩნდა ბედისწერის ხელში (ეს მან მოიყვანა ზვიადური სახლში, მისადმი ნდობის აღვრამ განსაზღვრა ზვიადურის გადაწყვეტილება) და მისი შეურაცხყოფილი ღირსება ბრძოლას უცხადებს ამ იძულებით როლს: „სიუჟეტის დაძაბულობისა და პერსონაჟთა ქცევის მოტივაციის შექმნაში გადამწყვეტ როლს თამაშობს არა მხოლოდ ის გარემოება, რომ ჯოყოლა, ბედის ირონიით, მაინცდამაინც თავისი ძმის მკვლელს გადაეყრება და მისით მოხიბლულს, მოსისხლის დაცვა დაედება ვალად, არამედ ისიც, რომ კაცი, რომელსაც ვაჟა „ფშავ-ხევსურეთის

ფარ-ხმალს“ უწოდებს, ხელის მოუქნევლად უნდა შეენიროს სხვის მკვდარს“ (კვაჭანტირაძე 2020: 55)

ჯოყოლასთვის არაფერია მოულოდნელი იმაში, რომ ხევსური ქისტის მოწინააღმდეგება, რადგან მტრობა მთაში ჩვეულებრივი რამაა. ზვიადაურის გასანირად ჯოყოლასთვის არც ისაა გადამწყვეტი არგუმენტი, რომ ზვიადაურთან ამ მტრობას მისი ძმა ემსხვერპლა, რადგან ქისტისთვის ეს გარემოება გარდაუვალი შემთხვევითობაა, რომლითაც სამართალს ვერ აწონი. სინანულის გრიმასა, რომელზედაც ვაჟა ლაპარაკობს, მოვლენათა ამ საბედისნერო დამთხვევას უნდა გულისხმობდეს. ჯოყოლა, სავარაუდოდ, გრძნობს ბედისწერის ამ ირონიას და მასთან ბრძოლაში ებმება თავისი ადა-მიანური ღირსების დასაცავად. გეოგრაფიული სივრცის სიმცირის მიუხედავად, „სტუმარ-მასპინძელში“ თავისი არსით ანტიკური ტრაგედიის მასშტაბის სკენა თამაშდება.

ვაჟა ერთი ფრაზით, ხანდახან მხოლოდ ერთი სიტყვით მიგვმართავს მომხდარის ან ქცევის მოტივაციის სწორი შეფასებისკენ. სწორედ ასეთია ფრაზა „ეგ მართალია, იქნება“. ეს „მართალია“ მიემართება ფაქტს, „იქნება“ კი იმას, რაც ყოველთვის დგას ფაქტის მიღმა – მისი შეფასების მორალურ ინსტაციას, რომელიც ამ შეფასებას ჭეშმარიტების ხარისხს ანიჭებს. საყურადღებოა ისიც, რომ ჯოყოლას ოდნავადაც არ ეპარება ეჭვი საკუთარი გადაწყვეტილების სისწორეში. იგი იქით ადანაშაულებს ქისტებს რჯულის (უმაღლესი კანონის) დავიწყებაში: „თვის რჯული დაგვიწყებიათ, / მიტო იქცევით მცდარადა;/ ჩემს ოჯახს რა პასუხს აძლევთ“... ცხადია, ვაჟას ეს პოზიცია, რომელიც „ჯოყოლას დიალოგებში იკითხება, გაცილებით ფართო სპექტრის ფსიქო-სოციალურ და პუმანურ პრობლემებს აყენებს, ვიდრე ეს ამ ერთი პოემის სიუჟეტშია მოქცეული.

მანამ, სანამ ჯოყოლას საბოლოო გადაწყვეტილებას შევიტყობთ („დღეს სტუმარია ეგ ჩემი, /თუნდ ზღვა ემართოს სისხლისა, /მითამც მე ვერ ვუდალატებ, /ვფიცავ ლერთს, ქმნილი იმისა“), ვაჟა ქისტების მომდევნო არგუმენტს წამოსწევს, რომელიც თემის მრავლობით ძალასა და ძალაუფლების ღია დემონსტრირებაში გადადის. მორალური ლოგიკით დაწყებული პაექრობა („მოსისხლე სტუმრის გულისთვის /ძუძუს ვინ მოსჭრის დედასა?“) თითქოს ძალას კარგავს, გეზს იცვლის და გადაულახავი კონფლიქტისკენ მიექანება. ჯოყოლასთვის ცხადი ხდება, რომ ბრძო არ აპირებს არგუმენტების, წესებისა და მორალის ენით ლაპარაკს. იგი სხვა დისკურსს ირჩევს: ძალისა და ძალადობის, ძალაუფლების ენას: „შემოუძახეს ქისტებმა / ერთხმად, ძლიერად, ჭექითა: /– შენ და შენს სტუმარს, ორივეს/ ერთად გადგისვრით ბექითა./ თემს რაც სწადიან, მას იზამს /თავის თემობის წესითა“.

გამოდის, რომ „საუფლო წესი“, როგორც ღვთით დადგენილი და დროის, ხანგრძლივი გამოყენების ლეგიტიმურობით გაძლიერებული, ჩანაცვლდება „თემობის წესით“, რაც სხვა არაფერია, თუ არა მარტივი ძალადობა – ფიზიკური ძალის მეტობა – სისხლის წყურვილის, ანუ შურისძიების მოუთო-

კავი სურვილის დასაკმაყოფილებლად. სხვათა შორის, ასეთსავე სამართალს ამოფარებული, თემის ფიზიკური ძალის მოიმედე მოუწოდებს ალუდაზე შურისძიებისაკენ ხევსურებს ხევისბერი ბერდია: „დაჯარდით, ხევსურთ შვილებო, / ყველანი – დიდი, მცირენი, / სამართალი ვქმნათ, ვუმტვრიოთ / კარისა ციხის დირენი“. ორივე შემთხვევაში თემის სამართალის პრინციპი ეფუძნება მხოლოდ მასის ძალასა და ძალაუფლებას (ან, თუნდაც, მხოლოდ მასის სამართლის პრინციპებს) და მთლიანად უგულებელყოფს სამართლის ნებისმიერ სხვა, მათ შორის, ინვიდუალურ გამოვლინებას, და რაც მთავარია, უმაღლესი სამართლიანობის პრინციპზე დაფუძნებულ „საღვთო“, „საუფლო“ წესსაც. რეალურად ხდება იერარქიის ცვლილება და „საუფლო“ სამართლის პრივატიზება თემის, როგორც მრავლობითი ძალის მიერ. ჯოყოლა კი სწორედ „საუფლო წესის“ მოხმობით აპელირებს ადამიანურობასთან და მაღალ მორალურ-სოციალურ ღირებულებებთან (ოჯახი, რეპუტაცია, ლირსება, სიბრალული, უიარაღოს თანადგომა და ა. შ). ჯოყოლას პოზიციაში ფარულად იკითხება ვაჟას ქრისტიანული მრჩამსი: მოექცი მტერს ისე, როგორც გინდა, რომ შენ მოგექცნენ. ჯოყოლა საკუთარ თავს აყენებს ზვიადაურის ადგილას.

ყურადღება მივაქციოთ, რომ ჯოყოლასა და ზვიადაურის შემთხვევაში ვაჟა მუდმივად აპელირებს გულთან. გული, გულისთქმა ჯოყოლას ძირითადი და როგორც ამ ეპიზოდიდან ჩანს, ყველაზე წონადი არგუმენტია: „უიარაღოს აწვალებთ, / გული რასა ჰერძნობს თავადა?“ ჯოყოლა, ვაჟას დახასიათებით, გულის კაცია. დავაკვირდეთ: ჯოყოლასაგან განსხვავებით, ქისტები აპელირებენ გონებასთან („რად არ მოდიხარ ცნებასა?“), და რაც მთავარია, მათი ქცევა დაუფარავი, უხეში პრაგმატიზმითაა ნაკარნახევი. ამ პრაგმატიზმის ნიმუშია არა მხოლოდ მსხვერპლშენირვის რეალური შინაარსი („უნდა... უზიდოს წყალია, / მსახურად ჰყავდეს, მორჩილად, / და გაუბანდოს ჯლანია“), არა-მედ დეტალურად დამუშავებული ზვიადაურის შეპყრობის გეგმაც: ქისტებმა იციან, რომ ზვიადაური უიარაღოდ უნდა შეიპყრონ, რადგან, რიცხობრივი სიჭარბის მიუხედავად, გამარჯვებაში დარწმუნებული ვერ იქნებიან. პრაგ-მტიზმითაა ნაკარნახევი ჯოყოლას გვერდის ავლაც თავიანთი გეგმის შესრულებისას. ქისტებს იოლი და „გარანტირებული“ მოგება უნდათ, თუნდაც ვაჟაცობის დათმობისა და სინდისის ხმის გაყუჩების ფასად. ჯოყოლას სოციალური ეთიკა კატეგორიულად უარყოფს უსამართლობას, თუნდაც მტრის მიმართ: „გრისხავდეთ ცა-ქვეყნის მადლი, / უსამართლობას შვრებითა“.

ვაჟა განსაკუთრებით ზრუნავს სურათის ფსიქოლოგიურ სიმართლესა და სიზუსტეზე. დიალოგების თანმიმდევრობაზე, სიტყვა-პასუხის ღირებულებით ნიუანსებზე. თუ ბახტინის კლასიფიკით ვისარგებლებთ, მისი დიალოგები მხოლოდ ფუნქციურია და არსად – კომპოზიციური (ბახტინი 2002: 132).

ქისტები ჯოყოლას ჭკვიან და გაბედულ კაცად იცნობენ. გავიხსენოთ, რომ ქისტების მიერ ჯოყოლასთან შეგზავნილი „მოყურიადე“, „სახელს ულოცავს ჯოყოლას“, მუსასაც უკვირს ჯოყოლას შეცდომა: „მიკვირს ჯოყოლას

ჭკვისაგან“ და ა. შ. მოგვიანებით იგივე ქისტები მას ორგულ, გაუწონასწორებელ, შფოთიან ადამიანად შეაფასებენ („წინათაც ბევრჯერ აგვრია“). შეფასების ეს ორმაგობა, ერთი მხრივ, ჯოყოლას ხასიათის სირთულეზე მიგვანიშნებს, მეორე მხრივ კი იმაზე, რომ ამ შეფასებებშიც ისევე, როგორც ადათის დაცვაში, ქისტები არათანმიმდევრული არიან. ადათი სუსტდება, იშლება და მარტივ პრგმატიზმს უთმობს გზას (მათ შორის, ეკონომიკურსაც). ამიტომ ჯოყოლას ქცევას ქისტები აღიქვამენ, როგორც უგუნურ, ულოგიკ საქციელს.

„კარზე მიხტოდის ბოლოს ერთმანეთს ენაცვლება ჯოყოლასადმი მიმართვის დამამცირებელი ფორმები: „შტერო“ და „ბეჩავო“, ხოლო მისი ნათქვამი – აბდაუბდად და ქოფაკის ყეფად ფასდება. საკუთარი უძლურების განცდა ჯოყოლაში წინააღმდეგობის სურვილს აღვივებს. მის ამ მზარდ გულისწყრომას ვაჟა დიდი ფსიქოლოგიური სიზუსტით აღწერს: ჯოყოლას ოჯახი და კაცობა შეურაცხყოფილია, მას პირდაპირ უცხადებენ, რომ უძლურია, „კაცობა დაქცეულია“ („ჩემი კაცობის დამქცევნო“), რომ არავითარი ფასი არა აქვს არც მის სიტყვას, არც მკლავს და არც სახელს – არაფერს, რაც შეადგენს მის ცხოვრებას და ადამიანურ ღირსებას. ჯოყოლა სახელდება, როგორც მტერი, რომლის არამარტო წარსულს, არამედ მომავალსაც მთლიანად ხაზი აქვს გადასმული: „არ იცი, რომ შენი საქმეც/ დღე-იდან წავა ცერადა?“ თემი უკიდურეს სიჩლუნგესა და სიხისტეს ავლენს თავისი ღისეული წევრის მიმართ. შეურაცმყოფელი სიტყვა ზემოქმედების ძალით ფიზიკურ მოქმედებას უტოლდება და ჯოყოლას მხრიდან საპასუხო ქმედებაში გადადის: „ჩემი კაცობის დამქცევნო, ლანძლვასაც მემართლებითა?“ – ამ სიტყვებით გამოთქვამს ჯოყოლა თავისი მდგომარეობას სრულ გამოუვალობას, რაც აფექტურ ქმედებაში – მუსას მოკვლაში აისახება. ისე ჩანს, რომ ეს მკვლელობა არა სიტყვაზე, არამედ ქმედებაზე პასუხია. სრული აცდენილობა, შეუსმენლობა, პოზიციათა რადიკალური შეჯახება ტრაგედიის საფუძველი, სიუჟეტის განვითარების ძირითადი პირობა და მოტივაციაა.

მუსა პერსონიფიცირებული თემი და მისი დისკურსის წარმმართველია. ამიტომ მიმართავს ჯოყოლა დიალოგის დროს მრავლობით ფორმას (ერთი ფრაზის გარდა). და მაინც, ჯოყოლას უცნაურ ქცევაში, გაჯიუტებაში, რომლის გარეგან მოტივაციასაც ქისტების ღალატის გეგმა, ჯოყოლას ოჯახისა და პირადი ღირსების ხელყოფა ქმნის, მაინც რჩება ლოგიკური და ემოციური ნაპრალი, რომელიც ჯოყოლას ქცევის უფრო ღრმა და ფარული შინაგანი მოტივაციის (მოტივაციების) ძიებას გვერნახობს და მეოთხველისგან სიტუაციის სულიერ-ემოციური პლანის, უპირველესად კი გმირის ხასიათის, როგორც ქცევის უმნიშვნელოვანესი სამოტივაციო ფაქტორის – თავისებურებათა გათვალისწინებას თხოულობს. აუცილებლად მიგვაჩინა იმის აღნიშვნაც, რომ მიუხედავად მოქმედების განვითარების ძალზე სწრაფი ტემპისა, ვაჟა მაინც „ასწრებს“ გვიჩვენოს პერსონაჟთა ხასიათი და შინაგანი მდგომარე-

ობა, მათი სხეულის „ენისა“ და წარმოთქმული სიტყვის მიღმა ჩაგვახედოს მოვლენათა სილრმეში.

ჯოყოლა სახელის კაცია („სახელს ულოცავს ჯოყოლას“) – სახელი ყველაფრად ულირს. „თავი ეწონება“ ოჯახით, ადათით, ცოლით. ის, თუ რა-ოდენ აფასებს იგი თავის ადამიანურ და მამაკაცურ ღირსებას, იმ ეპიზოდი-დანაც ჩანს, როცა აღაზასთან მუსას ინციდენტს იხსენებს: „ჩემის ნამუსის შემბლალავს/ მალე მოვიყვან ჭკვაზეო, /როგორც ვანანე მუსასა/ მიხდომა სხვისა კარზეო“. ჯოყოლა მომხდარს აღიქვამს, როგორც პირად შეურაცხ-ყოფას და სხვისი ოჯახის „კარზე მიხდომას“. ის ფიცხია და მისი სიფიცხე ბრძოლისათვის ყოველწამიერ მზადყოფნაში ჩანს („და თანაც ხანჯალს პბლუჯავდა, / ხელი ეკიდა ტარზეაო“). ჯოყოლას სიფიცხე, თავმოყვარეობა, გახსნილი და გულლია ხასიათი, ვაჟუაცობით გამოწვეული სილალე და იმავ-დროულად, კაცურ სახელზე და თვითშეფასებაზე დაშენებული სიამაყე („ჩემი კაცობის გამთელნო, / ლანძღვასაც მემართლებითა?“; ან: „გონს მო-დით – შემოუძახა, / ვის სტუმარს ბოჭავთ თოკითა“... ასევე, მარტოხელა ომი ხევსურებთან და ა. შ.) – წარმოგვიდგენს დაუმორჩილებელ, საკუთარ გზებ-ზე მოსიარულე კაცს, რომლის ახირებების, „არეული“ ქცევის („წინათაც ბევრჯერ აგვრია“) თავმდები, ჯებირი და დამცველი მისი სახელი და კაცური ავტორიტეტია.

ჯოყოლა ურჩი, ძლიერი, წინააღმდეგობის სულისკვეთებით გამსჭვა-ლული ხასიათია. იცის მტრობა, მაგრამ მეგობრობაც იცის. ზვიადაურთან ურთიერთობის სცენებში ხაზგასმულია მისი მიმწოდები ხასიათი და ემოცი-ურობა. ვაჟა ხატავს მთიელი ვაჟების ერთდროულად ფეთქებად, ფიცხ და შემბრალე ბუნებას. ყველაფერი, რასაც ჯოყოლა ამბობს და ინტონაცია, რომლითაც ამბობს, თავისი სიტყვის პატრონი და გამტანი, დიდსულოვანი კაცის ლექსიკიდანაა. ჯოყოლას სიტყვა, რომელიც მისი ცნობიერების მო-რალურ ინტენციას არეკლავს და ფაქტობრივად, მოქმედების ვერბალურ გამოსახულებას წარმოადგენს, მტკიცე და ურყევია. მყითხველი მასში ვერ იპოვის ნაპრალს, ეჭვს საკუთარი პაზიციის მიმართ. მიუხედავად ამისა, ცნობიერების ამ სიმტიცეს ყოველთვის ახლავს ცოცხალი ემოცია. ვაჟა გვიჩვენებს ჯოყოლას სიტყვის მიღმა დაფარული ხასიათის შინაგან პლანსაც და მძიმე ფიქრთა დინებაში მოპოვებულ სიმართლესაც.

ჯოყოლა უდალატო კაცია – არამარტო უფლის წესს არ დალატობს, არამედ თავისი პატარა ქვეყნის პატიოსან სახელსაც უფრთხილდება. და-აკვირდით, საკუთარი სამშობლოს რაოდენი პატივისცემა და სიამაყე ჩანს ჯოყოლას სიტყვებში: „ვის გაუყიდავ სტუმარი, / ქისტეთს სად თქმულა ამბა-და...“ დიალოგის გზით წარმოდგენილი ჯოყოლას თითოეული ფრაზა ადათის, როგორც უმაღლესი სასიცოცხლო პრაგმატიზმის შეხსენებაა, მისი უმაღ-ლესი ლეგიტიმურობისა და ზედროულობის დარაჯი. იგი ადათის ამ სასი-ცოცხლო პრაგმატიკის ენაზე ლაპარაკობს მაშინ, როცა თემი მის სასიკ-ვდილო (დამშლელ) პრაგმატიკას იცავს და ახმოვანებს. ზვიადაურთან დამე-

**პერსონაჟთა ქცევის ფსიქოლოგიური მოტივაციები  
ვაჟა ფშაველას „სტუმარ -მასპინძელში“: ჯოყოლა**

---

გობრება და მისი დაცვა სტუმრის რანგში სწორედ ამ სასიცოცხლო პრაგმა-ტიკას განასახიერებს, რომელიც მტრობის საყოველთაო წესის ალტერნატივას ქმნის და ერთგვარ „ნაკრძალად“ ტოვებს დაპირისპირებული სოციალური ჯგუფების ცალკეულ წევრთა პირად ურთიერთობას.

ვაჟა დერეფანში ტოვებს ქისტების მიერ ხელ-ფეხებერულ ჯოყოლას და ხელახლა უბრუნდება უკვე ზვიადაურის მკვლელობის შემდეგ. სხვათა შორის, ეს „შეკრულობა“ წარმოდგენს ერთგვარ გარეგნულ ნიშანს ჯოყოლას გამოუვალი მდგომარეობისა მომხდარის მერე არამარტო სულიერ და ემოციურ, არამედ სოციალურ პლანში. ამას ადასტურებს როგორც მისი სიტყვები აღაზას მიმართ („სხვა სადარდელი მაკლია,/ ახლა შენ მექმნა მოზარე?“), ისე ჯოყოლას საბოლოო გადაწყვეტილება: „მარტოკამ უნდა ვიომო“... ჯოყოლას გამოუვალ მდგომარეობას ვაჟა ზუსტად ახასიათებს იდიომით: „მოაქვთ და ცოცხალს მადებენ / საფლავის ქვასა გულზედა“.

სასაფლაოს სცენის შემდეგ ჯოყოლას ვხედავთ კერის პირას მჯდომარეს, ფეხი-ფეხზე გადადებულს, ჩაფიქრებული ადამიანის კლასიკურ პოზიში, რომელიც აღაზას ძალზე ბუნდოვან და ქაოტურ გრძნობებს გარკვეულობას სძენს და საბოლოო შეფასებას აძლევს. ამ ეპიზოდში ვაჟა ხატავს ბრძენი და დიდსულოვანი ადამიანის რომანტიკულ სახეს. სახის ამ ასპექტს კიდევ უფრო მეტ სიღრმეს ანიჭებს ხევსურთა წინააღმდეგ ჯოყოლას მარტოხელა ბრძოლა, რაც სხვა არაფერია, თუ არა სასიკვდილოდ თავის გაწირვა თემის ეჭვისგან „გამოსახსნელად“, საკუთარი ლირსებისა და სახელის აღსაღენად.

მარტოხელა ომი ენინააღმდეგება ომის კანონს, რომლის დროსაც მრავალი მრავალს ებრძვის, ყველა – ყველას. ერთი ბევრის წინააღმდეგ ომი არაა. ესაა ნებაყოფლობითი მსხვერპლი, თავშეწირვა.

მარტოხელა ომი ფიზიკური გამოხატულებაა იმისა, რაც ჯოყოლას სულში ხდება. მარტოხელა ომი სხვა არაფერია, თუ არა თემის (სამშობლოს) წინაშე საკუთარი ადამიანური ვალის მოხდა და ღმერთის წინაშე საკუთარი ცოდვა-ბრალის ნარდგენა.

ჯოყოლას მსხვერპლშეწირვა მისი ნების თავისუფლების საზღაურია.

**დამოწმებანი:**

Baxtin M. “Problemi poetiki Dostoevskogo”. V kn.: *Sobranie Sochinений v Semy Tomakh*. T 6. Moskva: Institut Mirovoi Lliteraturii. Izdatelstvo “Russkie slovari”, 2002 (Бахтин М. “Проблемы поэтики Достоевского”. В кн: *Собрание сочинений в семи томах*. Т. 6. М. Институт мировой литературы, издательство “Русские словари”, 2002).

Ch'eishvili A.“Vazha-Pshavela”. *K'rit'ik'a*, №7. Tbilisi: lit'erat'uris inst'it'ut'iš gamomtsemloba, 2012 (ჭეიშვილი ალ. „ვაჟა-ფშაველა“. კრიტიკა, №7. თბილისი: ლიტერატურის ინტიტუტის გამომცემლობა, 2012).

K'vachantiradze M. "Mitiskmnadobis Sp'etsipik'a Vazha Pshavelas P'oemebshi". *Sjani*, 20/II. Tbilisi: tsu gamomtclemloba (კვაჭანტირაძე მ. „მითისქმნადობის სპეციფიკა ვაჟა ფშაველას პოემებში“. სჯანი, 20/II. თბილისი: თსუ გამომცემლობა, 2019).  
Vazha-Pshavela. *Leksebi, Motkrobebi, P'oemebi, P'iesebe*. Tbilisi: gamomtsemloba "sabchota mts'erale", 1960 (ვაჟა ფშაველა. ლექსები, პოემები, მოთხრობები, პიესები. თბილისი გამომცემლობა „საბჭოთა მწერალი“, 1960).

**Manana Kvachantiradze  
(Georgia)**

### **Pshuchological Motivations of Characters in Vazha Pshavela's “Host and guest”:**

#### **Jokhola**

#### **Summary**

***Key words:*** Jokhola, motivation, choice, revenge.

The dynamic of circumstances and situation described by Vazha Pshavela in introduction of his poem „Host and guest“ is not common: Both, the guest and the host „owe blood“ to each other. Paying of this debt is the clue to whole future dramatism. It is traditional topmost which will be eventually denied by Kist Jokhola as inevitable and indispensable reason for revenge. For, „right“ conduct that manifests itself in deep sympathy between humans indispensable reason claimed by community could not be sufficient motivation for enmity”.

Vazha Pshavela prepares reader's evaluating position for Jokhola's choice and proposes a chain of conducts and decisions of characters as well as their physiological motivations that should finally justify Jokhola's choice, so unusual and complex at the first sight. This choice that should find its way between personal perception of manly dignity and Kist common(community's) view of the same concept.

In order to bring closer the reader to such dispose big important is given to overall image of Kists: this is the crowd aspiring for blood that denies not only hospitality traditions but also descent battle with his enemy. Vazha depict Kists' plan not as the revenge against enemy but as human betrayal picture.

Vazha consequently intensifies picture of his inner anxiety.

Argument that Zviadauri has killed Jokhola's brother for Kists as well as for the reader creates expectation that it would not be left without relevant reaction, but suddenly Jokhola refuses *personal* revenge. Jokhola is a man which will never accept unmanly revenge. In such situation individual decision requires special strength of will and also direct answer to the question: „Who am I?“ and „who I am with?“. Jokhola gives radical

answer: „ I am not with you ”. Constructing material of his character and his words is already given in the very beginning,

Psychological and moral motivation of Jokhola’s decision is very important: 1. Defend honor of the family and maintain hospitality tradition from brutal rule of revenge, with other words - to defend cultural value. B. To defend human right of fair battle even against the enemy. C. Defend his own personal right from multiple will of his community. Jokhola overcomes individual level of consciousness corresponding to Ego layer. He is conform with simple adaptation with reality. His main motivation is to fulfill his subjective will in coherence with supreme rule. For community on the contrary, it is unthinkable that hierarchy of rules could be defined by single person. Community cautiously protects enemy-friend oppositional social structure of.

There is no more bigger injustice for Vazha Pshavela then depriving right to fight. In this context one more psycolo-ethical aspect stands forward: Jokhola as a host has *accidental guilt* in the hands of fate (he himself brought Zviadauri to his home, his trust caused Zviadauri’s reaction) and his offended dignity starts to fight against this verdict. Despite the limitation of geographic space, in the essence the scale of „Host and Guest” scenes is similar to antic tragedy.

The Justice of community is based only on mass force and power and neglects any other forms of justice including individual expression and even justice originated from supreme principles of godly” order. In fact the hierarchy is changed and prerogatives of God are taken by community as a multiple power. while defending high moral values Jokhola is relaying on Godly order (family, reputation, honor, empathy, support of weaponless etc.) In Jokhola’s position hidden Christian faith of the author is observed.

Beyond external motivations of Jokhola’s decision (the treachery plan of Kists, attacking personal and family dignity of Jokhola) deeper and hidden reasons of his conduct are observed that should be considered by the readers as a an important motivation factor. Despite rapid development of the action Vazha Pshavela still manages to show characters of the heroes and their inner condition. Through their words and body language he makes us look in the depth of occurrences.

According to author Jokhola is „a man of heart”. His heart feeling and intuition are the main factors and arguments for his actions.. Kists on the contrary apply mind („where is your right mind?”) therefore, their action are dictated by rough pragmatism. The complex structure of custom is destroyed and simple pragmatism takes its place.

Jokhola is a man of reputation - reputation is everything for him. „He was proud of himself” because of his family, custom, wife. Because of his human and manly virtues. He is passionate and his passion is manifested in constant readiness for struggle. Jokhola has open character built on his manly virtues and the same time pride that is rooted in his self perception and dignity. Jokhola’s character represents a man which follows only his own route and his extraordinary conducts ( „he was unruly before as well”) are guarded and fortified by his reputation and authority.

Jokhola is disobedient, strong and conflictive character. In relationship with Zviadauri his trusting and emotional features are accentuated. Vazha Pshavela gives picture of a man which is explosive and empathic at the same time. Jokhola's words reflect his moral intention. His words are verbal representations of his conduct so solid and firm. Such firmness of consciousness is always accompanied by natural emotion.

Jokhola is trustworthy man - he never gives up God's word and is defending image of his small country „who has betrayed the guest, who has ever done it from Kists?” Jokhola's each word is reminding highest pragmatic function of the custom. He speaks on the language of vital pragmatism of tradition while community follows disruptive, deathly pragmatism of custom. Friendship with Zviadauri and his defense is manifestation of this vital pragmatism that is alternative to enmity rules. It creates kind of „preserved zone” in human relationship of different community members.

Vazha Pshavela shapes romantic image of wise and noble man. The lonely battle against Khevsurs gives deeper dimension to his image that is nothing more than self sacrifice in order to liberate community from doubt and to restore his honor and reputation.

Solitary struggle is a sign of what is happening in Jokhola's soul. Solitary struggle is nothing more than voluntary sacrifice and presentation of his own blame to God's judgement. Jokhola's sacrifice is a payment for his free will.

**Rūta Brūzgienė**  
**(Lithuania)**

### **Modern Rhetoric: Sermons of Julius Sasnauskas**

**1. Introduction.** Rhetoric, literature and musical arts, which had syncretic origins, progressed in close interaction through many centuries, sometimes approaching each other and sometimes distancing from one another. In the 19th century, the significance of the rhetoric had diminished after the poetics and stylistics have broken away; it became irrelevant. In the middle of the 20th century, the period of the new rhetoric began, when the rhetoric was particularly closely linked to the science of communication, and it began to be perceived, according to Chaim Perelman, as “a theory of a persuasive communication” (as cited in Koženiauskienė 2001: 15). At that time, the practical-communicative rhetoric flourished, though in the 21st century there is a start of a comeback to canonical rhetoric studies, also historical and typological studies of rhetorical and musical interactions are highly actualised. At present rhetoric is perceived both, as multidisciplinary and multi-functional art and as science: “Rhetoric is characteristic of the scientific consciousness as much as of artistic” (Lotman 2004: 182).

Lithuanian society has become more receptive and comfortable with religious texts after regaining independence and freedom of religion in 1990. The printing started not only the sermons of the 17th to 19th centuries, but equally the texts of the preachers from the second half of the 20th and the 21st century (Mons. Kazimieras Vasiliauskas, Father Stanislovas, F. Algirdas Toliatas, F. Julius Sasnauskas), also some scientific research appeared, where texts were analysed in particular aspects of the rhetoric. It is important to understand the codes, used to increase persuasion by talented clergymen, which appear in the speech as intonation, rhythmics, sound, form, etc. Accordingly, the article will discuss several aspects of interactions between rhetoric, music and communication, and will look at the traditional and new features of the rhetoric devices of sermons, composition, and some principles of musical development.

The rhetoric of sermons by Julius Sasnauskas, OFM (b. 1959), one of the most prominent contemporary preachers of Lithuania, was chosen for in-depth research. His spiritual style is special in his warmth and understanding. “The greatest sinners”, members of the underground, the punks, and the wealthy seek him for conversation and confession. “The greatest sinners”, members of the underground, the punks, and the wealthy seek him for conversation and confession. In the Soviet times being famous for his dissident activities (Sasnauskas was one of the founders and active members of the *Lithuanian Liberty League (LLL)*), he helped to edit and print the underground anti-Soviet press, distributed LLL documents, where the protest was expressed against the occupation of Lithuania and Russification, and the use of psychiatry for political purposes. In 1979 together with

other dissidents, he signed the *45 pabaltijiečių memorandum* (*Memorandum of 45 Baltic Nationals*). He was arrested and imprisoned between 1979 and 1986 in a KGB prison and deported to Tomsk Oblast. In 1992, Sasnauskas graduated Kaunas Priest Seminary and, in 1996, gave the vows of a Franciscan Friar. Currently, he is a priest at Bernardine Church in Vilnius and leads the Catholic radio station *Mažoji studija* (*Little Studio*). He co-worked in the underground magazine *Dievas ir Tėvynė* (*God and the Homeland*), 1976–1981, in Lithuania, wrote several books: *Dar kartą – Žmogaus Sūnus* (*Once again – the Son of Man*), 1999, 2007, *Jei esame čia* (*If We Are Here*), letters together with Antanas Terleckas, 2000), *Bernardinų dienoraščiai* (*Bernardine Diaries*), 2002, *Malonės akrobatika* (*Acrobatics of Grace*), 2006, *Pagaunama ir nepagaunama* (*Catchable and Non-catchable*), 2013, *Iš skverelių ir kaimelių teologijos* (*From the Theology of Squares and Villages*), together with Father Stanislovas, translated into Russian, 2013]. However, despite such a large number of books, just only a few academic articles or reviews have been published about Sasnauskas's sermons (Aurelija Mykolaitytė, Giedrė Kazlauskaitė, Dalia Jakaitė).

The modern rhetoric of sermons, their theological, philosophical, communicational and the other aspects are widely analysed in the academic world globally, but there are almost no such studies in Lithuania. Similarly, the musicality of sermons in the global science is mostly associated with rhythmics, the old recitation traditions, but linkage with the works on analogues of musical forms and the musical principles of development yet have not been encountered. However, there are archetypal musical forms, which appear in all time-based arts (Karbusický 1997). The processual aspect of the form of music expresses the internal form of the literary text (Brūzgienė 2004, 2007). Rhetoric texts have their particular compositional requirements, but the dynamics of the inner form, the nature of the development of themes can only be defined in musical terms.

The comparative methodology, used in the article, is based on the conception of Werner Wolf's intermediality, Yuri Lotman's concept of the rhetoric in culture, some principles of semiotics of passion by Algirdas Julius Greimas, the understanding of anthropological universals of music (Vladimir Karbusický), the theory of sermons (Wilfried Engemann), the method of functional analysis (Viktor Bobrovsky) and works by Lithuanian scholars.

**2. Rhetoric, communication and music. 2.1. Semiotics of culture.** Yuri Lotman writes in his article “Rhetoric” in *Kultūros semiotika* (*The Semiotic of Culture*) that in modern poetry and semiotics, rhetoric is perceived threefold. The first interpretation should be the linguistic sense, “like the rules of constructing speech at the anti-phrase level” (Lotman 2004: 170–171), what means the narrative structure at the levels, which are above the phrase. The second one is like a discipline exploring the “poetical semantics” – the types of figurative meanings; it is the so-called “figurative rhetoric”. The third understanding is the “poetics of text”, a branch of poetry exploring “the internal connections of texts and their social functioning as the unified semiotic formations” (*ibid.*). According to Lotman, this latter approach, combining it with the previous one, forms the basis of “general rhetoric” in modern science.

Discussing the level of rhetorical figures, Lotman emphasises the heterogeneity of human consciousness. He highlights that in both, collective and individual consciousness, there are generators of two types of texts, one of which is based on the mechanism of discontinuity, while others are continuous (Lotman 2004: 172). The approaches to the theme development (repetition, variation, free development), which form the basis of archetypal musical models (two-part, three-part variation, rondo, sonata dialectics) are based on the principles of continuity and discontinuity in music (Karbusický 1997).

Speaking of the rhetoric of the text, Lotman treats it as a closed semiotic entity, separated from the context. However, if the whole text is “encoded in the system of rhetorical culture, any of its elements also becomes rhetorical” (Lotman 2004: 184). In cultures, which are oriented to the rhetorical organisation, each higher level of the semiotic hierarchy increases dimensions of the space of the meaningful structure. For example, in the Byzantine culture, the established hierarchy of “the world of ordinary life and non-textual speaking – the world of secular art – the world of ecclesial art – the divine liturgy – the transcendental Divine Light” is a chain (Lotman 2004: 185), where each part becomes irrationally more complicated. At the beginning there is a move from the world of non-character objects to a system of characters/signs and social languages, then characters of different languages are combined into a whole, which is untranslatable into any of these languages (word and melody, relation of the text of the book and miniature; the connection of words, songs, wall paintings, natural and artificial lights, incense smells in church services, the link between the architecture of the building and the landscape, etc.), and eventually the art merges with the transcendental Divine Truth. Each level in the hierarchy is not expressed by the previous level, which is an incomplete image of its means. Lotman states that the principle of a rhetorical organisation is the basis of a particular culture, which transforms each new level into a semiotic secret for the lower ones. Thus, the rhetoric (like in the logic) reflects the universal, individual and collective principles of consciousness (culture) (*ibid.*).

**2.2. Religious communication.** Lotman in his works paid considerable attention to universals related to mythology and magic. He also analyses the uniqueness and universality of magic in culture, the paradox of magic in culture (Lepik 2008). The following aspects are more relevant to the subject of this article: connection of magic with the characteristics of natural language (i.e. defining a magical function using terms from the act of linguistic communication, magicality of verbal representation, magicality of the substance of language). Due to the scope of the article, it is not possible to discuss more widely all the aspects of the mythological and magical universals, analysed by Lotman, but they impact the concept of culture with their uniqueness and universality. There are numerous ways of decoding the Divine mysteries (Engelmann 2011), and they all are simply the references to sacred semiosis.

Religious communication is distinctive not only because of the certain requirements to the speaker’s personality but also due to the complexity of the science of theology and the specific aims of the sermon. One of the most prominent researchers of

homiletics Wilfried Engemann in his book *Einführung in die Homiletik* (*Introduction to Homiletics*) extensively discusses the concept of sermon, its exegetical and hermeneutical problematique, various linguistic and rhetorical issues (stylistics, reasoning, dialogue, speech act), psychological and sociological aspects, theological specifics of the sermon (sermon is understood as the sign of God's message and as a sign of the existing communion in God) and personal competencies of the preacher (based on the concepts of S. Freud, C. G. Jung, E. Berne). The sermon is perceived as personal communication, as the execution of a role (the basis is the art of speaking, existential renewal, the discovery of the future), as binding (eschatological nature) and appropriate (ecclesiological nature) communication, which serves both the community and the individual. The objectives of the inner logic of the sermon are to establish a personal connection, prepare for the message announcement, present an antithetical, contradictory structure of the message, convey the traditional features of the sermon and remain functional. The sermon is considered to be appropriate when the interactions among the Christians, remuneration of guilt and common identity are emphasised.

At present, the classical structure of a sermon consists of six parts: the first is the theme (the title of the sermon), the second is the passage of the evangel, the third is the description of the idea (what is the purpose of the sermon?), the fourth is the introduction (the initial situation, history, personal experience, and question). The fifth part is the main one, consisting of two or three sections, each of which can be based on two arguments, references, other examples, illustrations, stories, personal experiences and other aspects. These sections have to enlighten the theme from the angle of development, enrichment and explanation. The sixth part is the conclusion. It is the culmination of the whole sermon. It must be short and simple, but its nature can vary (e.g., referral, appeal, motivation, question, concern, challenge, illustration), repeated and newly interpreted theme of the sermon, and the quote from the *Bible*, which was read at the beginning (Lachmann 2001).

Consequently, sermon is one of the most difficult genres of the rhetoric, which possesses many angles (i.e. content angle, pastoral, communicative, psychological, theoretical-linguistical, rhetorical, semantical), where each of them is separated into several levels and can be explored using different methodologies and different codes of research (Engelmann 2011).

**2.3. The classification of the rhetorical figures.** The principles of the development of time-based arts are the same: the repetition of a theme or the thematic nucleus, variation, free development. Although the terms of music and rhetoric are the same, derived from rhetoric, there is also a specific terminology related to semantics in the rhetoric. The devices of traditional rhetorical stylistics are divided into several groups. The first group includes rhythmic and euphonic instruments (these are the consonances of grammatical forms, alliteration, etc.). The second group covers the devices of echo or repetition (framing, polysyndeton, anaphora, gradation, accumulation, etc.). The third group is based on contrast (antithesis, correction, antiphrasis, etc.), the fourth group consists of tropes (metaphors, metonymy, synecdoche, onomatopoeia, etc.). Two new subgroups are

included in the latter group: the fifth group is updated phraseology, and the sixth group is humour and wit (Koženiauskienė 2001, 2013).

Classification of the classical rhetorical figures is extremely complex. The new rhetoric basically uses three conceptions of the tropes: a metaphor (semantic change according to the similarity of a “seme”), metonymy (similarity according to proximity, association or causality) and a synecdoche, which some authors rank as the main and primary, others as a separate case of metonymy (this would be the change on the basis of participation, inclusion, the exchange of a part or plurality into the single piece) (Roman Jakobson can be pointed out here). Sometimes irony is also included in the conception of figures.

Lotman presents examples of metonymy and metaphor of the sacred dimension, in which a relic (concrete sacred object) expresses a metonymic relationship. According to the literary scholar, the icon is a metaphor formed by the merger of two energies with the different directions: the energy of the Divine Logos, which wants to be revealed to humans, and the energy of its creator—the artist, to whom the painting of an icon takes over all his way of life (prayer, fasting, piety, etc.) and who seeks the higher knowledge (Lotman 2004: 179).

#### **2.4. The conception of intermediality: interaction between rhetoric and music.**

ამგვარ ტექსტს ერთი მთავარი თვისება აერთიანებს – ესაა რეალობისადმი არამიმეტური დამოკიდებულება; მათი ავტორები, იქნება ეს ჯეიმზ ჯონსი თუ უილიამ ფოლკნერი, ტომას ელიოტი თუ ეზრა პაუნდი, თომას მანი თუ ჰერმან ჰესე, უგულებელყოფენ ჯერ კიდევ სენეკას მიერ ჩამოყალიბებულ „ბუნებისადმი მიბაძვის“ კლასიკურ პრინციპს და სამყაროს ისეთ სურათს წარმოაჩენენ, რომელიც მათ სუბიექტურ მხატვრულ ხედვას შეესაბამება. ჯოზეფ კონრადი ყველაზე ადრე, ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის მიწურულში წარმოსახავს ამგვარ სივრცეს – თავისი პირობითი აფრიკის პირობით ჯუნგლებს და მათ წიაღში დაკლაკნილ გზას – მდინარეს, რომელიც ამ სივრცის ძირითად, მაკონსტრუირებელ სიმბოლურ ხატად წარმოგვიდგება. ყველა ეს სიმბოლური თუ ასოციაციური სახე „წყვდიადის გულის“ მითოპოეტიკურ სივრცეს თითქოს „ცალკე“ სიმბოლურ ტექსტად (ან მეტად მნიშვნელოვან ქვეტექსტად) გამოჰყოფს – ესაა ერთგვარი სიღრმისეული „ტექსტი ტექსტში“, ანუ მეტატექსტი, რომელიც ნაწარმოების უშუალო-აზრობრივი ზედაპირისა-გან განსხვავებულად იკითხება და რომლის სიმბოლური და სემანტიკური კონტაციები განსხვავებულ რეალობას მიანიშნებენ – არა იმას, რაზედაც „წყვდიადის გულში“ უშუალოდ არის საუბარი, არამედ თითქოს რაღაც სხვას – „მილმიერს“, კონკრეტულად დაუდგენერლს, გაურკვეველს, მაგრამ კონრადის ნოველაში პრაქტიკულად ყველგანმყოფსა და უნივერსლურს. ეს სიღრმისეული განზომილება – სათაურის მეტაფორა რომ მოვიშველიოთ, საკუთრივ „წყვდიადის გული“ – ისევე, როგორც მისი გამომხატველი სახე-ები, კონკრეტულ განსაზღვრებას ძნელად ექვემდებარება; ის პოლისემურია, მრავალგვარი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა და ფაქტობრივად, შეადგენს ერთგვარ სემიოტიკურ სივრცეს, სადაც ყოველი სახე და სიმბოლური დეტალი, გარდა იმისა, რადაც ის ტექსტის კითხვისას აღიქმება, წარმოადგენს კიდევ „სხვა რაღაცის“ ნიშანს. ეს არის სწორედ ის „რაღაც მიუწვდომელი“, რომელზედაც ოპრენი ირონიულად შენიშნავს, რომ „ის, როგორც ჩანს, ძალიან მნიშვნელოვანია.“ მისგან განსხვავებით, კონრადის პოეტიკის ეს თავისებურება ღირსებად მიაჩნია ჯ. ჰილის მილერს, რომელიც აღნიშნავს, რომ „ეს „რაღაც სხვა“ ჰქმნის... მძლავრ ქვეტექსტს, რომელიც კარნახობს მკითხველს, რომ ნოველაში უშუალოდ მოთხოვობილი აღიქვას როგორც ფარდა, რომლის უკან არის რაღაც, რაც არ ჩანს, ან ჯერჯერობით არ ჩანს, თუმცა ყოველი ახდილი ფარდის უკან მხოლოდ სხვა, ახალი ფარდა იმალება“ (Miller 2008: 118). ამგვარი მწერლური ტექნიკა, ეს „დაფარულის არ გახსნისა“ და მისი არ გამხელის თუ „არ გამუღავნების“ პოეტიკა, ფაქტობრივად, მთელი ესთეტიკური პაზიციის კონკრეტულ გამოვლინებას წარმოადგენს. მისი არსი მწერალს ახსნილი აქვს სხვა მეტად მნიშვნელოვანი ნაწარმოების – ნოველის „ზანგი ‘წარცისიდან’“ წინასიტყვაობაში: „ხელოვნება უპირველეს ყოვლისა განცდებს მიმართავს და როდესაც მხატვრული ჩანაფიქრი წერილობითი სიტყვით გამოიხატება, ისიც განცდის საშუალებით უნდა სწვდებოდეს საპასუხო ემოციების ფარულ ზამხარას. ლიტერატურა ყველა საშუალებით

უნდა ესწრაფვოდეს ქანდაკების პლასტიკას, ფერწერის ფერებს და ყველა ხელოვნებათა ხელოვნების – მუსიკის მაგიურ მრავალნიშნადობას. მხოლოდ ფორმისა და შინაარსის სრული აღრევისადმი განუხრელი, თავდადებული ერთგულებით... მივუახლოვდებით ამ ფერებს, ამ პლასტიკას და [მაშინ] მოძველებული, გახუნებული, საუკუნოვანი ხმარებისგან მოცვეთილი სიტყვების უკან, ძნელად მოსახელთებელ მყისიერებაში აკიაფდება მაგიური მრავალნიშნადობის ნათელი“ (Conrad 1988: xl ix). ეს საოცარი შთამბეჭდაობით აღნერილი „ლიტერატურული ეპიფანია“ ერთობ მოულოდნელი სახით აღნევს სიუჟეტურ რეალიზაციას „წყვდიადის გულის“ ფინალში, სადაც კურცი და ნაწილობრივ თვით მარლოუც „ზღურბლს გადააბიჯებენ“ და მიღმიერებას ეზიარებიან. მეტად მნიშვნელოვანია ისიც, რომ „მყისიერებაში აკიაფდებული მაგიური მრავალნიშნადობა“ კონრადის მთელი ფორმათქმნადობის არსებობას გამოხატავს, ნათელს ჰქონდება „დაფარულის“ წარმოსახვის მეთოდს, რასაც ნოველაში უჩვეულო ხატოვანების ფარდა ეფარება და აღმქმელი ცნობიერებისათვის ძნელად მოსახელთებელია.

ნოველის მითოპოეტიკურ სივრცესთან დაკავშირებულ თავისებურებათა საილუსტრაციოდ გამოდგება ერთი მეტად საგულისხმო ფრაზა უმბერტო ეკის „ფუკოს ქანქარიდან“, რომელსაც ამ უსასრულოდ ირონიულსა და იმავდროულად ინტელექტუალურ რომანში ეზოთერიკით გატაცებული რედაქტორი დიოტალევი წარმოსთქვამს მეგობრებთან საუბრისას: „როგორც კი დავუშვებთ იმის შესაძლებლობას, რომ სამყაროში არსებობს თუნდაც ერთი ათველის წერტილი – ისეთი რამ, რაც არ წარმოადგენს სხვა რაღაცის ნიშანს, ჩვენ იმნამსვე გავცდებით ჰერმეტიკული აზროვნების ფარგლებს“ (Eco 1989: 378). არ არსებობს რაიმე დამაჯერებელი საბუთი იმისა, რომ კონრადს სერიოზული ეზოთერული ინტერესები ჰქონდა, ან რომ ის „საიდუმლო და აკრძალული“ ცოდნის ადეპტი ყოფილიყო. როგორც მარტინ ბლოკი შენიშნავს, „წარმოუდგენელი იქნებოდა, რომ ისეთი თვდაჭერილი პიროვნება, როგორიც კონრადია, თეოსოფიით გატაცებული უ. ბ. იეიტსის მსგავსად, ლონდონის საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობისას „შემოქმედებით ტრანსში“ ჩავარდნილიყო“ (Bock 2007: 97). ოკულტისტებს კონრადი საერთოდაც ირონიულად მოიხსენიებს (რომანში „დასავლური თვალით“ (1911) და ესეში „მიქვეყნიური ცხოვრება“ (19010)), მაგრამ „წყვდიადის გულის“ პოეტიკას ის სწორედ „ჰერმეტიკული აზროვნების“ ერთგვარ ანალოგზე აფუძნებს. არა იმ გაგებით, რომ ის, ვთქვათ, „კორპუს ჰერმეტიკუმის“ იდეებს სესხულობს, ან ალქიმიური სიმბოლოებით „შიფრავს“ თავის სათქმელს, არამედ ზოგადი ეზოთერული სტილისტიკის თვალსაზრისით, რა თვალსაზრისითაც ჰერმეტიკული (ალქიმიური, ასტროლოგიური, თეოსოფიური და სხვა) ტექსტების ენა იმდენად ქარაგმული და იგავურია, რომ ის მხოლოდ „განდობილთათვის“ არის მისაწვდომი. ამგვარ თხზულებებში აღმნიშვნელსა და აღსანიშნს შორის კავშირი უკიდურესად გაბუნდოვანებულია და მისი გააზრება, გარდა სპეციალური „აკრძალული ცოდნისა“, დიდნილად აღმქმელის

ინტუიციაზეა დამოკიდებული. რად ლირს თუნდაც „ჰერმეტიკული ბალის“ (Hortus Hermeticus), როგორც „დიადი ქმნადობის“, ან „პირველადი მატერიის“ (prima materia) ცენტრალური სიმბოლოები, რომელიც მრავალ ალქიმიურ თხზულებაში გვხვდება და იმდენად მრავალნიშნადია, რომ მათი კონკრეტული მნიშვნელობების „მიკვლევა“ ალპათ მხოლოდ ეზოთერული ცოდნის ადეპტებს ხელენიფერებათ. კონრადი ფართოდ იყენებს ამ სტილისტიკის პრინციპებს – „ჰერმეტიკული“ აზროვნების მსგავსად, მისი მხატვრული მეტყველებაც უკიდურესად ირიბია, ქარაგმულია, რეალურ სათქმელს „დაშორებულია“. სივრცე, რომელშიც მარლოუ მოგზაურობს, ყველაფერი, რასაც ის ალიქვამს და აღწერს, რაღაც მიღმიერსა და მიუწვდომელს „მოასწავებს,“ ან ამ რაღაცაზე მიანიშნებს, ან ამ რაღაცას ახასიათებს, ან რაიმე სახით განსაზღვრავს, მაგრამ საკუთრივ რა არის ეს მინიშნებული, დახასიათებული, ან სხვა მხრივ განსაზღვრული „რაღაც“, მკითხველისათვის უცნობი რჩება.

საინტერესოა, რომ ანალოგიურ მეთოდს მიმართავს კათაპატიკური თეოლოგია, რომელიც, უარყოფს რა იმის გამოხატვის შესაძლებლობას, თუ „რა არის“ ღმერთი, მართებულად მიიჩნევს მის განსაზღვრას იმის საშუალებით, თუ „როგორია“ იგი (უსასრულო, უცვლელი, მარადიული, ყოვლისშემძლე და ა.შ.). ფაქტობრივად, კონრადი იმ მოდერნისტული პოეტიკის ადრეულ ანალოგს მიმართავს, რომელსაც მოგვიანებით, წერილში „ულისეს მონოლოგი“ კ.-გ. იუნგი დაახასიათებს, როგორც „შოკისმომგვრელს“, რადგან ჯონის რომანში „...უთვალავი ფარდის უკან არაფერი იმაღლება“ (Jung 2001: 143, 145). რეალობის წვდომის ამ „ჰერმეტიკულ“ ასპექტს წარმოსახავს თომას მანიც „იოსებისა და ძმანი მისნის“ პროლოგში, სადაც ის საუბრობს წარსულზე, როგორც უძირო ჭაზე, რომელიც შეცნობის ყოველ ეტაპზე რაღაც „ფარდის“ (ხატის, სიმბოლოს, ბიბლიური ან მითოლოგიური პერსონაჟის) სახით გვეძლევა, რომელსაც მოსდევს სხვა ფარდა (ხატი, სიმბოლო, ბიბლიური თუ მითოლოგიური პერსონაჟი), მას კიდევ სხვა და ასე დაუსრულებლად. ერთი სიტყვით, რომელ სფეროსაც არ უნდა ენათესავებოდეს კონრადის მხატვრული ხედვა, – იქნება ეს ეზოთერიკა, ღვთისმეტყველება, თუ მაღალი მოდერნიზმის ლიტერატურული ესთეტიკა – სიმბოლოებით, მინიშნებებითა და ასოციაციებით კონსტრუირებული მისი ნოველის შინაგანი სივრცე არსებითად მითოპოეტიკურია. მარლოუს აღქმაზე ზემოქმედების პრინციპით ეს სივრცე წარმოადგენს სემიოტიკური (ჰერმეტიკული, ეზოთერული) სივრცის მხატვრულ ანალოგს, ხოლო ზოგად-სიმბოლური აზროვნების პრინციპით ის, რასაც მარლოუ „ხედავს“ მთელი ხილული სამყაროს მეტაფორაა, რომელიც ჩვენ ყველას, ვინც „გასხვიოსნებული“ არა ვართ და ამიტომ მოკლებულნი ვართ რეალობის „უშუალო“ წვდომას, უმბერტო ეკოს გმირისა არ იყოს, მხოლოდ „ნიშნების“ სახით გვეძლევა. ამ თვალსაზრისით, ეს სივრცე დახშულია – მარლოუს (და მასთან ერთად მკითხველის) აღქმა შეზღუდულია, ზღვარდებულია „იდუმალის“, „შეუცნობლის“, „გამოუსატავის“

და „საშინელის“ ვერ-წვდომით იმის იქით, რაც წარმოადგენს ამ იდუმალი და შეუცნობელი „რაღაცის“ ნიშნებსა და მახასიათებლებს, ანუ მის იდუმალებას, შეუცნობლობას და გამოუხატავობას. კონრადის ნოველაში ყველაფერია გაკეთებული იმისათვის, რომ მკითხველი დარჩეს მითოპოეტიკური სივრცის ნიშანთა სამყაროში და ვერ გასცდეს „ჰერმეტიკული აზროვნების“ ფარგლებს, ვერ მისწვდეს იმას, რაც „ნიშნებს მიღმაა.“ ნოველის კითხვისას ეს წარმოქმნის უკმარისობის განცდას, რომელიც დაკავშირებულია ნიშანთა სისტემის ვერ გარღვევასთან და იმის ვერ დადგენასთან, თუ საბოლოოდ, რას ნიშნავს (ან სიტყვასიტყვით, რისი „ნიშანია“) მთელი ის ბუნდოვანება, აბსურდი და გაურკვევლობა, რასაც მარლოუ ჰყვება. ეს თვისება ეგროგვარ პროტესტის გრძნობასაც აღძრავს – ოპრეის და ლივის ის საერთოდ, კონრადის მწერლურ უუნარობად წარმოედგინათ, მაგრამ თვითონ კონრადისათვის ეს სრულიად გაცნობიერებული შემოქმედებითი პოზიციის გამოხატულება იყო: „გარკვეულობა, ჩემო კარგო, ნანარმოების ხარისხისათვის საპედისნეროა, – წერდა ის მეგობარს, – ის აუქმებს მრავალნიშნადობას, ანადგურებს ყოველგვარ ილუზიას. თქვენ, როგორც ჩანს, ცხოვრებაშიც და წარმოსახვაშიც გარკვეულობისა და სიცხადის მომხრე ხართ... მაგრამ ცხადი და ნათელი დებულება უმნიშვნელოა. მისი დანიშნულება მხოლოდ ის არის, რომ მან მკითხველს ყურადღება შეიტყუოს და უმნიშვნელო რაღაცეებზე გადაიტანოს იმ მთავარიდან, რაც ხელოვნებაში მართლაც მნიშვნელოვანია“ (Conrad 2005: 457).

საინტერესოა, კონრკეტულად რა სახით შემოდის (ან რომელი ნიშნით აღინიშნება) ტექსტის გამომსახველობით საშუალებათა სისტემაში ეს „მიღმიერი“ რეალობა, რომლის განსაზღვრაც მარლოუს არ ძალუძს და რომელსაც ის მხოლოდ ატრიბუტებით მოიხსენიებს. ნოველაში მისი ყველაზე თვალსაჩინო მახასიათებელია „უდაბურება“ (*wilderness*) – ეს არის ალბათ ყველაზე ხშირი სახელი (ან „ნიშანი“), რომლითაც მარლოუ ახასიათებს მის თვალწინ გადაშლილ პანორამას – ჯუნგლებს და მდინარეს, რომელიც ამ ჯუნგლებში მიედინება. „უდაბურება“ ნოველაში იმდენად უღრან ტყეს არ აღნიშნავს, რამდენადაც იმას, რაც ამ უღრან ტყეში იმაღება და რაც ამ ტყეში „გამოიცეირება დაფარული ცოდნის გამომეტყველებით, მომთმენი ლოდინით, მიუღწეველი დუმილით“ (127). სიმბოლურ საზღვარს უდაბურ რეალობასა და მასში დაფარულ მიღმიერებას შორის კომპანიის სადგურები განასახიერებენ – მათს იქეთ უკვე იწყება შეუცნობელი („მივადგებოდით ხოლმე სანაპირო სადგურს, შეუცნობლის საზღვარზე მდგარს...“ (84)), მაგრამ ეს საზღვარი მაინც ფიზიკურია, ლამის „გეოგრაფიულიც“ და ამიტომ – პირობითი. რეალური ზღვარი სინამდვილესა და „შეუცნობელს“, „უდაბურებასა და მასში დაფარულს შორის მატერიალური არ არის, არსებითად ის მხოლოდ მარლოუს (და როგორც შემდეგ ირკვევა, კურცის) ცნობიერებაში არსებობს. მაგრამ ნოველაში თვით რეალობა – როგორც ხელშესახები და მატერიალური, ისე „მიღმიერი“ და ფარული – სხვა არაფერია, თუ არა ის, რაც მარლოუს

ცნობიერებაში აისახება, ანდა პირიქით – ის ზმანებანი, რომელთა პროეცი-  
რებას ის ამ რეალობაზე ახდენს. ერთი სიტყვით, ნაწარმოებში ფაქტსა და ამ  
ფაქტის შესახებ ემოციურ შთაბეჭდილებას შორის ზღვარი იმდენად წაშლი-  
ლია, რომ სიუჟეტის საკვანძო მომენტების გარდა (ბრიუსელში კონტრაქტის  
გაფორმება, აფრიკაში „დიდ მდინარეზე“ სამოგზაუროდ გამგზავრება, იქ მო-  
მაკვდავ კურცთან შეხვედრა და ბოლოს ინგლისში დაბრუნება) ძნელია იმის  
დანამდვილებით თქმა, თუ რა ხდება ნოველაში რეალურად და რა – წარმოად-  
გენს მარლოუს ეგზალტირებული ფანტაზიის ნაყოფს. თუმცალა ის, რაც  
მარლოუს გადახდება თავს, ჩვენ მხოლოდ თვით მარლოუს მონათხრობიდან  
ვიცით და ამდენად, ნოველაში ხდება ის, რაც ხდება მის ცნობიერებაში, გა-  
ნურჩევლად იმისა, მართლა მოხდა თუ არა ეს ყოველივე და ზუსტად ისე მოხ-  
და თუ არა, როგორც ამას მარლოუ ყვება.

პერიოდულად, მარლოუ კომენტარს ურთავს თავისსავე წარმოსახულ  
სურათს, ანუ კიდევ უფრო მკაფიოდ გამოჰკვეთს იმას, რაც მისი თხრობი-  
დან ისედაც აშკარად ჩანს – მოგზაურობის აბსურდულობას, მის სიზმრეულ,  
არარეალურ ხასიათს. მარლოუ თითქოს შეპყრობილია იმ „არარეალობით,“  
რომელსაც თვითვე თხზავს, თან აცნობიერებს, რომ ყველაფერი, რაც მის თავს  
ხდება, სიზმარია და თვითვე ახასიათებს თავის შთაბეჭდილებებს, როგორც  
სიზმარს. ერთგან ის თითქოს „როლიდან გამოდის“ კიდეც და მხოლოდ თავის  
წარმოსახვით მსმენელებს კი მიმართავს, არამედ მიმართავს მკითხველსაც:  
„მე ისევე ვერ ვხედავდი ამ სახელში კაცს, როგორც თქვენ ვერ ხედავთ, –  
ამბობს ის კურცის სახელზე საუბრისას, – ხედავთ მას? ამ მოთხრობას ხე-  
დავთ? (ხაზი ჩემია – თ. კ.) რამეს ხედავთ? ასე მგონია, თქვენთვის სიზმრის  
მოყოლას ვცდილობ, მცდელობა ამაოა, რადგან სიზმრის მოყოლა ვერ გად-  
მოსცემს სიზმრის განცდას, ამ ნაზავს აბსურდისა, გაკვირვებისა და გა-  
ოგნებისა, როცა შეიგრძნობ, რომ შეპყრობილი ხარ იმ არარეალობით, რაც  
სწორედ რომ არსია სიზმრისა...“ (69).

„არარეალური რეალობა“, რომლითაც შეპყრობილია მარლოუ, სიზმრე-  
ულობისა და უდაბურების გარდა, სხვა ნიშნებითაც ხასიათდება – ის იდუმა-  
ლია და მდუმარე: „ამ მინის სიჩუმე იჭრებოდა გულში, მისი იდუმალება, სი-  
დიადე, განსაცვიფრებელი სინამდვილე მისი დაფარული ცხოვრებისა...“ (66).  
ეს იდუმალი მდუმარება უძრაობაშია გარინდული („ტყე უძრავი იყო, როგორც  
ნიღაბი, მძიმე, როგორც ციხის დაკეტილი კარი“) (127); „ყველაფერი შეჩერდა  
დაძაბულ უძრაობაში“ (132)). ამავე დროს, „უდაბურება“ ალსავსეა მოთმინე-  
ბით („ღრმა სიჩუმე იდგა და ავისმომასწავებელი მოთმინებით ელოდა...“ (81)),  
ის „ჩასაფრებულ სიკვდილს, მიმალულ ბოროტებას და მისი გულის უღრმეს  
წყვდიადს“ მალავს (81). გარემომცველი სანახაობა გრანდიოზულია, მის ნინა-  
შე ადამიანი თითქოს არაფერია („დიადი იყო ყოველივე, მომლოდინე, ჩუმი...  
ვფიქრობდი, ამ უსაზღვროების სახეზე აღბეჭდილი უძრაობა... შთაგვაგო-  
ნებდა რაიმეს თუ საფრთხეს გვიქადდა. რანი ვიყავით, ვის დავკარგვოდით?“  
(67)). ამ სიდიადესა და დიდებულებაში, მარლოუს გზა წყვდიადით არის

მოცული („ჰორიზონტი გადაიხსნა ჩვენ წინ და დაიხურა ჩვენ უკან, თითქოს ტყე აუჩქარებლად გადმოვიდა მდინარეზე, რათა უკან დასაპრუნებელი გზა გადაეკეტა. სულ უფრო და უფრო ღრმად მივიწევდით წყვდიადის გულში“ (85)). მთელ ამ სივრცეში, რომელიც იმდენადვერა რეალური, რამდენადაც ნარმოადგენს მარლოუს ავადმყოფური ფანტაზიის ნაყოფს, რაღაც ძალზე მნიშვნელოვანი და შემზარავია დაფარული – იმდენად მნიშვნელოვანი, რომ მასთან მიმართებაში „რეალობა ქრება“ და იმდენად შემზარავი, რომ ის „ჩვენ-და ბედად“ დაფარულია. მარლოუ ამას პირდაპირ ამბობს, მაგრამ ამბობს თითქოს სასხვათაშორისოდ, როდესაც მოგზაურობის წვრილმან დეტალებზე საუბრობს – როგორც ეს ხშირად ხდება დიდ ლიტერატურაში, „წყვდიადის გულშიც“ მნიშვნელოვანი მხატვრული ინფორმაცია ერთი შეხედვით უმნიშვნელო დეტალებშია ჩამალული: „დღისით უნდა მეძებნა ხმელი ხეები, რასაც დამე ვჭრიდით ნავის საწვავისათვის, რათა მეორე დღეს გზა გაგვეგრძელებინა. როცა ამგვარ რამებს შეესწრები, უბრალო ზედაპირზე მყოფ წვრილმანებს, რეალობა – გეუბნებით რეალობა – ქრება. შინაგანი სიმართლე დაფარულია, ჩვენდა ბედად“ (83).

ნაწარმოებში გაურკვეველი რჩება, თუ საკუთრივ რას წარმოადგენს ეს იდუმალი, წყვდიადით მოცული და ავისმაუწყებელ ლოდინში გარინდული „რაღაც“, ის დაფარული „შინაგანი სიმართლე“, რომლის წვდომაც „ჩვენდა ბედად“ წარმოუდგენელია. როგორც „დაო დე-ძინშია“ ნათქვამი, „დაფარული დაფარულისა ბჭეა ყოველი საიდუმლოსი“ (ლაო-ძი 1990: 87) და ეს „საიდუმლოს ბჭენი“ მოთხოვნაში დასასრულამდე არ განიხვნება. მეტად ნიშანდობლივია, რომ დაფარული „რაღაც“, ყველა თვისებასთან ერთად, ძრწოლის მომგვრელია, შემზარავია და რომ ეს შემზარაობა არის სწორედ ის მთავარი, რაც ამ „რაღაცის“ სხვა თვისებებს აერთიანებს. გაურკვეველი შფოთვის ელფერი დაპერავს მარლოუს შთაბეჭდილებათა უდიდეს ნაწილს, განსაკუთრებით იმ ეპიზოდებს, სადაც ის „უდაბურებას“ აღწერს – „მი-დარაჯებული ვუსმენდით შემზარავსა და უკიდურეს სიჩუმესო,“ ამბობს ის მას მერე, რაც სამარისებრ სიჩუმეში ჩაკვეცება უეცარი ღრიალი, რომელიც ჯუნგლებში გაისმის (94). ერთადერთი, ვინც ნოველაში შესძლებს მიღმიერის წვდომას, ვისაც „გამომკრთალი ჭეშმარიტების ხილვა“ მიეცემა, არის კურცი – მან „ზღვარს გადააბიჯა“ და ამით განსხვავდება ჩემგანო, აღმოხდება მარლოუს: „მან გაიარა უკანასკნელი გზა, გადააბიჯა ზღვარს, მაშინ, როცა მე ნება მომეცა შემეკავებინა ყოყმანა ნაბიჯი. და ალბათ აქა მთელი განსხვავება; ალბათ მთელი სიბრძნე და მთელი ჭეშმარიტება და მთელი სიწრფელე ერთდება რაღაც მოუხელთებელ წამში, როცა გადავაბიჯებთ ზღურბლს უხილავისა“ (154). ამ „ზღურბლზე გადააბიჯებისას“ და „უხილავის“ წვდომისას უქმდება თვით დროის დინება და შინაგან მზერას მთელი ცხოვრება წარმოუდგება „სრულყოფილი ცოდნის უზენაეს წამად“, რომლის აღქმაც შემზარავია, ძრწოლის მომგვრელია. ეს მომენტი წარმოადგენს არა მხოლოდ მარლოუს ძიების ფინალს და მთავარ „ამბავს“ რომელიც „წყვდიადის გუ-

ლის“ მთელ ნარატივს განსაზღვრავს, ის ამავე დროს კონრადის თეორიული კონცეფციის გამოხატულებაა, რომელსაც ის თავისი ნოველის მხატვრულ კულმინაციად მოაქცევს. თვისებრივად, ეს სწორედ ის ეპიფანიის მომენტია, რომელსაც ის უკვე ნახსენებ „ნინასიტყვაობაში“ განსაზღვრავს, როგორც „მყისიერებაში აკიაფებულ მაგიური მრავალნიშნადობის ნათელს“ (Conrad 1988: xl ix), რომელსაც ყველა ხელოვანი უნდა ესწრაფოდეს. შემოქმედის პოზიტიური გასხივოსნებისაგან განსხვავებით, კურცის შინაგან მზერას ისეთი შემზარავი „რაღაცა“ წარმოუდგება, რაც მასში „ძრწოლასა და ცახცახს“ იწვევს. სწორედ დაფარული მიღმიერების წვდომის მომენტში აღმოხდება კურცს ის ცნობილი წამოძახილი, რომელიც მომაკვდავის პირიდან ამოხვნებად გაისმის: „თავისი ცხოვრების გზა ხომ არ გაიარა თავიდან, სურვილის, ცდუნების და მარცხის ყველა დეტალში, როცა სრულყოფილი ცოდნის უმაღლეს წამს მიაღწია? ჩურჩულით ამოიძახა რომელიდაც ხატის, რაღაცის ხილვისას, ოჯახერ ამოიძახა და ეს ამოძახილი სხვა არა იყო რა, თუ არა ამოხვნება: შემზარავი! შემზარავი!“ (152). აღსანიშნავია, რომ კურცის გასხივოსნების ეპიზოდი, მთელი მისი განცდით-ინტელექტუალური დატვირთვა, ძალზე მკაფიოდ და დამაჯერებლად წარმოაჩენს კონრადის როლს მისი დროის მხატვრულ აზროვნებაში. ერთი მხრივ, კონრადი შემოქმედებითად ითვისებს რომანტიკოსებისათვის კარგად ცნობილ ხერხს, რომელსაც ჯერ კიდევ პ. ბ. შელი „უბედნიერეს მომენტს“ და „ღვთაების გამოცხადებას“ უწოდებდა („პოეზიის დაცვა“, 1821), ხოლო მეორე მხრივ, ის ამ ხერხს უსასრულოდ ართულებს და შინაარსობრივად განაახლებს, ფაქტობრივად აქცევს მას ცალკე მოდერნისტულ გამომსახველობით საშუალებად. კონრადთან ეპიფანია ჩამოყალიბებულია რთულ მხატვრულ ხერხად, რომელსაც შეიძლება ჰქონდეს როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური განცდითი დატვირთვა, ან სულაც ირონიული, ან სარკასტული ულერადობა. კონრადის კვალდაკვალ, ინგლისურენოვანი მოდერნისტები ხშირად მიმართავდნენ ამ „მაგიური მრავალნიშნადობის მოუხელთებელი წამის“ მხატვრულ წარმოსახვას. მათ შორის – ჯონი (იხ.: Chayes 1962), ვირჯინია ვულფი, ტომას ელიოტი, ეზრა პაუნდი, უილიამ ფოლკნერი და სხვანი (იხ.: Beja 1971), რომელთა ინტერპრეტაციებს ხშირად ეტყობა კონრადის მხატვრულ მიგნებებზე ორი-ენტაციის კვალი.

მარლოუს სიზმრეული მოგზაურობა, მთელი მისი ჰალუცინაციები და აბსურდულ სახეთა წარმოუდგენელი კორიანტელი, რომლითაც ის მეტყველებს, შეფერილია ერთგვარი არამოტივირებული შიშით, რაღაც გაურკვეველი ძრწოლით, რომელიც თხრობის პროცესში ხან ცხრება, ხან მატულობს, მაგრამ გარდატეხის წერტილს კურცის სიკვდილის ეპიზოდში და მის ცნობილ წამოძახილში აღწევს. „ბუნდოვანი და დამთრგუნველი საერთო განცდა იზრდებოდა ჩემში... დამღლელ პილიგრიმობას ჰგავდა, ღამეული კოშმარებით გაჯერებულსო“ (43), ამბობს მარლოუ ჯერ კიდევ დასაწყისში, როდესაც პირველად დაინახავს სამგზავრო გემიდან კონგოს

შესართავს და შემდეგ, უკვე ფინალთან ახლოს: „სრულებით გამომაცალა ძალა ყოვლისმომცველმა, გაშიშვლებულმა შიშმა, წმინდა აბსტრაქტულმა საშინელებამ, დაუკავშირებელმა გარკვეულ ფიზიკურ საფრთხესთან. რის-გან იყო, რომ ამ განცდამ მოიცვა ჩემი არსება, როგორ განვსაზღვრო? ის მორალური ზარი, რაც თავს დამეცა, თითქოს რაღაც მთლიანად სასტიკი, აზრისათვის აუტანელი და სულისათვის მიუღებელი, მოულოდნელად და-მატყდა თავს“ (141–142). მარლოუს ძიების დასასრულისა და კურცის სიკ-ვდილის ეპიზოდი ცხადყოფს, რომ კონრადი ინტუიციურად აცნობიერებს და მხატვრულად გარდასახავს თანადროული ფილოსოფიური აზროვნების უმნიშვნელოვანეს ასპექტებს, რომლებიც მომდევნო ათწლეულების ევრო-პულ ცნობიერებაში ეგზისტენციალისტური მსოფლმხედველობის სახით ჩამოყალიბდება. მართლაც, „ძრწოლა“, „აბსურდი“, „სიცარიელე“, „არარა“ იმ ფილოსოფიური ტრადიციის ძირითადი კატეგორიებია, რომელიც დასაბამს იღებს კიერკეგორთან და ნიცხესთან, მოიცავს ჰაიდეგერს და იასპერსს და სარტრთან და კამიუსთან სრულდება უკვე არა როგორც მხოლოდ ფილო-სოფიური, არამედ როგორც სანახევროდ ლიტერატურული მოვლენა. პირ-წმინდად კონცეპტუალური თვალსაზრისით, ეგზისტენციალიზმს ხარკს უხდის კონრადის „წყვდიადის გულიც“, თუმცა მისი შექმნის დროისთვის ევროპულ ცნობიერებაში ეგზისტენციალისტური მსოფლმხედველობის გა-ბატონებაზე საუბარი ჯერ ნაადრევია. როგორც ოტო ბოლმანი აღნიშნავს მეტად საინტერესო წიგნში „კონრადის ეგზისტენციალიზმი“, იმას, თუ რა არის ძრწოლის მიზეზი, ანუ „საკუთრივ რა არის შემზარავი, მარლოუ არ ხსნის, მაგრამ მისი აზრები გვკარნახობს მათი ეგზისტენციალისტური წა-კითხვის მართებულობას – ის, რასაც კურცი აცნობიერებს, არის არარა („Nothingness“), მისი საკუთარი თავისა და ბოროტი სამყაროს „სიცარიელე“, „ანუ კამიუს სიტყვებით რომ ვთქვათ, „ყოვლისმომცველი აბსურდი“ (Bohlmann 1991: 100).

შემზარაობის იმ განცდას, იმ ძრწოლას, რომელიც მარლოუს მთელ მოგზაურობაში თან სდევს და რომლის კულმინაციაც კურცის წამოძახილში გაისმის, არამოტივირებული ხასიათი აქვს. მკითხველი სრულ გაუგებრობა-ში რჩება, თუ საკუთრივ რა არის „შემზარავი“, ან რა არის კურცის შეძრწუ-ნების მიზეზი, ან რატომ არის შემზარავი ის, რაც კურცის წარმოდგენით, შემზარავია. მეტად ნიშანდობლივია, რომ მრავალი წლის შემდეგ, ლექციაში „რა არის მეტაფიზიკა?“ ჰაიდეგერი სწორედ ამ ძირითადი მახასიათებლით განსაზღვრავს ძრწოლას (Die Angst) – ძრწოლა არ არის შიში, რადგან შიშს აუცილებლად უნდა გააჩნდეს გამომწვევი მიზეზი, შიში ყოველთვის არის „შიში რაღაცის“. მისგან განსხვავებით, ძრწოლას მიზეზი არ გააჩნია, ის არის „ძრწოლა არარას წინაშე“, „თვით არარაც სწორედ ძრწოლაში მუღავნდება, ანუ ჰაიდეგერის ცნობილი ფრაზა რომ მოვიხმოთ, „ძრწოლა წარმოაჩენს არარას“ – Die Angst offenbart das Nichts (Heidegger 2008: 101). გამოდის, რომ შემზარაობასა და ძრწოლაში კურცს „არარას“ წვდომა მიეცა და სწორედ

ძრნოლაში განეხვნა მას „დაფარული დაფარულისა“, რომელიც არის „ბჭე ყოველი საიდუმლოსი.“ კურცი სწვდა ყოფიერების არსს, რამაც ის შეაძრნუნა, ან უფრო – სწორედ ამ ძრნოლის, ამ შემზარაობის სახით წარუდგა მას „არარა.“ აქ ცხადი ხდება ისიც, თუ რატომ ვერ აყალიბებს მარლოუ „დაფარულის“ რაობას, რატომ საუბრობს იმაზე, თუ „როგორია“ ის და არა იმაზე, თუ ის რა „არის.“ საქმეც ის არის, რომ „დაფარულს“ რაობა არ გააჩნია – ის არის არარა, რომელიც ძრნოლაში წარმოჩნდება, ხოლო მერე უკვე ძრნოლა აფორმებს „იდუმალებას“, „ავისმაუწყებლობას“, „უდაბურებას“, „მდუმარებას“ და არა-რას სხვა ატრიბუტებს მარლოუს სუბიექტურ შთაბეჭდილებებად. მათგან ყოველი ცალ-ცალკე და ყველა ერთად სწორედ ძრნოლით, შეუცნობლის წინაშე არამოტივირებული შიშით არის შეფერილი, რასაც დაკვირვებული მკითხველი „წყვდიადის გულის“ კითხვისას ყოველ ფეხის ნაბიჯზე შეამჩნევს. იმის არსებით, მთავარ, ნაწარმობისათვის ფურემდებლურ გაურკვევლობაში, თუ საკუთრივ რა არის „შემზარავი“, მკაფიოდ ისმის კირკეგორის ნააზრევის გამოძახილიც, რომლისთვისაც გაურკვევლობა ძრნოლის არსობრივ, კონცეპტუალურ ასპექტს შეადგენს და ძრნოლის მიზეზის, მისი საგნის განსაზღვრის ფუნდამენტალურ შეუძლებლობას გამოხატავს (Kierkegaard 1957: 38).

ეს მოქენტი მეტად მნიშვნელოვანია იმის გასაზრებლად, თუ რამდენად ახლოს დგას კონრადის მიერ წარმოსახული სურათი ეგზისტენციალისტური აზროვნების ტრადიციასთან, მის მთავარ ნაკადთან. იმდენად ახლოს, რომ ზოგი კრიტიკოსი „წყვდიადის გულს“ წარმოიდგენს, როგორც „შიშისა და ძრნოლის“ ლიტერატურულ დამატებას, დაწერილს მარლოუ-მთხრობელის პოზიციიდან, რომელიც ხან ეთანხმება და ხან ეკამათება იოჰანეს დე სილენციოსს (კირკეგორის ფსევდონიმია – თ.ვ.)“ (Clegg 1988: 286), რაც, რახან კირკეგორით კონრადის გატაცების დამადასტურებელი წყარო არ არსებობს, ლიტერატურათმცოდნეობით სქოლასტიკას უფრო წააგავს, ვიდრე სერიოზულ კვლევას. ცხადია, ჰაიდეგერის, ან მითუმეტეს, სარტრის მსოფლმხედველობრივი წარმოიდგენების გადატანაც კონრადის ბევრად უფრო ადრე შექმნილ ნაწარმოებზე მხოლოდ ჰირობითი რეტროსპექციის სახით არის შესაძლებელი (ლექცია „რა არის მეტაფიზიკა?“ ჰაიდეგერმა 1929 წელს წაიკითხა, ხოლო სარტრის „ყოფიერება და არარა“ საერთოდ, მეორე მსოფლიო ომის დროს გამოქვეყნდა). მაგრამ უკვე ამგვარ რეტროსპექტივაშიც ნათლად ჩანს, რომ ეგზისტენციალიზმი – არა იმდენად როგორც კონკრეტული ფილოსოფიური მოძღვრება, არამედ უფრო ფართოდ, როგორც მთელი ეპოქის აზროვნების წესი და კულტურული ცნობიერება – თავის ერთ-ერთ ადრეულ გამოხატულებას სწორედ „წყვდიადის გულში“ პოულობს. ბოლმანი მართებულად აღნიშნავს, რომ „კონრადის ნაწარმოებები სავსეა იდეებით, წარმოდგენებით და ფრაზებით, რომლებიც ეგზისტენციალისტურ ტექსტებს მოგვაგონებენ“ (Bohlmann 1991: xiii). მაგრამ ცხადია ისიც, რომ „წყვდიადის გული“ არც ფილოსოფიურ ტრაქტატს და არც მომავლის

მსოფლმხედველობრივი ძვრების წინასწარმეტყველებას არ წარმოადგენს, ის მხატვრული ნაწარმოებია, რომლის ავტორი ძალზე თავისუფლად ეპყრობა თვით ყველაზე ღრმააზროვან ფილოსოფიურ ასოციაციებს და მათ თავისი მხატვრული მიზნებისათვის იყენებს. ჯონ პიტერსი დამაჯერებლად ამტკიცებს, რომ ნოველაში ხშირად ნახსენები „სიცარიელე“ წარმოადგენს „არარას“ სინონიმურ სიმბოლურ სახეს, თვისებას, რომელსაც კონრადი როგორც უდაბურ გარემოს, ისე მოქმედ პირებსაც მიაწერს: „აფრიკის სიჩუმე, მისი ხმებისგან დაცლილობა უფრო დიდი სიცარიელის სინეკდოქეა, ეს არის არარას სიცარიელე (the emptiness of nothingness)“ (Peters 2019). დედამინის, ცისა და წყლის „ცარიელ უსაზღვროებაში“ დგას სამხედრო გემი, რომელიც ხმელეთის უკაცრიელ (ცარიელ!) ნაპირს ბომბავს (41); მარლოუს კარჭაპი „ცარიელი ჰორიზონტისკენ“ მიემართება (84), „ცარიელია“ მდინარე, რომელზედაც „დიადი სიჩუმე დგას“ (82) და სხვ. „არარას სიცარიელეს“ შეიცავს თვით კურცი – როდესაც მას უდაბურების ჩურჩული ჩაესმოდა, „ხმამაღალი ექი აღიძვროდა მასში, შიგნით, სადაც სრული სიცარიელე იდგა“ (129). სიცარიელეს, მაგრამ უკვე არა „მიღმიერს“, არამედ სავსებით ხელშესახებს, შეიცავს „აგურის მჭრელიც“ – გროტესკული პერსონაჟი, რომელსაც მარლოუ ცენტრალურ სადგურზე ხვდება: „მეგონა, თითო რომ ვატაკო ამ გუდაფშუტა მეფისტოფელს, გავხვრეტ და შიგნით არაფერი აღმოჩნდება გარდა თხევადი ჭუჭყისა-თქო“ (67). მეტად ნიშანდობლივია, რომ მეოთხედი საუკუნის შემდეგ, ტომას ელიოტი გამოიყენებს „სიცარიელის“ ამ სიმბოლოს თავის უსაზღვრო პესიმიზმით აღსავსე ესქატოლოგიურ ხილვაში „ფულურო კაცები“ (“Hollow Men”, 1925), სადაც ის სწორედ „წყვდიადის გულის“ ასოციაციას დაეყრდნობა და „სიცარიელეს“ უკვე საერთოდ თანამედროვე ადამიანის თვისებად წარმოსახავს.

მარლოუს თხრობაში ლოგიკური თანმიმდევრობა და მიზეზ-შედეგობრივი კავშირები დარღვეულია – უდაბურებაში დაფარული „რაღაც“ ერთი მხრივ ირეალურია და მას მატერიალური საზღვრები არ გააჩნია, ხოლო მეორე მხრივ, ამ საზღვარს მდინარისპირა სადგურები განასახიერებენ, რომლებიც „შეუცნობლის საზღვარზე“ დგანან. პარადოქსია ისიც, რომ უდაბურება ნოველაში პერსონიფიცირებულია, ის თითქოს „ცოცხალია“ და მას პიროვნული ნიშან-თვისებები მიენერება. აქაც გაურკვეველია, ეს მარლოუს სუბიექტურ შთაბეჭდილებათა ქაოსის მეტაფორული წარმოსახვაა, თუ უდაბურება მართლა „ცოცხალია“, ან იქნებ უდაბურების „გაცოცხლება“ ხერხია, რომლის იქითაც სხვა „რაღაც“ იგულისხმება: „ვფიქრობდი, ამ უსაზღვროების სახეზე აღბეჭდილი უძრაობა, რომელიც ჩვენ ორისკენ მომართულიყო, შთაგვაგონებდა რამეს თუ საფრთხეს გვიქადდა. შეგვეძლო ამ მდუმარების მართვა თუ ის გვმართავდა? ვგრძნობდი, რაოდენ დიდი, შემზარავად დიდი იყო ის, რაც ვერ ღაპარაკობდა, ან ყრუც იყო ამასთანავე“ (67-68); უდაბურება ცოცხალია, რადგან უძრაობაში გარინდული ტყე „გამოიცეირება დაფარული ცოდნის გამომეტყველებით, მომთმენი ლოდინით,

მიუღწეველი დუმილით“ (127); ღრმა სიჩუმე „ავისმომასწავებელი მოთმინებით ელის“ რაღაცას (81); უდაბურება კურცს „ისეთებს ჩასჩურჩულებდა საკუთარ თავზე, რაც თვითონაც არ იცოდა, ისეთებს, რასაც ვერც კი გაიაზრებდა, ამ დიადი მარტონობისგან რომ არ მიეღო რჩევა – და ეს ჩურჩული დაუოკებლად აჯადოვებდა.“ (129) მის აფრიკელ სატრფოს მისჩერებია უდაბურების „ნაყოფიერი და იდუმალი ცხოვრების უზარმაზარი სხეული“ (135) და ა. შ.

უსულო ან აბსტრაქტული საგნისა თუ მოვლენის „გაცოცხლება“ წარმოადგენს პოეტიკურ ხერხს, რომელიც აღინიშნება უცხოდ ჟღერადი ტერმინით „პროსოპოპეა“, მას აგრეთვე უნდღებენ ხოლმე გაპიროვნებას, ან პერსონიფიკაციას. ყველა პროსოპოპეა, ამავე დროს, წარმოადგენს კატაქრეზას – აზრობრივად შეუთავსებელი სიტყვების შეთავსებას, ანუ რიტორიკულ ფიგურას, რომელიც გამოხატავს აბსურდს: „უდაბურება, რომელიც კურცს თავზე ხელს უსვამს და რაღაცაზე ეჩურჩულება,“ ან „მდუმარება, რომელიც ვერ ლაპარაკობს და ყრუა“ თავისთავად სხვა არაფერია, თუ არა ლოგიკური აბსურდი. ის მხოლოდ გადატანითი, მეტაფორული მნიშვნელობით აღიქმება, როგორც რაღაცის გამომხატველი სიმბოლური სახე და სწორედ მაშინ იძენს ის რიტორიკულ შინაარსს, იქცევა კატაქრეზად. იმას, თუ საკუთრივ რას გამოხატავს კონრადთან ასეთი სახეები, ახსნა არ მოეპოვება, იმიტომ, რომ ისინი არაფერს კონკრეტულს არ გამოხატავენ. რასაც „წყვდიადის გულში“ ვხვდებით, არ წარმოადგენს ტრადიციული გაგებით, მეტაფორულ აზროვნებას, რადგან ტრადიციულ სახეს ყოველთვის აქვს კონკრეტული აღსანიშნი, რომელიც ამ სახეს რეალობას უკავშირებს და მას ამ რეალობას ა მ ს გ ა ვ ს ე ბ ს. სწორედ ამგვარი მიმსგავსება შეადგენს მიმეტური ხელოვნების არსს. ამის საწინააღმდეგოდ, მარლოუს ხატოვანი მეტყველების რეფერენციები გაურკვეველია, ბუნდოვანია, მრავალნიშნადია – ისეთი, როგორიც მკითხველს მხოლოდ რომელიმე ალქიმიურ ტრაქტატში, ან სხვა ეზოთერულ ტექსტში შეიძლება შეხვდეს. ეს, როგორც წესი, უკვე ნახსენები ფარდათა სისტემაა, რომლის უკან არაფერი არ იმაღება და სადაც მთავარი და ფასეული სწორედ ეს „ფარდებია“, ანუ „პოსტმოდერნული“ ტერმინოლოგით, სწორედ ის ირეფერენციული ნიშნები, რომლებიც კონრადის აფრიკის პიპერერეალობას ჰქმნიან. „წყვდიადის გულის“ ალოგიკურ, აბსურდულ სახეებს საერთოდ არ გააჩნია კონკრეტული ცნებითი აღსანიშნი – ნოველა პრინციპულად „არა-მიმეტურია“, ის არ ისახავს მიზნად იმ გარემოსა და მოქმედების (სივრცისა და დროის) ავთენტურ გადმოცემას, რომელზედაც მოვითხოვთ. ნოველის სახეთა სისტემა თავისი აღსანიშნებით მხოლოდ პირობითად შეესატყვისება იმ ობიექტურ გარემოს, რომელიც დეკლარირებულია მისი მოქმედების სივრცედ, რის შედეგადაც თვით ეს სივრცე ნოველაში აბსტრაქტულ პირობითობად არის ქცეული. ამიტომაც არის, რომ არც მდინარე კონგოს და არც თვით აფრიკის, როგორც მარლოუს სამოგზაურო სივრცის სახელწოდება, ნაწარმოებში არც ერთხელ არ გვხვდება, ისევე, როგორც არ გვხვდება მასში არც ერთი აფრიკული ტოპონიმი და არც მოგზაურობის საწყისი წერტილის,

ბრიუსელის სახელწოდება, რომელსაც მარლოუ „შეფეთქილ საფლავად“ მოიხსენიებს (სახე წარმოდგენს მათეს სახარების მინიშნებას, 23: 27). მარლოუს მიერ აღნერილი რეალობის ეს „სიზმრეულობა“, ანუ როგორც ის თვითონ უწოდებს მას, „არარეალურობა“, წარმოადგენს მეტად საინტერესო ხერხს, რომელიც კონრადის მხატვრულ მეთოდს ჩვენი დროის პოსტმოდერნისტულ წარმოდგენებთან ანათესავებს. „წყვდიადის გულის“ აფრიკა სავსებით შეგვიძლია წარმოვიდგინოთ „სიმულირებულ“ სივრცედ, რადგანაც ის არსებითად არამიმეტურია და მარლოუს უკიდურესად სუბიექტური შთაბეჭდილებების ქაოსიდან არის კონსტრუირებული. ამგვარად წარმოსახული სინამდვილე მკაფიოდ მოგვაგონებს უ. ბოდრიარის „ჰიპერრეალობის“ მხატვრულ ანალოგს, ანუ ირეფერენციულ რეალობას, რომელიც, ფრანგი მოაზროვნის თანახმად, აღსანიშნეს მოკლებულ ნიშანთა სისტემას წარმოადგენს (Baudrillard 1995: 6). მის უკან არაფერა, – არის მხოლოდ „სიცარიელე“, ის აბსურდი და „არარა,“ რომელიც, ეგზისტენციალიზმის თანახმად, ძრწოლაში ვლინდება. ამგვარად, რეალობის ირეფერენციული ხასიათი, მისი „ფარდისმაგვარობა“ და სიცარიელე ამ ფარდებს უკან მხოლოდ მარლოუს მეტყველებაში არ არის დეკლარირებული, ის განხორციელებულია თვით ნაწარმოების მხატვრულ ქსოვილში, როგორც მისი პოეტიკის უმნიშვნელოვანესი ასპექტი და კონრადის მხატვრული მეთოდის ძირითადი თავისებურება.

### III

მითოპოეტიკური სივრცის ერთ-ერთი ძირითადი თვისებაა საგნებითა და მოვლენებით შევსებულობა – შემავსებელი ელემენტების გარეშე ის უბრალოდ, არ არსებობს. ვინაიდან დატვირთვით და მნიშვნელობით ეს „შემავსებელი“ მკაფიოდ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, მათი მომცველი სივრცეც ყოველთვის და არსებითად არაერთგვაროვანია. „წყვდიადის გულის“ მხატვრულ სივრცეში მთავარი სიმბოლური დატვირთვის მატარებელი ელემენტია გზა – ის ამ სივრცის მამოდელირებელ საწყისს წარმოადგენს, რადგან „ცარიელი“ სივრცე, მასში გამავალი გზის გარეშე მხატვრულად დისფუნქციური, ან საერთოდ წარმოუდგენელია. გზის (და შესაბამისად, „მგზავრობის“) არქეტიპი არა მხოლოდ კონრადის ნოველის, არამედ საერთოდ მითოპოეტიკური აზროვნების ერთ-ერთ უნივერსალიას წარმოადგენს და მრავალ მსოფლმხედველობრივ სისტემას, ინტერკულტურულ ხატსა თუ რელიგიურ წარმოდგენას უდევს საფუძვლად. „წყვდიადის გულში“ ამ გზას ადგას მაძიებელი გმირი – მარადიული მოგზაური, რომლის არქეტიპული როლი ჰუმანიტარული ცოდნის სხვადასხვა დარგში იმდენჯერ არის შესწავლილი, რომ აქ მისი დამატებითი განხილვა მრავალგზის უკვე წათქვამის გამეორება იქნებოდა (იხ. ამ თემაზე ერთგვარი მიმოხილვით-შემაჯამებელი ესეი Hartman and Zimberoff 2009). დავჯერდებით იმ ფაქტის კონსტატაციას, რომ მარლოუ,

როგორც მაძიებელი გმირი (Quester Hero), იმ დიდი ევროპული ტრადიციის ნაწილს წარმოადგენს, რომელიც სათავეს „ოდისეაში“ იღებს, ხოლო მთლად ზოგადსაკაცობრიო მასშტაბით – „გილგამეშიდან“ იწყება. ამ არქეტიპული როლით, მე-20 საუკუნის შუახანების კრიტიკა გრალის მაძიებელ რაინ-დთანაც აიგივებდა მარლოუს (Thale 1955).

მთელ ამ უსასრულოდ მდიდარსა და მრავალფეროვან ტრადიციაში კონრადის მიერ შემოტანილი სიახლე იმაში მდგომარეობს, რომ „წყვდიადის გულში“ მარლოუს სახე ფიგურირებს, როგორც მოდერნისტული გაცნობიერებული პოეტიკის ელემენტი, რომ ის ავტორის არაცნობიერში მთრთოლავი „არქეტიპის“ სპონტანურ ხორცებშია კი არ წარმოადგენს, არამედ წარმოსახულია კონრადის მიერ, როგორც მაძიებელი გმირი, რომელიც ყველა სიუჟეტურ, ასოციაციურ და სიმბოლურ ჭრილში მის გაცნობიერებულ მხატვრულ მიზანს გამოხატავს. თვით მარლოუს სახის შინაგანი ლოგიკის გარდა, ამას მოწმობს რამდენიმე პირწმინდად „მოდერნისტული“ ალუზია, რომლებიც ირონიულად იმოწმებს ძიების მოტივს სხვადასხვა მითოლოგიური სიუჟეტებიდან და ამ გზით კონრადის ტექსტში პაროდიული ინტერტექსტუალობა შემოაქვს. იმ დროისათვის, როდესაც კონრადი წერდა, ეს მნიშვნელოვანი სიახლე იყო, რომელიც ინგლისურენოვან ლიტერატურაში კარს მომდგარ ცვლილებებზე მეტყველებდა – პაროდიული ასოცირების ტექნიკა, რომლის ჩანასახებსაც კონრადი იყენებს, ოცი წლის შემდეგ სულ სხვა მასშტაბებს მიიღებს და ჯეიმზ ჯორისის, ტომას ელიოტის, ეზრა პაუნდის ნაწარმოებებში წამყვან ადგილს დაიმკვიდრებს. სპილოს ძვლის დამზადების კომპანიას, რომელიც მარლოუს კონტრაქტს უფორმებს და სამუშაოდ აფრიკაში აგზავნის, „ელდორადოს კვლევა-ძიების“ კომპანია ჰქვია, რაც ძიების მაგისტრალური სიუჟეტის (ე.წ. „მონომითის“, ჯოზეფ კემპბელი) ირონიულ დამოწმებას წარმოადგენს. კომპანიის სათაო ოფისის მოხუცი ექიმი იმ ბრძენკაცის, ჯადოქრის, ან სხვა რომელიმე მისტიკური ფიგურის პაროდიულ ვერსიას განასახიერებს, გზის დასაწყისში მაძიებელ გმირს რომ მოძღვრავს და მგზავრობის სიძნელეებზე აფრთხილებს. ექიმი ლამის სიტყვასიტყვით უმეორებს მარლოუს ტრადიციული სიუჟეტების კლიშირებულ ფრაზას, რომ მას „იქ“ (უიმედო მგზავრობაში, უკვდავების წყაროს წყლის ძიებაში, ჯოჯოხეთში, „მოუსავლეთში“ და ა.შ.) წასული ბევრი უნახავს, უკან მობრუნებული კი – არა („ეპ, აღარასოდეს მინახავს“ (37)). სათაო ოფისის ეპიზოდში, მაძიებელი გმირის ტრადიციულ „ზებუნებრივ შემწეთა“ (Supernatural aid) როლს ასრულებენ შალის მქსოველი დედაბრები, რომლებიც პაროდიულ მოირებს (ბერძნული მითოლოგიის ბედის ქალღმერთებს) განასახიერებენ. ძაფი, რომლითაც ისინი ქსოვენ ადამიანის სიცოცხლეა და მარლოუს მოგზაურობის ბედი ამ ზებუნებრივად ინფორმირებული მოხუცების ხელშია. მათ „ყველაფერი იცოდნენ“ და „წყვდიადის კარს დარაჯობდნენო, (36), ამბობს მარლოუ – კუმეს სიბილას მსგავსად, რომელმაც აგრეთვე

„ყველაფერი იცის“ და პადესის შესასვლელს დარაჯობს „ენეიდის“ მეექსე ეკლოგაში, სადაც ის ქვესკნელის გზას მიასწავლის ენეასს. ყოველივე ეს ჯერ კიდევ ნაწარმოების დასაწყისში, ერთგვარი „შემზადების“ სახით ეძლევა მკითხველს და უკვე შემდეგ ასოციაციურად გასდევს მარლოუს მთელ გზას, „წყვდიადის გულისაკენ“ მთელ მის მგზავრობას.

თხრობითი დრო და სივრცე ნოველაში ძალზე სპეციფიკურად არის განაწილებული, უფრო სწორად, წარმოსახულია, როგორც მარლოუს სუბიექტური, ფსიქოლოგიური სივრცე-დრო. მისთვის უფრო მნიშვნელოვანი მგზავრობის ნაწილი თხრობითი დროის ბევრად უფრო გრძელ მონაკვეთს იკავებს და დროც ამ მონაკვეთში, მასში აღნერილი მდინარის მსგავსად, მდორედ მიედინება. ამიტომ არის, რომ თხრობის უმეტესი ნაწილი (და შესაბამისად, თხრობითი დროის ძირითადი მონაკვეთი) გეოგრაფიულად მოკლე მანძილს უჭირავს – საკუთრივ მდინარით მარლოუს მგზავრობას, მაშინ როდესაც ბრიუსელიდან კონგოს დელტამდე უშველებელი სივრცის გადალახვა სულ ორიოდე გვერდში ეტევა, ხოლო წყვდიადის გულიდან უკან, თანადროულ ცივილიზაციაში დაბრუნება საერთოდ ელვისებურად ხდება. მდინარე, რომელიც ნოველის სივრცეს ჰქვეთს, ამავე დროს დროის დინებასაც განასახიერებს – მისი საშუალებით მარლოუ სივრცეშიც მოგზაურობს და დროშიც. თავისი კარჭაპით, ის თვით პრეისტორიაში და პირველყოფილ სამყაროში მიიწევს – იქ, სადაც (და როდესაც) ცნობიერება ჯერ კიდევ არ არსებობდა და ქვეყნიერებას მხოლოდ მცენარეული საფარი ფარავდა: „მდინარის აღმა სვლა მსოფლიოს უადრეულეს საწყისთაკენ მოგზაურობას ჰგავდა, როცა მცენარენი დათარეშობდნენ მიწაზე და ხეები მეფენი იყვნენ“ (82). „დავეხეტებოდით პრეისტორიულ დედამინაზე, რომელიც უცნობ პლანეტას წააგავდაო“, ამბობს მარლოუ (85). მდინარე როგორც სიმბოლურად, ისე სიუჟეტურადაც (გზაზე მომზდარი ფათერაკების სახით) ენინააღმდეგება, შეძლებისდაგვარად აფერხებს დროში უკუსვლას, ანუ დინების საწინააღმდეგოდ, სათავეებისაკენ აღმასვლას. მისი, როგორც სივრცე-დროის მაკონსტრუირებელი სიმბოლოს, ფუნქცია სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ის წარმოქმნის დროის გასივრცოების, მისი „სპაციალიზაციის“ ეფექტს. ეს ეფექტი უკვე კონრეტულ, „მიმეტურ“ სივრცესა და დროს კი აღარ შეესატყვისება, არამედ წარმოადგენს სიმბოლურად განზოგადებულ სივრცობრივ კონტინუუმს – მითოპოეტიკურ ქრონოგრამას. სწორედ ამ ქრონოგრამის ფარგლებში ხდება უნივერსალური მოქმედება, რომელიც ყველა სივრცესა და ყველა დროში შეიძლება მოხდეს და ხდება კიდეც – მაძიებელი გმირი ადგას გზას და დაბრკოლებების გადალახვით, თავისი მიზნისაკენ მიემართება – „სულ უფრო და უფრო მივიწევდით წყვდიადის გულშიო,“ ამბობს მარლოუ (85). ერთი სიტყვით, ნოველაში ხდება ძიების მითოლოგების სიმბოლური, სიუჟეტური და ხატოვანი ხორცებების მხატვრულ ქსოვილში მისი რეალიზაცია. უშუალო განცდით-ინტელექტუალური ეფექტი, რომელსაც დროის ამგვარი სპაციალიზაცია იწვევს ისაა, რომ მდინარეზე

მეზავრობის მონაკვეთში ჩაღრმავებისას მკითხველი „კარგავს“ სივრცესა და დროში ორიენტაციის უნარს და თითქოს მარლოუსთან ერთად, პირველყოფილი უდაბურების წყვდიადში მიიკვლევს გზას მიზნისაკენ, რომელიც მის-თვის ისევე როგორც თვით მარლოუსათვის, გაურკვეველი და ბუნდოვანია. „დღეები ერთმანეთს ებმოდა და ნაპირი არ იცვლებოდა, თითქოს ადგილიდან არ ვიძვროდით... ჩვენ ვერ აღვიძვამდით გარემოს; მივცურავდით აჩრდილი-ვით, გაოცებულნი და ფარულად შეშფოთებულნი, საგიუეთის აღფრთოვა-ნებულ აფეთქებაში მოხვედრილი, საღ გონებაზე მყოფი კაცივით. ვერას ვიგებდით, რადგან ძალზე შორს ვიყავით და აღარ გვახსოვდა, რადგან პირ-ველ საუკუნეთა ღამეში ვმოგზაურობდით, გარდასულ საუკუნეთა, რომელ-თა არც ნიშანი შემოგვრჩენია, არც მეხსიერება“ (86) – ამგავარად აღნერს „დროის სივრცედ ქცევას“ მარლოუ და ეს განწყობილება იმდენად მარლო-უს დეკლარირებული არ არის, რამდენადაც თვით ნაწარმოების მხატვრულ ქსოვილშია განხორციელებული, როგორც გამომსახველ საშუალებათა კომბინირებით მიღწეული მხატვრული ეფექტი. ცხადია, ეს ყოველივე დი-დი მნერლური ოსტატობის მიზანდასახულ შედეგს წარმოადგენს და არა უბრალოდ, სპონტანური ნიჭიერების ინტუიციურ „გამონათებას“. როგორც ჭეშმარიტად მოდერნისტი ხელოვანი, თავის პრინციპულად „არამიმეტურ“ ნაწარმოებში კონრადი ისე ეპყრობა დროსა და სივრცეს, როგორც საჭიროდ სთვლის და როგორც მას მოესურვება.

ისეთ მითოპოეტიკურ ტექსტში, როგორიც „წყვდიადის გულია“, გზის მითოლოგება ბევრად უფრო რთულ მნიშვნელობებსა და სიმბოლურ კონტაციებს შეიცავს, ვიდრე კონკრეტული გეოგრაფიული მდინარე კონგოს ასოციაცია, რომელიც ნებისმიერ მკითხველს აღეძვრება ამ ნაწარმოებთან გაცნობისას. „მითოპოეტიკურ ცნობიერებაში გზა აღიქმება, როგორც სივ-რცის კვინტესენცია, როგორც მისი ინტენსიფიცირებული შეჯამება და ხაზოვანი, ერთგანზომილებიანი ხატი... გზა მნიშვნელოვანნილად იმ პერ-სონაჟს შეესატყვისება, რომელიც ამ გზის სუბიექტს წარმოადგენს,“ ნერს ცნობილი რუსი მკვლევარი ვ. ტოპოროვი (Топоров 1983: 271) და ეს აზრი კონრადის შემთხვევაშიც მართებულია – „წყვდიადის გულში“ გზა მასზე მი-მავალი მგზავრისგან განუყოფელია. მარლოუს მეტაფორულ მეტყველაბაში მდინარე თითქოს ვიზუალურადაც იმ სივრცედ იქცევა, რომელშიც მარლოუ ხან თავის გემიანად „ჩაიკარგება“, ხან სივრცე „შეიკვრება“ მის თავზე („პო-რიზონტი გადაიხსნა ჩვენს წინ და დაიხურა ჩვენს უკან, თითქოსდა ტყე აუჩქარებლად გადმოვიდა მდინარეზე, რათა უკან დასაბრუნებელი გზა გა-დაეკეტა. (85); „რამდენიმე დღეში ელდორადოს ექსპედიცია ყოვლისმთმენ უდაბურებაში ჩაიკარგა, რაც ისე შეიკრა მათ უკან, ზღვა რომ შეიკვრის ხოლმე მყვინთავის თავზე“ (81), მკითხველს წარმოდგენა არა აქვს იმაზე, თუ როგორია მარლოუს ცნობიერების მიღმა ის „დიადი მდინარე“, რომელზედაც მისი კარჭაპი მიცურავს – „კურცის ძიების გზაზე ყველაფერი მხოლოდ იმ სახით არის რეალური, რა სახითაც ის მარლოუს წარმოუდგება“ (Alvarez 2003:

9). მეორე მხრივ, მარლოუს, როგორც ხასიათის, მთელი ევოლუცია ნაწარმოებში სწორედ იმ გზით არის განპირობებული, რომელსაც ის ლონდონიდან და შემდეგ ბრიუსელიდან კონგოს სათავეებში კურცთან სტუმრობამდე გამოივლის; თვით მარლოუ, როგორც პერსონაჟი, ამ გზით განისაზღვრება. გზა, მდინარე და ამ მდინარით მგზავრობა ნოველაში არა მხოლოდ სივრცის მამოდელირებელი საწყისია, არამედ იმ გმირისაც, რომელსაც ეს გზა, ტოპოროვის ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, „შეესატყვისება“.

მეტად საგულისხმოა, რომ დასავლურ მითოპოეტიკურ აზროვნებას ოდითგანვე ახასიათებდა კოსმოსის „ინტერიორიზაცია“, ანუ მისი ერთგვარ შემოფარგლულ, დახშულ სივრცედ წარმოდგენა (ამის შესახებ უფრო ვრცლად იხ.: McClintock 1984: 39). ამ ტრადიციული პრინციპის შესაბამისად, „წყვდიადის გულის“ მითოპოეტიკური სივრცეც ისეთ ნიშანთა სისტემით არის შემოსაზღვრული, რომლის იქითაც მყითხველი ვერ აღწევს და სწორედ ეს სისტემა აძლევს ამ სივრცეს „ინტერიერულ“ სახეს. თვით კონრადის მეტაფორა რომ მოვიშველიოთ, ეს „ვარსკვლავებით მოჭედილი წყვდიადი“ (140) სივრცობრივ პარადოქსაც წარმოადგენს, რადგან ის ერთგვარად „შემოფარგლულიც“ არის და ამავე დროს, თვალუწვდენელიც. მდინარე, რომელიც ჯუნგლებში მიედინება, ისეა შეფუთული მარლოუს ჰალუცინაციებით, რომ რჩება შთაბეჭდილება, თითქოს ამ უდაბურების იქით (ანუ იმის იქით, რასაც მარლოუ ხედავს) აღარაფერი აღარ არის და თუ რამ არის – ის „რაღაც“ ირეალურია, „მიღმიერია“. მირჩა ელიადეს აზრით, ამგვარი სივრცე ტრადიციულად შეიცავს საკრალურ ნაწილს – ცენტრს, პროფანულ პერიფერიას და ქაოსს, რომელიც ამ სივრცეს პერიმეტრზე ესაზღვრება. ცენტრისკენ ყოველთვის მივყავართ გზას, რომელიც პროფანულ სივრცეს ჰკვეთს და საკრალური რეალობისკენ მიემართება. „ამ სიმბოლიკის მაგალითია ბორობულებურის უშველებელი ტაძარი კუნძულ იავაზე, – წერს ელიადე, – რომელში შეღწევაც სამყაროს ცენტრისაკენ ექსტატიკური მოგზაურობის ეკვივალენტურია. მომლოცველი, მიაღწევს რა ზედა ტერასას, სულიერების სხვა დონეზე გადადის და საკრალურ სივრცეში აღწევს, რომელიც პროფანული სამყაროს მიღმა მდებარეობს“ (Eliade 1963: 41). ელიადეს წარმოსახვითი მომლოცველის მსგავსად, მარლოუც თავისი სივრცის საკრალური ცენტრისაკენ მიემართება – ის ნოველის დასაწყისშივე ამბობს, „მეგონა, რომ იმის ნაცვლად, კონტინენტის შუაგულისაკენ წავსულიყავი, დედამიწის ცენტრისაკენ მივდიოდი“ (40). ბორობულებურის საკრალურ სივრცეში შეღწევა (ანუ სამყაროს საკრალური ცენტრის წვდომა) სიმბოლურად განასახიერებს ბუდისტური სრულყოფილების გზას, ან ამ გზის რიტუალურ გათამაშებას, რასაც გასხივოსნება უნდა მოჰყვეს. შემთხვევით არ არის „წყვდიადის გულში“ მარლოუ ორჯერ შედარებული ბუდასთან – ნაწარმოების თავშიც და ბოლოშიც ის ფეხმორთხმული, ლოტოსის პოზაში ზის და ისე უყვება მსმენელებს თავისი მოგზაურობის ამბავს. პარადოქსია, მაგრამ მარლოუს ძიების დასასრულს გასხივოსნება მარლოუს კი არა, კურცს ხვდება წილად, თუმცა

აშკარაა, რომ „არარას“ გაცხადების ირაციონალურ იმპულსს ნაწილობრივ მარლოუც იზიარებს: „რაკი მეც გადავიხედე ზღვარს მიღმა, მივხვდი (ხაზი ჩემია – თ.კ.), რას ნიშნავდა მისი მზერა...“ (153). და მაინც, ხან „მოქადაგე“, ხან „ჭვრეტაში ჩაძირულ“ ბუდასთან შედარების მიუხედავად, მარლოუს გზა არ წარმოადგენს ცალსახად ბუდისტური სრულყოფილების ბილიკის ანალოგს – ეს ძირითადი სიმბოლო ნოველაში უკიდურესად მრავალნიშნადია. ინტერპრეტატორთა ნაწილი მიიჩნევს, რომ მარლოუს მგზავრობა წარმოადგენს კოლექტიურ არაცნობიერში სიმბოლურ ჩაღრმავებას, ან ადამიანის ფსიქიური სამყაროს ცენტრისაკენ, ე.ნ. „თვითობისკენ“ (Das Selbst, იუნგი) მიმავალ გზას. ანალიტიკურ ფსიქოლოგიაში ამ გზას ინდივიდუაციის პროცესი ჰქვია და სიმბოლურად, იუნგი მას მანდალას კიდედან მისი ცენტრისაკენ მიმავალ ბილიკად წარმოიდგენს (Jung 1989: 196). უნდა ითქვას, რომ ამგვარი ინტერპრეტაცია საკმაოდ დამაჯერებელია, თუმცა ამ შემთხვევაშიც (როგორც კონრადის „ეგზისტენციალიზმზე“ მსჯელობისას), მხოლოდ მწერლის ინტუიციურ მიგნებბზე შეიძლება საუბარი და არა რეალურ პარალელზე, ან, მითუმეტეს, რაიმე „გავლენაზე“ – თავისი პირველი მნიშვნელოვანი ნაშრომი, „არაცნობიერის ფსიქოლოგია“ (1912) იუნგმა „წყვდიადის გულის“ გამოცემიდან მხოლოდ ცამეტი წლის შემდეგ გამოაქვეყნა.

#### IV

იმ პალუცინაციურ, არსებითად – ბოდვით რეალობაში, რომელსაც მარლოუ აღწერს, მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სამყაროს პარადოქსულობისა და მისი აბსურდულობის დემონსტრაციას. პარადოქსი ნოველაში მრავალგვარია – კითხვის პროცესში ირკვევა, მაგალითად, რომ „წყვდიადის გულის“ ყოვლისმომცველი მდუმარება ხშირად ხმაურიანია, ხოლო უძრაობა და გაშეშებულობა – დინამიური და მოძრავი. მარლოუს მთელი მოგზაურობის მანძილზე თითქოსდა სამარისებრ სიჩუმეს სისტემატურად არღვეს ნაპირიდან მოსული დაფადაფების ხმა – ნოველაში როგორც მინიმუმ ხუთჯერ არის საუბარი იმაზე, რომ „დიდი დაფადაფის მონოგრანური ხმა მოგუდული დარტყმებითა და გაგრძელებული ვიბრაციით ავსებდა პაერს“ (141). პერიოდულად იქაურობას შესძრავს მდინარის ზედაპირზე უშველებელი თევზის კუდის ტყლაშუნიც, რაც რა თქმა უნდა, გაზვიადებაა, მაგრამ მარლოუს მეტყველებაში საერთოდაც ძალზე ხშირია პიპერბოლები („დილის სამი საათი იქნებოდა, რომელილაცა დიდმა თევზმა გაიტყლაშუნა მდინარეში და ისე წამოვხტი ფეხზე, თითქოს თოფის ხმა გამეგონოს“ (93); „შორიდან ყრუდ მოისმოდა მძლავრი ტყლაშუნი და ჩხრიალი, თითქოს იხტიოზავრი იღებდა აბაზანას დიადი მდინარის ბზინვარებაში“ (74)). გარდა ამისა, ხშირად ისმის ჯუნგლებიდან წამოსული ველური ღრიალი, რომელიც მთელ არემარეს ეფინება („ტყის სიღრმიდან ისეთი ურულისმომგვრელი, მგლოვიარე და შიშითა და სასოწარკვეთით აღსავსე კივილი გაისმა, თითქოს უკანასკნელი იმედი ქრებოდა დედამინაზე“ (106)). „გარინდულსა და იდუმალ უძრაობაში“ ხან

ურიამულის ხმა ისმის, ხან ბრძოლის ყიშინა, მაგრამ „გაშეშებული“ პეიზაჟის გამოცოცხლების კულმინაციაა მარლოუს კარტაპზე ველურების თავდასხმის სცენა: „თითქოს უეცრად, ფარდა გადამაცალეს თვალებიდან, გავარჩიე იმ ჩაბნელებული ხლართების სიღრმეში შიშველი სხეულები, მკლავები, ფეხები, მოგიზგიზე თვალები – ბუჩქები გაისაო ადამიანების მოძრავი, ბრინჯაოს-ფრად მბზინავი კიდურებით. ტოტები კრთოდნენ, ირხეოდნენ და ტყდებოდნენ, ისრები მოფრინავდნენ...“ (104).

ნოველის მთავარი და ალბათ ყველაზე მოულოდნელი პარადოქსი ის არის, რომ მასში წარმოსახული პირქუში და წყვდიადით მოცული სივრცე სინამდვილეში არც ბნელია და არც წყვდიადით მოცული. დაკვირვებული მკითხველის თვალს „წყვდიადის გული“ სხვადასხვაგვარად განათებულ სივრცედ წარმოუდგება – „ვარსკვლავებით მოჭედილი წყვდიადიდან“ (140) (რაც თავისთვად უკვე პარადოქსია) ლაპლაპა მზით განათებულ პეიზაჟამდე – „ქვიშიან ნაპირებზე ჰიპოები და ალიგატორები გვერდი-გვერდ ეფიცხებოდნენ მზეს“ (82). მზიანი ამინდი ხვდება მარლოუს უკვე მდინარის შესართავთან, როდესაც ის შვედური სამგზავრო ორთქლმავლის გემბანიდან გადაჰყურებს თავისი მოგზაურობის საწყის წერტილს: „ნავმისადგომი შექრილიყო მდინარეში... თვალისმომჭრელ მზის შუქში იძირებოდა ყოველივე. „აგერ თქვენი კომპანიის სადგური, მითხრა შვედმა“ (45). მანამდე, შვედი უყვება მარლოუს თავისი თანამემამულის ამბავს, რომელმაც იმ მიდამოებში თავი ჩამოიხრჩო – „მზემ დასცადა, ან იქნებ ქვეყანამ“ (44). მარლოუ ხან ბორცვის პირას დგას „თვალისმომჭრელ მზეში“ (47), ხან სადგურში თვალყურს ადევნებს „კაცებს, უმიზნოდ რომ დაბორიალობენ ეზოში, მზისგულზე“ (60). მაგრამ უფრო ხშირად, „წყვდიადით“ მოცული სივრცე მკითხველს წარმოუდგება, როგორც მზის შუქზე გადაშლილი პანორამა ჯუნგლისა და მდინარის, რომელსაც მხოლოდ მარლოუ ალიქვამს წყვდიადად: „მიმოვიხედე და არ ვიცი, რატომ, მაგრამ გარწმუნებთ, რომ არასოდეს, მანამდე არასოდეს მომჩვენებია ეს მდინარე, ეს ჯუნგლი, ეს მბზინავი ცის თაღი ისეთი უიმედო და ბნელი“ (125). ფაქტობრივად, მარლოუ თაკარა მზის სხივებში მოგზაურობს, მზეზე მოლივლივე მდინარით – მაშინ, როდესაც „კოშკებივით აღმართული მრავალრიცხვანი ხეების სახურავზე მზის პატარა, კაშკაშა ბურთი ეკიდა და ყოველივე სრულყოფილ უძრაობაში გარინდულიყო“ (93). პარადოქსს ამძაფრებს ისიც, რომ წყვდიადი და მცხუნვარე მზის სხივები ნოველაში არა მხოლოდ მონაცვლეობენ, არამედ ზოგიერთ „გაშეშებულ კადრში“ ემთხვევიან კიდეც ერთმანეთს: „მზის ნათებაში სიხარული არ იგრძნობოდა. წყლის გრძელი ზოლები იკარგებოდნენ დაჩრდილული სიშორის წყვდიადში. ქვიშიან ნაპირებზე ჰიპოები და ალიგატორები გვერდი-გვერდ ეფიცხებოდნენ მზეს“ (82). ერთი სიტყვით, მოგზაურობის „ლამეულობა“, მისი გარემომცველი წყვდიადი, ისევე, როგორც ამ მოგზაურობის სიმბოლური მიზანი – წყვდიადის გული – მარლოუს სუბიექტური, ემოციური აღქმის შედეგია. ამავ-დროულად, ის მითოსური „ლამის მგზავრობისა“ და „ჯოჯოხეთს ჩაღნევის“

სიმბოლური და ხატოვანი აქსესუარიც არის, რაც ლიტერატურაში მრავალ-  
გზის ყოფილა შესწავლილი (იხ. Feder 1955; Spivack 1965; იხ. აგრ.: თავი „The  
Night Journey“ პოლ ფარკასის მეტად საყურადღებო ნაშრომში Farkas 1972).

პარადოქსულად, მარლოუს მიერ მოყოლილი ისტორიის შემფასებელს  
ნოველაში განასახიერებს თვითონ მარლოუ – ტექსტში მკაფიოდ იკითხება  
მეტატექსტუალობის ნიმნები იმ გაგებით, რა გაგებითაც ამ ხერხს განმარ-  
ტავს უ. ჯენეტი (Genett 1997: 4). იმას, რაც ნოველაში ხდება, მარლოუს გარდა  
სხვა კომენტატორი არა ჰყავს, სამაგიეროდ, თავის წარმოსახულ სიტუაციას  
თვითონ მარლოუ უკეთებს კომენტარს. იმ ეპიზოდში, სადაც მარლოუ  
ამბობს, რომ სიზმრის მოყოლას ცდილობს, მას თვითონ შეაქვს ეჭვი თავისი  
თხრობის მართებულობაში: „ასე მგონია, თქვენთვის სიზმრის მოყოლას  
ვცდილობ, მცდელობა ამაოა, რადგან სიზმრის მოყოლა ვერ გადმოსცემს  
სიზმრის განცდას...“ (69). მარლოუს მსჯელობა სუბიექტურია, მაგრამ ობი-  
ექტურად, ნოველის ტექსტი შეიცავს შეფასებას, რომელიც ნანილია იმავე  
ტექსტის, რომელსაც ეს შეფასება შეეხება. ამ ხერხის გამოყენების სხვა,  
არანაკლებ საგულისხმო მომენტია, როდესაც მარლოუ საკუთარ მონათხ-  
რობს მოიხსენიებს, როგორც აბსურდს, როდესაც ის სწყვეტს თხრობას და  
ისევ კომენტარს უკეთებს თავისისავე მოყოლილ სიტუაციას: „აბსურდია? ჰო,  
აბსურდი. ღმერთო მალალო... იყოს აბსურდი – ჯანდაბას! აბსურდი! ძმებო,  
რას ელით იმ კაცისაგან, ვინც აღელვებისაგან გემბანს იქით გადაისვრის წყვილ  
ახალ ფეხსაცმელს!“ (109) – მანამდე მარლოუ ჰყვება, თუ როგორ გადაის-  
როლა გემბანიდან ერთი ფეხსაცმელი და ცოტა ხანმი მეორეც მიაყოლა.

აბსურდი, რომლითაც მარლოუ ახასიათებს საკუთარ თხრობას, წყვდი-  
ადის გულის მთელ მხატვრულ სამყაროს მსჭვალავს და თითქმის ყველა  
დეტალს მოიცავს. მარლოუს ხატოვან მეტყველებაში თვით პარადოქსებიც  
ისეა „შეფუთული“, რომ მათ მხოლოდ დაკვირვების უნარით აღჭურვილი  
მკითხველი შეამჩნევს, მაგრამ მასაც გაუჭირდება იმ საღი აზრის დაჭერა,  
რომელიც ამ პარადოქსებში ლოგიკურ წინააღმდეგობას მოხსნის და მათ  
აბსურდისაგან განასხვავებს. აბსურდი „წყვდიადის გულში“ ყველა დო-  
ნეზეა ჩადებული – როგორც თხრობითი სიტუაციების წარმოსახვაში, ისე  
პერსონაჟთა პორტრეტებში, წინადადებების ლოგიკურ-სემანტიკურ აგებუ-  
ლებასა და გამეორებად სახეთა მონაცვლეობაში. აბსურდი სულაც ერთ  
ფრაზაში ზოგჯერ იმგვარად არის კონცენტრირებული, რომ მასში კონრა-  
დის შემოქმედებითი მრნამსის მნიშვნელოვანი ნაწილი იკითხება. მაგალითად,  
როდესაც მარლოუ კურცთან შეხვედრის შემდეგ თავის შთაბეჭდილებებს  
აღწერს, ის ამბობს, რომ „მიწა არა ჰგავდა მიწას“ (სიტყვასიტყვით, „მიწა  
არამიწიერი იყო“, The earth seemed unearthly), სადაც უარყოფა ცალკე სიმბო-  
ლური დატვირთვის მატარებელია და იმის მიმნიშნებელი, რომ მინის,  
ქვეყნის, სამყაროს დახასიათება და მისი შეცნობა შესაძლებელია მხოლოდ  
იქიდან გამომდინარე, რაც ის არ არის. როგორც ენ მაქლინთოქი აღნიშნავს

თავის მეტად საყურადღებო წერილში, „უარყოფითი აფიქსი აქ სამყაროს მიუწვდომლობის, მისი შეუცნობადობის გრამატიკულ ნიშანს წარმოადგენს და აქედან გამომდინარე, ის მიმესისზე უარის თქმას გამოხატავს. განსაზღვრება “unearthly” (არამინიერი) სხვა არაფერია, თუ არა მისი ობიექტის, „მინის“ (earth) დიალექტიკური უარყოფა და ძნელად ერთიანდება მასთან სიტყვით „ნააგავდა,“ რომელიც იმას ნიშნავს, რომ თვით ეს მსგავსებაც შეიძლება მოჩვენებითი იყოს... ეს არის აბსურდის მტკიცება, მტკიცება იმისა, რომ სამყარო „მიუწვდომელია ადამიანური აზროვნებისათვის და დაუნდობელი ადამიანური სისუსტეებისადმი“ (McClintock: 1984: 46-47).

სამყაროს ალოგიკურობას, მის აბსურდულობას და, აქედან გამომდინარე, შეუცნობადობას გამოხატავს ნოველაში წარმოსახული სიუჟეტური სიტუაციებიც. სიტუაციური აბსურდია, მაგალითად, ის, რომ მარლოუს აღწერით, ფრანგების სამხედრო გემი აფრიკის ნაპირთან დგას და თავის ზარბაზნებს უკაცრიელ სანაპიროს უშენს: „ცარიელ უსაზღვროებაში დედამინისა, ცისა და წყლისა, გემი იდგა, მიუწვდომელი, და კონტინენტს ბომბავდა... ბუჰ, გაისროდა ერთ-ერთი ექვს დუიმიანი ზარბაზანი; გამოვარდებოდა მცირე ცეცხლი და გაჰქირდებოდა, გაიფანტებოდა ერთიბეწო თეთრი ბოლი, სუსტად დაინივლებდა პატარა ყუმბარა და არაფერიც არ ხდებოდა“ (42-43). აბსურდულია აფეთქებები, რომელთა მოწმე ხდება მარლოუ სამგზავრო გემიდან ნაპირზე ჩამოსვლისას – „მძიმე და ჩლუნგმა აფეთქებამ შეარყია მინა“ (45), ვითომ რეინიგზას აშენებენ, მაგრამ ამ აფეთქების გარდა, არავითარი სამუშაოს კვალიც არსად ჩანს. აბსურდულია სიტუაცია, როდესაც ევროპიდან ჩამოსულ კაპიტან მარლოუს მისი სამართავი გემი მდინარეში ჩაძირული (!) ხვდება და მოგზაურობის გასაგრძელებლად მას ამ გემის ფსკერიდან ამოზიდვა სჭირდება. აბსურდს წააგავს ისიც, რომ ნაპირზე რის ვაივაგლახით ამოთრეული კარჭაპის შესაკეთებელი მოქლონების ძებნა, ამ მოქლონებზე საუბარი და მათზე წუხილი, მცირედი ინტერვალებით, თხრობითი სივრცის შვიდ გვერდს იკავებს მაშინ, როდესაც მთელი ნოველის მოცულობა სულ ასიოდე გვერდია. არანაკლებ აბსურდულად ულერს ორი შავი ქათმის გამო ატეხილ ჩხუბში მარლოუს წინამორბედის მკვლელობის ტრაგიკომიკური ისტორია – აბსურდი „წყვდიადის გულში“ ხშირად პაროდიული, ირონიული, ან სულაც გროტესკული სახეებით და სიტუაციებით გამოიხატება. აბსურდულად გამოიყურებიან მდინარისპირა სადგურების თეთრკანიანი თანამშრომლებიც – ერთ-ერთ მათგანს, „აგურის მჭრელს“, რომელსაც თითქოს აგურებს დამზადება აბარია, აგურებთან არავითარი კავშირი არა აქვს (საერთოდ, „სადგურზე აგურის ნატეხს ნამლადაც ვერ იპოვიდით“ (62)) და სულ რაღაც ინგრედიენტის ჩამოსვლას ელოდება, რომლის გარეშეც ამ აგურებს ვერ დაამზადებს. სწორედ მისგან გაიგებს მარლოუ პირველად კურცის შესახებ, რომ „იგი რჩეულია... იგია ემისარი სიბრალულისა, მეცნიერებისა და პროგრესისა და ეშმაკმა იცის კიდევ რისა“ (65). აბსურდულად პაროდიული ფიგურაა ნოველის ფანტასმაგორიულ სამყაროში ტამბოვიდან მოხვედრილი

სპილოს ძვლის რუსი ტრეიდერი, რომელსაც ჭრელა-ჭრულა ძონძები აცვია და მარლოუს არლეკინს აგონებს. უჩვეულობით აბსურდამდე მიყვანილი სახეა კარტაპის ღუმლის მელოტი ოსტატი, რომელსაც წვერი წელამდე სწვდება, ექვსი შვილი ჰყავს დასთან დატოვებული, მტრედების გაფრენა უყვარს და როცა ლაფში ხოხავს, ნავის მუცლის ქვეშ (რატომ ხოხავს ლაფში ნავის მუცლის ქვეშ ღუმლის ოსტატი?), წვერს თეთრი ხელსახოცით იკრავს, რომელსაც საბმურები აქვს ყურებზე ჩამოსაკიდებლად და რომელსაც ის ყოველდღე რეცხავს და ხეებზე გასაშრობად ჰკიდებს (73). აბსურდულობის გარდა, ყველა ამ პაროდიულ ფიგურას ერთი საერთო თვისება ახასიათებს – ესაა გამოჩენის ერთჯერადობა. ნოველის წარმოსახვით სცენაზე ისინი მხოლოდ ერთხელ გამოჩენდებიან, შეასრულებენ თავიანთ როლს „წყვდიადის გულის“ პაროდიულ კარნავალში და უჩინარდებიან – როგორც წესი, უკვალოდ. მათგან განსხვავებით, მუდმივ აბსურდულ ფონს ჰქმნიან ნოველაში ე. წ. „პილიგრიმები“ (მომლოცველები?), რომელთა რიცხვი თექვსმეტიდან ოც კაცამდე მერყეობს. მდინარისპირა ჭაობებში, ჭუჭყში, ლაფში, ტალახში სასიარულოდ მათ ვარდისფერი პიუამოები (!) აცვიათ და გრძელ ჯოხებს დაატარებენ – „ნამდვილად მჯერა, რომ ლოგინშიც ამ ჯოხებით წვებოდნენ“ (66), ამბობს მარლოუ. სრულიად გაურკვეველია, საიდან გაჩდნენ ეს ფიგურები მარლოუს გემბანზე, რა კონკრეტული მიზნით დაემგზავრნენ მას. მარლოუ გაკვრით ახსენებს პილიგრიმების წვრილმან ტრეიდერობას, მაგრამ რეალურად მათ „დრო გაჰყავდათ ერთმანეთის გაკილვასა და ერთურთისათვის სულელური ინტრიგების მოწყობაში.... სხვა ყველაფერივით ესეც არარეალური იყო: ძილს უთხრიდნენ, ცილს სწამებდნენ, სძულდათ ერთმანეთი...“ (63). სიხარბისაგან და სპილოს ძვლის უშედეგო ძიებისაგან ლამის ჭკუიდან გადამდგარი ეს „მომლოცველები“ მოგზაურობის ბოლომდე არ ტოვებენ მარლოუს, რაც მისი მოგზაურობის, როგორც პაროდიული „პილიგრიმობის“, ან არარსებული „წმინდა ადგილების“ მოხილვისა თუ „მოლოცვის“ აბსურდულ პარალელსაც წარმოქმნის. პილიგრიმები კურცთან მიტმასნებასაც ასწრებენ – მარლოუ მათ კურცის ამაღლაში მოჰკრავს თვალს. როდესაც მსახური ბიჭი გამოაცხადებს ცნობილ ფრაზას „მისტა კურც – იგი მკვდარი“, პილიგრიმები „უკლებლივ გაცვივდებიან ოთახიდან“ მიცვალებულის სანახავად და კურცის ბედის მთელი სარკაზმიც ის არის, რომ „მეორე დღეს პილიგრიმებმა რაღაც ჩაფლეს ტალახიან ორმოში“ (152). რაღა თქმა უნდა, აბსურდის ნიშნებს შეიცავს თვით კურციც – შავკანიანთა ტომის თეთრკანიანი ბელადი, რომელსაც „ადგილობრივი დემონების იერარქიაში ძალიან მაღალი საფეხური უჭირავს“ და წყვდიადის გულის „საკუთარ“ შემოგარენს ერთპიროვნულად განაგებს, როგორც ბოროტი ღვთაება, ან ამ ღვთაების განმასახიერებელი შამანი. აბსურდულად პაროდიულია კურცის პირველივე გამოჩენა – ველური პომპეზურობით ალსავსე მსვლელობა-აღლუმი, სადაც ის საკაცით მოჰყავთ, როგორც ღვთაება, ან ტომის ბელადი: „უეცრად სახლის კუთხიდან გამოჩენდა ადამიანთა ჯგრო, თითქოს მიწიდან ამოძრნენ“. წელამდე ბალახს მოაპობდნენ ერთ ჯგუფად, შუაში ხელდახელ შეკონინებული

საკაცე მოპქონდათ...“ მათ მოჰყვებოდა „შუბებით, ისრებით, ფარებით შე-იარალებული, ველურგამოხედვიან და მხეცურად მოძრავ ადამიანთა ნაკადი.“ მარლოუმ დაინახა „საკაცეზე მწოლი კაცი როგორ წამოჯდა, გამხდარი იყო და მკლავი მაღლა ალემართა... უკიდურესად ვღელავდი აბსურდულად სახიფათო ვითარების გამო... ვხედავდი გამხდარ ხელს, მბრძანებლურად აღმართულს, მოძრავ ქვედა ყბას, ქუშად მკვესავ ჩაცვენილ თვალებსა და გროტესკულად მოქანავე ჩონჩხად ქცეულ თავს. კურცი... კურცი გერმანულად მოკლეს ნიშნავს, არა?“ (132).

ნოველაში გამეფებულ პირქეშ, ირონიულ ორაზროვნებასა და სამყაროს აბსურდულ სურათს ლიტერატურაში ხშირად უკავშირებენ სარტრისა და კამიუს ეგზისტენციალიზმს, ან მთლიანად 1940-60-იანი წლების აბსურდის ლიტერატურას (იხ. Bohlmann 1991; McClintock 1984). სხვა დროის ესთეტიკური და მსოფლმხედველობრივი წარმოდგენებით კონრადის ინტერპრეტაციის მცდელობა სავსებით გასაგებია – „წყვდიადის გული“ თითქოს იმთავითვე „ამოვარდნილი“ იყო თავისი ეპოქის კულტურული კონტექსტიდან. დრო, როდესაც ის იქმნებოდა – *fin-de-siècle* ინგლისურ ლიტერატურაში ცნობილია, როგორც გვიანი რომანტიზმის, ვიეტორიანული რეალიზმისა და დეკადენტური ესთეტიზმის თანაარსებობის ხანა. ვიქტორიანულ ესთეტიკას ხარკს უხდიდა იმ დროის ყველა, ან თითქმის ყველა ინგლისელი მნერალი. ჯოზეფ კონრადის „წყვდიადის გული“, ისევე, როგორც ორი წლით მასზე ადრე შექმნილი „ზანგი ‘ნარცისიდან’“ და ოდნავ მოგვიანებით გამოქვეყნებული „ლორდ ჯიმი“, ძნელად აღიქმება ამ ლიტერატურული და კულტურული კონტექსტის ნანილად – ის სრულიად სხვა ეპოქის დასაწყისს მოასწავებს. ტრენდი, რომელსაც იმ დროს კონრადი უყრის საფუძველს, მეოცე საუკუნეში გრძელდება და მისი კვალი, მოდერნისტული ლიტერატურის გავლით, უკვე ლამის ასი წლის შემდეგ, ამერიკულ პოსტმოდერნიზმში ცნაურდება. „წყვდიადის გული“ საერთოდ ის შემთხვევაა, როდესაც ნანარმოები „ენინაალმდეგება“ თავისი დროის კრიტერიუმებითა და წარმოდგენებით მიდგომას; ის თითქოს თავისით „ითხოვს“ მომავლის ფილოსოფიური, ფსიქოლოგიური, კულტუროლოგიური წააზრევით ინტერპრეტაციას, ან როგორც მინიმუმ, მომავლის ლიტერატურულ-კრიტიკული მეთოდოლოგით მიდგომას. დღეს წარმოუდგენელი იქნებოდა, მაგალითად, კონრადის ნოველის ახსნა ტრადიციული „ბიოგრაფიული კრიტიკის“ პოზიციებიდან, იქიდან გამომდინარე, რომ ნოველის შექმნამდე რამდენიმე წლით ადრე, კონრადმა თვითონ იმოგზაურა აფრიკაში და მოინახულა კონგო – თავისთავად საგულისხმო, მაგრამ მხატვრული ფენომენის ახსნის თვალსაზრისით წაკლებად გამოსადეგი ფაქტი. ის, რომ კონრადის ნოველის ანალიზი ობიექტურად ითხოვს იმ მეთოდოლოგიის გამოყენებას, რომელიც მისი ეპოქის გადასახედიდან შორეული მომავალია, ჩვენთვის კი ანმყო, ან არც თუ დიდი ხნის წარსული, ყველაზე უკეთ წარმოაჩენს მის მნერლურ ოსტატობას და იმას მოწმობს, რომ „წყვდიადის გული“ შორეულ საცავში, მტკრიან თაროზე შემოსადები წიგნი წამდვილად არ არის.

**დამოწმებანი:**

- Alvarez Calleja, Maria Antonia. “Joseph Conrad’s *Heart of Darkness as a Journey in Quest of the Self*” *Revista de estudios ingleses Odisea №4*, Universidad de Almeira, 2003, pp. 7-16.
- Baudrillard, Jean. *Simulacra and Simulation*. Transl. by Sheila Faria Glaser. U of Michigan P, 1995.
- Beja, Morris. *Epiphany in the Modern Novel*. Seattle: U of Washington P, 1971.
- Bock, Martin. “The Power of Suggestion: Conrad, Professor Gasset, and French Medical Occultism.” *Conradiana*. Vol 39, No2 (Summer 2007): 97-112.
- Bohlmann, Otto. *Conrad’s Existentialism*. New York: St.Martin’s Press, 1991.
- Chayes, Irene H. “Joyce’s Epiphanies.” *Joyce’s Portrait. Criticism and Critiques*. Connolly, Thomas B. Ed. N.Y.: Appleton-Century-Crofts, 1962, pp. 204-221.
- Clegg, Jerry S. “Conrad’s Reply to Kierkegaard.” *Philosophy and Literature*. Johns Hopkins UP, Volume 12, Number 2, October 1988, 280-289.
- Conrad, Joseph. *The Collected Letters v.7*, 1920-1922. Cambridge: Cambridge UP, 2005.
- Conrad, Joseph. *The Nigger of the ‘Narcissus’*. Ed. With an Intr. and Notes by C.Watts. London: Penguin Books, 1988.
- Conrad, Joseph. *Heart of Darkness*. H.-M.: Penguin Books, 1983.
- Eco, Umberto. *Foucault’s Pendulum*. Transl. from the Italian by W. Weaver. San Diego, New York, London: Harcourt Brace Jovanovich, 1989.
- Eliade, Mircea. *The Sacred and the Profane. The Nature of Religion*. Transl. from the French by Willard R. Trask. New York: Harcourt, Brace & World Inc., 1963.
- Eliot, T. S. *Selected Essays*. London: Faber and Faber, 1999.
- Frye, Northrop. *Anatomy of Criticism*. Four essays. Princeton, New Jersey: Princeton UP, 1957.
- Genette, Gerard. *Palimpsests: Literature in the Second Degree*. Translated by Channa Newman and Claude Doubinsky. Lincoln and London: U of Nebraska P, 1997.
- Hartman, David, Zimberoff, Diane “The Hero’s Journey of Self-transformation: Models of Higher Development from Mythology.” *Journal of Heart-Centered Therapies*. Autumn2009, Vol. 12 Issue 2, pp. 3-93.
- Heidegger, M. “What is Metaphysics?” Heidegger, M. *Basic Writings*. NY: HarperCollins Publishers, 2008, pp. 89-111.
- Jean-Aubry, G. Joseph Conrad. *Life and Letters*. 2 Vols. New York: Doubleday, tage and Co., 1927.
- Jung, C. G. *Memories, Dreams, Reflections*. Transl. from the German by Richard and Clara Winston. New York: Vintage Books, 1989.
- Jung, C. G. *The Spirit in Man, Art and Literature*. Transl. R. F. C. Hull. London: Routledge, 2001.
- Kierkegaard, Søren. *The Concept of Dread*. Transl. with an Introduction and notes by W. Lowrie. Princeton UP 1957.
- K’onradi, Jozep. *Ts’y’diadis Guli*. Inglisuridan Targmnes P’aat’ da Rost’om Chkheidzeebma. Tbilisi: gamomtsemloba „art’anuji“, 2018 (კონრადი, ჯოზეფ. წყვდიადის გული. ინგლისურიდან თარგმნება პაატა და როსტომ ჩხეიძეებმა. თბილისი: გამომცემლობა „არტანუჯი“, 2018).
- Lao-Dzi. *. Targmani, Shesavali da Ganmart’ebani Leri Alimonak’isa. Tbilisi: gamomtsemloba „ganatleba“, 1990 (ლაო-ძი. დაო დე ძინი. თარგმანი, შესავალი და განმარტებანი ლერი ალიმონაკისა. თბილისი: გამომცემლობა „განათლება“, 1990).*

- Leavis, F. R. *The Great Tradition*. London: Chatto & Windus, 1948.
- McClintock, Anne. "Unspeakable Secrets": The Ideology of Landscape in Conrad's "Heart of Darkness." *The Journal of the Midwest Modern Language Association*, Vol. 17, No. 1 (Spring, 1984 ), pp. 38-53.
- Miller, J. Hillis. "Sould We Read Heart of Darkness?". *Joseph Conrad's Heart of Darkness*. Bloom, Harold, ed. New York, NY: Infobase Publishers, 2008, pp. 115-131.
- O'Prey, Paul. Introduction. Joseph Conrad. *Heart of Darkness*. H.-M.: Penguin Books, 1883.
- Peters, John G. "Silence, Space, and Nothingness in Joseph Conrad's African Fiction". wakiTxulia moxsenebad: *The 46th Annual International Conference of the Joseph Conrad Society (UK)*. London: 5-7 July 2019.
- Thale, Jerome. "Marlow's Quest." *University of Toronto Quarterly*, XXIV (July, 1955), pp. 351-358.
- Toporov, V. N. "Prostranstvo i Tekst". В кн.: *Tekst: Semantika i Struktura*. М.: 1983, ss. 227-284 (Топоров, В. Н. "Пространство и текст". В кн.: *Текст: семантика и структура*. М.: 1983, сс. 227-284).

**Teimuraz Kobakhidze  
(Georgia)**

### **Mythopoetic Space and the Mytheme of the Way in Joseph Conrad's Heart of Darkness**

#### **Summary**

**Key words:** Joseph Conrad, Myth, Road Mythologem, Seeking Hero.

From the viewpoint of the genre, Heart of Darkness comprises all the features that pertain to modernist short fiction. However, the novella, published as early as in 1899, predates the golden age of modernism by quite a period of time. Mythopoetic space of modernist work represents its inner dimension, rife with images of symbolic and archetypal significance and their connotations. In works organized by conscious myth-making, this space is often created by alluding to archaic, biblical, or Greco-Roman cosmogonies and eschatological myths, along with allusions to 'sacred and forbidden' knowledge, esoteric texts, and widespread intercultural icons. Apart from special intellectualism, all such texts are unified by the common feature of non-mimetic attitude towards reality. As early as at the end of the 19th century Joseph Conrad was first to depict such an image – fictional African jungle and the winding waterway of the river, which emerges as the formative symbolic image of the space. All these symbolic and associative images distinguish the mythopoetic space of Heart of Darkness as a very important subtext – a kind of in-depth 'text within the text', or meta-text. It is perceived differently from the surface meaning of the work, and its symbolic and semantic connotations indicate a different kind of reality – not the one which is directly conveyed in Heart of Darkness, but as if it was 'something else', something specifically vague and indefinite, but ubiquitous in Conrad's novella. This in-depth dimension – to use the metaphor of the title, the heart of darkness itself, as well as the images that express it, is hardly subject to a specific definition; it is highly

suggestive, allows for various interpretations, and in fact, constitutes a kind of semiotic space, where each image and symbolic detail, in addition to being perceived a certain way while reading the text, is also a sign of ‘something else’.

Marlow comments on his own narrative, emphasizing the absurdity of the journey and its dreamlike, unrealistic nature. He seems to be obsessed with the “unreality” that he fabricates, realizing that everything that happens to him is a dream, and he himself characterizes his own impressions as a dream. At one point he even seems to address not only his imaginary audience, but directly the reader: “Do you see the story? Do you see anything? It seems to me I am trying to tell you a dream—making a vain attempt, because no relation of a dream can convey the dream-sensation, that commingling of absurdity, surprise, and bewilderment in a tremor of struggling revolt, that notion of being captured by the incredible which is of the very essence of dreams...” The episode of the end of Marlow’s quest and Kurtz’s death reveals that Conrad intuitively realizes and artistically transforms significant aspects of contemporary philosophical thought that would form the existentialist worldview in the European consciousness of the following decades. Indeed, “horror,” “absurdity,” “emptiness,” “nothingness” are the categories of the philosophical tradition that date back to Kierkegaard and Nietzsche, later includes Heidegger and Jaspers, and conclude with Sartre and Camus not only as a philosophical but also as a semi-literary phenomenon.

Conceptually, Conrad’s Heart of Darkness pays homage to existentialism, yet by the time of its creation the existentialist worldview was not dominant in European consciousness. As Otto Bohlmann points out, “what the precise nature of this horror was, Marlow never clarifies. But his intimations lend themselves to an existential reading that what Kurtz perceived was the nothingness, the ‘hollowness’, of his self and the brute world – that, in Camus’s words, ‘everything is absurd’.” The gruesome feeling that accompanies Marlow throughout the journey, culminating in Kurz’s outcry of horror, seems unmotivated. The reader is confused about what precisely is ‘horrible’ or why whatever is horrifying in Kurtz’s imagination should actually be horrifying for him too. It is noteworthy that many years later, in his lecture on “What is Metaphysics?” Heidegger defines Die Angst (anxiety) with the same basic characteristics – it is not fear, for fear must have a cause; fear is always “fear of something”. Unlike it, for anxiety there is no reason, it is “horror in the face of nothingness”, nothingness itself is manifested in the horror. To quote Heidegger’s famous line, “Die Angst offenbart das Nichts” (“Nothingness is revealed in anxiety”). It turns out that in anxiety and horror, Kurtz perceived ‘nothingness,’ and it was the horror in the face of nothingness that revealed ‘mystery of all mysteries’ to him, which is ‘the gate to all wonders,’ as it says in Tao Te Ching. Kurtz grasped the essence of existence that horrified him, or rather – “nothingness” presented itself to him in the form of horror. Here, it also becomes clear why Marlow is unable to formulate the essence of the “mysterious”, why he tries to define it by attributes, and not by what it actually is. The point is that the “mystery” has no essence – behind the veil nothing is hidden, it is nothingness that reveals itself in horror, and the horror shapes ‘mystery,’ ‘darkness,’ ‘wilderness,’ ‘silence,’

and other attributes of nothingness as Marlow's subjective impressions. Each of them, individually and collectively, is tinged with anxiety, or unmotivated fear of the unknown, which the reader observes ubiquitously in Heart of Darkness. In basic, fundamental uncertainty of the book, of what is 'horrible' per se – one can clearly discern the echo of Kierkegaard's thought, for whom vagueness and uncertainty constitutes an essential aspect of the horror and expresses fundamental impossibility of determining the cause of horror and its subject.

Conrad often uses the rhetorical figure of prosopopoeia, which is also often referred to as personification of abstract notions or objects. All prosopopoeia, at the same time, represent catachreses – combinations of semantically incompatible words, or rhetorical figures that express the absurd. Phrases like "wilderness had whispered to him things about himself which he did not know", or "[silence] that couldn't talk, and perhaps was deaf as well" are in themselves nothing but a logical absurdity. They are perceived only in a figurative, metaphorical sense, as symbolic images that express something, and it is when they acquire the rhetorical quality that they become cateresses. There is no explanation for what such images mean with Conrad, because they do not have any specific meaning. What we find in Heart of Darkness is not metaphorical thinking in the regular sense, because a regular image always has a specific tenor that connects its vehicle with reality because it is taken from that reality, and this constitutes the essence of mimesis in art. In contrast, Marlow's figurative references are vague, ambiguous, and suggestive – like those that can be encountered in some alchemical treatise or esoteric text. In fact, it is the system of veils behind which nothing is hidden, and where these 'veils' or non-referential images create the hyper reality of Conrad's Africa.

The illogical, absurd images of Heart of Darkness have no specific conceptual denotata – the novella is basically 'non-mimetic'; it does not aim at authentic depiction of the environment and action (space and time) that it narrates about. The novella's system of images only formally corresponds to the environment declared as its place of action, as a result of which this space itself becomes an abstraction. That is why neither the River Congo nor Africa itself, as Marlow's space of journey, are ever mentioned in the book, just as it does not contain any African place-names or the name of the starting point of the journey, Brussels, referred to as "whited sepulchre" (ref. to Matthew 23:27). This 'dream' nature of reality described by Marlow, or "unreality" as he calls it, is a fascinating device with correlates Conrad's artistic method with the recent postmodernist idea of hyper reality. Africa of Heart of Darkness is quite perceivable as a "simulated" reality, as it is essentially non-mimetic and constructed from the chaos of Marlow's extremely subjective impressions. The reality imagined this way clearly resembles a kind of artistic analogue of J. Baudrillard's non-referential reality, which, according to his work, represents a system of signs with no denotata, or in case of metaphoric thinking, vehicles with no tenors. There is nothing behind the non-referential system of signs, only the absurd, 'emptiness', and 'nothingness' manifested in horror. Thus, the non-referential nature of reality is not only declared in Marlow's speech; it is realized in the very artistic fabric of the book itself, as the most significant aspect of its poetics and the key feature of Conrad's method.

# ლიტერატურისმცოდნეობის ქრესტომათია / Chrestomathy of Literary Theory

---

მიშელ ფუკო  
(საფრანგეთი)

## ცინიკოსები და მათი ხერხები (1983 წლის ლექციიდან)

ამჯერად მსურს, ცინიკოს ფილოსოფოსთა მაგალითზე, საზოგადოებრივ ცხოვრებაში პარესის შესახებ ვისაუბრო ჩვენ ძალზე მწირი ცნობები გვაქვს ეპიკურელთა საზოგადოებრივი ცხოვრების ნირის შესახებ, მაგრამ გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის სხვადასხვა ტექსტში არსებული მათი დოქტრინა, ცინიკოსთა შემთხვევაში ვითარება საპირისპიროა. დანამდვილებით ისიც კი არ ვიცით, არსებობდა თუ არა, ცინიკოსთა მკვეთრად გამოხატული დოქტრინა, მაგრამ მათი ცხოვრების ნირის შესახებ არსებობს უამრავი ცნობა. ამაში არც არაფერია გასაკვირი, ვინაიდან მართალია ცინიკოსები, სხვა ფილოსოფოსთა მსგავსად, წერდნენ წიგნებს, მაგრამ მათ უფრო მეტად აინტერესებდათ ცხოვრების გარკვეული ნირის შერჩევა და პრაქტიკაში განხორციელება. ცინიკური ფილოსოფიის წყაროთა ისტორიული პრობლემა შემდეგია: ქრისტემდე პირველი საუკუნიდან დაწყებული, ცინიკოსები მათი ფილოსოფიის დამფუძნებლად დიოგენესა და ანტისთენეს მიიჩნევენ, ხოლო ეს ფილოსოფოსები საკუთარ მოძღვრებებს სოკრატეს სწავლებათაგან მომდინარედ აღიარებენ, თუმცა, ფარანდ საირის თანახმად, ცინიკოსთა სექტა ქრისტემ დე მეორე საუკუნეში, ან სოკრატეს გარდაცვალებიდან ორი საუკუნის შემდეგ ჩნდება. შესაძლოა სკეპტიკურად მოგვეჩვენოს ცინიკოსთა სექტის აღმოცენების ტრადიციული ახსნა, რომელსაც ხშირად სხვა მოვლენათა განსამარტავადაც იყენებდნენ; მაგრამ ცინიზმი აგრესიული ინდივიდუალიზმის ნეგატიური ფორმაა, რომელიც ანტიკური სამყაროს პოლიტიკურ სტრუქტურათა დამარცხებამ გამოიწვია. კიდევ უფრო საინტერესო განმარტებას უკავშირებს. უფრო ზუსტად, იგი აღნიშნავს, რომ მაკედონელის დაპყრობითი ომების წყალობით ინდური ფილოსოფია (განსაკუთრებით გიმნოსოფისტთა მსგავსი ინდური სექტების მონაზვნური და ასკეტური სწავლებანი) გავრცელდა ბერძენთა შორის. იმის მიუხედავად, თუ რას მივიჩნევთ ცინიკური ფილოსოფიის საფუძვლად, ფაქტია, რომ ცინიკოსები მრავალრიცხოვანი იყვნენ, რომლებიც მნიშვნელოვანი გავლენით სარგებლობდნენ ქრისტემდე პირველი საუკუნიდან ახ.წ. მე-4 საუკუნემდე. ახლ. წ. 165 წელს ლუკიანე (რომელსაც უყვარდა ცინიკოსები) წერს: „ქალაქი სავსეა ამ მავნებლებით, განსაკუთრებით დიოგენეს, ანტისთენესა და კრატესის მიმდევრებით“. როგორც

მსგავსი ინდური სექტების მონაზვნური და ასკეტური სწავლებანი) გავრცელდა ბერძენთა შორის. იმის მიუხედავად, თუ რას მივიჩნევთ ცინიკური ფილოსოფიის საფუძვლად, ფაქტია, რომ ცინიკოსები მრავალრიცხოვანი იყვნენ, რომლებიც მნიშვნელოვანი გავლენით სარგებლობდნენ ქრისტემდე პირველი საუკუნიდან ახ.წ. მე-4 საუკუნემდე. ახლ. წ. 165 წელს ლუკიანე (რომელსაც უყვარდა ცინიკოსები) წერს: „ქალაქი სავსეა ამ მავნებლებით, განსაკუთრებით დიოგენეს, ანტისთენესა და კრატესის მიმდევრებით“. როგორც

ჩანს, თვითმარქვია „ცინიკოსთა“ რიცხვი იმდენად დიდი იყო, რომ იმპერატორმა იულიანემ, რომელიც კლასიკური ბერძნული კულტურის აღორძინებას ესწრაფოდა, მათ წინააღმდეგ დაწერა პამფლეტი, სადაც დასცინოდა ცინიკოსთა უცოდინრობას, უხამსობას, და მათ იმპერიისა და ბერძნულ-რომანული კულტურებისთვის სერიოზულ საფრთხედ აცხადებდა. ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც იულიანე ასე სასტიკად განსჯიდა ცინიკოსებს, არის ის, რომ ისინი ადრეულ ქრისტიანებს ჰავდნენ. ზოგიერთი მსგავსება იმდენად ძირეული იყო, რომ გარეგნულს ბევრად სცილდებოდა. მაგ. პერეგრინეს (ახ. მე-2 საუკუნის ცნობილი ცინიკოსი) მისი მიმდევრები წმინდანად რაცხდნენ, განსაკუთრებით კი ისინი, ვინც მის სიკვდილს ჰერაკლეს გმირულ დაღუპვას ადარებდა. სიკვდილისადმი გულგრილობის დასამტკიცებლად, პერეგრინემ თავი დაიწვა სწორედ ძვ. წ. 167 წლის ოლიმპიური თამაშების შემდეგ. ლუკანე, რომელიც ამ თვითმკვლელობის თვითმხილველი გახლდათ, სატირული ტონით, ირონიით გადმოგვცემს ამ ამბავს. იულიანესაც იმედი გაუცრუვდა, ვინაიდან ცინიკოსები შორს იდგნენ ძველი ბერძნულ-რომანული კულტურისგან; მას კი სწამდა, რომ გამოჩენდებოდა ქრისტიანობასთან მოქმედებების ცხოვრების ნირს უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდნენ, როდი ნიშნავს, თითქოს მათ ნაკლებად აინტერესებდათ თეორიული მხარე. ჭეშმარიტებასთან ურთიერთობაში ადამიანის ცხოვრების ნირი მათთვის, ისევე როგორც სოკრატესთვის, ამოსავალ პრინციპს წარმოადგენდა. მათ სოკრატესული იდეიდან ამგვარი დასკვნა გამოჰქონდათ: ყველასთვის გასაგები ფორმით ჭეშმარიტების მოწოდებისთვის მათ თავიანთი სწავლებანი ღიად, ხილულად, მიმზიდველად, პროვოკაციულად და ზოგჯერ სკანდალური ცხოვრების წესის სახით უნდა გამოხხატათ. ამიტომაც ცინიკოსები მაგალითებსა და მათთან დაკავშირებულ განმარტებებზე აგებდნენ თავიანთ სწავლებას. ისინი ესწრაფვოდნენ, რომ საკუთარ ცხოვრებაში გაეტარებინათ არსებითი ჭეშმარიტებანი, რომლებიც სხვებისთვის მაგალითი უნდა ყოფილიყო. მაგრამ ფილოსოფიის, როგორც ცხოვრების ხელოვნების, ცინიკოსებისულ გაგებაში არაფერია უცხო ბერძნული ფილოსოფიისთვის. და თუ მაინც მივიღებთ საირის ჰიპოთეზას ცინიკოსთა დოქტრინასა და პრაქტიკაზე ინდური ფილოსოფიის გავლენის შესახებ, ვერ უარვყოფთ, რომ, თავისი ძირითადი ფორმით, ცინიკოსთა შეხედულება ცხოვრების ნირსა და ჭეშმარიტების შემცნებას შორის დამოკიდებულების სწორედ ბერძნული გაგების მეტად რადიკალური სახეობაა. ცინიკოსთა მოსაზრება, რომ პიროვნება განისაზღვრება მხოლოდ და მხოლოდ ჭეშმარიტებასთან დამოკიდებულებით და ეს დამოკიდებულება ცხოვრებაში ვლინდება – სავსებით ბერძნულია. პლატონისეულ და სტოიკურ ტრადიციათა თანახმად, ფილოსოფოსები თავიანთი ფილოსოფიური იდეების დასაბუთებისთვის ძირითადად მიმართავდნენ დოქტრინას, ტექსტს, ან თეორიულ პრინციპებს მაინც. ეპიკურელები მიმართავდნენ როგორც დოქტრინას, ისე პიროვნულ მაგალითებსაც,

რომელიც ეპიკურემ შემოიტანა და რომლის მიბაძვასაც ყველა მისი მიმ-დევარი ცდილობდა. ეპიკურემ შეიმუშავა დოქტრინა და, ამავე დროს, თვი-თონაც ამ დოქტრინის პერსონიფიკაციას წარმოადგენდა. მაგრამ, ცინი-კოსთა ტრადიციით, ფილოსოფიურ იდეათა გამოხატვის მთავარი ასპარეზი არის არა ტექსტები ან დოქტრინები, არამედ საკუთარი ცხოვრების მაგა-ლითი. პიროვნული მაგალითები სხვა ფილოსოფიური სკოლებისთვისაც მნიშვნელოვანი გახლდათ, მაგრამ ცინიკოსთა მიმართულებისთვის (სადაც არც ჩამოყალიბებული ტექსტები არსებობდა და არც მოწესრიგებული, აღიარებული დოქტრინა) არსებითი იყო ამა თუ იმ რეალური თუ მითიური პიროვნების მაგალითად დასახვა, რომელსაც ცინიკოსთა ცხოვრების წესის საფუძვლად მიიჩნევდნენ. ამგვარი პიროვნებები ცინიკოსთა რეფლექსიებისა და კომენტარების ამოსავალი წერტილი გახლდათ. ამ პიროვნებათა შორის იყვნენ ჰერაკლე (ჰერკულესი), ოდისევსი (ულისე) და დიოგენე. დიოგენე რეალური, ისტორიული პიროვნება იყო, მაგრამ მისი ცხოვრება ლეგენ-დად იქცა და მითს დაემსგავსა, ვინაიდან მის შესახებ შეიქმნა ლეგენდები, სკანდალები და ა.შ. დიოგენეს რეალურ ცხოვრებაზე ბევრი არაფერი ვი-ცით, მაგრამ ერთი რამ ცხადია: იგი ფილოსოფიურ გმირად იქცა. პლატო-ნი, არისტოტელე, ძენონ კიტიონელი და სხვანი ფილოსოფოსები და ავტო-რიტერები იყვნენ, მაგრამ მათ არავინ აღიარებდა გმირებად. უპიკურე ფი-ლოსოფოსიც იყო და მის მიმდევართა მიერ გმირად შერაცხულიც. მაგრამ დიოგენე, უპირველესად, ჰეროიკულ ფიგურადაა მიჩნეული. ფილოსოფოსის ცხოვრების, როგორც სამაგალითოსა და ჰეროიკულის, იდეა მნიშვნელოვა-ნია ცინიკოსთა ფილოსოფიისა და ქრისტიანობის ურთიერთკავშირის, ასევე ცინიკური პარესის, როგორც საზოგადოებრივი პოზიციის გაგებისას. და აი, მივადექით ცინიკური პარესის საკითხს. ცინიკოსთა პარესიული პრაქტიკის ძირითადი სახეებია: 1) კრიტიკული ქადაგება; 2) სკანდალური ქცევა; და 3) ერთ-გვარი „პროვოკაციული დიალოგი“.

### კრიტიკული ქადაგება:

ჯერ ცინიკოსთა კრიტიკული ქადაგებებით დავიწყოთ. ქადაგება უწყ-ვეტი დისკურსის ერთ-ერთი კლასიკური ფორმაა. და, როგორც ცნობილია, ადრეული ხანის ფილოსოფოსთა უმრავლესობა (განსაკუთრებით სტოკო-სები) ზოგჯერ წარმოთქვამდნენ სიტყვას, სადაც თავიანთ დოქტრინას წარ-მოადგენდნენ. მაგრამ ჩვეულებრივ ისინი შედარებით მცირე აუდიტორის წინაშე გამოდიოდნენ ლექციით. ამის საპირისპიროდ, ცინიკოსებს არ მოს-წონდათ ამგვარი ელიტური აუდიტორია და უპირატესობას დიდხალი ხალ-ხის წინაშე გამოსვლას ანიჭებდნენ. მაგალითად, მათ მოსწონდათ თეატრში ან ისეთ ადგილას გამოსვლა, სადაც ბევრი ხალხი იყრიდა თავს რელიგიურ თუ ჩვეულებრივ დღესასწაულებზე, ათლეტთა შეჯიბრებებზე და ა.შ. ხში-

რად თეატრის მაყურებელთა ცენტრში იდგნენ და ისე საუბრობდნენ. ამგვარი საზოგადოებრივი ქადაგებანი სიახლე როდი იყო, ვინაიდან არსებობს ცნობები მსგავსი პრაქტიკის შესახებ, ქრისტემდე მე-5 საუკუნეში. ასევე, ზოგიერთი სოფისტი, რომელთაც პლატონის დიალოგებში ვხვდებით, გარკვეულწილად მონაწილეობდა ამგვარ ქადაგებებში, თუმცა ცინიკოსთა ქადაგებები რიგი თავისებურებებით ხასიათდება და ისტორიული თვალსაზრისით მნიშვნელოვანია, ვინაიდან ამან ხელი შეუწყო ცხოვრების წესთან დაკავშირებული ფილოსოფიური თემების პოპულარიზაციას, ე.ი. იმ ხალხის ყურადღების მიპყრობას, რომელიც ფილოსოფიური ელიტისგან გამიჯნულად ითვლებოდა. ამ თვალსაზრისით, ცინიკოსთა ქადაგებამ თავისუფლების, ფუფუნებისგან განდგომის შესახებ, პოლიტიკური ინსტიტუციებისა და არსებულ ზნეობრივ ნორმათა კრიტიკამ და ა.შ. ზოგიერთი ქრისტიანული თემისკენ გახსნა გზა. მაგრამ ქრისტიანი პროზელიტები არა მხოლოდ საუბრობდნენ იმ თემებზე, რომლებიც ცინიკოსებისთვის ახლობელი იყო, არამედ ქადაგების პრაქტიკაც კი გადაიღეს მათგან. დღესაც, ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქადაგება სიმართლის თქმის ერთ-ერთ ძირითად ფორმად რჩება, და გულისხმობს იმ აზრს, რომ სიმართლე არამხოლოდ საზოგადოების საუკეთესო ნაწილს, ან ერთ ჯგუფს უნდა გავუზიაროთ, არამედ ყველას. თუმცა ცინიკურ ქადაგებაში პოზიტიური დოქტრინა ნაკლებადაა ნარმოდგენილი: კარგი და ცუდი ზუსტად არ არის გამიჯნული. ცინიკოსებისთვის თავისუფლება (*eleutheria*) და დამოუკიდებლობა (*autharkeia*) ძირითადი კრიტერიუმებია და, გარკვეულწილად, ქცევის ან ცხოვრების წესია. ისინი თვლიან, რომ ადამიანური ბედნიერებისთვის აუცილებელია დამოუკიდებლობა ან თვითმყოფობა, სადაც ადამიანის სურვილი, – რაიმე ჰქონდეს ან გააკეთოს, მხოლოდ და მხოლოდ მასზეა დამოკიდებული. ცინიკოსებს მეტად რადიკალური შეხედულებები ჰქონდათ, ამიტომაც ისინი უპირატესობას ანიჭებდნენ სრულიად ბუნებრივ, ნეიტრალურ ცხოვრების წესს, რომელიც კულტურაზე, საზოგადოებაზე, ცივილიზაციაზე, სხვათა შეხედულებებსა და სხვაზე დამოკიდებულებას გამორიცხავდა. ამის გამო, როგორც ჩანს, მათ ქადაგებათა დიდი ნაწილი მიმართულია სოციალურ ინსტიტუტთა, კანონის წინაშე ვალდებულებისა და ცხოვრების იმ წესის წინააღმდეგ, რომელიც ამ ინსტიტუციებსა და კანონებს ექვემდებარება. ერთი სიტყვით, მათი ქადაგება უპირისპირდებოდა ნებისმიერ სოციალურ ინსტიტუციას, ვინაიდან ისინი აბრკოლებდნენ პიროვნების თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას.

### სკანდალური ქცევა:

ცინიკური პარესია ასევე გულისხმობდა სკანდალურ ქცევასა და შეხედულებებს, რომლებიც კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებდნენ საზოგადოებრივ წესებს, აზრებს, ზრდილობის ნორმებს, ინსტიტუციურ წესებს და ა.შ. ამის-

თვის სხვადასხვა გზა არსებობდა. ერთ-ერთი მათგანი იყო როლების შეცვლა, რასაც შეიძლება მივაკვლიოთ დიო ქრიზოსტომის „მეოთხე დისკურსში“, სადაც აღნერილია დიოგენესა და ალექსანდრეს ცნობილი შეხვედრა. ეს შეხვედრა, რომელსაც ცინიკოსი ფილოსოფოსები ხშირად მაგალითად სახავდნენ, ხდებოდა არა ალექსანდრეს კარზე, არამედ გარეთ. მეფე ფეხზე დგას, დიოგენე კი კასრში ზის. დიოგენე უბრძანებს ალექსანდრეს, რომ სინათლისგან ჩამოეცალოს, რადგანაც სურს მზეზე გათბეს. დიოგენეს მოთხოვნა, ალექსანდრე განზე გამდგარიყო, რათა მზის სხივი დაენახა, მზესთან ფილოსოფოსის პირდაპირ და ბუნებრივ კავშირზე მიუთითებს, მითიური გენეალოგიის საპირისპიროდ, რომლის თანახმადაც, მეფე, როგორც ღვთაებრივი არსება, მზის გამოვლინებად მიიჩნეოდა.

ცინიკოსები ასევე მიმართავდნენ ამა თუ იმ წესის შეცვლის ან შენაცვლების ხერხს იმისთვის, რომ ეჩვენებინათ, თუ რაოდენ პირობითი იყო ეს წესი. ერთხელ დოლზე, ათლეტთა შეჯიბრისას, ისტმიაში, დიოგენემ (რომელიც ყველას თავს აბეზრებდა თავისი გულახდილი შენიშვნებით) თავზე დაიდგა ფიჭვის გვირგვინი, თითქოს ათლეტური შეჯიბრის გამარჯვებული ყოფილიყოს. მაგისტრატები მეტად გაახარა დიოგენეს საქციელმა და იფიქრეს, რომ ბოლოსდაბოლოს მისი დასჯის, გაგდების, თავიდან მოცილების ჟამიც დადგა. მაგრამ დიოგენემ ფიჭვის გვირგვინის თავზე დადგმა იმით ახსნა, რომ მან გაცილებით რთულ შეჯიბრში გაიმარჯვა სიღარიბის, დევნის, სურვილებისა და საკუთარ ნაკლოვანებითა წინააღმდეგ, ვიდრე ათლეტებმა, რომლებიც ერთმანეთს ჭიდაობაში, სირბილსა და ბადროს ტყორცნაში ეჯიბრებოდნენ. რამდენიმე ხნის შემდეგ, თამაშების მსვლელობისას, დიოგენე ესწრებოდა ცხენების ორთაბრძოლას. როდესაც ერთ-ერთმა ცხენმა მეორე დააშინა, დიოგენემ გამარჯვებულს გვირგვინი დადგა. ამ საქციელის შედეგად გაჩნდა კითხვა: „ისტმიის თამაშებზე რა პრინციპით აჯილდოვებენ?“ თუ გვირგვინს ზნეობრივი გამარჯვებისთვის ადგამენ, მაშინ დიოგენე იმსახურებს მას. მაგრამ თუ ფიზიკური ძალის უპირატესობაზეა საუბარი, მაშინ რატომაც არ უნდა დააჯილდოვონ ცხენი.

ცინიკური პარესია ასევე გულისხმობდა ქცევის ორი ისეთი ნორმის დაახლოებას, რომლებიც თითქოს ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან და არა-ფერი საერთო არ გააჩნიათ. ასეთი იყო მაგალითად, ბუნებრივი, სხეულებრივი მოთხოვნილებები. ჭამაში არაფერია სკანდალური. ამიტომაც ადამიანს შეუძლია ჭამოს საზოგადოებაში (თუმცა ბერძნებისთვის ასეთი რამ, ცოტა არ იყოს, უცხო გახლდათ. დიოგენეს ხშირად საყვედურობდნენ აგორაზე ჭამისთვის). ვინაიდან დიოგენე აგორაზე ჭამდა, მისთვის გაუგებარი იყო, თუ რატომ არ შეეძლო აგორაზე მასტურბაციაც; ორივე შემთხვევაში იგი ბუნებრივ, სხეულებრივ მოთხოვნილებებს იკმაყოფილებდა (თან უმატებდა, „ნეტავი ასევე ადვილი იყოს შიმშილის დაოკება მუცლის დაზელვითო“). მოკლედ, სულაც არ ვცდილობ ცინიკოსთათვის დამახასიათებელი უსირცხვილობის (anaideia), როგორც სკანდალური პრაქტიკის ან ხერხის, დაფარ-

ვას. როგორც ცნობილია, სიტყვა „ცინიკოსი“ მომდინარეობს ბერძნული სიტყვისგან kynikoi, რაც „ძალისებრს“ ნიშნავს. დიოგენეს „ძალი“ უწოდეს. მართლაც, პირველი და ერთადერთი თანამედროვე წყარო, სადაც დიოგენეზეა საუბარი, არისტოტელეს „რიტორიკაა“. აქ არისტოტელე დიოგენეს სახელით კი არ მოიხსენიებს, არამედ „ძალს“ უწოდებს. გამოჩენილი ბერძენი ფილოსოფოსები, რომლებიც ელიტურ დაჯგუფებაში ერთიანდებოდნენ, თითქმის ყოველთვის უგულებელყოფნენ ცინიკოსებს.

### პროგოკაციული დიალოგი:

ცინიკოსები სხვა პარესიულ ხერხსაც მიმართავდნენ, კერძოდ, „პროვოკაციულ დიალოგს“. ამ ტიპის დიალოგი უფრო თვალსაჩინო რომ იყოს (რომელიც სოკრატეს პარესიდან მომდინარეობს), პრუსიელი დიო ქრიზოსტომის (ძვ. წ. 40-110 წწ.) „მეოთხე დისკურსიდან“ მოვიხმობ ფრაგმენტს, რომელიც მეფობას შეეხება. ალბათ გაინტერესებთ, ვინ იყო დიო ქრიზოსტომი. ის ძალიან საინტერესო პიროვნება გახლდათ, რომელიც ჩვენი წელთაღრიცხვის 1-ლი საუკუნის მე-2 ნახევარსა და მე-2 საუკუნის 1-ლ ნახევარს შორის ცხოვრობდა. დაიბადა მცირე აზიაში, პრუსიაში, შეძლებული რომაელის ოჯახში, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ქალაქის ცხოვრებაში. დიოს ოჯახი მდიდარ პროვინციელ დიდებულთა ტიპური ნარმომადგენელი იყო, რომელმაც რომის იმპერიას მრავალი მწერალი, სამხედრო მოღვაწე, გენერალი და იმპერატორი შესძინა. შესაძლოა, დიო რომში ჩავიდა, როგორც პროფესიონალი რიტორი, მაგრამ ამასთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. ამერიკელმა მეცნიერმა ჩ. ჯონსმა დაწერა მეტად საინტერესო წიგნი დიო ქრიზოსტომის შესახებ, სადაც აღნერილია დიოს პერიოდის რომის იმპერიაში ინტელექტუალის საზოგადოებრივი ცხოვრება. რომში დიომ გაიცნო სტოელი ფილოსოფოსი მუსონიუს რუფუსი და სავარაუდოდ, რომ მისი საშუალებით დაუხალოვდა ლიბერალურ წრეებს, რომლებიც ტირანულ ძალაუფლებას ენინააღმდეგებოდნენ. მოგვიანებით იგი გააძევა დომიციანემ, რომელსაც არ მოსწონდა მისი შეხედულებანი. ამიტომაც დიო იძულებული გახდა, მოხეტიალე ცხოვრება დაეწყო, თან რამდენიმე წლის განმავლობაში ცინიკოსთა ჩაცმულობა გადაიღო და მათმა აზრებმაც გაიტაცა. დომიციანეს მკვლელობის შემდეგ მას ნება დართეს, რომში დაბრუნებულიყო. ამ პერიოდიდან მან ახალი კარიერა დაიწყო. ბედმა კვლავ გაულიმა და მდიდარ და სახელგანთქმულ მასწავლებლად იქცა. თუმცა, გარკვეული ხნის მანძილზე, მისი ცხოვრების ნირი, შეხედულებანი, ჩვევები და ფილოსოფიური აზრები ცინიკოსი ფილოსოფოსებით იყო შთაგონებული. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ დიო ქრიზოსტომი „უბრალო“ ცინიკოსი არ ყოფილა. თავისი განათლების გამო, დიოს მიერ აღნერილი ცინიკური პარესის ხერხები ალბათ სოკრატესეულ ტრადიციასთან უფრო ახლოა, ვიდ-

რე ცინიკოსთა უმრავლესობის პრაქტიკასთან. „დისკურსის“ დასასრულს წარმოდგენილია ერთგვარი ქადაგება, სადაც დიოგენეს სკანდალურ ქცევასა და მას და ალექსანდრეს შორის გამართული პროვოკაციული დიალოგის აღნერას ვხვდებით. „დისკურსის“ მთავარი თემაა ცნობილი შეხვედრა დიოგენესა და ალექსანდრე დიდს შორის, რომელიც კორინთოში შედგა. „დისკურსი“ იწყება დიოს შეხედულებებით ამ შეხვედრასთან დაკავშირებით (1-14), შემდეგ მხატვრული დიალოგი მოსდევს, სადაც დიოგენესა და ალექსანდრეს საუბრის ხასიათი იკვეთება (15-81). „დისკურსი“ მთავრდება გრძელი, უწყვეტი მსჯელობით (რომელიც დიოგენემ მხატვრულად გადმოსცა) ცხოვრების მცდარი ნირის შესახებ (81-139). „დისკურსის“ დასაწყისში დიო აკრიტიკებს მათ, ვისაც დიოგენესა და ალექსანდრეს შეხვედრა თანასწორთა შეხვედრად მიაჩნია: ალექსანდრე ცნობილი გახლდათ თავისი ხელმძღვანელობის უნარითა და სამხედრო გამარჯვებებით; დიოგენე კი – თავისუფალი და დამოუკიდებელი ცხოვრების წესით, ასკეტური და ნატურალისტური ზნეობით. დიოს არა სურს ალექსანდრე შეაქონ მხოლოდ იმისთვის, რომ მან, როგორც ძლევამოსილმა მეფემ, არ დაამცირა ისეთი საცოდავი ადამიანი, როგორიც დიოგენე იყო. დიოს მტკიცებით, ალექსანდრე სინამდვილეში კარგად გრძნობდა, რომ დიოგენეზე უღირსი იყო და, ცოტა არ იყოს, შურდა კიდეც მისი. ალექსანდრესგან განსხვავდებით, რომელიც სამყაროს დაპყრობას ესწრაფოდა, დიოგენე თავის სურვილთა განხორციელებისთვის არაფერს მოითხოვდა: (ალექსანდრეს) მიზნის მისაღწევად სჭირდებოდა მაკედონელთა ქვეითი ჯარი, თესალიელთა კავალერია, ტრაქინელები, ფეონელები და მრავალი სხვა; დიოგენე კი უსაფრთხოდ დადიოდა მარტოდმარტო, დღედაღამ და სადაც სურდა. ალექსანდრეს ამ გეგმების განხორციელება შეუძლებელი იქნებოდა უამრავი ოქრო-ვერცხლის გარეშე; უფრო მეტიც, მაკედონელთა და სხვა ბერძენთა დამორჩილებისთვის ალექსანდრეს დროდადრო უნდა ეპირფერა მათ მმართველებთან და ხალხთან ტკბილი სიტყვებითა და საჩუქრებით; დიოგენესთვის არ არსებობდა ვინმეს მოსყიდვის აუცილებლობა, იგი ყველას ჭეშმარიტებას ეუბნებოდა და, მიუხედავად იმისა, რომ ერთი დრაჟმაც კი არ გააჩნდა, იმას აკეთებდა, რაც სურდა, და მიაჩნდა, რომ ბედნიერი იყო და არასგზით არ გაცვლიდა საკუთარ სილარიბეს ალექსანდრეს ტახტსა თუ მიდიელთა და სპარსელთა სიმდიდრეზე. მოკლედ, ცხადია, რომ დიოგენე აქ წარმოდგენილია, როგორც მართლის თქმის დიდოსტატი. აქედან ისიც აშკარაა, რომ ალექსანდრე მასზე უღირსია და კარგადაც ესმის ეს. თუმცა, ბუნების ზოგიერთი ნაკლოვანების მიუხედავად, იგი მაინც არ არის ცუდი მეფე, ვინაიდან თანახმაა ითამამოს დიოგენეს პარესიული თამაში: მეფე მივიდა (დიოგენესთან), როცა იგი იჯდა და მიესალმა, როცა ამ უკანასკნელმა ლომის გაავებული მზერით შეხედა და გვერდზე გადგომა მოსთხოვა, რათა მზეზე გამობარიყო. ალექსანდრე მაშინვე მოხიბლა დიოგენეს უშიშრობამ და სიმშვიდემ, რომ მას მეფის წინაშე ყოფნის არ შეეშინდა. გარკვეულწილად ბუნებრივიცაა, რომ მამაცის მამაცი მოსწონს; მხდალები კი მათ შიშით

შეჰყურებენ და სძულთ, როგორც მტრები, სულმდაბალთ კი სიხარულით ხვდებიან და უყვართ. ამრიგად, ერთი კლასისთვის (საზოგადოების ერთი ნაწილისთვის) ჭეშმარიტება და გულახდილობა (პარესია) ყველაზე სასიამოვნო რამაა, სხვათ – მლიქვნელობა და ტყუილი ყველაფერს ურჩევნიათ. ერთნი მიჰყვებიან მათ, ვისაც ჭეშმარიტება უყვარს, მეორენი კი – გამორჩენის ძიებაში არიან. ცინიკოსთა პარესიული თამაში, გარკვეულწილად, დიდად არ განსხვავდება სოკრატესეული დიალოგებისგან, ვინაიდან კითხვა-პასუხის პრინციპს ეფუძნება. მაგრამ მათ შორის არის ორი მნიშვნელოვანი განსხვავება. პირველია ის, რომ ცინიკოსთა პარესიულ თამაშში ალექსანდრე იძლევა შეკითხვებს და დიოგენე პასუხობს, რაც ეწინააღმდეგება სოკრატესეული დიალოგების წყობას. მეორეა ის, რომ სოკრატე თანამოსაუბრის უგუნურებაზე აგებს დიალოგურ თამაშს, დიოგენეს კი სურს ალექსანდრეს სიამაყის გრძნობის შელახვა. მაგალითად, საუბრის დასაწყისში დიოგენე ალექსანდრეს ნაძირალას უწოდებს (181) და ეუბნება, ის, ვინც ამტკიცებს, რომ მეფეა, დიდად არ განსხვავდება ბავშვისაგან, რომელიც თამაშის მოგების შემდეგ თავზე გვირგვინს იდგამს და საკუთარ თავს მე ფედ აცხადებს (47-49). ბუნებრივია, ეს ყველაფერი არცთუ ისე სასიამოვნო მოსასმენია ალექსანდრესთვის. მაგრამ ესაა დიოგენეს თამაშის არსი: შეურაცხყოს თანამოსაუბრის სიამაყე და მიახვედროს, რომ იგი არ არის ის, რადაც თავი მოაქვს. ეს ხერხი საგრძნობლად განსხვავდება სოკრატეს მეთოდისგან, რომელიც მიზნად ისახავს დაუმტკიცოს თანამოსაუბრეს, რომ მან სულაც არ იცის ის, რისი ცოდნის პრეტენზიაც გააჩნია. სოკრატესეულ დიალოგებში შეიძლება შევხვდეთ ისეთ შემთხვევებსაც, როდესაც ვიღაც შეურაცხყოფილია საკუთარი უმეცრების გამოვლენის გამო. მაგალითად, როცა კალიკლეს უმეცრება მჟღავნდება, იგი უარს ამბობს საუბრის გაგრძელებაზე, ვინაიდან მისი სიამაყე შეურაცხყოფილია. მაგრამ ეს მეორეხარისხოვანია სოკრატესეული ირონიისთვის, რაც მდგომარეობს პრინციპში: „მე ვიცი ის, რომ არაფერი არ ვიცი“. დიოგენეს შემთხვევაში კი სიამაყე მთავარია, ხოლო უმეცრება-ცოდნის საკითხი – მეორეხარისხოვანი.

თანამოსაუბრის სიამაყეზე განხორციელებული შეტევის გამო თანამოსაუბრე ერთვება პარესიულ თამაშში და თანახმაა, რომ დისკუსიაში ჩაებას. ალექსანდრეს სურს, დიოგენე დისკუსიაში ჩაითრიოს, თუნდაც ეს საკუთარი შეურაცხყოფისა და თანამოსაუბრის ამპარტავნების ხარჯზე მოხდეს, მაგრამ ყველაფერს აქვს თავისი ზღვარი. დიოგენეს შეურაცხყოფებისან ალექსანდრე თანდათან ბრაზდება და მზადაა გამოვიდეს თამაშიდან, ზოგჯერ კი სასტიკად მოექცეს დიოგენეს.

როგორც ვხედავთ, ცინიკოსთა პარესიული თამაში, ჩვეულებისამებრ, უკანასკნელ ზღვრამდე, შეურაცხყოფამდე მიდის. პარესიული თამაშის კიდევ ერთი მაგალითი, რომელიც, ამ ხერხის მიხედვით, მოწინააღმდეგის საუბარში ჩათრევას გულისხმობს: „დიოგენე ისევდაისევ ეუბნება მეფეს, რომ

მის დიდებულებას დამადასტურებელი ნიშანი არ გააჩნია. „რა ნიშანია ეს?“ – ეკითხება ალექსანდრე. „ესაა ფუტკრების ნიშანი“, – პასუხობს დიოგენე, – „რომლითაც მეფეა შემოსილი. არ გსმენია, რომ ფუტკრებსაც ჰყავთ თავიანთი მეფე, რომელიც ბუნებამ შექმნა ასეთად და მათ ეს პატივი იქიდან კი არ მიუღიათ, რასაც ადამიანები მემკვიდრეობას უწოდებენ და ჰერაკლეს უკაშვირებენ“. „რა არის ეს ნიშანი? – კითხულობს ალექსანდრე. „არ გსმენია გლეხების ნათქვამი, რომ ესაა ერთადერთი ფუტკარი, რომელსაც ნესტარი არ გააჩნია, ვინაიდან მას არავითარი იარაღი არა სჭირდება ვინმეს წინააღმდეგ? ამიტომაცაა, რომ ვერცერთი ფუტკარი ვერ ბედავს საკუთარი თავის მეფედ გამოცხადებას, ან მეფე-ფუტკართან ბრძოლას. ალბათ შენ არა მარტო შეიარაღებული დადიხარ ყველგან, არამედ იარაღასხმულსაც გძინავს. განა არ გსმენია“, – ამბობდა დიოგენე, – „რომ იარაღის ტარება შიშის ნიშანია? რადგანაც ადამიანი, რომელიც შიშითაა შეპყრობილი, ვერ გახდება მეფე, მისი ხვედრი მონობაა“. დიოგენეს თანახმად: ადამიანი, რომელიც იარაღით დადის – მშიშარაა. ვისაც ეშინია, ვერასდროს გახდება მბრძანებელი, ამიტომაც ალექსანდრე ვერასდროს გახდება ჭეშმარიტი მეფე, ვინაიდან იგი იარაღს ატარებს. ბუნებრივია, ალექსანდრე უკმაყოფილოა ამგვარი „ლოგიკით“. დიოგენეს თხოობას: „ალექსანდრე ისე გააფორდა ამ სიტყვებით, რომ კინალამ შუბით განგმირა შეურაცხმყოფელი“. ეს მოქმედება უდავოდ პარესიული თამაშის დარღვევა, მისი წესებიდან გადახვევა იქნებოდა. როცა დიალოგი აქამდე მიდის, დიოგენეს ორი გზა რჩება, რომ ალექსანდრე ისევ შეიტყუოს თამაშში. პირველი: დიოგენე ამის შემდეგ ეუბნება ალექსანდრეს: „კარგი, დამშვიდდი. ვიცი, რომ გაშმაგებული ხარ, მაგრამ ამავე დროს თავისუფლებაც გაქვს მონიჭებული. შეგიძლია და კანონიერი უფლებაც გაქვს, მომკლა. მაგრამ ხარ თუ არა იმდენად გულადი, რომ ჩემგან მოისმინო ჭეშმარიტება; თუ იმდენად მხდალი ხარ, რომ მომკლავ?“ მაგალითად, როცა დიოგენე, ერთი მხრივ, ალექსანდრეს დიალოგის მსვლელობისას ეუბნება: „თუ ქედმალლობისა და ჩემ მიერ გამოთქმული შეურაცხმყოფელი სიტყვებისთვის მიგაჩნივარ ნაძირალად, მიწასთან გამასწორე, ან თუ გსურს, შუბით განმგმირე, მაგრამ მე ერთადერთი კაცი ვარ, ვისგანაც ჭეშმარიტებას გაიგებ და იმას, რასაც მე გეუბნები, ვერავინ გეტყვის, ვინაიდან სხვები ნაკლებად გულწრფელი, პირფერები არიან“. ამგვარად, დიოგენე განზრახ ალიზიანებს ალექსანდრეს და შემდეგ ეუბნება: „მართალია, შენ შეგიძლია მომკლა, მაგრამ ვეღარავინ გეტყვის სიმართლეს“. ამას თავისი შედეგი მოჰყვება – პარესიული თამაში ახალ სტადიაში შედის, რომლის საზღვრებსაც დიოგენე ადგენს: ან მომკალი, ან ჭეშმარიტება შეიტყვე ჩემგან. თანამოსაუბრის ამგვარი გაბედული „შანტაჟი“, რომელიც ჭეშმარიტების სახელით ხდება, დადებითად მოქმედებს ალექსანდრეზე: „ალექსანდრე გააოცა ამ კაცის გულადობამ და უშიშრობამ“ (76). ამიტომაც აღარ აპირებს თამაშიდან გასვლას და დისკუსია გრძელდება. ალექსანდრეს თამაშში შეტყუების მეორე ხერხი კიდევ უფრო ოსტატურია: დიოგენე იყენებს ფანდს, რომელიც სოკ-

რატესეული ირონიისგან განსხვავდება. როგორც ცნობილია, სოკრატე თავს ისე აჩვენებს, თითქოს თანამოსაუბრესავით არაფერი იცის. ეს საშუალებას აძლევს თანამოსაუბრეს, რომ მოურიდებლად გაამჟღავნოს საკუთარი უმეცრება და არ უპასუხოს სოკრატეს კითხვებს. ყოველ შემთხვევაში, ესაა სოკრატესეული ირონიის საფუძველი. დიოგენეს ხერხი რამდენადმე განსხვავებულია; იმ დროს, როცა თანამოსაუბრე მზადაა შეწყვიტოს საუბარი, დიოგენე უუბნება ისეთ რამეს, რაც თანამოსაუბრეს ქებად მიაჩნია. მაგალითად, მას შემდეგ, რაც დიოგენე ალექსანდრეს უკანონოდ შობილს უწოდებს (რაც არცთუ სიამოვნებს ალექსანდრეს), დასძენს: „თუ არ ვცდები, ოლიმპოულმა ბრძანა, რომ ფილიპე კი არ არის მამაშენი, არამედ რომელიდაც დრაკონი თუ ამონი, ან სხვა ნახევარლმერთი თუ გარეული ცხოველი. და მაინც, ამ შემთხვევაში უკანონოდ შობილი გამოიდიხარ“. ამ სიტყვებმა ალექსანდრეს ლიმილი მოჰვარა და არასდროს ყოფილა ასე ნასიამოვნები. ფიქრობდა, რომ დიოგენეს უხეშობა როდი სწვეოდა, იგი ყველაზე შეგნებული ადამიანი იყო, ვისაც კარგად ეხერხებოდა ქების შესხმა. თუ სოკრატული დიალოგი არეული და მიხვეულ-მოხვეული გზაა გაუგებრობიდან საკუთარი უმეცრების აღიარებამდე, ცინიკოსთა დიალოგი უფრო ბრძოლას, დავას ან ომს ჰგავს, რომელსაც ახასიათებს ძლიერი აგრესიულობისა და მშვიდობიანი დაშოშმინების მომენტები. ეს მშვიდობიანი ურთიერთობა თანამოსაუბრის კიდევ ერთი მახეა. თავის „მეოთხე დისკურსში“ დიო ქრიზოსტომი განმარტავს ამ, აგრესიულობისა და სიამოვნების გამაერთიანებელი სტრატეგიის მიღმა არსებულ ლოგიურ საფუძველს; დიოგენე ეკითხება ალექსანდრეს: „გამენია მითი ლიბიას შესახებ?“ მეფე პასუხობს, არ მსმენიაო. შემდეგ დიოგენე საინტერესოდ და მიმზიდველად უამბობს ამ მითს, ვინაიდან სურს, რომ ალექსანდრე კარგ გუნებაზე მოიყვანოს. ამ დროს დიოგენე იმ მედდას ჰგავს, რომელიც ჯერ ატირებს ბავშვს და შემდეგ ზღაპარს უყვება, რათა დაამშვიდოს და ასიამოვნოს. მოგვიანებით დიო გვიამბობს:

„როცა დიოგენე მიხვდა, რომ (ალექსანდრე) დიდად ნასიამოვნები და მოლოდინით აღსავსე იყო, გადაწყვიტა ეთამაშა მის განწყობაზე და უხეში მოპყრობით ოდნავ გამოეფხიზლებინა თავისი ამპარტავნებისა და დიდებისკენ სწრაფვისგან. მან შენიშნა, რომ ალექსანდრეს ერთი და იგივე რამ ხან სიამოვნებდა, ხანაც სწყინდა. მისი სული ისევე არამდგრადი იყო, როგორც ამინდი ნაბუნიობისას, როდესაც ერთი და იმავე ლრუბლიდან ხან წვიმს, ხანაც მზე ანათებს. დიოგენეს მოჩვენებითი მოთვინიერება კი მხოლოდ თამაშის გაგრძელების საშუალებაა, რომელიც ისევ აგრესიულ საუბარში გადავა. ამგვარად, მას შემდეგ, რაც დიოგენე ალექსანდრეს ასიამოვნებს მისი, როგორც „უკანონოდ შობილის“, გენეალოგით და დაუშვებს, რომ იგი შეიძლება ზევსის შვილი იყოს, ამბობს: ზევსმა საკუთარ შვილს ღვთივშობილის თვისებები მიანიჭაო. რა თქმა უნდა, ალექსანდრე ფიქრობს, რომ მას ასეთი თვისებები გააჩნია. შემდეგ ალექსანდრე ეკითხება დიოგენეს, როგორი უნდა იყოს კარგი მეფეო. დიოგენე მეფობის, როგორც ინსტიტუტის, ზნეობრივ

სახეს ხატავს: „არავის ძალუძს იყოს ცუდი მეფე, როგორც შეუძლებელია არსებობდეს ცუდი კარგი კაცი, ვინაიდან მეფე რჩეულია. იგი ყველაზე გა-ბედული, სამართლიანი და ადამიანურია; მას ვერავინ აჯობებს გარჯაში და საუკეთესო მადა აქვს. ხომ წარმოუდგენელია, რომ მეეტლემ არ იცოდეს ცხენის დაოკება, ან მესაჭემ გემის მართვა, ან ექიმმა – წამლობა? რა თქმა უნდა, წარმოუდგენელია, თუმცა ბერძნები და ბარბაროსები მას მეფის სა-ხელით მოიხსენიებენ და დიადემებით, კვერთხითა და ტიარებით ამკობენ ისევე, როგორც უარყოფილ ბავშვებს უკეთებენ საყელურებს, რათა გამო-არჩიონ სხვათაგან. ამიტომაც როგორც გემის მართვის არმცოდნე ვერ წაიყვანს გემს, ასევე მეფური თვისებების უქონელი ვერ გახდება მეფე“. ჩვენ აქ ვხედავთ სახელმწიფოს მართვის უნარის მსგავსებას ნავიგაციასა და მედიცინასთან. ალექსანდრეს, როგორც „ზევსის შვილს“, სწამს, რომ მას ღვთითშობილი მეფის ნიშან-თვისებები აქვს. მაგრამ დიოგენე ნათელყოფს, რომ ჭეშმარიტად მეფურ თვისებებს საზოგადოებრივ მდგომარეობასთან, ჩამომავლობასთან, ძალაუფლებასთან და ა.შ. არაფერი აკავშირებს. ჭეშმა-რიტი მეფე მეფურად უნდა იქცეოდეს. და როცა ალექსანდრე ეკითხება დი-ოგენეს, თუ როგორ უნდა შეითვისოს სახელმწიფოს მართვის ხელოვნება, იგი პასუხობს, ამის შესწავლა შეუძლებელია, ვინაიდან ადამიანს კეთილშობი-ლებას ბუნება ანიჭებსო (26-31). აქ თამაში იქამდე მიდის, რომ ალექსანდრე ვერ აცნობიერებს საკუთარ უმეცრებას, როგორც ეს სოკრატესეულ დი-ალოგებში ხდება. პირიქით, იგი ხვდება, რომ არ არის ისეთი, როგორადაც თავი წარმოედგინა; კერძო – მეფე, რომელსაც ძალაუფლება მემკვიდრე-ობით გადაეცა, აქვს ღვთაებრიობის დამადასტურებელი ნიშნები, ძალაუფლე-ბა და ა.შ. საუბარი იქამდე მიდის, რომ დიოგენე ეუბნება: იმისთვის, რომ ჭეშ-მარიტად მეფე გახდე, უნდა შეითვისო ცინიკოს ფილოსოფოსთა ეთოსი. აქ უკვე ალექსანდრეს აღარაფერი რჩება სათქმელი. ანალოგიურ ვითარებას ვხვდე-ბით სოკრატესეულ დიალოგებშიც, როცა სოკრატეს თანამოსაუბრემ აღარ იცის, რა თქვას, სოკრატე კი პოზიტიური თეზით აჯამებს დისკურსს და ამით სრულდება დიალოგი. დიო ქრიზოსტომის ეს ტექსტი დიოგენეს ხანგრძლივი დისკურსით იწყება; მის საუბარში არ ჩანს პოზიტიური თეზის ჭეშმარიტება, მაგრამ მასში არაერთგზის გვხვდება მეფის ბუნების სამი ნაკლოვანი მხარის განმარტება. პირველი უკავშირდება მატერიალურ კეთილდღეობას, მეორე – ფიზიკურ სიამოვნებას, ხოლო მესამე – დიდებასა და პოლიტიკურ გავლენას. ცხოვრების ნირის ეს სამი სახე პერსონიფიცირებულია სამი დამონით თუ სულით. ბერძნულ კულტურაში დაიმონის კონცეფცია იმდენად პოპულარული იყო, რომ ფილოსოფიურ კონცეფციად იქცა – მაგალითად, პლუტარქესთან. ქრისტიანულ ასკეტიზმში ბოროტ დაიმონებთან ბრძოლის თემა სათავეს იღებს ცინიკური ფილოსოფიის ტრადიციიდან. სხვათა შორის, „დემონის“ კონცეფცია კარგადაა დამუშავებული ბრწყინვალე სტატიაში, რომელიც შესულია „Dictionnaire de Spiritualite“ (F. Vandenbrouke, vol. 3, 1957). დიოგენე მიუთითებს სამ დემონზე, რომელსაც მთელი ცხოვრების მანძილზე უნდა

ებრძოლოს ალექსანდრე და რაც მარადიული „სულიერი ბრძოლის“ („Combat spirituel“) მიზანია. ბუნებრივია, ეს ფრაზა არ გვხვდება დიოს ტექსტში. აქ მას იმდენად განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე სპეციფიკური შინაარსი კი არ გააჩნია, რამდენადაც პარესიული პრაქტიკის მნიშვნელობას გამოკვეთს, რომელიც ადამიანს შინაგანი სულიერი ბრძოლისკენ განაწყობს. ამასთანავე, ალექსანდრესა და დიოგენეს შორის გამართულ ამ აგრესიულ დისკუსიაში ორ ძალაუფლებას – პოლიტიკურსა და ჭეშმარიტებას – შორის ბრძოლა იკვეთება. ამ ბრძოლაში პარესიასტი მზად არის მუდმივი საფრთხის წინაშე ყოფნისთვის: „დისკურსის“ დასაწყისიდან დასასრულამდე დიოგენე ალექსანდრეს ძალაუფლებას ამხელს. ძალაუფლებასთან პარესიული ბრძოლის მთავარი მიზანი თანამოსაუბრის მიერ ახალი ჭეშმარიტების გაცნობიერება, ან თვითშემეცნების ახალი საფეხურის მიღწევა კი არ არის, არამედ პარესიული ბრძოლის არსში წვდომაა (პარესიული ბრძოლის გათავისებაა), რაც საკუთარ ნაკლოვანებათა წინააღმდეგ ბრძოლას ითვალისწინებს.

### თარგმნა გაგა ლომიძემ.

მიშელ ფუკო. ცინიკოსი ფილოსოფოსები და მათი ხერხები.

**წიგნიდან:** მიშელ ფუკო. უშიშარი საუბარი. სემიოტექსტები.

ლოს-ანჯელესი, 2001, გვ. 115-133.

Michel Foucault. The Cynic Philosophers and their techniques.

**From the book:** Michel Foucault. Fearless Speech. Semiotext(e).

Los Angeles, 2001, pp. 115-133

თამარ ლომიძე  
(საქართველო)

რიტმული დანაწევრების ფუნქცია ლექსში

ალბათ, არ არსებობს ჰუმანიტარულ მეცნიერებების ობიექტი, რომელიც ისე ცალმხრივად შეისწავლება, როგორც – პოეტური (ლექსითი) ტექსტები. მათი ანალიზისას, ჩვეულებრივ, განიხილავენ ან მხოლოდ ტექსტების შინაარსსა და სახეობრივ სისტემას, ან მხოლოდ ფორმალურ თავისებურებებს – მეტრიკას, რითმას და ა.შ. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს ლექსის შინაარსისთვის ამავე ლექსის ფორმალური თავისებურებები მარტოოდენ ერთგვარი დანამატია, ისევე, როგორც ფორმისთვის – შინაარსი. რა თქმაუნდა, მკვლევრები აღიარებენ, რომ „ლექსების კითხვისას ჩვენ არასოდეს ალვიქვამთ მხოლოდ იმას, რაც ნათქვამია სიტყვიერად – ჩვენ ყოველთვის შევიგრძნობთ იმასაც, რასაც გვეუბნება მათი მეტრი, რიტმი, რითმები, სტროფები“ (Гаспаров 2003: 3), მაგრამ ანალიზისას, როგორც წესი, ლექსითი ტექსტების შინაარსსა და მათ ფორმალურ-სტრუქტურულ თავისებურებებს ერთმანეთისგან მკვეთრად მიჯნავენ. ლექსითი ტექსტების ანალიზის ეს მყარი ტენდენცია იმდენად დიდი ხნის (საუკუნეების განმავლობაში) არსებობს, რომ მას შემთხვევით მოვლენად ვერ მივიჩნევთ. როგორც ჩანს, შესაძლებელია ვალიაროთ, რომ ლექსითი ტექსტების ფორმალური ასპექტი (ისევე, როგორც – მისი შინაარსი) გარკვეული (თუმცა, რასაკვირველია, არა სრული) ავტონომიურობით ხასიათდება. ი.მ. ლოტმანი აღნიშნავდა: „ლექსის შესწავლის ამოსავალ პუნქტს წარმოადგენს ლექსის როგორც ასეთის პარადოქსულობის გაცნობიერება. პოეზიის არსებობა უდავოდ დადასტურებული ფაქტი რომ არ იყოს, შეიძლებოდა საკმარისად დამაჯერებლად დაგვემტკიცებინა, რომ მისი არსებობა შეუძლებელია“ (Лотман 1972: 34), და ამ პარადოქსულობის ერთერთი მიზეზი, როგორც ჩანს, პოეზიის ზემოხსენებული თვისება უნდა იყოს. ნიშანდობლივია, რომ მეცნიერებაში არაერთხელ დასმულა შეკითხვა: რა ფუნქციას ასრულებს ლექსის ფორმალური ასპექტი და რა საჭიროა ის, თუკი ლექსის „შინაარსის“ გააზრება შესაძლებელია ამ ასპექტისგან აბსტრაქტორების შემთხვევაშიც?

იქნებ, პოეზიის ფორმალური თავისებურებები, და კერძოდ, მისი ძირითადი ნიშან-თვისება, რომელიც ლექსს პროზისგან განასხვავებს – ანუ რიტმული დანაწევრების პრინციპი – მართლაც „გვეუბნება“ რაიმეს? წინამდებარე სტატია წამოადგენს ამ კითხვაზე პასუხის გაცემის ერთგვარ მცდელობას.

\* \* \*

გავიხსენოთ, რაში მდგომარეობს ძირითადი განსხვავება ლექსითი ტექსტის შინაარსსა და მის ფორმალურ თავისებურებებს შორის? თითოეული ლექსითი ტექსტის შინაარსში აისახება ავტორის **ინდივიდუალური** მსოფლალქმა, სივრცისა და დროის მისეული კონცეფცია (და ამ მხრივ ლექსითი ტექსტები მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისგან) და ა.შ., ხოლო ფორმალური თავისებურებები, მათი ვარიატიულობის მიუხედავად, ექვემდებარებიან საერთო პრინციპს – ესაა ლექსითი მეტყველების რიტ-მულობა. რიტმულობა, ანუ დისკრეტულ მონაკვეთებად დანაწევრებულობა ლექსითი მეტყველების **ზოგადი პრინციპია**. როგორც უნდა განსხვავდებოდნენ ლექსითი ტექსტები ერთმანეთისგან (შინაარსით ან ფორმით), ლექსთ-წყობის რომელ სისტემასაც უნდა მიეკუთვნებოდეს ისინი, ეს ზოგადი პრინციპი უცვლელი რჩება. დავაკონკრეტებთ ზემოთ დასმულ კითხვას: იქნებ, რიტმული დანაწევრებულობა უბრალოდ, ლექსითი ტექსტის წმინდა ფორმალური, ასემანტიკური კომპონენტი კი არაა, არამედ თავისი განსაკუთრებული სემანტიკა აქვს?

\* \* \*

საერთოდ, ენაში სამყარო წარმოგვიდგება, როგორც ცალკეული, დისკრეტული, **განსხვავებული** საგნებისა და მოვლენების ერთობლიობა, რომელშიც ჩვენი აზროვნება ეძიებს მიზეზშედეგობრივ და სხვა სახის ლოგიკურ კავშირებს, განსაზღვრავს ობიექტთა დროითსა და სივრცულ მიმართებებს და ა.შ. ეს მიმართებები და კავშირები, რა თქმა უნდა, ლექსითი ტექსტების შინაარსშიც აისახება (რადგან ლექსითი ტექსტების საფუძველი ენაა), მაგრამ ლექსს ახასიათებს ის უმნიშვნელოვანესი თავისებურებაც, რომელიც რ. იაკობსონმა ჩამოაყალიბა: „პოეტური ფუნქცია ახორციელებს ეკვივალენტურობის პრინციპის პროეცირებას სელექციის დერძიდან კომბინაციის დერძზე“ (ЯкоნიОН 1960: 358). იაკობსონი აქ გულისხმობდა ეკვივალენტურობის არა მარტო ფორმალურ გამოვლინებებს, ესე იგი, იმას, რომ რიტმული ერთეულები ლექსში თანაფარდია ანუ ეკვივალენტურია, არამედ იმასაც, რომ ისინი სემანტიკურადაც ეკვივალენტურნი არიან. ამ ორმაგ – რიტმულ და სემანტიკურ – ეკვივალენტურობას სილაბურ-ტონურ ლექსში განაცირობებს მარცვლებრივი ოდენობების ტოლობა (ტერფებში) და მახვილთა თანაზომიერი განანილება. რაც შეეხება სილაბურ ლექსს, მასში, ბუნებრივია, რიტმული და სემანტიკური ეკვივალენტურობის ტენდენციას ავლენენ სტრიქონები.

დავაზუსტოთ, რა სახის სემანტიკურ „დეფორმაციას“ (ტინიანოვის ტერმინი რომ გამოვიყენოთ) იწვევს ეკვივალენტურ რიტმულ მონაკვეთებად დანაწევრება ლექსში:

მიუხედავად იმისა, რომ ჩვეულებრივ მეტყველებაში სიტყვები სემანტიკურად განსხვავდებიან ერთმანეთისგან („ენაში მხოლოდ განსხვავებე-

ბი არსებობს” – სოსიური 1977:152), ლექსში ისინი გათანაბრებულია რიტ-მული დანაწევრების შედეგად, ანუ სინტაგმატური ჯაჭვის ელემენტების (სიტყვების, სტრიქონების და ა.შ.) სემანტიკა ლექსში, ამ უკანასკნელის-თვის დამახასიათებელი სპეციფიკური ფაქტორის – რიტმის ზეგავლენით იგივეობრიობის **ტენდენციას** ავლენს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ლექსიკური ერთეულები სემანტიკურად უახლოვდებიან ერთმანეთს, სინონიმიისკენ მი-ისწრაფიან. ვფიქრობთ, ლექსიკური ერთეულების სემანტიკის დეფორმაცია განსაკუთრებით მკვეთრად შეიგრძნობა მეტრულსა და სილაბურ-ტონურ ლექსში, რომელთა რიტმული ერთეულები (ტერფები) რიტმულ მონაკვეთ-თა შორის მინიმალური არიან (ანუ, ლექსითი მეტყველება მეტრულსა და სილაბურ-ტონურ ლექსთწყობებში გაცილებით უფრო დისკრეტულია, გაცილებით უფრო მეტადაა დანაწევრებული, ვიდრე, მაგალითად, სი-ლაბურში). შესაბამისად, **სიტყვების**, როგორც ლექსიკური ერთეულების სემანტიკის დეფორმაცია, ტენდენცია სინონიმიისკენ უფრო მკაფიოდ ვლინ-დება. რა თქმა უნდა, მართებული არ იქნება დასკვნა, თითქოს ლექსით (რიტმულ) მეტყველებაში მხოლოდ იგივეობები შეინიშნებოდეს (შდრ. სო-სიურის ზემომოყვანილი შეხედულება იმის შესახებ, რომ ენაში მხოლოდ განსხვავებებია), მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ რიტმული მეტყველების და-მახასიათებელია ლექსიკური ერთეულების სემანტიკური იგივეობრიობის, განმეორებადობის **ტენდენცია**.

ცხადია, სემანტიკის დეფორმირება იწვევს შესაბამისი ლექსიკური ერთეულების, ანუ აღმნიშვნელთა **სემიოტიკური მიმართებების** დეფორმი-რებასაც. კერძოდ, ი. მ. ლოტმანის შენიშვნით, „არაეკვივალენტური (სემან-ტიკური თვალსაზრისით – თ.ლ.) ელემენტების ეკვივალენტურობა გვა-იძულებს ვივარაუდოთ, რომ ნიშნებს, რომლებსაც ენობრივ დონეზე გან-სხვავებული დენოტატები აქვთ, მეორადი სისტემის (ესე იგი, ლექსი – თ.ლ.) დონეზე საერთო დენოტატი გააჩინიათ“ (Лотман 1970: 61). ალბათ, უფრო ზუს-ტი იქნება, თუ ვიმსჯელებთ არა საერთო დენოტატის, არამედ – იდენტური დენოტატების შესახებ, რათა უფრო მკაფიოდ წარმოჩნდეს დინამიკური პროცესი – არა მარტო აღმნიშვნელთა, არამედ, ასევე, დენოტატთა **სწრაფ-ვა ეკვივალენტურობისა და იგივეობრიობისკენ**. ამგვარად, ლექსისთვის დამახასიათებელი რიტმული დანაწევრება განაპირობებს იმას, რომ ლექსში ასახული სამყაროც „ეკვივალენტური“ დენოტატებისგან შედგენილად წარმოგვიდგება.

როგორია ეს სამყარო და რა მიმართებები შეიძლება აკავშირებდეს ერთმანეთთან ამგვარ „ეკვივალენტურ“ დენოტატებს? იმის გათვალისწინე-ბით, რომ რიტმულობა, ანუ დისკრეტულ მონაკვეთებად დანაწევრებულო-ბა ლექსითი მეტყველების საერთო პრიციპია, აქ ვგულისხმობთ, ზო-გადად, კონკრეტული შინაარსებისგან განყენებული „ნმინდა“ ფორმის, „ნმინდა“ სტრუქტურის დენოტატებს (თუკი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დავუშვებთ, რომ, ზოგადად, ამგვარ ფორმას, ამგვარ სტრუქტურას თავისი განსაკუთრებული სემანტიკა აქვს და შეესაბამება გარკვეულ მსოფლალქმას).

აქ ტერმინი „სემანტიკა“ პირობითი მნიშვნელობით იხმარება, იმ გაგებით, რომელიც განსხვავდება ამ ტერმინის ლინგვისტური მნიშვნელობისგან და მხოლოდ აპოფატიკური მნიშვნელობით შეიძლება გამოვიყენოთ: ისევე როგორც მუსიკა (რომელიც ასევე „წმინდა ფორმაა“), რიტმული დანაწევრების პრინციპი (და არა რიტმულად დანაწევრებული მეტყველება), რომელიც ლექსში იჩენს თავს, გამორიცხავს ყოველგვარ რაციონალურ ინტერპრეტაციას, ყოველგვარ ლოგიკას.

(რამდენად გამართლებულია ვარაუდი, რომ ლექსის „წმინდა“ ფორმას საკუთარი სემანტიკა აქვს? მიუხედავად იმისა, რომ ლექსის ფორმა გარკვეული ავტონომიურობით ხასიათდება, მას, როგორც ჩანს, მართლაც გააჩნია ერთგვარი სემანტიკა. ასე რომ არ იყოს, ანუ ლექსის ფორმას თავისი სემანტიკა რომ არ ჰქონდეს, ის ლექსის სრულიად შემთხვევითი, გარეშე ფაქტორი იქნებოდა და ლექსიკური ერთეულების ვერავითარ სემანტიკურ დეფორმაციას ვერ გამოიწვევდა).

ექსპერიმენტის სახით წარმოვიდგინოთ ისეთი ლექსითი ტექსტი, რომელშიც რიტმულად დანაწევრებული მონაკვეთების სწრაფვა სემანტიკური იგივეობრიობისკენ ტენდენციის სახით კი არ წარმოგვიდგება, არამედ სრულად იქნება რეალიზებული (ცხადია, ამგვარ ტექსტში სემანტიკური ერთეულები – სიტყვები – სრულიად, აბსოლუტურად იგივეობრივი იქნებიან და ტექსტს არავითარი სემანტიკა არ ექნება) და განვიხილოთ საკითხი მხოლოდ და მხოლოდ ლექსის ფორმით (რიტმული დანაწევრების პრინციპით) ნაგულისხმევი ჰიპოთეტური სამყაროს შესახებ, რომლის სტრუქტურულ თავისებურებას წარმოადგენს შემადგენელი ელემენტების („ობიექტების“, „დენოტატების“) ეკვივალენტურობა და იგივეობრიობა!

სამყაროს სწორედ ამგვარი სურათი აისახებოდა მითოლოგიურ აზროვნებაში, როდესაც მეტყველებისა და მსოფლადქმის რიტმულობა (რომელიც თანამედროვე ადამიანისთვის დამახასიათებელი არაა) წარმოადგენდა „კოსმოსის ღვთაებრივი მოწესრიგებულობის ყველაზე თვალსაჩინო ფორმას, ამიტომაც ღვთაებასთან სიტყვიერი ურთიერთობაც შესაძლებელი იყო მხოლოდ რიტმული მეტყველების მეშვეობით“ (Дьяконов 1990: 60). ამგვარ აზროვნებას პირველყოფილი აზროვნების ფრანგი მკვლევარი ლ. ლევი-ბრიული „დიფუზურს“ უწოდებდა (Леви-Брюль 1930); ო. მ. ფრეიდენბერგის თქმით, „აზროვნების დაუნაწევრებლობა განაპირობებდა... განსხვავებული საგნების იგივეობრიობას“ (Фрейденберг 1998: 25). მარსელ მოსის აზრით, „ცხოველები, ადამიანები, უსულო საგნები თავდაპირველად ყოველთვის აღიქმებოდნენ, როგორც სრულიად ურთიერთიგივეობრივი“ (Мосс 2011: 58); ამგვარად, შეიძლება დავასკვნათ, რომ სამყაროს სურათი, რომელსაც წარმოგვიდგენს რიტმული დანაწევრების, ანუ ლექსის „წმინდა ფორმის“ პრინციპი, შეესაბამება სამყაროს იმ სურათს, რომელიც აისახებოდა მითოლოგიურ ცნობიერებაში.

1 შდრ. კლოდ ლევი-სტროსის აზრი იმის შესახებ, რომ „მუსიკასა და მითოლოგიაში ადამიანის წინაშე წარმოადგებიან ვირტუალური ობიექტები“ (Леви-Строс 2000: 25-26).

ახლა დავახასიათოთ, როგორ გაიაზრებოდა პირველყოფილ, მითოლოგიურ აზროვნებაში საგნებისა და მოვლენების ურთიერთმიმართებები.

**მიზეზშედეგობრივი მიმართებები**, ჩვეულებრივ, აკავშირებს **განსხვავებულ** საგნებსა და მოვლენებს და ეს მიმართებები უმნიშვნელოვანესია სამყაროს ჩვენებული აღქმისთვის: „თუკი მეცნიერებას... დაჰყავს აღქმათა ქაოსი წესრიგამდე, რომელშიც ტიპური მოვლენები თავიანთ ადგილს იკავებენ უნივერსალური კანონების შესაბამისად, ქაოსიდან წესრიგზე ამ გადასვლის ინსტრუმენტს მიზეზშედეგობრიობის პოსტულატი წარმოადგენს“ (Frankfort 1946: 15). მაგრამ ლექსის ფორმით ნაგულისხმევ სამყაროში, ან, უფრო ზუსტად, სამყაროს ჰიპოთეტურ სურათში, რომელიც ლექსის ფორმალურ, რიტმულად დანაწევრებულ სტრუქტურაში იგულისხმება, საგნები და მოვლენები იგივეობრივია. შედეგად, დაუშვებელია, რომ მასში იგულისხმებოდეს საგანთა და მოვლენათა მიზეზშედეგობრივი მიმართებები. სამყაროს ამგვარივე სურათია წარმოდგენილი ე.წ. „ანტიკაუზალურ“ მითოლოგიურ აზროვნებაში, სადაც მიზეზშედეგობრივი კავშირები მიენერებოდა, უბრალოდ, მეზობელ, მომიჯნავე საგნებსა და მოვლენებს, რაც, რა თქმა უნდა არ უნდა მივიჩნიოთ რეალურ მიზეზშედეგობრივ მიმართებებად. ე. კასირერი შენიშნავდა, რომ „მითში ყოველგვარი დროითი და სივრცული კონტაქტი უშუალოდ აღიქმება, როგორ მიზეზშედეგობრივი მიმართება. მითოლოგიური აზროვნებისთვის «post hoc, ergo propter hoc»-ის<sup>1</sup> პრინციპთან ერთად განსაკუთრებით დამახასიათებელია პრინციპი juxta hoc ergo propter hoc»<sup>2</sup> (Cassirer 1955: 45)<sup>3</sup>. ასეთსავე თვალსაზრისს გამოთქვამდა ო.მ. ფრეინბერგი (Freidenbergr 1998 : 24).

ცხადია, რიტმული დანაწევრების პრინციპით ნაგულისხმევი ჰიპოთეტური სამყაროს ობიექტებისთვის დამახასიათებელი არ იქნება არც სხვა მიმართებები, იმათგან, რომლებიც თანამედროვე წარმოდგენით, ლოგიკურად აკავშირებს ემპირიული სამყაროს საგნებსა და მოვლენებს: ზოგადი ასეთ შემთხვევაში კერძოობითის ტოლფასია, მისი იდენტურია (რადგან შეუძლებელია განზოგადების ლოგიკური ოპერაციის განხორციელება ისეთ ობიექტებთან მიმართებაში, რომლებიც ერთმანეთისგან არაფრით განირჩევიან)<sup>4</sup>, „ნაწილი“ კი „მთელის“ იგივეობრივია (უფრო ზუსტად, რომ ვთქვათ, ამ ცნებების გამოყენება ჩვენი ჰიპოთეტური სამყაროს მიმართ შეუძლებელია)

1 ამის შემდეგ, მაშასადამე, ამის მიზეზით (ლათ.).

2 ამის მახლობლად, მაშასადამე, ამის მიზეზით (ლათ.).

3 აქ უნდა გავიხსენოთ, რომ თვით რიტმულობა სწორედ მომიჯნავეობის (თანაზომიერ მომიჯნავე ელემენტებად დანაწევრების) პრინციპს ემყარება და ეს როგორც რიტმული ლექსითი მეტყველებს, ისე მითოლოგიური მსოფლალქმის ძირითადი (და საერთო) სტრუქტურული პრინციპია.

4 ფრამბატისტა ვიკოს შენიშვნით, პირველყოფილი ადამიანი აიგივებდა ზოგადსა და კერძოობითს: „პირველი ადამიანები, კაცობრიობის თითქოსდა ბავშვები, რომლებსაც არ შეეძლოთ შეექმნათ საგანთა ინტელიგიბელური გვარეობრივი ცნებები, ბუნებრივად იძულებული იყვნენ, შეეთხათ ... ფანტასტიკური გვარები ან უნივერსალიები, რათა მათზე, როგორც გარკვეულ ნიმუშებზე ან იდეალურ პორტრეტებზე დაეყვანათ ცალკეული სახეობები, რომელთაგან თითოეული თავის გვარს ნააგავდა“ (Vico 1959: 100)

და ა.შ.. ამავე თვისებებით გამოირჩევა მითოლოგიური მსოფლალქმა: „მთელს არ აქვს ნაწილები და ის არ იშლება ნაწილებად“ (Cassirer 1955: 50); „მითოლოგიურ დროში ნაწილი განუყოფლად და სავსებით სუბსტანციურად უკავშირდება დროს, ისე, რომ მასზე ყურადღების გამახვილებისას მთელს არ ვწყდებით“ (Лосев 1977: 42). რიტმული დანაწევრების პრინციპით (ანუ ლექსის „წმინდა“ ფორმით) ნაგულისხმევი სამყაროსა და მითოლოგიური აზროვნების საერთო, იდენტური ნიშან-თვისებების დასახასიათებლად მოვიხმობთ ე.მ. მელეტინსკის გამონათქვამს, რომელიც პირველყოფილ მითოლოგიურ ცნობიერებას ეხება, მაგრამ რელევანტურია ჩვენი „ჰიპოთეტური“ სამყაროს დასახასიათებლადაც: „პირველყოფილი აზროვნების დიფუზურობა გამოვლინდა სუბიექტისა და ობიექტის, მატერიალურისა და იდეალურის (ესე იგი, საგნისა და ნიშნის, საგნისა და სიტყვის, არსებისა და მისი სახელის), საგნისა და მისი ატრიბუტების, ერთეულისა და მრავლობითის, სტატიკურისა და დინამიკის, სივრცული და დროითი მიმართებების არამკაფიო ურთიერთგამიჯვნაში“ (Мелетинский 1976: 165), ანუ, ფაქტობრივად, მათ ურთიერთგაიგივებაში.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ, ზოგადად, ლექსმა, როგორც ჩანს, თავის სპეციფიკურ ფორმაში – რიტმული დანაწევრების პრინციპი – შემონახა უძველესი მითოლოგიური აზროვნებისთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები.

\* \* \*

საინტერესოა, რომ სამყაროს ამგვარი აღქმა არა მარტო ლექსის ფორმაშია ობიექტივირებული, არამედ გარკვეულ ეპოქებში შინაარსის დონეზეც იჩენს თავს. მაგალითად, რომანტიზმის ლიტერატურაში სამყარო გვესახება როგორც **ერთგვაროვანი** და თვისებრივად განუსაზღვრელი, **პოტენციური რეალობა**. ამის დადასტურებას ქართულ რომანტიკულ პოეზიაში წარმოადგენს ნიკ. ბარათაძევილის პოეზია, სადაც ბნელის, ბინდის, „შემოღამების“ მოტივთა ფონზე სამყაროს სწორედ რომ „მითოლოგიური“ სურათია დახატული (იხ. ამის შესახებ თ. ლომიძე. ქართული რომანტიზმის პოეტიკა. თბ., 2014). ამგვარივე ტენდენცია იჩენს თავს სიმბოლისტურ პოეზიაში, სადაც, მაგალითად, საგანი და მისი ატრიბუტი, ლოგიკური თვალსაზრისით, ერთმანეთის **ტოლფარდ მოცემულობებადა** გააზრებული. გალაკტიონ ტაბიდის პოეზიაში გამოყენებული ეპითეტები – ლურჯი ქვიშა, იისფერი (ან ვარდისფერი) თოვლი, ლურჯი კომში, ცისფერი ატამი, ლაუვარდი სიმინდი და სხვ. – მოწმობს, რომ ეს „ეპითეტები“ ლოგიკურ კავშირში არ არიან შესაბამის საგნებთან (მათ შორის არ შეიმჩნევა მსაზღვრელ-საზღვრულის ურთიერთდამოკიდებულება), ანუ, არსებითად, მათ ატრიბუტებს არ წარმოადგენს და ავტონომიური, დამოუკიდებელი სემანტიკური და სინტაქსური (ვგულისხმობთ ჩვეულებრივი, ყოფითი ენის სინტაქსს) ერთეულების სახით წარმოგვიდგებიან. შედეგად, საგნებსა და მათ ამგვარ „ატრიბუტებს“ შორის შეიძლება, გარკვეული გაგე-

ბით, ტოლობის ნიშანი დაისვას და არ ვიგულისხმოთ, რომ მათ მსაზღვრელ-საზღვრულის ურთიერთმიმართებები აკავშირებს. ამგვარადვე აისახებოდა საგნებისა და მათი ატრიბუტების ურთიერთმიმართება მითოლოგიურ ცნობიერებაში, სადაც საგნებს შემთხვევითი, არაიმანენტური ნიშან-თვისებები (ეპითეტები) მიენერებოდა.<sup>1</sup>

საინტერესოა ისიც, რომ მითოლოგიაში განსაკუთრებით აქტუალური იყო „შესაქმეს“, საგანთა და მოვლენათა შექმნის, მათი „დაბადების“ მოტივი: „მითის, განსაკუთრებით კი პირველყოფილი მითის კარდინალურ ნიშან-თვისებას წარმოადგენდა საგნების არსის დაყვანა მათ გენეზისამდე. საგნის არსის აღნერა ნიშნავს იმის მოთხრობას, თუ როგორ შეიქმნა ის; გარემობ-ცველი სამყაროს აღნერა იგივეა, რაც მისი „შესაქმის“ ისტორიის თხრობა.... ამგვარი წარმოადგენების ფესვები უნდა ვეძიოთ საწყისისა და პრინციპის, დროითი და მიზეზშედეგობრივი თანმიმდევრობის, მიზეზშედეგობრივი პროცესის, როგორც მატერიალური მეტამორფოზის, ერთი კონკრეტული მატე-რიის მეორით შეცვლის (ინდივიდუალური მოვლენის ჩარჩოებში) მითოლო-გიურ გაიგივებაში“ (Мелетинский 1976: 172); „პირველყოფილი ცნობიერები-სთვის ყველაფერი, რაც ამჟამად არსებობს, – პირველსაწყისი პრეცედენტის გაშლის შედეგს, გამკვრივებული კოსმოლოგიური მყოფობის საწყისი სიტუ-აციის ექსპლიკაციას (ახალ პირობებში) წარმოადგენდა. ამ გაგებით, კოს-მოლოგიური მითის ყველა მოვლენა მხოლოდ განმეორებაა იმისა, რაც ზოგა-დად უკვე მანიფესტირებული იყო „შესაქმეს“ (ალომოვლენის) აქტში, ხოლო მითის ყველა გმირი (ალოგმირები) – დემიურგის განსხვავებული ვარიაციები იყვნენ შესაქმის მითში“ (Топоров 2010: 29-30).

„შესაქმეს“ სიტუაცია თავისებურად აისახა ნიკ. ბარათაშვილის პო-ეზიაშიც. როდესაც პოეტი ახსენებს „პირველად ქმნილსა ფერს“ – ლურჯს, ეს ფერი არ უკავშირდება კონკრეტულ საგნებს, არ გამოიყენება ეპითეტის ჩვეულებრივი ფუნქციით. „ლურჯი“ აქ დახასიათებულია, როგორც სხვა ფე-რებზე უფრო ადრე შექმნილი გვარეობრივი (სხვა ფერების მიმართ) ფერი. „პირველად ქმნილი“ ფერი ბარათაშვილთან უნდა მივიჩნიოთ ასევე „პირვე-ლად ქმნილი“ ცის ატრიბუტად. ბიბლიის მიხედვით, ამგვარი „ცა“ – ესაა უხი-ლავი ზეციური სამყარო, ღმერთის სამყოფელი. შესაბამისად, ბარათაშვილ-თან „ლურჯი“ გვევლინება, როგორც სამყაროს დასაბამიერი მდგომარეობის – „შესაქმეს“ – აღმნიშვნელი სიტყვა და არა როგორც გარკვეული ფერის სა-ხელი. მისი გამოყენება მოტივირებულია იმით, რომ ესაა მუქი, ბნელი ფერი.

დასაბამიერი ბნელი სამყარო, ბიბლიის მიხედვით, თვისებრივად გა-ნუსაზღვრელი იყო. ის მხოლოდ პოტენციურად გულისხმობდა დანაწევრე-ბისა და კერძო ობიექტების შექმნის შესაძლებლობას. ამგვარი სიბნელე, ბნელი წარმოგვიდგება როგორც ერთგვარი სუბსტანცია, რომლისგანაც ღმერთმა შემდგომ შექმნა კერძო საგნები. ლურჯის (როგორც „ბნელი“ ფერის)

1 ქართულ რელიგიურ სისტემაში ეპითეტების ლინგვისტური ფუნქციების შესახებ იხ. აბაკელია 2017.

სუბსტანციურობას ნიკოლოზ ბარათაშვილთან ადასტურებს გამოთქმა: „**შევერთო** ლურჯსა ფერს“. მაშასადამე, ლურჯი ფერი სიმბოლურად აღ-ნიშნავს სამყაროს პირვანდელ, დასაბამიერ მდგომარეობას, როდესაც **ჯერ არ არსებობდა თვისებრივად განსხვავებული საგნები და მოვლენები.**

სიმბოლისტურ პოეზიაშიც ანალოგიური ვითარებაა. სიმბოლო იმ-გვარი ნიშანია, რომელშიც დეფორმირებულია ენობრივი სემიოტიკური მი-მართებები და რომლის დენოტატს არ წარმოადგენს ემპირიული სამყაროს ესა თუ ის საგანი ან მოვლენა. შესაბამისად, სიმბოლისტურ პოეზიაში, მის ენაში ემპირიული სამყარო წარმოგვიდგება, როგორც „ბნელი“, იდუმალი, შეუმეცნებელი, მარტომდენ პოტენციური არსებობის სტატუსით აღჭურ-ვილი მოცემულობა. აქედან გამომდინარე, ამ სამყაროს ელემენტები თვი-სებრივად განუსხვავებელია ერთმანეთისგან, იგივეობრივია, ისევე, როგორც რომანტიკულ ტექსტებში.

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ, ზოგადად, ლექსის ფორმაში და, კერძოდ, რიტმული დანაწევრების პრინ-ციპში, კრისტალიზებულია ის ფარული მექანიზმი, რომელიც ანადგურებს საგანთა მიზეზშედეგობრივ და სხვა სახის ლოგიკურ კავშირებს, შლის განსხვავებებს ამ საგნებს შორის. ლექსის „ნმინდა ფორმას“ თავისი საგან-გებო (თუმცა კი, ჩვეულებრივი ენობრივი სემანტიკისგან განსხვავებული, დეფორმირებული) სემანტიკა და სპეციფიკური სემიოტიკური მიმართებები აქვს, რომლებიც გარკვეულ ეპოქებში პოეტური ტექსტების შინაარსის პლანშიც აისახა. ლექსის რიტმულ სტრუქტურაში შეინიშნება იმ ისტორი-ული სტადიის და იმ მსოფლალების ნაკვალევი, რომელიც მითოლოგიურ ცნობიერებაშია ობიექტივირებული.

#### დამოწმებანი:

Abak'elia N. *Ep'itet'i, Rogorts Aghkmuli Samq'aros Pudzemdebluri P'rintsip'i. Udzvellesi K'osmologiuri K'ontsep'tebi da Arkauli Religiuri Simboloebi Kartvelta K'ult'urul Mekhsierebashi*. Tbilisi: iliaunis gamomtsemloba, 2017 (აბაკელია, ნ. ეპითეტი, როგორც აღქმული სამყაროს ფუძემდებლური პრინციპი. უძველესი კოსმოლოგიური კონცეპტები და არქაული რელიგიური სიმბოლოები ქართველთა კულტურულ მეცნიერებაში. თბილისი: ილიაზნის გამომცემლობა, 2017).

Cassirer E. *The Philosophy of Symbolic Forms. Volume Two: Mythical Thought*. New Heaven: yale university press. 1955.

Frankfort, H. and H. A., Wilson J. A., Jacobsen Th., Irwin W.A. *The Intellectual Adventure of Ancient Man. An Essay on Speculative Thought in the Ancient Near East..* Chicago: university of chicago press), 1946.

Freydenberg O.M. *Mif i Literatura Drevnosti*. Moskva: izdatel'skaya firma "vostochnaya literatura" RAN, 1998 (Фрейденберг О.М. *Миф и литература древности*. Москва: издательская фирма "восточная литература" РАН, 1998).

- Gasparov M.L. *Ocherk Istorii Eevropeyskogo Stikha*. Moskva: izdatel'stvo "fortuna limited", 2003  
(Гаспаров М.Л. *Очерк истории европейского стиха*. Москва: издательство "фортуна лимитед", 2003).
- Giambattista Vico. *La Scienza Nuova*. Milano: Rizzoli, 1959.
- D'yakonov I.M. *Arkhainyye Mify Vostoka i Zapada*. Moskva: glavnaya redaktsiya vostochnoy literatury izdatel'stva "nauka", 1990 (Дьяконов И.М. *Архаичные мифы Востока и Запада*. Москва: главная редакция восточной литературы издательства "наука", 1990).
- Levi-Bryul' L. *Pervobytnoye myshleniye*. Moskva: izdatel'stvo "ateist", 1930 (Леви-Брюль Л. *Первобытное мышление*. Москва: издательство "атеист", 1930).
- Levi-Stros K. *Mifologiki, t. I. Syroe i Prigotovленное*. Moskva-Sankt-Peterburg, 2000 (Леви-Строс К. *Мифологики, т. I. Сыре и приготовленное*. Москва-Санкт-Петербург: 2000).
- Lomidze T. *Kartuli Romant'izmis P'oet'ik'a*. Tbilisi: Iliaunis gamomtsemloba, 2014 (ლომიძე თ. *ქართული რომანტიზმის პ'ოეტ'იკა*. თბილის: ილაუნის გამოთხმლობა, 2014).
- Losev A.F. *Antichnaya Filosofiya Istorii*. M.: izdatel'stvo "nauka". 2000 (Лосев А.Ф. *Античная философия истории*. Москва: издательство наука», 1977).
- Lotman YU.M., *Analiz Poeticheskogo Teksta (Struktura stikha)*. L.: izdatel'stvo "prosveshchenie", 1970 (Лотман Ю.М. *Анализ поэтического текста. (Структура стиха)*. Л.: вдательство «просвещение», 1970).
- Lotman YU.M., *Struktura Khudozhestvennogo Teksta*. Moskva: izdatel'stvo "iskusstvo", 1972 (Лотман Ю.М., *Структура художественного текста*. Москва: издательство «Искусство», 1972).
- Meletinskiy Ye.M. *Poetika Mifa*. Moskva: izdatel'skaya firma "vostochnaya literatura" RAN, 1976 (Мелетинский Е.М. *Поэтика мифа*. Москва: издательская фирма "восточная литература" РАН, 1976).
- Moss M., *Obshchestva. Obmen. Lichnost' (Trudy po sotsial'noy antropologii)*. Moskva: izdatel'stvo «KDU», 2011 (Мосс М. *Общество. Обмен. Личность (Труды по социальной антропологии)*. Москва: издательство «КДУ», 2011).
- Toporov V.N. *Mirovoye Derevo (Universal'nye znakovye kompleksy)*. Moskva: izdatel'stvo "rukopisnye pamyatniki drevney russi", 2010 (Топоров В.Н. *Мировое дерево (Универсальные знаковые комплексы)*. Москва: издательство "рукописные памятники древней руси", 2010).
- Yakobson R. O. *Lingvistika i Poetika. Strukturalizm: "za" i "protiv"*. Moskva: izdatel'stvo "progress", 1978 (Якобсон Р. О. *Лингвистика и поэтика. Структурализм: "за" и "против"*. Москва: издательство "прогресс", 1978).

Tamar Lomidze  
(Georgia)

## Concerning the Function of Rhythmic Division in Verse

### Summary

**Key words:** Rhythmic division, “Pure form” of verse, Mythological consciousness.

This article is an attempt to answer the question: what function does the formal aspect of the verse perform, in particular, its rhythmic division and what is it for, if it is possible to comprehend the “content” of the verse, abstracting from its form, from its rhythmic structure? Poetic (versified) texts are studied one-sidedly; as a rule, literary critics analyze only the content and the figurative system of the poetic text or only formal features of verse - metrics, rhyme, etc. One gets the impression that formal characteristics of verse represent only a certain external factor for the content of the verse. Researchers argue that the form and content of the verse are a single whole, but in fact they differentiate them from each other. This tendency has existed for such a long time (for centuries) that, apparently, is not an accidental phenomenon. Evidently, it is possible to recognize that the formal aspect of poetic texts (as well as their content) are characterized by a certain (although not complete) autonomy. Yu.M. Lotman noted that the initial point for the study of verse is the recognition of its paradoxicality. In our opinion, one of the reasons for this paradox, apparently, is the aforementioned characteristics of verse. M.L. Gasparov argued that we never comprehend only what is said by the meaning of the words - we also always feel what is prompted by the form of the meter, rhythm, rhyme, stanzas.

What does the form of the verse and, in particular, its main characteristics - the principle of rhythmic division prompts (or, rather, tells) us?

Generally speaking, in language, the world reveal to us as a totality: separate, discrete, different objects and phenomena, in which our thought seeks cause-and-effect and other logical connections, determines the temporal and spatial relationships of objects, etc. These relationships and connections are reflected in the content of poetic texts (since the basis of poetic texts is language), but verse has a very important characteristics formulated by R.O. Jacobson according to which the poetic function carries out the projection of the principle of equivalence from the selection axis to the combination axis. Jacobson meant not only the formal manifestations of equivalence, but also the semantic equivalence of rhythmic segments.

What kind of semantic deformations are caused in verse by division What kind of semantic deformations are caused in verse by articulation of equivalent rhythmic segments?

Despite the fact that in ordinary language the semantics of words is different (“In language there are only differences,” as Saussure argued), in verse the words are equalized due to rhythmic division, that is, under the influence of rhythm, they tend to synonymy. It cannot be said, that in verse, there are only identities (cf. Saussure’s above statement that there are only differences in language), but we can say that rhythmic parole tends to be semantically identical and repeatedly occurant.

It is obvious that the deformation of semantics also determines the deformation of the semiotic relations of lexical units, i.e. signifying. According to Yu.M. Lotman, the equivalence of nonequivalent elements makes us assume that signs that have different denotations at the linguistic level have a common denotation at the level of the secondary system. In our opinion, it is better to speak not about the “general denotation”, but about identical denotations, in order to more clearly identify the dynamic process - the striving of denotations towards equivalence and identity. Thus, the world reflected in the verse is also presented as comprised of equivalent denotations.

What is this world and what kind of relationships do such denotations bind? Under the rhythmic pattern i.e. under the division into discrete segments (which is the general principle of poetic speech), we mean a “pure” form abstracted from specific contents, a pure structure and its denotations.

Imagine (in the form of a thought experiment) a poetic text in which the striving for semantic identity is not presented in the form of a tendency, but is fully realized. Naturally, in such a text, the semantic units - words - will be completely, absolutely identical and the text will not have any semantics. Let us consider the question of the hypothetical world implied by the poetic form (by the principle of rhythmic division), the structural feature of which will be the equivalence and identity of the constituent elements (“objects”, “denotations”).

It was this image of the world that was reflected in the mythological consciousness, with its inherent rhythm of speech and perception of the world, which is confirmed by the studies of numerous scientists. Thus, we can conclude that the image of the world presented to us by the principle of rhythmic division, that is, the “pure form” of verse, corresponds to the image of the world reflected in the mythological consciousness.

How the interrelationships between objects and phenomena were comprehended in the mythological consciousness?

Causal relationships, as a rule, connect various objects and phenomena with each other, however, in a hypothetical picture of the world, implied in the formal rhythmically divided structure of verse, they are identical. Consequently, they could not be bound by such relationships. A similar picture of the world appears in “anti-causal” mythological thinking, in which, simply, causal connections were attributed to spatially adjacent objects.

Obviously, the objects of our hypothetical world will not have other relationships either of those that logically connect objects of the real world: the general in it will be equal to the single, the part will not differ from the whole. The mythological perception of the world is characterized by similar properties, which was noted by specialist-researchers.

Based on the foregoing, we can conclude that in the form of a verse and, in particular, in the principle of rhythmic division, a hidden mechanism is crystallized that destroys causal and other logical connections between objects, erases the differences between them. The “pure form” of verse has its own (albeit different from the usual linguistic semantics, deformed) semantics and specific semiotic relations. According to our analysis in the rhythmic structure of verse, the features of a particular historical stage and that perception of the world reveal, which is objectified in the mythological consciousness.

მაია ნაჭყებია  
(საქართველო)

**სწავლულ კაცთა პოეტური თამაშები:**  
**ეკლესიასტესეული ამაოება და წრებრუნვა არჩილის**  
**„ჩარხებრ მბრუნავ ლექსში“**

არჩილ II ბაგრატიონის (1647-1713) ლიტერატურული მემკვიდრეობა უაღრესად მდიდარი და მრავალფეროვანია. მისი მოსაზრებები თეორიული საკითხების შესახებ, ეთიკურ-ესთეტიკური შეხედულებები, ქრისტიანული ტექსტების ღრმა ცოდნა და მათი მხატვრული გადააზრება ეპოქის მსოფლ-მხედველობის კონტექსტში ერწყმის სიახლისადმი სწრაფვასა და პოეტურ ექსპერიმენტებს. აკროსტიქებითა და ტელესტიქებით გამართული იამბიკო-ები და „ანბანთქება ახლად შემოღებული“ არჩილის, როგორც ექსპერიმენტატორის ნიჭიერით მიუთითებს. არჩილის პოეტურ ძეგბათა შორის ამჯერად ფორმითა და შინაარსით სრულიად განსაკუთრებულ ლექსს გამოყოფთ; ეს არის მეფე-პოეტის მიერ შემოღებული „ჩარხებრ მბრუნავი ლექსი“ – „ამოებასა იგავით ასოთა შენობს მოესო“. ჩვენი ყურადღება მიიქცია ლექსის ორიგინალურმა შინაგანმა სტრუქტურამ და ფორმისა და შინაარსის უაღრე-სად გონებამახვილურმა შერწყმამ. სანამ უშუალოდ ჩვენი კვლევის თემაზე გადავიდოდეთ, შევეხებით ლექსის ტექსტის შესწავლა-გამოქვეყნებასთან დაკავშირებულ უაღრესად საინტერესო საკითხებს და ლექსისადმი მიძღვნილ სამეცნიერო ლიტერატურას.

**ტექსტისთვის.** არჩილის თხზულებათა სრული კრებული XX საუკუნეში ორჯერ გამოიცა. პირველი გამოცემა წარმოადგენს ორტომეულს ალ. ბარა-მიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, რომელიც 1936-1937 წლებში და-ისტამბა. ამ გამოცემაში არჩილის ლექსი, რომელიც ჩვენთვის არის საინტე-რესო, შეტანილია სათაურით „ჩარხებრ მბრუნავი ლექსი“ (არჩილიანი 1936: 289-290). გამოცემას ახლავს შესავალი სტატია – „არჩილიანის ტექსტისთვის“, სადაც მითითებულია, რომ რედაქტორების განკარგულებაში იყო ხელნაწერები შემდეგი კოლექციიდან: 1) ყოფილი ნ. კ. გამავრცელებელი საზოგადოების, ანუ S კოლექციიდან, 2) ყოფილი საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების, ანუ H კოლექციიდან, 3) ყოფ. საეკლესიო მუზეუმის, ანუ A კოლექციიდან, 4) საქართველოს მუზეუმის ძირითადი, ანუ Q კოლექციიდან და 5) ლენინგრა-დის აღმოსავლეთმცოდნების (ყოფილი სააზიო მუზეუმის) ხელნაწერი №22. რედაქტორებმა სანდოობის თვალსაზრისით უპირატესობა მიანიჭეს S 424 და ლენინგრადის №22 ხელნაწერ ნუსხებს, აქედან S 424 აღნიშნავენ A ლიტერით, ხოლო №22 – B ლიტერით (არჩილიანი 1936: IX). ალ. ბარამიძე წერს: „A ხელნა-

სწავლულ კაცთა პოეტური თამაშები: ეკლესიასტესეული ამაოება და წრებრუნვა  
არჩილის „ჩარხებრ მბრუნავ ლექსში“

წერი უძველესია, უსრულესია, გატარებულია არჩილის ხელში, ავტოგრაფული ჩანაწერების მქონეა და, თავისთავად ცხადია, რედაქციულადაც ყველაზე უფრო სანდოა. ჩვენ გამოცემასაც საფუძვლად დაედო ეს A ხელნაწერი” (არჩილიანი 1936: XIV)<sup>1</sup>.

1936 წლის კრებულში „ჩარხებრ მბრუნავი“ ლექსი გამოქვეყნებულია ამ სახით:

### ჩარხებრ მბრუნავი ლექსი

I

1. ამოებასა იგავით ასოთა შენობს მოესო,  
ამოებასა იგავით ასოთა შენობს მოესო,  
ამოებასა იგავით ასოთა შენობს მოესო,  
და ამოებასა იგავით ასოთა შენობს მოესო.
2. მოესო ამოებასა იგავით ასოთა შენობს,  
მოესო ამოებასა იგავით ასოთა შენობს,  
მოესო ამოებასა იგავით ასოთა შენობს,  
და მოესო ამოებასა იგავით ასოთა შენობს.
3. იგავით ასოთა შენობს მოესო ამოებასა,  
იგავით ასოთა შენობს მოესო ამოებასა,  
იგავით ასოთა შენობს მოესო ამოებასა,  
და იგავით ასოთა შენობს მოესო ამოებასა.
4. შენობს იგავით მოესო ამოებასა ასოთა,  
შენობს იგავით მოესო ამოებასა ასოთა,  
შენობს იგავით მოესო ამოებასა ასოთა,  
და შენობს იგავით მოესო ამოებასა ასოთა.
5. ასოთა შენობს მოესო ამოებასა იგავით,  
ასოთა შენობს მოესო ამოებასა იგავით,  
ასოთა შენობს მოესო ამოებასა იგავით,  
და ასოთა შენობს მოესო ამოებასა იგავით.

II

1. შენობს ასოთა მოესო ამოებასა იგავით,  
ასოთა ამოებასა მოესო შენობს იგავით,  
მოესო შენობს ასოთა ამოებასა იგავით,  
და ამოებასა ასოთა შენობს მოესო იგავით.

<sup>1</sup> შენიშვნაში ალ. ბარამიძის მიუთითებს, რომ დასახელებული ხელნაწერთა ნუსხები ეხება კონკრეტულად 1936 წელს გამოცემულ „არჩილიანის“ პირველ ტომს.

2. ასოთა ამოებასა მოესო იგავით შენობს,  
იგავით ამოებასა მოესო ასოთა შენობს,  
ამოებასა იგავით მოესო [ასოთა] შენობს,  
და მოესო ამოებასა იგავით ასოთა შენობს.
3. ამოებასა იგავით ასოთა შენობს მოესო,  
შენობს ასოთა იგავით ამოებასა მოესო,  
ასოთა შენობს იგავით ამოებასა მოესო,  
და იგავით ასოთა შენობს ამოებასა მოესო.
4. მოესო ამოებასა იგავით შენობს ასოთა.  
ამოებასა მოესო იგავით შენობს ასოთა,  
იგავით შენობს მოესო ამოებასა ასოთა,  
და შენობს მოესო იგავით ამოებასა ასოთა.
5. იგავით შენობს მოესო ასოთა ამოებასა,  
ასოთა შენობს იგავით მოესო ამოებასა,  
შენობს მოესო ასოთა იგავით ამოებასა,  
და მოესო იგავით შენობს ასოთა ამოებასა.

### III

1. აბარებ უარს უკეთეს მოეცო მოისარისა,  
აბარებ უარს უკეთეს მოეცო მოისარისა,  
აბარებ უარს უკეთეს მოეცო მოისარისა,  
და აბარებ უარს უკეთეს მოეცო მოისარისა.

1936 წლის გამოცემაში ლექსის ჩვენთვის მეტად საინტერესო ორი გან-  
მარტება ახლავს. პირველი შენიშვნა პირველ სტროფს ეკუთვნის, სადაც  
ვკითხულობთ: „პირველი სტროფის ტაქცები დედანში დაწყობილია წრის  
(ჩარხის) ფორმითაც (ხაზი ჩემია – მ.ნ.) (არჩილიანი 1936: 289). მეორე შენიშ-  
ვნა კი ბოლო სტროფთან („აბარებ უარს უკეთეს მოეცო მოისარისა“) არის გა-  
კეთებული და გვაუწყებს: „ესეც წინა ლექსის მსგავსად არის დედანში. სიტყ-  
ვების დალაგების პრინციპიც იგივეა (არჩილიანი 1936: 290).

1999 წლის არჩილის თხზულებათა სრული კრებულის ტექსტი გამო-  
საცემად მოამზადეს, ლექსიკონი, საძიებელი და გამოკვლევა დაურთეს  
ი. ლოლაშვილმა, ლ. კეკელიძემ და ლ. ძონენიძემ. 1999 წელს გამოცემულ  
ერთტომეულს დართული აქვს სტატია – „არჩილიანის ტექსტისთვის“ ლ. კე-  
კელიძისა და ლ. ძონენიძის ავტორობით. გამოკვლევის ავტორები წერენ, რომ  
დღის წესრიგში კვლავ დადგა არჩილის თხზულებათა სრული, მეცნიერული  
ტექსტის ხელახალი გამოცემა. იქვე აღიშნავენ, რომ მათ მიერ დადგენილი  
ტექსტი ეყრდნობა 1937 წლის გამოცემას, ოღონდ მასში შეტანილი რიგი  
ცვლილება ტექსტოლოგიური ხასიათისაა, რაც განპირობებულია ხელნაწერ-

## სწავლულ კაცთა პოეტური თამაშები: ეკლესიასტესეული ამაოება და წრებრუნვა არჩილის „ჩარხებრ მბრუნავ ლექსში“

თა კრიტიკული შესწავლით და მიუთითებენ გამოყენებულ ხელნაწერებს და მათ აღმნიშვნელ ლიტერებს: S 424 = A, B ლიტერით არის აღნიშნული ლენინ-გრადის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ხელნაწერთა განყოფილების ხელნაწერი M-19, H-338 = C, S 2663 = D, H-2116=E, S-418=F, S-1729=G (არჩილი 1999: 550-551).

არჩილის თხზულებათა 1999 წლის გამოცემაში გამოქვეყნებული „ლექ-სი ჩარხებრ მბრუნავის“ (არჩილი 1999: 208-209) შესახებ მეტად საინტერესო ინფორმაციას ვიღებთ ტექსტის შესახებ დართულ გამოკვლევაში: „არჩილის თხზულებათა ხელნაწერებზე მუშაობის დროს გაირკვა ზოგიერთ ლექსში სტროფთა თანამიმდევრობისა და ამა თუ იმ სტროფის სხვადასხვა ლექსი-სადმი მიკუთვნების საკითხიც. „სიტყვა სანათლისლებო“ 1936 წელს გამოცემული ტექსტის მიხედვით მთავრდება შემდეგი სტროფით:

არ გიკვირსთ, ჩემთა მნახველთა, ვით მოვიცადე ამდენად?  
ეს ლექსი ჩარხებრ მბრუნავი ან მოვიგონე უსმენლად.  
ერთს სტრიქონს სიტყვა რამდენი აქვს, ლექსიც იქმნა იმდენად.  
ნაძლევი ვარ, თუ ჩემს წინათ ეთქვას ვის, იყოთ მოსმენად.

ამ სტროფის მიხედვით აშკარაა, რომ არჩილი ლაპარაკობს მის მიერ შემოღებული ლექსის სახეობაზე, კერძოდ ჩარხებმბრუნავ ლექსზე, აღნიშნავს მის თავისებურებას, წყობას, რაობას. ძირითად ხელნაწერში „სიტყვა სანათლისლებოს“ უშუალოდ მოსდევდა ჩარხებმბრუნავი ლექსი. მაგრამ როდესაც ჩარხებმბრუნავი ლექსი არჩილის თხზულებათა გამოცემაში ბოლოში იქნა დაბეჭდილი, მაშინ აღნიშნული 44-ე სტროფიც უნდა წამდლვარებოდა ამ ლექსს, ან პირიქით, ჩარხებმბრუნავ ლექსი უნდა დაბეჭდილიყო უშუალოდ „სანათლისლებოს“ შემდეგ, როგორც ეს ხელნაწერში გვხვდება. ამ სტროფს არავითარი კავშირი არა აქვს „სანათლისლებოსთან“, ის ჩარხებმბრუნავი ლექსის ორგანული ნაწილია და ამიტომ ამჟამად მასთან ერთად იპეჭდება“ (არჩილი 1999: 558-559).

მაშასადამე, „ლექსი ჩარხებრ მბრუნავის“ (არჩილი 1999: 208-209) ტექსტი 1999 წლის გამოცემაში შევსებულია იმ ორი შესავალი სტროფით, რომელიც 1936 წელს გამოცემულ პირველ ტომში ლექსს აკლია, რაც შეეხება უშუალოდ ჩარხებმბრუნავ ლექსს – „ამოებასა იგავით ასოთა შენობს მოესო“, იგი წინა გამოცემის იდენტურია, ამიტომ მოვიყვანთ მხოლოდ ამ ორ პირველ სტროფს, რომელსაც უშუალოდ მოსდევს ლექსის I, II და III ნაწილები.

### **ლექსი ჩარხებრ მბრუნავი**

1. რა ვქმნა? შაირი მით ვიწყე, საქმე დაცვირდა საქმნელად.  
კარგი რამ მინდა დავსწერო, ავი არ მინდა სათქმელად.  
ეგებ შენდობა ვინმე თქვას, თუ რამ ვარგიყოს სასმენლად!  
არ ვიცი, საით მივყავარ სოფელსა მე დასანთქმელად?

2. არ გიკვირსთ ჩემთა მნახველთა, ვით მოვიცადე ამდენად?

ეს ლექსი ჩარცებმბრუნავია ან მოვიგონე უსმენლად.

ერთს სტრიქონს სიტყვა რამდენი აქვს, ლექსიც იქმნა იმდენად.

ნაძლევი ვარ, თუ ჩემს წინათ ეთქვას ვის, იყოთ მოსმენად.

აქვე აღვნიშნავთ, რომ ლექსის პირველ ტაეპში 1999 წლის გამოცემაში გამოყენებულია ფორმა „ამაოებასა“, ხოლო ლექსის ყველა შემდეგ სტრქონში კი – „ამოებასა“:

3. ამაოებასა იგავით ასოთა შენობს მოესო,  
ამოებასა იგავით ასოთა შენობს მოესო,  
ამოებასა იგავით ასოთა შენობს მოესო,  
ამოებასა იგავით ასოთა შენობს მოესო.

ფორმა „ამაოება“ დასტურდება „ფსალმუნებსა“ და „ეკლესიასტეში“ (აბულაძე 1973: 4), მიუხედავად ამისა, როგორც არჩილის სხვა ტექსტებიც ადასტურებს, იგი უპირატესობას ანიჭებს ფორმას „ამოება“, ვინაიდან სიტყვის ამ ფორმას ვხვდებით აგრეთვე მის სხვა თხზულებებშიც:

„**ამოებად** შემირაცხეს გინდ დღე უქმად გარდმევლოცა“.  
(„იცის ბრძენებან“, 33, 2)

„**არ ადვილია ალკრძალვა ამოებისა, ამოსა**“.

(„ანბანთქება ახალი შემოღებული“, 1,1).

ვფიქრობთ, ფორმა „ამაოება“ შეიძლება 1999 წლის გამოცემის კორექტურული შეცდომა იყოს, მით უმეტეს იმის გათვალისწინებით, რომ „ამაოება“ ხუთმარცვლიანი სიტყვაა, ხოლო „ამოება“ – ოთხმარცვლიანი, თექვსმეტმარცვლიანი ლექსის შემთხვევაში „ამაოება“-ს გამოყენებით ტაეპში დამატებითი, მეჩვიდმეტე მარცვალი ჩნდება, რაც, ცხადია, თექვსმეტმარცვლიანი ლექსისთვის მიუღებელია. ამ საკითხთან დაკავშირებით ჩვენს მოსაზრებას ამყარებს ისიც, რომ 1936 წლის გამოცემაში პირველსავე და ყველა მომდევნო ტაეპში იკითხება „ამოებასა“. რაც შეეხება ლექსის III ნაწილში მოთავსებულ სტროფს – „აბარებ უარს უკეთეს მოცო მოისარისა“ – მას ასევე ახლავს შენიშვნა: „ესეც ათ სტროფიანია და სიტყვების დალაგების პრინციპი მსგავსია წინა ჩარხებრ მბრუნავი ლექსისა“ (არჩილი 1999: 209).

**ლექსის შესახებ არსებული სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა.** არჩილის „ჩარხებრ მბრუნავი ლექსი“ იმთავითვე აღმოჩნდა მკვლევართა ინტერესის სფეროში. ჯერ კიდევ 1924 წელს გამოცემულ კორნელი კეკელიძის „ქართული ლიტერატურის ისტორიის“ II ტომში ვკითხულობთ: „დასასრულ, უნდა აღინიშნოს ერთი თავისებური ლექსი არჩილისა, რომელსაც ის უწო-

**სწავლულ კაცთა პოეტური თამაშები: ეკლესიასტესეული ამაოება და წრებრუნვა  
არჩილის „ჩარხებრ მბრუნავ ლექსში“**

დებს „ეტლებრ მბრუნავ ლექსს“ (sic!-მ.ნ.) (...) ეს ეტლებრ ან ჩარხებრ მბრუნავი ლექსი დაბეჭდილა ე. თაყაიშვილის მიერ“ (კეკელიძე 1924: 419-420). კ. კეკელიძე იგივეს იმეორებს „ჩარხებრ მბრუნავი“ ლექსის შესახებ „ქართული ლიტერატრის ისტორიის“ 1958 წლის გამოცემაშიც (კეკელიძე 1958: 591).

არჩილის „ჩარხებრ მბრუნავ“ ლექსი იხსენიებს ალექსანდრე ბარამიძე და ასე აფასებს მას: „არჩილსვე შემოულია რაღაც „ჩარხებრ მბრუნავი ლექსი“, რომელიც – უნდა მართალი ითქვას – სრულ უგემურობას წარმოადგენს“ (ბარამიძე 1940: 220).

ერთმნიშვნელოვნად უარყოფითად აფასებს არჩილის „ჩარხებრ მბრუნავ ლექსს“ რევაზ ბარამიძეც, რომელიც წერს: „არჩილს სიამაყის გრძნობას ჰგვრის ის სიახლე, რითაც თავად იგი განსხვავდება წინა საუკუნეების მწერალთაგან. (...) „ჩარხებრ მბრუნავი“ ლექსი მეტად საეჭვო ლირსებისაა, მაგრამ ავტორს მაინც საკმაო დამსახურებად მიაჩნია ეს უცილოდ ფორმალისტური ვარჯიში მხოლოდ იმიტომ, რომ ასეთი ლექსი მას არავისგან მოუსმენია, ის მისი მოგონილია“ (ბარამიძე 1966: 380-381).

აღმოსავლეთმცოდნე დ. კობიძე ეხება რა არჩილის „ჩარხებრ მბრუნავ“ ლექსს, აღნიშნავს, რომ ამ ტიპის წრიული ლექსები სპარსული პოეზიისთვის არის დაამახასიათებელი და განმარტავს მათ დანიშნულებას და მიუთითებს, რომ „ჩარხი ლექსები“ გამოიყენებოდა სალექსო საზომისა და რიტმის შესასწავლად და დასძენს: „ამიტომაა, რომ „ჩარხ ლექსებში“ რაიმე გარკვეული აზრი არ ამოიკითხება“ (კობიძე 1967: 10). პარალელი სპარსული პოეზიდან უდაფოდ საინტერესოა, მაგრამ მაშინ რა უუყოთ არჩილის სიტყვებს: „ეს ლექსი ჩ ა რ ხ ე ბ მ ბ რ უ ნ ა ვ ი ა ნ მოვიგონე უსმენლად“-ო და ტაეპში კოდირებულ შინაარსს, რაზეც ქვემოთ გვექნება საუბარი.

არჩილის ვერსიფიკაციის საკითხებს ეხება თ. დოიაშვილი და აღნიშნავს, რომ „არჩილის შემოტანილია „ჩარხებრ მბრუნავი ლექსი“. მეტრული თვალსაზრისით იგი რაიმე სიახლეს არ შეიცავს — გვაქვს დაბალი შაირის მეტრი და კატრენული სტროფი“ (დოიაშვილი 2003: 352).

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ მკვლევრები „ჩარხებრ მბრუნავ ლექსს“ ეპოქის კონტექსტსა და მის ესთეტიკურ გემოვნებას უკავშირებენ: უალრესად საყურადღებოა, რომ 1924 წლის გამოცემაში კ. კეკელიძე მეტად მნიშვნელოვან მოსაზრებას გამოთქვამს, როდესაც წერს, რომ შემდგომმა თაობამ დაკარგა თანამედროვეთა ალლო და გაგება არჩილისა (კეკელიძე 1924: 421). ასევე მეტად საყურადღებო მოსაზრება აქვს გამოთქმული თ. დოიაშვილს, რომელიც არჩილის ამ ლექსს ეპოქის ესთეტიკურ გემოვნებას უკავშირებს და ამბობს, რომ „ჩარხებრ მბრუნავი ლექსი“ წარმოდგენას გვიქმნის არა მარტო ავტორის, არამედ გარკვეული ეპოქის ესთეტიკურ გემოვნებაზე“ (დოიაშვილი 2003: 352).

**სათაურისთვის.** „ლექსი ჩ ა რ ხ ე ბ მ ბ რ უ ნ ა ვ ი“ – ასე უწოდებს თავისი შექმნილი ლექსის სახეობას არჩილი. უნდა ითქვას, რომ სათაურისა და ტექსტის ურთიერთმიმართება, ფართო და პირობითი მნიშვნელობით,

ერთმანეთის მიმართ პერიფერასტულია: ტექსტი სათაურის მაქსიმალურად განვრცობილი „პერიფერაზია“, ხოლო სათაური კი, თავის მხრივ, თუკი პერიფერაზი არა (მაგალითად, თუ სათაური ერთი სიტყვითაა გამოხატული), ტექსტის „საოცრად დაწერებილ“ აბრევიატურას მაინც წარმოადგენს. სათაური მიგვანიშნებს, სახელდობრ რისკენაა მიმართული და რაზეა გამახვილებული პოეტის ყურადღება და ამიტომაც მას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება (Григорьев 1979: 194-195). თუკი სათაური ლექსის აბრევიატურაა და მასში კონდენსირებულია ის, თუ რისკენაა მიმართული და რაზეა გამახვილებული პოეტის ყურადღება, მაშინ არჩილის ლექსში ყურადღება გამახვილებულია ლექსის ახალ სახეობაზე, ლექსზე, რომელიც ბრუნავს როგორც ჩარხი. ვინაიდან ჩარხი ერთ-ერთი საკვანძო სიტყვა და სახე-ბიმბოლოა ამ ლექსში, საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ სიტყვა „ჩარხი“ არ არის ილია აბულაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონში“ (აბულაძე 1973) და არც სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონაში“ (ორბელიანი 1949), ხოლო ჩუბინაშვილი ასე განმარტავს ჩარხს: „ჩარხი – ბორბალი ანუ მანქანა საბრუნებელი (ნახე ბორბალთან); ბორბალი – ფრთებიანი გინა კბილებიანი საბრუნავი მაშინათა, ვითარ წისქვილისა, საჟამნოსი და ეგევითართა“ (ჩუბინაშვილი 1961: 429; 153). ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში კი მითითებულია, რომ ჩარხი სპარსული წარმომავლობის სიტყვაა და განმარტებულია, როგორც საბრუნებელი მანქანა (ლითონის, ხის და მისთ. დასამუშავებლად) და ასევე მოყვანილია სიტყვა ჩარხთან დაკავშირებული ხატოვანი გამოთქვები: ბედის ჩარხის წაღმა (უკულმა) დატრიალება, ბედის ჩარხის ტრიალი; ისტორიის ჩარხი (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი 1964: 335). მაშასადამე, ჩარხი დაკავშირებულია გარკვეული ტიპის მოძრაობის, ტრიალისა და ბრუნვის სემანტიკასთან. ეს კავშირი წუთისოფელსა და მის წრებრუნვას, მის მუდმივ ცვალებადობას შორის, როგორც ჩანს, მეტად მიმზიდველი აღმოჩნდა არჩილისთვის, ვინაიდან მის შემოქმედებაში „ჩარხის ბრუნვას“ რამდენჯერმე ვხვდებით და საინტერესოდ მიგვაჩნია იმის ჩვენება, თუ როდის და რა ვითარებაში მიმართავს მას პირველად არჩილი. ამას კი ლექსის ინსპირაციის საკითხთან მივყავართ.

**ინსპირაცია.** სოფლის ჩარხის ბრუნვას, როგორც ცვალებადი წუთისოფლის მეტაფორას, ჯერ კიდევ თეიმურაზ I მიმართა. „შამი-ფარვანიანში“ პოეტი ამბობს: „ჩარხი უკულმა დაბრუნდა, ბედი დამტერდა, ვა მეო!“ (13,4) (თეიმურაზი 1934: 16). მაგრამ არჩილი ამ ტროპით დავით ჯაფარიძის ერთსტროფიან ლექს აღუფრთვოვანებია. ამიტომ, ლექსის სათაურმა გვიპიძგა, რომ ჩარხებმბრუნავი ლექსის შექმნის იდეა არჩილის უფრო ადრინდელ, 1684 წელით დათარილებულ „კაცისა და სოფლის გაბაასებისთვის“ ეპიგრაფად წამდლვარებულ სტროფს დავუკავშიროთ. „გაბაასებას“ შემდეგი სტრიქონები აქვს წამდლვარებული: „ეს ერთი პირველი ლექსი და ვით მა მუკა [ს] შვილს ჯაფარიძეს ეთქვა სოფელზედ აშთრასანს. ამას ქვეით სოფლისა და კაცისა გაბაასება ამ ერთმან ლექსმან

**სწავლულ კაცთა პოეტური თამაშები: ეკლესიასტესეული ამაოება და წრებრუნვა  
არჩილის „ჩარხებრ მბრუნავ ლექსში“**

---

მოახდინა (არჩილი 1999: 34). დავით ჯაფარიძის ამ ოთხტაეპედში ცვალება-დი წუთისოფელის მეტაფორა წარმოდგენილია როგორც ჩარხი სოფლისა, რომელიც მუდმივად ბრუნავს:

თქვეს: **ჩარხი სოფლის** სიმუხტლის სამუდმოდ არის მბრუნავი,  
ლხინს მოგვცემს ჭირი გვერდს ახლავს, ხან შვება, ხან საჭმუნავი;  
ნურვინ სდევს, ვერვინ მისწყდების, ცხენი ჰყავს ანუ თუ ნავი.  
თქმულა, რომ: არვინ დარჩება ბოლომდინ მოუმდურავი.

(არჩილი 1999: 34)

არჩილს „სოფლისა და კაცის გაბაასებში“ ადამიანის ცხოვრების ცვალებადობა და მასში სიკეთისა და სიავის, ჭირისა და ლხინის მონაცვლეობა ბიბლიურ კონტექსტში აქვს მოქცეული და როგორც თავად ამბობს, მთელი ნაწარმოები სხმორედ ამ ერთი სტროფით არის ინსპირირებული. მართლაც, ეს სტროფი გასაოცარი ლაკონურობით გამოხატავს ბაროკოს ადამიანის მსოფლმხედველობას, მის დამოკიდებულებას განუწყვეტლივ ცვალებადი ცხოვრების მიმართ (Nachkebia 2019: 114). დავით ჯაფარიძემ ვირტუოზულად მოახერხა ამ ოთხ ტაეპში ჩაეტია განცდების მთელი სიღმე და გასაოცარი ფილოსოფიური ხედვა ცხოვრებისა. სოფლის ჩარხის მუდმივი ბრუნვა – ეს შესანიშნავი პოეტური სახე, რომელიც დავით ჯაფარიძემ შექმნა, ჩარხის თვისებას, მისი წრებრუნვის სემანტიკას ემყარება, რაც უაღრესად მოხდენილადაა შერჩეული და ამ სტროფის მკითხველსა თუ მსმენელს ეუბნება, რომ წუთისოფელი ჩარხივით, ბორბალივით ბუნეს. ეს ტროპი ცხოვრებისეული მეტამორფოზების უზარმაზარ დიაპასონს იტევს და იგი მუდმივად ცვალებადი წუთისოფლის, სოფლის არამდგრადობის ბრნებინვალე მეტაფორას წარმოადგენს, რაც ორგანულია ბაროკოს ადამიანის აზროვნებისთვის. იგივე ტროპს არჩილი მოგვიანებით „ამიცანად სათარგმანებელშიც“ მიმართავს: „ჩარხთა ბრუნვა, იგავთ ახსნა ვინ შეიიტყობთ, მან დაიტყოთ“ (61,4). როგორც ჩანს, დავით ჯაფარიძის ამ მეტაფორას არჩილზე იმდენად ძლიერი შთაბეჭდილება მოუხდენია და ისეთი დიდი შესაძლებლობები დაუნახავს მასში, რომ იგი ჩარხებ ბრუნვას უკვე ლექსის გამართვის პრინციპად იყენებს და მას ოსტატურად უკავშირებს ლექსის არსს, მთავარ სათქმელს.

**„ეკლესიასტე“ და ბაროკო.** როგორც უკვე ზემოთ ვთქვით, „ჩარხებრ მბრუნავი ლექსი“ თავის მხრივ ორი ასეთი „მბრუნავი“ ლექსისგან შედგება, ჩვენ საუბარი პირველ მათგანზე გვექნება. ეს არის ლექსი „ამოებასა იგავით ასოთა შენობს მოესო“, რომლის ეს ერთადერთი ტაეპი ორნაწილიან ლექსში 40-ჯერ მეორდება ტაეპში სიტყვების სხვადასხვა თანამიმდევრობით. ამ ტაეპის აზრი კი ამგვარია: ეს ლექსი ამაოების შესახებ იგავებს ემყარება (შდრ. „ჩარხთა ბრუნვა, იგავთ ახსნა“). „ამოება“ ანუ ამაოება, როგორც კოდური სიტყვა და კულტურის ერთგვარი არქეტიპი, იმ ხიდის როლს ასრულებს, რომელიც გადებულია ავტორისა და მკვითხველის ცნობიერებას შორის და ემყარება ეპოქის მსოფლალემას.

როგორც ცნობილია, ბაროკოს ლიტერატურა ისტორიის და კაცობრი-ობის ტრაგიკული მსოფლაღქმითა და სახეებით არის შთაგონებული. დრა-მატიზმი სუფევს პოეზიაში, დრამატურგიაში, რომანში და ყველგან ვხვდე-ბით ცვალებადობის და ნივთთა არამყარობის განცდას: ეს ეხება ადამიანებ-სა და მატერიალურ სამყაროს, შესაძებლობებს, ახალგაზრდობას, სილამაზეს, განცდებსა და ვნებებს, ყოველივე იმას, რაც ონორე იურფემ თავისი ცნო-ბილი რომანის „ასტრეას“ (1607) პირველსავე გვერდებზე ამცნო მკითხველს ემბლემატური ფორმულის სახით: „არაფერი არ არის ისეთი მუდმივი, რო-გორც ცვალებადობის მარადიულობა“ (Chauveau 1997: 25). თავის მხრივ ონორე იურფეს ეს ფრაზა, რომელიც სამყაროს ცვალებადობას ფორმულის სიზუსტით გადმოვცემს, „ეკლესიასტესთან“ გვაგზავნის. ამიტომ, ბაროკოს ეპოქაში ამაოების განცდას უკავშირდება სამყაროს მეტამორფოზის, მისი მარადიული ცვალებადობის თემა.

ეკლესიასტესეული „ამაოება“ ბაროკოს მსოფლმხედველო-ბისთვის, მისი ლიტერატურისა და მხატვრობისთვის ორგანულ მოტივად იქ-ცა, ვინაიდან იგი ამ ეპოქის ადამიანის სულიერ განწყობილებებსა და ძიებებს ზედმიწვნით პასუხობდა. ზნეობრივი დამოძვრა, რომელიც აფორისტულად არის გამოთქმული, პასუხს იძლეოდა ადამიანის ცხოვრების აზრზე სამყა-როში. ბაროკოს შემოქმედის და საერთოდ ბაროკოს ადამიანისთვის ძველი და ახალი აღთქმის წიგნები არა მხოლოდ ინსპირაციის წყარო იყო, არამედ სააზროვნო სისტემაც, ბაროკოს ფილოსოფიურ ბაზად კი „ეკლესიასტე“ იქცა, რომელშიც ამ ეპოქის ავტორებმა მათთვის ყველაზე ორგანულ ტექსტს მიაკვლიერს. მასში დახატულია ბრძენის სახე, რომელმაც ყველაფერს მიაღწია, რაზეც ადამიანმა შეიძლება იოცნებოს და განიცადა ყველაფერი, მივიდა დასკვნამდე: „რამეთუ ესეცა ამაო და კდომა სულისა!“ (ეკლესიასტე 2: 26). სამყაროს წრებრუნვა უცვლელია, ხოლო ღვთის გზები შეუცნობელი. წარმავალ, ამოუხსნელ სამყაროში სწორედ ამიტომ იქცა ეკლესიასტეს-ეული „ამაოება ამაოთა, ყოველივე ამაო“ (ეკლ. 1:2) ბაროკოს ეპოქის დევიზად (ნაჭყებია 2016: 20).

„ეკლესიასტე, რომელსა ეპრაელებრ კუტლეთე ენოდების“ ერთდრო-ულად ღრმა პოეტურობითა და ფილოსოფიურობით განმსჭვალული თხზუ-ლებაა, ერთი მხრივ იგი მოიცავს მოსაზრებებს დროის დინებაზე, ბუნების პროცესების ციკლურ განმეორებაზე, სიკვდილის გარდაუვლობაზე, სიკვდი-ლისა, რომელიც ყველას ათანაბრებს: „ნათესავი წარვალს და ნათესავი მო-ვალს, და ქუეყანა უკავნისამდე ჰეგიეს. და აღმოვალს მზე და დავალს მზე და ადგილსა თვისსა მივალს იგი. და მუნვე მივალს სამხრით და მოჰვლის ჩრდი-ლოთ, გარემოვლის გარემო სული და სიმრგულესა თვისსა მოიქვევის სული. ყოველი კევნები შესდის ზღუასა და ზღუა ვერ განძლების ადგილსა მას, სადა-იგი კევნები მივალს, მუნვე კუალად მიიქცევინ იგინი განსლვად“ (ეკლ. 1: 4-7). მეორე მხრივ კი „ეკლესიასტეში“ ნაჩვენებია ამაოება ყოველივე იმისა, რის გამოც ადამიანის გულში ვერ ისადგურებს სიმშვიდე: „განვადიდნენ საქმენი

**სწავლულ კაცთა პოეტური თამაშები: ეკლესიასტესეული ამაოება და წრებრუნვა  
არჩილის „ჩარხებრ მბრუნავ ლექსში“**

ჩემნი; ვიშენე მე სახლებ, დავჭნერგენ მე სავენაკენი, ვიქმენ მე მტილები და სამოთხეები და დავნერგენ ხენი მას შინა, ყოველი ნაყოფიერნი. და ვიქმენ მე ავაზანი და საბანელნი წყალთანი რწყვად მათგან მაღნარნი მცენარეთანი. მოვიგე მონები და მწევლები, და სახლისა ნაშობნი მესხნეს მე, დამონაგებნი ველთანი და მრონეულთად ფრიადი იყო ჩემი უფროის ყოველთა, რაოდენი იყვნეს უწინარეს ჩემსა იერუსალიმს. შევკრიბე მე ოქროცა და ვერცხლიცა დიდძალი უფროს მეფეთა და სოფელთა, და ვყვენ ჩემდა შემასხმელნი მამანი და დედანი საშუებლად ძეთა თანა კაცთასა, და ვყვენ ჩემდა მწდენი მამანი და დედანი. განვდიდენ და შევსძინე უფროის ყოველთა, რომელნი იყვნეს უწინარეს ჩემსა იერუსალიმს“ (ეკლ. 2: 4-9), შემდეგ კი ამბობს: „და ვიხილე მე ყოველსა ზედა ნაქმარსა ჩემსა, რომელნი ქმნენ ჩელთა ჩემთა და რუდუნებულსა მას ჩემსა, რავდენი ვრუდუნე, ყოფა. და აპა, ესერა, ყოველივე ამარ და კდომა სულისა და არა უმეტეს მზესა ქუეშე“ (ეკლ. 2:11). ბრძენი საუბრობს ყოველივე მიწიერის ამაოებაზე, წარმავლობსა და არარაობაზე, ვინაიდან სამყაროში ყოველივე ცვალებადი და არამყარია და ამას ეკლესიასტე საკუთარი მრავალფეროვანი გამოცდილების საფუძველზე ამტკიცებს.

სწორედ ეკლესიასტესეული „ამაოება“ – ცხოვრების ილუზორულობის, წარმავლობის, მოვლენების ციკლურობის, ყოველივეს ხრნნადობის და ამაოების იდეა იშვითი მინიმალიზმით არის გადმოცემული არჩილის „ჩარხებრ მბრუნავ“ ლექსში. ტერმინ „ამოების“ ხსენებით იგი თავის თანამედროვე მყითხველს, რომლისთვისაც ძეველი და ახალი აღთქმის წიგნები კარგად იყო ცნობილი, „ეკლესიასტეს“ მთელ ტექსტს, მასში გაშლილ მსჯელობასა და დასკვნას შეახსენებს. მაშასადამე, არჩილის ამ ლექსის პროტოტექსტი „ეკლესიასტეა“.

ცხოვრების ცვალებადობაზე, მის არამყარობასა და მიუნდობლობაზე განსჯა, ცხოვრების მეტამორფოზებზე დაფიქრებას არჩილის არაერთ თხზულებაში ვხვდებით:

გუშინ სხვა იყო, დღეს სხვაა, უამი უამს არ ეთნებისა.

(„ლექსნი ასეულნი“, 5,3)

ვხედავთა, უამნი ყოველნი დღითი-დღე იცვალებიან:

ვინ იშვებს, ვინმე იხარებს, მეფენიც გარდიცვლებიან,

ამ საწუთროსა დღისაგან სხვის დღისად მიიცვლებიან.

სრულ ყოვლთა წელთა სიმრავლე ერთ დიდ დღედ შეიცვლებიან.

(„ლექსნი ასეულნი“, 58)

ეტლთა ბრუნვათა მსგავსია ამ სოფლის ლხინი და შვება,

წამიერთ იცის ორივე – ამაღლება და დაშვება.

(„ასნი ორმუხლნი შაირნი“, 16, 1-2)

„ამოებასა იგავით ასოთა შენობს მოესო“ – ამ ერთადერთ სტრიქონს აბრუნებს ავტორი „ჩარხივით“, ბორბალივით, აბრუნებს ისევე, როგორც ბრუნავს ცხოვრება. ვინ, თუ არა არჩილმა გამოსცადა საკუთარ თავზე ცხოვრების მოვლენათა კალეიდოსკოპური მონაცვლეობა და ყოველივეს ეფემერულობა. რამდენჯერმე ასულმა იმერეთის ტახტზე, იმდენჯერვე და-კარგა იგი თითონლიანი ხელმწიფობის შემდეგ, შედარებით ხანგრძლივი და წარმატებული მხოლოდ კახეთის მეფობა აღმოჩნდა. უტახტოდ დარჩენილი მეფე თავს ხან დვალეთს აფარებდა და ხან ასტრახანს, შემდეგ კი საბოლო-ოდ რუსეთში, ვსეხსვეცკოეში დამკვიდრდა და ემიგრაციაში დარჩა, ცხოვ-რების დაისი კი ვაჟის, ალექსანდრე ბატონიშვილის შვედეთში ტყვეობამ და მისმა დალუპვამ გაუმნარა. ცხოვრებისეული განცდებით დამძიმებული არ-ჩილი „ეკლესიასტეს“ მიმართავს, გავიხსენოთ მისი პირველი ტაეპი: „სიტყუ-ანი ეკლესიასტესანი, ძისა დავითისანი, მეფისა ისრაცლისანი, იერუსალიმს“ (ეკლ. 1:1), ჩნდება საინტერესო პარალელი: მეფე იერუსალიმისა, ძე ბიბლი-ური დავითისა და ქართველი მეფე ბაგრატიონთა დავითიანი დინასტიდან, არჩილ II. წუთისოფლის ცვალებადობაზე დაფიქრებული არჩილი ძველი აღთქმის წიგნის – „ეკლესიასტეს“ სიბრძნეს მიმართავს, რომელიც ამბობს: „ვიხილე ყოვლითურთ, რომელნი ქმნილ არიან მზესა ქუეშე, და აპა, ესერა ყოველივე ამაო და გამორჩევა სულისა“ (ეკლ. 1:14). „ეკლესიასტეს“ სკო-უფილდისეულ განმარტებებში ეს წიგნი იწოდება ცხოვრების შესახებ გან-სჯის წიგნად, ხოლო „ამაოება“ ეკლესიასტეში და საერთოდ წმინდა წერილში არა მხოლოდ პირად პატივმოყვარეობასა და წვრილმანებზე ზრუნვას ნიშ-ნავს, არამედ ნიშნავს სიცარიელეს ყოველგვარი ცხოვრებისა, რომელშიც არ არის ღმერთი. ცხოვრება ამაოებაში ნიშნავს დაბადებას, მუშაობას, ტანჯვას, დროებითი სიამოვნებით ტკბობას, რომლებიც არაფერია მარადისობასთან შედარებით, და, სიკვდილს (Библия 1987: 764). მინიერზე ამაღლება, სწრაფვა მარადიულისა და უეჭველი საყრდენისადმი, ცხოვრებისეულ ცვალებადო-ბაში სიმშვიდის და საყრდენის ძიება ღმერთში – ეს არის ბრძენის მინიერი ცხოვრების ჭეშმარიტი მიზანი: „მოვისმინოთ ყველაფრის თავი და ბოლო: ღვთისა გეშინოდეს და დაიცავი მცნებანი მისნი, რადგან ეს არის კაცის თავი და თავი. რადგან ყველა საქმეს სამსჯავროზე მიიტანს ღმერთი, ყოველივე დაფარულს, კეთილს თუ ბოროტს“ (ეკლ. 12: 13-14)<sup>1</sup>.

**ლექსის ბრუნვის პრინციპი და მოძრაობის ილუზია.** ლექსში არჩილი იყენებს როგორც ჩარხის სემანტიკურ მნიშვნელობას, რომელიც დაკავ-შირებულია ტრიალთან და ბრუნვასთან, ისე მის მეტაფორულ მნიშვნელო-ბას – „ჩარხი სოფლისა“, რომელიც უკვე წუთისოფლის მუდმივ ცვალებადო-ბას განასახიერებს. როგორც ზემოთ ვთქვით, დავით ჯაფარიძის სტროფი, რომელიც, როგორც არჩილი წერს, „სოფლისა და კაცის გაბაასების“ დაწერის

1 ვინაიდან „მცხეთურ ხელნაწერში“ „ეკლესიასტეს“ ტექსტი ნაკლულია და წყდება მეხუთე თავის მეორე მუხლზე, ნინამდებარე მუხლს ვიმონმებთ შემდეგი გამოცემის მიხედვით: საქართველოს საპატრიარქო. ბიბლია. თბილისი: 1989.

**სწავლულ კაცთა პოეტური თამაშები: ეკლესიასტესეული ამაოება და წრებრუნვა  
არჩილის „ჩარხებრ მბრუნავ ლექსში“**

---

შთამაგონებელი გახდა, „ჩარხებრ მბრუნავი“ ლექსის ინსპირატორადაც იქცა, სადაც არჩილმა „ბრუნვა“ ლექსის გამართვის ტექნიკურ პრინციპად აქცია და შექმნა ასე ვთქვათ, მბრუნავი, მოძრავი ლექსი. თავდაპირველად შევეხებით იმას, თუ როგორც „ბრუნავს“ ლექსი.

არჩილის „ჩარხებრ მბრუნავი ლექსი“ პირობითად სამი ნაწილისგან შედგება: პირველი ორი სტროფი ლექსის ერთგვარი შესავალი და განმარტებაა, ხოლო დანარჩენი ათი სტროფი კი საკუთრივ „ჩარხებრ მბრუნავი“ ლექსის – „ამოებასა იგავით ასოთა შენობს მოესო“ – I და II ნაწილი.

არჩილის „ჩარხებრ მბრუნავი ლექსი“, რომლიც მხოლოდ ერთი ტაეპის განმეორებით არის შექმნილი, სივრცულად სტრუქტურირებული ლექსია. ტაეპი ფოკუსირებულია ლექსების „ამოების“ სემანტიკაზე და იმ სიმბოლურ რელიგურ დატვირთვაზე, რომელიც ამ ეპოქის ადამიანისთვის საცნაური იყო და უკავშირდება „ეკლესიასტეს“, ხოლო ტექსტური გამოსახულების სივრცითი უაღრესად ორიგინალური და გონებამახვილური ორგანიზება ლექსს დამატებით და მოულოდნელ, და ასევე, მეტად მახვილგონივრულ მნიშვნელობას სძენს. ლექსის ტაეპის სიტყვები გარკვეული პრინციპით ორად გაყოფილ ათსტროფიან ლექსში ისევე ბრუნავს, როგორც წუთისოფელი „ეკლესიასტეში“. საინტერესო სწორედ ის არის, თუ როგორ „ბრუნავს“ ლექსი, რა პრინციპზეა ეს მოძრაობა აგებული.

არჩილი ლექსის შესავალ პირველ სტროფში დაწერის მიზანს ამხელს და ამბობს, რომ კარგი რამის დაწერა მსურს და არა ცუდისო და შენდობას ითხოვს, თუ ლექსი მოსასმენად ვარგისი იქნება. სტროფის მეოთხე სტრიქონი, უშუალოდ ჩარხებმბრუნავი ლექსთან არის კავშირში, რადგან პოეტი სვამს კითხვას: „არ ვიცი, საით მივყავარ სოფელსა მე დასანთქმელად?“ და ამ კითხვას ეკლესიასტესეული ტერმინების ერთ ტაეპში მოქცევით პასუხობს: „ამაოება/ამოება“ და „იგავნი“ ხომ პირდაპირ „ეკლესიასტეს“ ტექსტთან აგზავნის ლექსის მკითხველსა თუ მსმენელს. მეორე სტროფში კი არჩილი ხაზს უსვამს იმას, რომ „ეს ლექსი ჩარხებრ უნავი“ თავად გამოიგონა ისე, რომ მსგავსი მოსმენილი არ ჰქონია და იქვე განმარტავს, თუ როგორ არის „მოწყობილი“ ეს ლექსი: ლექსში იმდენი სტროფია, რამდენი სიტყვაც არის ლექსის ტაეპში: „ერთს სტრიქონს სიტყვა რამდენი აქვს, ლექსიც იქმნა იმდენად“ (2, 3).

მაშასადამე, ლექსი, რომელიც „ბრუნავს“ ერთადერთი ტაეპისგან შედგება, რომელშიც თავის მხრივ ხუთი სიტყვაა. ლექსის სტროფებს კი პოეტი ქმნის გარკვეული მანიპულაციის გამოყენებით; ლექსის ორივე ნაწილში სიტყვების მოძრაობის ტრაექტორია არჩილს გარკვეულ პრინციპზე აქვს დამყარებული და ეს პრინციპები ერთმანეთისგან განსხვავდება: ლექსის I ნაწილში ყოველ მომდევნო სტროფში სიტყვა იცვლის ადგილს. ლექსის I ნაწილის პირველი სტროფის პირველ ტაეპში სიტყვების თანამიმდევრობა ამგავრია: „ამოებასა იგავით ასოთა შენობს მოესო“ და ეს თანამიმდევრობა უცვლელად მეორდება პირველი სტროფის ოთხივე ტაეპში, მთელ პირველ სტროფში. ლექსის მეორე სტროფში პირველი სიტყვის – „ამოების“ – ადგილს

იკავებს მეხუთე სიტყვა – „მოესო“ და შესაბამისად სიტყვების თანამიმდევრობა შემდეგნაირად იცვლება: „მოესო **ამოებასა** იგავით ასოთა შენობს“, მესამე სტროფში პირველ სიტყვად გვევლინება ტაეპის მეორე სიტყვა: „იგავით ასოთა შენობს მოესო **ამოებასა**“, მეოთხე სტროფში პირველი სიტყვა ხდება პირველი ტაეპის მეოთხე სიტყვა „შენობს“: „შენობს იგავით მოესო **ამოებასა** ასოთა“. მეხუთეში კი მესამე სიტყვა – „ასოთა“ – ინაცვლებს პირველის ადგილზე და შესაბამისად ვიღებთ ტაეპს: „ასოთა შენობს მოესო **ამოებასა** იგავით“.

3. **ამაოებასა** იგავით ასოთა შენობს მოესო,

**ამოებასა** იგავით ასოთა შენობს მოესო,

**ამოებასა** იგავით ასოთა შენობს მოესო,

**ამოებასა** იგავით ასოთა შენობს მოესო.

4. მოესო **ამოებასა** იგავით ასოთა შენობს,

მოესო **ამოებასა** იგავით ასოთა შენობს,

მოესო **ამოებასა** იგავით ასოთა შენობს,

მოესო **ამოებასა** იგავით ასოთა შენობს.

5. იგავით ასოთა შენობს მოესო **ამოებასა**,

იგავით ასოთა შენობს მოესო **ამოებასა**,

იგავით ასოთა შენობს მოესო **ამოებასა**,

იგავით ასოთა შენობს მოესო **ამოებასა**.

6. შენობს იგავით მოესო **ამოებასა** ასოთა,

შენობს იგავით მოესო **ამოებასა** ასოთა,

შენობს იგავით მოესო **ამოებასა** ასოთა,

შენობს იგავით მოესო **ამოებასა** ასოთა.

7. ასოთა შენობს მოესო **ამოებასა** იგავით,

ასოთა შენობს მოესო **ამოებასა** იგავით,

ასოთა შენობს მოესო **ამოებასა** იგავით,

ასოთა შენობს მოესო **ამოებასა** იგავით.

„ჩარხებრ მბრუნავი“ ლექსის მეორე ნაწილიც ხუთი სტროფისგან შედგება, მაგრამ მოძრაობა ანუ სიტყვების გადაადგილება უკვე განსხვავებული პრინციპით ხორციელდება: თუ ლექსის პირველ ნაწილში ყოველი სტროფის ოთხივე ტაეპში სიტყვები მყარ ადგილს ინარჩუნებენ და ისინი მხოლოდ ყოველ მომდევნო სტროფში იცვლიან ადგილს, მეორე ნაწილში საქმე სხვაგვარადა: აქ სიტყვების გადაადგილება ხდება სტროფის ყოველი ტაეპის შიგნით. აქ სიტყვების წყობა უკვე ყოველ ტაეპში იცვლება და არჩილი ამასაც გარკვეულ პრინციპს უმორჩილებს: პირველ სტროფში სიტყვების

**სწავლულ კაცთა პოეტური თამაშები: ეკლესიასტესეული ამაოება და წრებრუნვა  
არჩილის „ჩარხებრ მბრუნავ ლექსში“**

---

თანამიმდევრობა ამგვარია: „შენობს ასოთა მოესო ამოებასა იგავით“. მეორე ტაეპში კი პირველ სიტყვად გვევლინება პირველი ტაეპის მეორე სიტყვა – „ასოთა“, მეორე ადგილს იკავებს პირველი ტაეპის მეოთხე სიტყვა – „ამოებასა“, მესამე ადგილზე კი პირველი ტაეპის მესამე სიტყვა – „მოესო“ რჩება, მეოთხე ადგილზეა პირველი ტაეპის პირველი სიტყვა – „შენობს“, მეხუთე სიტყვა ისევ უცვლელად რჩება. ლექსის დანარჩენ ოთხ სტროფშიც იგივე პრინციპით იცვლიან სიტყვები ადგილს, ოღონდ თანამიმდევრობა ყველგან სხვადასხვაა. უცვლელი რჩება მხოლოდ ტაეპის კიდური სიტყვა:

## II.

8. შენობს ასოთა მოესო **ამოებასა** იგავით,  
ასოთა **ამოებასა** მოესო შენობს იგავით,  
მოესო შენობს ასოთა **ამოებასა** იგავით,  
**ამოებასა** ასოთა შენობს მოესო იგავით.
9. ასოთა **ამოებასა** მოესო იგავით შენობს,  
იგავით **ამოებასა** მოესო ასოთა შენობს,  
**ამოებასა** იგავით მოესო [ასოთა] შენობს,  
მოესო **ამოებასა** იგავით ასოთა შენობს.
10. **ამოებასა** იგავით ასოთა შენობს მოესო,  
შენობს ასოთა იგავით **ამოებასა** მოესო,  
ასოთა შენობს იგავით **ამოებასა** მოესო,  
იგავით ასოთა შენობს **ამოებასა** მოესო.
11. მოესო **ამოებასა** იგავით შენობს ასოთა.  
**ამოებასა** მოესო იგავით შენობს ასოთა,  
იგავით შენობს მოესო **ამოებასა** ასოთა,  
შენობს მოესო იგავით **ამოებასა** ასოთა.
12. იგავით შენობს მოესო ასოთა **ამოებასა**,  
ასოთა შენობს იგავით მოესო **ამოებასა**,  
შენობს მოესო ასოთა იგავით **ამოებასა**,  
მოესო იგავით შენობს ასოთა **ამოებასა**.

თუ ლექსის ყველა ტაეპში ერთიდამავე სიტყვას მოვნიშნავთ, მიიღება ვიზუალური ეფექტი: მაგალითად, ლექსის I ნაწილში ერთმანეთის ქვეშ განლაგებული ერთიდაიგივე სიტყვა სივრცეში ვიზუალურად ქმნის ერთგვარ სვეტს, ხოლო სიტყვების ეს წანაცვლება ვერტიკალურად ქმნის ზიგზაგის კონტურს, მოძრაობის ილუზიას, რაც განსაკუთრებით თვალსაჩინოდ ჩანს, როდესაც ერთ-ერთ სიტყვას მთელ ლექსში მუქად მოვნიშნავთ. მსგავს სუ-

რათს მივიღებთ, თუ ტაეპის ხუთი სიტყვიდან ნებისმიერ სხვას გავამუქებთ. ბრუნვის სხვაგვარ მეთოდს მიმართავს არჩილი ლექსის II ნაწილში, იქ მოძრაობა უფრო „შემჭიდროვებულია“, ვინაიდან სიტყვები უკვე სტროფის ყოველ ტაეპში იცვლიან ადგილს. ლექსში საყურადღებო კიდევ ერთი რამაა: ლექსის I ნაწილის პირველი სტროფის პირველი სტრიქნის პირველი სიტყვა „ამოებაა“ და II ნაწილის ბოლო სტროფის ბოლო ტაეპის ბოლო სიტყვაც „ამოებაა“, ამრიგად, არჩილის ლექსი თითქოს ერთ სრულ „ბრუნს“ ასრულებს და წრე იკვრება.

მოძრაობა ბაროკოს ხელოვნებისთვის დამახასიათებელი ნიშანია, არჩილის ლექსი „ბრუნავს“, ბრუნვა კი იგივე მოძრაობაა, მოძრაობა კი უან რუსეს მიერ ჩამოყალიბებული ბაროკოს ოთხი მთავარი კატეგორიიდან ერთ-ერთია (Chédozeau 1989: 22). ამავე დროს, რენესანსისა და ბაროკოს ხელოვნების შეპირისპირებისას ცნობილმა ხელოვნებათმცოდნებმა, ჰაინრიხ ვიოლფლინმა გამოავლინა ხელოვნების ისტორიის ხუთი ძირითადი წყვილი: 1) ხაზოვანი – სურთხატოვანი, 2) სიბრტყე – სიღრმე; 3) დახურული ფორმა – ღია ფორმა; 3) სიმრავლე – ერთობა; 5) მკაფიობა – ბუნდოვნება, რაც შემდეგ საფუძვლად დაედო ბაროკოს ლიტერატურული შესაბამისობების გამოვლენას. ვიოლფლინი განმარტავს, რომ სურათხატოვანი ემყარება მოძრაობის ილუზიას (ველფლინ 2004: 73). სურათხატოვანი სტილის მიზანი არის მოძრაობის ილუზიის გამოწვევა. პირველი, რაც ინვევს ამ შთაბეჭდილებას, არის სინათლისა და ჩრდილის განაწილება, მეორე კი არის სწორხაზოვნების დარღვევა, ვინაიდან ყოველივე სწორხაზოვანი მკვდარი, უძრავი და არასურათხატოვანია (ხაზი ჩემია – მ.ნ.) (ველფლინ 2004: 77). და, ყველაზე მნიშვნელოვანი, რასაც თვალსაჩინოდ ვხედავთ არჩილის ლექსში, რომელშიც ყოველი სიტყვა ზიგზაგის საკუთარ ტრაექტორიას ქმნის: „მოძრაობის შემდგომი ილუზიის მისაღებად გამოსახულებას მთლიანად ან მის მნიშვნელოვან ნაწილს განალაგებენ ცერად მაყურებლის მიმართ“ (ველფლინ 2004: 77). სურათხატოვანი სტილის მესამე ნიშნად ვიოლფლინი გამოყოფს მოუხელთებლობას. „სურათხატოვან უნესრიგობას“ შეიძლება მივაკუთვნოთ გამოსახვის იმგვარი მანერა, როდესაც ცალკეული საგნები არ არის ნარმოდენილი მთელი სიცხადით, ისინი ნაწილობრივ დაფარულია. ერთი საგნით მეორეს დაფარვა სურათხატოვან სტილში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია. ყველაფერი, რაც შეიძლება თვალმა მაშინვე შენიშნოს, სურათს მოსაწყენს ხდის, ამიტომ ხდება ნახატის ნაწილების შენილბვა და ამით ფანტაზიის ნაქეზება, რათა ფანტაზიამ ამოიცნოს დაფარული და მაშინ იქმნება შთაბეჭდილება, რომ ნახევრად დააფრული თავად ისწრაფის მზის სინათლისკენ (ველფლინ 2004: 78-79). ზიგზაგი, რომელსაც არჩილის ამ ლექსში ჩვენს მიერ გამუქებული სიტყვის ტრაექტორია ქმნის (დანარჩენი ოთხიდან ნებისმიერის გამოკვეთისას იგივე სურათს ვიღებთ) სწორედ მოძრაობის ამ ილუზიის ვიზუალური გამოხატულება და არჩილის ბრწყინვალე მიგნებაა.

**სწავლულ კაცთა პოეტური თამაშები: ეკლესიასტესეული ამაოება და წრებრუნვა  
არჩილის „ჩარხებრ მბრუნავ ლექსში“**

ვფიქრობთ, არჩილის ლექსში ისეთ მოვლენასთან გვაქვს საქმე, როგორიც ფარდობითი მოძრაობის კატეგორიაა, რაც განმარტებულია, როგორც მოძრაობის ჭვრეტა, აღქმის მიმართულობა, ვიზუალური კავშირებისა და ვიზუალური რიგის ცვლილება (Заяц 2016: 100). ვიზუალური რიგის, ამ შემთხვევაში, გრაფიკულად გამოსახული სიტყვების თანამიმდევრობის ცვლილება „ჩარხებრ მბრუნავ“ ლექსში ვიზუალურად თვალსაჩინოა.

**„ჩარხებრ მბრუნავი“ ლექსი და ბაროკოს გონბამახვილობა.** არჩილის ამ ლექსში ფორმა და შინაარსი პოეზიისთვის მოულოდნელი ტექნიკით ერწყმის ერთმანეთს. მეფე-პოეტის ეს უაღრესად ორიგინალური ლექსი როგორც ბიბლიის ღრმა ცოდნას, ისე წარმოსახვის დიდ უნარს მოითხოვდა, რათა საბოლოოდ რთული ჩანაფიქრი განეხორციელებინა და ლექსისთვის სრულიად ახალი, ბრუნვის განზომილება მინიჭებინა. აქ კი უნდა გავიხსენოთ ბაროკოს თეორეტიკოსები: ბალთაზარ გრასიანი (1601-1658) და ემანუილე თეზაურო (1592-1675). ცხადია, არჩილისთვის უცნობი იყო მისი უფროსი თანამედროვე თეორეტიკოსების ნაშრომები, მიუხედავად ამისა, „ჩარხებრ მბრუნავი ლექსი“ სრულად შეესაბამება დებულებებს, რომლებსაც ისინი ბაროკოს პოეტურ ხელოვნებას უყენებდნენ. ბალთაზარ გრასიანის რიტორიკული ტრაქტატი „გონბამახვილობა ანუ სხარტი გონების ხელოვნება“ (1648), შეიცავს ბაროკოს მეტაფორის განვრცობილ თეორიას. ესთეტიკური აზრის ისტორიაში პირველად, გრასიანი ნანარმოების შეფასების კრიტერიუმად იყენებს გემოვნებას (gusto). მის ტრაქტატში ფორმულირებულია ძირითადი მოთხოვნები ხელოვნებისადმი, რომელიც ორიენტირებულია მცოდნეთა და დამფასებელთა ვიწრო წრეზე, „სულის არისტოკრატებზე“. ამგვარი ხელოვნებისადმი გრასიანის უპირველესი მოთხოვნა არის სირთულე, ფორმის გართულებულობა, რაც მიმართულია „ვულგარულობის“ და „საყოველთაოდ გასაგებობის“ ნინააღმდეგ. გრასიანის აზრით, მხატვრული შემეცნების კრიტერიუმი, მეცნიერული შემეცნებისგან განსხვავებით არა წესებია, არამედ გემოვნება, რომლიც გაგებულია, როგორც გონების ინტუიტიური საქმიანობის უნარი. შემოქმედებითი პროცესის ეს პოტენციური შესაძლებლობა, გრასიანის თანახმად, რეალიზდება „გონებამახვილობაში“ ანუ „სხარტი გონების ხელოვნებაში“ (Жирмунская ... 1987: 13). იტალიელმა პოეტმა, ხელოვნებისა და ლიტერატურის თეორეტიკოსმა, ბაროკოს ეპოქის უმნიშვნელოვანესი თეორიული ნაშრომის – „არისტოკრელეს დურბინდის“ (1655) – ავტორმა, ემა-ნუილე თეზაურომ, არისტოკრელეს „რიტორიკაში“ იპოვა ის ელემენტები, რომლებიც თავისი ესთეტიკური სისტემის შესაქმნელოვანესი თეზაურო ამტკიცებდა, რომ პოეტური ქმნილებების სამყარო, რომელიც ფანტაზიამ წარმოშვა, თავისი საკუთარი, რაციონალური აზროვნებისა და ლოგიკისგან განსხვავებული კანონებით ცხოვრობს. თეზაურომ საკმაოდ მწყობრი მოძღვრება შექმნა გონებამახვილობის შესახებ. გონებამახვილობა მას ესმის როგორც გონების ერთ-ერთი გამოვლინება, გონებამახვილური ჩანაფიქრში (concretto) კი არის ღვთაებრივი გონის ნაწილი. გონებამახვილო-

ბის ორ მთავარ თვისებას, გამჭრიახობასა და მრავალმხრივობას შორის თეზაურო განსაკუთრებით მრავალმხრივობას აფასებდა. იგი წერდა, რომ გამჭრიახობას შეუძლია შეაღწიოს საგნების ფარული თვისებების არსში: „სუბსტანციაში, მატერიაში, ფორმაში, შემთხვევითობაში, თვისებაში, მიზეზში, მიზანში, საპირისპიროში, უმაღლესში, უმდაბლესში და ასევე ემბლემებში“, მრავალმხრივობა კი სწრაფად ახერხებს მოიცვას როგორც ყველა მათგანი, ისე მათი ურთიერთმიმართებანი და ურთიერთკავშირები, იგი „აერთიანებს და აცალკევებს, ზრდის და ამცირებს, გამოყავს ერთი მეორედან და გასაოცარი მოხერხებულობით ათავსებს ერთს მეორეს ადგილზე“. თეზაურო დასძენს, რომ ყველა ეს თვისება დამახასიათებელია მეტაფორისტვის, რომელიც არის „პოეზიის, გონებამახვილობის, ჩანაფიქრის, სიმბოლოების დედა“ (Голенищев-Кутузов 1987). ბაროკოს მეტაფორმიზმის სპეციფიკასთან დაკავშირებით საინტერესო დაკვირვება აქვს გამოთქმული ი. ლოტმანს. მისი განმარტებით აქ ჩვენ ვაწყდებით იმას, რომ ტროპები (საზღვრები, რომლებიც გამოყოფენ ერთი სახეობის ტროპს მეორესგან, ბაროკოში უაღრესად მყიფე ხასიათს იღებენ) არ წარმოადგენენ გამოხატვის ერთი პლანის ელემენტების გარეგნულ ჩანაცვლებას მეორეთი, არამედ ცნობიერების განსაკუთრებული მეთოდის შექმნას. მაშასადამე, მეტაფორა ბაროკოში არა მხოლოდ თხრობის მოკაზმვის საშუალებაა, არამედ ცნობიერების განსაკუთრებული წყობის შექმნის მეთოდია (Лотман 1992: 174).

**ფიგურული ლექსები – პოეტური თამაშის ხელოვნება.** პოეზიაში ვერბალური და იკონოგრაფიული ელემენტების კომბინაცია „არ ახალია, ძველია“. ანტიკური ხანიდან მოყოლებული ფართოდ არის ცნობილი პოეტური ტექსტისა და გრაფიკული გამოსახულების ჰარმონიული შერწყმის ნიმუშები, ისეთები, როგორიც არის ტექნოპეგნია, ფიგურულ პოეზიადვე განიხილება აკროსტიქები, ტელესტიქები, ლაბირინთები და სხვა გრაფიკული ფორმები. მრავლისმეტყველია, რომ ბერძნული ტერმინი *technopaeonia* ორი სიტყვის შეერთებით არის მიღებული: τέχνη – ხელოვნება, ხელობა და παιγνιον – თამაში, გართობა. მოვიანებით, ახ.ნ. IV საუკუნეში ჩჩდება უკვე ფიგურული ლექსის ახალი ფორმა – *carmen figuratum*-ი (მომდინარეობს lat. *carmen* – ლექსი, *figuro* – ფორმის მიცემა), რომელიც რთულ მათემატიკურ გათვლებზე იყო დამყარებული. აქედან ცხადია, რომ ფიგურული ლექსები ყოველთვის განსაკუთრებულ ინტელექტუალურ წრებში იქმნებოდა, მათი ავტორები უბრალოდ პოეტები არ ყოფილან, ისინი იმავდროულად ღრმად განსავლული ადამიანები და მეცნიერები იყვნენ. ამიტომ, ფიგურული ლექსების შექმნა უბრალო გართობა არ ყოფილა, სწავლულ კაცთა ეს თამაში მათი ცოდნისა და ოსტატობის დემონსტრირებას ემსახურებოდა (ნაჭყებია 2018: 110-111). პოიზინგა წერს: „თამაში – ეს არის ფუნქცია, რომელიც აღსავსეა აზრით. ყოველი თამაში რაღაცას ნიშნავს. როგორც არ უნდა განვიხილოთ იგი, ნებისმიერ შემთხვევაში თამაშის ეს მიზანმიმართულობა შობს რაღაც არამატერიალურ სტიქიას, რომელსაც თავად თამაშის არსი მოიცავს“

(Хეიзингა 1997: 20). თამაშის ამ ფუქსიიდან გამომდინარე ვფიქრობთ, რომ არჩილის „ჩარხებრ მბრუნავი ლესი“ ინტელექტუალური თამაშის შედეგია და მას საკმაო ძალისხმევა, გარკვეული გაანგარიშებების გაკეთება და დიდი ფანტაზია დასჭირდებოდა იმისთვის, რომ საბოლოო მიზნისთვის მიეღწია და ლექსში წრებრუნვის ილუზია შეექმნა.

როგორც რ. გორდეზიანი აღნიშნავს, გვიანკლასიური პერიოდიდან მოყოლებული, ავტორისა და აუდიტორის ურთიერთობაში წერილობით ფიქსირებული ტექსტი თანდათანობით დომინანტურ მნიშვნელობას იძენს. მნერლებს აღარ აკმაყოფილებდათ ტექსტის მხოლოდ ძირითადი ფუნქციით, ანუ ინფორმაციის ფიქსირებითა და გადაცემით შემოფარგვლა და აქტიურად მიმართეს ექსპერიმენტებს მისი ვიზუალური ეფექტის ინსტრუმენტად ქცევისთვის, ხოლო ვინაიდან ტექსტის ვიზუალური ზემოქმედების ხერხთა შესაბამისად გამართვა სემანტიკური, ანუ შინაარსობრივი ასპექტების შეთანხმებას მოითხოვდა, რაც ტექსტის გარკვეულ მხატვრულ პრინციპებთან შესაბამისობას გულისხმობდა, ამისთვის დახელოვნებულობა ანუ მხატვრული შემოქმედების გარკვეული კანონების ცოდნა იყო აუცილებელი. ამ შემთხვევაში პოეტიკის კანონთა ცოდნა და ფორმით, ანუ ტექსტის ვიზუალურად გამოსახვის საშუალებებით თამაში ერთმანეთთან იყო შერწყმული (გორდეზიანი 2016: 69).

ბაროკოს ეპოქის შემოქმედებისთვის მიმზიდველი იყო ყოველივე უჩვეულო, სიახლისკენ სწრაფვა კი ფიგურული ფორმების გამრავალფეროვნებას იწვევდა, ეს კი შემთხზველის ფანტაზიაზე იყო დამოკიდებული. საყურადღებოა, რომ ჯორჯ პუტენჰამმა „ინგლისური პოეზიის ხელოვნებაში“ (1589) პოეტებს ფიგურული ლექსების შესაქმნელად მიუთითა მთელი რიგი გეომეტრიული ფიგურებისა, რომელთა შორის ერთ-ერთი წრის ფორმაა. ფიგურულ პოეზიაში მის ყველაზე მნიშვნელოვან წვლილად სწორედ პოეტების მიერ გამოსაყენებელი ფორმების ჩამონათვალი და მათი აღნერილობაა მიჩნეული (Cano-Echevarría 2017: 9-10). როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, არჩილის თხზულებათა 1936 წლის გამოცემაში „ჩარხებრ მბრუნავ“ ლექსს აღ. ბარამიძის მიერ დართული უაღრესად მნიშვნელოვანი შენიშვნა ახლავს: „პირველი სტროფის ტაქტები დედანში დაწყობილია წრის (ჩარხის) ფორმითაც“ (ხაზი ჩემია – მ.ნ.) (არჩილიანი 1936: 19), რის საფუძველზეც შეგვიძლია გამოვიტანოთ დასკვნა, რომ აქ წრის ფორმის ფიგურულ ლექსთან გვაქვს საქმე. არჩილის ამ ლექსის წრიულ ფორმაზე დ. კობიძემაც გაამახვილა ყურადღება (კობიძე 1967: 10). თუმცა არჩილი გაცილებით უფრო შორს წავიდა და ცხოვრებისეული მოვლენების წრებრუნვის, უშუალოდ მოძრაობის გამოსახვა ლექსში სიტყვების გადაადგილების გარკვეული ლოგიკისთვის დამორჩილებით განახორციელა. არჩილის „ჩარხებს მბრუნავ“ ლექსში სრულიად ნოვატორული და ორიგინალური არის ის, რომ ლექსი წრეს კი არ ეძღვნება, როგორც ეს უმეტესწილად არის ხოლმე ტექნოპეგნიების შემთხვევაში, არამედ ისეთ მოვლენას, როგორიც არის წუთისოფლის წრე-

ბრუნვა, რომელიც თავის მხრივ ერთადერთტაეპიანი ლექსისი საკვანძო სიტყვას – ამაოებას, „ამოებას“ უკავშირდება და ეკლესიასტები აღწერილ წუთისოფლის წრებრუნვას, ცხოვრებისეული მოვლენების ციკლურობის გრაფიკულ გათვალსაჩინოებას წარმოადგენს. ბაროკოს მრავალფეროვან ფიგურულ პოეზიაში ვერ მივაკვლიერ „მბრუნავ“ ლექსს; მაგრამ აღმოჩნდა, რომ მსგავსი ტიპის პოეზია თითქმის სამი საუკუნის შენდეგ, XX საუკუნეში შეიქმნა პერმუტაციული პოეზიის სახელწოდებით და საყურადღებოა, რომ პერმუტაციული პოეზიის შექმნაში კომპიუტერული ტექნოლოგიები მონაბილობს (Funkhouser 2007: 39).

**დასკვნა.** ბაროკოს ეპოქის შემოქმედთა წარმოდგენით ცხოვრება არამდგრადია და მისთვის დამასახიათებელია ცვალებადობის იმანენტური მდგომარეობა. სამყაროს ცვალებადობის იდეამ, მისმა განუწყვეტელმა მოძრაობამ დროსა და სივრცეში განაპირობა ბაროკოს მხატვრული მეთოდის ისეთი თვისებები, როგორიცაა მაგალითად, არაჩვეულებრივი დინამიზმი და ექსპრესიულობა, მიღრეკილება მოძრაობისკენ. დინამიური და მყისიერად ცვალებადი სამყარო ავტორთა გრძნობებისა და მათთან დაკავშირებული ემოციების მთელ დიაპაზონს იტევდა, ესენია რელიგიური მოტივები, წარმავლობის, სამყაროს ხრნიადობის, სიკვდილისა და განწირულობის თემები და ამავდროულად – ჰედონიზმი, როგორც ამ განცდების ანტითეზა, ხოლო ბაროკოს მხატვრული კონცეფციის შემოქმედებითი სიძლიერე გონებამახვილობაა, გონებამახვილობის საფუძველი კი შეუთავსებელის შეთავსებაა და განსაკუთრებული დამოკიდებულებაა მეტაფორს მიმართ, რაც ბაროკოს ესთეტიკის თვალსაზრისით იძლევა საშუალებას, რომ უფრო დახვენილად გადმოიცეს მხატვრული ჩანაფიქრი. ამიტომ სრულად ვიზიარებთ თ. დოიაშვილის მოსაზრებას, რომ „ჩარხებრმბრუნავი ლექსი“ წარმოდგენას გვიქმნის არა მარტო ავტორის, არამედ გარკვეული ეპოქის ესთეტიკურ გემოვნებაზე“ (დოიაშვილი 2003: 352) და 1924 წელს კ. კეკელიძის შეფასებას, რომელიც, თანამედროვე ტერმინით რომ ვთქვათ, არჩილის შემოქმედების რეცეფციის საკითხებაც ეხება და მეტად მნიშვნელოვან მოსაზრებას გამოთქვამს, როდესაც წერს, რომ შემდგომმა თაობამ დაკარგა თანამედროვეთა ალლო და გაგება არჩილისა (კეკელიძე 1924: 421). კეკელიძის ამ დაკვირვების საგულისხმო პარალელს წარმოადგენს ის, რომ „ბაროკოს“ როგორც ლიტერატურული ტერმინის პირველი გამოყენება გვიან XIX და ადრე XX საუკუნეში ემთხვევა ლიტერატურული გემოვნების შეცვლას, რამაც გამოიწვია განახლებული ინტერესი XVII საუკუნის პოეზიის მიმართ (Warnke 1992: 160-161).

ბაროკოს ესთეტიკა მიმართულია ყოვლივლგვარი ტრივიალობის წინააღმდეგ, ამ ეპოქის შემოქმედთათვის უმნიშვნელოვანესია გამოიწვიონ გაკვირვება და გაოცება სიახლით. არჩილი, რომელიც თავს იწონებს ლექსის ახალი ფორმის გამოგონებით, არ ფარავს აღფრთოვანებას და ამბობს: „ეს ლექსი ჩარხებ გმბრუნავი ან მოვიგონე უმენლად“-ო. ეს

**სწავლულ კაცთა პოეტური თამაშები: ეკლესიასტესეული ამაოება და წრებრუნვა  
არჩილის „ჩარხებრ მბრუნავ ლექსი“**

---

პირველმთქმელის გულწრფელი სიხარული და ემოციაა. მიგვაჩნია, რომ სწორედ გრასიანისეული „სხარტი გონების ხელოვნების“ და თეზაუროსეული გონებამახვილობით და მრავალმხრივობით არის შექმნილი არჩილის „ჩარხებრ მბრუნავი ლექსი“, რომელიც წუთისოფლის მეტაფორას – „ჩარხთა ბრუნვას“ – ორმაგი მნიშვნელობით იყენებს: როგორც ეკლესიასტესეულ წრებრუნვას და როგორც ლექსის გამართვის ტექნიკას. ორმაგი მნიშვნელობაც ხომ ბაროკოს განუმეორებლობის, ერთადერთობის ესთეტიკის ლიტერატურული შესაბამისობა (Chédozeau 1989: 23). არჩილის ლექსიც ისევე „ბრუნავს“, როგორც წუთისოფელის მოვლენები „ეკლესიასტეში“ და ეს ორმაგი კავშირი კიდევ უფრო თვალსაჩინოს ხდის ქართული ბაროკოს ამ ბრწყინვალე ნიმუშის განსაკუთრებულ ორიგინალურობას და მისი შემქმნელის ნიჭისა და წარმოსახვის უნარის მასშტაბს.

**დამოწმებანი:**

- Abuladze, Ilia. *Dzveli Kartuli Enis Leksik'oni*. Tbilisi: gamomtsemloba „metsniereba“, 1973 (აბულაძე, ილია, ძველი ქართული ენის ლექსიკონი. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“ 1973).
- Archiliani. *Tkhzulebata Sruli K'rebuli Or Tomad*. Al. Baramidzis da N. Berdzenishvilis redaktsiit. T'pilisi: gamomtsemloba „Sakartvelos muzeumi“, 1936 (არჩილიანი. თხზულებათა სრული კრებული ორ ტომად. ალ. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით. ტფილისი: „საქართველოს მუზეუმი“, 1936).
- Archili. *Tkhzulebata Sruli K'rebuli Ert Tomad*. T'ekst'i gamosatsemad moamzades, leksik'oni da sadzibeli daurtes I. Lolashvilma, L. K'ek'elidzem da L. Dzots'enidzem, gamok'vleva R. Baramidzis. Tbilisi: Gamomtsemloba „merani“ 1999 (არჩილი. თხზულებათა სრული კრებული. ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, ლექსიკონი და საძიებელი დაურთეს ი. ლოლაშვილმა, ლ. კეკელიძემ, ლ. ძონენიძემ. გამოკვლევა რ. ბარამიძისა, თბილისი: გამომცემლობა „მერანი“, 1999).
- Baramidze, Aleksandre. *Nark'vevebi Kartuli Lit'erat'uris Ist'oriidan. II. XV-XVII*. Tbilisi: St'alinis sakhelobis Tbilisis sakhelmts'ipo universit'et's gamomtsemloba, 1940 (ბარამიძე, ალექსანდრე. ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. II, XV-XVII. თბილისი: სტალინის სახელობის თბილისი სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1940).
- Baramidze, Revaz. „Archili“. *Kartuli Lit'erat'uris Ist'oria*. T'o. II (XVII-XVIII ss). Tbilisi: gamomtsemloba „sabch'ota sakartvelo“, 1966 (ბარამიძე რევაზ. „არჩილი“. ქართული ლიტერატურის ისტორია. ტ. II (XVII-XVIII სს). თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1966).
- Bibliya. *Knigi Svyashchennogo Pisaniya. Vekhogo i Novogo Zaveta*. Kanonicheskie v russkom perevode s obzorom yasnitel'nym vstupleniem k kazhdoi knige Biblii i primechaniyami Ch. I. Skoufilda (C. I. Scofield) s angliiskogo izdaniya 1909 goda. Moskva, 1987 (Библия. Книги Священного Писания. Ветхого и Нового Завета. Канонические в русском переводе с объяснительным вступлением к каждой книге Библии и примечаниями Ч. И. Скоуфилда (С. И. Scofield) с английского издания 1909 года. Москва, 1987).
- Cano-Echevarría, Berta. “Puttenham’s failed design: The fake genealogy of English pattern poetry”. *Cahiers Élisabéthains: A Journal of English Renaissance Studies XX(X)*, (2017): 1-17.
- Chauveau, Jean-Pierre. *Lire le baroque*. Paris: DUNOD, 1997.

- Chédozeau, Bernard. *Le baroque*. Paris: NATHAN, 1989.
- Chubinashvili, Niko. *Kartuli Enis Leksik'oni. Kartuli targmaniturt Al. Ghlont'i redaktsiita da gamomtsemloba „sabch'ota Sakartvelo“*, 1961 (ჩუბინაშვილი, ნიკო. „ქართული ენის ლექსიკონი ქართული თარგმანითურთ აღ. დღონების რედაქციითა და გამოკვლევით. თბილისი: სახელმწიფო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1961).
- Doiashvili, Teimuraz. „Kartuli Leksi XVII Sauk'uneshi“. *Lit'erat'uruli Dziebani* XXIV. 2003: 348-354 (დოიაშვილი, თეიმურაზ. „ქართული ლექსი XVII საუკუნეში. არჩილი“. ლიტერატურული ძეგბანი XXIV, 2003: 348-354).
- Eklesiast'e. Mtskheturi Khelnats'eri. Gamosatsemad moamzada E. Dochchanashvilma*. Tbilisi: gamomtsemloba „metsnireba“, 1985 (ექლესიასტე. მცხეთური ხელნანერი. გამოსაცემად მოამზადა ე. დოჩანაშვილმა. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1985).
- Funkhouser, C. T. *Prehistoric Digital Poetry. An Archaeology of Forms, 1959-1995*. Tuscaloosa : The University of Alabama Press, 2007.
- Golenishchev-Kutuzov I. N. “Teoretiki barokko”. *Istoriya Vsemirnoi Literatury. Literatura Zapadnoi Evropy XVII v. Istoriya Vsemirnoi Literatury v 8 Tomakh*. AN SSSR; Inst. mirovoi lit. im. A. M. Gor'kogo. Moskva: Nauka, 1983-1994. T. 4. 1987. WEB. June 6, 2021. <http://17v-euro-lit.niv.ru/17v-euro-lit/ivl/teoretiki-barokko.htm> (Голенищев-Кутузов И. Н. “Теоретики барокко”. *История всемирной литературы. Литература Западной Европы XVII в. История всемирной литературы: В 8 томах*. АН СССР; Ин-т мировой лит. им. А. М. Горького. Москва: “наука”, 1983-1994. Т. 4. 1987. Веб. 6 июня, 2021. <http://17v-euro-lit.niv.ru/17v-euro-lit/ivl/teoretiki-barokko.htm>).
- Gordeziani, Rismag. *Innovatsia, Pormalizmi, Avangardi Ant'ikur Lit'erat'urashi*. Tbilisi: gamomtsemloba „logosi“, 2016 (გორგეზიანი, რისმაგ. ინნოვაცია, ფორმალიზმი, ავანგარდი ანტიკურ ლიტერატურაში. თბილისი: გამომცემლობა „ლოგოსი“, 2016).
- Grigor'ev, V. P. *Poetika Slova*. Moskva: “nauka”, 1979. (В. П. Григорьев. Поэтика слова. Москва: “наука”, 1979).
- Kartuli Enis Ganmart'ebiti Leksik'oni*. P'rof. Arnold Chikobavas saerto redaktsiit. T'. VIII. Tbilisi: gamomtsemloba „metsnireba“, 1964 (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. პროფ. არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით. ტ. VIII. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1964).
- K'ek'elidze K'orneli. *Kartuli Lit'erat'uris Ist'oria. T'omi II. Saero Mts'erloba XI-XVIII s.* T'bilisi: gamomtsemeli T'oma Chikvanaia, 1924 (კეკელიძე, კორნელი. ქართული ლიტერატურის ისტორია. II ტომი. საერთო მწერლობა XI-XVIII ს. ციფრისი: გამომცემელი თომა ჩიქვანაია, 1924).
- K'ek'elidze K'orneli, *Kartuli Lit'erat'uris Ist'oria. T'omi II*. Tbilisi: TSU gamomtsemloba, 1958 (კეკელიძე, კორნელი. ქართული ლიტერატურის ისტორია. II. თბილისი: თსუ გამომცემლობა, 1958).
- Kheizinga, I. *Homo Ludens. Stat'i po Istorii Lul'tury*. Moskva: “progress - Traditsiya”, 1997 (Хейзинга, Й. *Homo Ludens. Статьи по истории культуры*. Москва: “прогресс - Традиция”, 1997).
- K'obidze, Davit. „Charkhebr Mbrunavi Leksi“. *Drosha*. № 12 (373), 1967: 10 (კობიძე, დავით. „ჩარხებრ მბრუნავი ლექსი“. დროშა № 12 (373), 1967: 10).
- Lotman Yu.M. *Izbrannye Stat'i v Trekh Tomakh. Tom I. Stat'i po Semiotike i Topologii Lul'tury*. Tallin: “Aleksandra”, 1992 (Лотман Ю.М. Избранные статьи в трех томах. Том I. Статьи по семиотике и топологии культуры. Таллин: “александра”, 1992).

- Nach'kebia Maia. „Renesansuli Ant'rop'otsent'rizmidan Barok'oul Teotsentrizmamde“. *Sjani, zhurnali lit'erat'uris teoriasa da shedarebit lit'erat'uratmtsodneobashi*, 17, 2016: 15-25 (ნაჭყებია, მაია. „რენესანსული ანტროპოცენტრიზმიდან ბაროკოულ თეოცენტრიზმამდე“. სჯანი, ჟურნალი ლიტერატურის თეორიასა და შედარებით ლიტერატურამცოდნეობაში, 17, 2016: 15-25).
- Nach'kebia Maia. „Út pictúra poésis“, anu „Leksi Nakhat's Hgavs (t'eknop'egniebidan „rk'inabet'oni poeziamde“). *Lit'erat'uruli Dziebani* XXXIX. 2018: 109-130 (ნაჭყებია მაია. „Út pictúra poésis“, ანუ „ლექსი ნახატი ჰგავს“ (ტექნოპეგნიებიდან „რკინაბეტონის პოემებამდე“). ლიტერატურული ძიებანი XXXIX. 2018: 109-130).
- Nachkebia Maia. „The Theme of the Original Sin in Georgian Baroque Literature“. *Pro Georgia. Journal Of Kartvelological Studies № 29*. Warsaw (2019): 109-118.
- Orbeliani, Sulkhan-Saba. *Sit'q'vis K'ona*. Tbilisi: Sakartvelos sru sakhelmts'ipo gamomtsemloba, 1949 (ორბელიანი, სულხან-საბა. სიტყვის კონა. თბილისი: საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობა, 1949).
- Plavskin, N. A (Ed.). *Istoriya Zarubezhnoi Literatury XVII Veka*. Moskva: vysshaia. shkola, 1987 (Плавскин, З. И. (Ред.). *История зарубежной литературы XVII века*. Москва: “высшая школа”, 1987).
- Sakartvelos Sapat'riarko. *Biblia*. Tbilisi: 1989 (საქართველოს საპატრიარქო. ბიბლია. თბილისი, 1989).
- Teimuraz P'irveli. *Tkhzulebata Sruli K'rebuli*. T'eksti, gamok'vleva, leksik'oni Al. Baramidzis da G.Jak'obias redaktsii. T'pilisi: gamomtsemloba „pederatsia“, 1934 (თეოდურაზ პირველი. თხზულებათა სრული კრებული. ტექსტი, გამოკვლევა, კლექსიონი აღ. ბარამიძის და გ. ჯავაბიას რედაქციით. ტფილისი: გამომცემლობა „ფედერაცია“, 1934).
- Vel'flin, Genrikh. *Renessans i Barokko. Issledovanie Sushchnosti i Stanovleniya Stilya Barokko v Italii*. Sankt-Peterburg: „azbuka-klassika“, 2004 (Вёльфлин, Генрих. *Ренессанс и барокко. Исследование сущности и становления стиля барокко в Италии*. Санкт-Петербург: азбука-классика, 2004).
- Warnke, Frank. „The Baroque from the Mediterranean to Northern Europe“. Comparative Literary History as Discourse: In Honor of Anna Balakian. Ed. Valdes, Mario, J. Bern: Peter Lang International Academic Publishers, 1992.
- Zayats, S. „Dvizhenie kak Kategorija Arkhitektury“. *Ontologiya Proektirovaniya*, tom 6, № 1(19). (2016): 95-105 (Заяц, И. С. „Движение как категория архитектуры“. *Онтология проектирования*, том 6, № 1(19). (2016): 95-105).
- Zhirmunskaya N. A., et al. *Istoriya Zarubezhnoi Literatury XVII veka*. M.: vyssh. shk., 1987 (Жирмунская, Н. А. ... *История зарубежной литературы XVII века*. М.: Выш. шк., 1987).

**Maia Nachkebia  
(Georgia)**

## **Poetic Games of Scientist Men: Vanity and Circulation from the Book of Ecclesiastes in Archil's 'Verse Rotating Like Grinding Wheel'**

### **Summary**

**Key words:** Archil II, Verse rotating like grinding wheel, Vanity, Baroque, Pattern poetry.

Literary heritage of Archil II Bagrationi (1647-1713) is extremely rich and diverse. The article is dedicated to the absolutely distinct by its form and content verse among poetic searches of Archil. This is a the 'Verse Rotating Like Grinding Wheel' introduced by the King-poet. Discussed verse is consisting of single line – "This is based on a parable about Vanity" and in ten-strophe verse this one line is repeated 40 times with different order of the words in the line. Attention of the author of the present article was drawn by original inner structure of the verse and extremely witty combination with its content.

Complete collection of Archil's works was published twice in the 20th century: two-volume edition in 1936-1937 and one-volume edition in 1999. The paper pays special attention to the fact that in the 1999 edition of Archil's works the flaw of the previous edition was corrected, where two strophes of the 'Verse Rotating Like Grinding Wheel' were erroneously attributed to the work 'Word on Baptism'. Editors proved that these strophes are the organic part of 'grinding-wheel rotating' verse and that in the edition of 1999 the verse was printed as a whole.

Archil's 'Verse Rotating Like Grinding Wheel' conditionally consists of three parts: the first two strophes are kind of introduction and explanation of the verse; the rest ten strophes represent the I and II parts of the 'Verse Rotating Like Grinding Wheel' itself – "This is based on a parable about Vanity".

The author of the article makes emphasis on the title of the verse and on periphrastic significance of the title with respect to the text. Semantics of the word "grinding wheel" as one of the key words is emphasized, which is associated with definite type movement, rotation and circulation. It seems that this connection between the transient life and its circulation, its permanent inconstancy turned out very attractive for Archil. The author of the article considers that inspiration of the 'Verse Rotating Like Grinding Wheel' is a strophe by David Japaridze mottoed to Archil's earlier work entitled 'The Dispute between Man and the World' (1684), where metaphor on changing ephemeral life is presented as a grinding wheel of the life, which circulates permanently and which laconically expresses the worldview of a Baroque man, his attitude to permanently changing life:

They said: 'The grinding wheel of the world's treachery is eternally turning,  
It gives us delight, we have trouble equally, now help, now grief.'

Let no one pursue it, no-one can reach it, whether you have horse or boat.'

It is said that nobody will remain to the end without resentment.

(English translation by D. Rayfield. (Rayfield 2000: 107)<sup>1</sup>

It appears that this metaphor of David Japaridze made high impression on Archil and he saw tremendous opportunities in it that made him to use grinding wheel-like rotation as a principle of a verse construction and to associate it masterly with the verse essence. „This is based on a parable about Vanity“ is the only line of the verse, and its idea is such: this verse is based on parables about Vanity (comp. Archil’s “Rotation of grinding wheels, interpretation of parables” (‘To Be Interpreted As a Riddle’ (61,4)). Vanity, as a code word plays the role of a bridge stretched between cognition of the author and the reader and is based on Ecclesiastes ideas about Vanity, which became an organic motif for Baroque worldview, because it responded precisely to the spiritual mood and searches of a man of that epoch. The world circulation is unchanged while mysterious are the ways of the Lord. Exactly because of it in the perishable world “Vanity of vanities, all is vanity” (Eccl. 1:2) became a motto of the Baroque epoch.

The author of the article states that in his verse Archil uses both, the semantic significance of the grinding-wheel, which is associated with the circulation and rotation and its metaphoric significance – ‘grinding wheel of the world’, which embodies permanent changes of transient life.

In the epoch of Baroque, feeling of vanity is associated with the theme of eternal change of the world. Ecclesiastes at the same time is a work impregnated with poetry and philosophy. On the one hand it deals with the ideas about time flow, cyclic reiteration of processes of the nature, inevitability of death which equalizes all, and on the other hand Ecclesiastes shows vanity of everything which prevents a man to be calm.

Exactly „Vanity“ of Ecclesiastes – illusiveness, temporality, cyclicity of events, rotting of everything and idea of vanity is expressed in Archil’s ‘Verse Rotating Like Grinding Wheel’ by extreme minimalism. Making mention of the term „Vanity“ he reminds his contemporary reader the whole text of Ecclesiastes with its thorough discussions and conclusions. Thus, the prototext of this Archil’s verse is „Ecclesiastes“.

Archil’s ‘Verse Rotating Like Grinding Wheel’ which was created by reiteration of only one line, is a spatially structured verse. Archil rotates the only line „This is based on a parable about Vanity“, as a grinding wheel, like a life is rotating. The line is focused on the semantics of the lexeme “Vanity” and on the symbolic religious load which was understood by a man of that epoch and was associated with Ecclesiastes, while spatial original and mindful organization of textual form grants it additional and unexpected, and at the same time, witty significance. Words of the line in the ten-strophe verse that is divided into two, are rotating as the transient world in the Book of Ecclesiastes.

The paper shows how the verse “rotates” and is pointed out that in both parts of the verse Archil bases the trajectory of words displacement on the certain principle and these principles differ from each other, which is rather vivid when we darken one word in the entire verse.

---

1 Rayfield, Donald. *The Literature of Georgia. A history*. Curzon Press: 2000.

Archil's verse "rotates" and rotation is movement, while movement is one of the four categories of Baroque. Confronting Renaissance and Baroque art the famous art historian, Heinrich Wölfflin singled out five major couples in art history, among which the first confronting couple is "linear \_ painterly". The goal of painterly style is to incite illusion of movement. The first, which causes this impression is distribution of the light and shade, the second is derangement of linearity, because all that is linear is dead, immovable and non-painterly. Archil's verse shows clearly that every word creates its own zigzag trajectory. Wölfflin identifies the third sign - elusiveness. We can attribute such manner of impression to "painterly disorder", when separate, definite objects are not presented fully, clearly, when they are partly covered. According to Wölfflin, covering of one object by other one in painterly style is one of the most important. All, an eye can detect immediately, makes a picture boring and for this reason parts of a painting are concealed, thus encouraging fantasy to detect the hidden.

According to the opinion of the author we have to deal with the phenomenon such as relative movement category. Zigzag, which in Archil's discussed verse creates a trajectory of darkish words, is namely visual representation of this movement and this is Archil's splendid find.

This extremely original verse of Archil required deep knowledge of the Bible as well as tremendous imagination to implement finally the complex idea and to grant absolutely new, circulation dimension to the verse.

In the 1936 year's edition of Archil's works the 'Verse Rotating Like Grinding Wheel' is accompanied by an extremely important note, where we read that the lines of the first strophe of the 'Verse Rotating Like Grinding Wheel' in the manuscript are arranged in the form of a circle (grinding wheel) too, on the base of what we can conclude that we have to deal with the pattern poem. Pattern poems always were created in intellectual circles; their authors were not just poets, simultaneously they were deeply educated people and scholars. 'Grinding wheel-like verse' by Archil is namely a result of such intellectual game. In the rich pattern poetry of Baroque epoch author of the article couldn't find 'rotating' (circulating) verse; but it turned out that verses of similar type, so called permutation poetry, was created in the 20th century.

Aesthetics of Baroque is directed against all trivial; for its creators the most important is to incite surprise and amazement by its novelty. According to the author of the article right in the spirit of Baltasar Gracián's *Wit and the Art of Inventiveness* and Emanuele Tesauro's wittiness and versatility is created Archil's 'Verse Rotating Like Grinding Wheel', which uses metaphor of life – "grinding wheel-like rotation" in two meanings: as Ecclesiastic circulation and as a technique for building a verse. Double meaning is characteristic for Baroque esthetics: Archil's verse visually "rotates" as the transient life events in the Book of Ecclesiastes and this double connection makes still more visible the exquisite originality of this brilliant specimen of Georgian Baroque and the scale of talent and ability of imagination of its creator.

## ნინო პოპიაშვილი (საქართველო)

### ჰაგიოგრაფიული ნაწარმოების ტიპოლოგიური მოდელის განსაზღვრისათვის

ჰაგიოგრაფია წამებულ გმირთა ცხოვრების ასახვაა, ჰაგიოლოგია არის მეცნიერება, რომელიც ჰაგიოგრაფიულ ტექსტებს შეისწავლის, აკვირდება ჰაგიოგრაფიის მოდელებსა და პარადიგმებს, სიმბოლოებს, პერსონაჟის ასახვის თავისებურებებს. ჰაგიოლოგიურ კვლევებში ჰაგიოგრაფიული ჟანრის თხზულებებთან ერთად მოიაზრება ეპოქალური, ისტორიული, სოციალური, კულტუროლოგიური, რელიგიური და სხვა მომიჯნავე დარგების – გვიანანტიკური, ადრეული შუასაუკუნეების, ადრეული ქრისტიანობისა და ქრისტიანობის, რელიგიათმცოდნეობის კვლევები.

ჰაგიოგრაფია ბერძნული სიტყვაა (ბერძნ. Ἅγιος – „წმინდანი“ და γράφω – „ვწერ“) და წმინდანთა ცხოვრების აღწერას ნიშნავს. მიღებულია ტერმინის ორგვარი გაება: ზოგადერისტიანული მნიშვნელობით და ლიტერატურათ-მცოდნეობითი მნიშვნელობით. ადრეული შუასაუკუნეების კვლევებსა და კლასიკურ რელიგიათმცოდნეობაში დამკვიდრებულია შეხედულება, რომ წმინდა, წმინდანი, ისევე როგორც მონამე, მიმბაძველი, მონქე, ყველა რელი-გიის მთავარი მახასიათებელია. შესაბამისად, ჰაგიოგრაფია განისაზღვრება, როგორც წმინდანთა მოსახსენებელი, წმინდანებისადმი მიძღვნილი, წმინ-დანების ცხოვრებისა და ცხოვრების კონკრეტული მონაკვეთის აღწერის შემცველი თხზულება; სასწაულების ამსახველი ტექსტები, ლეგენდები და გადმოცემები, მოკლე და ვრცელი ისტორიები და ამბები (დეტალურად იხ.: Ahmer 1994; Raspe 2006: 27-28).

ჰაგიოგრაფიის, როგორც ჟანრის საწყისებს ვხედავთ ძველი აღთქმის (ებრ. פָּרָשָׁה), თანახის<sup>1</sup> წიგნებში, კერძოდ, მის მესამე ნაწილში – ქეთუბიმი, წმინდა წერილები, ძველქართულად – წერილი. მას ასევე უწოდებენ მამათა სხვა წიგნებს, ან სხვა წერილებს, დანარჩენ წიგნებს, რომელთა საერთო ნიშ-ნით დაჯგუფება ვერ ხერხდება.

ჰაგიოგრაფიის ჩამოყალიბებაში წვლილი მიუძღვის ანტიკური პერი-ოდის ბერძნულ რომანს, როგორც ლიტერატურულ არქეტიპს. მიუხედავად

1 თანახ – თწხ – წარმოადგენს ებრაულ აბრევიატურას და შედგება სამი წაწილისაგან: თანახ – თორა – რჯული, ნებიმ – წინასწარმეტყველნი, ქეთუბიმ – ხერთუბიმ – წე-რილი. რჯული ხუთწიგნეულია, მას უწოდებენ მოსეს ხუთწიგნეულსაც. წინასწარ-მეტყველნი შეიცავს 22 წიგნს, ხოლო წერილი – 13: იობი, რუთი, ფსალმუნი, იგავნი, ქებათა-ქება, ეკლესიასტე, დანიელი, იერემიას გოდება, ეზრა და ნეემია, პირველი და მეორე წემტთა, ესთერი (რელიგიები, 2008).

იმისა, რომ პირველი ჰაგიოგრაფიული თხზულებები წმინდანთა, მოწამეთა ცხოვრებისა და მათი მეწამეობრივი აღსასრულის მოკლე თხრობა იყო, ან-ტიკური რომანის, როგორც პროზაული თხრობის ლიტერატურულ ტრადი-ციას, ქრისტიანული ლიტერატურის, განსაკუთრებით, ჰაგიოგრაფიული ჟან-რის განვითარებაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

ჰაგიოგრაფიის, როგორც ჟანრის წარმოშობა და ძირითადი განვითა-რება კი ქრისტიანობის ადრეული ხანებიდან იწყება და შუასაუკუნეების ბოლომდე მიმდინარეობს. ჰაგიოგრაფიის თეორიული საფუძველი სახარე-ბისეული პარადიგმაა. იესო ქრისტეს ცხოვრება და წამება, ქრისტესა და მისი მოწაფეების ცხოვრების ცალკეული ამბები, ქრისტეს მიმდევრების შთაგო-ნების წყარო და ჰაგიოგრაფიული თხზულებების მთავარი გმირების ღვან-ლისა და მეწამეობრივი აღსასრულის აღმწერთა მთავარი საფუძველი გახდა.

მიუხედავად იმისა, რომ იუდეურსა და ქრისტიანულ ჰაგიოგრაფიას შორის არსებობს მრავალი განსხვავება, მათ შორის, რელიგიური, იდეოლო-გიური, ისტორიული და სხვა, თანამედროვე კომპარატივისტული კვლევები და დაკვირვებები აჩვენებს, რომ ჰაგიოგრაფიული მოდელების მსგავსება ქრისტიანობამდელ და ქრისტიანობის შემდგომ ტექსტებში დასტურდება: „ერთი მხრივ, იუდეური და ქრისტიანული ჰაგიოგრაფიის საერთო ნიშნები ბიბლიური მოდელებიდან დაწყებული (მაგალითად, როგორც ელია ან მოსე და დავითი) მოსალოდნელ საერთო ნიშნებს კვლავაც ერთნაირ ხასიათებში ამჟაღვნებს, რაც სამუალებას გვაძლევს იუდეურ და ქრისტიანულ წმინდა-ნებში მზა სახეების შესახებ ვისაუბროთ. მეორე მხრივ, არცთუ ნათელი განსხვავებები მიუთითებს, რომ ლეგენდები ნამდვილად ერთმანეთის მსგავ-სია, ეთნიკური და თეოლოგიური მტკიცებულებები რომ გადმოგვცეს და ამდენად, საერთო სოციალური მენტალობის (და არა მხოლოდ მისი სუბს-ტრატების) სარკეში აღიბეჭდოს“ (Galley 2005: 47).

ჰაგიოგრაფიული ტექსტების მნიშვნელობა და ადგილი ლიტერატურის ისტორიაში ძალზე დიდია. გვიანანტიკურ ხანასა და ადრეულ შუასაუკუნეე-ბში ჰაგიოგრაფია იყო ერთ-ერთი მთავარი ჟანრი, რომელშიც აისახა ის-ტორიული, კულტუროლოგიური, სოციალური, მხატვრული, ესთეტიკური თავისებურებები.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ჰაგიოგრაფია დიდი ხნის განმავლობაში განიხილებოდა ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი პერსპექტივიდან. მისი ფილოლოგიური კვლევები მე-18 საუკუნიდან დაიწყო. ჰაგიოგრაფია ერთ-გვარ ლიტერატურულ უნივერსალიდ არის მიწნეული, რაც გულისხმობს, რომ ჰაგიოგრაფიული ჟანრი საერთოა ქრისტიანული მწერლობის მქონე სხვადასხვა ნაციონალური ლიტერატურისთვის.

ქართული ჰაგიოგრაფია ქრისტიანული ჰაგიოგრაფიის ყველა ძირითად ტენდენციასა და მიმართულებას იცნობს და ეყრდნობა. ამ მხრივ აღსანიშ-ნავია ჰაგიოგრაფიული ტექსტების ადრეული შუასაუკუნეების თარგმანები, რომელთა ჟანრობრივ და თემატურ მრავალფეროვნებასთან დაკავშირებით

კ. კეკელიძე აღნიშნავს: „ქართველებს ძველად, ჯერ კიდევ მეათე საუკუნემდე, აგიოგრაფიული ლიტერატურა გადმოულიათ საქრისტიანო მწერლობის ყველა ენიდან, განსაკუთრებით ბერძნულიდან. მეათე საუკუნემდე მათ გადმოულიათ თითქმის მთელი ციკლი იმ დროს არსებულ „ცხოვრება-მარტვილობათა“ ე. წ. „კიმენის“ რედაქციისა, ესე იგი უბრალო, მარტივი ენით დაწერილი. ამ დროს მათ გადმოუთარებით „ცხოვრებანი“ და „მარტვილობანი“, სხვათა შორის, ისეთი პირებისაც, რომელიც მოღვაწეობდნენ ბიზანტიის აღმოსავლურ საზღვრებზე, – სირიასა და დამასკო-ბაღადის ხალიფატში, – რის გამო ისინი საბერძნეთში ან სრულიად არ იყვნენ ცნობილი, ანდა ძალიან მაღლე მისცემიან დავიწყებას“ (კეკელიძე 1955: 6).

ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის უანრობრივ თავისებურებებზე მსჯელობისას, პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს „მოწამეთა აქტები“, ლათ. „Acta Martyrum“, მოკლე და ვრცელი თხრობანი, რომლებსაც ქართულ ჰაგიოლოგიაში შესაძლებელია შეეფარდოს კიმენური, სვინაქსარული და მეტაფრასული რედაქციები.

კიმენი (ბერძნ. χειμενον), ანუ კიმენური თხზულებები, არის ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის პირველი რედაქციები, წმინდანთა ცხოვრების პირველი, მოკლე, მარტივი აღნერა. ლათინურ და ბერძნულ ჰაგიოგრაფიაში, „მარტვილობათა აქტები“, ან „მოწამეთა აქტები“, ლათ. „Acta Martyrum“. ტერმინი კიმენი ეგზეგეტიკაში აღნიშნავდა ბიბლიის – როგორც ძველი, ისე ახალი აღთქმის განსამარტავ ეპიზოდებს. თავად განმარტებებს კი ძველ ქართულ სასულიერო-საეკლესიო მწერლობაში თარგმანება ეწოდებოდა.

ქართულ ჰაგიოგრაფიაში ტერმინი კიმენი პირველად იხმარა ეფრემ მცირემ (მე-11 საუკუნე): „ძუელი იგი მოწამეთამ, რომელსა „კიმენ“ უწოდიან, ესე იგი არს მდებარე“. კ. კეკელიძის შეხედულებით, კიმენი არის „ხელ-შეუხებლად მდებარე, შეუსწორებელი და განუმარტავი ტექსტი“ (კეკელიძე 1980) ეფრემ მცირე თარგმანზე დართულ წინასიტყვაობაში „მოსახსენებელი მცირე სკმეონისათვს ლოლოთეტისა და თხრობად მიზეზსა ამათ საკითხავთა თარგმანისასა“, ასე ახასიათებს კიმენურ ჰაგიოგრაფიას: „შემოკლებით და ლიტონად აღწერილი იყო პატიოსანთა და ლირსთა კაცთაგან, სხუებრ სიტყუათათვს არა მოღუანე ქმნილთა“ (დეტალურად იხ. კეკელიძე 1957ა: 223) ტერმინი, კიმენი, სამეცნიერო მიმოქცევაში შემოიტანა კ. კეკელიძემ. მან საგანგებოდ შეისწავლა კიმენური ძეგლები და გამოსცა ორ ტომად (დეტალურად იხ. კიმენი I 1918; კიმენი II 1946).

მარტვილობათა აქტები, იგივე მოწამეთა აქტები, Acta martum, ისევე როგორც კიმენური ტექსტები, არის მოკლე თხრობა მოწამეთა ცხოვრების გარკვეული ნაწილისა და გარდაცვალების შესახებ. მსგავსი ჩანაწერები გვიანანტიკურ ხანაში წარმოიშვა ოფიციალურად, სასამართლო კანცელარიებში, აქტების სახით. მარტვილოლოგიურ აქტებს იწერდნენ მორწმუნე თვითმხილველებიც.

მეტაფრასი (ბერძნ. Μεταφρασμήνος – გადაკეთება, თარგმნა) ჰაგიოგ-რაფიული უანრის გავრცობილი ტექსტი. მეტაფრასული რედაქცია არის შესწორებული და შევსებული, გადამუშავებული ჰაგიოგრაფიული თხზუ-ლებები. ტერმინი, მეტაფრასი, გამოიყენებოდა ბიბლიური ტექსტების გან-სამარტად. ჰაგიოგრაფიაში კი – „მარტვილოლოგიური აქტების“, იმავე კი-მენური, მოკლე, მარტივად მოთხოვილი თხზულებების ახალი, შევსებული, გადაკეთებული, გავრცობილი რედაქციის აღსანიშნავად.

მეტაფრასული რედაქციის წარმოშობა ორი მიზეზით არის განპირობებული:

- „მარტვილოლოგიური აქტების“, მოკლე თხრობის, წმინდანთა წამე-ბის ან ცხოვრების შემოკლებული რედაქციის „გაყალბება-შერყვნის“ ე. ნ. აპოკრიფული ჰაგიოგრაფიის საპირისპიროდ;

- ახალი დროის ლიტერატურული ტენდენციების წარმოსაჩენად, რაც სასულიერო თხზულებების, მათ შორის, ჰაგიოგრაფიის განვითარებამ გამოიწვია.

შესაბამისად, საჭირო გახდა ძველი, მოკლე და მარტივი ამბებისა და ისტორიების კანონიკური განვრცობა. „მეათე საუკუნის გასულისათვის აგი-ოგრაფიაში ახალი ხანა იწყება. თანახმად განვითარებული გემოვნებისა და ლიტერატურული მოთხოვნილებისა, ბიზანტიაში იწყება ძველი „კიმენუ-რი“ რედაქციის ტექსტების შესწორება და მათი გავრცობა-შელამაზება. ამან საფუძველი ჩაუყარა ე. ნ. მეტაფრასულ აგიოგრაფიას. განსაკუთრებით მდიდრად შენახულა ქართულ ენაზე მეტაფრასული აგიოგრაფიის ძეგლები, რომელთა დედნები დღესდღეობით ბერძნულ ენაზე არ ჩანს“ (კეკელიძე 1955: 6).

მეტაფრასული რედაქციის დასაწყისად ითვლება მე-10 საუკუნეში სვიმეონ ლოლოთეტის, იგივე მეტაფრასის, მიერ მოკლედ მოთხოვილი „მოწამეთა აქტების“ გადამუშავება. მან სექტემბრიდან იანვრის ჩათვლით გადაამუშავა და შექმნა საკითხავები. მე-11 საუკუნის მოღვაწემ, იოანე ქსი-ფილინოსმა გააგრძელა სვიმეონ ლოლოთეტის საქმიანობა და თებერვლიდან აგვისტოს ჩათვლით გადაამუშავა „კიმენური“, ანუ „მეტაფრასულამდელი“ მოკლედ მოთხოვილი ამბები. ქართულ ჰაგიოგრაფიაში მეტაფრასული უანრის შემოტანა ექვთიმე მთანმინდელს (955-1048) უკავშირდება. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სვიმეონ ლოლოთეტის მეტაფრასული შრომები 982 წლიდან იწყება, ქართულად კი მოკლე დროში ითარგმნა. იოანე ქსიფილინო-სის მიერ გადამუშავებული შვიდი თვის მეტაფრასული ნაშრომი ბერძნულ ენაზე არ არის შემორჩენილი, ხოლო ქართულად მე-12 საუკუნის ხელნაწე-რებში თითქმის სრულად არის დაცული.

ჰაგიოგრაფიული უანრის განვრცობა და განვითარება მეტაფრასულ რედაქციებში, ასევე, ე. ნ. აპოკრიფულ ჰაგიოგრაფიაში, იქცა რენესანსის ჩამოყალიბების საფუძვლად. კერძოდ, ჰაგიოგრაფიული ელემენტების განვ-რცობა, ტრაგიზმითა და ბელეტრისტიკული ელემენტებით შექმნილი თხრო-

ბა, იდეალური სწრაფვა, სულიერი და ფიზიკური სრულყოფილების სურვილი, ხოლო აპოკრიფული ჰაგიოგრაფიიდან, გმირის ცხოვრების სრულყოფილად ასახვის სურვილი აისახა რენესანსულ ნაწარმოებებში.

სვინაქსარი (ბერძნ. სυναξάριον კრებული). მომდინარეობს ბერძული სიტყვისგან სუნარი – ვაგროვებ, ვკრებ), კრებული, ასევე შესავალი, წინასწარი თხრობა. ღვთისმსახურების წესის, ტიპიკონის, ნანილი, საეკლესიო ღვთისმსახურების წლიური კალენდარი. ძირითადად გამოიყენებოდა ბიზანტიისა და აღმოსავლეთის ქრისტიანულ ქვეყნებში. სვინაქსარი არის საეკლესიო კრებულები, რომელსაც ეკლესიებში ღვთისმსახურების დროს კითხულობდნენ. სვინაქსარში კალენდარული თანმიმდევრობით იყო დალაგებული საკითხავი თხზულებები, რომლებშიც გადმოცემულია წმინდანთა შექება, დამსახურება, ქადაგება წმინდანთა ღვაწლისა, ცხოვრებისა და მოქალაქეობის ამბავი, რასაც წმინდანთა ხსენების დღეს ეკლესიაში ღვთისმსახურების შესრულების დროს კითხულობდნენ. ჰაგიოგრაფიის სვინაქსარული რედაქცია არის წმინდანთა „წამებანი“ ან „ცხოვრებანი“, რომლებიც გადამუშავებული იყო ეკლესიაში წასაკითხად.

ქართულად სვინაქსარული რედაქციები მრავალთავებშია გაერთიანებული. თავები დალაგებულია კალენდარულად, წმინდანთა ხსენების დღეების მიხედვით. ტრადიციულად, ცალ-ცალკე იყო შედგენილი დედათა და მამათა ცხოვრებანი. დედათა ცხოვრებას **მატერიკი** ჰქვია. მამათა ცხოვრებას – **ბატერიკი**. ამ ტრადიციას იცნობს ქართული მრავალთავებიც. ქართულ ჰაგიოლოგიაში განსაკუთრებული ყურადღება ენიჭება დიდსა და მცირე სვინაქსარებს. მცირე სვინაქსარი, ღვთისმსახურებისათვის განკუთვნილი კრებული, ქართველი გადამწერების მიერ კონსტანტინეპოლიში 1030 წელს არის გადაწერილი. მცირე სვინაქსარმა ქართულ ღვთისმსახურებაში საფუძველი ჩაუყარა კონსტანტინეპოლის ტიპიკონისა და კალენდრის შემოღებას. დიდი სვინაქსარი 1042-1044 წლებში ბერძნულიდან ქართულად თარგმნა და ქართული მასალით შეავსო გიორგი მთაწმინდელმა.

სვინაქსარული რედაქცია წარმოადგენდა მეტაფრასული, განვრცობილი რედაქციის შემოკლებას, ღვთისმსახურებაში ჩართვის, ეკლესიაში წაკითხვის მიზნით. „სვინაქსარს ნაკლებად აინტერესებს ისტორიული ამბები, რეალურ ფაქტებს დიდ ყურადღებას არ უთმობს, უფრო ხშირად იყენებს სასწაულებს, როგორც განზოგადების ეფექტურ საშუალებას. მაგრამ არც ეს არის წესი. გააჩნია, ვინ არის გამომკრები, ვის ცხოვრებას გამოკრებს და რომელი ეკლესიისათვის. სვინაქსარი ვრცელ რედაქციასთან შედარებით პერიოდული უნდა იყოს. გაშლილი თხრობა თითო წინადადებაში უნდა ეტეოდეს. შემოკლებული ტექსტის გარეთ რჩება ავტორისეული წიაღსვლები და ბრძნადმეტყველებანი. სამაგიეროდ, აღინუსხება ყველა მნიშვნელოვანი ფაქტი, რაც კი გმირის ცხოვრებას უკავშირდება“ (ამირხანაშვილი 2017: 27).

ქართული ჰაგიოგრაფია ძალზე მდიდარია და ჰაგიოლოგიური კვლევები აჩვენებს, რომ მასში მრავალი უანრის გამოყოფა არის შესაძლებელი.

ქრისტიანობა, რომელიც მოწამისა და მოწმის ტრადიციას ქრისტეს მენამეობრივი ცხოვრების დამოწმებით, თანაგანცდითა და თანაზიარობით ქმნის, ჰაგიოგრაფიული ჟანრის ერთ-ერთი მთავარი შემოქმედი და ავტორია.

ჰაგიოგრაფიული ჟანრის კანონი, მოდელები და პარადიგმა რამდენიმე ძირითად ასპექტთან არის დაკავშირებული, რაც თავად ჰაგიოგრაფიის, წმინდანთა ცხოვრების აღნერის თავისებურებიდან, მოკლე, ვრცელი, წასაკითხი და მოსასმენი რედაქციული სახეობებიდან, თვით ჰაგიოგრაფიის ფუნქციიდან, ნორმებიდან, ლირებულებებიდან გამომდინარეობს.

გვიანი ანტიკური და ადრეული შუასაუკუნეების ლიტერატურის თანამედროვე კვლევებში აღნიშნულია, რომ გვიანანტიკური ლიტერატურის ნამდვილი ისტორია ჯერ კიდევ არ არის დაწერილი. ამის მიზეზად, ძირითადად, ენათა, ისტორიათა და კულტურათა მრავალფეროვნება სახელდება, განსაკუთრებით კი, მეოთხე საუკუნიდან აღმოცენებული დამოუკიდებელი ნაციონალური ლიტერატურები როგორც დასავლეთით, ბრიტანეთში, გალიაში, სამხრეთით მავრიტანიასა და ეგვიპტეში, ისე აღმოსავლეთით, შავი ზღვის გარშემო, ჩრდილოეთით დუნაის, ლიმესის, რაინის საზღვრებთან. ადრეული შუასაუკუნეების ლიტერატურის ისტორიის დაწერის სირთულეს ერთვის, აგრეთვე, ლიტერატურული ტექსტების ერთი ნაწილის ბერძნული და ლათინური ენობრივი ომის შეფერილობაც (Irmsscher 1994: 263). ამასთან, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ, ამ პოქის ლიტერატურის ისტორია თავისი განვითარებისა და ჟანრობრივი თავისებურებების მნიშვნელოვანი ეტაპებისაგან შედგება. შესაბამისად, მიუხედავად აღნიშნული პერიოდის ლიტერატურის მრავალფეროვანი ენობრივი და კულტურული შედგენილობისა, ქრისტიანული ლიტერატურის თეორიული, კომპარატივისტული და ტიპოლოგიური კვლევების პარადიგმატული სისტემა აგებულია ახალი აღთქმისა და იესო ქრისტეს ცხოვრების მოდელის მიხედვით. „თუ პარალელურად განვიხილავთ ქრისტიანულ წმინდანებს, შევამჩნევთ, რომ არსებობს ერთიანი და თანმიმდევრული პარადიგმა. ტრადიციული ჯაჭვის დასაწყისში ადრეული ქრისტიანობის მოწამების ცხოვრება შედგება ბიბლიური მოწამების, უპირველეს ყოვლისა, ნაზარეთელი იესოს მისწრაფებებისა და ბედისწერის შესაბამისად“ (Galley 2005: 35).

ჰაგიოგრაფიის, როგორც ლიტერატურული ჟანრის თხზულების ასახვის მთავარი მეთოდი არის ტიპოლოგია, როგორც აზროვნების ფორმა, რომელშიც გამოლიანებულია მიბაძვისა და ასახვის არქეტიპული მოდელები. შესაბამისად, ჰაგიოგრაფიული ჟანრისათვის დამახასიათებელი ნიშნები მთლიანად უკავშირდება, ერთი მხრივ, ქრისტესა და მისი მოწაფეების ცხოვრებასა და მეწამეობრივ აღსასრულს, მეორე მხრივ, უძველესი ქრისტიანების ცხოვრებასა და მეწამეობრივ აღსასრულს, ინტერპრეტირებასა და განვირცობას. ი. ამირხანაშვილი ჰაგიოგრაფიული მოდელის არსებობას ასე ხსნის: „აგიოგრაფია არის მოდელი, ნინასწარ აღებული „რაღაც“, რომელიც ხორციელდება „რაღაცისთვის“. უტილიტარული ფუნქცია თავიდანვე გან-

საზღვრულია. ეს არ არის თავისუფალი შემოქმედება, მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ თავისუფლების მოთხოვნილება ჩნდება იქ, სადაც არ არის თავისუფლება. აგიოგრაფიული ნაწარმოები არის პასუხი საზოგადოების მოთხოვნილებაზე. საზოგადოებას სურს ჰყავდეს „ასეთი“ გმირი. ადამიანთა ცნობიერება, გემოვნება, სოციალური და ეროვნული ინტერესები მოითხოვს ამას და მწერალი ასრულებს „დაკვეთას“ (ამირხანაშვილი 2012: 8).

ბელგიელი მეცნიერი, ქრისტიანობის ისტორიისა და ჰაგიოგრაფიის მკვლევარი, ჰაგიოგრაფიული ტექსტების გამომცემელი, ჰაგიოგრაფიული პრინციპების, მოდელებისა და პარადიგმების დამდგენი იპოლიტ დელეიე (1859-1941) გამოყოფს ჰაგიოგრაფიის სამ ჯგუფს:

• ოფიციალური ჩანაწერები, ანგარიშები და პირდაპირი მაჩვენებლები/ მტკიცებულებები;

• დოკუმენტირებულად დადასტურებული თხრობა, რომელიც ეფუძნება პირველწაროს, ან ძალზე სანდო წყაროს;

• ჰაგიოგრაფიული ფანტაზიები, რომანები (Delehaye 1955).

პირველ ჯგუფში იგულისხმება მარტვილოლოგიური აქტები, მოკლე ჩანაწერები, გვიანანტიკური პერიოდის ტექსტები, ძირითადად, „წამებანი“, რომელიც შექმნილა პირველი საუკუნიდან მესამე-მეოთხე საუკუნემდე. მეორე ჯგუფში შედის ადრეული შუასაუკუნეების ტექსტები, „წამებანი“ და „ცხოვრებანი“. მესამე ჯგფში კი მოიაზრება მეტაფრასული რედაქციები, განვრცობილი თხრობა.

ჰაგიოგრაფიულ თხზულებებზე დაკვირვება გვაჩვენებს, რომ ისევე როგორც თავად ჟანრი, პერსონაჟის ასახვის მოდელიც განსხვავდება მოკლე და ვრცელი რედაქციების მიხედვით.

პერსონაჟის ასახვის თავისებურებებთან დაკავშირებით უნდა გამოიყოს პირველი პერიოდის, „მარტვილოლოგიურ აქტებში“, ქართული ჰაგიოლოგიური ტერმინოლოგიით, კიმენურ რედაქციებში დამუშავებული მოკლე მოდელი, რომელშიც გამოიყოფა შემდეგი თავისებურებები:

1. მონათვლა (წარმართი პერსონაჟი ინათლება);

2. გარკვეული დროის გასვლის შემდეგ მონათლულ გმირისგან მოითხოვნ „ბუნებით სარწმუნებაზე“ დაბრუნებას, ანუ ახალი სარწმუნოები-დან განდგომას;

3. მთავარი გმირი უარს ამბობს რწმენის შეცვლაზე, რაც ახალი დაპირისპირებების საფუძველი ხდება;

4. სასწაულების მოხდენა;

5. მთავარ გმირს ემუქრებიან საშინელი წამებით, მაგრამ გმირი ამ-ჟღავნებს გასაოცარ სულიერ სიმშვიდეს, სიმტკიცეს;

6. რწმენაშეურყეველი მთავარი გმირი სიხარულით ემორჩილება მათ, როდესაც ის მიჰყავთ სიკვდილით დასასჯელად.

გარდა თვითმხილველთა ჩანაწერებისა, ადრეული ქრისტიანული მარტვილოლოგიური აქტები, ლიტერატურული თვალსაზრისით, საერთო

სქემას წარმოადგენს და შედგება საერთო სიმბოლოებისაგან. მათ შორის, პერსონაჟის ასახვის თავისებურებებთან კავშირში. სწორედ აქ იყითხება ჰაგიოგრაფიული ლიტერატურისათვის დამახასიათებელი კომპოზიციური ჩარჩოს შემუშავების შედეგი, რომელიც ტიპური გახდა ჰაგიოგრაფიისათვის. „სქემატური ფორმისადმი მიღრეკილებას აქვს დისტანციური წარმოშობა, რომლის კვალი ძველ ტექსტებში ვლინდება, მათ შორის, თხრობის, ანუ ნარაციის გულწრფელობასთან კავშირში. აღნიშნული ასახულია, მაგალითად, პოლიკარპეს მარტვილობაში, რომელზე დაკვირვებაც აშკარად აჩვენებს, რომ მონამის სიკვდილი ქრისტეს სიკვდილის მიბაძვაა. მარტვილობის ეს ფორმა ქრისტიანული ლიტერატურის დასაწყისშივე ვლინდება. მეოთხე საუკუნიდან გარკვეული შაბლონები ან არსებითი კრიტერიუმები დგინდება. ჰაგიოგრაფები არგებენ არსებულ ჩარჩოს ანტიკურ და ბიზანტიურ ტრადიციულ ბელეტრისტიკას“ (Campenhausen 1964).

მოკლე თხრობითი უანრის მარტვილოლოგიურ კრებულებში დაცულია რომაული სამართლებრივი, საგამოძიებო პროცესების ჩანაწერების სტილი. უმრავლეს შემთხვევაში მოქმედების განვითარება უკიდურესად რეალისტურია, ამიტომაც, ჰაგიოგრაფიული ტექსტის გამოყენება ისტორიული წყაროს რანგში სავსებით მართებულად ითვლება. ტექსტებში აუცილებლად მითითებულია ისტორიული თარიღები, ისტორიული პირების, მმართველების, მეფეების, რეგიონალური ხელმძღვანელების სახელები, მეფობის ან ხელმძღვანელობის წლები და სხვა. ზოგ შემთხვევაში გარკვეული თარიღები, ადგილების დასახელებანი, ან ისტორიულ პირთა სახელები სადაც ხდება სხვა წყაროებთან შედარებისას, თუმცა თავად ფაქტი, შაბლონი, დროისა და ადგილის დაზუსტება ჰაგიოგრაფიული უანრის ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელია. ამავდროულად, ადრეულ მარტვილოლოგიურ თხზულებებში აღინიშნება ბიბლიოლისა და სახარებისეული პარადიგმები და კონცეფციები.

ჰაგიოგრაფიულ წანარმოებში დეტალურად არის წარმოდგენილი მთავარი გმირის ამბის, ისტორიის განვითარების სხვადასხვა ფაზა, როგორებიცაა: შეპყრობა-დაკავება, დაკითხვა, მცდელობა, გასამართლება, სიკვდილით დასჯა. ეს სქემა შენარჩუნებულია მთელი თხრობის განმავლობაში და სტრუქტურად იქცევა. ისტორიაში მთავარ პერსონაჟთან ერთად თანამონაწილეობენ ანტიგმირები: მწამებელი, მოსამართლე, რომაულ ჰაგიოგრაფიაში – მაგისტრანტი, ჯალათი. ასევე, თხრობაში მონაწილეობენ ქრისტიანი თვითმხილველები, რომლებიც ამხნევებენ მთავარ გმირს და წარმართები, რომლებიც ენინაალმდეგებიან ქრისტიანებს (Herbermann 1913).

ადრეული შუასაუკუნეების ჰაგიოგრაფიული ტექსტები, რომლებიც მე-4 საუკუნიდან იქმნებოდა, ასევე, მეტაფრასული რედაქციები, ავსებს ჰაგიოგრაფიულ მოდელში არსებულ თავისებურებებს და აყალიბებს ახალ პარადიგმატულ სქემებს. ბიზანტიური და ელინური ლიტერატურის საუკეთესო ტრადიციებიდან გამომდინარე, ჰაგიოგრაფიული წარმოებები იქმნებოდა ბიზანტიური რომანის სქემითაც, სადაც წარმოჩენილია პერსონაჟის

ისტორია და ბედისწერა, ნაწარმოების ლირიკული ხაზი, რომელშიც ჩართულია ვნებები, მოულოდნელი შეხვედრები და განშორებანი, მოწინააღმდეგებთან ბრძოლა, დატყვევების ტრაგიზმი და სხვ. შესაბამისად, ბელეტრისტიკული ჟანრისათვის დამახასიათებელი ელემენტები განვითარებულ, მეტაფრასულ ჰაგიოგრაფიაში ახალ დანიშნულებას იძნეს (დეტალურად იხ. Acts of the Martyrs 2005; Aigrain 1953).

ჰაგიოგრაფიული თეზულების სტრუქტურასა და პარადიგმებზე დაკვირვებისას შესაძლებელია ვიმსჯელოთ ტოპოსის (ბერძნ. τόπος ადგილი. ასევე, ბერძნ. τόπος κοινός, ლათ. locus communis) შესახებ. ტოპოსი განიხილება, არა მხოლოდ ერთ კონკრეტულ სივრცეში მომხდარი მოვლენა, არა-მედ, როგორც მარადიულ, საერთოპაგიოგრაფიულ, ან, ზოგადქრისტიანულ სივრცეში მომხდარი ისტორია, რომელშიც საერთო ნიშნები გამოიყოფა. ტოპოსი რიტორიკის კანონების მიხედვით, არის საერთო ადგილი, სადაც თავმოყრილია ყველა სახე და მოტივი, ასევე, შინაარსობრივი და თემატური შედგენილობით ერთნაირი, ხოლო განვითარების თვალსაზრისით, მდგრადი ელემენტები და ფორმები, რომელიც საერთო პარადიგმას ქმნის. სერგეი ავერინცევის შეფასებით, „ტოპოსი არის „ბერძნების მიერ შექმნილი და მათი მემკვიდრეების მიერ გაზიარებული პოეტიკის „საერთო ადგილი“ – პოეტიკა, რომელიც რიტორიკის ნიშნის ქვეშ განიხილება“ (Аверинцев 1981: 8)

ტოპოსის ერთ-ერთი მთავარი ნიშანია ჟანრის სტატიკური, უცვლელი კონცეფცია, როდესაც მსგავსი, ტიპური ნიშნები გამოიყოფა სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ადგილას შექმნილ თეზულებებში. ტოპოსი, როგორც ტერმინი, შექმნა არისტოტელემ ლოგიკურ ტრაქტატში, როგორც მსგავსი ფუნქციის მქონე სტრუქტურების ერთიანი სპექტრი.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მხატვრულ ლიტერატურასთან დაკავშირებით გამოიყენება მ. ბახტინის (1895-1975) მიერ შექმნილი ტერმინი ქრონოტოპი. ამ ტერმინით აღინიშნება ნაწარმოებების დროსივრცული ერთიანობა და გამოიყოფა ჟანრული თავისებურებები. „ქრონოტოპის ცნებით ბახტინი განამტკიცებს მკვეთრად გამოხატულ დიაქრონულ თვალსაზრისს. ლიტერატურულ ტექსტსა და გარესამყაროს კავშირის დასაბუთებისას ქრონოტოპი წარმოაჩენს მკვლევრის ღრმა დაინტერესების საგანს. იგი ბახტინისათვის წარმოადგენს ერთგვარ საზომს იმისა, თუ როგორ ხორციელდება კონკრეტული ეპოქისა და კონკრეტული ჟანრის პირობებში რეალური, ანუ ისტორიული დრო-სივრცისა და ისტორიისათვის მნიშვნელოვანი პიროვნებების სინთეზი, აგრეთვე, მხატვრული დროის სივრცისა და პერსონაჟთა მათთან შეთავსების პროცესი. ქრონოტოპის შემადგენელი ელემენტების (დრო, სივრცე) დომინანტურობას ჟანრის თავისებურება განსაზღვრავს: მაგალითად, თუ მხატვრული ნაწარმოები მოგზაურობითი ან სათავგადასავლო ჟანრისაა, მაშინ დრო დომინირებს, ხოლო თუ ნაწარმოები იდილიურ-პასტორალური ხასიათისაა – სივრცე. მაგრამ, მიუხედავად გარდამავალი პრიორიტეტულობისა, დრო და სივრცე ერთ

კონკრეტულ მთლიანობას შეადგენს და უერთმანეთოდ არ მოიაზრებიან. დრო-სივრცესა და მათში მოქმედ ადამიანებს შორის დამოკიდებულებანი იცვლება ტექსტის ისტორიული და ლიტერატურული გარემოცვის მიხედვით, ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ბახტინისეული ქრონოტოპი ერთდროულად ისტორიული მოვლენაცაა და უანრულიც“ (რატიანი 2008: 31). ბახტინის თანახმად, დროსა და სივრცესთან ერთად გამოიყოფა სუბიექტის ელემენტიც და ლიტერატურული ტექსტი ექცევა სამ განზომილებაში: სუბიექტი, დრო, სივრცე (Бахтин 1985: 121). ქრონოტოპთან კავშირში განიხილება ლიმინალურობისათვის დამახასიათებელი ალტერნატიულობა: რეალური – გამოგონილი დრო, საკუთარი, მოწესრიგებული სივრცე – სხვისი, ქაოსური სივრცე (რატიანი 2005). აღსანიშნავია ისიც, რომ ქრონოტოპის მოდელები „სასულიერო მწერლობიდან უცვლელად გადმოვიდა რაინდულ რომანში, რომლის მხატვრულ-ესთეტიკურ ქსოვილს მეტნილად ავანტიურული მოტივი (იგივე მოგზაურობის რომანტიკა) განსაზღვრავს“ (ელბაქიძე 2010: 28).

ბიზანტიური ჰაგიოგრაფიის მიხედვით შესაძლებელია გამოიყოს უნივერსალური მახასიათებლები, ტოპოსები, რომლებიც ზოგადპაგიოგრაფიულ სივრცესთან არის კავშირში (Pratsch 2005). ქართული ჰაგიოგრაფია უნივერსალური ტოპოსების პარადიგმას იცავს და ნაციონალურ ელემენტებთან ერთად წარმოადგენს. განვიხილოთ რამდენიმე უნივერსალური ტოპოსი ქართული ჰაგიოგრაფიის მაგალითზე:

### **სენტენცია, როგორც ტოპოსი**

ჰაგიოგრაფიული თხზულების დასაწყისში ხშირად გამოიყენება სენტენცია, ზოგადი სახის გამოთქმა, დამაფიქრებელი ნათქვამი, ან ანდაზა, საყველთაოდ ცნობილი ჭეშმარიტება, რომელიც ერთი წინადადებისაგან შედგება. ეს სენტენცია ავტორს მოჰყავს მკითხველისაგან თანაგრძნობის, გარკვეული დადებითი დამოკიდებულების გამოსავლენად.

აღნიშნული ტოპოსის საილუსტრაციოდ შესაძლებელია დავიმოწმოთ გიორგი მერჩულის „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ პირველ თავში მოხმობილი ცნობილი სენტენცია: „ბრძნად მეტყველებად ვეცხლი არს წმიდამ, ხოლო დუმილი – ოქროვ რჩეული“, – ვითარცა თქვა სოლომონ“.

### **მოკრძლების ტოპოსი**

ავტორი მკითხველს უხსნის, რომ მისი ამოცანა, ან დავალება ძალზე რთულია და მისთვის შეუფერებელი. ამიტომაც მკითხველებს წინასწარ სთხოვს – ნაკლოვანებები აპატიოს. აღნიშნულ ტოპოსს მეტაფორულად „წინააღმდეგობის სიდიადე“ (Pratsch 2005) შეიძლება ეწოდოს. ჰაგიოგრაფია გაცნობიერებული აქვს, რომ არ ძალუს დაკისრებულ სამუშაოს გაუმკლავდეს.

ავტორისეული მოკრძალების ტოპოსი ქართულ ჰაგიოგრაფიაში არა-ერთგან დასტურდება. იოანე საბანისძე, „აბო თბილელის მარტვილობის“ ავტორი, თხზულებისათვის დართულ სამოელ ქართლის კათალიკოსისადმი მინერილ წერილში აღნიშნავს: „მძიმე არს ჩემდა ორკერძოვე; უკუეთუ ურჩ

ვექმნე ბრძანებასა თქუენსა, წერილ არს: „შვილი ურჩი წარსაწყმედელსა მიეცესო“, და თუ ვისწრაფო მორჩილებად, მისთვის იტყვს: „უდარცხსა შენსა ნუ გამოეძიებო და უძლიერცხსა შენსა ნუ განიკითხავო“. ამისთვის შიშმან და ზრუნვამან შემიპყრა მე და შეშფოთნა გონებად ჩემი და დავეცი და მოვაკლდი მეცნიერებისაგან. არამედ უმჯობესად შევრაცხე მორჩილ-ყოფად თავი ჩემი ბრძანებასა უფლისა ჩემისასა, რომლითა კუალად განვძლიერდი და ალვემართე ღმრთის სათნოვთა წმიდითა ლოცვითა თქუენითა და მარადის ძლინის მიმპყრობელისა ღმრთისა მარჯუენისა თქუენისა ჯუარისა წერითა ჩემ ულირსა ზედა და რამეთუ ვისწავეცა ბრძენთა-მთავრისა მის სოლომონის მიერ თქმული, ვითარმედ „პბაძევდ ჯინჭველსა, მედგარო, და იქმენ მუშაკ მსგავს მისა“. ვითარცა იგი მან თვისა უდიდესა მარცუალსა მას იფქლისასა შებმა-უყვის გულს-მოდგინედ, ვიდრემდის ალილის და წარილის საზრდელად თვისა.

მეცა გულს-მოდგინე ვიქმენ უძლიერცხსა ჩემსა ალებად და წადიერებად გულისა ჩემისად აღავსო უფალმან, და აღვნერე ულირსისაგან გონებისა ჩემისა შემოკრებული მარტკლობა, ჭეშმარიტი და უტყუელი, წმიდისა მონამისად მადლითა და მეოხებითა ნეტარისა ჰაბომასითა და მოგიძლუანე უფალსა ჩემსა, რომლისათვის კუალად ვითხოვ ვედრებით: სათნო-ყავნ უფალმან გულსა თქუენისა და გულსა ყოვლისა ქრისტის მოყუარისა ერისა მორწმუნისასა, რომელნი აღმოკითხვიდენ, რამთა ზიარ ლოცვათა თქუენთა იქმნეს კუალად და მერმეცა ულირსებად ჩემი“.

გიორგი მერჩულე „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ დასაწყისში აღნიშნავს: „არამედ ან მე ვინათეთგან ვერ ძალ მიც მოუკლებელად ლოცვად და სულელთა ყოველთა უდარეს ვარ, ნაკლულევანებად ჩემი არა მიფლობს დუმილად და ზოგს-რამე უმჯობესად შემირაცხავს, რამთა ვიტყოდი ღირსად ცხორებასა ღმერთშემოსილთა კაცთასა – ნეტარისა მამისა ჩვენისა გრიგოლისა და მოყვასთა და მონაფეთა მისთასა მადლითა და შეწევნითა ღმრთისამთა, რაოდენცა შეუძლო უწყებად მსმენელთა, ჭეშმარიტად თხრობილი მონაფეთაგან და მონაფის მონაფეთაგან მის წმიდისათა. და ნეტართა მათ ოხითა ვპოვო ორკერძოვე ლხინებად უძლურებათა ჩემთა ესრეთ სიტყვათა ამათ წერითა“.

უცნობი ავტორის „კონსტანტი კახის მარტვილობა“: „მეცა არალირ-სმან... აღვნერე ცხოვრებად და წამებად წმიდისა და ნეტარისა მონამისა კონსტანტისი, რომელი იყო დღეთა ჩუენთა“.

### მრავალთაგან უმცირესი

ამ ტოპოსით აღინიშნება ჰაგიოგრაფიული ტენდენცია, რომელიც შესაძლებელია ორ კატეგორიად დაიყოს:

- მრავალ წმინდანთაგან მხოლოდ მცირედთა მონამეობა და ცხოვრებაა აღწერილი;

- მოცემულ თხზულებაში მხოლოდ ძალზე მცირე დამსახურებებია აღწერილი.

ტოპოსის საილუსტრაციოდ ქართული ლიტერატურიდან შეიძლება და-ვასახელოთ რამდენიმე თხზულება.

მეცხრე საუკუნის უცნობი ავტორის „კონსტანტი კახის მარტვილობაში“ ჰაგიოგრაფი აღნიშნავს: „ესე მრავლისაგან მცირედი აღინერა სამწერთაგან წმიდისა კონსტანტისა, რათა იყოს თქუმული ესე შემოკლებულ და სრულ, რათა არა იყოს შემწუხებელ ნაკლულევანებისა, არცა ნამეტნავ განგრძობით“.

გიორგი მერჩულე გრიგოლ ხანძთელის მონაფეების მოღვაწეობის შესახებ წერს: „ესე მცირედი ვახსენე სამთა მათ წმიდათა – თევდორევსი და ქრისტეფორემასი და საბან იშხნელისა ცხორებად, ამით, რამეთუ ფრიად განგრძობად იქმნებოდა საქმეთა მათთა სრულიად აღწერითა ჭეშმარიტად“.

„პავლე კორინთელის ცხოვრების“ ქართულ თარგმანში ვკითხულობთ: „არამედ თუ ვითარი და რაბამი იყო ცხორებად მისი, არცა, თუ ბრძენთა ყოველნი ენანი ერთ-პყვნე, შეუძლონ წარმოოქმნა. ვინათვან ზესთა სიტყვსა და მოგონებისა არს. ამისთვის კნინისა ფრცხილისაგან ლომისა ძლიერებისა, ხოლო მცირადსა ფესვსაგან, ვისა ნაქსოისასა უწყებულთა, საკვრვებათაცა მისთა მრავალთაგანი მცირედი წარმოგითხრა რად და დუმილისა ნავთსად-გურად განუსუნო მახვლმცურვალეობასა სიტყვსა ნავისაა“ (გაბიძაშვილი 2010: 417)<sup>1</sup>.

ბესარიონ ორბელიშვილის მიერ შეთხულ „რაუდენ პირველმოწამის წამებაში“ საგანგებოდ არის ხაზგასმული: საქართველოში იმდენი წმინდანი გამობრნყინდა, რომ „დამაკლებს მე უამი აღრიცხვად სიმრავლესა მათსა“; ზოგი მათვანი „აღწერილ არიან წიგნსა შინა უწყებისა მათისასა“, მაგრამ არიან ისეთნიც, „რომელნი ჩუენ არა უწყით და ზეცას აღწერილ არიან წიგნსა შინა ცხოველთასა“.

### დასაბუთების ტოპოსი

დასაბუთების ტოპოსი არის წერის საფუძველი, წერის მიზეზი. ასეთ დროს ჰაგიოგრაფი თავს არ იმცირებს და არ ბოლიშობს თავისი მწერლური საქმიანობის გამო, არამედ არგუმენტირებულად ასაბუთებს იმ საჭიროებას, რის გამოც აუცილებელია და საჭირო მისი საქმიანობა და რატომაც იწყებს წერას. არგუმენტებს შორის შესაძლებელია დასახელებული იყოს (აღ)წერა დავინწყების საწინააღმდეგოდ, ან წერა სასწავლო დანიშნულებით, ან უფროსების, ავტორიტეტების მიბაძვით, კარნახით, ხელშეწყობით, დაძალებით.

სამოელ ქართლის კათალიკოსი ავალებს იოანე საბანისძეს აბო თბილელის ღვაწლისა და წამების აღწერას: „მნებავს, რათა დაინეროს სანატრელისა ამისცა მარტვლობად, ვითარცა პირველთა მათ ქრისტის მონამეთად, და დაიდვას იგიცა წმიდასა კათოლიკე ეკლესიასა შინა მოსაქსენებელად ყოველთა, ვინ იყვნენ შემდგომად ჩუენსა. ამისთვიცა მოვავლინე წიგნი ესე ჩემი კელითა ხსართან მღდელისა ჩემისამთა.“

1 „პავლე კორინთელის ცხოვრება“ შემონახულია მხოლოდ ქართულ თარგმანში, მე-16 საუკუნის ხელნაწერში. ტექსტი შეისწავლა და გამოაქვეყნა ე. გაბიძაშვილმა. მისი აზრით, თხზულება ბერძნულ ენაზე დაწერილი უნდა ყოფილიყო მე-9 საუკუნეში. ქართულად კი უნდა ეთარგმნათ მე-12, მე-13 საუკუნეებში (გაბიძაშვილი 2010: 406-423).

ან მიიღე წიგნი ესე ჩემი და ლოცვად ჩემი და ჯუარისა დაწერად ჭელითა ჩემითა და შეწევნითა ღმრთისა მამისა და ძისა და სულისა წმიდისამთა, მეოხებითა წმიდისა ღმრთისმშობელისამთა და წმიდათა მოციქულთამთა და მოწამეთამთა ჭელ-ყავ გამოთქუმად სრულიად ჭეშმარიტად, ვითარ-იგი იყო და ვითარცა შენ თვით უწყი, და აღწერე მარტვლობად წმიდისა მოწამისა ჰაბოდის და აღწერილი ჩუენ მოგვძლუანე, რამთა უმეტოსად ლოცვა ვყოთ შენთვს. მადლი უფლისა იყავნ შენ ზედა. ამცნ!“

იოანე საბანისძე „აბო თბილელის მარტვილობის“ აღწერის დასაწყისში, პირველივე თავში აღნიშნავს: „ამისთვის, საყუარელნო, ნუ გეწყინებინ სმენად სიტყუათა ამათ, რამთა არა ცუდად დავმურეთ: მე სიტყვითა და თქუენ სმენითა, – რამთა ერთობით მოგუცეს ჩუენ უფალმან სასყიდელი შრომათა ჩუენთაც“.

გიორგი მერჩულე „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ ბოლოს მიუთითებს: „ხოლო ხანძთისა წინამძღვრისა და იოვანე – ძმისა მისისა – და წიგნისა ამის აღმნერელისა გიორგი მერჩულისა, – სამთავე ამათ ერთად გულს-მოდგინებითა დაინერა ხანძთას შინა ნეტარისა გრიგოლის ცხოვრებად ესე. ქრისტემან წიგნსა მას ცხოველთასა დაწერენ იგინი და სრულიად წყალობა ყავნ ყოველთა მორწმუნეთათვის, რამთა გულისხმა ყონ საღმრთომ ნიჭი ქვეყანისაცა ზეცისასა თანა. რამეთუ ეკლესიასა შინა ერთი წიგნისმკითხველი მცირეთა მსმენელთა და მრავალთათვის სწორად კმა არნ. და ეგრეთვე, უკეთუ ერთი იკურთხევინ, ანუ მრავალნი, მაკურთხეველი იგი ერთი კმა არნ. რამეთუ მოუკლებელ არიან კეთილნი იგი ქრისტევსნი ჩვენდა მომართ და მადლი წმიდათა მეოხებისაც“.

### **დაგიწყების საწინააღმდეგოდ**

თხრობას, როგორც დავიწყების საწინააღმდეგო ტოპოსს, ხშირად ვხვდებით ჰაგიოგრაფიულ ტექსტებში. ავტორი თხრობის აუცილებლობას იმით ასაბუთებს, რომ წმინდანის ცხოვრების აღწერის გარეშე მომავალ თაობას არ ეცოდინება ეს მნიშვნელოვანი ამბავი. უპირველეს ყოვლისა, წმინდანის ცხოვრებას აქვს მაგალითის ძალა, რასაც ჰაგიოგრაფი პირდაპირ ან ქვეტექსტურად მიუთითებს. ამდენად, ის აპირებს არამარტო გმირის ხსოვნის უკვდავყოფას, მისი სახელის არდავიწყებას, არამედ მის სახსენებლად, მის წარმოსაჩენად საუკეთესო დროის გამოყენებას – გმირის არსებობის მრავალმხრივმნიშვნელოვნების ხაზგასმას.

### **სასწავლო დანიშნულება**

სასწავლო დანიშნულება, დიდაქტიკური დანიშნულება, როგორც ტოპოსი, წერის აუცილებლობიდან გამომდინარეობს, რომ თხრობა საჭირო, გამოსადეგი და მკითხველთათვის სასარგებლო საქმიანობაა. სასწავლო დანიშნულებაში შესაძლებელია ვიგულისხმოთ მაგალითის ძალაც.

### **მიმეზისი**

წმინდანთა მოღვაწეობის აღწერას არა მხოლოდ სასწავლო დანიშნულება, არამედ მიმეზისის, მიბაძვის ძალაც აქვს.

გარდა აღნიშნულისა, ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოებებში გამოიყოფა ზოგადი ტოპოსი, რომელიც აერთიანებს სხვადასხვა ფორმებს, რომლებიც სპეციფიკური გამოვლინებების გარეშეა და ხშირად ვლინდება კონკრეტულ სიტუაციებში. ასევე, დამოკიდებული არიან სხვა ტოპოსებთან, ისევე, როგორც კონკრეტულ მეტაფორასთან (Pratsch 2005: 24).

ჰაგიოგრაფიული მოდელების, ტოპოსისა და პარადიგმების საერთო სქემატური მახასიათებლები მართლაც ურთიერთმსგავსია და ერთნაირი ნიშნების არსებობას ადასტურებს. როგორც სიუჟეტისა და პერსონაჟის ასახვის მოდელების მიხედვით ვნახეთ, ქართული ჰაგიოგრაფიული თხზულებები სრულად იმეორებს დადგენილ მოდელებს. ამასთან, ბუნებრივია, გააჩნია ორიგინალური სახე, რამდენადაც ეს შესაძლებელია მყარი ლიტერატურული მოდელების არსებობის პირობებში.

#### დამოწებანი:

- Aigrain R. L'hagiographie, ses sources, ses méthodes, son histoire. Paris. Bloud & Gay 1953.
- Amirkhanashvili, Ivane. „Minimalizmi, Rogorts P'raktik'uli Sach'iroeba“. *Sjani*, 18. Tbilisi: Tsu gamomtsemloba, 2017 (ამირხანაშვილი, ივანე. „მინიმალიზმი, როგორც პრაქტიკული საჭიროება“. სჯანი, 18. თბილისი: თსუ გამომცემლობა, 2017).
- Amirkhanashvili, Ivane. „Agiografiis St'ilis Sak'itkhebi (Teoriuli Shenishvnebi)“. *Sjani*, 18. Tbilisi: 2012 (ამირხანაშვილი, ივანე. „აგიოგრაფიის სტილის საკითხები (თეორიული შენაშვნები)“. სჯანი, 18. თბილისი: 2012).
- Averintsev S. "Drevnegrecheskaya Poetika i Mirovaya Literatura". *Poetika Drevnegrecheskoy Litaretry*. Moskva:1981 (Аверинцев С. "Древнегреческая поэтика и мировая литература". *Поэтика древнегреческой литературы*. Москва: 1981).
- Bakht'in M. M. *Literaturno-Kriticheskie Stat'i*. Moskva: 1986 (Бахтин М. М. *Литературно-критические статьи*. Москва: 1986).
- Campenhausen Hans von, Die Idee des Martyriums in der alten Kirche.. Vandenhoeck & Ruprecht, 1964
- Cross, F. L., ed. *Acts of the Martyrs* , The Oxford dictionary of the Christian church. New York: Oxford University Press, 2005.
- Delehaye Ipolit, Les légendes hagiographiques. Bruxelles, 1955.
- Dzveli Kartuli Agiografiuli Lit'erat'uris Dzeglebi. T'. I. Tbilisi: 1964 (ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. I. თბილისი: 1964).
- Elbakidze Mak'a. "Vepkhist'y'aosnis Kronot'op'i Lliminalobis Teoriis K'ont'ekst'shi". *K'admosi*, №2. Tbilisi: Ilias universit'et'is gamomtsemloba, 2010 (ელბაკიძე, მაკა. „ვეფხისაონის კრონოტობის ლიმინალობის თეორიის კონტექსტში“. კადმოსი, №2. თბილისი: ილიას უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2010).
- Gabidzashvili E. *Shromebi*. T'. II. *Filologiur-T'ekst'ologiuri Nark'vevebi*. Tbilisi: khelnats'erta erovnuli tsent'ri, 2010 (გაბიძაშვილი ე. შრომები, ტ. 2. ფილოლოგიურ-ტექსტოლოგიური ნარკვევები. თბილისი: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, 2010).
- Galley, S. Jüdische und christliche Heilige – Ein Vergleich. Zeitschrift Für Religions – Und Geistesgeschichte, 57 (1), 29-47, 2005. Retrieved February 16, 2020, from www.jstor.org/stable/23898707

- Herbermann, Charles, ed. "Acts of the Martyrs". Catholic Encyclopedia. New York: Robert Appleton, 2013.
- Irmscher J., Das Schrifttum des Oriens Christianus als Bestandteil der spätantiken Literatur. *Illinois Classical Studies*, 19, 261-264, 1994. Retrieved February 16, 2020, from www.jstor.org/stable/23065438
- K'ek'elidze, K'orneli. *Eti 'udebi Dzveli Kartuli Lit'erat'uris Ist'oriidan*. III. Tbilisi: Tsu gamomtsemloba, 1955 (კეკელიძე კორნელი. ეტი'უდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, III. თბილისი: თსუ გამომცემლობა, 1955).
- K'ek'elidze, K'orneli. *Eti 'udebi Dzveli Kartuli Lit'erat'uris Ist'oriidan*. IV. Tbilisi: Tsu gamomtsemloba, 1957(a) (კეკელიძე კორნელი. ეტი'უდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, IV. თბილისი: თსუ გამომცემლობა, 1957a).
- K'ek'elidze, K'orneli, *Eti 'udebi Dzveli Kartuli Lit'erat'uris Ist'oriidan*. V. Tbilisi: Tsu gamomtsemloba, 1957(b) (კეკელიძე კორნელი. ეტი'უდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, V. თბილისი: თსუ გამომცემლობა, 1957b).
- K'ek'elidze, K'orneli. *Dzveli Kartuli Lit'erat'uris Ist'oria*. Tbilisi: gamomtsemloba „metsnireba“, 1980 (კეკელიძე კორნელი. ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1980).
- K'k'nadze Zurab (redakt'ori). *Religiebi Sakartveloshi*. Tbilisi: Sakartvelos sakhalcho damtsveltan arsebuli t'olerant'obis tsent'ri, Sakartvelos sakhalcho damtsvelis bibliotek'a, 2008 (კიკნაძე ზურაბ (რედაქტორი). რელიგიები საქართველოში. თბილისი: საქართველოს სახალხო დამ-ცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრი, საქართველოს სახალხო დამცველის ბიბლიოთეკა, 2008).
- K'imeni I. K'imeni (T'ekst'ebi). Ianvis, Tebervlis, Mart'is, Ap'rilis da Maisis Tsveta T'ekst'ebi. T'. I. Tbilisi: Rusetis sametsniero ak'ademiis gamotsema, 1918 (კიმენი I. (ტექსტები). იანვარის, თებერვლის, მარტის, აპრილის და მაისის თვეთა ტექსტები. კიმენი. ტ. I. ტფილისი: რუსეთის სამეცნიერო აკადემიის გამოცემა, 1918).
- K'imeni II. *Kartuli Agiografiuli Dzeglebi*. Nats'ili 1. Tbilisi: Sakartvelos ssr metsnirebata ak'ademiis gamomtsemloba, 1946 (კიმენი II. ქართული აგიოგრაფიული ძეგლები. ნაწ. 1. კიმენი. ტ. 2. თბილისი: საქართველოს სსრ. მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1946).
- Nahmer Dieter von der, Die lateinische Leiligenita: Eine Einführung in die lateinische Hagiographie, Darmstadt, 1994.
- Pierer's Universal-Lexikon, Band 7. Altenburg 1859.
- Pratsch T., Der Hagiographische Topos, Grichische Heiligenvitae im mittelbyzantinischer Zeit, Millennium-Studies, zu Kultur und Geschicje des ersten Jahrtausends n. Ch. Band 6, Walter de Gruyter Berlin New York, 2005.
- Raspe Luchia, Jüdische Hagiographie im mittelalterlichen Aschkenas, Mohr Siebeck Tübingen, 2006
- Rat'iani, Irma. *Kronot'opi Ant'iut'op'iur Romanshi*. Tbilisi: Tsu gamomtsemloba, 2005 (რატიანი ირმა. ქრონოტოპი ანტიუტოპიურ რომანში. თბილისი: თსუ გამომცემლობა, 2005).
- Rat'iani, Irma. "Mikhail Bakht'inis Teoriuli K'ontseptsia. Dialoguri Kritika". K'r-shi: *Lit'erat'uris Teoria. XX Sauk'unis Dziritadi Metodologiuri K'ontseptsiebi da Mimdinareobebi*. Tbilisi: 2008 (რატიანი ირმა. „მიხაილ ბახტინის თეორიული კონცეფცია. დიალოგური კრიტიკა“. კრ-ში: ლიტერატურის თეორია, XX საუკუნის ძირითადი მეთოდოლოგიური კონცეფციები და მიმღინარეობები. თბილისი: 2008).

Nino Popiashvili  
(Georgia)

## For the Definition of the Typological Model of Hagiographic Work

### Summary

**Key words:** European-Georgian literary and cultural relations; Hagiographic Literature, Georgian Hagiographic Literature; Late Antique literature; Early Medieval Literature; Literature Models.

Late Antique and Early Medieval literature includes texts created in the era of early Christianity, from which European literature arose, reflecting the historical, social, cultural, religious features of the era.

The literature of this period on the one hand is based on ancient literary tradition, and on the other hand, the paradigms and concepts of the Bible and the Gospel. However, the style of Roman legal language and investigative process, which is preserved, makes the actions rather realistic. Hence, together, they form a qualitatively new literary model, combining the heroism and tragedy of the ancient era with its religious, Christian morality, and the ideology of the Roman law and historical issues.

The law, models and paradigm of the hagiographic genre are associated with several main aspects, which arise from the peculiarities of hagiography itself, the description of the lives of saints, short, detailed, editorial types to be read and listened, the function of hagiography itself, norms, values.

Hagiography has long been viewed from the perspective of history and source study. Its philological studies have been started since the 18th century. Hagiography is considered a kind of literary universal, which implies that the hagiographic genre is common to various national literatures that have Christian writing.

The study of hagiographic literature is important in the context of early European literature research. However, it is important to note that Georgian literature was actively involved, knew, shared and relied on the late Antique and early medieval literary processes going on in Europe. In this respect noteworthy are the translations of late Antique and early medieval literary texts, which are not retained in the original, Latin or Greek languages, and thus Georgian translations of these texts serve as a source. At the same time early Georgian literature creates important literary-typological features, including genre-based characteristics, literary models, and cultural paradigms.

Georgian hagiography is very rich, and hagiological studies show that many genres can be singled out within it. Christianity, which creates the tradition of the martyr and witness by witnessing, compassion and joint participation of the martyrdom of Christ, is one of the main creators and authors of the hagiographic genre.

The main method of depicting hagiography as a writing of literary genre is typology as a form of thinking, in which archetypal models of imitation and depiction are combined. Consequently, the signs characteristic of the hagiographic genre are entirely associated,

on the one hand, with the life and martyrdom of Christ and his disciples, and on the other, with the ancient Christians' life and martyrdom, interpretation and extension.

The law, models and paradigm of the hagiographic genre are associated with several main aspects, which arise from the peculiarities of hagiography itself, the description of the lives of saints, short, detailed, editorial types to be read and listened, the function of hagiography itself, norms, values.

Observations of hagiographic works show that, like the genre itself, the model of character depiction differs depending on the short and extensive editions.

As for the peculiarities of the character depiction, particular mention should be made of the brief model of the first period processed in the "Martyrological Acts", in the Georgian hagiological terminology, in kimenic editions, in which the following peculiarities are highlighted:

1. Baptism (a pagan character is baptized);
2. After a certain time has passed, the baptized hero is required to return to "faith by nature", i.e. renounce the new faith;
3. The main character refuses to change his faith, which becomes the basis for new confrontations;
4. Performing miracles;
5. The main character is threatened with terrible torture, but the character shows amazing inner peace, resilience;
6. The main character, which has an unbreakable faith, gladly obeys when he is taken to the death penalty.

In addition to eyewitness records, early Christian Martyrological acts, from a literary point of view, represent a general scheme and consist of common symbols; including, in connection with the peculiarities of the character depiction. It is here that the result of the development of a compositional framework characteristic of hagiographic literature, which has become typical for hagiography, is read.

The Marchvilo logical collections of the short story genre preserve the style of recording Roman legal and investigative processes. In most cases, the development of the action is extremely realistic, and that is why the use of the hagiographic text as a historical source is considered quite correct. The texts necessarily point to historical dates, names of historical persons, governors, kings, regional rulers, years of reign or rule, etc. In some cases, certain dates, names of places or names of historical persons become controversial when compared with other sources, although the very fact, pattern, specification of time and place are one of the main characteristics of the hagiographic genre. At the same time, the early Martyrological writings note the paradigms and concepts of the Bible and the Gospel.

Georgian hagiography defends the paradigm of universal topoi and presents them together with national elements. Let's consider several universal topoi using the example of Georgian hagiography:

### **Sententia as a Topos**

At the beginning of a hagiographic writing, a sententia is often used, a general statement, thought-provoking saying or proverb, universally acknowledged truth consisting

of one sentence. This sententia is given by the author to demonstrate compassion and a certain positive attitude from a reader.

#### **Topos of Reverence**

The author explains to the reader that his task, or mission, is very difficult and inappropriate for him. Therefore, he asks readers in advance - to forgive the weak points.

#### **The Fewest of Many**

This topos marks a hagiographic trend, which can be divided into two categories:

- Of the many saints, only the martyrdom and life of a few are described;
- Only very few merits are described in this writing.

#### **Topos of Substantiation**

The topos of substantiation is the basis of writing, the reason for writing. At such moments, the hagiographer does not abase himself and does not apologize for his literary activity, but reasonably substantiates the necessity because of which his work is necessary and needed, and why he begins to write. Among the arguments can be cited writing (description) against oblivion or writing for educational purposes, or with imitation, under dictation, with promotion, coercion of superiors, authorities.

#### **Against Oblivion**

Narrative as topos against oblivion is often found in hagiographic texts. The author justifies the need for narration by the fact that without describing the life of the saint, the future generation would not have learned this important story. First of all, the life of a saint has the power of example, to which the hagiographer points directly or subtextually. Thus, he intends not only to immortalize the memory of the hero, not to forget his name, but also to use the best time to remember him, to single out him - to stress the multifaceted significance of the hero's existence.

#### **Educational Purpose**

Educational purpose, didactic purpose as a topos, derives from the need for writing, that narration is a necessary, appropriate and useful activity for the readers. The power of example can also be considered under the educational purpose.

#### **Mimesis**

The description of the activities of the saints has not only an educational purpose, but also the power of mimesis, imitation.

In addition to the above-mentioned, a common topos is distinguished in hagiographic works, which bring together different forms that do not have specific manifestations and are often found in specific situations.

The general schematic characteristics of hagiographic models, topoi and paradigms are really similar to each other and confirm the existence of the same signs. As we have seen, according to the models for depicting the plot and characters, Georgian hagiographic works repeat and develop the well-established models. At the same time, of course, they have an original form, as far as possible in the presence of stable literary models.

The purpose of this paper is to identify and compare European late Antique and early medieval literary models with examples from Georgian literature. The research is based on modern European methodologies and theories.

**Elnara Garagyezova  
(Azerbaijan)**

## **Postmodern Discourse and Azerbaijani Literature**

### **(in base of Orkhan Fikratoglu's and Fakhri Ughurlu's fictions)**

Among the representatives of postmodern literature of Azerbaijan, the fictions of Orkhan Fikratoglu and Fakhri Ughurlu are especially distinguished. The polyphonic, wide-ranging works distinguish these two authors among others. The works of Orkhan Fikratoglu and Fakhri Ughurlu are very important in Azerbaijani literature in terms of the transition to postmodernism, the study of the national version of postmodernism.

There are two main lines in Orkhan Fikratoglu's prose:

#### **1. Modern prose line**

#### **2. Postmodern prose line**

Modern prose traditions are reflected in such stories by Orkhan Fikratoglu as «Christmas Eve», «Stepfather», «Clove Insect», «Untitled Story», «Guardian» and in the novel «Alone». It should be noted that the modern prose tradition mentioned in the works of Orkhan Fikratoglu is based on the sixties, the style of Mirza Jalil Mammadguluzadeh, which they refer to from time to time. Orkhan Fikratoglu's novels «Morning», «Debt», «Fly», «History of a Prosperous Man», «History-Chibi», «Oil Dadash», «Axrestomatic Story», short stories, dramaturgy, essays and the novel «A Dead Text» represent the **postmodern line** of creativity.

Postmodern elements, which are also felt in the author's stories, are more pronounced in the author's stories and novels. The protagonist of the story «The Man of the Third Day» (2008) lives all the weight of the «profession» he chose for profit - to be a hired killer. As his family's financial situation improved, his spiritual death accelerated, and his conscience became entangled in an iron grip. The parable about the stranger and the camel, which the author includes in the work, plays a key role in opening the inner layer of the work. Orhan Fikretoglu, in fact, by writing about the feelings and experiences of a murderer, speaks not only of the individual, but also of society.

The author thus illustrates the concept of «collective sin», which is widely used in Western literature. The timelessness of the work and the attempt to descend into the genealogy of sin are also related to this. The theory of «collective sin» is at the heart of many of Franz Kafka's works, including *Process*. The protagonist of the “*Process*” Joseph Ka, is also guilty. He is arrested and executed for a crime he did not know about.

The guilt of Orkhan Fikratoglu's hero is obvious at first sight. He kills people by order, for money. He commits one of the greatest sins that God has forbidden. But here the subject of sin is conditional. It is not only the individual who is a murderer and sinner. This is a collective sin. In addition to killing people, he is also guilty of killing camels. If we

consider that the stranger symbolizes the world and the camel symbolizes humanity, the ancient man with the first arrow he shot had already laid the foundation of collective sin. From the day Cain killed Abel and tasted the impunity of slaughter (in fact, he believed in the utopia of impunity), all mankind bears this sin. From this point of view, Orkhan Fikratoglu's protagonist bears the sins of not only himself, but of all mankind, and is accountable for this crime.

The story «Seven» gives a symbolic description of the world. The complex world of man, the meaning of life, is the essence of the story, which begins with the impossibility of reuniting the nameless old woman - the two children of the world - day, the curly-haired son representing the light, the night, the straight-wired son symbolizing darkness. The story of Adam and Eve is referred to when the grandfather wanted to find the way to that world and add it to the map. The fig leaves that the child wears also point to this religious parable. Man has been looking for himself since the day he was expelled from God. Because man is the only creature who embodies good and evil at the same time. The day of his expulsion from God's presence symbolizes that man is a captive of knowledge, and that this knowledge constantly leads him to search, to doubt, and to a path that leads to suffering, away from the carelessness of paradise.

In "Song Twelve", the life of a girl living in a remote, quiet village changes with the arrival of a man who falls off a train (read: separated from the time of materialism). A man who falls into the pure world of a girl purifies his life for the first time in his life. In this quiet world, he sees himself in the mirror of the subconscious, free from selfishness and ego. But the longing for the noisy city tears him away, and he returns to a world of lies, hatred, and hatred. The absence of the names of the protagonists of the story, the mere mention of «man», «girl», «old man», «child» encourages the reader to pay attention to the inner layer of the work, the mystical atmosphere of the work brings a special aura to the postmodern text.

The novel «A Dead Text», presented to readers in 2013 and published in Turkey in 2015, resonated in the literary world and was accepted by literary critics as the beginning of a new stage in the work of Orkhan Fikratoglu. The novel begins with the Master accepting a manuscript written on a papyrus paper called «A Dead Text» with black butterflies flying between its pages from a boy with a strange appearance on his head. Orkhan Fikratoglu informs the reader that the novel was written in the post-Sufi genre and, in fact, gives him the key to the text.

It is the Sufi who can read the manuscript in the work. Another aspect of Sufi aesthetics in the novel is the use of the butterfly symbol. Earlier, another representative of the Azerbaijani literature of the independence period - Aydin Talibzadeh also referred to this Sufi symbol in the novel «Butterfly Model-102». Note that the «butterfly» is both a symbol of the spirit and the clothes worn by Sufis. Aydin Talibzadeh writes in the article «Butterfly or commentary-situation Nasimi (philological fantasies)»: "In other words, «butterfly» is interpreted in Persian as a maker. In the context of Nasimi's poems, the word

80-90 წლების სოციო-ეკონომიკური ცვლილებები მთლიანად ცვლის ქალაქურ სივრცეს და ადამიანთა ყოველდღიურობას. ურბანულ ტრანსფორმაციათა რადიკალური ხარისხი და მოვლენათა ემოციური სიმძაფრე დედაქალაქზე განსაკუთრებულ გავლენას ახდენს. ეროვნული მოძრაობიდან მოყოლებული, ქუჩა, როგორც ცენტრალური ურბანული ელემენტი, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს და მაქსიმალურ ნიშნულს 90-იან წლებში აღნევს. მიტინგებისა და შეკრებების დროს ქუჩა ძალაუფლებისა და თვითგამოხატვის ტოპოსად ყალიბდება. ეროვნული მოძრაობის პოლიტიკური დისკურსი და 9 აპრილის მოვლენები რუსთაველის პროსპექტსა და მისი მიმდებარე ტერიტორიას სხვა მნიშვნელოვან ფერტორებთან ერთად განსაკუთრებული სულიერი ღირებულებებით ტვირთავს. ამას მოსდევს სამოქალაქო კონფლიქტი. საომარი მოქმედება თბილისი ცენტრალურ პროსპექტზე სულ მცირე დროში განადგურებული ქალაქის შემზარავ ხატს აჩენს. 90-იანი წლებიდან განსაკუთრებით თვალშისაცემი ხდება ურბანული ცხოვრების შიგნიდან გარეთ, ქუჩაში გადატანა: ნებისმიერი ამბავი, მოვლენა – იქნება ეს ურბანული ლეგენდა თუ სიუჟეტი – ქუჩას უკავშირდება. ქალაქი – მოწესრიგებული, ვერტიკალზე მართული სტრუქტურა ფუნქციონირებას წყვეტს და გარდაიქმნება სივრცედ, რომელიც საკუთარ თავზე იღებს საზოგადოების ყოველწუთიერი, სპონტანური საჭიროებების დაკმაყოფილებას (ხშირად ინტიმური, ან ინტერიერისთვის განკუთვნილი ქმედებები, მაგალითად, საჭმლის მომზადება – სამზარეულოებიდან პირდაპირ ქუჩაში, სახელ-დახელოდ მოწყობილ ქურებზე გადაინაცვლებს). ამის კვალდაკვალ, ქუჩა იქცევა თვითგადარჩენის, არსებობისთვის საჭირო რესურსების მოპოვების ტოპოსად (პურის, საწვავის რიგები). პარალიზებული სატრანსპორტო მოძრაობის გამო ქუჩები ფეხით მოსიარულეთა ნაკადებით ივსება, აქტიურდება სოციალური კომუნიკაციები ამ ურბანულ ელემენტზე. საერთო სოციალურ ფონს ემატება ენერგოკრიზისი, რაც ღამის ქალაქის ქუჩებს ჩაბნელებულ,

უსინათლო პეიზაჟად აქცევს და მის ურბანულ ხატს მძიმე, ქვეცნობიერი დაძაბულობით ტვირთავს.

შემთხვევითი არ არის, რომ კ. კაჭარავას შემოქმედებაში ადამიანის ეგზისტენციალური პრობლემები და სოციალური უსამართლობის კონცეპტები სწორედ ქუჩის სივრცეს გადაეჯვაჭვა. კარლო კაჭარავას პოეზიასა და მხატვრობაში ქუჩა ერთ-ერთი ცენტრალური სივრცეა, სადაც ყოველდღიურობა ავლენს თავს. ქუჩის, როგორც ეგზისტენციალური სივრცისადმი ინტერესი მის მხატვრობას გერმანულ ექსპრესიონისტებთან აახლოებს, რომლებიც, როგორც ცნობილია, „სამოქმედო არეალად“ ასევე ახლადჩასახული მეგაპოლისის ქუჩას ირჩევენ. 1914 წლის მანიფესტში ლუდვიგ მეიდნერი აცხადებს, რომ „უკვე დროა დავიწყოთ საკუთარი მეგაპოლისის ხატვა. მთრთოლვარე ხელით უამრავ, ფრესკის ზომის ტილოზე უნდა აღიბეჭდოს ის არაჩვეულებრივი, სანტერესო სახეები, რომელიც ქალაქში გვხვდება, პროსპექტების მთელი საშინელება და დრამატიზმი, სადგურების, ფაბრიკების, გაზის ტანკერებისა და ხიდების რკინის კონსტრუქციები“ (Meidner 1970: 111). გერმანული ექსპრესიონიზმი ცვლის ქალაქის აღქმის კუთხეს და მხატვარს განსაკუთრებულ სამოქალაქო ფუნქციასაც ანიჭებს: „ქუჩის სივრცეში ადამიანის დაბრუნება ანგრევს ბოდლერისეულ წარმოდგენას მოზეიმე-მოხეფიალე ზარმაცის შესახებ ისევე, როგორც წარმოდგენას პასიურ დამკვირვებელზე, რადგან მეგაპოლისის დინამიკაში მისი მონაწილეობა არის კიდეც ექსპრესიონისტთა გაცხადებული მიზანი“ (Фриძნი 2002: 4).

თანამედროვე მხატვრის შემოქმედებითი და სამოქალაქო პოზიცია კარგად აქვს გაცნობიერებული კარლო კაჭარავასაც: „უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანი იყო რეალობის პრობლემების ფიქსაცია და არა რაღაც ეზოთერულ-თეოსოფიური ქიმერებისა, ჩვენში ასე რომ უყვართ“ (კაჭარავა 2006: 118). კაჭარვას პოეზიაში შეულამაზებელი სიმართლის უკომპრომისო ასახვა შეუცვლელი მხატვრული ხერხი ხდება: „პოეტურია მშენებთა სიხარბე?... კონცეპტუალური ვახშამი, როგორც ყოველთვის არ შემდგარი ვახშამია“ (...თქვენ თამაშობდით, თქვენ ხატავდით ბოთლებს და დაკეტილ კარებს“); „...ჩვენ ვწუხვართ ამ სისადავით, მზეზე მოელვარე დღე და ჭიქა ჩაი“ (...ჩვენ ვწუხვართ ამ სისადავით...“, 1992 წ.).

მისი ლექსები 80-90-იანი წლების დოკუმენტურ ქრონიკებს მოგვაგონებს, სადაც პოეტური სახეები ამ პერიოდის სოციალური თემატიკითა და პრობლემებითა გაჯერებული. უფრო მეტიც: კარლო კაჭარვა თავის ფერწერაშიც უარს ამბობს რეალობის თუნდაც მცირე ესთეტიზაციაზე და მახინჯი სინამდვილის უხეში, გროტესკულობამდე მიყვანილი ტიპაჟებისა და ფორმების მეშვეობით თანამედროვე ქალაქის სახეს ქმნის. სტილისტური არსენალის შერჩევისას კვლავ იგრძნობა ნათესაობა დასავლურ ხელოვნებასთან. ამ კუთხით, მხატვრული თუ მსოფლმხედველობრივი პარალელები შეიძლება რამდენიმე ფაქტორით იყოს განპირობებული: პირველ რიგში, ეს არის სოციალურ-პოლიტიკურ გარემოებათა თანხვედრა – ომის შემ-

დგომი კრიზისი, მოსახლეობის გაღარიბება, ტრავმული გამოცდილების ფსიქოლოგიური თუ მორალური შედეგები და ა.შ.

კარლო კაჭარავას პოეტურ და ფერწერულ სახეთა კომპლექსური ანალიზისას იკვეთება 80-90 წლების სპეციფიკური პრობლემატიკა და ურბანული დრო-სივრცის განცდის ის ასპექტები, რომლებიც უშუალოდაა და-კავშირებულ სოციალურ-პოლიტიკური ტრანსფორმაციებით გამოწვეულ ფსიქოლოგიურ ცვლილებებთან.

კარლო კაჭარავას ქალაქის სახე თანამედროვე სამყაროს ეგზისტენციალური კონფლიქტებით დატვირთული ადამიანის სულიერი დისკომფორტის გამოსახულებაა. ქალაქი ჩაკეტილი, კლაუსტროფობიური სივრცეა, რომლის დაძაბულ „ვიბრაციაშიც“, კონტაციურ დონეზე, განწირულობის, გარდაუვალობის მნიშვნელობები იკთხება (...და სადღაც, სარკმელს მიღმა ჩაკეტილი ბედნიერება“ („ზაფხულის ქარიანი ღამები“, 1993 წ.). სივრცის ამგვარი განცდა ზოგადად დამახასიათებელია 90-იანი წლების თბილი-სური რეალობისთვის. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ქვეყნიდან გასვლა ოფიციალურად შესაძლებელია, თუმცა რეალურად მიუღწეველი. პოლიტიკური და ეკონომიკური კატაკლიზმები აღიქმება არა როგორც თავისუფალი არჩევანი, არამედ როგორც კონკრეტული ისტორიული პერიოდის ფატალური იმპერატივი, რომელიც მსხვერპლის პოზიციაში აყენებს ადამიანს. ქალაქური ცხოვრება ექვემდებარება მხოლოდ მისთვის განკუთვნილ, მსოფლიო დინამიკიდან ამოვარდნილ, ავტონომიურ დროსა და სივრცეს, საიდანაც გაღწევა შეუძლებელია. აღსანიშნავია, რომ კაჭარავას ფერწერაში ურბანულობა ყველაზე ნაკლებად ემყარება არქიტექტურული ელემენტების გამოსახვას, იგივე შეგვიძლია ვთქვათ პოეზიაზეც, სადაც ქუჩის საზღვრები და სცენის ანტურაჟი ზოგადადა მონიშნული. ფოკუსში ქალაქური დრამის მონაწილეთა სახეები ხდებიან. ურბანული ხატებიდან პაერი თითქოს გამქრალია, ამოტუმბულია. ამ განცდას ამძაფრებს მულერი, კონტრასტული კოლორიტი და დახვავებული, გროტესკულობამდე მიყვანილი ფიგურები. მრავალფეროვანი, ინტენსიური სახეებითაა დატვირთული პოეზიაც.

ამ ჩაკეტილობის დასაძლევად პოეტი ცდილობს, სივრცე უფრო მომცველი გახდოს, რასაც იგი საკუთარი სუბიექტური ხედვის გარესამყაროში რადიკალური და გაბედული ექსპანსიით ახდენს: კარლო კაჭარავასთვის ურბანული სივრცე არ არსებობს საკუთარი აქტიური მონაწილეობის გარეშე. მისი სუბიექტური შეხედულებები, ლიტერატურული სამყარო, მისი სიზმრებიც კი ქალაქის სივრცის ნაწილი ხდება და ყოველდღიურობასთან თანაარსებობს. როგორც ცნობილია, თანამედროვე ურბანულ თეორიებში ქალაქის ხატი სწორედ „ადამიანის მონაწილეობით, მისი შეგრძნებების ფილტრის დახმარებით იქმნება“ (Lynch 1960: 3-5).

მეტაფიზიკურ პრიზმაში არეკლილი პოეტის სიზმრები, ლიტერატურული სახეები, კომენტარები ყოფის უხეშად მატერიალურ სუბსტანციას სახეს უცვლის და მას არაერთგვროვან, ზღვრულ მატერიად გარდაქმნის.

სუბიექტური კულტურის გაძლიერების სურვილს ურბანისტული ფილოსოფია მეგაპოლისში ობიექტური კულტურის მოძალებაზე ინდივიდის რეაქციად მიიჩნევს. ეს ვითარება 90-იანი წლების თბილისური სინამდვილისთვისაც ადეკვატურად შევვეძლო მიგვეჩნია, მიუხედავად იმისა, რომ ამდროობინდელი ქალაქი შორსაა მასშტაბური მეგაპოლისის ცხოვრების რიტმისაგან.

კარლო კაჭარავას პოეზიისთვის დამახასიათებელი ინტერტექსტუალობა ხშირად მხოლოდ მწერლების, პოეტების სახელის ხსენებით შემოიფარგლება, მაგრამ ეს მყისიერი გადაძახილებიც საკმარისია ყოფის რუტინულობის გასარღვევად და ასათქმელის ირგვლივ ახალი სემანტიკური ველის წარმოსაქმნელად. კაჭარავას ციტირებას თუ მოვახდენთ, თანამედროვე ურბანული სივრცის სახე სწორედ ამ „მითოლოგიზირებული სახელების სახე ხატების“ მონაწილეობით იგება:

...ჭარბწარმოება  
მითოლოგიზირებული სახელების სახე-ხატების.  
კიდევ უფრო მეტად, ვერმოსახილეველი სიჭრელე.  
კარავი, შეკრული ცის ირმებად  
იერცვლილი სახე-ხატებისაგან.  
და მათ შორის ჩვენი ფატალური ჯანყი-ბოჰემა...

(„...ჩემი ლამეები თქვენს დღეებზე უკეთესია“, 1993)

80-90-იანი წლების „მითოლოგიზირებულ სახელებს“ შორის არიან მწერლები, მხატვრები, პოლიტიკოსები და მსახიობები. უსახური ყოველდღიურობის აღნერისას აქა-იქ გაიელვებენ ენდი უორპოლი და უან მიშელ ბასკიას სახელები, პოლიტიკოსები, მსახიობები – 80-90 იანი წლების ახალი („შვილების“) თაობის კერპები, „პურის რიგში მდგომთა“ მძიმე ყოველდღიურობაში თითქოს მოულოდნელად, აგრესიულადაც კი – შემოჭრილნი:

...ე. ინგოროვა კითხულობს „ბაადურ მაინპოგის ქრონიკას  
და ეძახის ენდი უორპოლს ან უან მიშელ ბასკიას,  
ან ეძახის პურის რიგში მდგომთა შვილების კერპებს:  
სტალინეს, ვან ბასტენს კიმ ბესინჯერს....  
(„...ეგნატე ნინოშვილის აჩრდილი ებრძვის პურის  
რიგში მდგომათა ლამეს“, 1992)

პოეტის საყვარელი მწერლის, ეგნატე ნინოშვილის ფიგურა ორ ლექსში გვხვდება. მას კაჭარავა თანამედროვე მოვლენების კონტექსტში ათავსებს და ერთგვარი ნიშნის ფუნქციას ანიჭებს:

...ეგნატე ნინოშვილის აჩრდილი ებრძვის პურის რიგში მდგომთა ლამეს  
ყველა მისი სამხილი ცუდად შემჩნეულია და იაფად ენირება რამეს:  
ავტომატს ან თურქულ შარვალს.

მისი ყველა მხილება ცუდადშემჩნეულია, როგორც კედლის მიღმა  
ორსული ქალის ხველება...

(„...ეგნატე ნინოშვილის აჩრდილი ებრძვის  
პურის რიგში მდგომათა ღამეს“, 1992)

ეგნატე ნინოშვილის აჩრდილი საცმაოდ სწრაფი ნაბიჯით  
მიღდის სამედიცინი ინსტიტუტის გასწვრივ  
და გვერდზე ძალი მისდევს ქარისგან ბალანაშლილი.  
არ გაანათებს ფერადი ნეონი ნინოშვილის სახეს.  
ზურგზე არ გადაურბნებს სასწაულებრივად შემორჩენილი  
ღამის ტროლეიბუსის სარკმელთა წყვეტილი შუქი-  
მეტყველებანართმეულ მგზავრთაა უარაფრო მზერით.  
(„როცა სინათლე კლებულობს“, 1992)

ნიშანდობლივია, ამ უკანასკნელი ლექსის სახელწოდების – „როცა სინათლე კლებულობს“ – ორმაგი სემანტიკის მიღმა, ერთი მხრივ, სიბნელე, უდენობა და შესაბამისად, 90-იანების ენერგოკრიზისის ასოციაციები იპადება, მეორე მხრივ კი იგი მინიშნებაა მორალურ სიბნელეზე, უსინათლობაზე. ამავე ხატის ილუსტრაციად შეგვიძლია მივიჩნიოთ კარლო კაჭარავას უსათაურო შავ-თეთრი კომპოზიცია, სადაც ადამიანთა ყოფის უსახურების, მორალური განურჩევლობის ჩვენება შუქ-ჩრდილის მეშვეობით ხდება. ამავე სემანტიკურ რკალს ეკუთვნის მისი კომპოზიცია „სინათლის გაქრობა“, სადაც ადამიანთა შინაგანი წნევისა და შუქისგან დაცლილი გარემოს დამთრგუნველი ხატია ნაჩვენები.



კოპოზიცია „უსათაურო“

90-იანი წლების რეალობის ერთგვარი სიზმრისეული, ფანტასმაგორიული ხასიათი კაჭარავას შემოქმედებაში განსაკუთრებულ მხატვრულ ქსოვილს ქმნის: პოეტური და ფერწერული ხატები გამოუვალ კოშმარსა და ჯადოსნურ ზღაპარს შორის მერყეობს. სიზმარი განიცდება არა როგორც ილუზია, როგორც რეალური ცხოვრების ოპოზიცია, არამედ როგორც საზ-

რისის ვერ მოხელთება, აბსურდული რეპუსი, რომლიც არ ექვემდებარება რაციონალურ ლოგიკას. ქალაქი გარდაისახება სასაზღვრო სივრცედ, სადაც უხეში რეალობა და ქვეცნობიერი ზმანებები თანაბარი უფლებებით არსებობენ და ერთმანეთში გადაედინებიან:

...გააშკარავდა დამე ქარხნის სიფხიზლით.  
მინის კოვზებით მთელი ღამე ვახშმობდნენ ბავშვები, რომლებსაც ყვითელი თმები და ნაცრისფერი თვალები ჰქონდათ.  
ქარხნის კუნძული დიდ ქალაქში ჰავდა ჩაკეტილ გასასვლელებს,  
სადაც ვახტიორთა სიზმრები გაავებულ ძალებთან ერთად  
დასდევდნენ არჩართულ სირენებს, ანუ იმ ქალებს,  
რომლებიც ვერ ასწრებდნენ კივილს,  
როცა მათ კლავდნენ.

(„შენ შეგიძლია მოგზაურობა“, 1992)

გარდა წმინდად სიურეალისტური სახეებისა, რაც ასე ხშირად გვხვდება კარლო კაჭარავას პოეზიასა და ფერწერაში, თვალშისაცემია რეალობის სტრუქტურის სიზმრისეული ლოგიკა: მოვლენებს მთლიანად წარმართავს არაცნობიერი. დარღვეულია დროის კონტინუუმი, სივრცე არ წარმოადგენს ერთ მთლიანობას, დრო-სივრცე ფრაგმენტებადაა დამსხვრეული, როგორც სიზმარში. მხატვრის მზერა ცდილობს არ დაკარგოს არც ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი და მათი მეშვეობით წარმოაჩინოს რეალობის სრული სურათი. ამგვარი ფსიქოლოგიური დინამიკა უახლოვდება 90-იანი წლების რეალობის აღქმის მოდელს: 80-იანი წლების ეროვნული მოძრაობიდან მოყოლებული, თვალშისაცემია ცხოვრების რიტმის უჩვეულო აჩქარება, მოვლენათა სწრაფი უთიერთმონაცვლეობა, ადამიანს უჭირს დროსთან შესაბამისობაში გააცნობიეროს სხვდასხვა მასშტაბის ტრანსფორმაციები, რის გამოც ჩნდება განცდა, რომ რეალობა ბოლომდე არ არის შეცნობილი, გარემო ულოგიკოა და არ ექვემდებარება ადამიანური კონტროლის მექანიზმებს. მას ექმნება მოვლენათა ვერ განსაზღვრის, ვერ მოხელთების შთაბეჭდილება. ინდივიდუული სივრცის გავლენებზე საუბრობს გეორგ ზიმელიც თავის ნაშრომში „მეგაპოლისი და მენტალური ცხოვრება“. ფრაგმენტული შთაბეჭდილებები, რომლებსაც მეგაპოლისი აღძრავს, საშუალებას არ აძლევს ადამიანს აღიქვას დროის ერთიანობა (Simmel 1969: 8). ამგვარი ფსიქოლოგიური მდგომრეობა საბოლოოდ ემოციურ ცვეთას, სასიცოცხლო ძალების ამონურვას იწვევს. ადამიანი პასიური დამკვირვებლის როლშია, პიროვნული არჩევანი შეზღუდულია, მისი მოქმედების არეალი კი მექანიკურ რეაგირებამდეა დაყვანილი. ახალ პარადიგმას, სადაც რეალობასა და ილუზიას შორის ზღვარი წაშლილია, მნიშვნელობები დაფანტულია, მოვლენათა სახელდება კი თითქმის შეუძლებელია („P.S. არავინ არაფერი არ იცის...“) – პოეტი მხატვრულ ფორმად გარდაქმნის. რეალობის კრიზისი, მნიშვნელობის კრიზისი და იდენტობის კრიზისი აჩენს ეჭვს მეტყველების, დიალოგის აუცილებლობის მიმართ:

მე ვიჯექი უცნაურ რესტორანში, გარშემო უამრავი  
რამ მეხვია:

ვინ არიან ისინი? მუსიკოსები? ბავშვები?

მუშები თუ ანგელოზები?

მე ისევ მიკვირს, თუ არადა, მაშ რატომ ვყვები?

ვინ არიან ისინი? ფრინველები? მსახიობები?

პოლიციელები?

ჰკითხეთ თქვენს გულს. -

- სად არის ჩემი გული?...“

(„მე ვიჯექი უცნაურ რესტორანში“, 1992).

„ისინი არ არიან: არც მუშები, არც ჯუჯები, არც „მოსსადის ხალხი“

არც ლოთები, არც ოლიმპიელები, არც ცენტორები,

არც ბროკერები არც ტაქსისტები...


(„არარესტავრირებადი ღამე“, 1992).

ემოციური ცვეთა და ყოველდღიური ბრძოლით ნიპილზმამდე მისული ადამიანის განცდები კარლო კაჭარავას პოეზიასა და მხატვრობაში ქმნის დომინანტურ მოტივს, რომელსაც ავტორი მრავალფეროვან სახეებად და შინაარსებად გარდაქმნის. კარლო კაჭარავას ლექსის სტურქტურისთვის და-მახასიათებელია ფინალური სახეები, რომლებიც ლექსის განვლილი დინა-მიკის გაგრძელებას კი არ წარმოადგენს, არამედ თითქოს წინამდებარე სტრიქონების ნიველირებას ახდენს. დამამთავრებელი აკორდის ულერადობა შეიძლება აპათიური, ნიპილისტურიც კი იყოს. მიუხედავად იმასა, რომ ამ გზით ლექსის დასასრულს ერთგვარი ემოციური განმუხტვა მიიღწევა, სიზ-მრისეული ბუნდოვანების ხარისხი მატულობს: „სამხრეთ აფრიკის მაღარო-ებში თეთრი და შავი მემაღაროები ერთი ფერისანი არიან“ (...ჩემი ღამეები თქვენს დღეებზე უკეთესია“. 1993 წ.) ან „შენ ეს არ გითქვამს, შენ არ გძი-ნავს, შენ თოფით იცდი, შენ მებაჟე ხარ“ (...შენ დაიბადე ფოთის ელევატორ-თან“. 1993 წ.) „შენ დაგესიზმრა ყველა ის გაზეთი, რომელიც ოდესმე წა-გიკითხავს, შენ დაგესიზმრა ყველა შენი საუზმე“ (...არარესტავრირებადი ღამე“. 1992 წ.) ა.შ.

პოეტის მცდელობა, გადალახოს დროის მიერ შემოთავაზებული პასი-ური დამკვირვებლის პოზიცია, შეიძლება მივიჩნიოდ ბუნებრივ პროტესტად ადამიანის ავტომატიზმამდე დასულ, რუტინულ მოქმედებებზე, რომელიც ადგილს აღარ უტოვებს არაფერს, პირველადი მოთხოვნილებების გარდა, მისთვის უცხო და ზედმეტია როგორც პოეტის სამყარო, ასევე მისი მორა-ლური ფასეულობები.

კაჭარავას მხატვრობაში დაღლილობის, უსისოცხლობის განცდა სა-ერთო განწყობაა, რომელიც გამოიხატება ფიგურათაა უმწეო, უსუსურ პო-ზაში (...ჩვენ არ გვიკვირს უსუსურობა“ – „ოქროს ღამეთა მაქმანები“, 1989), მათ გამხდარ სხეულსა და ჩამქრალ მზერაში. სიცოცხლისგან დაცლილი

სივრცის ხატს ვხვდებით კომპოზიციაში სიმბოლური სახელწოდებით „ნიჭი-ლისტის სიზმარი“, სადაც უკაცრიელი ქალაქის გარეუბნიდან წარსულის მქრალი აჩრდილები შემოგვცექერიან. მათ შორის ავტორის ბიოგრაფიული პერსონაჟებიცაა, რომელთა მეშვეობითაც მხატვარი თანამედროვე ურბანული მსოფლალებისა და ბიოგრაფიული ელემენტების გაერთიანებას ცდილობს.



Teti Lissi



კომპოზიცია  
„კრისტალური სიზმარი“

კარლო კაჭარავას შემოქმედებაში 80-იანი წლებიდან ჩნდება სივრცის ტიპი, გამჭვირვალე ქალაქის სახე – „კალიგრაფიული ქალაქი“ – სადაც სივრცე კი არ „იხილვება“, არამედ „ისუნთქება“. თეთრ ზედაპირზე კალიგრაფიული დახვეწილობითაა მოხაზული ქალაქის ასეთივე გამჭვირვალე არქიტექტურული გარემო, ხშირად ერთი ნაგებობა, ქარხნის ნაწილი, პერსონაჟები. ქალაქის ურბანული გარემოს ნაცვლად, რომელიც ხმაურთან, დატვირთულ ხედთან ასოცირდება (ადეკვატური სახვითი ფორმებია გაჭედილი კომპოზიცია, დაძაბული ფერადოვანი გადაწყვეტა), ჩვენ ვიღებთ ურბანულობისთვის უჩვეულოდ გარინდებული გარემოს ხატს, რაც სიზმრისეულ განწყობასთან გვაახლოებს და ქალაქს მისტიკური თვითჩაღრმავებისა და რეფლექსის ტოპოსად, „თეთრი სასონარკვეთილების პლანეტად“ აქცევს. მკაფიო კონტურებით მოხაზული გამჭვირვალე სივრცე ცარიელია, დაცლილია ადამიანური განცდებისა და ემოციებისგან. ეს ერთგვარი მენტალური სავანეა, სადაც გონებისა და გრძნობების სრული განმუხტვა ხდება:

...მე მაგონდება რაღაც კალიგრაფიული ქალაქი,  
მე ვბრუნდები და ვნატრულობ ამ დროს.  
აბები, წყალი, სიგარეტი შავლურჯზე  
ნითელი, ისფერი, გრძელი ჭალი.  
თეთრი სასონარკვეთილების პლანეტა.  
(„ძველი საყდრის გარშემო“, 1987)

პოსტსაბჭოური საქართველოს ახალი კულტურული პარადიგმა 80-90-იანები ხელოვანთა წინაშე ახალ ამოცანებს აყენებს. კარლო კაჭარავა არაერთ ესეში გამოხატავს საკუთარ პოზიციას თანამედროვე ქართული ხელოვნებისა და საზოგადობის მწვავე პრობლემატიკაზე. მისთვის ჩვეული შემოქმედებითი პასუხისმხებლობით იგი ცდილობს ეპოქის ნგრევის დისკურსის ფონზე სხვადასხვა „წარმოშობის“ პირველადი მატერიიდან ახალი დროის მითი ამოიკითხოს:

„...აი „ტვინ-პიკსი“, „MTV“, „სნიკერსი“ და „სტიმოროლი“.  
ნეტა როგორია შენი ახალი მითი, რომელსაც თხზავ,  
როცა მეტროდან ამოსული სიგარეტს უკიდებ და  
დღისითაც ნათურებანთებულ ჯიხურებსა ათვალიერებ...  
P.S. არავინ არაფერი არ იცის... ახალი მითი?“  
(„ჩემი ქუდი მთლიანად დასველდა და გაიყინა“, 1993)

80-90 იანი წლების პოლიტიკურ და იდეოლოგიურ სისტემათა რღვევის ფონზე განსაკუთრებული სიმძაფრით დგება ეთიკური ღირებულებების, ახალი ზნეობრივი დაშვებების საკითხი. კრიზისულ რეალობასთან ადაპტირება ინდივიდისგან მორალურ კომპრომისს მოითხოვს. მანამდე არსებული

ტრადიციული ცხოვრების წესი და მსოფლმხედველობა გამოუსადეგარი ხდება, შემოთავაზებული ღირებულებათა სისტემა კი – უცხო და მიუღებელი.

ლექსში „დამის ელეგია“ კარლო კაჭარავა გროტესკულ სახეებად გარდაქმნის მორალურ ღირებულებათა კრიზისისგან აღძრულ პიროვნულ განცდებს და დროის საბედისნერო გავლენას ადამიანის სულიერ სამყაროსა და ცხოვრებაზე. ანმყოსგან გაუცხოვება, არაადეკვატურობა ცხოვრების დაკარგვის, განუხორციელებლობის მტკიცნეულ განცდაში გადაიზრდება.

დედა, როდესაც მე მეძახიან მორიგი შეურაცხყოფის მოსაყენებლად,  
მე ვფიქრობ იმაზე, რომ სახლში თითქმის აღარაფერი გვაქვს,  
რომ მდიდრებს და ღარიბებს მართლა განსხვავებული ღმერთები ჰყავთ -  
და რომ იმან, ვის მანქანაშიც ის ახალგაზრდა ქალი იჯდა,  
მოიპარა ჩემი ბედნიერება.  
თუმცა ის ქალი დაბერებამდეც ისევე აუტანელია, როგორც მერე.  
მე კი ვიღაც თოფიანი კარდინალები დამცინიან,  
როცა ვსაუბრობ ჟან პოლ რიხტერზე ან დიობლინზე.

(„დამის ელეგია“, 1993)

პოეტი მიგვანიშნებს, მოვლენის მნიშვნელობა არ დაიყვანება კონკრეტულ შემთხვევაზე და საგულისხმოა იმდენად, რამდენადაც ეპოქის ზოგად ტენდენციას ააშკარავებს. კ. კაჭარავას შემოქმედებაში შეუთავსებლობა თაობებს, მსოფლმხედველობებს შორის სცილდება პიროვნული ადამიანური აღქმის მასშტაბებს და უფრო ფართო კულტურულ განზომილებას იძენს:

„შალვა ქიქოძის „ქორნილი გურიაში“ აქ არ დახატულა.  
„იმერეთი დედაჩემი“ ერთი საწყალი მოხუცი ქალია, რომელიც სადღაც ქსოვს.  
მისი გახსნება მხოლოდ ბაბუათა სუფრაზეა კარგი...“

(„მე დავიბადე ფოთის ელევატორთან“, 1993)

ეთიკური პრობლემატიკა აქტუალურია ფერწერაშიც. როგორც აღვნიშნეთ, მისი პერსონაჟები და ნამუშევართა შინაარსიც 90-იანი წლების ურბანული რეალობის სიმძაფრითა დატვირთული, თუმცა საკუთარ პოზიციას ავტორი კიდევ უფრო მეტიონდ გადმოსცემს სურათის ტექსტურ ნაწილში, სადაც ეთიკური მოწოდებები თუ კომენტარები პირდაპირ, ერთგვარად, დეკლარაციული სახითაც კია მოცემული და ხატის შინაარსის გახსნაში გადამწყვეტ როლს თამაშობს. ხშირად ვხვდებით ცალკეულ სიტყვებს, რომლებიც ნახატის ვიზუალურ ნაწილთან კომბინაციაში იკითხება. მაგალითად: „ყურადღება! მზერა ზემოთ და ზემოდან. ეს არის მომავლის საზრუნავი“ (კომპოზიცია „უსათაურო“), მარჯვენა კუთხეში კიდევ ერთი გერმანული წარწერაა: Himmel – ცა. ეს ის კონცეპტია, რომლის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზეც მსხვილი გერმანული ნაბეჭდი შრიფტი

მიგვანიშნებს და ვერბალური სიმბოლოს გზით შეგვახსენებს მაღალ იდე-ალებსა და ყოფის არამატერიალურ განზომილებაზე. სხვა ნამუშევარში ვხვდებით ნახატის სიბრტყეზე გამოტანილ სიტყვას „ზრუნვა“ და ა.შ. ყველა შემთხვევაში მნიშვნელოვანია ის, რომ ვერბალური ტექსტისა და ვიზუალური ხატის კომბინაცია მაყურებლის აღქმას აშორებს მატერიალურ განზომილებას და იდეათა სამყაროში გადაანაცვლებს.

ამ მრავალწახნავა, მრავალფეროვან „ვერსმოსახილველ სიჭრელეში“ განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მხატვრის საკუთარი სივრცული „პე-იზაჟი“, რომლის მიღმაც მკითხველს არ გაუჭირდება ავტორის სოციალური და მორალური პოზიციის ამოკითხვა: „აბსურდული მოგზაური“, როგორც ლექსებში კაჭარავა საკუთარ თავს უწოდებს, ლამით ცივ ქალაქში დადის და „ოცნებობს ძილზე, რომლის შემდეგ ლირს გამოლვიძება“ („...ისინი ჰგვანან სცენის აბსურდულად თაყვანის მცემლებს“, 1990 წ.). ლექსში „მოგზაურობა კინოებში ნანას წვიმათა მოსახილველად“ პოეტი, ერთი შეხედვით, უმიზ-ნო მოგზაურობაზე გვიამბობს, რომელსაც არ ჰყავს მაყურებელი, მაგრამ ესაა პროცესი, რომლის დროსაც ადამიანი საკუთარ თავს უღრმავდება. როგორც ერთ-ერთ ლექსში ამბობს, ესაა: „მოგზაურობა ღმერთებისთვის, მოგზაურობა ერთ ადგილზე სიარულისას“ („ალენ გინზბერგის უცნობი ქრონიკა“, 1988 წ.). მოგზაურობის დისკურსი, რომლის დროსაც ავტორი თა-ვად ხდება საკუთარი ნაწარმოების პერსონაჟი, თავადაა „შემსწრეცა“ და მონაწილეც, ამ სამყაროს შემქმნელიცა და დამკვირვებელიც – კაჭარავას პოეტური სამყაროს ერთიან მხატვრულ ქსოვილს აყალიბებს და ავტორის მოქალაქეობრივ და პიროვნულ სტატუსსაც განსაზღვრავს: ავტორის რო-ლი აქ სცილდება უბრალო მოწმის სტატუსს და თანამონანილეობის უფრო ღრმა ფორმად გარდაისახება, რომელიც ადამიანური თანაგრძნობით, თანა-განცდითა ნასაზრდოები. მისი მზერა განსაკუთრებულ ღირებულებას ანი-ჭებს სოციალურ უსამართლობას, ადამიანთა უბედურებას, სისასტიკესა და განწირულთა ხვედრის აბსურდულობას. კაჭარავა ჩვეული ექსპრესიულობით ცდილობს გააჟღვროს დაჩაგრული, უსუსური ადამიანების ტკივილი, მათი სასოწარკვეთის შემზარაობა, თუმცა ემოციურობით გამორჩეული პასაუები ისევ და ისევ მისი შემოქმედების ძირითად პრინციპს ექვემდებარება და შორსაა სენტიმენტალურობისა და საგანგებო ესთეტიზაციისაგან. მანერუ-ლობის თავიდან ასაცილებლად პოეტი ფაქიზ ემოციებს ხან უხეში სახეებით „განაზავებს“, ხან კი მოქმედება რეალურიდან სიზმრისეულ, ფანტასმაგო-რიულ სივრცეში გადააქვს:

ბავშვებს, წვიმებს, ცარიელ მაწვნის ბოთლებს  
გადაუფრენს ნოსტალგია მფრინავ თეფშებზე.  
კარაქისა და საპნის რიგში მდგომ ადამიანებს  
ძალუძთ მხოლოდ ჩუმი სიხარული...  
(„ბავშვებს, წვიმებს, ცარიელ მაწვნის ბოთლებს“)

...მუშათა ბავშვებს ნისლში მოჰქონდათ ღარიბი სიმღერა და სველი პური და ყველაზე წინ რომელიც მორბოდა, კვდებოდა ხელებში ქალალდის ფულით.

ჩვენ კი ვიწექით, და ერთმანეთში გვეწყო ენები ჩონჩხებათქცეულ ყველა გზის მიღმა

სევდიანი და დაბნეული გრძელი ხელებით  
ვიღაც ქარხნის კვამლით ვარსკვლავებს გვიდა.

(„ქარხანა ჩვენს მიღმა“, 1991)

შემოქმედის, როგორც თანაგანმცდელისა და მფარველის ფუნქცია განსაკუთრებით მკაფიოდ იკითხება მის ფერწერაში: კაჭარავა ქმნის შუალენის მამაკაცის სახეს წვერებითა და ცილინდრით, რომელის პროტოპადაც ავტორი გვევლინება. ამ ფიგურას ძალიან ხშირად ვხვდებით როგორც წინა პლანზე – მთავარ მოქმედ გმირად, ისე უკანაზე – „შეკუმშულ“ პერსონაჟად, რომელიც სცენებში არაპირდაპირ მონაწილეობს. ნიშანდობლივია, რომ სწორედ ეს ფიგურა გვევლინება მამის სიმბოლოდ, რომელიც ქალებს და ბავშვებს ახლავს თან, როგორც მზრუნველი და მფარველი. კარლო კაჭარავას პოეზიასა და ფერწერაში ადამიანისადმი თანაგრძნობა სხვა არაფერია, თუ არა ემოციური სუსტანცია, რომელიც ერთმანეთთან არიგებს გაუცხოებულ, გათიშულ ადამიანებს, სივრცეებსა და მოვლენებს.

კარლო კაჭარავას პოეზია და მხატვრობა ახალი ურბანული დრო-სივრცული მოდელის ძალზე საგულისხმო და მრავალშრიან სურათს გვთავაზობს. იგი ზედმინევნით ასახავს გარდამავალი პერიოდის წლებში ადამიანის შინაგანი მდგომარეობის უფაქიზეს რხევებს: აბსურდულობას, დაუჯერებლობას, მოვლენათა სიზმრისეულ, სიურრეალისტურ ხასიათს, ქალაქში ჩარჩენილი ადამიანის კლასუსტროფობიულ შეგრძნებებსა და გამოუვალობას. ამ სემანტიკური ველების თანაარსებობით კაჭარავა ახერხებს ეპოქის ყოველდღიურობის რეკონსტრუირებას ისე, რომ არ დაკარგოს, ერთი მხრივ, ყოფითი, დოკუმენტალური ორიენტირი, მეორე მხრივ კი მოიხელ-თოს დროის მისტიკური, სიურრეალისტური შემადგენელიც.

#### დამოწებანი:

Frisbi, Devid. „Razrushenie Goroda: Sotsial'naya Teoriya, Megapolis i Eksperissionizm“. *Logos*, 3(34). 2002, s. 4-16 (Фрисби, Девид. „Разрушение города: Социальная теория, мегаполис и экспрессионизм“. *Логос*, 3(34), 2002, с. 4-16).

K'ach'arava, K'arlo. *St'at'iebi. T'*. II. Tbilisi:Otar Q'aralashvilis gamomtsemloba, 2006 (კაჭარავა, კარლო. სტატიები. ტ. II. თბილისი: ოთარ ყარალაშვილის გამომცემლობა, 2006).

K'acharava, K'arlo. *Monologi*. Tbilisi: gamomtsemloba “universali”, 2014 (კაჭარავა, კარლო. მონოლოგი. თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი“, 2014).

Lynch, Kevin. *The Image of the City*. Cambridge: The technology press and Harvard University Press, 1960.

- Meidner, Ludwig. Voices of German Expressionism. Trans. Meiser, Victor H. Englewood, New Jersey: Prentice Hall, 1970
- Simmel, Georg. "The Metropolis and Mental Life". Blackwell City Reader. Eds. Bridge, G, Watson, S. Oxford: Wiley-Blackwell, 2010.

**Ketevan Jishiashvili  
(Georgia)**

### **Semantic of Urban Space in Karlo Kacharava's Poetry and Painting**

#### **Summary**

**Key words:** Poetry, painting, 80-ies, city, space.

Poetry and painting of Karlo Kacharava widely represent political and economic situation of 80-90-ies. His works embody psycho-social aspects and cultural transformations of post-soviet urban reality as well as an impact of historic changes on the perception of everyday life of citizens.

The intensity of urban transformation effect and its powerful emotional impact was especially obvious in the capital of the country. Starting from national movement street as a central urban element gains its major importance. During political meetings the street becomes *topos* of power and self expression.

In Karlo Kacharava's works human existential problems and concepts of social injustice are closely linked to the space of street. Both, in his poetry and paintings street is the central space where everyday life discloses itself. However, Kacharava's poetry is kind of day to day documentary chronicles of transitional period. Poetic images are loaded with social themes and problems of those years. In the poetry as well as in his paintings Karlo Kacharava steps back from any kind of aesthetization of reality and by the means of ugly, rough, even grotesque forms and characters constructs contemporary city image. While choosing stylistic tools the similarity to western cultures could be observed, especially with German expressionism. Parallels with post war expressionism movement could be caused by such factors as coincidence of socio-political circumstances: post war crisis, problems of poor population, psychological and moral consequences of traumatic experience etc.

Karlo Kacharava's urban space is an image of spiritual discomfort loaded with modern existence conflicts. The city is closed and claustrophobic space where intense vibration reveals signs of total human desperation. This kind of spatial perception is characteristic to 90-ies reality. To overcome the enchant of locked space author tries to make space more implying and gives start to brave and radical expansion of his own personal world: for Karlo Kacharava space does not exist without his active interference. His subjective views, his favorite characters from literature, even his dreams reflected

in metaphysical prism are converted into the fragments of urban space and coexists with everyday life.

The new paradigm of post-soviet Georgia shapes different challenges for writers and artists of 80-90-ies generation. The main challenge of this period – elaboration of information streaming without limitation from western world after the collapse of Soviet Union - is widely represented in Karlo Kacharava's works and is profoundly reflected in his poetry as well as in his essays. On the background of destruction discourse of his time K. Kacharava with his high sense of artistic responsibility is trying to identify new myth from different types of „raw material”. While describing miserable everyday life names of writers, painters, politicians or popular cinema actors arise accidentally. Sometimes only mentioning the name is fully sufficient to disrupt everyday routine and create new semantic field around core idea of the author.

The dreamlike, fantastic character of 90-ies city life creates specific artistic texture in Karlo Kacharava's works: poetic and pictorial images are fluctuating between nightmare and magic fairy tale. Dream is sensed not as illusion or the opposite to real life but as impossibility to reach the essence. It is unapproachable, absurd puzzle that does not obey to rational logic. Therefore, city is transformed into borderline space where reality and subconscious allusions coexist with similar rights and permanently interflow with each other.

In art and poetry of Karlo Kacharava a dreamlike logic of reality structure is observed: circumstances are entirely conducted by unconsciousness. Time continuum is disrupted, space is not whole, it is fragmented as in dreams. Again, this type of time-space model is close to reality perception in 90-ies.

Emotions of human tired from everyday battle give birth to diverse poetic imagery. For the same reason Kacharava's absurd logic of dreams is charged with nihilism. This emotional construct is coherent to 80-90-ies routine and is clearly sensed as in K. Kacharava's poetry also in his pictorial images.

Starting from years 80-ies in Karlo Kacharava's works particular type of transparent space - „calligraphic city”- appears. This is a final point of emotional exhaustion. Vibrant colors are fully washed away. Empty space drawn by sharp contours is bare without any signs of human emotions or feelings. It is kind of mental paradise where complete discharge of emotional burden is possible.

On the background of collapse of ideological systems in 80-90-ies special importance is given to moral issues such as existing values and new ethical compromises. Imperative of adjusting to new crisis demanded moral compromise. Previous traditional way of life and world perception are seen irrelevant to modern life, actual system of values offered instead is unfamiliar and therefore rejected.

Ethical problem is important for Karlo Kacharava as well. As we have mentioned his characters and motifs are charged by tense urban life. The same way as in his poetry his artworks represent moral imperatives. Painter places textual component right among other visual images. These ethical statements, mottoes and comments are as sharp and direct as

in declaration language. However, these words and sentences are key elements in order to understand and decode the essence of pictorial image.

The role of author for Kacharava is far more than of simple witness. Author himself becomes a character of his own art. He is a participant and observer, creator and creation at the same times. The discourse of traveler, characteristic to his works plays major role in creating integrated texture of his poetry and art and defines his status of citizen and person: the role of author is materialized in deep empathy and compassion towards human being. The gaze of author gives special importance to social injustice, human unhappiness, to harshness and absurdness of human fate. Kacharava is trying to give voice to unspoken pain, identify and authentically depict a monstrous face of human desperation. However, the main principle of his works – rejection of any kind of sentimental or aesthetized forms - remains unchangeably the same. This function of creator as a protector is also perceived in his painting.

Karlo Kacharava's poetry and painting gives thorough and multilayer picture of urban time-space model of his times. He precisely describes internal fluctuation of human being during transitional period: absurd, incredible, dreamlike and surrealistic character of reality, claustrophobic sensation of person left locked within the city. K. Kacharava by combining different semantic layers accomplishes to reconstruct everyday reality of his epoch without losing documental vector nor mystic, surrealistic component of individual space perception.

ემზარ კვიტაიშვილი  
(საქართველო)

### გიორგი ლეონიძე და ძველი პოეტები

საგანგებო აღნიშვნა არც ჭირდება იმას, სიძველეთა, საუკუნოვანი ტრადიციების, წინაპართა დვანლის რა დაულალავი დამცველი და დამფასებელია გიორგი ლეონიძე, რაოდენი ამაგი დასდო მან ქართულ კულტურას, მეცნიერებას. ეს ერთობ დიდი თემა და ამჟამად შევეცდები, ნაწილობრივ მაინც წარმოვაჩინო მისი უგულითადესი დამოკიდებულება, შეუნელებელი ყურადღება და სიყვარული პოეტების – უახლოესი წინამორბედებისა თუ შორეული წინაპრების მიმართ.

გიორგი ლეონიძის ერთ-ერთი საუკეთესო, უძლიერესი ლექსთაგანი ასევეა დასათაურებული – „ძველი პოეტები“ და პირველსავე სტროფში გაცხადებულია შთამომავლის უსაზღვრო თაყვანისცემა სულეთიდან გამოხმობილი წმინდა აჩრდილებისადმი:

მეჩვენებიან მე პოეტები,  
ვინც საქართველოს ხმით შეაბერდა.  
ზოგი მღეროდა ბულბულის ბალში,  
სხვა უნაგირის ტახტაზე წერდა.

(ლეონიძე 2000: 200)

აქ ხელადვე საცნაურია სათქმელის უჩვეულოდ თამამად, თავისებურად გამოხატვის დაუღოკებელი სურვილი. „ვინც საქართველოს ხმით შეაბერდა“ – გვამცნობს პოეტთა თავდადებას, რომლებიც სიცოცხლის მიწურულამდე იბრძოდნენ მამულის დასაცავად და სადიდებლად. ლექსებში მეტყველების ასეთ სითამამეს არაერთგან იჩენს გიორგი ლეონიძის უსაყვარლესი პოეტთაგანი, უცხოობაში დაღუპული ბესიკი. გავიხსენოთ თუნდაც ქართული სატრფიალო ლირიკის ნალველშერეული შედევრი „ცრემლთა ისხარნი“, თბილისთან სამუდამოდ განშორების უამს რომ დაწერა. ორიოდე სტრიქონის მოხმობაც იქმარებს, რათა მისი სიტყვის ძალა და მოქნილობა შევიგრძნოთ:

დაბერდა ყური, სევდის ჭური, რა ჰპოვა სოფლით,  
დაბინდნა თვალნი, შეუმკრთალნი, ცრემლით და ოფლით...  
(ბესიკი 1962: 46)

იქვე, ყურის „სევდის ჭურად“ მოხსენიება სულიერ ტკივილს ამძაფ-რებს, მაგრამ სწორედ „დაბერდა ყური“ არის ის, რასაც ენათესავება ლე-

ონიძისეული „ხმით შეაბერდა“. გაბედული მეტაფორა – ყურისა და ხმის დაბერება აბამს ძნელად სახილველ ძაფს ბესიკსა და გიორგი ლეონიძეს შორის, აახლოებს მათს მსოფლჭვრეტას, გამოხატვის ახლებურ ხელოვნებას.

გასული საუკუნის სამოცანელთა თაობის უნიჭირესი პოეტი ოთარ ჭილაძე ერთ ლექსში („ძალიან მალე იცლება ჭიქა“), ნანატრი არსების მოლოდინით დაქანცული, მღელვარებასა და გულისტკივილს ასე გამოთქვამს:

და კვლავ იმ პირველ ელდით ვარ სავსე,  
ვით ციხე მტრებით გარემოცული,  
თუმცა თვალები დაბერდნენ გზაზე  
და ვერ გიხილეს ჩემთან მოსული.

შეყვარებულისთვის წლობით დაგუბებული სევდა რომ გაემხილა, მან ყველაზე შესაფერისად მზერის დაბინდვა, ლოდინის ხანგრძლივობის მიმანიშნებელი თვალების დაბერდნება მიიჩნია, რამაც მიბიძგა, მოტანილი ხატი ბესიკისა და გიორგი ლეონიძის ამდაგვარსავე ტროპულ მეტყველებასთან დამეკავშირებინა. სამივეგან ხანდაზმულობა ანუ სისტემური ფიგურირებს. ამგვარი უნებური დამთხვევები პოეზიაში არც ისე იშვიათია და აქ რაიმე პირდაპირ გავლენაზე ლაპარაკი უადგილო იქნებოდა. ერთი ფრანგი ლიტერატურათმცოდნე ასეთ შემთხვევებს ერთმანეთთან დროით დაშორებულ პოეტთა შორის მეგობრულ გადაძახილს უწოდებს.

ახლა კვლავ „ძველი პოეტების“ პირველ სტროფს უნდა მივუბრუნდე. „ზოგი მღეროდა ბულბულის ბალში“, უპირველეს ყოვლისა, თეიმურაზ პირველსა და ბესიკს გულისხმობს, რომლებზედაც საგანგებოდ მომიწვეს ზოგი რამის თქმა. ბოლო სტრიქონი კი – „სხვა უნაგირის ტახტაზე წერდა“ – უეჭველად სხვა მეფე პოეტის, ერეკლეს მამის, თეიმურაზ მეორის ხიფათიანი, მოუსვენარი ცხოვრების სინამდვილეს ასახავს, რაც მისსავე ლექსთა ნაკრებში („სარკე თქმულთა“) შეგვიძლია ამოვიკითხოთ:

გსწერდი ცხენს მჯდომი, ვლაშქრობდი, იქთ და აქეთ, სად არი!  
(თეიმურაზ მეორე 1939: 2)

რაღა თქმა უნდა, გიორგი ლეონიძისეული „...უნაგირის ტახტზე სწერდა...“ – ბევრად ამაღლებულად, სახიერად და მიმზიდველად ნარმოგვიდგენს გამუდმებით ლაშქარს მყოფი, უშიშარი მხედარი მეფის დასამახსოვრებელ იერს. მომდევნო სტროფში ხელხვავიანად არის ნარმოჩენილი წინაპარ პოეტთა ძალოვანება, მათი სიტყვის თვალისმომჭრელი სხივმოსილება:

მღეროდნენ, როგორც დიდი წვიმები,  
ვით ფრინველები ათასხმიანი,  
გადაჭიმული ჰქონდათ სიმები  
და არ იცოდნენ ლექსის ხრიალი.  
(ლეონიძე 2000: 200)

ასე მხოლოდ გიორგი ლეონიძე იტყოდა. გაბმულად შთაგონების ნეტარ ტყვეობაში ყოფნა და ნაირგვარი ჰანგების ბუნებრივად გამოცემა მხოლოდ მას შეეძლო „დიდი წვიმებისა“ და „ათასხმიანი ფრინველებისათვის“ შეედარებინა. ასეთ დროს, ჩვეულებისამებრ, დამხმარე სიტყვების („როგორც“, „ვით“) გამოყენებას არ ერიდებოდა. პოეზიის ერთ-ერთ სიმბოლოდ მიჩნეული „გადაჭიმული სიმები“ სიმღერისათვის განუწყვეტელ მზაობაზე მიგვანიშნებს. ხოლო – „არ იცოდნენ ლექსის ხრიალი“ – სათქმელის ძალდაუტანებელ, ლალ მდინარებასა და უმაღლეს ოსტატობაზეა ზედგამოქრილი.

ამას მოსდევს მოლანდებულ წინაპართა დასახელება, მაგრამ სია, ლექსის რიტმი რომ არ დაირღვეს, სტრიქონთა რაოდენობა და საზომი შენარჩუნდეს, შეკუმშულად, მომჭირნედ არის მონოდებული, თუმცა ამან არ უნდა გვაფიქრებინოს, რომ ჩამონათვალს მიღმა დარჩენილთა მიმართ ავტორი თითქოს მოკრძალებასა და თაყვანისცემას არ განიცდიდეს (ნიშანდობლივია, რომ ამგვარი სია სხვადასხვა ლექსებში განსხვავებულად არის წარმოდგენილი). რამდენი მეხთატეხა და უბედურება აღარ გადაიტანეს, რა ქარიშხლებს შეაგებეს მკერდი სვეგამნარებულ სიცოცხლეში, მაგრამ მათ ვერაფერმა უცვალა ნირი, ვერ მოუკლა ლექსთა თქმის თანდაყოლილი ჟინი:

ხმალმა, ხანძარმა,  
კალიამ, ჭირმა  
მათი სიმღერა ვერ შაანელა, -  
შოთა,  
ბესიკი,  
გურამიშვილი,  
ჯიხვტყავიანი ვაჟა-ფშაველა'

(ლეონიძე 2000: 201)

ზმნის კუთხეური ფორმა – „შაანელა“ – აქ განზრახაა, არა მარტოდენ გასარითმავად და სასურველ შთაპეჭდილებასაც ახდენს, თავისებური სურნელის დამაფრქვევეველია. მსგავსი მაგალითების („აბანოდან ამაივლის“, „გულში გაარტყავს ტყვიასა“ და მისთანანი) მოძიება სხვა ლექსებშიც შეიძლება და ეს პოეტის უტყუარ ალლოზე მეტყველებს.

ლექსს მოხდენილად კრავს ბოლო, მეხუთე სტროფი და ეს ნათელყოფს, რომ ამქვეყნიური ცხოვრების დასრულებასთან ერთად მათი დანატოვარი არ დადუმებულა, მინის წიაღიდანაც უღერს და მათი ნამღერის „ათასხმიან ფრინველებთან“ შედარება მარადისობის, უკვდავების სანინდარია:

მანც უღავიან დედამიწიდან,  
არ გათავდება მათი ნუგეში  
და სამუდამოდ ჩაბუდებულან  
სიმებისაგან დაწნულ ბუდეში.  
(ლეონიძე 2000: 201)

ფინალური სტრიქონები ზეანეული, მაჟორული სულაც არ გახლავთ, მაგრამ შეუცდომლად არის მიგნებული, უთუოდ შეეფერება სულეთში დაბინავებულთა უშფოთველ, დაურღვეველ სიმყუდროვეს – „სიმებისაგან დაწნულ ბუდეში“ დავანებაზე, რაზედაც სიტყვასთან შეჭიდებული არცერთი შემოქმედი არ იტყოდა უარს.

გარდასულ ეპოქათა შემოქმედებთან სიახლოვის თვალსაზრისით ძალზე მნიშვნელოვანია გიორგი ლეონიძის ერთ-ერთი შედევრი „მყვირალობა.“ სრულიად აშკარაა, რომ იგი ლალადაა ამოზრდილი მეფე პოეტთა (თეიმურაზ პირველი, არჩილი, თეიმურაზ მეორე, ვახტანგ მეექვსე...) მონადირული ლექსებიდან, თუმცა წიგნურობის კვალი ოდნავადაც არ იგრძნობა; ნაირგვარი ტექსტებიდან (იგი ძველ ქართველ ისტორიკოსთა ნაშრომებსაც საფუძვლიანად იცნობდა) პოეტმა ერთმანეთთან საალერსოდ ატეხილი, უინისგან გარეტებული, ეკალ-ბარდების გადამთქერავი ირმების ჯოგი დასძრა, ენკენისთვის ბანგით გაუღენთილი სურნელება გვაგემა, წითელ-ყვითლად აჭრელებული შემოდგომის ტყე ააშრიალა.

გიორგი ლეონიძის პოეზიისადმი მიძლვნილ მონოგრაფიაში – „ქართული სიტყვის ბაზიერი“ – მე საგანგებოდ დავაკვირდი „მყვირალობას“ და მრავალი საყურადღებო პარალელი, არაერთი დამთხვევაც დავძებნე, რასაც აქ ალარ გავიმეორებ. სხენებულ გამოკვლევაში დიდძალი მასალის შესწავლის შემდეგ აღვინიშნე: „...გიორგი ლეონიძემ შეუცდარად იცოდა ამა თუ იმ შედარებით მივიწყებულ ნაწარმოებში ცოცხალი ნერვის პოვნა და ძველის ახალ კონტექსტში მოქცევა, ახლებურად ამეტყველება“ (კვიტაიშვილი 2003: 105-106).

აქვე იმასაც მივუთითებდი:

„ნადირობის სცენების სათავის დამდები (თუ ჩვენს უმდიდრეს ზეპირსიტყვიერებას არ ჩავთვლით) და უპირველესი ოსტატი ქართულ პოეზიაში „ვეფხისტყაოსნის“ ავტორია (გავიხსენოთ თუნდაც როსტევან მეფისა და მისი სასიძოს – ავთანდილის – ფანტასტიკური შეჯიბრი ნადირთა ხოცვაში)“ (კვიტაიშვილი 2003: 107).

გიორგი ლეონიძე მთელი სიცოცხლის მანძილზე აღმერთებდა და ეთაყვანებოდა რუსთაველს. ამას მისი შემოქმედება თვალნათლივ მოწმობს. „ვეფხისტყაოსნზე“ მხოლოდ ლეონიძეს შეეძლო ეთქვა: „შენ, დედაჩემის, მზითევო, ფარ-ხმალო მამა-პაპისა!“ წინამორბედთაგან განსაკუთრებულად გამოაცალკევებდა, აგრეთვე, გურამიშვილსა და ვაჟა-ფშაველას, რომელთაც არაერთი გულმხურვალე სტრიქონი უძლვნა. ისე, როგორც ვაჟა მიმართავდა „უძვირფასეს პაპას“, „დავითიანის“ ავტორს: „მიშველეთ შენ და შოთამა, მგოსნობა გამიზრახაო“, ასევე, გიორგი ლეონიძეც ემუდარება გურამიშვილსა და ვაჟას: „გთხოვთ, წინაპრებო, მიშველოთ, სათქმელი გამილომგულოთ!“ ამავე ლექსში მოკრძალებულად, მაგრამ პირდაპირ არის ნათქვამი, რომ იგი ამ ორთა მემკვიდრეა:

ხელუკულმართი როდი ვარ,  
სიტყვა მაქვს გამოკვანძილი,  
თქვენს ნაგზაურზე მოვდივარ,  
დიდი გქონიათ მანძილი.  
(ლეონიძე 2000: 253)

ამის დამწერს გაშინაგნებული ჰქონდა საქართველოს მთელი კულტურული წარსული და ამაგდარ წინაპრებს მუდამ ღირსეულ პატივს მიაგებდა, როგორც პოეტი და მეცნიერი. დღემდე მისაბაძად რჩება მის მიერ გამოცემული ფეშანგის „შაპნავაზიანი“ და ოსებ ტფილელის „დიდმოურავიანი“, რომელთაც ძალზე ღირებული გამოკვლევები და განმარტებები აქვს დართული.

ყოველთვის სიამოვნებით ვუსმენ ხოლმე თამარ იშხნელის შვილიშვილის მანანა მენაბდის ლად ჰანგებად დაძრულ ქართულ სიმღერებს. განსაკუთრებულად მომწონს ბესიკის ტექსტს მორგებული რომანსი „სტვენს ბულბული“, სადაც რეფრენად გამოყენებული ოთხი, მაჯამურად გარითმული ტაეპი ხუთჯერ მეორდება. სწორედ ამ ნაღვლიანმა რეფრენმა, უფრო კი ერთმა უცნაურმა ეპითეტმა, ადრევე მიიქცია ჩემი ყურადღება:

საბრალო, აი რა,  
ხმადამთვრალო აირა,  
მაისობ, ისარს ისობ,  
ის გიხარის, ვაი, რა!  
(ბესიკი 1962: 58)

უმალ გამახსენდა, რომ ეს უიშვიათესი, მოულოდნელი ეპითეტი ოცდაათიანი წლების (მისი ნიჭის ამოფრქვევის შამს) ერთ-ერთ უძლიერეს ლექსში – „საათნავა“ – შესაშური ოსტატობით აქვს გამოყენებული შესაფერ ადგილას და ასევე მეორე სტრიქონში, გაფერილი ძვირფასი თვალივით ჩასმული გიორგი ლეონიძეს:

შე საწყალო ფეიქარო,  
ხმადამთვრალო საათნავა,  
ჭიანურო, ცეცხლის მყრელო,  
რა ნაღველმა გაგათავა?!  
(ლეონიძე 2000: 189)

ბესიკი თავის ასამღერებელ სატრფიალოში უთუოდ რომელილაც ბოჰემურ პიროვნებას მიმართავს. გიორგი ლეონიძე ურუანტელის მომგვრელ ლექსს უძლვნის „საქართველოს მეფის საზანდარს“; ეპითეტებიც თითქმის იგივეა, „საბრალოს“ ენაცვლება „საწყალო“ (ესენი სინონიმებია), ხოლო „ხმადამთვრალო“ კი უცვლელად მეორდება, მაგრამ ბესიკის ლექსში თუ იგი რამდენადმე ჩაკარგულია, ლეონიძისაში სულ სხვა ელგარებას იძენს; აქ უკვე

მხოლოდ სიყვარული ან ლვინით გაბრუება კი არ გამოდის სააშვარაოზე, უფრო ლექსით, მუსიკით, შთაგონებით თრობა, დაბანგვა იგულისხმება. თან-ვე, პოეტი, როცა თბილისის უპირველეს აშუღლ უჟნება: „ჭიანურო, ცეცხლის მყრელო, რა ნაღველმა გაგათავა?!“, ექსტაზი არნახულად ძლიერდება. თვი-თონ შეკითხვა კი („რა ნაღველმა გაგათავა“), აშვარად რიტორიკულია, პასუხს არ საჭიროებს – ლექსის თავში, პირველსავე სტრიქონებში გაცხადებულია:

ეს საწყალი საათნავა სიყვარულმა გაათავა!  
(ლეონიძე 2000: 188)

შეიძლება ითქვას – გიორგი ლეონიძის ლექსი გაასხივოსნა, უქრობი შარავანდედით შემოსა ბესიკის მიერ ბედნიერად მიგნებულმა ეპითეტმა („ხმადამთვრალო“) და „სევდის ბალის“ დამწერს ეს დამსახურება არ უნდა და-ვუკარგოთ. ეს კიდევ ერთხელ ამტკიცებს პუშკინის ნათქვამის ჭეშმარიტებას რომ „ეპითეტი – პოეზიის სულია.“ მუდამ უნდა გვახსოვდეს – ყველაზე მეტად ზუსტად მოძებნილი ეპითეტი მიგვახვედრებს, როგორი ძალისა და შესაძლებლობების, რა ღირსების პოეტია ჩვენს წინაშე.

იმავე ოცდაათიანი წლების ასეთსავე ღონიერ სხვა ლექსში, („მაშ რა ვუყოთ, პოეტებო..!“) ბესიკი და საიათნოვა დაწყვილებულია და სიყვარულის-გან დამწვრებს პოეტი განზრახ (ეს კონტრასტის ძველისძველი, უბერებელი ხერხია) უსიყვარულობას სწამებს, რითაც ვნებისგან მათი გახელება კიდევ უფრო გამძაფრებულია; იმათ, მკერდში დაუტევარ, გულებს, მთლად ცეცხ-ლის ალში ხვევა:

...ბესიკა და საათნავას  
სიყვარული სწამდათ განა?  
ხმაში უნდა ვეფხვის ძალი, –  
სამაია სამთაგანა!  
(ლეონიძე 2000:190)

გიორგი ლეონიძე მანამდე მოტანილ სტროფში ერთი ზეპირ გადმოცემას ეყრდნობოდა, როცა საიათნოვას ფეიქრად მოიხსენიებს. გარდა ამისა, მას შემოქმედის შეუმცდარი ალლოც კარნახობდა, რომ ფეიქრობა უფრო შეეფერებოდა დიდ აშუღლს, ვიდრე, მაგალითად, ნალპანდობა. ამ ვარაუდს აღმოსავლურ პოეზიაში დამკვიდრებული მეტაფორაც უმაგრებს ზურგს, რომ პოეტი სათქმელის სიტყვით მქსოველიანუ ფეიქრია. ქალაქის დაბალი ფენების მაცხოვრებლები ხშირად რამდენიმე ხელობას ფლობდნენ და საიათნოვაც მათ რიცხვს უნდა მივაკუთვნოთ. ზოგან იგი თავის თავს ვაჭარსაც ეძახის („შორის ქვეყნის ვაჭარი ვარ.“) ამდენად, გიორგი ლეონიძეს ვერავინ უსაყვედურებს, რომ მან სხვა რამეებს სამ ენაზე პოეტურად მეტყველი აშუღლის ფეიქრობა ამჯობინა. ისიც გავიხსენოთ, მის ლექსებში რა უხვადაა გაბნეული ძვირფას აღმოსავლურ ქსოვილთა სახელები.

მეტად სანდო სწავლული ლეონ მელიქსეთ-ბეგი საფუძვლიან გამოკვლევაში საგანგებოდ შექხო ამ საკითხს და მას ცალკე თავიც მიუძღვნა – „საიათნოვას ძირითადი პროფესია“. სომხურ-ქართული ისტორიული წყაროებისა და გამოცემების სანაქებო მცოდნეს მრავალი საბუთის მოჩხრეკა და მოძებნა მოუხდა, სანამ საკუთარ შეხედულებას საჯაროდ გამოთქამდა. მეცნიერმა ხანგრძლივი დაკვირვება მაინც ფრთხილად, ვარაუდის სახით შეაჯამა:

„ერთი სიტყვით, თვით საიათნოვას ლექსებში მიმობნეული ცნობებისდა მიხედვით თითქოს ირკვევა, რომ იგი უფრო დერციკ-მკერვალი და ბაზაზი-მოვაჭრე უნდა ყოფილიყო ვიდრე ფეიქარი“ (მელიქსეთ-ბეგი 1930: 39).

მეცნიერი სიფრთხილეს არც ამავე თავის ბოლო, მოზრდილ აბზაცში არ დალატობს, სადაც სავსებით სარწმუნო, დამაჯერებელ თვალსაზრისს გამოხატავს:

„შედარებით უფრო რთულია საკითხი იმის შესახებ, თუ რა დროიდან და რა დრომდე ენეოდა არუთინა-საიათნოვა დერციკ-მკერვალობას, ხოლო რა დროიდან და რა დრომდე ბაზაზობას? მაგრამ ხომ ადვილი დასაშვებია, რომ იგი თავისი პირვანდელი, ასე ვთქვათ, ძირითადი პროფესიით დერციკ-მკერვალი ყოფილიყოს და ამავე დროს, როცა საჭიროება მოითხოვდა, ვაჭრობა-ბაზაზობისთვისაც მოეკიდოს ხელი, მეტადრე თუ ასეთ საქმიანობას მას აკისრებდა საქართველოს მთავრობა, რომლის ზედაფენებშიც იგი მიღებული იყო, როგორც არაჩვეულებრივი ნიჭით ალქურვილი მგოსანი და აშულ-საზანდარი და რომელსაც, საფიქრებელია, სხვადასხვა დროს სხვადა-სხვა კერძო დავალებებსაც აძლევდნენ“ (მელიქსეთ-ბეგი 1930: 40).

აქვე უნდა ითქვას, რომ ამ თავისთავად სწორ მსჯელობას გიორგი ლეონიძის ლექსთან მიმართებაში, (საიათნოვას ფეიქრობაზე) არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. პოეტებს ხშირად ფაქტობრივი სიზუსტე ნაკლებად ანუხებთ, რის უფლებასაც მათ ვერავინ წაართმევს.

ჩვენი დედაქალაქის სახელოვანმა ტრუბადურმა, უკვდავი წიგნის, „ძველი ტფილისის ლიტერატურული ბოჰემის“ ავტორმა იოსებ გრიშაშვილმა, როგორც მას სჩვეოდა, თვალსაჩინო ამაგი დასდო სამ ენაზე მომღერალი სწორუპოვარი აშულის პოეტურ მემკვიდრეობას. საგანგებოდ აღნიშნა, რომ მისმა ხმების კილომ და მოტივებმა მძლავრი გავლენა იქონია ალექსანდრე ჭავჭავაძის, გრიგოლ ორბელიანის და სხვათა ლექსებზე.

ერთ მცირე წერილში იოსებ გრიშაშვილი იოანე ბატონიშვილის „კალ-მასობაში“ დაცულ ცნობებს იმონმებს და წერს: „მუხამბაზი პირველად საიათნოვამ შემოიტანა საქართველოში.“ იმავე, ენციკლოპედიური ხასიათის, ჯერ კიდევ სათანადოდ დაუფასებელ წიგნზე მიგვანიშნებს იგი, როცა გარდაცვლილ საიათნოვასთან დაკავშირებულ ძალზე ამაღლებულ და განსაცვიფრებლად პოეტურ ამბავს იხსენებს:

„საიათნოვა მღეროდა მაშინაც კი, როცა ბერად აღიკვეცა ახპატის მონასტერში, მღეროდა, ვინაიდან, როგორც თვითონ ამბობს, არ შეეძლო არ

ემლერა, რადგან „მასთან ერთად ეკურთხა მის უბეში ჩარჩენილი ჭიანურის სიმები“ (გრიშაშვილი 2012: 177-178).

უპრიანი იქნებოდა, იოსებ გრიშაშვილს გახსენებოდა წინაპარ პოეტთა მასავით გულდამწვარი ჭირისუფლის, გიორგი ლეონიძის საუკეთესო ლექსთაგანი „თუკი ვცოცხლობთ სიმღერების იმედით“, სადაც „ყივჩალის პაემანის“ დამწერმა გენიალური მიხვედრილობა გამოიჩინა და ამ იმვიათ ცნობას სხვაგვარი, არაამქვეყნიური ნათელი მოფინა. ძნელია, მღელვარების-გან ტანში არ გაგაურულოს, როცა ამ ლექსის დასასრულს წაიკითხავ:

ლეონიძე! ამ დღეებს უდარავე,  
შენ თუ გასძლებ, შენივ სიტყვის იმედით...  
საათნავას გაყინულ სუდარაში  
ჩარჩენოდა ჭიანურის სიმები...  
(ლეონიძე 2000: 45)

„ჭიანურის სიმები“ ცხადია, სიმღერის, პოეზიის სიმბოლოა, ხოლო „გაყინული სუდარა“ თვალწინ დაგიყენებთ იგავურად ნათქვამი ანთებული სიტყვისთვის თავშეწირულ საითონოვას გაციებულ ცხედარს; ამ დაუვიწყარ, სრულქმნილ ხატს კი წარუგალ მომზინლაობას ისევ და ისევ დიდოსტატურად მოძებნილი ეპითეტი („გაყინული“) ანიჭებს. თუკი ეს შესძლო (ამაში ეჭვი არ უნდა შეგვეპაროს), ლექსისა და პოეტის მეტი არც მოეთხოვება.

ახლა კვლავ მის საყვარელ სხვა წინამორბედ პოეტს უნდა მივუბრუნდე. გიორგი ლეონიძე არა მარტო ლირიკულ ლექსები ეთაყვანებოდა ბესიკის მზიურ ჩანგს, მან, ძველი ხელთნაწერებისა და დამტვერილი საარქივო მასალების ჩაღრმავებულმა მცოდნემ, უდიდესი შრომა გასწია, რათა გაბაშვილთა გვარის უთვალსაჩინოეს ფიგურაზე, ქართულ ლიტერატურათმცოდნებაში ესოდენ ფასეული, სწორუპოვარი მონოგრაფია შეექმნა. აქ ერთი მცირე აბზაცი უნდა ამოვწერო იმის ნათელსაყოფად თუ როგორი სისრულით დაინახა მან ანაკრეონტული სულის დიდი ქართველი მგოსნის მრავალმხრივი ნიჭი-ერება და დამსახურება:

„თუ მძღავრია ბესიკის პოეტური პათოსი, მისი გულის ვნებანი, არანაკლებია ბესიკის პოეტური ფორმის ბრწყინვალება, ლექსის პოეტური სიწმინდე, პლასტიკურობა, დახვეწილობა და, რაც მთავარია, მუსიკალური გამომგონებლობა. ბესიკის მაღალსიტყვიერი ოსტატობა და ნოვატორობა, ფორმალური და ტექნიკური ძიებანი – რიტმის სიმდიდრე, ლექსის ზომის მრავალგვარობა უნიკალურად ხდიან ბესიკის სახელს ქართულ პოეზიაში“ (ლეონიძე 1959: 287).

ზედმეტი არ იქნება, აქვე გავიხსენოთ იმავე ოცდაათიანი წლების მოზრდილი ლექსი „თბილისის პოეტები“ სადაც გიორგი ლეონიძე მის თანამედროვე კალმოსანთა არაფრისმომტან სიმრავლეზე გულისწყრომას გამოთქვამს, კილავს მათ; არც საკუთარ თავს ინდობს, რადგან ადრინდელთა

მადლი და ჯავარი არ გამოჰყოლიათ. ეს შეპირისპირება ცოცხალთა სააშკა-რაოზე გამოსატანად, შესარცხვენად არის მომარჯვებული. გარდასულთა-გან პიროვნულად მხოლოდ ბესიკია დასახელებული, როგორც ჭეშმარიტი პოეზიის მისაბაძი მაგალითი. ლექსის საერთო პათოსის და დანიშნულების მისახვედრად რამდენიმე მიზანში მოხვედრილი სტროფის მოხმობაც იქმარებს:

...

ბევრი მუქეთად ატრიალებს  
სიტყვის სანაყელასა,  
ძველ პოეტებსა ვერ აჲყვება,  
ვერც ბესიკის ყელა.

ჩვენ ვერ ვმღერით ისე ტკბილად,  
ლექსებს იმათებურს;  
ჩვენ ლექსებში ფხას ვერ ვამჩნევ,  
ხმაში მიმატებულს.

...

ის თაობა ჩონგურებით  
სამოთხეში შავა;  
ჩვენი ყელი შაშხი არი,  
გაბოლილი შავად.

(ლეონიძე 2000: 182)

პოეტის განუმეორებელ ხელწერაზე მიმანიშნებელი, ხალხური იერის, ახალი და მრავლისდამტევი მეტაფორა „სიტყვის სანაყელი“. იგი შეგვახსე-ნებს – რამდენ დარჯაკში უნდა გაიაროს სიტყვამ, რამდენჯერ გაიწუროს, მოისინჯოს, რათა ბოლოს სტრიქონში დაიმკვიდროს ყველაზე შესაფერი ადგილი, საიდანაც ძრას ვერ უზამ. მასთან რითმად დაწყვილებული „ბესიკის ყელი“ გვიმხელს – რაოდენ სუფთა, საამო და დახვეწილი იყო „ტანო ტატა-ნოს“ ამომთქმელის ხმა და ამიტომაც არ ძალუდო დღევანდელებს, იმღერონ „იმათებურად“, „ტკბილად“, იმდაგვარ კეთილხმოვანებას ვერასგზით ვერ მიაღწევენ. ამ ლექსშიც მოხდენილად არის გამოყენებული ზმნის კუთხური ფორმა („ის თაობა ჩონგურებით სამოთხეში შავა...“). მძაფრ კონტრასტს ქმნის, აგრეთვე, ოქროს სადარ „ბესიკის ყელთან“ შედარებული, უბადრუკ შთამომავალთა „შავად გაბოლილი ყელი“, რომელსაც სათქმელის ლალად ამომღერება უჭირს, ბუნებრიობას, ღვთაებრივ ჰარმონიას ვერ ეზიარება.

თუმცადა დასავლეთის კულტურის, ანტიკური სამყაროს მონაპოვარი შესისხორცებული ჰქონდა, ბესიკის ლექსთა მოზრდილი ნაწილი აღმოსავ-ლური (სპარსული) პოეზიის ზეგავლენიდან მომდინარე ტრადიციით არის ნასაზრდოები და რამდენადმე დამძიმებული – ანბანთქებებისა და ზმებზე განწყობილი, მაჯამური რითმებით არის გადატენილი და მათ აშკარა ხე-

ლოვნურობის დაღი აზის, აზრის გამოტანა ძნელდება, უკიდურესად ბუნ-დოვანია; საცა კი იგი ამ შემბოჭავი არტახებისგან თავისუფლდება, მისი სტრიქონი მოქნილობასა და სასურველ სილაღეს იძენს, თამამი სიახლითაც გამოირჩევა. ნათქვამის დასტურად მოვიტან რამდენიმე მაგალითს.

თავდაპირველად შევარჩიე ნაწყვეტი („სევდის ბალს შევალ“) სადაც პოეტი თავის ლომურ ბრჭყალებს აჩენს იმის ნიშნად, თუ როგორ არ უშინ-დება, არ უფრთხის სულთამხუთავის კლანქებს, რომლისგან გაუკრავადაც წუთისოფლის ხიფათიან გზას კაცთაგანი ვერ გალევს:

მეც მოშვედა სოფლის მჭრელი ბრჭყალები,  
ბესიკი სიკვდილს არ ვემალები,  
თავი მაქვს მისთვის შენანირები.  
(ბესიკი 1962: 31)

რუსთველის სიტყვის მადლს დაწაფებული, მოხდენილ ეპითეტთა მარ-ჯვედ მიგნების როგორი დიდოსტატია ბესიკი, ეს მისი ერთ-ერთი საუკეთესო ლექსიდანაც („მე მივხვდი მაგას შენსა ბრალებსა“) კარგად ჩანს:

თუ ნახო ვარდის კარნი ღიანი,  
ან მოგეგებნენ ნაზნი იანი,  
ჩემ მაგიერად იგი ჭკვიანი  
ნარგიზი ნახე, ქცევამზიანი.  
(ბესიკი 1962: 33)

გამორჩეულად შთამბეჭდავია მეტაფორად ჩათქმულ ნარგიზთან მი-სადაგებული, ბოლო სტრიქონში მოქცეული, რითმად გატანილი ეპითეტი – „ქცევამზიანი.“ ეს ლექსიც, სხვათა მსგავსად, რეალური არსებისადმია მიმართული (მაია ერისთავი). „ჩემ მაგიერად ნახე“ – ეუბნება პოეტი ვინმე შუამავალს მონატრებულ ნარგიზზე, თან იქვე მასვე აცოდებს თავს: „მეცა გახსოვდე მცირედლიანი, მომიგონებდე ფერნამკრთალებსა.“

ბესიკის ლირიკასა და პოემებში უხვადაა გაბნეული რუსთველისეული, რამდენადმე ტრანსმორფირებული მეტაფორები, მაგრამ ეს ტრადიციული ხატები, მეტნილად, მის მიერვე დამკვიდრებულ „მცირე ბესიკურად“ სა-ხელდებულ, თოთხმეტმარცვლიანი ლექსის საბურველშია გახვეული და ამავე დროს მუხამბაზური იერიც დაჰკრავს. ამის თვალსაჩინო მაგალითად მისი უპირველესი შედევრის („ტანო-ტატანო“) ორიოდე სტრიქონი შეგვიძლია მოვიხმოთ:

ძონ-ლალ-ბაგეო, დამდაგეო, სულთნამარებო,  
პირო მთვარეო, მომიგონე, მზისა დარებო!  
(ბესიკი 1962: 35)

რუსთველური ლექსი ყველგან სანაქებო ოსტატობითაა გამართული; დაბალი და მაღალი შაირიც ჰარმონიულად ენაცვლება ერთმანეთს და ალაგ-ალაგ ბესიკი „ვეფხისტყაოსნის“ სადარ მზიურობას ასხივებს. განსაკუთრებით მაშინ, როცა მისგან გადამეტებულად აღზევებული (ამას მასზე შემომწყრალი მეფე ერეკლეს გასაღიზიანებლად სჩადიოდა) დავით სარდალის გარეგნობას აღნერს („რაც მიიწერა სოფელმან“). აქ, ძალაუნებურად, თვალნინტარიელისა და ავთანდილის შესახედაობა წარმოგვიდგება. თეთრ ცხენზე ამხედრებული ლომგული მეომარი, დაღამეპამდე, მცირე რაზმით, ლეკთა ლაშქარს მუსრავს:

მწუხრისა ჟამმან გაკმარნათ თქვენ მათი ცემა-ულეტანი,  
მობრუნდი გამარჯვებული თეთრსავე მჯდომი მზეტანი.  
(ბესიკი 1962: 80)

მოტანილ ნაწყვეტში, თვალისმომჭრელი ელვარებით, ყურადღებას იპყრობს ცეცხლისფრად ანთებული იშვიათი სილამაზის ეპითეტი – „მზეტანი“. აქ უნდა გავიხსენოთ გიორგი ლეონიძის „უკვდავი წიგნის „ნატვრის სის“ მშვენება, ჭეშმარიტად გენიალური მოთხოვნა „ლვინჯუა“, სადაც ქმარს მოშორებული, ალერსს დანატრებული, ოჯახურ წვეულებაზე მხარბეჭიან, ულამაზეს „მოხეტიალე მონადირე“ ვნებიანად მიჩრებული პატარძალია დახატული. მკერდსავსე, ათქვირებულ დუდლუბას ყოველ მოძრაობას გაფაციცებით აკვირდება ავად დაეჭვებული დედამთილი, ვისზედაც ნათქვამია: „ბუს წითელი თვალის ნაკვერჩხალივით ელავდა თვალი“. ეს უზუსტესი შედარება მომდევნო მცირე წინადადებაში ავარვარებულ მეტაფორად იქცევა, და, რამდენადაც არ უნდა გაგვიკვირდეს, იქვე ანათებს ბესიკის ლექსის საზგანსმული სიტყვა-ეპითეტი: „ნაკვერჩხალმა მოსუსხა, მოსწვა პატარძლის მზეტანი“. გიორგი ლეონიძეს ქართული ენის ზვავივით მოვარდნილი, სამანდაუდებელი საუნჯე მუდამ ხელთ ეპყრა, მკერდთან ჰქონდა მიხუტებული და მისგან არაფერი იყო მოულოდნელი.

დავით სარდალის უზომო აპოლოგიაა მოზრდილი მიძღვნა „ასპინძისათვის.“ მიძღვნის პირველივე, ამაღლებული სიტყვები („ასპინძის მინა გინამებს“) მიგვანიშნებს, რომ ბესიკი ასპინძის ომის მოგების პატივის მთლიანად დავით სარდალს მიაკუთვნებს მაშინ, როდესაც ამ სასტიკ შეტაკებაში უმთავრესი ფიგურა ჭარმაგი მეფე ერეკლე იყო (საამისოდ მარტო უმამაცესი კოხტა ბელადის მოკვლაც კმარა), ვის საარაკო გმირობასაც განაწყენებული პოეტი განზრახ უგულვებელყოფს. ლექსში ზეალმტაცი ექსპრესიოთა და უმდიდრესი ფერადოვნებით არის გაცოცხლებული ბატალური სურათები. მრავალთაგან მხოლოდ ერთ მათგანს მოვიყვან:

კვლავ იქეთ ლეკთა ჩაუხტი, დამართნი ცისა გრეხანი,  
წინა ჩაგისხდნენ დარჩევით ოსოქოლ და კატეხანი.  
(ბესიკი 1962: 83)

ცის რისხვით დაგრაგვნა, დაგრეხა მეტაფორულად გვაგრძნობინებს, თუ რა წელში გამწყვეტი მეხი დაატეხა გავეშებით მებრძოლმა დავით სარდალმა მეტოქეს. ლეკების აული ოსოქოლო იმითაც დაგვახსომდა, რომ იგი გურამიშვილის ტყვეობის ადგილია და „დავითიანში“ არის ნახსენები („მივყავდი ოსოქოლოდა“); სოფლის სახელს ერითმება – „ჩასაქოლადა“ და ეს იმ დროისათვის იყო ძალზე იშვიათი, დაუჯერებლად თამამი და ახალი კონსონანსური სარითმო წყვილი.

სახელგანთქმულ, მაგრამ ოსტატობის თვალსაზრისით ნაკლებად შეს-ნავლილ პოემაში „რუხის ბრძოლა“, სადაც თექვსმეტმარცვლიან მაღალ და დაბალ შაირს, დროდადრო, ბუნებრივად ებმის შიდა რითმებზე განწყობილი ათმარცვლიანი ლექსი, ბესიკმა სამაგალითო ხელოვნებით შეასხა ხოტბა იმერეთ-გურია-სამეგრელოს ძლევამოსილ გამარჯვებას ოსმალთა და ჩრდილოკავკასიელი მაჰმადიანი ტომების შეერთებულ ლაშქარზე (1779), რაც ბევრნილად განაპირობა იმერეთის მეფის სოლომონ პირველის ქმედითმა თანადგომამ. პოეტის მიერ პომეროსის, ათენელ ბრძნენთა (პლატონი, არისტოტელე), ლეგენდარულ ტროას ომის გმირების (ჰექტორი, აქილევსი) ხსენება, ცხადია, ჰიპერბოლურია, მაგრამ ბესიკ გაბაშვილს ჰქონდა საბაბი, ქართველთა ეს გადამწყვეტი შერკინება ვერაგ დამპყრობლებთან, რომელშიც თავად მონაწილეობდა და კიდევაც დაიჭრა, შარავანდედით შეემოსა. ხედვის სიახლითა და გამოხატვის უჩვეულო ხერხით ძალზე საყურადღებოა ორი, ბრძოლის ველის ნარმომჩენი მძაფრი ადგილი, რაც ბესიკის იშვიათ პოეტურ მეტყველებას მრავალთაგან თვისობრივად განასხვავებს:

ზურგად ქვევითს მოიქცევდენ, სიმაგრე სჩანს ვითა ლასტი,  
რა ზარბაზანთ შექმნეს ხველა, უჩარდიას მოხვდა ხრასტი.

(ბესიკი 1962: 127)

„რა ზარბაზანთ შექმნეს ხველა“, – თავისებურად და მარჯვედ გადმოსცემს მრისხანე, გამანადგურებელი იარალით ჭურვების გასროლისა და აფეთქებათა რამდენადმე მიყრუებულ ექოს. მსგავსი რამ ქართულ პოეზიაში მანამდე და შემდგომაც, თანაც ასე, არავის უთქვამს.

მეორე მაგალითი კიდევ უფრო მეტი პოეტური გზნებისა და გალადებული წარმოსახვის მაცნეა. პოეტის კვალდაკვალ, წამკითხველი თვალნათლივ წარმოიდგენს ალისფრად შეღებილ გაშიშვლებულ ხმალს, რომელიც თითქოს თავისით დაქროლავს მომხდურთა რიგებში და ვისაც გადაეყრება, თავებს ასხებავს:

ლეკურსა დრო ხვდა, მიჰკაფდა, ვით ნახა ზურგი ჯაბანი,  
ჰაერსა შიგან ფრინავდა ხმალი სისხლითა ნაბანი.  
(ბესიკი 1962: 129)

ყველაზე დიდი პოემა „რძალდედამთილიანი“, სადაც იგივე საზომები ჰარმონიულად ენაცვლება ერთმანეთს და კვლავ მრავალი სიახლით, მო-

ულოდნელობებითაა აღბეჭდილი, უთუოდ ლირსია საგულდაგულოდ გარჩევისა. ყოფითი სურათების უალრესად ცოცხლად, დამაჯერებლად ამსახველი დიდაქტიკური სულისკვეთების, გროტესკული, ლიმილისმომგვრელი სცენებით აღსავსე ნაწარმოები, როგორც მკვლევარები აღნიშნავენ, გურამიშვილის „ქაცვია მწყემსზე“ ადრე დაინერა და ესეც ცალკე დამსახურებად უნდა მივუთვალოთ ბესიკს. სათქმელი რომ არ გამიგრძელდეს, მხოლოდ ორ სტრიქონს მოვიტან. თვალთმაქცი, დედამთილის ცემით მომკვლელი და მერე ერთგულების მოთამაშე ცოლი მის მიმბეგვავ ქმარს თავს აცოდებს და ყასიდად ასეთ რამეს ეუბნება:

ვა, გეთხოვები, სიკვდილსა მივყევარ სულთა მპარავსა,  
ან გესალმები ყოველსა, სოფელსა მთა და ბარასა!

(ბესიკი 1962: 156)

თუ დავაკვირდებით, ამ ლალად ამოთქმულ სტრიქონებსაც, მიუხედავად მათში შეფარული გამკენწლავი ირონიისა, „ვეფხისტყაოსნის“ ჩაუქრობელი ათინათი ადგას (ვაჳ, სოფელი, რაშიგან ხარ...). მსგავსი მაგალითების დაძებნა, „რძალდედამთილიანში“ მრავლად შეიძლება.

ბესიკის ყველაზე ცნობილი სატრფიალო ლექსის („დედოფალს ანაზედ“) პირველსავე სტროფში, ტრფობის საგანთან ერთად, მცირე ავტოპორტრეტია ჩახატული. ერეკლესა და მისი გარემოცვის მიერ მოძულებულმა, თბილისის ნეტარ გარემოს, ზაფხულობით ბალებში ქეიფს, სიმღერასა და დროსტარებას მოწყვეტილმა, „მცირედლიანმა“ და „ფერნამკრთალებმა“ პოეტმა უცნაურად ინინასნარმეტყველა თავისი ყარიბობა, უცხოეთში გადახვენა ისე, რომ ჯერ კიდევ ახალგაზრდას, თვალტანადობით გამორჩეულს, სამარედ, ნიკოლოზ ბარათაშვილის დარად, მშობლიური მინაც არ რგებოდა:

ვარ უცხო ვინმე ყარიბი ამა სიტყვისა მხმობელი,  
ამა მუხთლისა სოფლისა მაგინებელი, მგმობელი,  
მონა ვარ მისი მუდამ უამ და მისი შემამვობელი,  
იგია ჩემი ხელმწიფე და ჩემი დამადნობელი...

(ბესიკი 1962: 39)

ბოლო სტრიქონმა შეუძლებელია არ გაგვახსენოს „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგის ერთი ადგილი („იგია ჩემი სიცოცხლე, უწყალო ვითა ჯიქია..“) სადაც რუსთაველი „შეფარვით“ მიგვანიშნებს თავის ულმობელ სატრფოზე.

ბესიკის ამავე ლექსის მესამე, უმაღლესი ოსტატობით გამართული სტროფის რითმებში დაქარაგმებულია დედოფლის სახელი – ანა. ყველაზე უფრო გამოკვეთილად რუსთაველის პოემისგან, ეს სტროფია დავალებული. ნათქვამის დასტურად, „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტისათვის ერთ-ერთი საკვანძო თავიდან („ამბავი ავთანდილისა, ასმათს რომ ეუბნების ქვაბმიგან“), სადაც ავთანდილი მაღულად უჭვრეტს ცხენიდან ჩამომხდარ ტარიელს, მცირე ნაწყვეტს მოვიხმობ:

ამარტის ფერად შეცვალა ბროლი ცრუმლისა ბანამან,  
დიდხანს იტირეს ყმამან და მან ქალმან შაოსანამან...

აქვე ამას გვერდით ამოვუყენოთ ბესიკის ნაგულისხმევი, თავისებურად  
დატრიალებული სტრიქონები და მათი წარმომავლობა უმაღ ნათელი გახდება.  
დავრმუნდებით – მდინარის გამკვეთი ორაგულის მალლა აშვერილი კუდივი-  
თაა მოქნეული რუსთველური წყობისა და ულერადობის რითმები (ცნობის  
მიხდა და გულის წასვლა ხომ „ვეფხისტყაოსანში“ ხშირზე ხშირია):

ცნობა მიმიღო და გული, ხედვით შემზღვდა ანამან,  
კვლავ მომკლა მისმა ციალმან და წელის მიმოტანამან...  
(ბესიკი 1962: 39)

ბესიკის მიერ ქართულ პოეზიაში შეტანილი და დანერგილი სიახლენი,  
მისი მრავალმხრივი, განსაცვიფრებელი პოეტური ოსტატობა, ფრაზის  
ვირტუოზული მუსიკალობა, სახეობრივი მეტყველების თავისებურებები,  
საგანგებოდ და ჯეროვნად არ არის შესწავლილი. ეს უნდა გააკეთოს იმან,  
ვისთვისაც გადაულახველ სიძნელედ არ აღმართლა ლექსის ნაირგვარი სა-  
იდუმლობანი, აქვს სიტყვის შეგრძნობისა და შეცნობის უფაქიზესი უნარი,  
უტყუარი ალლო; ხელებიფება პოეზის ფარული შრების განჭვრეტა და  
ყოველივე ამის ნათლად, გასაგებად დალაგება და დახვეწილი ენით გადმო-  
ცემა შეეძლება.

გიორგი ლეონიძემ, თავის ფასდაუდებელ გამოკვლევას რომ წერდა,  
არქივებსა თუ პირად წერილებში გაბნეული მრავალი საბუთი მოიძია და  
ეჭვმიუტანლად დაამტკიცა, რომ ბესიკის ტრფობის უმთავრესი საგანი იყო  
ყურადღალასად წოდებული გიორგი ქსნის ერისთავის ასული მაია, ერეკლეს  
საყვარელი დისწულის, ნაადრევად გარდაცვლილი მამუკა ორბელიანის ცო-  
ლი. ეს ამბავი და მაიაზე დაწერილი, სიმღერად ქცეული ლექსები გახმაურდა,  
რაც, რაღა თქმა უნდა, განარისხებდა ერეკლეს. თავის დაქვრივებულ რძალ-  
თან გამიჯნურების გამო, მეფემ პოეტის დასჯა გადაწყვიტა. გადმოცემის  
თანახმად, რომელიღაც ბატონიშვილს ბესიკისთვის მოსალოდნელი საფრ-  
თხე უცნობებია და იგი თბილისიდან იმდამითვე გაქცეულა. იყო სხვა მი-  
ზეზებიც (თუნდაც ბესიკის მამის, ზაქარიას ძველი მტრობა ერეკლესად-  
მი), რისთვისაც ზნეობის უშეღავათოდ დამცველ მეფეს არ შეიძლებოდა,  
ზედმეტად ლალი, შეუზღუდავი ცხოვრების, მოდური ჩაცმა-დახურვის,  
ვაჟკაციისათვის შეუფერებელი კოპნიაბის მიმდევარი ბესიკი ყვარებოდა.  
ხელისუფალზე თავისი გავლენა მოახდინა, აგრეთვე ბესიკთან სამკვდრო-  
სასიცოცხლოდ დაპირისპირებულმა არისტოკრატმა, გონჯი გარეგნობის,  
მაგრამ განათლებულმა, ჭკვიანმა, პოეტზე არანაკლებ გესლიანი ეპიგრამების  
დამწერმა მზეჭაბუკ ორბელიანმა, ვისაც ერეკლე დიდად ენდობოდა. ცალკე-  
ულ წვრილმანებზე გამოდევნება აქ არ გამოდგება, მაგრამ მონოგრაფიის  
ავტორის შემაჯამებელი აზრი უთუოდ უნდა დავიმოწმო:

„ამგვარად ბესიკის ტრაგიული სიყვარულის მიზეზი ყოფილა მაია ერისთავი, რომლის ძვირფასი სახე დღემდე დავიწყების ბურუსით იყო მოცული. ჩვენმა მკვლევარებმა მაიას როლი ბესიკის ცხოვრებასა და პოეზიაში, გაუგებრობით, მაიას ქალიშვილს ანას მიაკუთვნეს. ამიერიდან მაიას ძვირფასი აჩრდილი განუშორებლად იდგება ბესიკის გვერდით (ლეონიძე 1959: 363-364).“

გიორგი ლეონიძეს ბესიკის ცხოვრებისა და შემოქმედების შესწავლაზე ზრუნვა ამ მეტად გამოსადეგი ნაშრომის დაწერის შემდეგაც არ შეუწყვეტია. ცალკეა ალსანიშნავი, თუ როგორი მონდომებითა და რუდუნებით ეძებდა იგი რუმინეთში გარდაცვლილ უილბლო პოეტის საფლავს; საამისო ეპიზოდებს გულისშემძვრელი განცდით გვამცნობს მოგზაურობის დღიურის ერთი ნაწილი – „ბესიკ გაბაშვილი იასში.“

„უცხოეთში დამარტული პოეტის თავგადაკლული ჭირისუფალი ქალაქ იასში 1956 წლის სუსხიან იანვარს ჩასულა და მაშინვე საქმეს შესდგომია, რაშიაც რუმინელი კოლეგები დაეხმარნენ. იასი მალარიით ყოფილა განთქმული ისევე, როგორ ოვიდიუს ნაზონის გადასახლებისა და გარდაცვალების ადგილი, ქალაქი ტომი (დღევანდელი კონსტანცია). ერთმანეთთან საუკუნეების რიგით დაშორებულ, დაახლოებით ზიარი ბედის ორ „სიყვარულის პოეტზე“ (მათი შემოქმედების მასშტაბი და არეალი ცხადია, დიდად განსხვავებულია) ზოგ რამეს შემდგომში ვიტყვი.

დაუცხორომელმა მკვლევარმა კითხვა-კითხვითა და საარქივო მასალების შესწავლის მერე დაადგინა, რომ ორმოცი წლის მოულოდნელად გარდაცვლილი ბესიკი (მისი სიკვდილის მიზეზის რამდენიმე ვერსია არსებობს) დაიკრძალა ვინერის ტაძარში 1791 წლის ისეთსავე ცივი იანვრის დღეს, როგორსაც თვითონ ჩავიდა იასში. 1879-1880 წლებში, სიძველის გამო, ეს ტაძარი დაუნგრევიათ და ვისაც პატრონი გამოუჩნდა, მათი ნეშტი სხვაგან გადაუსვენებიათ, ხოლო ბესიკისა, როგორც უპატრონოსი, იქვე დარჩენილა. გადარჩა მხოლოდ პოეტის საფლავის ქვა, რადგან ძვირფასი მარმარილოსი იყო და იგი 1922 წელს გოლიას მონასტერში გადაეტანათ.

გიორგი ლეონიძეს დაწვრილებით აქვს აღნერილი ოსტატურად მოჩუქურთმებული ნარწერებიანი ფილა. კედელზე მიყუდებულთან, სამახსოვრო ფოტოც გადაიღო, მაგრამ ამით არ დაკმაყოფილებულა და მასპინძელთა დაახმარებით მიაგნო იმ ადგილს, სადაც იმერეთის მეფის, დავითის მიერ ნარმატებულ დესპანად გაგზავნილი პოეტი დაკრძალეს.

საგრძნობია, აშკარად გვესმის გიორგი ლეონიძის მღელვარებისგან გახშირებული სუნთქვა, როცა იგი საკრალურ ადგილას ყოფნის დაუვიწყარ და, ამასთანავე, სინანულით აღსავსე წუთებზე მოგვითხრობს:

„აქ, ამ მოედანზე, ამ მოკირნყლული ქვების ქვეშ ბესიკია დანაცრებული. მე თითქმის პირველი ქართველი პოეტი ვარ, მდგარი ბესიკის საფლავის ნინაშე. ქართველი პოეტებიდან ბედნიერ წილად მე მერგო მისი პირველი ხილვა.“

მე ვარ ამოსული ბესიკის მშობელი თბილისიდან, რომელიც მან 1777 წელს დატოვა, და ამ წამს მაგონდება, თუ როგორ ეთხოვება ბესიკი თბილისის მზიან არეს, მტკვრის მხიარულ ნაპირებს...“

აქვეა მოტანილი ბესიკის ერთი ლექსიდან გამთოშავი ქარბუქის დამ-ხატავი, ბარათა შვილის მსგავსი ნაჭედობით გამორჩეული სტრიქონები („დაგვბურნა ქარმან დაუწყნარმან, ზღვად ვიფარენით...“), რასაც ისევ მოჰყვება გიორგი ლეონიძის ნაღვლიანი შეხმიანება, იმ ლექსის შესატყვის:

„მართლაც ქარი ადგა, ქარაშოტი, ღრუბლები შავად შეიკუმშა და მო-ხეტიალე ქარში მომესმა ბესიკის მუდარა:

მკვდარი ბესიკი, მოდი, მნახე,  
ჩამიღვი სული!“  
(ლეონიძე 1959: 398-399)

პირნათლად აუსრულა ეს უკანასკნელი სათხოვარი მისმა მოთაყვანე და მის კვალზე დამდგარმა, მისი განსასვენებლის მპოვნელმა ხელმადლიანმა შთამომავალმა.

„ბესიკს გაბარებთ!“ – დაუბარებია თვალცრემლიან სტუმარს კეთილი მასპინძლებისათვის, რომლებიც შეპირებიან, რომ მათ მიწაში დასაფლავე-ბული პოეტის ბიუსტს დადგამდნენ.

დღიურის თავში გახსენებულია რუსთაველის მაგიური, გვერდაუქცე-ვი ნათქვამი: „სადაურსა სად წაიყვან...“, ასე რომ ესადაგება წუთისოფლის სიმუხთლესა და ბესიკის გაუხარელ ბედს. ამგვარადვე ნაღვლიანია ამ დღი-ურის ბოლო, პატარა აბზაცი, რომლითაც გულდამძიმებული პოეტი იქაურო-ბას ემშვიდობება:

„მატარებლის თქრიალში, რუმინეთის დაბინდულ ველებზე, ქარის ყი-ვილში თითქოს ქროლვით თან მომდევდა გადახვეწილი ბესიკის მწუხარ-ლანდი და საქართველოსთან მაპარებდა:

ერთხელ აღირსე შენი ხილვა  
შენსა მზირებსა!“  
(ლეონიძე 1959: 400)

მცირე მოცულობის ნაშრომში, შევეცადე, ნაწილობრივ მაინც მეჩვე-ნებინა, რა მამულიშვილური მგზნებარებით აფასებდა გიორგი ლეონიძე წინაპარ პოეტთა წარუშლელ ღვანლს, რაოდენ ერთგული იყო იგი ქართული პოეზიის საუკუნოვანი ტრადიციებისა, რამდენად სისხლხორცეულად ჰქონ-და ათვისებული წარსულის მდიდარი გამოცდილება. ეს ფესვეული კავშირი გაცილებით ღრმა და ფართოა, რის უფრო სრულად წარმოჩენასაც შემდგომ-ში ვაპირებ.

**დამოწებანი:**

- Besik'i. *Tkhzulebani*. Tbilisi: 1962 (ბესიკი. ოხზულებანი. თბილისი: 1962).
- Grishashvili Ioseb. *Ts'erilebi*. T'. 4. Tbilisi: 2012 (გრიშაშვილი იოსებ. წერილები. ტ. 4. თბილისი: 2012).
- Kvit'aishvili Emzar. *Kartuli Sit'q'vis Bazieri*. Tbilisi: 2003 (კვიტაიშვილი ემზარ. ქართული სიტყვის ბაზიერი. თბილისი: 2003).
- Leon Melikset-Begi. "Saiatnovas Vinaoba. K'rit'ik'ul-biografiuli Et'iudi". *Kartuli Ts'igni*. 1930 (ლეონ მელიქეთ-ბეგი. „საიათნოვას ვინაობა. კრიტიკულ-ბიოგრაფიული ეტიუდი“. ქართული წიგნი. 1930).
- Leonidze Giorgi. *Gamok'vlevebi da Ts'erilebi*. Tbilisi: 1959 (ლეონიძე გიორგი. გამოკვლევები და წერილები. თბილისი: 1959).
- Leonidze Giorgi. *Sakartvelos Tsremlebi*. Tbilisi: 2000 (ლეონიძე გიორგი. საქართველოს ცრემლები, ღეგჩები. თბილისი: 2000).
- Teimuraz II. *TkhzubaTa Sruli K'rebuli*. Tbilisi: 1939 (თეიმურაზ II. ოხზულებათა სრული კრებული. თბილისი: 1939).

**Emzar Kvitaishvili  
(GEorgia)**

**Giorgi Leonidze and the Poets of Old Times**

**Summary**

**Key words:** Giorgi Leonidze, Besiki, poetry.

Among 20th-century Georgian poets, it is difficult to name any other writer who could, like Giorgi Leonidze, evaluate the merits of their predecessors and give a comprehensive description of their works. Not many could show such sympathy as he did, concern about the forgotten, assistance in scholarly editions of the literary heritage. Since his youth, it became his inner, spiritual need.

Having had a wonderful talent for poetry, he was thoroughly acquainted with the history of Georgia, museums located in different cities, archival materials, ethnography which is evidenced in numerous letters and diaries. All this gave credibility to Giorgi Leonidze's studies, the reliability of which has never been questioned.

He expressed his love and admiration for his great predecessors especially in poetry. The title of this paper has been specially chosen. In his youth, Giorgi Leonidze wrote extremely interesting verse, which is called "The Poets of Older Generations". First, a reference is made to the eminent poets of the past centuries; then it is said how naturally and freely their voices sounded like chanting of so many different birds and in the third stanza some of them are directly named - "Shota, Besiki, Guramishvili, Vazha-Pshavela". This

does not mean at all that Giorgi Leonidze would not mention those who are missing from this list with the same reverence. Every time he listed the earlier Georgian poets, naturally, he gave priority to Rustaveli, although he did not publish any scholarly research on the author of the “Vepkhistqaosani”, as he felt himself unprepared for this. However, to none of his predecessors, he dedicated as many verses of admiration as to Rustaveli.

Giorgi Leonidze particularly appreciated Guramishvili and Vazha-Pshavela as genuine exponents of pure poetry that is specially underlined in the work. If someone in Georgian poetry was a successor of Guramishvili and Vazha-Pshavela, then first of all, it was Giorgi Leonidze – no wonder that he addresses their ghosts: “I am following in your footsteps.”

Giorgi Leonidze’s fascination with Besiki and Sayat-Nova was quite special and never waned. While still young, he regretted that they were not properly appreciated; in the following years he did a lot to promote these two poets and made the names shine like precious stones, so that the twentieth century may see the innovations introduced by them in Georgian poetry. In Giorgi Leonidze’s works, a peculiar use of rare epithets in the spirit of Besiki is observed, when a new life is given to the word, a different effect is produced.

A vivid example of this is Besiki’s love poem on the oriental motive “The Nightingale Whistles” in which the poet masterfully uses the majama rhyme scheme (ai raira). Undoubtedly, it is devoted to some real person, whose identity has not yet been established. It is she to whom the epithet of rare beauty in Georgian poetry belongs to: “xmadamtvralo aira” [drunk in love].

This epithet immediately calls attention for its depth and originality. The previous stanza has an ordinary, widely used epithet - “sabralo” [poor] and against this background, which creates the desired contrast, the novelty is better felt.

Besiki’s new epithet, rather unexpected for the eighteenth century was skillfully used and inserted in a proper place like a precious stone in one of the most powerful poems of the thirties - “Sayat-Nova” by an unsurpassed connoisseur of his works, Giorgi Leonidze:

შე საწყალო ფეიქარო,  
ხმადამთვრალო საათნოვა,  
ჭიანურო, ცეცხლის მყრელო,  
რა ნაღველმა გაგათავა?!

[O poor weaver,/ drunken with love Sayatnova,/your chianure (musical instrument) is burning, exhausted./ What sadness finished you ?!]

Being inspired by Besiki, Giorgi Leonidze dedicated a poem full of ecstasy to the great minstrel- poet and ashugh Sayat-Nova, the singer in three languages. The epithets are almost the same in both cases, “sabralo” [the poor] is replaced by “satsyalo” [miserable] which are synonyms and “xmadamtvralo” is repeated without change. But if in Besiki’s verse it is somewhat lost, in Leonidze’s poem it acquires a completely different charm and sparkle. Here, not only love and dizziness from the wine come to light, but

intoxication with poetry, music, inspiration is implied. An exclamation: “Your chianure is burning/What sadness finished you ?!] expresses passionate excitement. The question itself is rhetorical and does not expect an answer. The very first line of the poem openly states: “Love drove this poor Sayat-Nova crazy!”

It can be said that in turn, the epithet found by Besiki “xmadamtvralo” embellished Giorgi Leonidze’s poem and one must pay tribute to the author of “The Garden of Melancholy”. This once again confirms the truth of Pushkin’s statement that “epithet is the soul of poetry.” It should always be remembered that the most accurately found epithet will make it clear as to what scale, talent and dignity the poet is.

Giorgi Leonidze was obsessed not only with Besiki’s lyrical poems but for years he studied the old manuscripts and materials scattered in various museums, and made every effort to make a comprehensive monograph about the most outstanding figure of the Gabashvili family. In this work, he saw in full the multifaceted talent and contributions of the great Georgian poet of the anacreontic soul that is evidenced even from this small excerpt:

“If Besiki’s poetic pathos of, the passions of his heart are strong, no less is the brilliance of Besiki’s poetic form, the poetic purity of the verse, plasticity, sophistication and, most importantly, the musical inventiveness. Besiki’s high verbal skill and innovation, formal and technical studies - the richness of rhythm, the diversity of poetic metre make his name unique in Georgian poetry. “

The literary heritage of the great creator, who died abroad and was buried in the town of Iasi (Rominia), fully confirms Giorgi Leonidze’s view - in his verses and poems he reveals an unusual boldness of poetic speech (new, unexpected epithets, similar rhythms, comparisons and metaphors) which distinguishes him significantly from contemporaries and poets of the subsequent period.

The most important innovations introduced and established in Georgian poetry by Besiki, the elusive poetic skill, virtuosic musicality of the phrase, various ways of constructing images have not yet been properly studied. This circumstance must be unequivocally taken into account by our versifiers.

I intend to continue my research in this direction in the near future and to present my observations more broadly.

С.В. Ананьева  
(Казахстан)

### Диалог культур на Великом Шелковом пути

Концепт Великого Шелкового пути и его воссоздание в художественном тексте способствует установлению связи настоящего с минувшим и позволит сделать его неотъемлемой частью нашего духовного мира, так как Центральная Азия является «наиболее приемлемым типологическим пространством для осмыслиения новой парадигмы истории духовной эволюции общества» (Айтматов 1998).

О важности диалога культур на разных уровнях пишет В. Вегвари: «...В истории цивилизации идет постоянный диалог, укрепляющийся тогда, когда одна сторона способна говорить на языке другой, и сужающийся, если происходит какой-то конфликт, межкультурные диалоги обычно осуществляются на разных уровнях» (Вегвари 2010). Т. Владимирова предлагает рассматривать диалог культур с точки зрения языковой картины мира, языковой личности, являющейся одновременно наследником и творцом дискурса, языкового сознания и самосознания. Выполняя функции главного хранителя общего опыта, знаний, мыслей, ценностных представлений и переживаний, «сформировавшийся дискурс также дает определенную оценку как той действительности, которая находится в нем свое выражение, так и самой личности, унаследовавшей его идеино-духовные представления» (Владимирова 2010).

Народный писатель Казахстана М. Симашко в документальной повести «Великий шелковый путь или анабазис с иностранцами» высказывает свою точку зрения на проблему восточных и западных культур и цивилизаций, совпадающую со взглядами Ч. Айтматова: «Начиная с античности и раннего средневековья, здесь (на территории Центральной Азии – С.А.) сталкивались в конфликтном противоборстве римская и степная, тюркская и иранская, арабская и китайская цивилизации. При этом с geopolитической точки зрения этот регион всегда выступал предметом завоеваний как «промежуточный пояс», «буферная», «срединная» зона, которая предохраняла бы от непосредственного соприкосновения» (Симашко 1996).

История преподносит, порой, удивительные примеры. Акбар Великий из индийских моголов, потомок Бабура, неукоснительно исполнял религиозные праздники всех народов, входивших в его огромный султанат от верховьев Аму-Дарьи до Индийского океана. «Дин-и илахи» назвал он такое понимание Божьего присутствия в мире. Султан говорил, что человек, если на пути его встретится безразлично мечеть, синагога, церковь или иной божий храм, может заходить туда и молиться. Голос его одинаково будет услышан Богом. Нет Бога кроме Бога, и един он для всех. Ствол Ветхого Завета с его пророками и их деяниями прорастает в

христианстве и исламе...» (Симашко 1996). В книге «Дорога на Святую Землю» важен мотив памяти. Трасса Великого Шелкового пути только открывалась для иностранцев и включала города Ташкент, Самарканд, Бухару и «в особых случаях Ашхабад, а рядом с ним Парфянская Ниса. Туркестан по-прежнему пребывал в зоне отчуждения, а Хива или древний Мерв представляли из себя и вовсе закрытую зону» (Симашко 1996). И все явственнее проявляется мотив памяти: «Еще работая там корреспондентом, наблюдал я огненные сполохи в полнеба где-то в направлении Устюрта. К тому же и по открытому для туризма пути для иностранных граждан предусматривалось летать только самолетами» (Симашко 1996).

Путешествуя со своими друзьями по Центральной Азии, так много давшей для его исторической прозы (темы, сюжеты, мифы, предания, легенды и т.д.), М. Симашко описывает древний Мерв, называвшийся в разные исторические эпохи то Маргиана – Александрия, то Маргиана – Антиохия. Из окна вагона виднелись сыпучие барханы величиной с десятиэтажный дом, которые порой обнажали «вытянувшиеся цепочкой верблюжьи и человеческие кости, бронзовую посуду и кипы слившегося вещества, бывшего некогда шелком. Здесь же находили греческие вазы с рассказами об осаде Трои, китайские секстанты, арабские астролябии, золотые фигурки Будды, иудейские мезузы, несторианские кресты, шахматные доски и просто косточки – альчики для детской игры» (Симашко 1996). «Шах городов» древний Мерв «стоит» на серой, с невнятными очертаниями холмов равнине, утопающей в волнах сухого горячего моря.

Невообразимый, кричащий покой начинает беспокоить путешественника. Два эпитета, подобранные автором для описания тишины пустыни, настраивают на что-то противоречивое обычной человеческой логике. Далее у М. Симашко детальное описание пейзажа, сама медлительность описания начинает работать на ускорение «внутреннего» времени, времени переживания, поскольку все острее и яснее становится: надвигается что-то зловещее. Покой, тишина – ключевые слова в цитируемом отрывке. Повествование ведется от третьего лица, автор превращается в стороннего наблюдателя. «Он выходит из машины, приглядывается к срезу холма, отделяет ломкий, будто из пересохшей бумаги слой. И вдруг понимает, что у него в руке часть человеческого скелета: ребро с позвоночником или голень, сделавшиеся совсем невесомыми, но сохранившие в сухом каракумском песке свою форму. Весь этот холм и другие вокруг состоят из человеческого праха. Одни представляют собой сложенные друг на друга скелеты, другие выстроены из одних только черепов. Это все, что осталось от огромного города, раскинувшегося на многие десятки километров и восхищавшего путников своими дворцами, садами, караван-салями, банями, библиотеками, богатством и приветливостью жителей» (Симашко 1996). Так история переплетается с современностью. «Человечество бредет в своей истории по колено в крови...», – приходит к выводу М. Симашко. Только красота вечна и неподвластна времени: «...и все парил там, не приближаясь и не отдаляясь, купольный прямоугольник мавзолея султана Санджара, последнего из Больших

Сельджу-ков». Парят, возвышаются, возносятся творения рук человеческих и безграничного разума – мавзолеи, храмы, цитадели, обсерватории древних цивилизаций.

Создатель империи Сельджуков великий вазир Низам аль-Мульк ат-Туси за полтысячи лет до Макиавелли написал «Сиясет-наме» – книгу об управлении государством. Мост через древний Оксус, построенный в начале века в Мерве, был вторым по величине в мире в то время. Благодаря своим поистине энциклопедическим знаниям и умению воплощать эти знания в историческое повествование, М. Симашко создает не просто жанр путешествий. Его повествование философско-насыщенное, богатое параллелями, сравнениями разных исторических эпох. Империи старели и рушились под собственной тяжестью, на смену им являлись другие.

Смешение культур, архитектурных стилей – характерная черта памятников Евразии. «Начиная со времен Саманидов, строения приобрели здесь законченную форму, вобравшую основательность имперского Востока, индийскую солнечность и великую соразмерность средиземноморских традиций. Древний фигурный кирпич, замешанный на белке, схватился в монолит. И монголы не трогали чужих могил» (Симашко 1996). Еще пример. В парфянской Нисе были найдены знаменитые фигурные ритоны, крылатый сфинкс и парфянская Венера – явно греческой традиции, но с туранскими чертами. Взаимовлияние культур происходило постоянно.

Русский писатель Казахстана с горечью пишет в «Великой Хазарии» о трагической судьбе казахского народа в XX веке, поскольку продуманная система кочевых передвижений по Великой степи, скотоводческий цикл года, кстати, такой же способ хозяйствования применяли ковбои и гаучо Северной и Южной Америки, были нарушены с возникновением земледельческих оазисов.

Само месторасположение народов Центральной Азии на середине Великого Шелкового пути, начиная еще с сакских времен, имело неоценимое преимущество, так как они «получали непосредственный импульс от обеих цивилизаций, расположенных по краям великого континента. Было это задолго до Васко де Гамы и Магеллана». М. Симашко размышляет о глобальных подвижках человечества с Востока на Запад и с Запада на Восток, сравнивает их с чередующимися приливными и отливными волнами, происходящими с некоей регулярностью во все времена: «Ксенофонт или Ал. Македонский – в одну сторону, Атилла и Чингисхан – в другую». Может быть этим и объясняется, что в «этом ареале произошла первая плавка железа, здесь одомашнили лошадь, а древняя сакская повозка о четырех колесах стоит ныне в запасниках Эрмитажа. Не говоря уже о мавзолее Ахмеда Яссави, величественных мазарах Улытау и мангистауских древностях, ординарная казахская юрта по своим инженерным расчетам и способу исполнения – высочайшее достижение цивилизации, не менее значительное, чем для иного климата и образа жизни избапятистенка» (Симашко 1996).

Воссоздавая свое путешествие с французскими друзьями по Центральной Азии, М. Симашко остается верен себе, наполняя документальную повесть «Великий Шелковый путь или анабазис с иностранцами» глубокими раздумьями о прошлом, об истории и роли Великого Шелкового пути, его достопримечательностях, о творениях духа и рук человеческих. Описывая Хорезмский оазис, автор размышляет о том, что чудеса света не обязательно должны быть огромными, как Родосский колoss или пирамиды. «Здесь это был небольшой по сравнению с другими куб усыпальницы Саманидов. Но великая соразмерность и отточенность линий, первородная, гениальная сккупость средств выражения заставляли вспомнить, что именно тут рождались алгебра и поэзия дари. В нескольких шагах от выражающего Божью идею куба виднелась скромная, из четырех кирпичей курильница. Молящие записывали на бумажке свои пожелания и сжигали их, наблюдая, как растворяется в небе легкий дымок. Это был отблеск древних огней, когда маги возносили моления светилам. Ислам боролся с этим так же, как с памятными камнями и подвязанными к деревьям ленточками, пока по практической мудрости своей не принял их в свой канон. Этому совершенному творению духа и рук человеческих соответствует не умирающая в человеке идея добра» (Симашко 1996).

Великий Шелковый путь таит много загадок. В Бухару путешественники-французы добирались самолетом, «Интурист» не разрешал поездку поездом. Не все было открыто для иностранцев. Еще в военные годы, «за речкой, где стояла наша эскадрилья, виднелись полуразрушенные дувалы, сплелись ветки одичавших деревьев и винограда». В голодное военное время никто и не думал пробраться в заброшенные развалины, которые не были такими древними, как остальные вокруг них. «По поверью, нельзя было селиться на том месте, где произошло великое смертоубийство, будь то землетрясение или дело рук человеческих. Плоды и злаки с этой проклятой земли нельзя употреблять в пищу» (Симашко 1996). Результат дела рук человеческих отпугивал угрожающим шипением: «в оставленном людьми селении жили змеи», видна была запыленная айва, золотые персики, тяжелые гроздья винограда. Автор не ссылается на источник: «Нам никто не рассказывал об этом, но мы знали». Подобные картины запустения видел и Авраам, главный герой романа «Маздак», путешествующий от Ктесифона до Самарканда и Константинополя.

Тема голodomора в документальной повести «Великий Шелковый путь или анабазис с иностранцами» раскрыта М. Симашко в конце XX века в связи с темой сплошной коллективизации и басмачеством. Писатель точно подбирает слова, расставляя акценты. Изменилась историческая эпоха, происходит переосмысление истории XX столетия. «В земельно-водную реформу, перешедшую в сплошную коллективизацию, началось то, что называлось басмачеством». Публицистика М. Симашко обращена к читателю ду-мающему: «...началось то, что называлось басмачеством». Указан конкретный временной промежуток – два года. «И тогда была призвана Первая Конная армия, остававшаяся без дела. Она окружала мятечные центры, артиллерия била прямой наводкой, а оставшихся в живых брали в клиники

без различия пола и возраста. За два года легендарная красная конница прошла по Великому Шелковому пути от Красноводска до Пишпека». Эпитет легендарная в данном контексте приобретает значение отнюдь не героическое. Память о красной коннице в народе жива. «И если показать тут на базаре буденновские усы, люди хватаются за нож. А вокруг мертвых селений на кустах и деревьях подвязывают белые ленточки в знак памяти» (Симашко 1996).

Лучшие в стране колхозы были на Великом Шелковом пути. Четкие контуры ухоженных полей, окаймленных полосками тутовника, видит автор повести из иллюминатора самолета. Историческое время начинает обратный отсчет. Хронотоп автора не совпадает с ним: «Ход жизни потек вспять». Время живое, оно течет, как вода в реке. Писатель словно видит его ход, потому что «сам не раз разбирал дела, когда рабы – должники по деду или прадеду – участвовали в социалистическом соревновании, а их трудодни и, соответственно, золотые звезды приписывались их владельцу». О многом М. Симашко писал первым, художественно воссоздавая и переосмысливая тра-гическую историю столетия.

«Мотив (фр. *motif*, нем. *motiv* от лат. *moveo* –двигаю) – одна из кросс-уровневых единиц художественного текста, активно причастная его теме и концепции. Мотив рассматривается по-разному в рамках сравнительно-исторического литературоведения и теоретической поэтики авторского художественного текста. За последние десятилетия интерес к теоретическому потенциалу термина мотив заметно возрос: мотив творчества, фольклорный мотив, лирический мотив, мотивная структура» (Силантьев 2004).

Мотив пути в прозе М. Симашко включает концепт Великого Шелкового пути, чей переставший биться пульс (не так давно по историческим меркам) можно ощутить в Хиве. Автор-повествователь свободно перемещается во времени, из одной цивилизации в другую, ощущая их ритм и передавая его в своей прозе. Читатель перемещается вслед за автором и его друзьями из Франции по старинной Хиве. Время обозначается сочетаниями: «будто вчера», «тысячелетний шахтут», «дышало вечностью», «длительный путь», «другой извечный путь». «Будто вчера опустевший город состоял из огромных караван-сараев, странноприимных домов, базарных площадей, из мечетей с еще не остывшими от человеческого тепла камнями. Из тысячелетнего железного шахтута, который растет только здесь, были сделаны громадные ворота, резные столбы и спрятанные в стенах двери» (Симашко 1996). Строили добротно, с размахом, на века. Историческое время движется столь стремительно, что камни мечетей еще не остыли от человеческого тепла.

Все продумано в архитектуре. «Продуваемый через отдушины сухим ветром пустыни» караван-сарай поражает своими размерами: «...Он мог вместить не одну сотню верблюдов с поклажей. Здесь же располагались стойла для лошадей с коваными кольцами и яолями из того же шахтута, приспособления для разгрузки товара». Гостиница с чайханой, мастерские, аптека с лекарствами для людей и животных, склады с запасами фуражем и всего необходимого «для длительного

пути через степи и пустыни. Тут все дышало вечностью». А в Ашхабаде, на приеме в Союзе писателей угожали виноградом «Ясман-Салык», вином «Эрик-Кала», «Безмеин», «Карабекаул». И это все были станции на Великом Шелковом пути.

Традиции на Востоке – великая вещь. Акбар Великий из индийских монголов, потомок Бабура, неукоснительно исполнял религиозные праздники всех народов, входивших в его огромный султанат от верховьев Аму-Дары до Индийского океана. «“Дин-и илахи” назвал он такое понимание Божьего присутствия в мире. Султан говорил, что человек, если на пути его встретится безразлично мечеть, синагога, церковь или иной божий храм, может заходить туда и молиться. Голос его одинаково будет услышан Богом. Нет Бога кроме Бога, и един Он для всех. Ствол Ветхого Завета с его пророками и их деяниями прорастает в христианстве и исламе...» (Симашко 1996).

В названии публицистической книги М. Симашко «Дорога на Святую землю» слово «дорога» является, несомненно, ключевым. В контексте метатекста (самосознание текста) М. Симашко определял главную, внутреннюю тему своей прозы – тему дороги, пути. Причем, это характеризует и его романы и повести, а не только публицистику. Что же касается жанров произведений, вошедших в последнюю книгу, то мы встречаем в ней документальную повесть и публицистические новеллы. «Путь» и «дорога» являются центральными в названиях произведений «Великий Шелковый путь или анабазис с иностранцами» (здесь дважды встречается слово «путь», поскольку «анабазис» в переводе с греческого языка – путь в глубь страны), «Великая Хазария», «Прообраз Евразии и искушения Президента», «Путь через экватор», «Дорога на Святую землю (Антисемиты и Божья Матерь)».

Современная феноменология восприятия актуализирует не только роль антропологического поворота, но и роль субъективного фактора – читателя. Произведение искусства предполагает бесконечный ряд возможных прочтений в соответствии с личной перспективой и читательскими предпочтениями. Диалог культур на Великом Шелковом пути продолжается...

#### **Литература:**

- Aytmatov Ch. Edinstvo i Raznoobrazie Kul'tur. Doklad na Issyk-kul'skom Forumе – 97. Aytmatov Ch. Sobranie Sochineniy v 10 t. T. 7. M.: 1998. S. 215-228 (Айтматов Ч. Единство и разнообразие культур. Доклад на Иссык-кульском форуме – 97. Айтматов Ч. Собрание сочинений в 10 т. Т. 7. М.: 1998. С. 215-228).
- Silant'ev I. V. Poetika Motiva. Otv. Redaktor Chlen-korrespondent RAN E. K. Romodanivskaya. Institut Filologii Sibirsogo Otdeleniya RAN. Moskva: yazyki slavyanskoy kul'tury, 2004, 294 s. (Силантьев И.В. Поэтика мотива. Отв. редактор член-корреспондент РАН Е.К. Ромодановская. Институт филологии Сибирского отделения РАН Москва: языки славянской культуры, 2004. 294 с.).
- Simashko M. Velikiy Shelkovyy Put' ili Anabazis s Inostrantsami. Simashko M. Doroga na Svyatyyu Zemlyu. A.: ID “zhibek zholy”, 1996. S. 5-58 (Симашко М. Великий Шелковый путь или анабазис с иностранцами. Симашко М. Дорога на Святую Землю. А.: ИД “жибек жолы”, 1996. С.5-58).

Simashko M. Velikaya Khazariya. Simashko M. Doroga na Svyatyyu Zemlyu. A.: ID "zhibek zholy", 1996. S. 59-82 (Симашко М. Великая Хазария. Симашко М. Дорога на Святую Землю. А.: ИД "жибек жолы", 1996. с.59-82).

Vladimirova T. V. Dialog Kul'tur: Puti, Kotorye My Vybiraem. Yazyk i Kul'tura. K Yubileyu Professora E. F. Bolodarskoy. Pod red. Chlen-korr. RAN YU. L. Vorotnikova; Rossiyskaya Akademiya Lingvisticheskikh Nauk; Moskovskiy Institut Inostrannykh Yazukov; Nauchnyy sovet RAN po izucheniyu i okhrane kul'turnogo i prirodnogo naslediya. Moskva: izdatel'stvo instituta inostrannykh yazykov, 2010. S. 67-73 (Владимирова Т.В. Диалог культур: пути, которые мы выбираем. Язык и культура. К юбилею профессора Э.Ф. Володарской. Под ред. член-корр. РАН Ю.Л. Воротникова; Российская академия лингвистических наук; Московский институт иностранных языков; Научный совет РАН по изучению и охране культурного и природного наследия. Москва: издательство института иностранных языков, 2010. С.67-73).

Vegvari V. Yazyk, Kul'tura i Kommunikatsiya v Evropeyskom Mezhkul'turnom Prostranstve. Yazyk i Kul'tura. K yubileyu Professora E. F. Volodarskoy. Pod red. chlen-korr. RAN YU. L. Vorotnikova; Rossiyskaya Akademiya Lingvisticheskikh Nauk; Moskovskiy institut inostrannykh yazukov; Nauchnyy Sovet RAN po Izucheniyu i okhrane kul'turnogo i prirodnogo naslediya. Moskva: izdatel'stvo instituta inostrannykh yazykov, 2010. S. 63-66 (Вегвари В. Язык, культура и коммуникация в европейском межкультурном пространстве. Язык и культура. К юбилею профессора Э.Ф. Володарской /Под ред. член-корр. РАН Ю.Л. Воротникова; Российская академия лингвистических наук; Московский институт иностранных языков; Научный совет РАН по изучению и охране культурного и природного наследия. Москва: издательство института иностранных языков, 2010. С. 63-66).

**Svetlana Ananyeva  
(Kazakhstan)**

### **Dialogue of Cultures on the Great Silk Road**

#### **Summary**

**Key words:** concept, memory, dialogue of cultures, M. Simashko, cultural traditions, the Central Asian region, Renaissance.

In modern cultural processes in the humanitarian sphere the concept of «border» is redefined, as it does not divide, but acts as a meeting place for one's own and another's. In this context, the Great Silk Road, connecting countries, peoples, civilizations, contributed to the development of the alien, the synthesis of different cultural traditions and artistic systems, the inclusion of the achievements of national cultures in the world.

The Central Asian region has been a cultural source of the Renaissance since ancient times. Freedom of thought prevailed in the teachings and works of Khayyam,

Al-Farabi, Balasaguni and many outstanding figures of science and culture. In the mentality of the peoples, there is a trace of the great caravan routes and nomads. Maurice Simashko called the Great Silk Road “philosophy of life”. The ideas of cultural distance and cultural transfer allowed prose writers and publicists to freely cross the boundaries between languages, cultural systems, traditions, and world civilizations.

Being at the crossroads of cultures, writers were included in the ongoing dialogue of civilizations in the context of the modern socio-cultural situation. The aesthetic orientation towards the synthesis of cultural influences and the dialogue of cultural traditions led them to artistic discoveries and the conviction that «starting from antiquity and the early Middle Ages, Roman and steppe, Turkic and Iranian, Arab and Chinese civilizations clashed in conflict on the territory of Central Asia. At the same time, from a geopolitical point of view, this region has always been the subject of conquest as an “intermediate belt”, “buffer”, “middle” zone that would protect against direct contact» (Chingiz Aitmatov).

## სვეტლანა ანანიევა (ყაზახეთი)

### კულტურათა დიალოგი აბრეშუმის დიდ გზაზე

#### რეზიუმე

**საკვანო სიტყვები:** კონცეპტი, მეხსიერება, კულტურათა დიალოგი, მ. სიმაშკო, კულტურული ტრადიციები, ცენტრალური აზია, რენესანსი.

თანამედროვე კულტურულ პროცესებში, ჰუმანიტარული კლვევების სფეროში, „საზღვრის“ ცნება გადააზრებულია არა როგორც გამყოფი ზოლი, არამედ – შეხვედრის ადგილი. ამ კონტექსტში, დიდი აბრეშუმის გზა, რომელიც აერთებს ქვეყნებს, ხალხებსა და ცივილიზაციებს, ხელს უწყობს უცხო, სხვადასხვა კულტურული ტრადიციებისა და მხატვრული სისტემების სინთეზს, ეროვნული კულტურების ჩართვას მიღწევათა ზოგადსაკაცობრიო სისტემაში.

ცენტრალური აზიის რეგიონი უძველესი დროიდან აღორძინების კულტურული წყარო იყო. აზრის თავისუფლება ჭარბობდა ხაიამის, ალ-ფაბირის, ბალასაგუნის და მეცნიერებისა და კულტურის სხვა გამოჩენილი წარმომადგენლების მხატვრულ ნაწარმოებებსა და შრომებში. ხალხთა მენტალიტეტში დღესაც შემორჩენილია დიდი საქარავნო მარშრუტებისა და მომთაბარეების კვალი. მორის სიმაშკომ აბრეშუმის დიდ გზას „ცხოვრების ფილოსოფია“ უწოდა. კულტურული დისტანციისა და კულტურული გადატანის იდეებმა პროზაიკოსებსა და პუბლიცისტებს საშუალება მისცა თავი-

სუფლად გადალახონ ენებს, კულტურულ სისტემებს, ტრადიციებსა და მსოფლიო ცივილიზაციებს შორის არსებული საზღვრები. კულტურათა გზა-ჯვარედინზე მყოფი მწერლები ჩართულნი იყვნენ ცივილიზაციათა უწყვეტ დიალოგში, თანამედროვე სოციოკულტურული ვითარების კონტექსტში. კულტურული გავლენების სინთეზზე, კულტურული ტრადიციების დიალოგზე ორიენტირებამ, ისინი მიიყვანა მხატვრულ აღმოჩენებამდე და რწმენამდე, რომ „ანტიკურობიდან და ადრეული შუა საუკუნეებიდან მოყოლებული, რომისა და სტეპების, თურქული და ირანული, არაბული და ჩინური ცივილიზაციები ერთმანეთს შუა აზიის ტერიტორიაზე ეჯახებოდნენ. ამასთან, გეიპოლიტიკური თვალსაზრისით, ეს რეგიონი ყოველთვის იყო დაპყრობის ობიექტი, როგორც უშუალო კონტაქტისაგან დამცველი „შუალედური სარტყელი“, „ბუფერი“, „შუა“ ზონა“ (ჩინგიზ აიგმატოვი).

## ვაჟა შატბერაშვილი (საქართველო)

### ქართული კულტურის ფსიქოლოგიური ესკიზი

